

ადამ სმიტი

გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა
და მიზეზების შესახებ

ტომი I

თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 1938

Адам Смит

Исследование о природе и причинах
богатства народов

Том I

Adam Smith

An Inquiry
Into the nature and causes of the wealth of nations

Vol. I

Tbilisi – 1938

წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის

წინამდენარე თხზულების პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1775 წლის ბოლოს და 1776 წლის დასაწყისში. ამიტომ, როდესაც ამ წიგნის უდიდეს ნაწილში გარემოებათა აწინდელ მდგომარეობაზეა ლაპარაკი, მხედველობაში უნდა იქნეს მირებული ის მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს ან იმ დროის ცოტათი წინა პერიოდში, როდესაც მე ამ წიგნს ვწერდი. მესამე გამოცემაში მე შევიტანე რამდენიმე დამატება, განსაკუთრებით თავში უკუდასაბრუნებელი ბაჟების შესახებ და თავში პრემიების შესახებ. შემდეგ, მე დავუმატე ახალი თავი ამ სათაურით: „დასკვნა მერკანტილური სისტემის შესახებ. ყველა ამ დამატებაში, როდესაც აწინდელ ვითარებაზე ვლაპარაკობ, ყოველთვის მხედველობაში მაქვს ის ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1783 წელს და 1784 წლის დასაწყისში.

წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისათვის

ამ მეოთხე გამოცემაში მე არავითარი ცვლილებები არ მომიხდენია. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია უდიდესი მადლობა გამოვუცხადო ბ–ნ ჰენრი ჰოპს ამსტერდამში. ამ პირის წყალობით მივიღე მე ფრიად ზუსტი და დაწვრილებითი ცნობები მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საგნის – ამსტერდამის ბანკის – შესახებ, რაზედაც დამაკმაყოფილებელი და ნათელი ცნობები ვერ ვპოვე ვერც ერთ დაბეჭდილ ანგარიშში. ამ კაცის სახელი ისე კარგადაა ევროპაში ცნობილი, მისგან მომდინარე ცნობები ისე საპატიოა ყველასთვის, ვინც ისინი მიიღო, და ჩემი თავმოყვარეობა ისე დაინტერესებულია ამის აღიარებაში, რომ მე არ შემიძლია მოვიკლო სიამოვნება ამ წინასიტყვაობის წამმღვარებისა ჩემი წიგნის ამ ახალი გამოცემისათვის.

თხზულების შესავალი და გეგმა

ყოველი ხალხის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას არსებობისთვის და კომფორტისთვის ყველა საჭირო საგანს, რასაც იგი მოიხმარებს წლის განმავლობაში და რაც ყოველთვის შესდგება ან ამ შრომის უშუალო პროდუქტისგან, ანდა იმისგან, რაც იმ ხალხის მიერ მიიღება ამ პროდუქტზე გაცვლით სხვა ხალხებისგან.

ამიტომ, იმის მიხედვით, უფრო დიდი თუ უფრო პატარა რაოდენობისაა ეს პროდუქტი ან ის, რაც მასზე გაცვლით მიიღება, იმათ რიცხვთან შედარებით, ვინაც იგი უნდა მოიხმარონ, ხალხი უკეთ ან უფრო ცუდად არის მომარაგებული ყველა იმ საგნებით, რომლებიც აუცილებელია არსებობისა და კომფორტისთვის და რომლებიც მას ესაჭიროება.

მაგრამ ეს შეფარდება ყოველ ხალხში დამოკიდებულია ორ სხვადასხვა გარემოებაზე: ჯერ ერთი, დახელოვნებასა, ხელმარჯვობასა და საზრიანობაზე, რომლითაც საერთოდ სწარმოებს ხალხის შრომა, და, მეორე, შეფარდებაზე იმათ რიცხვსა, რომელნიც სასარგებლო შრომას ეწევიან, და იმათ რიცხვს შორის, რომელნიც ასეთ შრომაში არ არიან ჩაბმულნი. როგორც უნდა იყოს ამა თუ იმ ხალხის მიწა, ჰავა ან ტერიტორიის სივრცე, ყოველთვის მისი წლიური მომარაგების

სიუხვე ან ნაკლებობა, ამ განსაკუთრებულ პირობებში, იმ ორ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული.

ამ მომარაგების სიუხვე ან ნაკლებობა, როგორც სჩანს, დამოკიდებულია უფრო პირველ გარემოებაზე, ვიდრე მეორეზე. ველურ – მონადირე და მეთევზე – ხალხებში ყოველი ადამიანი, რომელსაც მუშაობა შეუძლია, მეტნაკლებ ეწევა სასარგებლო შრომას და ცდილობს შეძლებისამებრ მოიპოვოს არსებობისა და კომფორტისათვის ყველა საჭირო საგანი თვით თავისთვის ან თავისი ოჯახის და ტომის იმ წევრთათვის, რომლებსაც სიბერის, სინორჩისა თუ უძლურების გამო არ შეუძლიათ ნადირობა და თევზაობა. მაგრამ ასეთი ხალხები ისე საშინლად დარიბნი არიან, რომ გაჭირვება მათ ხშირად აიძულებს – ან ყოველ შემთხვევაში ისინი ფიქრობენ, რომ გაჭირვება აიძულებს – პირდაპირ დაჰხოცონ თავიანთი ბავშვები, მოხუცები და ქრონიკული სენით დაავადებულნი, ანდა მიატოვონ ისინი უპატრონოდ შიმშილისგან სასიკვდილოდ ან ველური მხეცების მიერ შესაჭმელად. პირიქით, კულტურულ და აყვავებულ ხალხებში, – თუმცა მათში ადამიანთა დიდი ნაწილი სრულიად არ მუშაობს, და ამასთან ბევრი მათგანი ათჯერ, ხშირად ასჯერაც მეტი პროდუქტს მოიხმარებს, ვიდრე მშრომელთა უდიდესი ნაწილი, – საზოგადოების მთელი შრომის პროდუქტი ისე დიდია, რომ ხშირად ყველანი უხვად არიან პროდუქტით მომარაგებულნი, ასე რომ მშრომელს, უდაბლესი და უღარიბესი კლასის მშრომელსაც კი, თუ იგი მომჭირნე და შრომის მოყვარე არის, შეუძლია არსებობისა და კომფორტისათვის საჭირო საგანთა უფრო დიდი რაოდენობა მოიხმაროს, ვიდრე ამის მოპოვება ძალუძს რომელსამე ველურს.

მიზეზები ამ პროგრესისა შრომის პროდუქტიულ ძალთა სფეროში და ის წესი, რომლის მიხედვითაც ამ შრომის პროდუქტი ბუნებრივად განაწილდება ადამიანთა სხვადასხვა კლასებსა და ჯგუფებს შორის საზოგადოებაში, ამ გამოკვლევის პირველი წიგნის საგანს შეადგენს.

რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს დახელოვნება, ხელმარჯვობა და საზრიანობა, რომლითაც ესა თუ ის ხალხი ეწევა შრომას, მისი წლიური მომარაგების სიუხვე თუ ნაკლებობა ამ მდგომარეობის უცვლელობისას, დამოკიდებული უნდა იყოს შეფარდებაზე იმ ადამიანთა რიცხვსა, რომელნიც წლის განმავლობაში სასარგებლო შრომას ეწევიან, და იმათ რიცხვს შორის, რომელნიც ასეთ შრომაში არ არიან ჩაბმულნი. სასარგებლო და პროდუქტიული მუშების რიცხვი, როგორც ეს ნაჩვენები იქნება შემდგომ, ყველგან შეფარდებულია იმ კაპიტალის სიდიდესთან, რომელიც იხარჯება მათთვის სამუშაოს მისაცემად, და იმ განსაკუთრებულ წესთან, რომლითაც ეს კაპიტალი გამოიყენება. ამიტომ მეორე წიგნი განიხილავს კაპიტალის ბუნებას, მისი თანდათან დაგროვების წესს და შრომის სხვადასხვა რაოდენობას, რომელიც კაპიტალს, მისი გამოყენების სხვადასხვა წესის მიხედვით, მოძრაობაში მოჰყავს.

ხალხები, რომელთაც შრომაში დახელოვნებისა, ხელმარჯვობისა და საზრიანობის მხრივ საკმაოდ წინ წაიწიეს, ფრიად სხვადასხვა გეგმებით ხელმძღვანელობდნენ ამ შრომის საერთო წარმართვისა თუ მიმართვის საქმეში, და ეს გეგმები ყველა როდი იყო შრომის პროდუქტის გადიდებისათვის თანაბრად ხელსაყრელი. ზოგ ხალხთა პოლიტიკა განსაკუთრებით ამხნევებდა სასოფლო მეურნეობას, სხვა ხალხთა კი – საქალაქო მრეწველობას. ძნელად რომ რომელსამე ხალხს ერთნაირი და მიუკერძავე განწყობილება ჰქონებოდას ყველა სახის მრეწველობის მიმართ. რომის იმპერიის დაცემის დროიდან დაწყებული ევროპის პოლიტიკა უფრო ხელსაყრელი იყო ხელობისთვის, მანუფაქტურისა და ვაჭრობისთვის, ერთი სიტყვით, საქალაქო მრეწველობისთვის, ვიდრე

მიწათმოქმედებისთვის, – სასოფლო შრომისთვის. ის გარემოებანი, რომელთაც, როგორც ეტყობა, გამოიწვიეს და განამტკიცეს ეს პოლიტიკა, მესამე წიგნშია განმარტებული.

თუმცა ეს სხვადასხვა გეგმები, იქნებ, პირველად მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა კერძო ინტერესებით და ცრურწმენით იყო გამოწვეული, იმ შედეგების სრულიად მხედველობაში მიუღებლად და წინასწარ გაუთვალისწინებლად, რომლებიც აქედან უნდა წარმდგარიყო საზოგადოების საერთო კეთილდღგომარეობისათვის, მაგრამ ისინი საბაზი გახდნენ პოლიტიკური ეკონომიის ფრიად სხვადასხვა თეორიებისათვის, რომელთაგან ზოგნი პირველ რიგში აყენებენ ქალაქის მრეწველობის მნიშვნელობას, სხვანი კი დევ – სოფლისას. ამ თეორიებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ არა მხოლოდ სწავლულ ადამიანთა შეხედულებაზე, არამედ ხელმწიფეთა და სახელმწიფოთა საჯარო მართვა-გამგეობაზეც. მეოთხე წიგნში მე შევეცადე შეძლებისამებრ სრულად და ზედმიწევნით განმემარტა ეს სხვადასხვა თეორიები და ის მთავარი შედეგები, რომლებიც მათ წარმოშვეს სხვადასხვა ეპოქებსა და ხალხებში.

ამგვარად, ამ პირველი ოთხი წიგნის საგანია იმის გამორკვევა, თუ რაში მდგომარეობდა ხალხის მთავარი მასის შემოსავალი, ან როგორი იყო იმ ფონდების ბუნება, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა ხალხებში აკმაყოფილებდა მათ წლიურ მოხმარებას. მეხუთე და უკანასკნელი წიგნი განიხილავს ხელმწიფის ანუ სახელმწიფოს შემოსავალს. ამ წიგნში მე შევეცადე დამენახვებია, ჯერ ერთი, ის, თუ რა და რა აუცილებელი ხარჯები აქვს ხელმწიფეს ანუ სახელმწიფოს, ამ ხარჯებიდან რომელი უნდა დაიფაროს მთელი საზოგადოების საერთო გამოსაღების გზით და რომელი – საზოგადოების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილის ანუ მისი ცალკე წევრების მიერ; მეორე, რა და რა სხვადასხვა მეთოდების მიხედვით შეიძლება მთელ საზოგადოებას დაეკისროს იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც აწევს მთელ საზოგადოებას, და რაში მდგომარეობს თითოეული ამ მეთოდის მთავარი უპირატესობა და არახელსაყრელობა; და, მესამე, დაბოლოს, რა და რა მიზეზები და მოსაზრებები აიძულებდა თითქმის ყველა თანამედროვე მთავრობას დაეგირავებია თავისი შემოსავლის ნაწილი ანუ ვალები აელო, და რა გავლენა ჰქონდა ამ ვალებს საზოგადოების ნამდვილ სიმდიდრეზე, მისი მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტზე.

წიგნი პირველი

მიზეზები შრომის პროდუქტივობის გადიდებისა და წესი, რომლის მიხედვით შრომის პროდუქტი ბუნებრივად განაწილდება ხალხის სხვადასხვა კლასებს შორის

თ ა ვ ი I

შრომის დანაწილება

უდიდესი პროგრესი შრომის პროდუქტიული ძალის განვითარებაში და მეტი წილი დახელოვნების, ხელმარჯვობის და საზრიანობისა, რომლითაც შრომა წარმართება ან სრულდება, როგორც ეტყობა, შრომის დანაწილების შედეგი იყო. შრომის დანაწილების შედეგები საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებისათვის საერთო უფრო ადვილად შეიძლება გავიგოთ, უკეთეს გავეცნობით იმას, თუ როგორ მოქმედებს ეს დანაწილება რომელსამე ცალკეულ მანუფაქტურაში, რომელთაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. სინამდვილეში, შესაძლებელია, იგი იქ არც კია ისე ძალიან გატარებული, როგორც სხვა უფრო დიდი მნიშვნელობის მანუფაქტურებში; მაგრამ იმ მცირემნიშვნელოვან მანუფაქტურებში, რომელთა დანიშნულებაა ადამიანთა მცირე რიცხვის მცირე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, აუცილებლობის გზით მცირე უნდა იყოს მუშების საერთო რიცხვი; და ამიტომ, მუშები, რომლებიც სამუშაოს თითოეულ ცალკე დარგში მოსაქმეობენ, შესაძლებელია იყვნენ თავმოყრილნი ხშირად ერთ სახელოსნოში და ერთბაშად დასანახნი მაცქერალისთვის. პირიქით, იმ დიდ მანუფაქტურებში, რომელთა დანიშნულებას ხახლის დიდი მასის ფართო მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეადგენს, სამუშაოს თითოეულ ცალკე დარგში მუშათა ისე დიდი რიცხვი მოსაქმეობს, რომ შეუძლებელია ყველა მათი თავმოყრა ერთ სახელოსნოში. აქ ჩვენ იშვიათად ვხედავთ ერთად იმ მუშებზე მეტს, რომელნიც ერთ ცალკეულ დარგში არიან მოსაქმენი. ამიტომ, თუმცა ასეთ მანუფაქტურებში სამუშაო, შესაძლებელია, სინამდვილეში უფრო ბევრ ნაწილად იყოს დაყოფილი, ვიდრე ნაკლები მნიშვნელობის მანუფაქტურებში, – მაინც იქ ეს დანაწილება ისე შესამჩნევი არაა და ამის გამო გაცილებით ნაკლებ იყო ყურადღებამიქცეული.

მაგალითისთვის ავიღოთ, ამიტომ, მრეწველობის ფრიად მცირემნიშვნელოვანი დარგი, მაგრამ ისეთი, რომელშიაც შრომის დანაწილება ძალიან ხშირად აღუნიშნავთ, სახელობრ – ქინძისთავების წარმოება. ერთი მუშა, რომელიც განსწავლული არაა ამ წარმოებისთვის (რაც განსაკუთრებულ ხელობად აქცია შრომის დანაწილებამ) და გაცნობილი არ არის მასში გამოყენებული მანქანების ხმარებას (რომელთა გამოგონებას, ალბათ, იმავე შრომის დანაწილებამ მისცა იმპულსი), ძნელად თუ შესძლებს, იქნებ, უაღრესი მეცადინეობით, დღეში ერთი ქინძისთავის გაკეთებას და, ყოველ შემთხვევაში, ვერ გააკეთებს ოცს. მაგრამ იმ ორგანიზაციის არსებობისას, რომელიც ახლა აქვს ამ წარომებას, ეს უკანასკნელი არა თუ მთლიანად შეადგენს განსაკუთრებულ ხელობას, არამედ ნაწილდება მთელ რიგ დარგებად, რომელთაგან მეტი წილი წარმოადგენს აგრეთვე სხვადასხვა განსაკუთრებულ ხელობას. ერთი მომუშავე სწევს მავთულს, მეორე ასწორებს მას, მესამე ჭრის, მეოთხე ამწვეტიანებს ბოლოს, მეხუთე ჰქლიბავს მეორე ბოლოს, რომელსაც თავი უნდა დაეკრას; თავის მომზადება მოითხოვს ორ თუ სამ სხვადასხვა ოპერაციას; თავის დაკვრა წარმოადგენს ერთ განსაკუთრებულ ოპერაციას, ქინძისთავის გაპრიალება – მეორეს; ქინძისთავების ქაღალდში ჩაწყობაც კი ცალკე ოპერაციას შეადგენს. ამრიგად, რთული შრომა ქინძისთავების წარომებისა დანაწილებულია დაახლოებით თვრამეტ დამოუკიდებელ ოპერაციად, რომლებსაც ზოგიერთ მანუფაქტურებში ყველას სხვადასხვა მუშები ასრულებენ, მაშინ როდესაც სხვებში ერთი და იგივე მუშა ხანდახან ორ თუ სამ ოპერაციას ასრულებს. მე ვინახულე ამგვარი პატარა მანუფაქტურა, სადაც მხოლოდ ათი მუშა მოსაქმეობდა და სადაც, მაშასადამე, ზოგი მათგანი ორ და სამ სხვადასხვა ოპერაციას ასრულებდა. თუმცა ეს მუშები ძალიან ღარიბნი იყვნენ და არასაკმაოდ მოეპოვებოდათ აუცილებელი მანქანები, მაგრამ მათ მაინც შეეძლოთ, ყველას ერთად, თუ მუაითად იმუშაებდნენ, დაახლოებით

თორმეტი გირვანქა ქინძისთავის დამზადება დღეში. ერთი გირვანქა შეიცავს 4000-ზე მეტ სასუალო ზომის ქინძისთავს. მაშასადამე, ამ ათ ადამიანს შეეძლო დღეში 48 000-ზე მეტი ქინძისთავის დამზადება. ამრიგად, თუ კაცზე 48 000 ქინძისთავის ერთ მეათედს ვიანგარიშებთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ერთი მუშა 4 800 ქინძისთავს ამზადებდა დღეში. ხოლო მათ რომ განცალკევებულად და დამოუკიდებლად ემუშავნათ და რომ არავის მათგანს შესწავლილი არ ჰქონებოდა ეს განსაკუთრებული ხელობა, – უეჭველია, ვერც ერთი მათგანი ვერ დაამზადებდა ოცს და, შესაძლებელია, ერთ ქინძისთავსაც კი დღეში. ერთი სიტყვით, ისინი, უეჭველია, ვერ დაამზადებდნენ 1/240-ს, და, შესაძლებელია, 1/4800-საც, კი იმისა, რაც მათ ახლა, მათი სხვადასხვა ოპერაციების დანაწილებისა და კომბინაციის შედეგად, ძალუბთ დაამზადონ.

ყოველ სხვა ხელობასა და მანუფაქტურაში შრომის დანაწილების შედეგები მსგავსია იმისა, რასაც წარმოგვიდგენს ეს ფრიად მცირემნიშვნელოვანი წარმოება, თუმცა ბევრ მათგანში არც შრომის ესოდენ მარტივ ოპერაციებზე. მაგრამ შრომის დანაწილება, რა ზომითაც უნდა იყოს იგი შემოღებული, იწვევს ყოველ ხელობაში შრომის პროდუქტიული ძალის შეფარდებითს გადიდებას. სხვადასხვა პროფესიების და მოსაქმეობის განცალკევება ერთი მეორისგან, როგორც ეტყობა, ამ უპირატესობის შედეგადაა წარმომდგარი. ამასთან ერთად ეს განცალკევება ჩვეულებრივ უფრო ძალიან გატარებულია იმ ქვეყნებში, რომელნიც მრეწველობისა და კულტურის უმაღლეს საფეხურზე იმყოფებიან; ის, რაც საზოგადოების ველურ მდგომარეობაში ერთი ადამიანის სამუშაოს შეადგენს, განვითარებულ საზოგადოებაში სრულდება რამდენიმე ადამიანის მიერ. ყოველ განვითარებულ საზოგადოებაში ფერმერი მხოლოდ ფერმერია, მემანუფაქტურე მხოლოდ მემანუფაქტურეა. შრომაც, რომელიც საჭიროა რაიმე დასრულებული ფაბრიკატის საწარმოებლად, თითქმის ყოველთვის განაწილებულია მრავალრიცხოვან მშრომელთა შორის. აბა რაოდენ მრავალ მოსაქმეობას აქვს ადგილი ტილოს ან მაუდის წარმოების თითოეულ დარგში, დაწყებული სელის ან მატყლის მწარმოებლებითა და გათავებული ტილოს მთეთრობლებით და მაელვარებლებით ან მაუდის მრეხავებით და გამომყვანლებით! ესეც კია, რომ მიწათმოქმედება ნებას არ იძლევა არც შრომის ესოდენ მრავლად დანაწილებისათვის და არც ერთი სამუშაოს მეორისგან ესოდენ სრული განცალკევებისათვის, როგორც ეს შესაძლებელია მანუფაქტურაში. შეუძლებელია ისე სავსებით განცალკევებულ იქნეს ცხოველის მომშენებლის მოსაქმეობა მხვნელ-მთესველის მოსაქმეობისაგან, როგორც დურგლისა და მჭედლის მოსაქმეობა ჩვეულებრივ განცალკევებულია ერთი მეორისაგან. მრთველი თითქმის ყოველთვის ფეიქრისგან განსხვავებული პიროვნებაა, მაშინ როდესაც მხვნელი, მფარცხველი, მთესველი და მომკელი ხშირად ერთი და იგივე პიროვნება არის. რადგან ეს სხვადასხვა სახის მუშაობა წლის სხვადასხვა დროს არის შესასრულებელი, ამიტომ შეუძლებელია, რომ ერთი ადამიანი ერთ-ერთ სამუშაოს ადგეს გამუდმებით. ეს შეუძლებლობა, რომ ესოდენ სრულად და სავსებით განცალკევებული იყოს შრომის ყველა ის დარგი, რომელსაც ადგილი აქვს მიწათმოქმედებაში, წარმოადგენს, იქნებ, იმის მიზეზს, რომ შრომის პროდუქტიული ძალის პროგრესი ამ დარგში ყოველთვის არ მიჰყვება კვალდაკვალ მის პროგრესს მრეწველობაში. უმდიდრესი ხალხები, რასაკვირველია, ჩვეულებრივ სჯობნიან ყველა მათ მეზობელთ როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაშიც, მაგრამ მათი უპირატესობა უფრო ცხადდება პირველში, ვიდრე უკანასკნელში. მათი მიწა საერთოდ უკეთ არის დამუშავებული და, რადგან მასზე მეტი შრომა და ხარჯებია გაწეული, მეტს მოიცემა მის სივრცესა და ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერობასთან შედარებით. მაგრამ ეს მეტი

იშვიათად აღემატება დამატებით გაწეულ შრომასა და ხარჯებს. მდიდარი ხალხის შრომა მიწათმოქმედებაში ყოველთვის არაა ბევრად უფრო პროდუქტიული, ვიდრე ღარიბი ხალხისა, ან, ყოველ შემთხვევაში, იგი არასოდეს არაა იმდენად უფრო პროდუქტიული, რამდენადაც ამას ჩვეულებრივ ადგილი აქვს მრეწველობაში. ამიტომ მდიდარი ქვეყნის პური, თანატოლი ღირსების შემცველობისას, ყოველთვის არ გამოდის ღარიბი ქვეყნის პურზე უფრო იაფად ბაზარზე. პოლონეთის პური ისევე იაფია, როგორც საფრანგეთის პური, მიუხედავად ამ უკანასკნელი ქვეყნის უფრო დიდი სიმდიდრის და კულტურისა. პური საფრანგეთში, პურის მწარმოებელ პროვინციებში, სრულებით ისევე კარგია და მეტწილ წლებში თითქმის ისევე ფასობს, როგორც ინგლისის პური, თუმცა საფრანგეთს სიმდიდრისა და პროგრესის მხრივ, შესაძლებელია, უფრო დაბალი დონე ჰქონდეს, ვიდრე ინგლისს. და ინგლისის საპურე მიწები საფრანგეთისაზე უკეთაა დამუშავებული, და საფრანგეთისა კიდევ, როგორც ამტკიცებენ, უკეთ დამუშავებული არის, ვიდრე პოლონეთისა. მაგრამ, თუმცა ღარიბ ქვეყანას, მიწის უფრო ცუდად დამუშავების მიუხედავად, ძალუძს განსაზღვრული ზომით მეტოქეობა გაუწიოს მდიდარ ქვეყანას თავისი პურის სიიაფისა და ღირსების მხრივ, – მას არ შეუძლია მოინდომოს ასეთი კონკურენციის გაწევა თავისი მანუფაქტურებით, ყოველ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი შეესაბამებიან მდიდარი ქვეყნის ნიადაგს, ჰავას და მდებარეობას. საფრანგეთის აბრეშუმეული ინგლისისაზე უკეთესია და უფრო იაფი, რადგან აბრეშუმის მრეწველობა ნაკლებ შეესაბამება ინგლისის ჰავას, ვიდრე საფრანგეთისას, ყოველ შემთხვევაში ამჟამად ნედლი აბრეშუმის იმპორტზე დაწესებული მაღალი ბაჟების არსებობის დროს. მაგრამ ინგლისის რკინეულობა და მსხვილი მაუდი შეუდარებლად უკეთესია საფრანგეთისაზე და ამასთან, თანატოლი ღირსებისას, ბევრად უფრო იაფიც. პოლონეთში, როგორც ამბობენ, თითქმის სრულიად არ არსებობს რაიმე მანუფაქტურები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირერიცხოვან საოჯახო მოთხოვნილებებისათვის საჭირო მანუფაქტურებს, ურომლისოდაც არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია არსებობა.

ასეთი ძლიერი გადიდება წარმოების რაოდენობისა, რომელიც, შრომის დანაწილების შედეგად, მუშების ერთსა და იმავე რიცხვს შეუძლია შეასრულოს, დამოკიდებულია სამ სხვადასხვა გარემოებაზე: პირველი, თითოეული ცალკე მუშის ხელმარჯვობის გადიდებაზე, მეორე, – იმ დროის დაზოგვაზე, რომელიც ჩვეულებრივ იკარგება ერთ სახის სამუშაოდან მეორე სახის სამუშაოზე გადასვლისას; და, დასასრულ, იმ მრავალრიცხოვანი მანქანების გამოგონებაზე, რომელნიც აადვილებენ და ამოკლებენ შრომას და აძლევენ ადამიანს იმის შესაძლებლობას, რომ ერთმა მრავალთა სამუშაო შეასრულოს.

პ ი რ ვ ე ლ ი. მუშის ხელმარჯვობის განვითარება აუცილებლად ადიდებს ნაწარმოების რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს, და შრომის დანაწილება, რადგან მას თითოეული მუშია საქმიანობა ამა თუ იმ მარტივ ოპერაციაზე დაჰყავს და ამ ოპერაციას მთელი მისი სიცოცხლის ერთადერთ მოსაქმეობად ხდის, აუცილებლად ადიდებს ძალიან მის ხელმარჯვებობას. ჩვეულებრივმა მჭედელმა, რომელიც უროს ხმარებას დაჩვეულია, მაგრამ არასოდეს არ გავარჯიშებულა ლურსმნების კეთებაში, თუ მას რომელსამე განსაკუთრებულ შემთხვევაში დასჭირდა ამ სამუშაოს შესრულება, ძნელად რომ შესძლოს – ამაში მე დარწმუნებული ვარ – 200 ან 300 გაკეთება დღეში, და ისიც – ძალიან ცუდის. მწედელი, რომელიც დაჩვეულია ლურსმნების კეთებას, მაგრამ ლურსმნების დამზადება არასოდეს ყოფილა მისი ერთადერთი ან უპირატესი საქმიანობა,

იშვიათად შესძლებს უკიდურესი მუყაითობით 800 ან 1000 ლურსმანზე მეტის გაკეთებას დღეში. მე მინახავს 20 წელზე ნაკლები ხნის ახალგაზრდები, რომელნიც არასოდეს სხვა საქმეზე არ მდგარან, გარდა ლურსმნის კეთებისა, და რომელთაც შეეძლოთ დამაბული მუშაობით თითოეულს 2300-ზე მეტი ლურსმნის დამზადება დღეში. და ლურსმნის დამზადება სრულიადაც არ წარმოადგენს ერთ-ერთ უმარტივეს ოპერაციას. ერთი და იგივე ადამიანი ბერავს საბერველს, აღვივებს ან ანელებს ცეცხლს საჭიროების მიხედვით, ავარჯერებს რკინას და სჭედავს ლურსმნის ცალკე ნაწილებს; ლურსმნის თავის გამოსაჭედად მას იარაღების გამოცვლაც კი სჭირდება. სხვადასხვა ოპერაციები, რომლებსაც იყოფა ქინძისთავის ან ლითონური ღილის დამზადება, ბევრად უფრო მარტივია, და ხელმარჯვობა მუშისა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მარტო ამ საქმიანობას ადგა, ჩვეულებრივ ბევრად უფრო დიდია. ის სისწრაფე, რომლითაც სრულდება ზოგი ოპერაციები ამ მანუფაქტურებში, აღემატება დასაჯერებელს, და ვისაც ეს თავის თვალთ არ უნახავს, ვერ დაიჯერებს, რომ ადამიანის ხელს შეუძლია მიაღწიოს ასეთ სიმარჯვეს.

მ ე ო რ ე. სარგებლობა, რომელიც მიიღება იმ დროის დაზოგვით, რაც ჩვეულებრივ იკარგება ერთი სახის სამუშაოდან მეორეზე გადასვლისას, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთი შეხედვით, შეუძლებელია ძალიან სწრაფად გადასვლა ერთი სახის სამუშაოდან მეორეზე, თუ იგი სრულდება სხვადასხვა ადგილას და სრულიად სხვა იარაღებით. სოფელელმა ფეიქარმა, რომელიც პატარა ფერმის დამუშავებას ეწევა, ძალიან ბევრი დრო უნდა დაჰკარგოს თავის საფეიქრო დაზვიდან მინდვრად გასასვლელად და იქიდან დაზვასთან დასაბრუნებლად. როდესაც ორი სხვადასხვა სამუშაო ერთსა და იმავე სახელოსნოში შეიძლება შესრულებული იქნეს, დანაკარგი დრო, უეჭველია, გაცილებით ნაკლები არის. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი ფრიად მნიშვნელოვანია. ადამიანი ჩვეულებრივ შეიგვიანებს ხოლმე, როდესაც ერთი სახის სამუშაოს შემდეგ მეორეს ჰკიდებს ხელს. როდესაც იგი ახალ სამუშაოს ადგება, იგი იშვიათად იჩენს ერთბაშად ნამდვილ მუყაითობას და გულმოდგინებას, და უფრო მაითრევს დროს, ვიდრე მუშაობს წესიერად. ვეხის თრევისა და უხეიროდ მუშაობის ზნე, რასაც ბუნებრივად ანუ, უფრო სწორად, აუცილებლობის გზით ეჩვევა სოფლად ყოველი მომუშავე, რომელიც იძულებულია ყოველ ნახევარ საათში გამოიცვალოს სამუშაო და იარაღები და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ყოველდღე ოც სხვადასხვაგვარ საქმეს მოჰკიდოს ხოლმე ხელი, – ეს ზნე ხდის მას ზარმაცად და დამაბული მუყაითობისათვის – ყოველად საშურ შემთხვევაშიც კი – უნარმოკლებულად. ამიტომ მისი ხელმარჯვობის ნაკლებობისგან დამოუკიდებლად, მარტო ამ მიზეზმა უნდა მნიშვნელოვნდა დაბლა დასწიოს იმ სამუშაოს რაოდენობა, რომლის შესრულება მას შეუძლია.

მ ე ს ა მ ე. დასასრულ, ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, როგორ ძალიან აადვილებს და ამოკლებს შრომას სათანადო მანქანების გამოყენება. საჭირო არაა მაგალითის მიცემა. ამიტომ უნდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ ყველა იმ მანქანების გამოგონება, რომელნიც ესოდენ ძალიან აადვილებენ და ამოკლებენ შრომას, თავდაპირველად, როგორც ეტყობა, შრომის დანაწილებას უნდა მიეწეროს. ადამიანები უფრო ადვილ და სწრაფ მეთოდებს რაიმე შედეგის მისაღწევად უფრო მაშინ აღმოაჩენენ, როდესაც მთელი მათი გონებრივი ყურადღება ერთადერთ ობიექტზეა მიქცეული, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი მრავალ სხვადასხვა საგანზე არის დაქსაქსული. ხოლო შრომის დანაწილების გამო თითოეული მომუშავეს მთელი ყურადღება, რასაკვირველია, რომელსამე ერთ ფრიად მარტივ საგანზეა მიპყრობილი. ამიტომ, ბუნებრივია, მოველოდეთ, რომ ვინმე იმათგან, რომელნიც თითოეულ

შრომის განსაკუთრებულ დარგში მოსაქმეობენ, მალე აღმოაჩენს უფრო ადვილ და სწრაფ მეთოდებს თავის სპეციალურ სამუშაოს შესასრულებლად, რამდენადაც ამ უკანასკნელის ხასიათი ამის ნებას იძლევა. მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ამ მანუფაქტურებში იხმარება, სადაც შრომის დანაწილება უმეტესადაა გატარებული, თავდაპირველად გამოგონებული იყო უბრალო მუშების მიერ, რომელთაც, რადგან თითოეული მათგანი რომელსამე ფრიად მარტივ ოპერაციაზე მოსაქმეობდა, – ბუნებრივია – მთელი გულისყური მიპყრობილი ჰქონდათ იმაზე, რომ ეპოვნათ უფრო ადვილი და სწრაფი მეთოდები მის შესასრულებლად. ვისაც ხშირად დაუთვალა იერებია ასეთი მანუფაქტურები, იმას ხშირად უნდა ენახოს ძალიან კარგი მანქანები, ასეთი მუშების მიერ გამოგონებული, მათგან შესასრულებელ სპეციალურ სამუშაოს გასაადვილებლად და დასაჩქარებლად. პირველ ორთქლის მანქანებს ყოველვის მიყენებული ჰყავდა მოზარდი, რომელსაც რიგრიგობით უნდა გაედ და დაეხურა შეერთება ქვაბსა და ცილინდრს შორის დეგუმის აწევ-დაწევის მიხედვით. ერთმა ასეთმა ბავშვმა, რომელსაც თავის ამხანაგებთან თამაშობა უყვარდა, შეამჩნია, რომ თუ სარქველის სახელურს, რომელიც ამ შეერთებას ადებდა, და მანქანის მეორე ნაწილს ზონარი ექნებოდა მიბმული, – მის დაუხმარებლად აიხდებოდა და დაიხურებოდა, და მას თავისუფლებას მისცემდა თავის ამხანაგებთან გართობილიყო. ამრიგად, ერთ-ერთი უდიდესი გაუმჯობესება, რომელიც განხორციალდა ორთქლის მანქანაზე, გამოგონებული იქნა მოზარდის მიერ, რომელსაც თავისი საკუთარი შრომის დაზოგვა სწადდა.

მაგრამ მანქანების ყველა გაუმჯობესება სრულიადაც არ ყოფილა იმათი გამოგონება, რომელთაც მანქანების ხმარება უხდებოდათ. მრავალი გაუმჯობესება განხორციელდა მანქანათმშენებლების გამომგონებლობის წყალობით, როდესაც მანქანების მშენებლობა მრეწველობის სპეციალურ დარგად იქცა; სხვა გაუმჯობესებანი განხორციელებულ იქნა იმათ მიერ, ვისაც ფილოსოფოსებს ანუ თეორეტიკოსებს უწოდებენ, რომელთა მოსაქმეობას შეადგენს არა რისამე კეთება, არამედ ყველაფერზე დაკვირვების წარმოება; ამიტომ მათ შეუძლიათ ერთმანეთისგან ფრიად დაშორებულ და არამსგავს საგანთა ძალების კომბინაციის მოხდენა. საზოგადოების პროგრესთან ერთად ფილოსოფია, ანუ თეორია, როგორც ყოველი სხვა მოსაქმეობა, მოქალაქეთა განსაკუთრებული კლასის მთავარ ან ერთადერთ პროფესიად საქმედ იქცევა. ყოველი სხვა მოსაქმეობის მსგავსად ესეც მრავალ სხვადასხვა დარგად ნაწილდება, რომელთაგან თითოეული ფილოსოფოსთა განსაკუთრებული ჯგუფის ანუ კლასის მოსაქმეობას შეადგენს; და საქმიანობის ასეთი დანაწილება ფილოსოფიაში, ისე როგორც ყოველ სხვა საქმეში, ადიდებს ოსტატობას და ხელს უწყობს დროის დაზოგვას. ამის წყალობით თითოეული ინდივიდუმი უფრო გამოცდილი ხდება თავის განსაკუთრებულ დარგში, საერთოდ მეტი სამუშაო სრულდება და მნიშვნელოვნად იზრდება მეცნიერების მოცულობა.

ნაწარმოებთა ასეთი დიდად გამრავლება ყველა სხვადასხვა ხელობაში, შრომის დანაწილების შედეგად წარმომდგარი, იწვევს კარგი მართვა-გამგეობის მქონე საზოგადოებაში იმ საყოველთაო ბარაქას, რომელიც ხალხის უდაბლეს ფენებზეც ვრცელდება. თითოეულ მშრომელს აქვს თავის განკარგულებაში თავისი საკუთარი ნაწარმოების დიდი რაოდენობა იმაზე მეტად, რაც მას თვითონ ესაჭიროება; და რადგან ყველა მშრომელნი სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან, მას შესაძლებლობა აქვს თავის ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა გასცვალოს სხვების ნაწარმოებთა დიდ რაოდენობაზე ანუ, რაც იგივე არის, ამ ნაწარმოებთა ფასზე. იგი უხვად აწვდის სხვებს იმას, რაც მათ ესაჭიროებათ, და ისინი მას იმავე ზომით

აწვდიან, რაც მას სჭირდება, და ამგვარად საყოველთაო კეთილმდგომარეობა ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

დააკვირდით სულ უკანასკნელი ხელოსნის ან დღიური მუშის საოჯახო ქონებას კულტურულ და აყვავებულ ქვეყანაში, და თქვენ შეამჩნევთ, რომ შეუძლებელია იმ ადამიანთა რიცხვის ჩამოთვლაც კი, რომელთა შრომა, თუგინდ მცირე ზომისაც, საჭირო იყო, რათა პირველთ მისცემოდათ ეს ქონება. შალის ხალათი, მაგალითად, რომელსაც დღიური მუშა იცვამს, რაგინდ უხეში და უბრალო იყოს იგი, პროდუქტია მრავალთმრავალი მუშის შეერთებული შრომისა. მეცხვარე, მატყლის გადარმჩევმა, მატყლის მჩეჩავმა, მღებავმა, დამნამავმა, მრთველმა, ფეიქარმა, შალის გამომყვანმა და მრავალმა სხვამ, – ყველამ უნდა შეაერთოს თავისი სხვადასხვა სპეციალობა ასეთი უბრალო პროდუქტის დასამზადებლადაც კი. და გარდა ამისა, რამდენ ვაჭარს და გადამზიდავს უნდა ესაქმა იმისათვის, რომ მასალა მიეტანა ერთი დარგის მუშათაგან სხვებამდე, რომელნიც ხშირად ქვეყნის ფრიად შორეულ ნაწილებში ცხოვრობენ. რამდენი სავაჭრო და სანაოსნო საქმიანობა, რამდენი, კერძოდ, გემთმშენებელი, მეზღვაური, მეაფრე, მეთოკე უნდა ყოფილიყო საჭირო იმ სხვადასხვა მასალის მოსატანად, რომელსაც მღებავი ხმარობს და რომელიც ხშირად დედამიწის უშორესი კუთხეებიდან მოიზიდება! და, შემდეგ, რაოდენ მრავალგვარი შრომაა საჭირო ამ მუშათაგან სულ უმცირესი მუშის სამუშაო იარაღების დასამზადებლად! ნურას ვიტყვით რთულ მანქანებზე, როგორიცაა მეზღვაურის გემი, სათელავი წისქვილი ან საფეიქრო დაზგა, – განვიხილოთ მხოლოდ, რაოდენ მრავალფეროვანი შრომაა საჭირო იმ ფრიად მარტივი მანქანის – მაკრატლის-დასამზადებლად, რომლითაც მეცხვარე მატყლს ჰკრეჭავს. მემალაროე, ლითონის სადნობი ღუმელის მშენებელმა, ხის მჭრელმა, ნახშირის მწველმა, რომელიც ნახშირს ამზადებს სადნობი ქარხნისათვის, აგურის მკეთებელმა, კალატოზმა, სადნობ ღუმელთან დაყენებულმა მუშამ, ქარხნის მშენებელმა, მჭედელმა, მედანემ, – ყველამ თავისი სხვადასხვა ხელობა უნდა შეასრულოს მაკრატლის დასამზადებლად. თუ ჩვენ ამგვარადვე განვიხილავთ აღნიშნული უბრალო ხელოსნის ან დღიური მუშის ავეჯისა და ტანისამოსის სხვადასხვა ნაწილებს: ტლანქ ტილოს პერანგს, რომელშიაც მას ტანი აქვს გახვეული, ფეხსაცმელს, რომელიც მას ფეხს უმოსავს, ლოგინს, რომელზედაც იგი წვება, და ყველა იმ სხვადასხვა ნაწილებს, რომლებსგანაც ეს ლოგინი შესდგება, სამზარეულოს ქურას, რომელზედაც იგი საჭმელს იკეთებს, ნახშირს, ამ მიზნისათვის ხმარებულს, რომელიც მიწის სიღრმიდანაა ამოღებული და, იქნებ, ზღვით და შემდეგ ხმელეთით შორეული მანძილიდან არის მასთან მოტანილი, მისი სამზარეულოს ყველა სხვა ჭურჭლეულს, სუფრის ყველა ავეჯეულს, დანებს და ჩანგლებს, თიხის თუ კალის ჯამებს, რომლებზედაც იგი თავის კერძს სდებს და სჭრის, იმ სხვადასხვა მუშებს, რომელნიც მისთვის პურისა და ლუდის დასამზადებლად მუშაობენ, ფანჯრის მინებს, რომელნიც მის ბინაში სითბოს და სინათლეს უშვებენ, ქარს და წვიმას იკავებენ; თუ ყურადღებას მივაქცევთ ყველა იმ ცოდნასა და ხელობას, რომელიც საჭირო იყო ამ ჩინებული და მაღლიანი საგნის დასამზადებლად, ურომლისოდ დედამიწის ეს ჩრდილოეთის ნაწილები ძნელად რომ გამოსადეგი ყოფილიყო ხეირიანად ბინადრობისათვის, გავითვალისწინებთ ყველა იმ სხვადასხვა, მშრომელების იარაღებს, რომლებიც კომფორტის სხვადასხვა საგნების წარმოებაში მოსაქმეობენ, – თუ ყველა ამას ჩვენ – ვამბობ მე – განვიხილავთ და ავწონდავწონავთ, რაოდენ მრავალგვარი შრომა არის დახარჯული თითოეულ მათგანზე, მივხვდებით, რომ მრავალ ათას ადამიანთა დაუხმარებლად და თანამშრომლობის გარეშე კულტურული ქვეყნის ყოვლად ღარიბი ადამიანი ვერ

იქნებოდა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იმდაგვარადაც კი, როგორც იგი ჩვეულებრივ არის და რაც ჩვენ შეცდომით გვგონია, რომ იგი ადვილია და მარტივი. რასაკვირველია, მდიდრის უზომო ფუფუნებასთან შედარებით ღარიბის ქონება უაღრეს მარტივად და მსუბუქად უნდა გვეჩვენოს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქნებ მართალი იყოს, რომ ევროპელი ხელმწიფის საცხოვრებელი არა ყოველთვის აღემატება მუყაითი და ხელმოჭერილი გლეხისას ისე დიდად, როგორც ამ უკანასკნელის საცხოვრებელი აღემატება აფრიკის ზოგი მაფისას, რომელიც ათიათასი შიშველი ველურის სიცოცხლისა და თავისუფლების აბსოლუტური მეუფე არის.

თ ა ვ ი II

მიზეზი, რომელიც იწვევს შრომის დანაწილებას

შრომის ეს დანაწილება, რომლიდანაც ესოდენ მრავალი სარგებლობა წარმოსდგება, სრულიადაც არ ყოფილა თავდაპირველად შედეგი რომელიმე ადამიანის სიბრძნისა, რომელსაც ვითომ წინასწარ განეჭვრიტოს და განეზრახოს ის საყოველთაო კეთილმდგომარეობა, რასაც იგი წარმოშობს. იგია აუცილებელი – თუმცა ძალიან ნელა და თანდათან წარმომდგარი – შედეგი ადამიანის ბუნების განსაზღვრული მისწრაფებისა, რომელსაც ასეთი დიდი სარგებლობა როდი აქვს მიზნად დასახული: სახელდობრ მისწრაფებისა გაცვლა-გამოცვლისადმი, ვაჭრობისადმი, ერთი საგნის მეორეზე გაცვლისადმი.

ამ ჩვენი გამოკვლევის საგანს არ შეადგენს იმის გრაკვევა, წარმოადგენს ეს მისწრაფება ადამიანის ბუნების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, რომელსაც აღარ შეეძლება მივცეთ მეთი განმარტება, თუ, რაც უფრო დასაჯერებელია, წარმოადგენს იგი აზროვნებისა და მეტყველების უნარის შედეგს. ეს მისწრაფება საერთოა ყველა ადამიანთა, და მას ადგილი არა აქვს არც ერთი სახის ცხოველებში, რომელნიც, როგორც ეტყობა, არ იცნობენ არც ამგვარ და არც სხვაგვარ ხელშეკრულობას. როდესაც ორი მწვეარი ერთ კურდღელს მისდევს, ისე გვეჩვენება ზოგჯერ, თითქოს ისინი რაღაც შეთანხმებულად მოქმედებენ, თითოეულ კურდღელს დევნის მოერისაკენ ანდა ცდილობს დაიჭიროს იგი, როდესაც მისი ამხანაგი მას მისკენ გამოაგდებს. მაგრამ ეს როდია რაიმე შეთანხმების შედეგი, არამედ შემთხვევითი თანამთხვევაა მათი მისწრაფებისა, რომელიც ამ მომენტში ერთისა და იმავე საგნისკენაა მიმართული. არავის არასოდეს არ უნახავს, რომ ძაღლს აშკარად და მოსაზრებულდა გაეცვალოს ძვალი ძვალში მეორე ძაღლისათვის. არავის არასოდეს არ უნახავს, რომ რომელსამე ცხოველს მიხვრა-მოხვრით ან ბუნებრივი ძახილით ეცნობებინოს მეორისათვის: „ეს ჩემია, ის შენიაო; მე თანახმა ვარ მოგცე ეს იმის სანაცვლოდ“. როდესაც ცხოველს უნდა მიიღოს რამე ადამიანისგან ან სხვა ცხოველისგან, მას სხვა საშუალება არა აქვს რა მათ დასაჯერებლად, გარდა იმათი გულის მოგებისა, ვისგანაც წყალობას მოელის. ლეკვი ელაქუცება თავის დედას, და მემებარი ძაღლი ათასგვარად ცდილობს მიიქციოს ყურადღება თავისი პატრონისა, რომელიც სადილობს, როდესაც უნდა, რომ მისგან საჭმელი მიიღოს. ადამიანიც ხანდახან ასეთსავე ხერხებს მიმართვას თავის თანამომძმეთა მიმართ, და თუ მას სხვა

საშუალება არა აქვს გააკეთებინოს ის, რაც მას სურს, იგი ცდილობს მოიგოს მათი გული მონური ამებით და ყოველგვარი მლიქვნელობით. მაგრამ მას დრო არ ჰყოფნის ასე მოიქცეს ყველა შემთხვევაში – ცივილიზებულ საზოგადოებაში მას მუდამაქამს ესაჭიროება მრავალ ადამიანთ დახმარება და თანამშრომლობა, მაშინ როდესაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იგი ძნელად ასწრებს რამდენიმე ადამიანის მეგობრობის მოპოვებას. თითქმის ყველა სხვა სახის ცხოველებში თითოეული ინდივიდუმი, როდესაც გაიზრდება, სრულიად დამოუკიდებელი არის და მას თავის ბუნებრივ მდგომარეობაში არც ერთი სხვა ცოცხალი არსების დახმარება არ ესაჭიროება; ადამიანი კი განუწყვეტლივ საჭიროებს თავის თანამომძმეთა დახმარებას, და იგი ამოდ იქნებოდა ამის მომლოდინე მარტო მათი კეთილგანწყობილებისაგან. იგი უფრო მალე მიაღწევს თავის მიზანს, თუ მოახერხებს მათი ეგოიზმი დააინტერესოს თავის სასარგებლოდ და დაანახვოს მათ, რომ მათთვისვე სასარგებლოა გააკეთონ მისთვის ის, რასაც იგი მათაგან მოითხოვს. როდესაც ვინმე სხვას რაიმე სააღებმიცემო გარიგებას შესთავაზებს, იგი სწორედ ამის გაკეთებას სთავაზობს. მომეცი, რაც მესაჭიროება, და შენ მიიღებ იმას, რაც გესაჭიროება, – ასეთია ყოველი ამგვარი შეთავაზების აზრი. და ამ გზით ჩვენ მოვიპოვებთ იმ კარგი სამსახურის მეტად დიდ ნაწილს, რასაც ვსაჭიროებთ. არა ყასბის, ლუდის მხდელის ან მეპურის კეთილგანწყობილებისაგა მოველით ჩვენ ჩვენს სადილს, არამედ მათ მიერ მათი საკუთარი ინტერესების დაცვისაგან. ჩვენ მივმართავთ არა მათ ჰუმანობას, არამედ მათ ეგოიზმს, და მათ არასოდეს არ ველაპარაკებით ჩვენს საჭიროებაზე, არამედ მათს სარგებლობაზე. არავის, გარდა მათხოვრისა, არ სურს დამოკიდებული იყოს უმთავრესად მის თანამოქალაქეთა შეწყალებაზე. და მათხოვარიც კი მთლად მასზე არაა დამოკიდებული. მოწყალება გულკეთლ ადამიანთა, მართალია, მას აწვდის მთელ ფონდს მისი არსებობისათვის. მაგრამ, თუმცა ეს წყარო საბოლოო ანგარიშით მას ყველაფერს აძლევს, რაც საჭიროა მისი არსებობისათვის, იგი მაინც არ აძლევს და ვერც მისცემს უშუალოდ იმას, რაც მათხოვარს ესაჭიროება თითოეულ მომენტში. მისი მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს დაკმაყოფილება ეძლევა იმავე გზით, როგორც სხვა ადამიანთა მოთხოვნილებას, სახელდობრ ხელშეკრულობის, გაცვლა-გამოცვლის, ყიდვის გზით. იმ ფულით, რომელსაც მას აძლევენ, იგი ყიდულობს საჭმელს; ძველ ტანსაცმელს, რომელსაც აჩუქებენ, იგი სცვლის სხვა ძველ ტანსაცმელზე, რომელიც მისთვის უფრო გამოსადეგი არის ან ბინაზე, ან საჭმელზე, ან ფულზე, რითაც მას შეუძლია საჭიროებისამებრ იყიდოს საჭმელი, ტანსაცმელი ან იქირაოს ბინა.

როგორც ჩვენ ხელშეკრულობის, გაცვლისა და ყიდვის გზით მოვიპოვებთ ერთმანეთისაგან იმ კარგი სამსახურის უდიდეს ნაწილს, რომელიც გვესაჭიროება, ისევე თვით ეს გაცვლისადმი მისწრაფება იწვევს თავდაპირველად შრომის დანაწილებას. ამა თუ იმ მონადირე ან მეჯოგე ტომში ერთი ადამიანი უფრო დიდი სისწრაფით და ოსტატობით აკეთებს, მაგალითად, მშვილდებს და ისრებს, ვიდრე სხვა ვინმე. იგი ხშირად უცვლის თანამომძმეებს ამ საგნებს შინაურ ცხოველზე ან ნანადირევზე; ბოლოს და ბოლოს იგი ამჩნევს, რომ მას შეუძლია ამ გზით მეტი ცხოველი და ნადირი მიიღოს, ვიდრე რომ თვითონ წავიდეს სანადიროდ. ამიტომ, საკუთარი ინტერესის გათვალისწინების საფუძველზე, მშვილდების და ისრების კეთება იქცევა მის მთავარ მოსაქმეობად და თვითონ ხდება საჭურველთმკეთებელი. მეორე თავს იჩენს პაწია ქოხების ანუ მოძრავი სახლების შენებასა და დახურვაში. იგი ჩვეულებრივ შველის ამ საქმეში თავის მეზობლებს, რომლებიც მას ამისათვის ცხოველით და ნანადირევით ასაჩუქრებენ, ვიდრე, დაბოლოს, იგი თავისათვის

სასარგებლოდ არ სცნობს მთლად ამ მოსაქმეობას დაადგეს და ერთგვარ ხუროდ გადაიქცეს. ამავე წესით მესამე ხდება მჭედელი ან მექვაბე, მეოთხე – დაბალი ანუ დამზადებული ტყავისა და ბეწვეულის, რომელიც ველურების ტანსაცმლის მთავარ ნაწილს შეადგენს და ამგვარად, ეს დაიმედებულობა, რომ თავისი შრომის პროდუქტის მთელი ის გარდამეტი, რომელიც მის საკუთარ მოხმარებას აღემატება, შესაძლებელია გაცვლილ იქნეს სხვა ადამიანთა შრომის იმ ნაწილზე, რომელიც მას შეძლება სჭირდებოდეს, თითოეულ ადამიანს აძლევს იმპულსს დაადგეს განსაზღვრულ სპეციალურ მოსაქმეობას და სრულყოფამდე განავითაროს თავისი ბუნებრივი ნიჭი ანუ უნარი, რომელიც მას აქვს იმ განსაკუთრებული სახის საქმისათვის.

ბუნებრივი ნიჭის სხვადასხვაობა სხვადასხვა ადამიანებს შორის სინამდვილეში ბევრად ნაკლებია, ვიდრე ჩვენ გვგონია, და ნიჭის ის დიდი განსხვავებულობა, რომლითაც, როგორც სჩანს, პროფესიის ადამიანები განირჩევიან, როდესაც მოწიფულობაში შედიან, ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს არა იმდენად მიზეზს, რამდენადაც შედეგს შრომის დანაწილებისას. სხვადასხვაობას ძალიან არამსგავსი ხასიათის ადამიანებს შორის, მაგალითად, ფილოსოფოსსა და უბრალო ტვირთმზიდველს შორის, წარმოშობს, როგორც ეტყობა, არა იმდენად ბუნება, რამდენადაც დაჩვევა, ვარჯიში და აღზრდა. იმ მომენტში, როდესაც ადამიანები ჩნდებიან ქვეყნად, და მათი არსებობის პირველი ექვსი თუ რვა წლის განმავლობაში ისინი, შეძლება, ძალიან ჰგვანდნენ ერთანეთს და ვერც მათი მშობლები და ვერც მათი ტოლები ვერ ამჩნევდნენ რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას მათ შორის. აი, ამ ასაკში ან ცოტა უფრო გვიან მათ აყენებენ ძალიან სხვადასხვა მოსაქმეობაზე. და მაშინ ხდება მათი ნიჭის განსხვავება შესამჩნევი, რომელიც თანდათან უფრო და უფრო იზრდება, სანამ, დაბოლოს, ფილოსოფოსის მედიდურობა უარს არ იტყოდეს სცნას მათ შორის რაიმე მსგავსება. მაგრამ რომ ადგილი არ ჰქონებოდა მისწრაფებას გაცვილსადმი, ვაჭრობისადმი, გაცვლა-გამოცვლისადმი, – თითოეულ ადამიანს თვითონ მოუხდებოდა არსებობისა და კომფორტისთვის ყველა საჭირო საგნის მოპოვება. ყველას ერთი და იგივე მოვალეობანი ექნებოდა შესასრულებელი და ერთი და იგივე საქმე გასაკეთებელი, და მაშინ ვეღარ იქნებოდა მოსაქმეობის ასეთი სხვადასხვაობაც, რომელსაც მართოდენ შეეძლო წარმოეშვა ნიჭთა მნიშვნელოვანი განსხვავება.

როგორც ეს გაცვლისადმი მისწრაფება წარმოშობს ნიჭის ესოდენ დიდ განსხვავებას სხვადასხვა პროფესიის ადამიანებში, ისევე იგი სასარგებლოდ აქცევს ამ განსხვავებას. მრავალი ჯიშის ცხოველებს, რომელნიც ერთი და იმავე სახისადმი კუთვნილად არიან აღიარებულნი, ბუნებით ნიჭის ბევრად უფრო შესამჩნევი სხვადასხვაობა ახასიათებს, ვიდრე არის ის, რომელიც თავს იჩენს ადამიანებში, სანამ ისინი დაჩვევისა და აღზრდის ზეგავლენას განიცდიდნენ. ფილოსოფოსი ბუნებით სანახევროდაც ისე განსხვავებული არაა ნიჭით და მიდრეკილებით ტვირთმზიდველისაგან, როგორც ნაგაზი მწვევარისაგან ან მწვეარი მეძებარი ძაღლისაგან ან ეს უკანასკნელი მეცხვარის ძაღლისაგან. მაგრამ ეს სხვადასხვა ჯიშის ცხოველები, თუმცა ყველანი ერთსა და იმავე სახეს მიეკუთვნებიან, თითქმის უსარგებლონი არიან ერთი მეორისათვის. ნაგაზის ღონეს სრულიად არავითარი დამატება არ ეძლევა მწვევარის სისწრაფით, მეძებრის ყნოსვით ან მეცხვარის ძაღლის მორჩილებით. ამ სხვადასხვა ნიჭისა და უნარის შედეგები, რადგან არ არსებობს უნარი ანუ მისწრაფება ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლისადმი, არ შეიძლება თავმოყრილი იქნეს ერთ საერთო მასში, და ისინი სრულიადაც ხელს არ უწყობენ, მთელი სახის ცხოველთა უკეთ შეგუებულ და მოგვარებულ არსებობას. თითოეული

ცხოველი იძულებულია თავის თავზე იზრუნოს და თავი დაიცვას განცალკავებულად და სხვებისგან დამოუკიდებლად, და მას არავიტარი სარგებლობა არა აქვს იმ სხვადასხვაგვარი ნიჭისგან, რომელიც მის მსგავს ცხოველებს მიანიჭა ბუნებამ. ადამიანებში კი, პირიქით. სხვადასხვა ფრიად არამსგავსი ნიჭი სასარგებლოა ერთი მეორისათვის; მათ სათანადო ნიჭთა სხვადასხვა პროდუქტები, მათი საერთო მიდრეკილების გამო გაცვლისადმი, ვაჭრობისადმი, გაცვლა-გამოცვლისადმი, გროვდება, ასე ვთქვათ, ერთ საერთო მასაში, საიდანაც თითოეულ ადამიანს შეუძლია იყიდოს სხვა ადამიანთა ნიჭის პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მას ესაჭიროება.

თ ა ვ ი III

შრომის დანაწილება ზღვარდებულია ბაზრის მოცულობით

რადგან გაცვლის შესაძლებლობა იწვევს შრომის დანაწილებას, ამიტომ ამ დანაწილების ზომა ზღვარდებული უნდა იყოს ყოველთვის ამ შესაძლებლობის მოცულობით ანუ, სხვა სიტყვებით, ბაზრის მოცულობით. თუ ბაზარი ძალიან მცირეა, არავის არ ექნება სტიმული დაადგეს მთლად ერთ რომელიმე მოსაქმეობას, რადგან არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მან თავისი შრომის პროდუქტის მთელი გარდამეტი, რომელიც მის საკუთარ მოხმარებას აღემატება, გასცვალოს სხვების შრომის ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც მას ესაჭიროება.

არსებობს პროფესიები, უდაბლესი ხარისხისაც კი, რომელთა შესრულება შესაძლებელია მხოლოდ დიდ ქალაქში. ტვირთმზიდველს, მაგალითად, არც ერთ სხვა ადგილას არ შეუძლია იშოვოს საქმე და სარჩო; სოფელი მეტად ვიწრო სფეროა მისთვის, და საშუალო ზომის ქალაქიც კი საეჭვოა იყოს საკმაოდ დიდი იმისათვის, რომ უზრუნველყოს მას მუდმივი სამუშაო. განმარტოებულ სახლებში და პაწია სოფლებში, რომლებიც გაფანტული არის ისეთ უდაბურ ქვეყანაში, როგორც ზემო შოტლანდიაა, თითოეული ფერმერი უნდა იყოს ყასაბიც, მეპურეც და ლუდის მხდელიც თავის იჯახისათვის. ასეთ პირობებში ძნელად მოსალოდნელია შევხვდეთ თუგინდ მჭედელს, ხუროს ან კალატოხს 20 მილზე ნაკლებ დაშორებით მისი თანამოხელისაგან. შორიშორ გაბნეული ოჯახები, რომლებიც ერთმანეთისაგან 8 ან 10 მილის მანძილზე ცხოვრობენ, იძულებული არიან ისწავლონ – თვითონ შეასრულონ მრავალი წვრილმანი სამუშაო, რომლის შესასრულებლად ისინი უფრო დასახლებულ ადგილებში ამ ხელოსნების დახმარებას მიმართავდნენ. სოფელი ხელოსნები თითქმის ყოველგან იძულებული არიან ხელი მოჰკიდონ ფრიად სხვადასხვა პროფესიას, რომლებსაც ერთი მეორესთან მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ მათში ერთნაირი მასალა იხმარება. სოფელი ხურო ასრულებს ყოველ გვარ ხის სამუშაოს, სოფელი მჭედელი ამზადებს რკინისაგან ყოველგვარ ნაწარმოებს. პირველი არის არა მარტო ხურო, არამედ დურგალიც, ავეჯის მკეთებელიც და ხის მჭრელიც კი, აგრეთვე აკეთებს თვლებს, გუთნებს, ურმებს და ეტლებს. მჭედლის მოსაქმეობა კიდევ უფრო მრავალფეროვანია. ზემო-შოტლანდიის შორეულ და შეგნითა მიდამოებში შეუძლებელი არის მეღურსმის არსებობა დამოუკიდებლად. ასეთი მუშა, დღეში 1000 ლურსმნისა და წელიწადში 300 სამუშაო დღის კვალობაზე,

წელიწადში დაამზადებს 300000 ლურსმანს. მაგრამ ასეთ ადგილას ათასი ლურსმანიც კი, ე.ი. ერთი დღის ნაშრომიც კი, ვერ გასაღებოდა წელიწადში.

რადგან წყალზე ტრანსპორტის მეოხებით ყოველგვარ მრეწველობას უფრო ფართო ბაზარი ეხსნება, ვიდრე მარტო სახმელეთო ტრანსპორტს შეუძლია გაუჩინოს მას, ამიტომ ყველა სახის მრეწველობის დანაწილება და გაუმჯობესება იწყება, რასაკვირველია, ზღვის სანაპირო ადგილებში და სანაოსნო მდინარეების ნაპირებზე, და ხშირად გაუმჯობესება მარტოდენ დიდი ხნის შემდეგ ვრცელდება ქვეყნის შინაგან ადგილებში. ერთი დიდი ფურგონია, რომელშიაც 8 ცხენია შებმული, 2 კაცის თანხლებით, მიიტანს ასე ექვსი კვირის განმავლობაში ლონდონიდან ედინბურგში და უკან დაახლოებით ოთხ ტონა საქონელს. დაახლოებით იმავე დროის განმავლობაში იალქნიანი გემი, ლონდონის და ლეიტის ნავსადგურებს შორის მიდის, 6 თუ 8 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟით, ეზიდება ხშირად 200 ტონა ტვირთს იქით და აქეთ. ამგვარად, 6 თუ 8 კაცს წყალზე ტრანსპორტის საშუალებით შეუძლია საქონლის იმდენი რაოდენობა გადაზიდოს ლონდონსა და ლეიტს შორის იქით-აქეთ, რამდენიც 50 დიდ ფურგონს 400 ცხენით და 100 კაცის თანხლებით. მაშასადამე, 200 ტონა საქონელზე, რომელიც ლონდონიდან ედინბურგში გადაიზიდება უიაფესი სახმელეთო ტრანსპორტის საშუალებით, საანგარიშებელია 100 ადამიანის შენახვა სამი კვირის განმავლობაში, აგრეთვე შენახვა 400 ცხენის და, რაც შენახვის ხარჯებს უდრის, მათი გაცვეთა ისე როგორც გაცვეთა 50 ფურგონისა, წყალზე წარმოებული ტრანსპორტის საშუალებით გადაზიდოს საქონლის იმავე რაოდენობაზე კი საანგარიშებელია მხოლოდ 6 თუ 8 ადამიანის შენახვა და 200-ტონიანი გემის გაცვეთის ღირებულება პლიუს სათანადო თანხა უფრო დიდი რისკის ანუ განსხვავებისა საზღვაო და სახმელეთო დაზღვევას შორის. ამიტომ, ამ ორ პუნქტს შორის რომ სხვაგვარი ტრანსპორტი არ არსებულებოდა, გარდა სახმელეთოსი, ისინი – რადგან ერთიდან მეორეში მარტოდენ ისეთ საქონელთა გადაზიდვა იქნებოდა შესაძლებელი, რომელთა ფასი ძალიან მაღალია მათ წინასთან შედარებით – იმ ადგილ-მიცემობის მხოლოდ მეორე ნაწილის წარმოებას მოახერხებდნენ, რომელსაც ახლა ადგილი აქვს მათ შორის, და, მაშასადამე, ერთმანეთის მრეწველობისათვის გაცილებით ნაკლები გამხნევების მიცემას შესძლებდნენ, ვიდრე ამას ასრულებენ ამჟამად. ასეთ პირობებში მცირე იქნებოდა ან სრულიად არ იქნებოდა ვაჭრობა დედამიწის სხვადასხვა ნაწილებს შორის. აბა რომელი საქონელი აიტანდა ლონდონსა და კალკუტას შორის ხმელეთით ტრანსპორტის ხარჯებს? და რომ კიდევ აღმოჩენილიყო რამდენიმე ისე ძვირფასი საქონელი, რომ შესძლებდა ამ ხარჯების ატანას, – განა მისი გადაზიდვა ესოდენ მრავალ ბარბაროს ხალხთა ტერიტორიაზე შეიძლებოდა ყოფილიყო უშიშარი? დღეს კი ეს ორი ქალაქი ეწევა ფრიად მნიშვნელოვან ვაჭრობას ერთმანეთს შორის, და რადგან ისინი ბაზარს შეადგენენ ერთი მეორისათვის, მნიშვნელოვან გამხნევებას აძლევენ ურთიერთის მრეწველობას.

რადგან ესოდენ დიდი არის წყალზე წარმოებული ტრანსპორტის უპირატესობა, – ბუნებრივია, რომ პირველი პროგრესი ხელობასა და მრეწველობაში უნდა განხორციელებულიყო იქ, სადაც ასეთი ხელსაყრელი ტრანსპორტი მთელი ქვეყნიერების კარებს აღებდა ყოველი სახის შრომის პროდუქტივობისათვის, და რომ ეს პროგრესი ბევრად უფრო გვიან უნდა განხორციელებულიყო ქვეყნის შინაგან ნაწილებში. უკანასკნელთ დიდი ხნის განმავლობაში არ შეუძლიათ ჰქონდეთ ტავიანთ საქონელთა უდიდესი ნაწილისათვის სხვა ბაზარი, გარდა მათი მომიჯნავე ადგილებისა, რომელნიც მათ ანცალკეებენ ზღვის ნაპირისგან და დიდი სანაოსნო მდინარეებისგან. ამის გამო მათი ბაზრის მოცულობა ხანგრძლივი დროის

განმავლობაში უნდა შეფარდებული იყოს იმ ადგილების სიმდიდრესა და დასახლებულობასთან, და ამიტომ მათი პროგრესი ყოველთვის უკან ჩამორჩება აღნიშნული ადგილების პროგრესს. ჩვენ ჩრილო-ამერიკის კოლონიებში პლანტაციები ყოველთვის გაშენებული იყო ზღვის პირას ან სანაოსნო მდინარების გასწვრივ და ძნელად რომ სადმე ეს პლანტაციები გაშლილი ყოფილიყოს მნიშვნელოვნად მათგან დაშორებით.

ხალხები, რომელნიც, ყოვლად სარწმუნო ისტორიული წყაროების თანახმად, ცივილიზაციის პირველი მატარებელი იყვნენ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირების გასწვრივ ბინადრობდნენ. ეს ზღვა, უდიდესი შინაგანი ზღვა ყველა იმათგან, რომლებიც ცნობილია დედამიწაზე, ზღვა, რომელმაც არ იცის არც მიქცევა და მოქცევა და არც, ამიტომ, სხვა დეღვა გარდა ქართთ გამოწვეულისა, მისი ზედაპირის სიმშვიდის გამო და აგრეთვე მისი კუნძულების სიმრავლისა და ნაპირების სახლოის გამო, მეტისმეტად ხელს უწყობდა ახლად ფეხადგმულ ნაოსნობას იმ შორეულ დროში, როდესაც ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ არ იცნობდნენ კომპასს, შიშობდნენ მხედველობიდან დაეკარგათ ნაპირები და, გემთმშენებლობის ხელოვნების სუსტი განვითარების გამო, ვერ ბედავდნენ თავი მიეცათ აბოზოქრებული ოკეანის ტალღებისათვის. ჰერკულესის სვეტებს იქით, ე.ი. გიბრალტარის სრუტეს იქით, ოკეანეში ნავით გასვლა ანტიკურ ქვეყანაში დიდხანს ფრიად საკვირველ და უაღრესად სახიფათო გამირობად ითვლებოდა. ბევრმა დრომ განვლო, ვიდრე ფინიკიელები და კართაგენელები, იმ შორეული დროის ეს უაღრესად დახელოვნებული მეზღვაურები და გემთმშენებლები, შეეცადნენ იქ გასვლას და დიდხანს მარტო ეს ხალხები ბედავდნენ ამას.

ხმელთაშუაზღვის ნაპირების გასწვრივ მდებარე ყველა ქვეყნიდან, როგორც სჩანს, ეგვიპტე უნდა ყოფილიყო პირველი ქვეყანა, სადაც მიწათმოქმედება და მანუფაქტურა რაოდენადმე მნიშვნელოვანი ზომით აღორძინდა და განვითარდა. ზემო-ეგვიპტე არც ერთ ადგილსა არაა რამდენსამე მილზე მეტად ნილოსს დაშორებული, ხოლო ქვემო-ეგვიპტეში ეს დიდი მდინერა იშლება მრავალ ტოტებად, რომელნიც არართულ ხელოვნურ ნაგებობათა დახმარებით, როგორც ეტყობა, უზრუნველყოფდნენ წყლით მიმოსვლა არა მხოლოდ ყველა დიდ ქალაქებს შორის, არამედ აგრეთვე ყველა მნიშვნელოვან სოფლებს შორის და და მრავალ ცალკეულ ფერმებს შორისაც კი, – დაახლოებით ისე, როგორც ამას ამჟამად ადგილი აქვს რეინზე და მასაზე ჰოლანდიაში. ამ შინაგანი ნაოსნობის სივრცელე და სიმარტივე იყო ალბათ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეგვიპტის ადრეული ცივილიზაციისა.

მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარებას, როგორც ეტყობა, ადგილი ჰქონდა აგრეთვე ფრიად შორეულ დროში ბენგალიის პროვინციებში – ოსტინდოეთში – და ჩინეთის ზოგ აღმოსავლეთ პროვინციებში, თუმცა იმ დროის შორეულობა არ შეიძლება დადასტურებულ იქნეს რაიმე ისტორიული წყაროებით, რომლებიც ჩვენ მიერ მისაჩნევი იყოს სარწმუნოდ დედამიწის ამ ნაწილებისათვის. ბენგალიაში განგი და მთელი რიგი სხვა მდინარეები იშლებიან მრავალ ტოტებად, სწორედ ისე, როგორც ნილოსი ეგვიპტეში. ჩინეთის აღმოსავლეთ პროვინციებში რამდენიმე დიდი მდინარე და მათი სხვადასხვა შესართავები ჰქმნიან მრავალ არხს და, მათი ურთიერთშორის შეერთებით, შესაძლებელს ხდიან ბევრად უფრო ფართო შინაგან ნაოსნობას, ვიდრე ნილოსი ან განგი, ან, იქნებ, ეს ორივე მდინარეც, ერთად აღებული. შესანიშნავია, რომ არც ძველი ეგვიპტელები, არც ინდოელები, არც ჩინელები ხელს არ უწყობდნენ საგარეო ვაჭრობას და, როგორც ეტყობა, თავიანთ დიდ სიმდიდრეს ამ შინაგანი ნაოსნობიდან იღებდნენ.

აფრიკის მთელი შინაგანი ნაწილი და აზიის მთელი ის ნაწილი, რომელიც შავი ზღვიდან და კასპიის ზღვიდან შორს ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს, ძველი სკითეთი, დღევანდელი სათათრეთი და ციმბირი, ეტყობა, ყოველთვის ისეთსავე ბარბაროსულ და უკულტურო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, როგორშიაც ჩვენ დღეს ვპოულობთ მათ. სათათრეთის ზღვაა ყინულოვანი ოკეანე, რომელიც შეუძლებელს ხდის ნაოსნობას, თუმცა დედამიწის რამდენიმე უდიდესი მდინარე გადის ამ ქვეყანაში, მაგრამ ისინი მეტისმეტად დაშორებული არიან ერთმანეთისგან, რათა მათი საშუალებით შეიძლებოდეს მიმოსვლისა და ვაჭრობის წარმოება იმ ქვეყნის უდიდეს ნაწილში. აფრიკაში სრულებით არ არსებობს ისეთი შინაგანი ზღვები, როგორცაა ბალტიის და ადრიატიკის ზღვები ევროპაში, ხმელთაშუა და შავი ზღვა ევროპასა და აზიაში და ყურეები აზიაში: არაბეთის, სპარსეთის, ინდოეთის, ბენგალიისა და სიამის, და ამიტომ ამ დიდი კონტინენტის შინაგანი ნაწილები მიუწვდომელია საზღვაო ვაჭრობისათვის, ხოლო აფრიკის დიდი მდინარეები ძალიან შორიშორს არიან ერთმანეთისაგან, რათა შესაძლებელს ხდიდნენ რაოდენადმე მნიშვნელოვან შინაგან ნაოსნობას. გარდა ამისა, ვაჭრობა, რაც ერთ ხალხს შეუძლია აწარმოოს მდინარის საშუალებით, რომელსაც ძალიან ბევრი შესართავი და ტოტი არა აქვს და რომელიც, ვიდრე ზღვას შეუერთდებოდეს, უცხო ტერიტორიაზე მიედინება, არასოდეს არ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, იმიტომ რომ ყოველთვის ამ ტერიტორიების მფლობელი ხალხების ხელთ არის დააბრკოლონ მიმოსვლა მდინარის ზემო ნაწილსა და ზღვას შორის. დუნაიზე ნაოსნობა ძალიან მცირე სარგებლობას აძლევს ბავარიას, ავსტრიასა და უნგრეთს იმასთან შედარებით, რაც იქნებოდა ეს სარგებლობა, ერთ-ერთ ამ სახელმწიფოს მფლობელობაში რომ იყოს მდინერა მთელ მანძილზე მის შავ ზღვასთან შერთვამდე.

თ ა ვ ი IV

ფულის წარმოშობა და ხმარება

როგორც კი საყოველთაოდ მყარდება შრომის დანაწილება, ადამიანის მოთხოვნილებათა მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მისი საკუთარი შრომის პროდუქტით. მოთხოვნილებათა გაცილებით უდიდეს ნაწილს იგი იკმაყოფილებს იმ გზით, რომ თავისი შრომის პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მის საკუთარ მოხმარებას აღემატება, სცვლის სხვების შრომის პროდუქტების ასეთსავე ნაწილზე, რომლებიც მას ესაჭიროება. ამგვარად, თითოეული ადამიანი ცხოვრობს გაცვლა-გამოცვლით ანუ ხდება რაოდენადმე ვაჭარი, ხოლო თვით საზოგადოება იქცევა, ასე ვთქვათ, მოვაჭრე საზოგადოებად.

მაგრამ როდესაც შრომის დანაწილებამ იწყო პირველად ფესვების გადგმა, ამ გაცვლა-გამოცვლას ხშირად უნდა განეცადა თავის ოპერაციებში დაბრკოლება და შეფერხება. წარმოვიდგინოთ, რომ ერთ ადამიანს ჰქონდა განსაზღვრული პროდუქტის მეტი რაოდენობა, ვიდრე თვით მას ესაჭიროებოდა, მაშინ როდესაც მეორე ამ პროდუქტის ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ პირველი სიამოვნებით გასცემდა ამ გარდამეტს და მეორე სიამოვნებით შეიძენდა მას, მაგრამ თუ ამ შემთხვევაში უკანასკნელს სწორედ ის არ ჰქონდა ხელთ, რაც პირველს ესაჭიროებოდა, მათ შორის გაცვლა-გამოცვლა ვერ შესრულდებოდა. ყასაბს მეტი

ხორცი აქვს თავის დუქანში, ვიდრე თვითონ მას შეუძლია მოიხმაროს და ლუდის მხდელი და მეპურე ხალისით შეძენდნენ მის ნაწილს; მაგრამ მათ არა აქვთ რა გაცვლისათვის შესათავაზებლად, გარდა მათი მრეწველობის სხვადასხვა პროდუქტებისა, ყსაბს კი უკვე მომარაგებული აქვს პურისა და ლუდის ის რაოდენობა, რომელიც მას ახლობელი დროისათვის ესაჭიროება. ამ სემთხვევასი მათ შორის გაცვლა-გამოცვლა ვერ შესრულდება. ყსაბი არ შეძლება იყოს მათთვის ვაჭარი, ისინი არ შეძლება იყვნენ მისთვის მუშები, და ამგვარად ყველა ისინი ვერ გაუწევენ ერთი მეორეს სამსახურს. ასეთი უხერხული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით თითოეული გონიერი ადამიანი საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე, მას შემდეგ რაც გაჩნდა შრომის დანაწილება, უნდა ცდილიყო თავისი საქმეები ისე მოეწყო, რომ, თავისი საკუთარი შრომის განსაკუთრებულ პროდუქტებს გარდა, ყოველთვის მზად ჰქონებოდა განსაზღვრული რაოდენობა ამა თუ იმ საქონლისა, რომლის მიმართ, მისი აზრით, არავინ უარს არ იტყოდა აელო თავისი მრეწველობის პროდუქტის სანაცვლოდ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრი სხვადასხვა საქონელი ყოფილა ამ მიზნისათვის თანამიმდევრობით არჩეული და გამოყენებული. საზოგადოების ბარბაროსული მდგომარეობის ეპოქებში ხვასტაგი უნდა ყოფილიყო ვაჭრობის საყოველთაო საშუალება; და თუმცა იგი ძალიან უხერხული იყო ამ მიზნისათვის, მაინც ძველ დროში საგნებს ხშირად აფასებდნენ ხვასტაგის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელსაც გაცვლისას იძლეოდნენ მათში. დიომედის საჭურველი, ამბობს, რომ ჰომეროსი, მხოლოდ 9 ხარად ღირებული იყო, ხოლო გლავკუსისა – 100 ხარად ღირებული. როგორც ამბობენ, აბესინიაში ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის ჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს მარილი, ინდოეთის ნაპირების ზოგიერთ ნაწილებში – განსაკუთრებული სახის ლოკოკინები, ნიუფაუნდლენდში – გამხმარი ვირთევზა, ვირგინიაში – თამბაქო, ზოგიერთ ჩვენს დასავლეთ-ინდოეთის კოლონიებში – შაქარი, ზოგ სხვა ქვეყანაში – ნედლი ან დამუშავებული ტყავი, და, როგორც მე მიაჩნება, დღესაც არსებობს შოტლანდიაში სოფელი, სადაც არაჩვეულებრივი მოვლენა არაა ეს, რომ მუშას ფულის ნაცვლად ლურსმნები მიაქვს მეპურის დუქანში ან ლუდხანაში.

მაგრამ, როგორც სჩანს, ყველა ქვეყანაში ადამიანები ბოლოს და ბოლოს უცილობელი საბუთების გამო იმ გადაწყვეტილებას დაადგენენ, რომ ამ მიზნისათვის ლითონებს მიაკუთვნეს უპირატესობა ყველა საქონელთან შედარებით. ლითონები არა თუ შეიძლება შენახული იქნეს ნაკლები დანაკარგით, ვიდრე რომელიმე სხვა საქონელი, ვინაიდან ძნელად რომ რომელსამე სხვა საგანს ჰქონდეს მათზე მეტი გამძლეობა, არამედ შეიძლება აგრეთვე უდანაკარგოდ მათი დაყოფა სურვილისამებრ მრავალ ნაწილად, ვინაიდან ადვილად შეიძლება მათი კვლავ შეერთება გადადნობის გზით; ეს ისეთი თვისებაა, რომელიც არც ერთ სხვა იმდენად გამძლე საქონელს არ მოეპოვება, და სწორედ ეს თვისება – უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა თვისება – ხდის ლითონებს გამოსადეგად, რომ იქნენ ვაჭრობისა და მიმოქცევის იარაღად. ადამიანი, რომელსაც, მაგალითად, მარილის ყიდვა სჭირდებოდა და ამის სანაცვლოდ მისაცემად მხოლოდ ხვასტაგი მოეპოვებოდა, იძულებული იყო ერთბაშად მთელი ხარის ან მთელი ცხვრის ღირებულების მარილი ეყიდნა. იშვიათად მოახერხებდა იგი ნაკლების ყიდვას, იმიტომ რომ ის, რისი მიცემაც მას შეეძლო ამაში, იშვიათად შეიძლებოდა უდანაკარგოდ დანაწილებულიყო; და თუ მას მეტის ყიდვა უნდოდა, იმავე მიზეზის გამო იძულებული იყო ეყიდნა ორმაგი ან სამმაგი რაოდენობა, ე.ი. ორი ან სამი ხარის ანდა ორი ან სამი ცხვრის ღირებულება.

პირიქით, თუ მას ცხვრის ან ხარის ნაცვლად ლითონი ჰქონდა მასში სამაგიერო მისაცემად, იმ შემთხვევაში მას ადვილად შეეძლო ლითონის რაოდენობის ზედმიწევნით შეფარდება იმ საქონლის რაოდენობასთან, რომელიც განსაზღვრულ მომენტში ესაჭიროებოდა.

სხვადასხვა ხალხები სხვადასხვა ლითონს ხმარობდნენ აღნიშნული მიზნისათვის. რკინა ვაჭრობის ჩვეულებრივი საშუალება იყო ძველ სპარტანელებში, სპილენძი – ძველ რომაელებში და ოქრო-ვერცხლი – ყველა მდიდარ და მოვაჭრე ხალხში.

ეს ლითონები, როგორც ეტყობა, თავდაპირველად ამ მიზნისათვის ზოდის სახით იხმარებოდა, ბეჭედდაუკვრელი ან მონეტად მოუჭრელი. ასე, პლინიუსი მოგვითხრობს, იმოწმებს რა ტიმეუსს, ძველ ისტორიკოსს, რომ რომაელებს სერვიუს ტულიუსის ხანამდე არ ჰქონებიათ მონეტად მოჭრილი ფული და რომ ისინი სპილენძის ზოდებს ხმარობდნენ თავიანთთვის საჭირო საგნების საყიდლად. ამგვარა, ეს უხეში ზოდები მაშინ ფულის ფუნქციას ასრულებდა.

ლითონების ასეთი ზოდების სახით ხმარებას თან ახლდა ორი ფრიად მნიშვნელოვანი უხერხულობა: ჯერ ერთი, მათი აწონის სიძნელე და, მეორე, მათი სინჯის განსაზღვრის სიძნელე. ძვირფასი ლითონების მიმართ სადაც მცირე განსხვავება რაოდენობაში დიდ განსხვავებას შეადგენს ღირებულებაში, თვით ზუსტად აწონის საქმე მოითხოვს ყოველ შემთხვევაში ძალიან კარგა სასწორს და საწონს. განსაკუთრებით ოქროს აწონა წარმოადგენს ძალიან სათუთ საქმეს. რასაკვირველია, უფრო ტლანქი ლითონების მიმართ, სადაც მცირე შეცდომას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ნაკლები ზედმიწევნილობაა საჭირო. მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან უხერხულად ჩავთვლიდით, თუ ღარიბი ადამიანი, რამდენჯერაც მას კაპეიკაფ ღირებული პროდუქტის ყიდვა ან გაყიდვა მოუხდებოდა, იძულებული იქნებოდა კაპეიკი აეწონა. სინჯის დადების ოპერაცია კიდევ უფრო ძნელი და საწვალეებელია, და თუ ლითონის ნაწილი არ იქნა ქოთანში სათანადოდ გამდნარი და სათანადო მშლელი საშუალებებით დამუშავებული, სინჯის ყოველი განსაზღვრა იქნება ფრიად არასაიმედო. და მოჭრილი ფულის შემოღებამდე ადამიანებს ყოველთვის უნდა განეცადათ ყოვლად უგვანო მოტყუება და გაბრიყვება, უკეთუ არ შეასრულებდნენ ამ ძნელ და საწვალეებელ ოპერაციას. გირვანქა წმინდა ვერცხლის ან წმინდა სპილენძის ნაცვლად შეიძლება მათ მიეღოთ თავიანთი საქონლის სამაგიეროდ ყოვლად უხეში და იაფი მასალების შენადნობი, რომლებიც გარეგნობით ჰგვანდნენ ამ ლითონებს. ასეთ ბოროტებათა თავიდან ასაცილებლად, გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლად და, ამრიგად, ყველა სახის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელის შესაწყობად, ყველა მეტნაკლე განვითარებულ ქვეყანაში საჭიროდ იქნა ცნობილი საჯარო ბეჭედი დაესვათ განსაზღვრული რაოდენობისთვის იმ ლითონთან, რომელნიც იქ საქონელთა საყიდლად იხმარებოდა ჩვეულებრივ. ასე წარმოსდგა მოჭრილი ფული და ის საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომლებსაც ზარაფხანები ეწოდება. ეს დაწესებულებები სავსებით ისეთივე ხასიათისაა, როგორც ის დაწესებულებები, რომლებიც შეიქმნა შალის ან ტილოს ქსოვილების სწორი ზომის სამეთვალყურეოდ და მათზე დამლის დასადებად. ყველა ამ დაწესებულებათ ერთი და იგივე დანიშნულება აქვთ, – საჯარო დამლის დადებით დაადასტურონ იმ საქონელთა რაოდენობა და დაწესებული ღირსება, როდესაც ისინი ბაზარზე შემოიტანებიან.

პირველ ამგვარ საჯარო დამლას, რომელსაც მიმოქცევაში მყოფ ლითონებს ადებდნენ, როგორც ეტყობა, ბევრ შემთხვევაში მიზნად ჰქონდა დაედასტურებია ის, რის დადასტურებას ყველაზე უფრო ძნელი და მნიშვნელოვანი იყო: სახელდობრ

ლითონის ვარგისობა ანუ სიწმინდე; ის დამლა ჰგვანდა სინჯს, რომელსაც ამჟამად ადებენ ვერცხლის ჭურჭელს და ზოდებს, ანდა ჰგვანდა ესპანურ სინჯს, რომელსაც ხანდახან ადებენ ოქროს ზოდებს და რომელიც, რადგან იგი დადებულია ზოდის ერთ მხარეზე არ ჰვარავს მთელ მის ფართობს, ადასტურებს ლითონის სიწმინდეს, მაგრამ არა მის წონას. აბრამმა მიუწონა ეფრონს 400 სიკლი ვერცხლი, რომლის გადახდას მახპელის მინდვრისათვის იყო იგი მასთან შეპირებული. ამასთან იქ ნათქვამია, რომ სიკლი ვაჭრობაში მსვლელობის მქონე მონეტას წარმოადგენდა, და მაინც მას იღებდნენ არა თვლით, არამედ წონით, სწორედ ისე, როგორც ამჟამად ოქროს და ვერცხლის ზოდებს. როგორც, გადმოგვცემენ, ძველ საქსონელ მეფეებს ინგლისში შემოსავალი ფულად კი არ შესდიოდათ, არამედ ნატურით, ე.ი. ყოველგვარი საარსებო საშუალებებით და სურსათით. ვილჰელმ დამპყრობელმა შემოიღო შემოსავლის ფულით გადახდის ჩვეულება. მაგრამ ამ ფულს დიდხანს ხაზინაში წონით იღებდნენ და არა თვლით.

იმ უხერხულობამ და სიძნელემ, რომელიც ამ ლითონების აწონასთან იყო დაკავშირებული, გამოიწვია მონეტის მოჭრის დაწყება; აქ დამლას, რომელიც მთლად ჰვარავს მონეტის ორსავე მხარეს და ხან მის კიდებებსაც, უნდა დაედასტურებია არა თუ ლითონის სიწმინდე, არამედ წონაც. ამიტომ ასეთი მონეტებს იღებენ თვლით, აწონისთვის ჯაფის გაუწევლად, როგორც ეს ხდება ჩვენს დროში.

ამ მონეტების სახელწოდება თავდაპირველად, როგორც ეტყობა, გამოსახავდა მათში მოქცეული ლითონის წონას ანუ რაოდენობას. სერვიუს ტულიუსის დროს, რომელმაც პირველმა იწყო ფულის მოჭრა რომში, რომაული ასსი ანუ პონდო შეცავდა ერთ რომაულ გირვანქა კარგ სპილენძს. ჩვენი დროის გირვანქის მსგავსად, იგი ნაწილდებოდა 12 უნცად, რომელთაგან თითოეული შეიცავდა ერთ ნამდვილ უნც კარგ სპილენძს. იგლისური გირვანქა სტერლინგი ედუარდ I-ის დროს შეიცავდა, ტაუერის წონით, ერთ გირვანქა ვერცხლს, განსაზღვრული სიწმინდის მქონეს. ტაუერის გირვანქა, ეტყობა, ცოტათი მეტი იყო რომაულ გირვანქაზე და ცოტათი ნაკლები – ტროის გირვანქაზე. ეს უკანასკნელი პირველად ჰენრი VIII-ის მე-18 წელს იქნა შემოღებული ინგლისის ზარაფხანაში. ფრანგული ლივრი კარლოს დიდის დროს შეცავდა, ტროის წონით, ერთ გირვანქა ვერცხლს, დაწყებული სიწმინდის მქონეს. ტროის ბაზრობაზე – შამპანში – იმ დროს ევროპის ყველა ხალხი დადიოდა, და ამიტომ ესოდენ განთქმული ბაზრის წონა და ზომა საყოველთაოდ ცნობილი და პატივდებული იყო. შოტლანდიის გირვანქიანი მონეტა შეიცავდა ალექსანდრე პირველის დროიდან დაწყებული რობერტ ბრიუსამდე ერთ გირვანქა ვერცხლს, იმავე წონისა და სიწმინდის შემცველს, როგორც ინგლისური გირვანქა სტერლინგი. ინგლისური, ფრანგული და შოტლანდიური პენიც შეიცავდა თავდაპირველად ნამდვილ პენი-წონა ვერცხლს, ე.ი. ერთი უნცის მეოცედ ნაწილს ანუ გირვანქის 1/240 ნაწილს. შილინგიც, როგორც ეტყობა, თავდაპირველად წონის სახელწოდება უნდა ყოფილიყოს. „როდესაც ხორბალი 12 შილინგად ღირს კვარტერი, – ამბობს ჰენრი III-ის ერთი ძველი სტატუტი, – ერთი ფარტინგის ღირებულების გამომცხვარი პური უნდა იწონიდეს 11 შილინგს და 4 პენს“. მაგრამ, ეტყობა, შეფარდება, ერთის მხრივ, შილინგსა და პენსსა და, მეორე მხრივ, გირვანქას შორის ისე მუდმივი და ერთნაირი არ ყოფილა, როგორც შეფარდება პენსსა და გირვანქას შორის. საფრანგეთის მეფეთა პირველი დინასტიის ხანაში ფრანგული სუ ანუ შილინგი უნდა ყოფილიყოს სხვადასხვა შემთხვევაში ხან ხუთი, ხან თორმეტი, ხან ოცი და ხან ორმოცი პენის შემცველი. ძველ საქსონელებში შილინგი ერთხანს მხოლოდ ხუთ პენს შეიცავდა, და დასაჯერებლად მისაჩნევია, რომ იგი მათში ისევე ცვალებადი იყო, როგორც მათ

მეზობელ ძველ ფრანკებში, კარლოს დიდის დროიდან დაწყებული ფრანგებში და ვილჰელმ დამპყრობელის დროიდან დაწყებული ინგლისელებში, როგორც ეტყობა, შეფარდება გირვანქასა, შილინგსა და პენს შორის დღემდე ერთი და იგივეა დარჩენილი, თუმცა მათი ღირებულება ძალიან სხვადასხვა იყო. ვინაიდან: ქვეყნიერების ყველა მხარეში ქვეშევრდომთა ნდობის ბოროტად გამოყენებულ სახელწიფოთა და მთავრობათა სიმუნწემ და უსამართლობამ თანდათან შეამცირა ნამდვილი ლითონური შინაარსი, რომელსაც თავდაპირველად შეიცავდა მონეტები. რომაული ასსი რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში შემცირებულ იქნა მისი თავდაპირველი ღირებულების 1/24 ნაწილამდე და იწონიდა გირვანქის ნაცვლად მხოლოდ ნახევარ უნცს. ინგლისური გირვანქა და პენი შეიცავს ამჟამად დაახლოებით თავისი თავდაპირველი ღირებულების ერთ მესამედს, შოტლანდიური გირვანქა და პენი – დაახლოებით 1/36-ს, ხოლო ფრანგული გირვანქა და პენი – 1/66 ნაწილს. ასეთი ოპერაციების გზით ხელმწიფეები და მთავრობები, რომელნიც ამას სჩადიოდნენ, შესაძლებლობა სპოულობდნენ გარეგნულად გადაეხადათ თავიანთი ვალეები და შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულება ვერცხლის უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე სხვებზე იქნებოდა საჭირო. რასაკვირველია, ეს იყო მხოლოდ გარეგნულად, ვინაიდან მათი კრედიტორები ფაქტიურად მოტყუებულნი რჩებოდნენ და ჰკარგავდნენ ნაწილს იმისას, რაც მათ ერგებოდათ. ყველა სხვა მოვალეები სახელწიფოში იმავე პრივილეგიას ღებულობდნენ და მათ შეეძლოთ ძველი მონეტით აღებული ვალი გადაეხადათ ახალი, ღირებულებადაკარგული მონეტის იმავე ნომინალური თანხით. ამიტომ ასეთი ოპერაციები ყოველთვის ხელსაყრელი იყო მოვალესთვის და გამანადგურებელი – კრედიტორისთვის, და ხშირად იწვევდა უფრო დიდ და საყოველთაო რევოლუციას კერძო პირთა ქონებრივ მდგომარეობაში, ვიდრე შეეძლო გამოეწვია ჭეშმარიტად უდიდეს საზოგადოებრივ უბედურებას.

ამრიგად, ყველა ცივილიზებულ ხალხში ფული იქცა ვაჭრობის საყოველთაო იარაღად, რომლის საშუალებითაც ყიდულობენ და ჰყიდიან ყოველგვარ საქონელს ანუ სცვლიან ერთს მეორეზე.

ახლა მე შევუდგები იმ წესების გამოკვლევას, რომელთა თანახმად ადამიანები სცვლიან საქონელთ ერთმანეთზე ან ფულზე. ეს წესები განსაზღვრავს იმას, რასაც საქონლის შეფარდებითი ანუ საცვლელი ღირებულება შეიძლება ეწოდოს.

სიტყვა ღირებულება – და ეს უანდა აღინიშნოს – აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა: ზოგჯერ იგი გამოსახავს რაიმე საგნის სარგებლიანობას, ზოგჯერაც – სხვა საგანთა მოპოვების იმ შესაძლებლობას, რომელსაც იძლევა ამ საგნის ფლობა. პირველს შეიძლება ვუწოდოთ სახმარი ღირებულება, მეორეს – საცვლელი ღირებულება. საგნებს, რომლებსაც ფრიად დიდი სახმარი ღირებულება აქვს, ხშირად აქვს მცირე ან სრულად არა აქვს საცვლელი ღირებულება; პირიქით, საგნებს, რომლებსაც ფრიად დიდი საცვლელი ღირებულება აქვს, ხშირად აქვს მცირე ან სრულიად არა აქვს სახმარი ღირებულება. არაფერია წყალზე უფრო გამოსადეგი, მაგრამ თითქმის არაფრის ყიდვა არ შეიძლება იმით, თითქმის არაფრის მიღება არ შეიძლება გაცვლის გზით მის ნაცვლად. პირიქით, აღმასს თითქმის არა აქვს რაიმე სახმარი ღირებულება, მაგრამ ხშირად მასზე გაცვლით შეიძლება სხვა საქონელთა ფრიად დიდი რაოდენობის მიღება.

იმ პრინციპების გამოსარკვევად, რომელნიც საქონელთა საცვლელ ღირებულებას აწესრიგებენ, მე შევეცდები მკითხველს დავანახვო –

პირველი: რა არის ამ საცვლელი ღირებულების ნამდვილი ფასი.

მეორე: რა და რაა ის სხვადასხვა ნაწილები, რომლებისგანაც შესდგება ეს ნამდვილი ფასი ანუ რომელნიც განსაზღვრავენ მას.

და დასასრულ: რა და რაა ის სხვადასხვა გარემოება, რომელიც ამ ფასის ზოგ ან ყველა ნაწილს ხან მათ ბუნებრივ ანუ ჩვეულებრივ დონეზე მაღლა ასწევს, ხან ამ დონეზე დაბლა დასწევს; ანუ რა და რაა ის მიზეზები, რომელნიც საბაზრო ფასს, ე. ი. საქონელთა ფაქტიურ ფასს, აბრკოლებენ ზედმიწევნით თანაემთხვეს იმას, რასაც მათი ბუნებრივი ფასი შეიძლება ვუწოდოთ.

მე შევეცდები ეს სამი საგანი შემდგომში სამეზობლო სრულად და ნათლად გავარკვიო შემდგომ სამ თავში, და ამასთან გულმოდგინედ უნდა ვთხოვო მკითხველს მოთმინება და ყურადღება: მოთმინება – დეტალების განხილვისათვის, რომლებიც ზოგან შეიძლება ეჩვენოს მეტისმეტად მომქანცველად, ხოლო ყურადღება – იმის შესათვისებლად, რაც, შესაძლებელია, რაოდენადმე ბუნდოვანი ეჩვენოს ამ ძალიან დაწვრილებითი განმარტების შემდეგაც კი, რისი მოცემაც მე ძალმიძს. მე ყოველთვის ვრჩევობ დავიმსახურო საყვედური რაოდენადმე გაჭიანურებისათვის, ოღონდ დარწმუნებული ვიყო, რომ ჩემი გადმოცემა გასაგები არის; მაგრამ მას შემდეგაც, რაც მე ძალიან ვეცადე გასაგები ყოფილიყო ჩემი ნათქვამი, მაინც შეიძლება დარჩეს რაიმე ბუნდოვანობა ისეთი საგნის შესახებ, რომელიც თავისი ბუნებით უაღრესად განყენებული არის.

თ ა ვ ი V

საქონლის ნამდვილი და ნომინალური ფასი, ანუ მისი შრომითი ფასი და მისი ფულადი ფასი

ადამიანი იმ ზომით არის მდიდარი ან ღარიბი, რა ზომითაც მას შეუძლია მოიპოვოს არსებობის, კომფორტისა და სიამოვნებისთვის საჭირო საგნები. მაგრამ მას შემდეგ, რაც შრომის დანაწილებაა სავსებით დამყარებული, საკუთარის შრომით ადამიანს ამ საგანთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი შეუძლია მოიპოვოს. მათი ბევრად უფრო დიდი ნაწილი მან უნდა მიიღოს სხვა ადამიანთა შრომისაგან, და იგი მდიდარი ან ღარიბი იქნება იმ შრომის რაოდენობის მიხედვით, რომელიც მას შეუძლია თავის განკარგულებაში ჰქონდეს ანუ შეუძლია იყიდოს. ამიტომ ყოველი საქონლის ღირებულება იმ პირისთვის, ვინც მას ფლობს და აპირობს არა თვითონ გამოიყენოს ანუ მოიხმაროს იგი, არამედ გასცვალოს სხვა საქონელზე, უდრის იმ შრომის რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია მით იყიდოს ანუ მიიღოს თავის განკარგულებაში. ამგვარად შრომა შეადგენს ყველა საქონელთა ნამდვილ საზომს.

ყოველი საგნის ნამდვილი ფასი, ე. ი. ის, რადაც ყოველი საგანი ნამდვილად უღირს იმას, ვისაც მისი შექმნა სწადია, არის ის ჯაფა და გარჯა, რომელიც საჭიროა ამ საგნის მოსაპოვებლად. რადაც ყოველი საგანი ნამდვილად ღირებულია იმ ადამიანისთვის, რომელმაც იგი შეიძინა და რომელსაც უნდა თავის განკარგულებაში ჰქონდეს იგი ან გასცვალოს სხვა რაიმეზე, ეს არის ის ჯაფა და გარჯა, რომელიც იმ საგანს შეუძლია თავიდან ააცილოს ამ ადამიანს და სხვებისთვის დააკისრებინოს. ის, რაც ფულით ან სხვა პროდუქტებითაა ნაყიდი, ისევე შრომით არის მოპოვებული, როგორც ის, რასაც ჩვენ მოვიპოვებთ ჩვენი საკუთარი სხეულის გარჯით. მართლაც, ეს ფული ან ეს პროდუქტები გვანთავისუფლებს ჩვენ ამ გარჯისგან. ისინი შეიცავენ

ღირებულებას შრომის განსაზღვრული რაოდენობისას, რომელსაც ჩვენ გავცვლით ხოლმე იმაზე, რაც იმ მომენტში, ჩვენის აზრით, შეიცავს შრომის ასეთივე რაოდენობის ღირებულებას. შრომა იყო პირველი ფასი, თავდაპირველი სანასყიდო ფული, რომელსაც ყველა საგანში იხდიდნენ. არა ოქროთი ან ვერცხლით, არამედ შრომით იქნა თავდაპირველად ქვეყნიერობის ყველა სიმდიდრე მოპოვებული, და ამ სიმდიდრის ღირებულება მისი მფლობელისთვის, რომელსაც სურს მისი გაცვლა რაიმე ახალ პროდუქტებზე, უდრის ზედმიწევნით იმ შრომის რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია მით იყიდოს ანუ მიიღოს თავის განკარგულებაში.

როგორც ჰობსი ამბობს, სიმდიდრე ძალაა. მაგრამ ადამიანი, რომელიც იძენს ან მემკვიდრეობით იღებს დიდ ქონებას, არ იძენს ან არ იღებს მემკვიდრეობით მასთან ერთად აუცილებლად პოლიტიკურ ძალას, სამოქალაქოს ან სამხედროს. მისი ქონება, იქნებ, საშუალებას აძლევდეს მას შეიძინოს ორივე ეს, მაგრამ ამ ქონების მარტოდენ ფლობა არ აძლევს მას აუცილებლად ამ ძალას. ამ ქონების ფლობა მას აძლევს დაუყოვნებლად და უშუალოდ მხოლოდ იმის შესაძლებლობას, რომ იყიდოს, მიიღოს თავის განკარგულებაში მთელი ის შრომა ანუ შრომის მთელი ის პროდუქტი, რომელიც ბაზარზე მოიპოვება. მისი ქონება უფრო დიდია ან ნაკლები სრულიად შეფარდებით იმ შესაძლებლობის მოცულობასთან, ე. ი. სხვა ადამიანთა შრომის რაოდენობასთან ანუ, რაც იგივეა, სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტის რაოდენობასთან, რომელიც მას თავისი სიმდიდრის მეოხებით შეუძლია იყიდოს ანუ მიიღოს თავის განკარგულებაში. ყოველი საგნის საცვლელი ღირებულება ყოველთვის უნდა ეთანასწორებოდეს ზუსტად იმ ძალის მოცულობას, რომელსაც ეს საგანი აძლევს თავის მფლობელს.

მაგრამ, თუმცა შრომა ყველა საქონლის საცვლელი ღირებულების ნამდვილი საზომი არის, იგი მაინც არ წარმოადგენს იმ საზომს, რომლის მიხედვით ჩვეულებრივ შეფასდება საქონელთა ღირებულება. ხშირად ძნელი არის ზედმიწევნით გარკვეულ იქნეს შეფარდება შრომის ორ სხვადასხვა რაოდენობას შორის. ორ სხვადასხვა სახის სამუშაოზე დახარჯული დრო მარტო არ განსაზღვრავს ყოველთვის ამ შეფარდებას. ანგარიშში მისაღებია აგრეთვე გაწეული ჯაფის სიძნელისა და ხმარებული ოსტატობის სხვადასხვა ხარისხიც. რაიმე მძიმე მუშაობის ერთი საათი შეიძლება მეტ შრომას შეიცავდეს, ვიდრე ადვილი საქმიანობის ორი საათი; და ასევე ისეთი ხელობის ერთი საათი, რომლის შესასწავლად ათი წელიწადი იყო საჭირო, შეიძლება მეტ შრომას შეიცავდეს, ვიდრე ერთ თვეს მოსაქმეობა რომელსამე ჩვეულებრივსა და ყველასათვის ხელმისაწვდომ ხელობაში. მაგრამ ადვილი არაა ზუსტი საზომის პოვნა სიძნელის ან ოსტატობის ხარისხის განსაზღვრისათვის. მართალია, სხვადასხვა სახის შრომის სხვადასხვა პროდუქტების ერთმანეთზე გაცვლისას მხედველობაში მიიღება რაოდენადმე სიძნელე და ოსტატობა. მაგრამ ეს ხდება არა რაიმე ზუსტი საზომის მიხედვით, არამედ საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების კვალობაზე, ტლანქი გათანასწორების სახით, რომელიც თუმცა მთლად ზუსტი არაა, მაგრამ მაინც ცხოვრების ჩვეულებრივი საქმეებისათვის საკმარისი არის.

გარდა ამისა, თითოეული საქონელი უფრო ხშირად გაიცვლება სხვა საქონელზე და, მამასადამე, შეედარება სხვა საქონელს, ვიდრე გაიცვლება შრომაზე და შეედარება მას. ამიტომ უფრო ბუნებრივია საქონლის ღირებულების შეფასება რაიმე სხვა საქონლის რაოდენობით, ვიდრე შრომის რაოდენობით, რომლის ყიდვა იმით შესაძლებელი არის. ამასთან, ადამიანთა უმრავლესობას უკეთ გაეგება, რას ნიშნავს რაიმე საქონლის განსაზღვრული რაოდენობა, ვიდრე შრომის განსაზღვრული რაოდენობა. პირველი წარმოადგენს ხელშესახებ საგანს, მეორე კი – განყენებულ ცნებას, რომელიც თუმცა კი

შეიძლება საკმაოდ ახსნილი იქნეს, მაგრამ მაინც არაა პირველსავით მარტივი და გასაგები.

მას შემდეგ, რაც გაცვლითი ვაჭრობა შესწყდა და ფული იქცა ვაჭრობის ჩვეულებრივ საშუალებად, თითოეული ცალკე საქონელი უფრო ხშირად იცვლება ფულზე, ვიდრე რომელსამე სხვა საქონელზე. ყასაბს იშვიათად მიაქვს თავისი ხარის და ცხვრის ხორცი მეპურესთან ან ლუდის მხდელთან, რათა იგი გასცვალოს პურზე ან ლუდზე, არამედ მიაქვს ბაზარზე, სადაც იგი სცვლის მას ფულზე და შემდეგ ამ ფულს სცვლის პურსა და ლუდზე. ფულის რაოდენობა, რომელსაც იგი მასში აიღებს, თავის მხრივ, განსაზღვრავს პურისა და ლუდის რაოდენობას, რომელის მას შეუძლია იმით იყიდოს. ამიტომ მისთვის უფრო ბუნებრივი და ადვილია ხორცის ღირებულება შეაფასოს ფულის რაოდენობის მიხედვით, – იმ საქონლის რაოდენობის მიხედვით, რომელზედაც იგი მას უშუალოდ სცვლის, – ვიდრე პურისა და ლუდის რაოდენობის მიხედვით, ე. ი. იმ საქონელთა რაოდენობის, რომლებზედაც მას შეუძლია იგი გასცვალოს მხოლოდ სხვა საქონლის მოსაშუალებით; უფრო მარტივია მისთვის იმის თქმა, რომ ხორცი, რომელიც მას აქვს, გირვანქა ღირს სამი ან ოთხი პენსი, ვიდრე ამის თქმა: რომ იგი ღირს სამი ან ოთხი გირვანქა პური, ანდა სამი ან ოთხი კვარტი ლუდი. ამიტომ, რომ ყოველი საქონლის საცვლელი ღირებულება უფრო ხშირად შეფასდება ფულის რაოდენობის მიხედვით, ვიდრე შრომის რაოდენობის მიხედვით ან რაიმე სხვა საქონლისა, რომლის მიღება შეიძლება მასზე გაცვლით.

მაგრამ ოქრო და ვერცხლი, ყველა სხვა საქონელსავით, იცვლება თავ-თავის ღირებულებაში, ხან უფრო იაფია, ხან უფრო ძვირი, მათი ყიდვა ხან უფრო ადვილია, ხან უფრო ძნელი. შრომის რაოდენობა, რომელიც ადამიანს შეუძლია იყიდოს ან მიიღოს თავის განკარგულებაში ამ ლითონთა განსაზღვრული რაოდენობით, ანდა სხვა საქონელთა რაოდენობა, რომლის მიღება შეიძლება ამ ლითონებზე გაცვლით, მუდამ დამოკიდებული არის იმ სამადნეების ნაყოფიერებაზე თუ გამოუსავლიანობაზე, რომელთა დამუშავება სწარმოებს ამ გაცვლა-გამოცვლის აქტების მოხდენის ხანაში. მე-XVI საუკუნეში მდიდარი სამადნეების აღმოჩენამ ამერიკაში ოქრო-ვერცხლის ღირებულება დაიყვანა ევროპაში თითქმის ერთ მესამედზე იმისა, რადაც იგი ღირდა წინათ. რადგან ამ ლითონების ამოღება სამადნეებიდან და მათი ბაზარზე მოტანა ახლა ნაკლებ შრომად ღირდა, ამიტომ ნაკლები შრომის ყიდვა ანუ ადამიანის განკარგულებაში ნაკლები შრომის გადაცემა შეეძლო ბაზარზე გამოტანილ ოქრო-ვერცხლს. და ეს, იქნებ, უუდიდესი რევოლუცია ოქრო-ვერცხლის ღირებულებაში სრულიადაც არაა ერთადერთი რევოლუცია, რომელზედაც ცნობას გვაძლევს ისტორია. როგორც რაოდენობის საზომ-საწყაო, მაგალითად, ბუნებრივი ტერფი, წყრთა ან მუჭი, რომელიც მუდამ ცვალებადია თავის ზომამში, არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა საგანთა რაოდენობის ზუსტი საზომი, ისევე საქონელიც, რომელიც მუდამ ცვალებადია თავის საკუთარ ღირებულებაში, არასოდეს არ შეიძლება იყოს ზუსტი საზომი სხვა საგანთა ღირებულებისა. შრომის თანატოლ რაოდენობათა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყველა დროში და ყველა ადგილას მუშისთვის ერთნაირ ღირებულებას წარმოადგენენ. თავისი ჯანმთელობის, ძალღონისა და უნარის ჩვეულებრივ მდგომარეობაში, თავისი დახელოვნებისა და ხელმარჯვობის ჩვეულებრივი ხარისხის არსებობისას, მუშამ ყოველთვის უნდა გაიღოს მსხვერპლად ერთი და იგივე ნაწილი თავისი მოსვენების, თავისუფლების და ბედნიერებისა. ფასი, რომელსაც იგი იხდის, ყოველთვის უცვლელი რჩება, როგორც კი უნდა იყოს საქონელთა რაოდენობა, რომელსაც იგი იღებს თავისი შრომის სამაგიეროდ. რასაკვირველია, მას შეუძლია ხან ამ საქონელთა

მეტი რაოდენობა იყიდოს, ხან ნაკლები, მაგრამ ამ შემთხვევაში ცვალებადია საქონელთა ღირებულება და არა ღირებულება შრომისა, რომელიც მათ შეისყიდის. ყოველთვის და ყველგან ძვირი არის ის, რაც ძნელად მოსაპოვებელია, ანუ რის მოპოვება ბევრ შრომას მოითხოვს, და იაფი არის ის, რაც ადვილად ანუ ძალიან მცირე შრომით მოიპოვება. ამგვარად, მხოლოდ შრომა, რომელიც არასოდეს არ განიცდის თავის საკუთარ ღირებულებაში ცვლილებას, შეადგენს საბოლოო და ნამდვილ საზომს, რომლითაც ყოველთვის და ყველგან შესაძლებელია შეფასებულ და შედარებულ იქნეს ყველა საქონელთა ღირებულება. შრომა მათი ნამდვილი ფასია; ფული არის მათი მარტოოდენ ნომინალური ფასი.

თუმცა შრომის ერთნაირ რაოდენობას მშრომელისთვის ყოველთვის ერთნაირი ღირებულება აქვს, მაგრამ მშრომელის დამქირავებელს ისე ეჩვენება, რომ იგი ხან მეტი და ხან ნაკლები ღირებულების არის. დამქირავებელი შრომის იმ რაოდენობას საქონელთა ხან მეტი და ხან ნაკლები ნაკლები რაოდენობით ყიდულობს, და იმას ისე ეჩვენება, რომ შრომის ფასი იცვლება იმგვარადვე, როგორც ყველა სხვა საგანთა ფასი. ერთ შემთხვევაში მას იგი ეჩვენება ძვირად, მეორეში – იაფად. ნამდვილად კი საქონელია ერთ შემთხვევაში იაფი და მეორეში – ძვირი.

ამგვარად, ამ დაბიური აზრით შეიძლება ითქვას, რომ შრომას, საქონელთა მსგავსად, აქვს ნამდვილი და ნომინალური ფასი. მისი ნამდვილი ფასი, შეიძლება ითქვას, მდგომარეობს არსებობისა და კომფორტისთვის საჭირო საგანთა იმ რაოდენობაში, რომელსაც მასში იძლევიან, ხოლო მისი ნომინალური ფასი მდგომარეობს ფულის რაოდენობაში. მუშა მდიდარია ან ღარიბი, კარგ-ხელფასიანი ან ცუდ-ხელფასიანი არის თავისი შრომის ნამდვილი და არა ნომინალური ფასის მიხედვით.

საქონელთა და შრომის ნამდვილსა და ნომინალურ ფასს შორის განსხვავებას აქვს არა მარტო თეორიული მნიშვნელობა, – მას ზოგჯერ თვალსაჩინო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკაშიც. ერთი და იგი ნემდვილი ფასი ყოველთვის ერთი და იმავე ღირებულების მქონეა, მაშინ როდესაც ოქრო-ვერცხლის ღირებულებაში ცვლილების გამო ერთსა და იმავე ნომინალურ ფასს ხშირად ფრიად სხვადასხვა ღირებულება აქვს. ამიტომ, თუ რომელიმე მამულის გაყიდვა ხდება იმ პირობით, რომ გამყიდველს მუდმივი რენტა ჰქონდეს უზრუნველყოფილი და თუ განზრახულია, რომ ამ რენტას ერთი და იგივე ღირებულება უნდა ჰქონდეს, მაშინ იმ ოჯახისთვის, რომლის სასარგებლოდაც ეს რენტა წესდება, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ რენტა არ იყოს გამოსახული ფულის რაიმე განსაზღვრული თანხით. ამ შემთხვევაში ის რენტა ორგვარ გადახრილობას იქნებოდა დაქვემდებარებული: ჯერ ერთი, იმას, რაც წარმოსდგება ოქრო-ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობის გამო, რომელსაც ერთი და იგივე სახელწოდების მონეტა შეიცავს სხვადასხვა ეპოქებში, და, მეორე, იმას, რომელიც წარმოსდგება ერთნაირი რაოდენობის ოქრო-ვერცხლის სხვადასხვა ღირებულების გამო სხვადასხვა დროს.

ხელმწიფეებს და მთავრობებს ხშირად ის აზრი ჰქონდათ თავში გამოსახული, რომ მოცემულ მომენტში მათთვის ხელსაყრელი იყო შემცირება წმინდა ლითონის რაოდენობისა, რომელსაც შეიცავდა მათი მონეტა, მაგრამ მათ იშვიათად მოსდიოდათ აზრად: მისი რაოდენობის გადიდება ჩვენთვის ხელსაყრელი არისო. მე ვფიქრობ, ამის გამო, რომ მონეტებში მოქცეული ძვირფასი ლითონის რაოდენობა ყველა ხალხში თითქმის შეუწყვეტლივ მცირდებოდა და ძნელად რომ ოდესმე გადიდებულიყო. ამიტომ ასეთი ცვლილებები თითქმის ყოველთვის იწვევს ფულადი რენტის ღირებულების შემცირებას.

ამერიკაში სამადნეების აღმოჩენამ შეამცირა ოქროსა და ვერცხლის ღირებულება ევროპაში. ეს შემცირება, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, – თუმცა, მგონია მე, დამარწმუნებელი საბუთების უქონლად, – ჯერაც განაგრძობს თანდათანობით მსვლელობას და კიდევ დიდხანს გაგრძელდება. თუ ეს მართალია, მაშინ ასეთი ცვლილებები ოქრო-ვერცხლის ღირებულებაში ფულადი რენტის ღირებულებას ამცირებს უფრო, ვიდრე ადიდებს მას, – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირობისამებრ ეს რენტა გადასახდელია არა ამა თუ იმ სახელწოდების განსაზღვრული რაოდენობის მონეტით (მაგალითად, ამდენი და ამდენი გირვანქა სტერლინგით), არამედ განსაზღვრული სინჯის წმინდა ოქრო-ვერცხლს განსაზღვრული რაოდენობით.

პირობისამებრ ხორბლეულით საანგარიშებელმა რენტამ გაცილებით უკეთ შეინარჩუნა თავისი ღირებულება, ვიდრე ფულით გადასახდელმა, მაშინაც კი, როდესაც მონეტის სახელწოდებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ელისაბედის მეფობის მე-18 წელს გამოცემულ იქნა განკარგულება, რომ უნივერსიტეტების მამულებში გადასახდელი რენტა ხელშეკრულებაში უნდა აღნიშნულიყო ხორბლეულით, და იგი შემდეგ უნდა გადაეხადათ ან ნატურით, ანდა უახლოეს ბაზარზე არსებული მიმდინარე ფასის შესაბამისად. ფული, რომელიც მიიღება რენტის ამ ნატურალური ნაწილის რეალიზაციიდან და რომელიც თავდაპირველად მთელი რენტის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა, ამჟამად, დ-რ ბლეკსტონის სიტყვით, შეადგენს ორჯერ მეტს იმ თანხაზე, რაც მიიღება დანარჩენი ორი მესამედიდან. უნივერსიტეტების ძველებური ფულადი რენტა, ამ ცნობის თანახმად, შემცირდა წინანდელი ღირებულების მეოთხედამდე ან მისი ღირებულება ცოტათი მეტია იმ ხორბლეულის მეოთხედ ნაწილზე, რომელსაც იგი წინათ უდრიდა ღირებულებით. მაგრამ ფილიპეს და მარიამის მეფობის შემდეგ ინგლისის მონეტის ღირებულებამ მცირე ცვლილება განიცადა ან სრულიად არავითარი ცვლილება არ განუცდია, და გირვანქების, შილინგებისა და პენსების ერთი და იგივე რაოდენობა წმინდა ვერცხლის თითქმის მთლად იმავე რაოდენობას შეიცავდა. ამრიგად, უნივერსიტეტების ფულადი რენტის ეს შემცირება წარმოსდგა მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლის ღირებულების შემცირებიდან.

როდესაც ვერცხლის ღირებულების შემცირებას თან ერთვის შემცირება მისი რაოდენობისაც, რომელიც ერთ და იმავე სახელწოდების მონეტაშია მოქცეული, მაშინ დანაკარგი ხშირად უფრო დიდი არის. შოტლანდიაში, სადაც მონეტამ ბევრად უფრო დიდი გაფუჭება განიცადა, ვიდრე ოდესმე ინგლისში, და საფრანგეთში, სადაც ეს გაფუჭება კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე ოდესმე შოტლანდიაში, ზოგი ძველებური რენტა, რომელსაც თავდაპირველად მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდა, ამგვარად თითქმის ნულზე იქნა დაყვანილი.

ერთი მეორისგან დაშორებულ ეპოქებში შრომის ერთნაირი რაოდენობის მოპოვება შეიძლება უფრო პურის – ე. ი. მუშის საარსებო საშუალების – ერთნაირი რაოდენობით, ვიდრე ოქრო-ვერცხლის ან, იქნებ, რაიმე სხვა საქონლის ერთნაირი რაოდენობით. ამრიგად, ხორბლის ერთნაირი რაოდენობა გაცილებით უფრო ინარჩუნებს ერთი მეორისგან დაშორებულ ეპოქებში ერთსა და იმავე ნამდვილ ღირებულებას ანუ შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს იყიდოს ანუ მიიღოს თავის განკარგულებაში დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობა სხვა ადამიანთა შრომისა. მე ვამბობ, პური „უფრო“ ინარჩუნებს მეთქი თავის ღირებულებას, ვიდრე თითქმის ყველა სხვა საქონელი, ვინაიდან პურის ერთნაირი რაოდენობაც არ ინარჩუნებს სავსებით ერთსა და იმავე ღირებულებას. მშრომელის საარსებო

საშუალებები ანუ შრომის ნამდვილი ფასი, როგორც მე შევეცდები შემდგომ დავანახვო მკითხველს, ფრიად სხვადასხვა გარემოებაში: უფრო უხვად არის იმ საზოგადოებაში, რომელიც წინ მიდის სიმდიდრის გზაზე, ვიდრე ისეთში, რომელიც უძრავადაა გაჩერებული, და ამ უკანასკნელში აგრეთვე უფრო უხვად არის, ვიდრე იმ საზოგადოებაში, რომელიც უკან მიდის. მაგრამ ყველა საქონელი შრომის ხან მეტი და ხან ნაკლები რაოდენობის ყიდვას შესძლებს, სახელდობრ საარსებო საშუალებათა იმ რაოდენობის მიხედვით, რომლის შესყიდვა მას შეუძლია იმ მომენტში. ამიტომ რენტა, რომელიც პირობისამებრ ხორბლეულითაა საანგარიშებელი, იცვლება მხოლოდ შრომის იმ რაოდენობის ცვლილების მიხედვით, რომლის ყიდვა შეუძლია ხორბლის განსაზღვრულ რაოდენობას. პირიქით, პირობისამებრ რომელიმე სხვა საქონლით საანგარიშებელი რენტა ცვლილებას განიცდის არა მარტო შრომის იმ რაოდენობის ცვლილებაზე დამოკიდებულებით, რომლის ყიდვა შეიძლება ხორბლის თითოეული განსაზღვრული რაოდენობით, არამედ აგრეთვე ხორბლის იმ რაოდენობის ცვლილებაზე დამოკიდებულებითაც, რომლის ყიდვა შესაძლებელი არის ამ საქონლის განსაზღვრული რაოდენობით.

თუმცა ხორბლით გამოსახული რენტის ნამდვილი ღირებულება – და ამას ყურადღება უნდა მიექცეს – ბევრად ნაკლებ იცვლება საუკუნიდან საუკუნემდე, ვიდრე ფულადი რენტის ნამდვილი ღირებულება, მაგრამ სამაგიეროდ იგი გაცილებით უფრო იცვლება წლიდან წლამდე. შრომის ფულადი ფასი, როგორც მე შემდგომ ვეცდები დავანახვო მკითხველს, არ იცვლება წლიდან წლამდე ხორბლის ფულადი ფასის მიხედვით, არამედ, როგორც ეტყობა, შეესაბამება ამ საარსებო საშუალების საშუალო ანუ ჩვეულებრივ ფასს და არა მის დროებითს ანუ შემთხვევითს ფასს. ხორბლის საშუალო ნუ ჩვეულებრივი ფასი კი, თავის მხრივ, როგორც მე ვეცდები აგრეთვე გავარკვიო შემდგომ, განისაზღვრება ვერცხლის ღირებულებით, სამადნეების სიმდიდრით ან სიღარიბით, რომელნიც ბაზარს აწვდიან ამ ლითონს, ანუ იმ შრომის რაოდენობით, რომელიც უნდა დაიხარჯოს, მაშასადამე, ხორბლის იმ რაოდენობით, რომელიც მოხმარებული ინდა იქნეს, რათა ვერცხლის განსაზღვრული რაოდენობა სამადნეებიდან ბაზარზე იქნეს მიზიდული. მაგრამ ვერცხლის ღირებულება, თუმცა იგი ზოგჯერ მნიშვნელოვნად იცვლება საუკუნიდან საუკუნემდე, იშვიათად იცვლება ძალიან წლიდან წლამდე; ხშირად იგი უცვლელი ან თითქმის უცვლელი რჩება ნახევარი ან მთელი საუკუნის განმავლობაში. ამიტომ ხორბლის ჩვეულებრივი ანუ საშუალო ფასიც ასეთი პერიოდის განმავლობაში უცვლელი ან თითქმის უცვლელი რჩება და მასთან ერთად უცვლელი რჩები აგრეთვე შრომის ფულადი ფასი, უკეთუ, რასაკვირველია, საზოგადოება სხვა მხრივ უცვლელ ან დაახლოებით უცვლელ პირობებშია დარჩენილი. ამავე დროს ხორბლის დროებითი ანუ შემთხვევითი ფასი შეიძლება ხშირად ერთ წელიწადში ორჯერ უფრო მაღალი იყოს, ვიდრე წინა წელიწადში, ანუ ირყევოდეს, მაგალითად, 25–დან 50 შილინგამდე კვარტერზე. მაგრამ როდესაც ხორბალს ეს უკანასკნელი ფასი აქვს, მაშინ ხორბლით გამოსახული რენტის არა მარტო ნომინალური, არამედ ნამდვილი ფასიც ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე წინა ფასი, ე. ი. გაიცვლება შრომის ან მეტწილ სხვა საქონელთა ორმაგ რაოდენობაზე; შრომის ფულადი ფასი კი და მასთან ერთად მეტწილ სხვა საგანთა ფულადი ფასი უცვლელი დარჩება ამ რყევათა განმავლობაში.

ამრიგად, ცხადია, რომ შრომა წარმოადგენს ღირებულების როგორც ერთადერთ საყოველთაო, ისე ერთადერთ ზუსტ მასშტაბს ანუ ერთადერთ საზომს, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა

საქონელთა ღირებულებანი ყველა დროს და ყველა ადგილას. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჩვენ არ შეგვიძლია სხვადასხვა საქონელთა ნამდვილი ღირებულება საუკუნიდან საუკუნემდე განვსაზღვროთ ვერცხლის რაოდენობით, რომელსაც მასში აძლევენ. ჩვენ არ შეგვიძლია წლიდან წლამდე განვსაზღვროთ იგი პურის რაოდენობით. მაგრამ შრომის რაოდენობით ჩვენ შეგვიძლია უდიდესი ზედმიწევნილობით განვსაზღვროთ იგი როგორც საუკუნიდან საუკუნემდე, ისე წლიდან წლამდე. ხანგრძლივი პერიოდებისათვის – საუკუნიდან საუკუნემდე – პური წარმოადგენს ვერცხლზე უკეთეს საზომს, იმიტომ რომ საუკუნიდან საუკუნემდე შრომის იმავე რაოდენობის მოპოვება უფრო შესაძლებელია პურის იმავე რაოდენობით, ვიდრე ვერცხლის ერთი და იმავე რაოდენობით. პირიქით, წლიდან წლამდე ვერცხლი უკეთეს საზომს წარმოადგენს, ვიდრე პური, იმიტომ რომ მისი იმავე რაოდენობით უფრო შესაძლებელია შრომის იმავე რაოდენობის მოპოვება.

თუმცა სამარადისო რენტის დაწესებისას ან ძალიან გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულობის დადებისას შეიძლება სასარგებლო იყოს გარჩევა რეალურსა და ნომინალურ ფასს შორის, მაგრამ ასეთ გარჩევას მნიშვნელობა არა აქვს ყიდვა-გაყიდვაში, ადამიანთა ამ ჩვეულებრივ და ყოველდღიურ საარსებო საქმიანობაში.

მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილას ყველა საქონლის ნამდვილი და ნომინალური ფასი ზედმიწევნით შეესაბამება ერთი მეორეს. რაც უფრო მეტ ან ნაკლებ ფულს მივიღებთ, მაგალითად, ლონდონის ბაზარზე, მით უფრო მეტი ან ნაკლები შრომა შეგვიძლია ამ ფულით ვიყიდოთ ანუ მივიღოთ ჩვენს განკარგულებაში მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილას. ამიტომ განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ ადგილას ფული წარმოადგენს ზუსტ საზომს ყველა საქონლის საცვლელი ღირებულებისათვის; მაგრამ წარმოადგენს ამას მხოლოდ განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ ადგილას.

თუმცა სხვადასხვა, ერთი მეორისაგან დაშორებულ ადგილას არ არსებობს რეგულარული შეფარდება საქონელთა ნამდვილსა და ფულად ფასს შორის, მაგრამ მაინც ვაჭარმა, რომელსაც ერთი ადგილიდან მეორე ადგილას მიაქვს საქონელი, მხედველობაში უნდა მიიღოს მხოლოდ საქონლის ფულადი ფასი და განსხვავება ვერცხლის იმ რაოდენობასა, რადაც იგი ყიდულობს, და იმ რაოდენობას შორის, რადაც მას შეუძლია გაჰყიდოს საქონელი. ნახევარი უნცი ვერცხლით კანტონში – ჩინეთში – შესაძლებელია ადამიანმა მიიღოს თავის განკარგულებაში შრომის, აგრეთვე არსებობისა და კომფორტისთვის საჭირო საგანთა მეტი რაოდენობა, ვიდრე მთელი უნცი ლონდონში. ამიტომ საქონელი, რომელიც ნახევარ უნც ვერცხლად გაიყიდება კანტონში, შეიძლება ამ ადგილას ნამდვილად უფრო ძვირი იყოს და მისი მფლობელისათვის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე არის მისი მფლობელისათვის ლონდონში ის საქონელი, რომელიც ერთ უნცად გაიყიდება აქ, ლონდონში. მაგრამ, თუ ლონდონელ ვაჭარს შეუძლია ნახევარ უნც ვერცხლად იყიდოს კანტონში საქონელი, რომელიც მას ძალუმს ერთ უნცად გაჰყიდოს ლონდონში, იგი 100%-ს იგებს ამ ვაჭრობით, – სწორედ იმდენს, რამდენსაც იმ შემთხვევაში, უნც ვერცხლს რომ ლონდონში იგივე ღირებულება ჰქონებოდა, რაც აქვს კანტონში. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ნახევარი უნცი ვერცხლი კანტონში მას მეტ შრომას და არსებობისა და კომფორტისთვის საჭირო საგნების მეტ რაოდენობას მოაპოვებინებდა, ვიდრე ერთი უნცი ლონდონში. ერთი უნცი ვერცხლი ლონდონში მას აძლევს ყოველთვის შესაძლებლობას მოიპოვოს ორმაგი რაოდენობა ყველა იმისა, რის მოპოვებაც აქ შესაძლებელია ნახევარი უნცი, და ეს არის სწორედ ის, რისი მიღწევაც მას სწადია.

რადგან, ამრიგად, საქონელთა ნომინალური ანუ ფულადი ფასი განსაზღვრავს ბოლოს და ბოლოს ყველა ყიდვა-გაყიდვის გონივრულობას თუ არაგონივრულობას და, ამგვარად, აწესრიგებს ყოველდღიური ცხოვრების ყველა საქმეს, რომელიც კი ფასთან არის დაკავშირებული, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ადამიანები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ ფულად ფასს, ვიდრე ნამდვილ ფასს.

მაგრამ ისეთ თხზულებაში, როგორც წინამდებარე ნაწარმოები არის, ზოგჯერ უსარგებლო არაა შევადაროთ ერთი მეორეს განსაზღვრული საქონლის სხვადასხვა ნამდვილი ღირებულება სხვადასხვა დროში და ადგილას ანუ ის სხვადასხვა ხარისხი მეუფებისა სხვა ადამიანთა შრომაზე, რომელსაც ეს საქონელი სხვადასხვა პირობებში აძლევს მის მფლობელ ადამიანს. ჩვენ ამ შემთხვევაში ერთმანეთს უნდა შევადაროთ არა იმდენად ვერცხლის სხვადასხვა რაოდენობა, რომელზედაც ჩვეულებრივ ამ საქონლის გაყიდვა ხდებოდა, რამდენადაც შრომის სხვადასხვა რაოდენობა, რომლის ყიდვა შეიძლებოდა ვერცხლის იმ სხვადასხვა რაოდენობით. მაგრამ სხვადასხვა, ერთი მეორისაგან დაშორებულ დროს და ადგილას არსებული ფასები შრომისა მწელად რომ შეიძლებოდეს გავიგოთ რაოდენადმე ზუსტად. პურის ფასები კი, თუმცა ისინი რეგულარულად მარტოდენ ზოგ ადგილას აღინიშნებოდნენ, ჩვეულებრივ უკეთაა ცნობილი და უფრო ხშირადაც აღუნიშნავთ ისტორიკოსებს და აგრეთვე სხვა მწერლებს. ამიტომ ჩვენ მეტწილად პურის ფასებით უნდა დავკმაყოფილდეთ, და ეს არა იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის ზუსტ შეფარდებაში არიან შრომის საბაზრო ფასთან, არამედ იმიტომ, რომ ყველაზე უფრო უახლოვდებიან ასეთ შეფარდებას. შემდეგში მე მექნება შემთხვევა რამდენიმე ამგვარი შედარების გასაკეთებლად.

რაც უფრო ვითარდებოდა მრეწველობა, მოვაჭრე ხალხები მიზანშეწონილად ჰპოვებდნენ სხვადასხვა ლითონი მოეჭრათ ფულად: ოქრო – უფრო დიდი გადასახდელისათვის, ვერცხლი – საშუალო ზომის ნასყიდობისათვის და სპილენძი ან სხვა უბრალო ლითონი – კიდევ უფრო მცირე ზომის ნასყიდობისათვის. მაგრამ ამ ხალხებს იმ სხვადასხვა ლითონიდან ყოველთვის უოირატესად ერთი მიაჩნდათ ღირებულების საზომად, და ეს უპირატესობა, როგორც ეტყობა, ჩვეულებრივ იმ ლითონს ჰქონდა მიკუთვნებული, რომელსაც ისინი პირველად ხმარობდნენ ვაჭრობის იარაღად. რაკი ერთხელ დაიწყეს მით სარგებლობა როგორც საზომით, – და ამას ისინი იძულებული იყვნენ იმ დროში, როდესაც მათ სხვა ფული არ ჰქონდათ, – ისინი განაგრძობდნენ ჩვეულებრივ მით სარგებლობას შემდეგშიაც, თუმცა საამისო აუცილებლობა აღარ არსებობდა.

რომაელებს, როგორც ამბობენ, თითქმის პირველ პუნიკურ ომამდე მხოლოდ სპილენძის ფული ჰქონდათ, და მარტოდენ ხუთი წლით ადრე ამ ომამდე იწყეს მათ პირველად ვერცხლის ფულის მოჭრა. ამიტომ, როგორც ეტყობა, სპილენძი იყო ყოველთვის ღირებულების საზომი ამ რესპუბლიკაში. რომში, – სჩანს, – ყველა ანგარიში იწარმოებოდა და ყველა მამულის ღირებულება შეფასდებოდა ა ს ს ე ბ შ ი ანუ ს ე ს ტ ე რ ც ი ე ბ შ ი. ასსი ყოველთვის სახელწოდება იყო სპილენძის მონეტისა. სიტყვა ს ე ს ტ ე რ ც ი ნიშნავს ორნახევარ ასსს. თუმცა, ამგვარად, ს ე ს ტ ე რ ც ი თავდაპირველად ვერცხლის მონეტა იყო, მისი ღირებულება მაინც სპილენძით შეფასდებოდა. რომში იმ ადამიანზე, რომელსაც ბევრი ფული ჰქონდა ვალად აღებული, ამბობდნენ, ბევრი სხვისი სპილენძი აქვსო.

ჩრდილოეთის ხალხებს, რომელნიც რომის იმპერიის ნანგრევებზე დამკვიდრდნენ, როგორც ეტყობა, თავისი დაბინადრების დასაწყისიდანვე ვერცხლის ფული ჰქონდათ და მას შემდეგ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ისინი არც

ოქროს და არც სპილენძის მონეტას არ იცნობდნენ. ინგლისში საქსთა ხანაში იყო ვერცხლის ფული, და იქ ედუარდ III-ის დრომდე ძალიან ცოტა ოქროს ფული იჭრებოდა, ხოლო დიდი ბრიტანეთის მეფის იაკობ I-ის დრომდე სპილენძისა – სრულებით არა. ინგლისში ამიტომ – და იმავე მიზეზით, როგორც მე ვფიქრობ, ევროპის ყველა სხვა თანამედროვე ხალხებში – ანგარიშები იწარმოება და ყველა საქონლის და ყველა მამულის ღირებულება ჩვეულებრივ იანგარიშება ვერცხლით; და როდესაც ჩვენ გვინდა ვისიმი ქონების ზომა გამოვსახოთ, იშვიათად აღვნიშნავთ გინეების რიცხვს, არამედ ვიტყვით გირვანქა სტერლინგების რიცხვს, რომელსაც, ჩვენის აზრით, მისცემენ მასში.

თავდაპირველად, როგორც მე მეგონა, ყველა ქვეყანაში მხოლოდ იმ ლითონის მონეტა შეიძლება გამოხდარიყო გადახდის კანონიერი საშუალება, რომელიც სპეციალურად აღიარებული იყო ღირებულების მასშტაბად ანუ საზომად. ინგლისში ოქრო დიდხანს მას შემდეგაც, რაც იწყეს მისი ფულად მოჭრა, არ იყო გადახდის კანონიერ საშუალებად აღიარებული. შეფარდება ოქროს და ვერცხლის ფულის ღირებულებას შორის არ იყო დამყარებული რაიმე საკანონმდებლო აქტით ან ბრძანებით; ამის განსაზღვრა ბაზარზე იყო მიხედვით. თუ გადასახდელს მოვალე ოქროთი შესთავაზებდა მევალეს, ამ უკანასკნელს შეეძლო ან უარი ეთქვა ასეთის მიღებაზე, ანდა იგი მიეღო ოქროს ისეთი სეფასების მიხედვით, რომლის შესახებ ის და მოვალე ერთმანეთთან მორიგდებოდნენ. სპილენძი ამჟამად არაა კანონიერი საგადასახადო საშუალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წვრილი ვერცხლის მონეტის დახურდავებას აქვს ადგილი. საქმის ასეთ ვითარებაში განსხვავება იმ ლითონსა, რომელიც ღირებულების საზომი იყო, და იმ ლითონს შორის, რომელიც არ იყო ასეთი საზომი, ზოგჯერ მეტ რამეს წარმოადგენდა, ვიდრე მარტოოდენ ნომინალური განსხვავება.

დროის მსვლელობაში, როდესაც ხალხი თანდათან შეეჩვია სხვადასხვა ლითონებისგან მოჭრილი მონეტების ხმარებას და ამ გზით უკეთ გაეცნო მათი ღირებულების შეფარდებას, მეტწილ ქვეყნებში, როგორც მე მგონია, მიზანშეწონილად სცნეს დაემყარებიათ ეს შეფარდება და გამოეცხადებიათ კანონით, რომ, მაგალითად, ერთი გინეა, ასეთი და ასეთი წონისა და სიწმინდის შემცველი, უნდა გადაიცვლებოდე 21 შილინგზე ანუ უნდა შეადგენდეს კანონიერ საგადასახადო საშუალებას ამ ზომის ვალის გასასტუმრებლად. საქმის ასეთ ვითარებაში განსხვავება იმ ლითონსა, რომელიც ღირებულების საზომი არის, და იმ ლითონს შორის, რომელიც არაა ასეთი საზომი, მარტოოდენ ნომინალურ განსხვავებას წარმოადგენს.

მაგრამ თუ რაიმე ცვლილება წარმოსდგა ამ დაწესებულ შეფარდებაში, მაშინ აღნიშნული განსხვავება გადაიქცევა – ან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვეჩვენება, რომ გადაიქცევა – მეტ რამედ, ვიდრე არის მარტოოდენ ნომინალური განსხვავება. თუ, მაგალითად, გინეის ღირებულება შემცირებულ იქნა 20 შილინგამდე ან აწეულ იქნა 22-მდე, მაშინ, – რადგან ყველა ანგარიში ვერცხლის ფულზე სდგება და თითქმის ყველა სავალო ვალდებულება ვერცხლით არის გამოსახული, – თუმცა გადასახდელთა უდიდესი ნაწილი ვერცხლის იმავე რაოდენობით შეიძლება გადახდილ იქნეს, როგორც უწინ, მაგრამ ოქროს მონეტით ამისათვის ფრიად განსხვავებული თანხა იქნება საჭირო: უფრო დიდი – პირველ შემთხვევაში და უფრო ნაკლები – მეორეში. მაშინ ვერცხლი გვეჩვენება უფრო უცვლელად თავის ღირებულებაში, ვიდრე ოქრო; ისე გვეჩვენება, რომ ვერცხლი საზომია ოქროს ღირებულების, ოქრო კი არაა საზომი ვერცხლის ღირებულებისა. ოქროს ღირებულება, გარეგნულად, დამოკიდებული იქნება ვერცხლის რაოდენობაზე,

რომელზედაც ოქრო შეიძლება გაცვლილ იქნეს, მაგრამ არა პირიქით: ვერცხლის ღირებულება არ იქნება დამოკიდებული ოქროს რაოდენობაზე, რომელზედაც ვერცხლის გაცვლა შესაძლებელი. მაგრამ ამ განსხვავების მიზეზი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ის ჩვეულება, რომ უპირატესად ვერცხლის და არა ოქროს მონეტებში ადგენენ ანგარიშებს და გამოსახვენ ყველა დიდი და პატარა თანხის ჯამს. ბ-ნი დრუმონდის 25-გინეიანი ან 50-გინეიანი ბანკნოტა ასეთი ცვლილების შემდეგაც წინანდებურად 25 ან 50 გინეით იქნება გასანადღებელი. აღნიშნული ცვლილების შემდეგ იგი განადღებული იქნება ოქროს იმავე რაოდენობით, როგორც წინათ, მაგრამ ვერცხლის სრულიად სხვა რაოდენობით. ასეთი ბანკნოტის განადღებისას ოქრო გამოგვიჩნდება უფრო უცვლელად მის ღირებულებაში, ვიდრე ვერცხლი. ოქრო გვეჩვენება ვერცხლის ღირებულების საზომად, ვერცხლი კი არა ოქროს ღირებულების საზომად. თუ ანგარიშების შედგენის, აგრეთვე ფულადი ხელწერილების და სხვაგვარი ობლიგაციების ოქროთი გამოსახვის ჩვეულებამ ოდესმე საყოველთაო გავრცელება მიიღო, მაშინ ოქრო და არა ვერცხლი იქნება მიჩნეული იმ ლითონად, რომელიც ღირებულების მასშტაბს ანუ საზომს წარმოადგენს.

სინამდვილეში, ვიდრე დაცული არის დაწესებული შეფარდება მონეტად მოჭრილი სხვადასხვა ლითონის ღირებულებათა შორის, უძვირფასესი ლითონის ღირებულება განსაზღვრავს ყველა მონეტის ღირებულებას. 12 სპილენძის პენსი შეიცავს სავაჭრო წონით ნახევარ გირვანქა არა საუკეთესო ღირსების სპილენძს, რომელიც მონეტად მოჭრამდე ღირს 7 პენსად ვერცხლით. რადგან დაწესებული არის, რომ 12 ასეთი პენსი შილინგზე უნდა გაიცვალოს, ამიტომ ეს პენსები ბაზარზე ისეა მიჩნეული, როგორც რომ მათ შილინგის ღირებულება ჰქონდეთ, და ყოველჯამს შეიძლება მათში ერთი შილინგის მიღება. ბრიტანეთის ოქროს მონეტის უკანასკნელი რეფორმის წინ ოქროს მონეტა, ყოველ შემთხვევაში მისი ის ნაწილი, რომელიც ლონდონსა და მის მიდამოებში მიმოიქცევოდა, საერთოდ ნაკლებ იყო თავის კანონიერ წონაზე დაბლა დაწეული, ვიდრე ვერცხლის მონეტის მეტი წილი. მიუხედავად ამისა, 21 გახეხილი და გადაღესილი შილინგი მიჩნეული იყო ღირებულებით გინეის თანასწორად, რომელიც, მართალია, აგრეთვე გახეხილი და გადაღესილი იყო, მაგრამ – იშვიათად ისე ძალიან. უკანასკნელ დროს გამოცემულმა წესებმა ოქროს მონეტა ისე ძალიან დაუხლოვა დაწესებულ მის წონას, როგორც კი ეს შესაძლებელი არის მიმოქცევაში მყოფი მონეტისათვის რომელსამე ხალხში; და განკარგულება, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ოქრო უნდა მიიღებოდეს მხოლოდ წონით, ალბათ დაიცავს მონეტის სრულწონიანობას, სანამ ეს განკარგულება ძალაში იქნება. ვერცხლის მონეტა დარჩენილია ისევე გახეხილი და გაფუჭებული, როგორც იყო ოქროს მონეტის რეფორმამდე. მიუხედავად ამისა, ასეთი გაფუჭებული ვერცხლის მონეტის 21 შილინგი ბაზარზე მაინც კიდევ სრულწონიანი ოქროს გინეის თანასწორადაა მიჩნეული.

ოქროს მონეტის ხელახლა მოჭრამ, ცხადია, მაღლა ასწია ღირებულება ვერცხლის მონეტისა, რომელიც შეიძლება მასზე გაიცვალოს.

ინგლისის ზარაფხანაში ერთი გირვანქა ოქროდან მოიჭრება 44½ გინეა, რომლებიც, თითოში 21 შილინგის ანგარიშით, შეადგენს 46 გირვანქა სტერლინგს 14 შილინგს და 6 პენსს. მაშასადამე, ასეთი ოქროს მონეტის 1 უნცი ღირს ვერცხლით 3 გირვ. სტერლ. 17 შილ. და 10½ პენსი. ინგლისში არავითარი სამონეტო საფასური ანუ სასყიდელი არაა მონეტის მოჭრისათვის გადასახდელი, და ვინც ზარაფხანაში მიიტანს დაწესებული სიწმინდის შემცველ ერთ გირვანქა ან ერთ უნც ოქროს, ზოდის

სახით, მიიღებს, რისამე გამოუკლებლივ, სამაგიეროდ ნამდვილ გირვანქა ან ნამდვილ უნც ოქროს, მოჭრილი მინეტის სახით. და ამიტომ ინგლისში ამბობენ, რომ 3 გირვანქა 17 შილინგი და 10½ პენსი მონეტური ფასია ერთი უნცი ოქროსი, ე. ი. მონეტად მოჭრილი ოქროს ის რაოდენობაა, რომელსაც ზარაფხანა იძლევა დაწესებული სიწმინდის შემცველი ოქროს ზოდის სამაგიეროდ.

დაწესებული სიწმინდის შემცველი ერთი უნცი ოქროს ზოდის ფასი ოქროს მონეტის რეფორმამდე იყო ბაზარზე მრავალი წლების განმავლობაში 3 გირვანქასა და 18 შილინგზე მეტი, ზოგჯერ 3 გირვ. 19 შილინგი და ძალიან ხშირად 4 გირვანქა, – ალბათ, იმიტომ, რომ ეს თანხა გახეხილი და გაფუჭებული ოქროს მონეტის სახით იშვიათად შეიცავდა დაწესებული სიწმინდის შემცველ ერთ უნც ოქროზე მეტს. ასეთი სიწმინდის შემცველი ერთი უნცი ოქროს ზოდის საბაზრო ფასი ოქროს მონეტის რეფორმის შემდეგ იშვიათად აღემატებოდა 3 გირვ. სტერლინგს 17 შილინგს 7 პენსს. ოქროს მონეტის რეფორმამდე საბაზრო ფასი ყოველთვის მონეტურ ფასზე მაღლა იდგა რაოდენადმე; ამ რეფორმის შემდეგ კი საბაზრო ფასი მონეტურ ფასზე დაბლა იყო ყოველთვის. მაგრამ ეს საბაზრო ფასი მუდამ ერთი და იგივეა, გადაიხდება იგი ოქროს თუ ვერცხლის მონეტით. ამრიგად, ოქროს მონეტის უკანასკნელმა რეფორმამ მაღლა ასწია არა მარტო ოქროს მონეტის ღირებულება, არამედ აგრეთვე ვერცხლის მონეტის ღირებულებაც ოქროს ზოდთან შედარებით და, ალბათ, აგრეთვე ყველა სხვა საქონელთან შედარებით; მაგრამ რადგან მეტწილ სხვა საქონელთა ფასზე მრავალ სხვა მიზეზებს აქვს გავლენა, ამიტომ ოქროს და ვერცხლის მონეტის ღირებულების მაღლა აწევა სხვა საქონელთან შედარებით არაა ისე ცხადი და საგრძნობი.

დაწესებული სიწმინდის შემცველი გირვანქა ვერცხლიდან ინგლისის ზარაფხანაში სჭრიან 62 შილინგს, რომლებიც შეიცავს სორედ ასევე დაწესებული სიწმინდის მქონე ერთ გირვანქა ვერცხლს. ამიტომ ინგლისში ამბობენ, რომ 5 შილინგი და 2 პენსი მონეტური ფასია ერთი უნცი ვერცხლისა, ე. ი. ვერცხლის მონეტის ის რაოდენობაა, რომელსაც ინგლისის ზარაფხანა იძლევა დაწესებული სიწმინდის შემცველი ვერცხლის ზოდის სამაგიეროდ. ვიდრე ოქროს მონეტის რეფორმა მოხდებოდა, დაწესებული სიწმინდის შემცველი ერთი უნცი ვერცხლის ზოდის საბაზრო ფასი იყო სხვადასხვა შემთხვევაში 5 შილინგი და 4 პენსი, 5 შილინგი და 5 პენსი, 5 შილინგი და 6 პენსი, 5 შილინგი და 7 პენსი და ძალიან ხშირად 5 შილინგი და 8 პენსი. მაგრამ უფრო ჩვეულებრივი ფასი იყო, როგორც ეტყობა, 5 შილინგი და 7 პენსი. ოქროს მონეტის რეფორმის შემდეგ კი, დაწესებული სიწმინდის შემცველი გირვანქა ვერცხლის ზოდის საბაზრო ფასი დაცემული იყო დროდადრო 5 შილ. და 3 პენსამდე, 5 შილ. და 4 პენსამდე, 5 შილ. და 5 პენსამდე, და ამ უკანასკნელ ფასზე მაღლა იგი არასოდეს არ აწეულა. თუმცა ოქროს ზოდის საბაზრო ფასი შესამჩნევად დაეცა ოქროს მონეტის რეფორმის შემდეგ, მაგრამ იგი მაინც აღემატებოდა მონეტურ ფასს.

თუ სხვადასხვა ლითონებს შორის პროპორციის დაწესებისას ინგლისის მონეტაში სპილენძი თვის ნამდვილ ღირებულებაზე გაცილებით მეტადაა შეფასებული, სამაგიეროდ ვერცხლი თავის ნამდვილ ღირებულებაზე რაოდენადმე ნაკლებად არის შეფასებული. ევროპის ბაზრებზე უნცი წმინდა ოქრო, ფრანგული ან ჰოლანდიური მონეტის სახით, იცვლება დაახლოებით 14 უნც წმინდა ვერცხლზე; ინგლისური მონეტის სახით კი იგი იცვლება 15 უნცზე, ე. ი. მეტ ვერცხლზე, ვიდრე იგი ღირს საყოველთაოდ ევროპაში მიღებული შეფასების თანახმად. მაგრამ როგორც ინგლისური სპილენძის მონეტის მაღალ ფასს ინგლისშიაც არ აუწევია სპილენძის

ზოდის ფასი, ისევე ინგლისური ვერცხლის ფასი დაბალ ფასს არ დაუწევს ვერცხლის ზოდის ფასი. ვერცხლის ზოდს ჯერაც შენერჩუნებული აქვს სათანადო თავისი პროპორცია ოქროს მიმართ: იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც სპილენძის ზოდს შენარჩუნებული აქვს სათანადო თავისი პროპორცია ვერცხლის მიმართ.

ვერცხლის მონეტის რეფორმის შემდეგ, რომელიც შესრულებულ იქნა ვილიამ III-ის მეფობის დროს, ვერცხლის ზოდის ფასი განაგრძობდა მონეტურ ფასზე რაოდენადმე მაღლა ყოფნას. ლოკი ამ მაღალ ფასს ვერცხლის ზოდის ექსპორტის ნებართვას და ვერცხლის მონეტის ექსპორტის აკრძალვას მიაწერდა. ექსპორტის ეს ნებართვა, ამბობდა იგი, ადიდებს ვერცხლის ზოდის მოთხოვნას ვერცხლის მონეტის მოთხოვნასთან შედარებით. მაგრამ იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ვერცხლის მონეტა ესაჭიროებათ თავის სამშობლოში ყოველდღიურ სახმარებლად ყიდვა-გაყიდვის დროს, უეჭველად გაცილებით მეტია, ვიდრე იმათი რიცხვი, რომელთაც საექსპორტოდ ან რაიმე სხვა მიზნისათვის ესაჭიროებათ ვერცხლის ზოდი. ამჟამად არსებობს ასეთივე ნებართვა ოქროს ზოდის ექსპორტისათვის და აკრძალვა ოქროს მონეტის ექსპორტისა, და, მიუხედავად ამისა, ოქროს ზოდის ფასი მონეტურ ფასზე დაბლაა დაცემული. მაგრამ ვერცხლი ინგლისურ მონეტაში მაშინ, ისე როგორც ამჟამად, მის ოქროსადმი ნამდვილ შეფარდებაზე ნაკლებად იყო შეფასებული, და ოქროს მონეტა (რომლის შესახებ იმ დროს არ ფიქრობდნენ, რომ იგი რაიმე რეფორმას საჭიროებდა) განსაზღვრავდა მაშინ, ისე როგორც ამჟამად, ყველა მონეტის ნამდვილ ღირებულებას. როგორც მაშინ ვერცხლის მონეტის ხელახალ მოჭრას ვერცხლის ზოდის ფასი არ დაუწევია მონეტური ფასის დონემდე, ისევე, ალბათ, დღესაც იმგვარადვე ხელახალი მოჭრა არ გამოიწვევს ამას.

ვერცხლის მონეტა რომ ისე დაახლოებული იყოს თავის ნორმალურ წონასთან, როგორც ოქრო არის, მაშინ, ალბათ, გინეა, არსებული პროპორციის მიხედვით, მონეტად მოჭრილ მეტ ვერცხლზე გაიცვლებოდა, ვიდრე მით ვერცხლის ზოდის ყიდვას შესაძლებელი. ვერცხლის მონეტა რომ თავის სრულ კანონიერ წონას შეიცავდეს, ხელსაყრელი იქნებოდა მისი ზოდად გადადნობა, რათა ეს ზოდი გაყიდულიყო ოქროს მონეტაზე, და შემდეგ ამ ოქროს მონეტის გადაცვლა ვერცხლის მონეტაზე იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი ისევ ზოდად გადაედნოთ. ამჟამად არსებულ პროპორციაში ერთგვარი ცვლილების მოხდენა, როგორც ეტყობა, ერთადერთი საშუალებაა ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად.

ეს უხერხულობა, შეიძლება, ნაკლები იქნებოდა, მონეტაში რომ ვერცხლი მის ოქროსადმი სათანაო შეფარდებაზე იმდენით მეტად იყოს შეფასებული, რამდენითაც იგი დღეს ნაკლებად შეფასდება; მხოლოდ ამასთან იგულისხმება, რომ იმავე დროს გამოცემული იქნებოდა კანონი, რომ ვერცხლი შეიძლება გადახდის კანონიერი საშუალება იყოს ერთ გინეაზე არა უმეტესი თანხისათვის, მსგავსად იმისა, როგორც ამჟამად სპილენძის მონეტა გადახდის კანონიერ საშუალებას შეადგენს ერთ შილინგზე არა უმეტესი თანხისათვის. ამ შემთხვევაში არც ერთი კრედიტორი არ იქნებოდა ზარალში ვერცხლის მაღალი შეფასების გამო მონეტაში, ისე როგორც ამჟამად არც ერთი კრედიტორი არ განიცდის ზარალს სპილენძის მაღალი შეფასების გამო. მხოლოდ ბანკირებისათვის იქნებოდა ეს წესი საზარალო. როდესაც მათ გადახდის გამლიერებული მოთხოვნით მიმართავენ, ისინი ზოგჯერ ცდილობენ დრო მოიგონ მით, რომ ექვსპენსიანი მონეტებით იძლევიან ფულს, ხოლო ზემოაღნიშნული წესი მათ ხელს შეუშლიდა გამოეყენებიათ ეს უარსაყოფელი საშუალება დაუყოვბელივი გადახდის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ ისინი იძულებული იქნებოდნენ მუდამ ექონიათ თავიანთ სალაროებში ნაღდი ფულის

უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე ამას ადგილი აქვს ამჟამად. და თუმცა ეს, უეჭველია, დიდი უხერხულობა იქნებოდა მათთვის, მაგრამ იმავე დროს ეს მნიშვნელოვანი უზრუნველყოფა იქნებოდა მათი კრედიტორებისათვის.

3 გირვანქა 17 შილინგი და 10½ პენსი (ოქროს მონეტური ფასი), რასაკვირველია, არ შეიცავს, ჩვენს დღევანდელ ჩინებულ ოქროს მონეტაშიც კი, დაწესებული სიწმინდის შემცველ ერთ უნც ოქროზე მეტს, და ამიტომ – უნდა ეფიქრა ადამიანს – მით არ უნდა იყოს შესაძლებელი იმავე სიწმინდის შემცველი მეტი ოქროს ზოდის ყიდვა. მაგრამ ოქრო მონეტის სახით უფრო მოხერხებულია ადამიანისათვის, ვიდრე ოქრო ზოდის სახით; და, თუმცა ინგლისში ფულის მოჭრისათვის არავითარი საფასური არაა გადასახდელი, მაინც ზარაფხანაში მიტანილი ოქროს ზოდი ჩვეულებრივ შეიძლება პატრონს დაუბრუნდეს მონეტის სახით მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ. ხოლო ზარაფხანის ახლანდელი დატვირთულობის გამო პატრონს შეუძლია თავისი ოქრო, ფულად მოჭრილი, მიიღოს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. ეს დახანება სადარი არის მცირე გადასახადისა და ფულად მოჭრილ ოქროს აქცევს ცოტათი უფრო ძვირფასად, ვიდრე თანატოლი რაოდენობის ოქროს ზოდი არის. ინგლისური ვერცხლის მონეტა რომ მისი ოქროს მიმართ სათანადო შეფარდების შესაბამისად იყოს შეფასებული, ოქროს ზოდის ფასი, ალბათ, მონეტურ ფასზე დაბლა დაიწევდა, – მაშინაც კი, რომ ვერცხლის მონეტის არავითარ რეფორმასაც არ ჰქონებოდა ადგილი: ვინაიდან ახლანდელი გახეხილი და გადაღესილი ვერცხლის მონეტის ღირებულებით, რომელზედაც იგი შეიძლება გადაცვილი იქნეს.

ოქრო-ვერცხლის ფულად მოჭრისათვის დაწესებული მცირე საფასური ანუ გადასახადი, ალბათ, კიდევ უფრო მეტ უპირატესობას მიანიჭებდა იმ ლითონების მონეტებს ზოდთან შედარებით. ამ შემთხვევაში მოჭრა მონეტის ღირებულებას მაღლა ასწევდა ამ მცირე საფასურის შესაბამისად, მსგავსად იმისა, როგორც ნახატი ადიდებს სუფრის ავეჯეულის ღირებულებას ამ ნახატის ფასის შესაბამისად. მონეტის ეს უპირატესობა ზოდთან შედარებით შესწევდა მონეტის გადადნობას და შეაჩერებდა მის ექსპორტს. თუ რაიმე საზოგადოებრივი მოთხოვნილება საჭიროდ გახდოდა მონეტის საზღვარგარეთ გაზიდვას, მისი უდიდესი ნაწილი მალე ისევ უკან დაბრუნდებოდა თავისთავად. საზღვარგარეთ შესაძლებელი იქნებოდა მისი გაყიდვა მისი, როგორც ზოდის, წონის მიხედვით, შინ კი მას მეტი ღირებულება ექნებოდა, ვიდრე შეესაბამება მის წონას. ამიტომ ხელსაყრელი იქნებოდა მისი ისევ უკუმემოზიდვა. საფრანგეთში მონეტის მოჭრისათვის დაწესებულია საფასური დაახლოებით 8%-ის ოდენობით, და საფრანგეთის მონეტა, თუ იგი გაზიდულ იქნა საზღვარგარეთ, თავისთავად ბრუნდება სამშობლოში.

ოქრო-ვერცხლის ზოდის საბაზრო ფასის შემთხვევითი რყევა იმავე მიზეზებიდან წარმოსდგება, როგორც ყველა სხვა საქონლის ფასის ასეთვე რყევა. ამ ლითონების ხშირი დაკარგვა სხვადასხვა უბედური შემთხვევების გამო ზღვაში და ხმელეთზე, მათი მუდმივი მოხმარება მოსავარაყებლად და ავეჯის დასამზადებლად, სირმებისა და ოქრომკედისათვის, მათი ხარჯვა მონეტის და ავეჯის გაცვეთის გზით მოითხოვს ყველა ქვეყანაში, რომელსაც საკუთარი სამადნეები არ მოეპოვება, შეუწყვეტელ იმპორტს ამ დანაკარგისა და დანახარჯის ასანაზღაურებლად. ვაჭრები, რომლებიც ამ ლითონების იმპორტს აწარმოებენ, ცდილობენ შეძლებისამებრ, – შეგვიძლია ვიფიქროთ, – როგორც ყველა სხვა ვაჭარი, თავისი იმპორტი შეუთანხმონ უშუალო მოთხოვნას, რომელიც, მათი აზრით, არსებობს თითოეულ მომენტში. მაგრამ, მთელი მათი ყურადღების მიუხედავად, ისინი მაინც ზოგჯერ გადაჭარბებით

აწარმოებენ იმპორტს, ზოგჯერაც – არასაკმარისად. თუ იმაზე მეტი ზოდი დაურჩათ შემოზიდული, ვიდრე მოითხოვება, ისინი, რათა თავიდან აიცილონ რისკი და ჯაფა, რომელიც მის ხელახლა გაზიდვასთანაა დაკავშირებული, ხშირად რჩევობენ ჩვეულებრივ ანუ საშუალო ფასზე ცოტათი უფრო იაფად გაჰყიდონ ამ ზოდის ნაწილი. ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც საჭიროზე ნაკლები დაურჩებათ შემოზიდული, მაშინ ისინი ცოტათი იმაზე მეტს იღებენ, რასაც ეს ფასი შეადგენს. მაგრამ თუ, ყველა ასეთ შემთხვევით რყევაში ოქროს ან ვერცხლის ზოდის საბაზრო ფასი რამდენიმე წლის განმავლობაში მტკიცედ და უცვლელად არის გაჩერებული რაოდენადმე მაღალ დონეზე ან რაოდენადმე დაბალ დონეზე მის მონეტურ ფასთან შედარებით, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ფასის ასეთი მტკიცე და უცვლელი გადახრილობა ზევითკე ან ქვევითკენ შედეგი არის მონეტის მდგომარეობაში ისეთი ცვლილების, რომელიც იმ დროს მონეტის განსაზღვრულ რაოდენობას აძლევს იმაზე მეტ ან ნაკლებ ღირებულებას, რასაც ლითონის იმ რაოდენობის ღირებულება შეადგენს, რომელსაც ეს მონეტა უნდა შეიცავდეს. შედეგის სიმტკიცე და უცვლელობა გულისხმობს შესაბამის სიმტკიცეს და უცვლელობას მიზეზის მხარეზე.

თითოეულ განსაზღვრულ მომენტში და თითოეულ განსაზღვრულ ადგილას ამა თუ იმ ქვეყნის ფული წარმოადგენს ღირებულების მეტნაკლებ ზუსტ საზომს, – იმის მიხედვით, თუ რამდენად მეტნაკლებ ზედმიწევნით შეესაბამება მიმოქცევაში მყოფი მონეტა მისთვის დაწესებულ მასშტაბს ანუ შეიცავს მეტნაკლებ ზუსტად წმინდა ოქროს თუ ვერცხლის იმ რაოდენობას, რომელსაც უნდა შეიცავდეს. ინგლისში, მაგალითად, 44½ გინეა რომ დაწესებული სიწმინდის მქონე ერთ გირვანქა ოქროს შეიცავდეს ზუსტად, ე. ი. 11 უნც წმინდა ოქროს და ერთ უნც ლიგატურას, იმ შემთხვევაში ინგლისური ოქროს მონეტა იქნებოდა ყოველ ჟამსა და ადგილას საქონელთა ფაქტიური ღირებულების ისეთი ზუსტი საზომი, როგორც კი საერთოდ შესაძლებელი არის თვით საგნის ბუნებისამებრ. მაგრამ უკეთუ 44½ გინეა ჩვეულებრივ, გახეხვისა და გაცვეთის გამო, დაწესებული სიწმინდის მქონე 1 გირვანქა ოქროზე ნაკლებს შეიცავს, და ამასთან წონის დაკლება ზოგ მონეტაში მეტია, ზოგში ნაკლები, – მაშინ, ცხადია, ეს ღირებულების საზომი ისეთივე დაუდგრომლობის ბედს ექვემდებარება, როგორც ყველა სხვა საწონ–საზომი საერთოდ. რადგან ეს უკანასკნელი იშვიათად შეესაბამება ზედმიწევნით იმ ნიმუშს, რომელიც მისთვის დაწესებული არის, ამიტომ ვაჭარი თავის საქონელთა ფასს განსაზღვრავს შეძლებისამებრ არა იმის მიხედვით, რაც ეს საზომ–საწონი უნდა ყოფილიყო, არამედ იმის მიხედვით, რასაც იგი, ვაჭრის გამოცდილებით, სინამდვილეში წარმოადგენს საშუალოდ. მონეტაში ასეთ გადახრილობათ გამო საქონელთა ფასიც ამგვარადვე განსაზღვრება არა წმინდა ოქრო–ვერცხლის იმ რაოდენობის მიხედვით, რომლის შემცველი უნდა ყოფილიყო მონეტა, არამედ იმ რაოდენობის მიხედვით, რომელსაც საშუალოდ შეიცავს იგი ფაქტიურად, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს.

უნდა აღვნიშნო, რომ საქონელთა ფულად ფასად მე ყოველთვის ვგულისხმობ წმინდა ოქროს ან ვერცხლის რაოდენობას, რომელზედაც ისინი გაიყიდებიან, მონეტის სახელწოდების სრულიად ყურადღებაში მიუღებლად. მაგალითად, ედუარდ I-ის დროინდელი 6 შილინგი და 8 პენსი მე მიმაჩნია იმავე ფულად ფასად, როგორც ერთი გირვანქა სტერლინგი ჩვენს დროში, იმიტომ რომ ის 6 შილ. და 8 პენსი, რამდენადაც ამის განსჯა შეგვიძლია, წმინდა ვერცხლის ამავე რაოდენობას შეიცავდა.

თ ა ვ ი VI

საქონლის ფასის შემაღენელი ნაწილები

საზოგადოების ადრეულ და განუვითარებელ მდგომარეობაში, რომელიც წინ უძღოდა კაპიტალის დაგროვებას და მიწის მითვისებას კერძო საკუთრებად, შეფარდება სხვადასხვა საგნების მოსაპოვებლად საჭირო შრომის რაოდენობათა შორის წარმოადგენს, როგორც ეტყობა, ერთადრეთ გარეომებას, რომელიც შეძლება შეადგენდეს რაიმე სახელმძღვანელო წესს საგნების ერთი მეორეზე გაცვლისათვის. თუ, მაგალითად, მონადირე ხალხში წავის მოკვლას ჩვეულებრივ ორჯერ მეტი შრომა სჭირდება, ვიდრე ირმის მოკვლას, იმ შემთხვევაში – ბუნებრივია – ერთი წავი ორ ირემზე გაიცვლება ანუ ორი ირმის ღირებულებისა იქნება. სრულიად ბუნებრივია, რომ პროდუქტი, რომლის დამზადებას ჩვეულებრივ ორი დღის ან ორი საათის შრომა სჭირდება, ორჯერ მეტი ღირებულების იქნება, ვიდრე ის პროდუქტი, რომელიც ერთი დღის ან ერთი საათის შრომით დამზადდება.

თუ ერთი სახის შრომა უფრო ძნელი არის, ვიდრე მეორე სახისა, – ბუნებრივია, რომ გასამრჯელო იანგარიშება ამ მეტი სიმძნელისათვის, და ამიტომ ერთსაათიანი უფრო ძნელი შრომის პროდუქტი შეიძლება ხშირად გაიცვალოს ორსაათიანი უფრო ადვილი შრომის პროდუქტზე.

ანდა, თუ ერთი სახის შრომა არაჩვეულებრივი ხარისხის დახელოვნებასა და ოსტატობას მოითხოვს, – ის პატივისცემა, რომლითაც ადამიანები ეპყრობიან ასეთ უნარს, ამ უკანასკნელის პროდუქტს მიაკუთვნებს იმაზე მეტ ღირებულებას, რაც მასზე დახარჯულ დროს შეესაბამება. ასეთი უნარი იშვიათად შეიძლება შეძენილ იქნეს ხანგრძლივი სწავლის გარეშე, და მისი პროდუქტის უფრო დიდი ღირებულება ხშირად წარმოადგენს მხოლოდ გონივრულ ანაზღაურებას იმ დროისა და შრომისათვის, რომელიც უნდა დახარჯულიყო ამ უნარის შესაძენად. განვითარებულ საზოგადოებაში ასეთი ანაზღაურება უფრო დიდი სიმძნელისა და ოსტატობისათვის ჩვეულებრივ ჩაითვლება შრომის ხელფასში; ალბათ, რაიმე ამის მსგავსს ადგილი ჰქონდა საზოგადოების განვითარების უფრო ადრეულ პერიოდშიც.

ასეთ ვითარებაში შრომის მთელი პროდუქტი ეკუთვნის მშრომელს, და ამა თუ იმ საქონლის მოსაპოვებლად ან დასამზადებლად ჩვეულებრივ დახარჯული შრომის რაოდენობა არის ერთადერთი გარემოება, რაც განსაზღვრავს იმ შრომის რაოდენობას, რომელიც შეიძლება იმ საქონლით იყიდოს ადამიანმა. მიიღოს თავის განკარგულებაში ანუ მოიპოვოს მასზე გაცვლის გზით.

როგორც კი კაპიტალი მოგროვდება კერძო პირთა ხელში, ზოგნი მათგანი, რასაკვირველია, ამ კაპიტალს გამოიყენებენ იმისათვის, რომ სამუშაოზე დააყენონ ბევრთი ადამიანები, რომლებსაც ისინი მიაწოდებენ მასალას და საარსებო საშუალებებს, რათა მოგება ნახონ მათი შრომის პროდუქტის გაყიდვით ანუ იმით, რასაც მათი შრომა ჰმატებს მასალის ღირებულებას. მზა პროდუქტის ფულზე, შრომაზე ან სხვა პროდუქტზე გაცვლისას, გარდა იმისა, რაც საჭიროა მასალის ფასისა და შრომის ხელფასის გადასახდელად, კიდევ რაოდენიმე თანხა უნდა მიეცეს მოგებად მესარეწეს, რომელმაც თავისი კაპიტალის რისკი გასწია ამ სახიფათო საქმეში. ამიტომ ის ღირებულება, რომელსაც მუშები ჰმატებენ მასალების ღირებულებას, თვით იყოფა ამ შემთხვევაში ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი იხდის

მუშების ხელფასს, ხოლო მეორე შეადგენს მესარეწის მოგებას მთელ კაპიტალზე, რომელიც მან ავანსად გაიღო მასალისა და ხელფასის სახით. მას არავითარი ინტერესი არ ექნებოდა დაეჭირავებია ეს მუშები, უკეთუ იმის მოლოდინი არ ექნებოდა, რომ მათი ნაწარმის გაყიდვით იგი აიღებდა რაიმეს იმაზე მეტად, რაც საკმარისია მარტოდენ მისი კაპიტალის ასანაზღაურებლად; და მას აგრეთვე არ ექნებოდა ინტერესი დაეხარჯა დიდი კაპიტალი, და არა პატარა, უკეთუ მისი მოგება შეფარდებული არ იქნებოდა მისი კაპიტალის სიდიდესთან.

შეადლებელის იფიქრონ, რომ კაპიტალის მოგება მარტოდენ სხვა სახელწოდებაა ხელფასისა განსაკუთრებული სახის შრომისათვის, – საქმის სამეთვალყურეო და საგამგებლო შრომისათვის. მაგრამ ეს მოგება სრულიად არ ჰგავს შრომის ხელფასს, წესრიგდება სულ სხვა პრინციპებით და არავითარ შეფარდებაში არ იმყოფება იმ ნაგულისხმევი სამეთვალყურეო და იმ საგამგებლო შრომის რაოდენობასა, სიძნელესა და სირთულესთან. მოგება ყოველთვის განისაზღვრება გამოყენებული კაპიტალის ღირებულების მიხედვით, და იგი უფრო დიდია ან უფრო პატარა არის ამ კაპიტალის სიდიდის შესაბამისად. ვიგულისხმობთ, მაგალითად, რომ რომელსამე ადგილას, სადაც სამრეწველო კაპიტალის მოგება 10%-ს შეადგენს, ორი სხვადასხვა მანუფაქტურა არსებობს, რომელთაგან თითოეულში მუშაობს 20 მუშა 15 გირვ. სტერლ. ხელფასით, ე. ი. თითოეულ მანუფაქტურაში იხარჯება ხელფასად 300 გირვ. სტერლინგი წელიწადში. ვიგულისხმობთ, შემდეგ, რომ ნედლი ტლანქი მასალა, რომელიც ერთ მანუფაქტურაში დამუშავდება წლიურად, ღირს მხოლოდ 700 გირვ. სტერლ., მაშინ როდესაც უფრო ძვირფასი ნედლეული მეორე მანუფაქტურისათვის ღირს 7000 გირვ. სტერლინგი. ამ შემთხვევაში კაპიტალი, რომელიც იხარჯება ყოველწლიურად პირველ მანუფაქტურაში, იქნება მხოლოდ 1000 გირვანქა, ხოლო მეორე მანუფაქტურაში დახარჯული – 7300 გირვანქა. მაშასადამე, 10% ნორმის მიხედვით პირველი მანუფაქტურის მესარეწეს მოლოდინი ექნება დაახლოებით 100 გირვანქა წლიური მოგების, მაშინ როდესაც მეორე მანუფაქტურის მესარეწეს – 730 გირვანქისა. მაგრამ, თუმცა მათი მოგება ესოდენ განსხვავებულია ერთი მეორისაგან, მათი სამეთვალყურეო და საგამგებლო შრომა შეიძლება ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი იყოს. ბევრ დიდ მანუფაქტურაში თითქმის მთელი ამგვარი შრომა რომელსამე მთავარ მოსამსახურეს აქვს დაკისრებული. მისი ხელფასი ნამდვილად ამ სამეთვალყურეო და საგამგებლო შრომის ღირებულებას გამოსახავს. თუმცა ამ ხელფასის დაწესებისას ჩვეულებრივ მხედველობაში მიიღება არა მარტო მისი შრომა და დახელოვნება, არამედ მისდამი აღმოჩენილი ნდობაც. მაგრამ მაინც ეს ხელფასი არასოდეს არ იმყოფება შესაბამისს შეფარდებაში იმ კაპიტალთან, რომლის წარმართვასაც იგი მეთვალყურეობს. ამ კაპიტალის მფლობელი კი, თუმცა იგი, ამრიგად, თითქმის სრულიად განთავისუფლებულია ყოველგვარი შრომისაგან, მაინც მოელის, რომ მისი მოგება იქნება შესაბამისს შეფარდებაში მისი კაპიტალის მიმართ. ამიტომ საქონელთა ფასში კაპიტალის მოგება წარმოადგენს შრომის ხელფასისაგან სრულიად განსხვავებულ შემადგენელ ნაწილს, რომელიც სულ სხვა პრინციპის მიხედვით წესრიგდება.

საქმის ასეთ ვითარებაში მშრომელს ყოველთვის არ ეკუთვნის მისი შრომის მთელი პროდუქტი. უმრავლეს შემთხვევაში მან ეს უნდა გაუნაწილოს კაპიტალის მესაკუთრეს, რომელიც მას ქირაობს. ამ შემთხვევაში შრომის რაოდენობა, რომელიც ჩვეულებრივ იხარჯება ამა თუ იმ საქონლის მოსაპოვებლად ან საწარმოებლად, არ წარმოადგენს ერთადერთ გარემოებას, რაც განსაზღვრავს იმ შრომის რაოდენობას, რომელიც მით შეიძლება იყიდოს ადამიანმა, მიიღოს თავის განკარგულებაში ან

მოიპოვის გაცვლის გზით. ცხადია, რომ დამატებითი რაოდენობა უნდა ხვდეს წილად მოგების სახით კაპიტალს, რომელიც ავანსად გაღებული იყო შრომის ხელფასად და იმ შრომისთვის მასალის მისაწოდებლად.

მას შემდეგ რაც მთელი მიწა ამა თუ იმ ქვეყანაში კერძო საკუთრებად იქცა, მემამულეებს, ყველა სხვა ადამიანთა მსგავსად, უყვართ მომკონ იქ, სადაც არ უთესნიათ, და ისინი მიწის ბუნებრივი პროდუქტისთვისაც კი რენტას მოითხოვენ. ახალ მყარდება განსაზღვრული დამატებითი ფასი ხისთვის ტყეში, ბალახისთვის მინდორში და მიწის ყველა ბუნებრივი ნაყოფისთვის, რომელიც წინათ, როდესაც მიწა საერთო საკუთრებას შეადგენდა, მშრომელს არა უღირდა რა, გარდა იმ შრომისა, რომელიც მის მოგროვებას სჭირდებოდა. მშრომელმა ახლა სასყიდელი უნდა იხადოს იმ ბუნებრივ ნაყოფთა მოგროვების ნებართვაში და მემამულეს უნდა აძლიოს ნაწილი იმისა, რასაც მისი შრომა მოაგროვებს ან აწარმოებს. ეს ნაწილი ანუ, რაც იგივეა, ამ ნაწილის ფასი შეადგენს მიწის რენტას, და ეს რენტა შეადგენს მეტწილ საქონელთა ფასის მესამე შემადგენელ ნაწილს.

ფასის ყველა სხვადასხვა შემადგენელ ნაწილთა ნამდვილი ღირებულება – და ეს ყურადღება მისაქცევია – განისაზღვრება იმ შრომის რაოდენობით, რომელიც ადამიანს შეუძლია თითოეული მათგანით იყიდოს ან მიიღოს თავის განკარგულებაში. შრომა განსაზღვრავს არა მარტო ფასის იმ ნაწილის ღირებულებას, რომელიც შრომის ხელფასზე მოდის, არამედ იმ ნაწილების ღირებულებასაც, რომლებიც რენტასა და მოგებაზე მოდის.

ყოველ საზოგადოებაში ყველა საქონლის ფასი ბოლოს და ბოლოს იშლება ერთ ან მეორე ნაწილად იმ სამში ან ყველა ამ სამ ნაწილად, და ყოველ განვითარებულ საზოგადოებაში ყველა ეს სამი შემადგენელი ნაწილი მეტნაკლებ შედის საქონელთა დიდი უმრავლესობის ფასში.

მაგალითად, პურის ფასში მისი ერთი ნაწილი იხდის მემამულის რენტას, მეორე ნაწილი – შრომის ხელფასს ანუ მუსებისა და მუშა საქონლის შესანახს, რომელნიც წარმოებაში გამოიყენებიან, და მესამე ნაწილი – ფერმერის მოგებას. ეს სამი ნაწილი შეადგენს, როგორც სჩანს, უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით პურის მთელ ფასს. შემლებოდა ეფიქრა ადამიანს, რომ საჭიროა კიდევ მეოთხე ნაწილი ფერმერის კაპიტალის ასანაზღაურებლად, ე. ი. მისი მუშა საქონლის და სხვა სამეურნეო იარაღების გაცვეთის ასანაზღაურებლად. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყოველი სამეურნეო იარაღის, მაგალითად, მუშა ცხენის, ფასი, თავის მხრივ, შესდგება ასეთივე სამი ნაწილისაგან: რენტისაგან მიწისთვის, რომელზედაც ეს ცხენი იკვებებოდა, შრომისაგან, რომელიც მის გამოზრდასა და შენახვაზე დახარჯული, და მოგებისაგან ფერმერისა, რომელმაც ავანსად გაიღო მიწის რენტა და შრომის ხელფასი. ამიტომ, თუმცა პურის ფასი ჰფარავს ცხენის ფასს და შესანახს, მთელი ფასი მაინც იშლება – უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით – იმ სამ შემადგენელ ნაწილად: რენტად, შრომის ხელფასად და მოგებად.

ფქვილის ფასში ჩვენ ხორბლის ფასს უნდა მივუმატოთ მეწისქვილის მოგება და მისი მუშების ხელფასი; გამომცხვარი პურის ფასში – მეპურის მოგება და მისი მუშების ხელფასი, ხოლო ორსავე შემთხვევაში – ის შრომა, რომელიც გაწეული იყო ხორბლის ტრანსპორტისთვის ფერმერის სახლიდან მეწისქვილის სახლამდე და მეწისქვილის სახლიდან მეპურის სახლამდე, აგრეთვე იმათი მოგება, რომელთაც ავანსად გაიღეს ამ შრომის ხელფასი.

სელის ფასი იშლება იმავე სამ ნაწილად, როგორც პურის ფასი. ტილოს ფასში ჩვენ სელის ფასს უნდა მივუმატოთ სელის მომმზადებლის, მრთველის, ფეიქრისა და სხვათა ხელფასი, აგრეთვე მათი დამქირავებლის მოგება.

რაც უფრო მეტ გადამუშავებას განიცდის რომელიმე საქონელი, მით უფრო დიდი ხდება ფასის ის ნაწილი, რომელიც ხელფასსა და მოგებაზე მოდის, იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც რენტაზე მოდის. გადამუშავების პროცესის განვითარებაში არა მხოლოდ იზრდება მოგებათა რიცხვი, არამედ ყოველი შემდგომი მოგება წინა სტადიაზე მიღებულ მოგებაზე უფრო დიდი არის, ვინაიდან კაპიტალი, რომლიდანაც იგი მომდინარეობს, ყოველთვის უფრო და უფრო დიდი უნდა იყოს. კაპიტალი, რომელიც, მაგალითად, ფეიქრებს ამუშავებს, იმ კაპიტალზე უფრო დიდი უნდა იყოს, რომელიც მრთველებს ამუშავებს, იმიტომ რომ იგი არა მხოლოდ ანაზღაურებს უკანასკნელ კაპიტალს მისი მოგებითურთ, არამედ, გარდა ამისა, იხდის ფეიქრების ხელფასს, ხოლო მოგება ყოველთვის განსაზღვრულ შეფარდებაში უნდა იყოს კაპიტალის მიმართ.

მაგრამ უადრესად განვითარებულ საზოგადოებაშიც კი ყოველთვის მოიპოვება მცირე რაოდენობა ისეთ საქონელთა, რომელთა ფასი მხოლოდ ორ ნაწილად – სახელდობრ შრომის ხელფასად და კაპიტალის მოგებად – იშლება; და მოიპოვება კიდევ უფრო მცირე რაოდენობა საქონელთა, რომლების ფასი მხოლოდ შრომის ხელფასისგან შესდგება. მაგალითად, ზრვის თევზის ფასში ერთი ნაწილი ისტუმრებს მეთევზის შრომას, ხოლო მეორე ნაწილი იმ კაპიტალის მოგებას, რომელიც თევზის ჭერაზეა დახარჯული. რენტა ძალიან იშვიათად შედის შემადგენელ ნაწილად ამ ფასში, თუმცა ამას ზოგჯერ აქვს ადგილი, როგორც მე მკითხველს დავანახებ შემდეგში. სხვაგვარადაა საქმე, ყოველ შემთხვევასი ევროპის უდიდესი ნაწილისათვის, სამდინარო მეთევზეობაში. კალმახის დაჭერისთვის იხდიან რენტას, და იგი, თუმცა მას არ შეიძლება ეწოდოს მიწის რენტა, ისევე შეადგენს კალმახის ფასის ნაწილს, როგორც ხელფასი და მოგება. შოტლანდიის ზოგ ადგილებში ზოგიერთი ღარიბები იმ მოსაქმეობას ეწევიან, რომ ზღვის ნაპირის გასწვრივ აგროვებენ წვრილ ჭრელ ქვებს, რომლებიც შოტლანდიის კენჭების სახელწოდებითაა საყოველთაოდ ცნობილი. ფასი, რომელსაც მათ აძლევს ამ კენჭებში ქვის მთელი, წარმოადგენს მართოდენ ხელფასს მათი შრომისათვის; ამ ფასში არ შედის არც რენტა, არც მოგება.

მაგრამ ყოველი საქონლის ფასი, საბოლოო ანგარიშით, უნდა დაიშალოს ერთ ან მეორე ან ყველა ამ სამ ნაწილად, ვინაიდან ფასის ყოველი ნაწილი, რომელიც რჩება მიწის რენტის გადახდის შემდეგ და მთელი იმ შრომის ფასის გადახდის შემდეგ, რომელიც დახარჯული იყო მასალი მოპოვებაზე, დამუშავებაზე და ბაზარში მიტანაზე, აუცილებლობის გზით უნდა შეადგენდეს ვინმეს მოგებას.

რადგან ყოველი ცალკე საქონლის, განცალკევებულად აღებული, ფასი ანუ საცვლელი ღირებულება ერთ-ერთ ან ყველა ამ სამ ნაწილად იშლება, მაშ ასეთ სამ ნაწილადვე უნდა იშლებოდეს ფასი ანუ საცვლელი ღირებულება ყველა საქონელთა, ერთად აღებული, რომელნიც ყოველი ქვეყნის შრომის მთელ წლიურ პროდუქტს შეადგენენ, და უნდა ნაწილდებოდეს მოცემული ქვეყნის სხვადასხვა მცხოვრებთ შორის ან მათი შრომის ხელფასის სახით, ან მათი კაპიტალის მოგების სახით, ანდა მათი მიწის რენტის სახით. ამ წესით განაწილდება თავდაპირველად საზოგადოების სხვადასხვა წევრთ შორის ყველაფერი, რაც ყოველწლიურად ამ საზოგადოების შრომით მოიპოვება ან იწარმოება, ანუ, რაც იგივე არის, შრომის წლიური პროდუქტის მთელი ფასი. ხელფასი, მოგება და რენტა არის თავდაპირველი წყარო ყოველი

შემოსავლის, ისე როგორც ყოველი საცვლელი ღირებულებისა. ყოველი სხვა შემოსავალი ერთ-ერთ ამ წყაროდან გამომდინარეობს.

ყოველმა ადამიანმა, რომელიც მისდამი კუთვნილი ფონდიდან იღებს თავის შემოსავალს, უნდა მიიღოს იგი ან თავისი შრომიდან, ან თავისი კაპიტალიდან, ანდა თავისი მიწიდან. შრომიდან მომდინარე შემოსავალს ხელფასი ეწოდება; შემოსავალს, რასაც იღებს კაპიტალიდან ის პირი, რომელიც ამ კაპიტალს განაგებს ან საქმეში გამოიყენებს, მოგება ეწოდება; შემოსავალს, რაც კაპიტალიდან მიიღება იმ პირის მიერ, რომელიც თვითონ არ გამოიყენებს მას საქმეში, არამედ სხვას მიასესხებს, ინტერესი ანუ სარგებელი ეწოდება. იგი წარმოადგენს სასყიდელს, რასაც მსესხებელი უხდის გამსესხებელს იმ მოგებისათვის, რომლის მიღების შემთხვევა მას ეძლევა ამ ფულის გამოყენების გზით. ამ მოგების ნაწილი, რასაკვირველია, ეკუთვნის სესხის ამღებს, რომელიც ეწევა რისკს და კისრულობს ზრუნვას კაპიტალის გამოსაყენებლად, ხოლო მეორე ნაწილი ეკუთვნის გამსესხებელს, რომელიც სესხის ამღებს ამღევს მოგების მიღების შესაძლებლობას. ფულის სარგებელი ყოველთვის წარმოადგენს გამომდინარე შემოსავალს, რომელიც უკეთუ ვერ გადაიხდება ამ ფულის გამოყენებით მიღებული მოგებიდან, გადახდილი უნდა იქნეს შემოსავლის რაიმე სხვა წყაროდან, რამდენადაც, რასაკვირველია, სესხის ამღები არაა ამღები, რომელიც ახალ ვალს იღებს პირველი ვალის სარგებლის გადასახდელად. შემოსავალს, რომელიც მთლად მიწიდან მიიღება, ეწოდება რენტა და იგი მემამულეს ეკუთვნის. ფერმერის შემოსავალი მიიღება ნაწილობრივ მისი შრომიდან, ნაწილობრივ მისი კაპიტალიდან. ფერმერისთვის მიწა მარტოდენ საშუალებაა, რომელიც მას შესაძლებლობას ამღევს თავისი შრომისთვის ხელფასი მოიმკოს და თავისი კაპიტალიდან მოგება მიიღოს. ყველა ხარკი და მასზე დამყარებული ყოველი შემოსავალი, – ყველა ჯამაგირი, ყველა პენსია, ყოველგვარი წლიური სარენტო შემოსავალი, – საბოლოო ანგარიშით შემოსავლის ერთ-ერთი ამ სამი თავდაპირველი წყაროდანაა გამომდინარე და გადაიხდება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შრომის ხელფასიდან, კაპიტალის მოგებიდან ან მიწის რენტიდან.

როდესაც შემოსავლის ეს სხვადასხვა სახეები სხვადასხვა პირთ ეკუთვნის, მათ ადვილად გაარჩევენ ერთი მეორისაგან, მაგრამ როდესაც ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის, მათ, ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ ლაპარაკში, არა იშვიათად ერთმანეთში ურევენ.

მემამულე, რომელიც თვითონ ეწევა თავისი მამულის ნაწილის დამუშავებას, მიწის დამუშავების ხარჯების დაფარვის შემდეგ იღებს მემამულის რენტასაც და ფერმერის მოგებასაც. მაგრამ მას მიდრეკილება აქვს მთელ თავის ანაღებს მოგება უწოდოს და ამგვარად, ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ ლაპარაკში, რენტას მოგებაში ურევს. ჩვენი ჩრდილო-ამერიკის და ვესტ-ინდოეთის პლანტატორების უმრავლესობა ამ მდგომარეობაში იმყოფება. ისინი მეტწილად თვითონ ეწევიან მეურნეობას თავის მამულებში, და ამიტომ ჩვენ იშვიათად გვესმის პლანტაციის რენტის შესახებ, ხოლო ხშირად გვესმის პლანტაციიდან მიღებული მოგების შესახებ.

ჩვეულებრივ ფერმერებს იშვიათად ჰყავთ დაჭერილი განსაკუთრებული მოურავი ფერმის მთავარი ოპერაციების საგამგებლოდ. ისინი ჩვეულებრივ თვითონ ასრულებენ თავიანთი ხელით დიდწილ სამუშაოს, თვითონ ხნავენ და ფარცხავენ და სხვა. ამიტომ მოსავლის გარდამეტმა, რომელიც რჩება რენტის გადახდის შემდეგ, უნდა აუნაზღაუროს მათ არა მხოლოდ მიწის დამუშავებაზე დახარჯული კაპიტალი მისი ჩვეულებრივი მოგებითურთ, არამედ უნდა გადაუხადოს აგრეთვე შრომის ხელხასი, რომელიც ერგება მათ როგორც მუშებს და როგორც მოურავებს. მაგრამ

ისინი მაინც იმ გარდამეტს, რაც რჩება რენტის გადახდისა და კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ, მოგებას უწოდებენ. ნამდვილად კი ამ გარდამეტის ნაწილს, ცხადია, შრომის ხელფასი შეადგენს. ფერმერმა, რომელმაც დაზოგა ეს ხელფასი, თვითონ უნდა მიიღოს იგი აუცილებლად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში შრომის ხელფასი შერეულია მოგებაში.

დამოუკიდებელი ვინმე ხელოსანი, რომელსაც საკმაო კაპიტალი აქვს იმისათვის, რომ მასალა იყიდოს და თავი შეინახოს, ვიდრე ნაწარმოებს ბაზარზე გაიტანდეს, იღებს როგორც იმ დღიური მუშის ხელფასს, რომელიც მესარეწის ხელქვეშ მუშაობს, ისე მოგებასაც, რომელსაც მესარეწე ნახულობს დღიური მუშის ნაწარმის გაყიდვით. მაგრამ მაინც მთელ მის მონაგარს მოგებას უწოდებენ ჩვეულებრივ, და ამრიგად ამ შემთხვევაშიც შრომის ხელფასს მოგებაში ურევენ.

მეზოსტენში, რომელიც თავისი საკუთარი ბოსტნის დამუშავებას ეწევა თავისი ხელით, სამი სხვადასხვა პიროვნებაა შეერთებული: მემამულე, ფერმერი და მუშა. ამიტომ მისმა პროდუქტმა მას უნდა გადაუხადოს პირველის რენტა, მეორის მოგება და მესამის ხელფასი. მიუხედავად ამისა, მთელი მისი მონაგარი ჩვეულებრივ მისი შრომის შემოსავლად ითვლება. ამ შემთხვევაში რენტას და მოგებასაც შრომის ხელფასში ურევენ.

რადგან ცივილიზებულ ქვეყანაში მოიპოვება მარტოდენ მცირე რიცხვი საქონელთა, რომელთა საცვლელი ღირებულება მხოლოდ შრომით იქმნება, და საქონელთა უმრავლესობის საცვლელი ღირებულება დიდწილად რენტას და მოგებას შეიცავს, ამიტომ ამ ქვეყნის შრომის წლიური პროდუქტი ყოველთვის საკმარისია იმისათვის, რომ შესყიდულ იქნეს ან განკარგულებაში მიღებულ იქნეს შრომის ბევრად უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე მისი ის რაოდენობაა, რომელიც დახარჯული იყო ამ პროდუქტის მოსაპოვებლად, დასამუშავებლად და ბაზარზე მისატანად. საზოგადოება რომ ყოველწლიურად მთელ იმ შრომას ხმარობდეს საქმეში, რომლის ყიდვა მას შეუძლია ყოველწლიურად, იმ შემთხვევაში იმის გამო, რომ ამ შრომის რაოდენობა ყოველ წელიწადს მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, ყოველი შემდგომი წლის პროდუქტს გაცილებით მეტი ღირებულება ექნებოდა, ვიდრე წინა წლის პროდუქტს. მაგრამ ისეთი ქვეყანა არ არსებობს, სადაც მთელი წლიური პროდუქტი მხოლოდ იმ პირთა შესანახად მოიხმარებოდა, რომელნიც შრომას ეწევიან. ყველგან ამ პროდუქტის დიდი ნაწილი მოიხმარება უქმი ადამიანების მიერ, და იმის მიხედვით, თუ რა პროპორციით განაწილდება ეს პროდუქტი ადამიანთა ამ ორ კლასს შორის, მისმა ჩვეულებრივმა ანუ საშუალო ღირებულებამ ყოველწლიურად უნდა იმატოს ან იკლოს ანდა უცვლელი დარჩეს წლიდან წლამდე.

თავი VII

საქონლის ბუნებრივი და საბაზრო ფასი

თითოეულ საზოგადოებაში ანუ თითოეულ მხარეში არსებობს ხელფასისა და მოგების ჩვეულებრივი ნორმა შრომისა და კაპიტალის ყოველი სხვადასხვა გამოყენებისას. ეს ნორმა, როგორც მე შემდგომ დავანახებ მკითხველს, ბუნებრივად წესრიგდება ნაწილობრივ საზოგადოების საერთო პირობებზე დამოკიდებულებით, მის სიმდიდრესა და სიღარიბეზე, მის წინსმვლელობასა თუ უძრაობაზე

დამოკიდებულებით, ნაწილობრივაც შრომისა და კაპიტალის თითოეული გამოყენების განსაკუთრებულ ხასიათზე დამოკიდებულებით.

ასევე თითოეულ საზოგადოებაში ანუ თითოეულ მხარეში არსებობს რენტის ჩვეულებრივი ანუ საშუალო ნორმა, რომელიც, როგორც მე შემდგომ დავანახებ მკიხველს, აგრეთვე წესრიგდება ნაწილობრივ იმ საზოგადოების ანუ მხარის საერთო პირობებით, სადაც მიწა მდებარეობს, ნაწილობრივაც ნიადაგის ბუნებრივი ან ხელოვნური ნაყოფიერობით.

ამ ჩვეულებრივ ანუ საშუალო ნორმებს შეიძლება ეწოდოს ხელფასის, რენტისა და მოგების ბუნებრივი ნორმები იმ დროისა და ადგილისათვის, როდესაც და სადაც მათ ადგილი აქვთ უპირატესად.

თუ რომელიმე საქონლის ფასი იმაზე არც მეტია და არც ნაკლები, რაც საკმარისია მიწის რენტის, შრომის ხელფასისა და იმ კაპიტალის მოგების გადასახდელად, – მათი ბუნებრივი ნორმების მიხედვით, – რომელიც ამ საქონლის მოპოვებაზე, დამზადებაზე და ბაზრამდე მიტანაზეა დახარჯული, მაშინ აღნიშნული საქონელი იმ ფასში იყიდება, რასაც მისი ბუნებრივი ფასი შეიძლება ეწოდოს.

საქონელი ამ შემთხვევაში სწორედ იმად გაიყიდება, რა ღირებულებაც მას აქვს, ე.ი. რადაც იგი უღირს ნამდვილად იმ პირს, რომელსაც ის ბაზარზე მიაქვს; ვინაიდან, თუმცა ჩვეულებრივ ენაზე საქონლის ნასყიდობის ფასი არ შეიცავს მისი ხელახლა გამყიდველის მოგებას, მაინც ეს პირი, თუ იგი საქონელს ისეთ ფასად ჰყიდის, რაც მას არ აძლევს მოგების იმ ნორმას, რომელიც ჩვეულებრივია მის მხარეში, – ეს პირი მაშინ, ცხადია, ზარალს განიცდის ასეთი სავაჭრო ოპერაციით: მას ხომ შეეძლო თავისი კაპიტალის სხვაგვარად გამოყენების გზით მიეღო ეს მოგება. მისი მოგება, გარდა ამისა, შეადგენს მის შემოსავალს, ნამდვილ ფონდს, საიდანაც იგი იღებს საშუალებას თავისი არსებობისთვის. როგორც იგი იმ დროის განმავლობაში, როდესაც თავის საქონელს ამზადებს და ბაზარზე გააქვს, ავანსად აძლევს თავის მუშებს მათ ხელფასს ანუ საარსებო საშუალებებს, სწორედ ისევე იგი ავანსად აძლევს თავის თავს საარსებო საშუალებებს, რომლებიც ჩვეულებრივ შეფარდებულია იმ მოგებასთან, რომლის მიღებას იგი მოელის- გონივრული ანგარიშით – თავისი საქონლის გაყიდვიდან. და ამიტომ, თუ საქონელი მას არ აძლევს ამ მოგებას, – შეიძლება ითქვას, იგი არ უნაზღაურებს მას იმას, რადაც ეს საქონელი მას უღირდა ნამდვილად.

თუმცა, ამრიგად, ის ფასი, რომელიც მას ამ მოგებას აძლევს, არაა ყოველთვის უდაბლესი ფასი, რადაც ზოგჯერ ვაჭარმა შესაძლებელია გაჰყიდოს თავის საქონელის, მაგრამ იგი მაინც არის ის უდაბლესი ფასი, რადაც ვაჭარი მზად არის ჰყიდოს ეს საქონელი რაოდენადმე ხანგრძლივი დროსი განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც არსებობს სრული თავისუფლება ან სადაც მას შეუძლია სურვილისამებრ თავისი მოსაქმეობის გამოცვლა.

ფაქტიურ ფასს, რადაც ჩვეულებრივ გაიყიდება საქონელი, ეწოდება მისი საბაზრო ფასი. იგი შეიძლება ან აღემატებოდეს მის ბუნებრივ ფასს, ამ იყოს მასზე დაბალი, ან სავსებით უდრიდეს მას.

თითოეული ცალკე საქონლის საბაზრო ფასი განისაზღვრება შეფარდებით ფაქტიურად ბაზარზე მოტანილ მის რაოდენობასა და მის მიმართ იმ მხრივ მოთხოვნას შორის, რომელნიც მზად არიან გადაიხადონ მისი ბუნებრივი ფასი ანუ სრული ღირებულება რენტის, შრომისა და მოგებისა, რაც გაღებული უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ საქონელი მოტანილიყო ბაზარზე. ასეთ პირთ შეიძლება ეწოდოს ნამდვილი მომთხოვნელი და მათ მოთხოვნას – ნამდვილი მოთხოვნა, ვინაიდან ეს მოთხოვნა საკმარისია იმისათვის, რომ გამოიწვიოს საქონლის მოტანა

ბაზარზე. იგი განირჩევა აბსოლუტური მოთხოვნისაგან. სრულიად ღარიბი ადამიანის შესახებ შეიძლება განსაზღვრული აზრით ითქვას, რომ მას ექვსცხენიანი ეტლის მოთხოვნა აქვს; მას შეიძლება სურდეს ჰქონდეს იგი; მაგრამ მისი მოთხოვნა წარმოადგენს ნამდვილ მოთხოვნას, ვინაიდან არასოდეს არ შეიძლება საქონელი მოტანილ იქნეს ბაზარზე მის დასაკმაყოფილებლად.

უკეთეს ბაზარზე მოტანილი საქონლის რაოდენობა მცირე გამოდგა ნამდვილი მოთხოვნისათვის, მაშინ ის პირნი, რომელნიც მზად არიან გადაიხადონ რენტის, ხელფასისა და მოგების მთელი ღირებულება, რაც გაღებული უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ საქონელი მოტანილიყო ბაზარზე, – ის პირნი ყველანი ვერ მიიღებენ საქონლის იმ რაოდენობას, რომელიც მათ ესაჭიროებათ. რათა სულ უსაქონლოდ არ დარჩნენ, ზოგნი მათგანი არჩევენ საქონელში მეტი გადაიხადონ. მათ შორის მაშინვე დაიწყება კონკურენცია, და საბაზრო ფასი ბუნებრივ ფასთან შედარებით მეტნაკლებ მაღლა აიწევს იმის მიხედვით, თუ რამდენად გაამწვავებს კონკურენციას საქონლის მიწოდების ნაკლებობა ან მეტოქეთა სიმდიდრე და ბედოვლათობა. თუ მეტოქენი ერთნაირად მდიდარნი და ბედოვლათობისადმი ერთნაირი მიდრეკილების მქონენი არიან, საქონლის განსაზღვრული ნაკლებობა იწვევს მეტნაკლებ გამწვავებულ კონკურენციას იმის მიხედვით, თუ რაოდენ მეტად ან ნაკლებ მნიშვნელოვანია მათთვის იმ საქონლის შეძენა. აქედან აიხსნება საარსებო საშუალებათა უზომოდ მაღალი ფასი ქალაქის გარემოცულობის დროს ან შიმშილობის დროს.

თუ ბაზარზე მოტანილი საქონლის რაოდენობა აღემატება ნამდვილ მოთხოვნას, მაშინ შეუძლებელია მთლად მისი გაყიდვა იმათზე, რომელნიც მზად არიან გადაიხადონ რენტის, ხელფასისა და მოგების მთელი ღირებულება, რაც გაღებული უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ საქონელი მოტანილიყო ბაზარზე. საქონლის განსაზღვრული ნაწილი იმათზე უნდა იქნეს გაყიდული, რომელნიც ნაკლებს იძლევიან, და მათ მიერ მასში მიცემულმა ამ დაბალმა ფასმა დაბლა უნდა დასწიოს მთელი საქონლის ფასი. საბაზრო ფასი მეტნაკლებ ბუნებრივ ფასზე დაბლა ეცემა, სახელდობრ იმის მიხედვით, თუ რამდენად მეტნაკლებ გაამწვავებს საქონლის მიწოდების სიჭარბე კონკურენციას გამყიდველებს შორის, ანუ რამდენად მეტნაკლებ მნიშვნელოვანია მათთვის დაუყოვნებლივ გაჰყიდონ თავიანთი საქონელი. ადვილგასაფუჭებელ საქონელთა იმპორტის სიჭარბე გაცილებით უფრო დიდ კონკურენციას იწვევს, ვიდრე გამძლე საქონელთა იმპორტისა, – მაგალითად, ფორთოხლების იმპორტი უფრო დიდს, ვიდრე ძველი რკინეულის იმპორტი.

თუ ბაზარზე მოტანილი საქონლის რაოდენობა სწორედ საკმარისია ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და მეტი არაა, მაშინ საბაზრო ფასი, რასაკვირველია, ან სრულიად ან დაახლოებით თანაემთხვევა ბუნებრივ ფასს. საქონლის მთელი არსებული რაოდენობა შესაძლებელია მაშინ გაყიდულ იქნეს ამ ფასად, მაგრამ არა უფრო მაღალ ფასად. კონკურენცია სხვადასხვა ვაჭრებს შორის აიძულებს მათ მიიღონ ეს ფასი, მაგრამ არ აიძულებს მიიღონ ნაკლები ფასი.

თითოეული საქონლის რაოდენობა, რომელიც ბაზარზე გამოიტანება, თავისთავად უფარდდება, რასაკვირველია, ნამდვილ მოთხოვნას. ყველა ის ადამიანები, რომელნიც თავიანთ მიწას, შრომას ან კაპიტალს გამოიყენებენ იმისათვის, რომ ბაზარზე გაიტანონ რაიმე საქონელი, დაინტერესებული არიან იმაში, რომ მისი რაოდენობა არ აღემატებოდეს ნამდვილ მოთხოვნას, ხოლო ყველა სხვა ადამიანთა ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ეს რაოდენობა არასოდეს არ იყოს ამ მოთხოვნაზე ნაკლები.

თუ რომელსამე მომენტში საქონლის რაოდენობა ბაზარზე აღემატება ნამდვილ მოთხოვნას, მაშინ მისი ესა თუ ის შემადგენელი ნაწილი მის ბუნებრივ ნორმაზე ნაკლებ უნდა იქნეს ფასგადახდილი. თუ ეს არის რენტა, – მემამულეებს მათი ინტერესი მაშინვე აიძულებს დამუშავებას გამოაცალონ თავიანთი მიწის ნაწილი; ხოლო თუ ეს არის შრომის ხელფასი ან მოგება, – მუშებს ერთ შემთხვევაში და მათ დამქირავებლებს მეორე შემთხვევაში მათი ინტერესი აიძულებს თავიანთი შრომის ან კაპიტალის ნაწილი გაიტანონ იმ განსაზღვრული წარმოებიდან. და ბაზარზე მოტანილი საქონელი მალე სწორედ საკმარისი აღმოჩნდება ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. საქონლის ყველა სხვადასხვა ნაწილი აიწევს თავის ბუნებრივ ნორმამდე და მთელი ფასი – ბუნებრივი ფასის დონემდე.

თუ, პირიქით, ბაზარზე მოტანილი საქონლის რაოდენობა რომელსამე მომენტში ნამდვილ მოთხოვნაზე ნაკლები არის, მაშინ მისი ფასის ამა თუ იმ შემადგენელმა ნაწილმა თავის ბუნებრივ ნორმაზე მაღლა უნდა აიწიოს. თუ ეს არის რენტა, მაშინ, რასაკვირველია, ინტერესი აიძულებს ყველა სხვა მემამულეებს მეტი მიწა მოამზადონ ამ საქონლის საწარმოებლად; თუ ეს არის შრომის ხელფასი ან მოგება, – ყველა დანარჩენ მუშებს და კაპიტალისტებს მათი ინტერესი მალე აიძულებს მეტი შრომა და კაპიტალი დახარჯონ ამ საქონლის დასამზადებლად და ბაზარზე მისატანად. და ბაზარზე გატანილი საქონლის რაოდენობა მალე საკმარისი გახდება ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. საქონლის ყველა სხვადასხვა ნაწილი მალე დაიწევს თავის ბუნებრივ ნორმამდე და მთელი ფასი – საქონლის ბუნებრივი ფასის დონემდე.

ამგვარად, ბუნებრივი ფასი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ცენტრალურ ფასს, რომლისადმი ყველა საქონელთა ფასებს მუდამ მიზიდულობა აქვს. სხვადასხვა შემთხვევით გარემოებებს შეუძლია ზოგჯერ მასზე ბევრად უფრო მაღალ დონეზე შეაჩეროს ისინი და ზოგჯერაც რაოდენადმე მასზე დაბლა დასწიოს. მაგრამ, როგორც უნდა იყოს დაბრკოლებები, რომელიც ფასებს ამ მყარი და მტკიცე ცენტრისგან გადაჰხრიან, მათ მაინც მისადმი აქვთ მუდამ მიდრეკილება.

იმ შრომის მთელი რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად იხარჯება იმისათვის, რომ რაიმე საქონელი ბაზარზე იქნეს გატანილი, რასაკვირველია, თავისთავად უფარდდება ამრიგად ნამდვილ მოთხოვნას; ამ შრომას ბუნებრივად ის მისწრაფება აქვს, რომ ბაზარზე გაიტანოს საქონლის სწორედ ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისი არის – და არა საკმარისზე მეტი – ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ წარმოების ზოგ დარგში შრომის ერთი და იგივე რაოდენობა სხვადასხვა წლებში საქონელთა ფრიად სხვადასხვა რაოდენობას აწარმოებს, მაშინ როდესაც სხვა დარგებში ეს რაოდენობა უცვლელია ან თითქმის უცვლელი არის. მუშების ერთი და იგივე რიცხვი სასოფლო მეურნეობაში აწარმოებს სხვადასხვა წლებში ხორბლის, ღვინის, ზეთის, სვისა და სხვ. ფრიად სხვადასხვა რაოდენობას, მაშინ როდესაც მრთველებისა და ფეიქრების ერთი და იგივე რიცხვი ყოველ წელს აწარმოებს ტილოსა და მაუდის ერთსა და იმავე ან თითქმის ერთსა და იმავე რაოდენობას. მრეწველობის რომელიმე დარგის მხოლოდ საშუალო პროდუქტი შეიძლება რაოდენადმე შეუფარდდეს ნამდვილ მოთხოვნას; და რადგან ფაქტიური პროდუქტი ხშირად საშუალო პროდუქტზე ბევრად უფრო დიდია და ხშირად ბევრად უფრო მცირეც არის, ამიტომ ბაზარზე გატანილ საქონელთ რაოდენობა ზოგჯერ ბევრად აღემატება ნამდვილ მოთხოვნას და ზოგჯერაც მასზე ბევრად უფრო მცირეც არის. ამიტომ, მოთხოვნა რომ კიდევ უცვლელი დარჩეს, საქონელთა საბაზრო

ფასი მაინც დიდ რყევას განიცდის, – ხან ბუნებრივ ფასზე ბევრად დაბლა არის და ხან მასზე ბევრად მაღლა იწევს. მრეწველობის სხვა დარგებში, სადაც შრომის ერთნაირ რაოდენობათა პროდუქტი ერთი და იგივე ან თითქმის ერთი და იგივე არის, ეს პროდუქტი შეიძლება უფრო ზედმიწევნით შეუფარდდეს ნამდვილ მოთხოვნას. და ამიტომ, სანამ ეს მოთხოვნა უცვლელი რჩება, საქონელთა საბაზრო ფასიც არ იცვლება და სრულიად თანაემთხვევა ან თითქმის თანაემთხვევა ბუნებრივ ფასს. რომ ტილოსა და მაუდის ფასი ისე ხშირ და ისე დიდ ცვლილებას ექვემდებარება, როგორც პურის ფასი, ამას საკუთარი გამოცდილება ეუბნება ყველა ადამიანს. ერთი სახის საქონელთა დასი იცვლება მხოლოდ მოთხოვნის ცვლილებასთან ერთად. მეორე სახის საქონელთა ფასი კი იცვლება არა მარტო მოთხოვნის ცვლილებასთან ერთად, არამედ აგრეთვე იმ საქონლის რაოდენობის უფრო დიდ და უფრო ხშირ ცვლილებასთან ერთად, რომელიც ბაზარზე გამოიტანება ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ყველა საქონლის საბაზრო ფასის შემთხვევითი და დროებითი რყევა უმთავრესად მისი ფასის იმ ნაწილებს შეეხება, რომლებიც ხელფასად და მოგებად იშლება. ეს რყევა ნაკლებ შეეხება მის იმ ნაწილს, რომელიც რენტად იშლება. ფულის სახით დაწესებული რენტა მით არავითარ გავლენას არ განიცდის არც თავის სიდიდეში, არც თავის ღირებულებაში. რენტა, რომელიც პროდუქტის განსაზღვრული წილის ან განსაზღვრული რაოდენობის სახით არის დაწესებული, განიცდის, უეჭველია, თავის წლიურ ღირებულებაში იმ პროდუქტის საბაზრო ფასის ყველა შემთხვევით და დროებითი რყევის გავლენას, მაგრამ იშვიათად განიცდის მით ცვლილებას თავის წლიურ ნორმაში. საიჯარო პირობების დაწესებისას მემამულე და ფერმერი ცდილობენ შეძლებისამებრ შეუფარდოს რენტის ნორმა არა პროდუქტის დროებით და შემთხვევით ფასს, არამედ საშუალო და ჩვეულებრივ ფასს.

ასეთი რყევა გავლენას ახდენს შრომის ხელფასის ან მოგების ღირებულებასა და ნორმაზე იმის მიხედვით, თუ რაოდენ ზომაზე მეტად ან ზომაზე ნაკლებ არის გავსებული ბაზარი საქონლით ან შრომით, – უკვე გაწეული შრომით ან ჯერ კიდევ გასაწევი შრომით. საზოგადოებრივი გლოვა მაღლა სწევს შავი ქსოვილების ფასს (რომლებიც ასეთ შემთხვევებში თითქმის ყოველთვის არა საკმარისად არის ბაზარი მომარაგებული) და ადიდებს იმ ვაჭრების მოგებას, რომლებსაც ამ ქსოვილების რაოდენადმე თვალსაჩინო რაოდენობა მოეპოვებათ. აღნიშნულ გლოვას არავითარი გავლენა არა აქვს ფეიქრების ხელფასზე. ბაზარი ნაკლებ მომარაგებულია საქონლით, არა შრომით, – უკვე გაწეული შრომით, არა გასაწევი შრომით. იგივე გლოვა ადიდებს მუშა-თერძების ხელფასს. ამ დარგში ბაზარი განიცდის შრომის ნაკლებობას. აქ არსებობს ნამდვილი მოთხოვნა მეტი შრომისა, მეტი გასაკეთებელი ნაწარმისა, ვიდრე ხელთ მოიპოვება. იმ გლოვის გამო დაბლა იწევს ფერადი აბრეშუმეულისა და შალეულის ფასი და ამგვარად მცირდება იმ ვაჭრების მოგება, რომლებსაც ამ ქსოვილების რაოდენადმე მნიშვნელოვანი მარაგი აქვთ. ასევე დაბლა იწევს იმ მუშების ხელფასი, რომლებიც ასეთ საქონელთა დამზადებაზე მოსაქმეობენ, ვინაიდან ყოველი მოთხოვნა ამ საქონელთა მიმართ სწყდება ექვსი თვით და, შესაძლებელია, ერთი წლითაც. ამ შემთხვევაში ბაზარი მეტად არის საქონლით და შრომით მომარაგებული.

თუმცა, ამგვარად, ყოველი ცალკე საქონლის საბაზრო ფასს მუდამ, თუ ასე შეიძლება ითქვას, ბუნებრივი ფასისაკენ აქვს მიზიდულობა, მაგრამ ზოგჯერ შემთხვევით გარემოებებს, ზოგჯერ ბუნებრივ მიზეზებს და ზოგჯერ მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებებს შეუძლია ხანგრძლივად გააჩეროს ბუნებრივ ფასზე მაღლა მრავალ საქონელთა ფასი.

როდესაც ნამდვილი მოთხოვნის გადიდების შედეგად რაიმე საქონლის საბაზრო ფასი ბუნებრივ ფასზე თვალსაჩინოდ მაღლა აიწევს, მაშინ ის პირნი, რომელნიც თავიანთ კაპიტალს ხმარობენ ბაზრისათვის ამ საქონლის მისაწოდებლად, ჩვეულებრივ ცდილობენ დამალონ ეს ცვლილება. თუ ეს უკანასკნელი საყოველთაოდ ცნობილი გახდება, მათი დიდი მოგება იმდენ ახალ მეტოქეებს შეაგულიანებდა ამგვარადვე გამოეყენებინათ თავიანთი კაპიტალი, რომ ნამდვილი მოთხოვნა მალე სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდებოდა და საბაზრო ფასი ბუნებრივი ფასის დონემდე და, შესაძლებელია, რამდენიმე ხნით ბუნებრივ ფასზე დაბლაც დაიწევდა. თუ ბაზარი დაშორებულია იმათ საცხოვრებელ ადგილს, ვინც ამ ბაზარს საქონელს აწვდის, მათ ზოგჯერ შეუძლიათ რამდენიმე წლის განმავლობაში საიდუმლოდ შეინახონ აღნიშნული ცვლილება და ამ დროს, ახალ მეტოქეებს მოკლებულებმა, არაჩვეულებრივი მოგებით ისარგებლონ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარი საიდუმლოების დაცვა იშვიათად შეიძლება დიდხანს, და არაჩვეულებრივი მოგების გაგრძელება შესაძლებელია საიდუმლოების დაცვაზე მხოლოდ ცოტათი მეტხანს.

სამანუფაქტურო საიდუმლოება შესაძლებელია დაცულ იქნეს უფრო დიდხანს, ვიდრე სავაჭრო საიდუმლოება. მდებავს, რომელმაც აღმოაჩინა განსაზღვრულ ფერად შეღებვის წესი ისეთი მასალებიდან, რომლებიც ჩვეულებრივად ხმარებულზე ორჯერ იაფი არის, შეუძლია, სათანადო სიფრთხილის დაცვით, მთელ თავის სიცოცხლეში ისარგებლოს თავისი აღმოჩენით და თავის შთამომავლობასაც კი გადასცეს მემკვიდრეობად. მისი არაჩვეულებრივი შემოსავალი წარმოსდგება იმ მაღალი ფასიდან, რომელსაც მას მის სპეციალურ შრომაში აძლევენ. იგი არსებითად წარმოადგენს მაღალ ხელფასს მისი შრომისათვის. მაგრამ, რადგან ეს შემოსავალი მისი კაპიტალის თითოეული ერთეულიდან მიიღება და რადგან მთელი მისი ჯამი, ამის შესაბამისად, რეგულარულად შეფარდებულია მის კაპიტალთან, ამიტომ ამ შემოსავალს კაპიტალის არაჩვეულებრივ მოგებად სთვლიან.

საბაზრო ფასის ასეთი გადიდება, ცხადია, შედეგი არის განსაკუთრებულ გარემოებათა, რომელთა მოქმედება, მართალია, შეიძლება ზოგჯერ მრავალ წელს გაგრძელდეს.

ზოგი ბუნებრივი პროდუქტი ნიადაგის ისეთ განსაკუთრებულ თვისებას და მდებარეობას მოითხოვს, რომ რომელსამე დიდ ქვეყანაშიც კი მთელი მიწა, რომელიც ვარგისია მის წარმოსაშობად, შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ასეთი პროდუქტის მთელი რაოდენობა, რომელიც ბაზარზეა მოტანილი, შეიძლება გაყიდულ იქნეს იმ პირებზე, რომელნიც მზად არიან მასში მეტი მისცენ, ვიდრე საჭიროა იმისათვის, რომ გადახდილ იქნეს მათი ბუნებრივი ნორმის მიხედვით რენტა მიწისათვის, რომელზედაც აღმოცენებულია ეს პროდუქტი, აგრეთვე ხელფასი და მოგება შრომისა და კაპიტალისათვის, რომლებიც დახარჯული იყო ამ პროდუქტის საწარმოებლად და ბაზარზე მისატანად. ასეთი საქონელი, შესაძლებელია, მთელი საუკუნეების განმავლობაში იყიდებოდეს ასეთ მაღალ ფასში, და ამ შემთხვევაში სახელდობრ ფასის ის ნაწილი, რომელიც მიწის რენტას უწევს, გადაიხდება ხოლმე თავის ბუნებრივ ნორმაზე მეტად. იმ მიწის რენტა, რომელიც ასეთ განსაკუთრებულ და ძვირფასს პროდუქტს იძლევა, მსგავსად საფრანგეთის ზოგიერთი ვენახების რენტისა, რომლებიც განსაკუთრებით ხელსაყრელი თვისებისა და მდებარეობის მქონე მიწებზეა გაშენებული, არ იმყოფება შესაბამისს შეფარდებაში იმ მიდამოს სხვა ისევე ნაყოფიერი და ისევე კარგად დამუშავებული მიწების რენტის მიმართ. პირიქით, ხელფასი და მოგება შრომისა და კაპიტალისათვის, რომლებიც ასეთ საქონელთა

ბაზარზე გასატანად იყო დახარჯული, იშვიათად აღემატება ნორმალურ შეფარდებას, რომელიც შრომისა და კაპიტალის გამოყენების სხვა დარგებში არსებობს იმ მიდამოში.

საბაზრო ფასის ასეთი გადიდება, ცხადია, შედეგი არის ბუნებრივი მიზეზებისა, რომლებიც აბრკოლებს ნამდვილი მოთხოვნის სავსებით დაკმაყოფილებას და ამიტომ შესაძლებელია მუდამ მოქმედებდეს.

კერძო პირისადმი ან სავაჭრო კომპანიისადმი მინიჭებულ მონოპოლიას ისეთივე მოქმედება აქვს, როგორც საიდუმლოებას ვაჭრობასა ან მანუფაქტურაში. მონოპოლისტები, რომელთაც პროდუქტების ნაკლებობაში უჭირავთ მუდამ ბაზარი და არასოდეს არ აკმაყოფილებენ სავსებით ნამდვილ მოთხოვნას, თავიანთ საქონელს ბუნებრივ ფასზე ბევრად უფრო ძვირად ჰყიდიან და თავიანთ შემოსავალს – შესდგება იგი შრომის ხელფასისაგან თ მოგებისაგან – მის ბუნებრივ ნორმაზე ბევრად მაღლა სწევენ.

მონოპოლიური ფასი ყოველ შემთხვევაში წარმოადგენს უმაღლეს ფასს, რომელიც კი შეიძლება მიღებულ იქნეს. ბუნებრივი ფასი ანუ თავისუფალ კონკურენციაში დამყარებული ფასი კი, პირიქით, წარმოადგენს იმ უდაბლეს ფასს, რომლის აღებას შეიძლება დათანხმდეს გამყიდველი, – რასაკვირველია, არა ცალკე შემთხვევაში, არამედ რაოდენადმე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. პირველი ფასი ყოველ შემთხვევაში ის უმაღლესი ფასია, რომელიც კი გამყიდველს შეუძლია გამოაღებინოს მყიდველებს და რომლის შესახებ მას შეუძლია ფიქრობდეს, რომ ისინი ამ ფასს გაიღებენ; მეორე ფასი კი წარმოადგენს უდაბლეს ფასს, რომლის აღებას შეიძლება დათანხმდეს გამყიდველი და იმავე დროს ისე, რომ შეეძლოს თავისი სააღებმიცემო საქმე განაგრძოს.

ასეთივე ტენდენცია აქვს, თუმცა ნაკლები ზომით, განსაკუთრებულ ამქრულ პრივილეგიებს, დებულებებს შეგირდობის შესახებ და ყველა იმ კანონებს, რომელნიც ზღუდავენ კონკურენციის რაოდენობას იმასთან შედარებით, რაც იგი იქნებოდა სხვა პირობებში. ისინი წარმოადგენენ ერთგვარ გაფართოებულ მონოპოლიებს, და მათ ხშირად შეუძლიათ მთელი საუკუნეების განმავლობაში გააჩერონ მთელ დარგში ცალკეულ საქონელთა საბაზრო ფასი ბუნებრივ ფასზე მაღლა, გააჩერონ აგრეთვე ხელფასი და მოგება შრომის და კაპიტალისა, რომლებიც იმ დარგში გამოიყენება, მათ ბუნებრივ ნორმაზე ცოტათი მაღლა.

საბაზრო ფასის ასეთი გადიდება შეიძლება იმდენ ხანს გაგრძელდეს, რამდენ ხანსაც ძალაში იქნებიან მთავრობის დადგენილებანი, რომელთაც იგი გამოიწვიეს.

ამა თუ იმ საქონლის საბაზრო ფასი, თუმცა მას შეუძლია დიდხანს იყოს გაჩერებული ბუნებრივ ფასზე მაღლა, იშვიათად შეიძლება დიდხანს ბუნებრივ ფასზე დაბლა იდგეს. მისი რომელიმე ნაწილიც კი უნდა გადაიხდებოდეს თავის ბუნებრივ ნორმაზე ნაკლებად, ის პირნი, რომელთა ინტერესები ამით შეილახება, მაშინვე იგრძნობენ დანაკარგას და დაუყოვნებლივ გამოაცლიან ამ საქონლის წარმოებას იმდენ მიწას, შრომას ან კაპიტალს, რომ ბაზარზე გატანილი მისი რაოდენობა მალე აღმოჩნდება მარტოოდენ საკმარისი იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ნამდვილი მოთხოვნა. ამიტომ საქონლის საბაზრო ფასი მალე აიწევს მისი ბუნებრივი ფასის დონემდე. ყოველ შემთხვევაში ასე იქნება ყველგან იქ, სადაც სრული თავისუფლება არსებობს.

იგივე დებულებები შეგირდობის შესახებ და სხვა საამქრო კანონები, რომელნიც მრეწველობის მოცემული დარგის აყვავების შემთხვევაში შესაძლებლობას აძლევენ მშრომელს ბუნებრივ ნორმაზე მნიშვნელოვნად მაღლა ასწიოს თავისი

ხელფასი, აიძულებენ ზოგჯერ მას, როდესაც ის მრეწველობა შეფერხებას განიცდის, ამ ნორმაზე მნიშვნელოვნად დაბლა დასწიოს ეს ხელფასი. როგორც პირველ შემთხვევაში ეს დებულებები და კანონები სხვა პირთ შესაძლებლობას არ აძლევენ კონკურენცია გაუწიონ ამ მშრომელს მის წარმოებაში, ისევე მეორე შემთხვევაში ისინი ამ მშრომელს არ აძლევენ შესაძლებლობას სხვა მოსაქმეობას მოჰკიდოს ხელი. მაგრამ მაინც ასეთ შემზღვეველ დადგენილებათა გავლენა მშრომელის ხელფასის ბუნებრივ ნორმაზე დაბლა დაწვევის მიმართულებით სრულიადაც არაა ისე ხანგრძლივი, როგორც მათი გავლენა ამ ხელფასის ბუნებრივ ნორმაზე მაღლა აწევის მიმართულებით. მათი ზეგავლენა უკანასკნელი მიმართულებით შეიძლება გაგრძელდეს მთელი საუკუნეების განმავლობაში, მაშინ როდესაც ზეგავლენას პირველი მიმართულებით მხოლოდ მანამდე შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ვიდრე ცოცხალნი არიან ის მშრომელნი, რომელთაც ეს ხელობა შეისწავლეს მისი აყვავების პერიოდში. როდესაც ისინი დაიხოცებიან, იმ პირთა რიცხვი, რომელნიც შემდეგში უნდა მოეზადონ ამ ხელობისათვის, თავისთავად შეუფარდება ნამდვილ მოთხოვნას. საჭირო იყო ისეთი ძალადობითი პოლიტიკა, როგორც იყო ინდოსტანში ან ძველ ეგვიპტეში (სადაც ყოველი ადამიანი სარწმუნოებით იყო იძულებული თავისი მამის ხელობა განეგრძო და სადაც საშინელ მკრეხელობად ითვლებოდა თავისი ხელობის გაცვლა სხვა ხელობაზე), რათა ამა თუ იმ მოსაქმეობაში შრომის ხელფასი ან კაპიტალის მოგება მათ ბუნებრივ ნორმაზე დაბლა ყოფილიყო მრავალ მოდგმათა განმავლობაში შენარჩუნებული.

ესაა ყველაფერი ის, რაც მე ამჟამად საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შესახებ საქონელთა საბაზრო ფასის დროებითი ან შემთხვევითი გადახრილობისა ბუნებრივი ფასისაგან.

თვით ბუნებრივი ფასი იცვლება თითოეული მისი შემადგენელი ნაწილის – ხელფასის, კაპიტალის მოგებისა და რენტის – ბუნებრივ ნორმასთან ერთად; და თითოეულ საზოგადოებაში ეს ნორმა, თავის მხრივ, იცვლება ამ საზოგადოების საერთო პირობების, მისი სიმდიდრისა ან სიღარიბის, მისი პროგრესის, უმოდრაობისა ან რეგრესის მიხედვით. შემდეგ ოთხ თავში მე ვეცდები ისეთი სისრულით და სიცხადით, როგორც კი ჩემთვის შესაძლებელი არის, გავარკვიო ამ სხვადასხვა ცვლილებათა მიზეზები.

1. მე ვეცდები განვმარტო, რა გარემოებები განსაზღვრავენ ბუნებრივად ხელფასის სიმაღლეს და რაგვარად მოქმედებს ამ გარემოებებზე საზოგადოების სიმდიდრე ან სიღარიბე, პროგრესი, უმდრაობა ან რეგრესი.

2. მე ვეცდები მკითხველს დავანახვო, რა გარემოებები განსაზღვრავენ ბუნებრივად მოგების ნორმას და რაგვარი ზემოქმედება აქვს აგრეთვე ამ გარემოებებზე აღნიშნულ ცვლილებებს საზოგადოების მდგომარეობაში.

3. თუმცა ფულადი ხელფასი და მოგება ძალიან სხვადასხვაა შრომისა და კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მაინც, როგორც ეტყობა, ჩვეულებრივ განსაზღვრული შეფარდება არსებობს როგორც ფულად ხელფასებს შორის შრომის გამოყენების ყველა სხვადასხვა სფეროებში, ისე ფულად მოგებებს მოგებებს შორის კაპიტალის გამოყენების ყველა სხვადასხვა სფეროებში. ეს შეფარდება, როგორც შემდეგში გამოირკვევა, დამოკიდებულია ნაწილობრივ სხვადასხვა მოსაქმეობის ბუნებაზე, ნაწილობრივაც სხვადასხვა კანონებსა და პოლიტიკაზე, რომლებსაც ადგილი აქვს განსაზღვრულ საზოგადოებაში. მაგრამ ეს შეფარდება, თუმცა იგი ბევრის მხრივ კანონებსა და პოლიტიკაზეა დამოკიდებული, მაინც, როგორც ეტყობა, ნაკლებად არის ამ საზოგადოების სიმდიდრესა თუ

სიღარიბეზე, მის პროგრესსა, უძრაობასა თუ რეგრესზე დამოკიდებული; იგი უცვლელი ან თითქმის უცვლელი რჩება საზოგადოების ყველა მდგომარეობაში. მე ვეცდები განვმარტო ყველა ის სხვადასხვა გარემოებანი, რომელნიც განსაზღვრავენ ამ შეფარდებას.

4. დასასრულ, მე ვეცდები დავანახვო მკითხველს ის გარემოებანი, რომელნიც აწესრიგებენ მიწის რენტას და მაღლა ან დაბლა სწევენ ყველა იმ მასალების ნამდვილ ფასს, რასაც მიწა წარმოშობს.

თ ა ვ ი VIII

შრომის ხელფასი

შრომის პროდუქტი წარმოადგენს ბუნებრივ გასამრჯელოს ანუ მის ხელფასს.

საზოგადოების პირველყოფილ მდგომარეობაში, რომელიც წინ უძღვის როგორც მიწის კერძო საკუთრებად მითვისებას, ისე კაპიტალის დაგროვებას, შრომის მთელი პროდუქტი მშრომელს ეკუთვნის. მას ეს პროდუქტი არა აქვს გასანაწილებელი არც მემამულელსთან და არც მესარეწესთან.

დღესაც რომ იგივე მდგომარეობა განაგრძობდეს არსებობას, შრომის ხელფასი გაიზრდებოდა შრომის პროდუქტიული ძალის გადიდებასთან ერთად, რასაც წარმოშობს შრომის დანაწილება. ყველა საგანი თანდათან უფრო და უფრო იაფი გახდებოდა. ეს საგნები შრომის ნაკლები რაოდენობით იქნებოდა წარმოშობილი, და რადგან შრომის თანატოლი რაოდენობა წარმოებული საქონელნი ასეთ მდგომარეობაში, რასაკვირველია, ერთმანეთზე გაიცვლებოდნენ, ამიტომ ყველა საგნის ყიდვა ნაკლები რაოდენობის შრომის პროდუქტით იქნებოდა შესაძლებელი.

თუმცა ყველა საგანი სინამდვილეში უფრო იაფი გახდებოდა, მაგრამ გარეგნულად შეიძლებოდა გვჩვენებოდა, რომ ზოგი საგანი უფრო ძვირი გახდა, ვიდრე წინათ იყო, ვინაიდან ეს საგნები სხვა პროდუქტების უფრო დიდ რაოდენობაზე გაიცვლებოდა. ვიგულისხმობთ, მაგალითად, რომ მეტწილ წარმოების დარგებში შრომის პროდუქტიული ძალა ათჯერ გადიდდა, ანუ რომ ერთი დღის განმავლობაში ახლა ათჯერ მეტის წარმოება შეიძლება, ვიდრე წინათ, მაგრამ წარმოების განსაკუთრებულ დარგში შრომის პროდუქტიული ძალა გადიდდა მხოლოდ ორჯერ, ანუ ერთი დღის განმავლობაში ახლა მხოლოდ ორჯერ მეტის წარმოება შეიძლება, ვიდრე წინათ. მეტწილ წარმოების დარგების ერთი დღის შრომის პროდუქტის გაცვლისას წარმოების ამ განსაკუთრებული დარგის ერთი დღის შრომის პროდუქტზე იმ დარგების, წინანდელთან შედარებით, პროდუქტთა ათკეცი რაოდენობით შესაძლებელ იქნებოდა ამ დარგის პროდუქტთა მხოლოდ ორკეცი რაოდენობის ყიდვა. ამიტომ მოცემული დარგის პროდუქტის განსაზღვრული რაოდენობა, მაგალითად, ერთი გირვანქა, აქ ისე გვეჩვენება, თითქოს ხუთჯერ უფრო ძვირი იყოს წინანდელთან შედარებით; სინამდვილეში კი იგი ორჯერ უფრო იაფი არის. თუმცა მის საყიდლად საჭიროა გაცემულ იქნეს სხვა პროდუქტთა ხუთკეცი რაოდენობა, მაგრამ მის მოსაპოვებლად ანუ საწარმოებლად ახლა შრომის ორჯერ ნაკლები რაოდენობის დახარჯვაა საჭირო, ვიდრე უწინ. მაშასადამე, მისი მოპოვება ახლა ორჯერ უფრო ადვილია წინანდელთან შედარებით.

მაგრამ საზოგადოების ასეთი პირველყოფილი მდგომარეობა, როდესაც მშრომელი თავისი შრომის მთელ პროდუქტს იღებს, მიწის კერძო საკუთრებად მითვისებისა და კაპიტალის დაგროვების მომენტამდე შეიძლებოდა მხოლოდ გაგრძელებულიყო. მაშასადამე, იმ მდგომარეობას დასასრული ჰქონდა უკვე მიცემული დიდი ხნით ადრე, ვიდრე შეიქმნებოდა მნიშვნელოვანი პროგრესი შრომის პროდუქტიული ძალის სფეროში, და ამიტომ უსარგებლო იქნებოდა გავყოლოდით იმის გამოკვლევას, თუ რა გავლენა შეეძლო ჰქონებოდა იმ მდგომარეობას შრომის გასამრჯელოზე ანუ ხელფასზე.

როგორც კი მიწა კერძო საკუთრებად იქცევა, მემამულე მოითხოვს წილს თითქმის ყველა პროდუქტში, რომელიც მშრომელს შეუძლია ამ მიწაზე აღმოაცენოს ან მოაგროვოს. მისი რენტა შეადგენს პირველ გამოკვლევას მიწაზე დახარჯული შრომის პროდუქტიდან.

იშვიათად მოხდება, რომ მიწის დამმუშავებელს ჰქონდეს სახსარი თავის შესანახად მოსავლის მიღებამდე. მისი შესანახი ჩვეულებრივ მას ეძლევა ავანსად მისი დამქირავებლის, ფერმერის კაპიტალიდან, რომელი ფერმერიც მას სამუშაოზე აყენებს და რომელსაც არავითარი ინტერესი არ ექნებოდა იგი სამუშაოზე დაეყენებია, უკეთუ იგი არ მიიღებდა წილს მისი შრომის პროდუქტში, ანუ უკეთუ მას არ აუნაზღაურებოდა მისი კაპიტალი განსაზღვრული მოგებითურთ. ეს მოგება შეადგენს მეორე გამოკვლევას მიწის დამმუშავებაზე დახარჯული შრომის პროდუქტიდან.

ასეთსავე გამოკვლევას მოგებისათვის ექვემდებარება თითქმის ყოველი სხვა შრომის პროდუქტი. ყველა ხელობასა და წარმოებაში მომუშავეთა უმრავლესობა საჭიროებს მესარეწეს, რომელმაც მათ უნდა მისცეს ავანსად მასალა მათი სამუშაოსთვის, აგრეთვე ხელფასი და საარსებო საშუალებები სამუშაოს დამთავრებამდე. ეს მესარეწე იღებს წილს მათი შრომის პროდუქტში ანუ წილს იმ ღირებულებაში, რასაც მათი შრომა ჰმატებს მასალას, რომლის დამმუშავებაზედაც იგი იხარჯება.; და ეს წილი შეადგენს მესარეწის მოგებას.

ზოგჯერ მოხდება, რასაკვირველია, რომ დამოუკიდებელ მომუშავეს საკმაო კაპიტალი აქვს იმისათვის, რომ მასალები იყიდოს თავის თავის სამუშაოსთვის და მის დასრულებამდე თავი შეინახოს. იგი არის ერთსა და იმავე დროს მესარეწეც და მუშაც და იღებს სრულიად თავისი შრომის პროდუქტს ანუ მთელ იმ ღირებულებას, რასაც ჰმატებს მასალას მისი შრომა, რომელიც ამ უკანასკნელის დამმუშავებაზე იხარჯება. ამ შემთხვევაში აღნიშნული ღირებულება შეიცავს ორ სხვადასხვა შემოსავალს, რომელიც ჩვეულებრივ ორ სხვადასხვა პირს ეკუთვნის, სახელდობრ: კაპიტალის მოგებას და შრომის ხელფასს.

მაგრამ ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირი არაა, და ევროპაში ყველგან ერთ დამოუკიდებელ მომუშავეზე მოდის ოცი მუშა, რომელიც მესარეწის დაქირავებით მუშაობს; და შრომის ხელფასად იგულისხმება ყველგან ის, რასაც იგი შეადგენს ჩვეულებრივ, როდესაც მუშა და კაპიტალის მფლობელი, რომელიც პირველს ამუშავებს, ორ სხვადასხვა პირს წარმოადგენენ.

ჩვეულებრივ ხელფასის ზომა დამოკიდებულია ყველგან ხელშეკრულებაზე ამ ორ მხარეს შორის, რომელთა ინტერესები სრულიადაც იგივე არაა. მუშებს სურთ რაც შეიძლება მეტი მიიღონ, მესარეწეებს – რაც შეიძლება ნაკლები მისცენ. პირველნი ცდილობენ შეკავშირდნენ ხელფასის ასაწევად, მეორენი კი – მის დასაწევად.

მაგრამ ძნელი არაა წინასწარ დანახვა იმისა, თუ ამ ორ მხარედან რომელმა უნდა დაინარჩუნოს, ჩვეულებრივ პირობებში, უპირატესობა ამ დავაში და აიძულოს

მეორე მხარე დაემორჩილოს მის პირობებს. მესარეწეებს, ვინაიდან ისინი რიცხვით ნაკლებნი არიან, უფრო ადვილად შეუძლიათ შეკავშირება, და ამასთან კანონი ნებას რთავს მათ შეკავშირდნენ ან ყოველ შემთხვევაში არ უკრძალავს მათ ამას, მაშინ როდესაც მუშებს უკრძალავს. ჩვენში არ არსებობს პარლამენტის აქტი იმ შეკავშირების წინააღმდეგ, რომელსაც შრომის ფასის დაწევა აქვს მიზნად, მაგრამ არსებობს ბევრი ასეთი აქტი მის ასაწევად გამართული შეკავშირების წინააღმდეგ. ყველა ამგვარი დავის დროს მესარეწეებს უფრო დიდხანს შეუძლიათ გაძლება. მემამულეს, ფერმერს, მანუფაქტურის მფლობელს ან ვაჭარს შეუძლიათ არც ერთი მუშაც რომ არ ჰყავდეთ დაქირავებული, იცხოვრონ ჩვეულებრივ ერთ წელიწადს ან ორ წელიწადს იმ კაპიტალით, რომელიც მათ აქვთ უკვე შეძენილი. ბევრ მუშას არ შეუძლია თავის გატანა ერთ კვირასაც კი, მცირეოდენთ შეუძლიათ გაძლება ერთ თვეს, და საეჭვოა მათში ერთმაც რომ შესძლოს ერთ წელიწადს არსებობა, თუ მათ სამუშაო არა აქვთ. ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია, მუშა შეიძლება ისევ აუცილებელი შეიქნეს მისი დამქირავებლისათვის, როგორც დამქირავებელი – მუშისათვის, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეს აუცილებლობა არაა ისე უშუალო.

ამბობენ, რომ ჩვენ იშვიათად გვესმის მესარეწეების შეკავშირების შესახებ. მაგრამ ვისაც ამ საფუძველით ის აზრი აქვს თავში გამოსახული, რომ მესარეწეები იშვიათად უკავშირდებიან ერთმანეთს, ის სრულიად არ იცნობს არც ცხოვრებას და არც ამ საგანს. მესარეწეებს ყოველთვის და ყველგან ერთგვარი ჩუმი, მაგრამ მუდმივი და ერთფეროვანი შეთანხმება აქვთ ერთმანეთთან იმ მიზნით, რომ შრომის ხელფასი არ ასწიონ მის არსებულ ნორმაზე მაღლა. ამ შეთანხმების დარღვევა მეტად საძრახის საქციელად ითვლება ყველგან და მის ჩამდენ მესარეწეს საყვედურის ღირსად ხდის მის მეზობლებსა და ამხანაგებში. ჩვენ, მართალია, იშვიათად გვესმის ასეთი შეთანხმების შესახებ, მაგრამ – მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ჩვეულებრივს და, შეიძლება ვთქვათ, ბუნებრივ მდგომარეობას, რომელზედაც არავინ არ ლაპარაკობს. ზოგჯერ მესარეწენი განსაკუთრებულ შეთანხმებას ადგენენ იმ მიზნით, რომ შრომის ხელფასი დასწიონ ამ ნორმაზე დაბლა კი. ასეთი შეთანხმება ტარდება ყოველთვის უკიდურესი სიჩუმით და საიდუმლოებით, ვიდრე მისი შესრულების მომენტი დადგებოდეს, და თუ მუშები, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, დათმობაზე წავიდნენ, წინააღმდეგობის გაუწევლად, გარეშე ადამიანი ვერასოდეს ვერ გაიგებს რამეს მესარეწეთა შეთანხმების შესახებ, თუმცა მას ძალიან მწვავედ განიცდიან მუშები. მაგრამ ასეთ შეთანხმებას ხშირად უპირისპირდება თავდაცვითი საწინააღმდეგო შეთანხმება მუშების მხრივ; ხანდახან კი თვით მუშები, მესარეწეების მხრივ გამოუწვევლად, ადგენენ თავისი ინიციატივით შეთანხმებას მათი შრომის ფასის აწევის მიზნით. ისივი ამის საბაზად იხსენიებენ ხან სურსათ-სანოვავის სიძვირეს, ხან დიდ მოგებას, რომელსაც მათი შრომით იღებენ მესარეწეები. მაგრამ შეტევითი ხასიათი აქვს მუშების შეთანხმებას თუ – თავდაცვითი, იგი ყოველთვის იწვევს საკმაო მითქმა-მოთქმას. რათა საქმე სწრაფად გადაიჭრეს დასრულებამდე მიიყვანონ, მუშები ყოველთვის დიდ ჩოჩქოლს მართავენ და ხშირად ყოვლად თავხედურ შეურაცხყოფას და ძალმომრეობასაც კი მიმართავენ. ისინი სასოწარკვეთილნი არიან და მოქმედებენ სიბრიყვით და სიმშაგით იმედაკარგულ ადამიანთა, რომელნიც იძულებული არიან ან შიმშილით დაიხოცნენ, ანდა ისეთი შიში აგრძნობინონ თავიანთ დამქირავებელს, რომ ამათ ქედი მოიხარონ მათი მოთხოვნის წინაშე. მეორე მხრივ, დამქირავებლები ასეთ შემთხვევაში იწყებენ იმგვარადვე ხმაურობას და განუწყვეტლივ მოითხოვენ სამოქალაქო ხელისუფლების დახმარებას და იმ მკაცრი კანონების სასტიკად შესრულებას, რომლებიც მსახურთა,

მუშათა და ქარგალთა შეთანხმების წინააღმდეგ იყო გამოცემული. ამის გამო მუშები იშვიათად აღწევენ რაიმე მოგებას თავიანთი შმაგი შეთანხმების ძალმომრეობით; ასეთი შეთანხმება, პირიქით, ნაწილობრივ სამოქალაქო ხელისუფლების ჩარევის გამო, ნაწილობრივ მესარეწეების უპირატესობის სიმტკიცისა და ნაწილობრივ იმის გამო, რომ მუშების უმრავლესობა იძულებულია ლუკმა პურისათვის დამორჩილდეს, ჩვეულებრივ მეთაურების დასჯით ან განადგურებით თავდება.

თუმცა მესარეწეებს მუშებთან შეჯახების დროს უპირატესობა აქვთ, მაგრამ მაინც არსებობს განსაზღვრული ნორმა, რომლის ქვემოთ, როგორც ეტყობა, შეუძლებელია უდაბლესი სახის შრომის ხელფასიც კი დაწეულ იქნეს რაოდენადმე დიდხანს.

ადამიანს ყოველთვის უნდა შეეძლოს თავისი შრომით არსებობა, და მისი ხელფასი ყოველ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს მის სარჩენად. ეს კი არა, უმრავლეს შემთხვევაში იგი საკმარისზე მეტიც უნდა იყოს რაოდენადმე; წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ოჯახის შენახვა, და ამ მუშების შთამომავლობა ამოწყდებოდა პირველი მოდემის შემდეგ. კანტილიონი, ეტყობა ამ საფუძვლით, ფიქრობს, რომ უდაბლესი კატეგორიის მუშა ყოველთვის უნდა შოულობდეს იმაზე ორჯერ მეტს მაინც, რაც აუცილებელია მის შესანახად, რათა მას შეეძლოს ორი ბავშვის გამოზრდა; ამასთან იგულისხმება, რომ რადგან დედამ ბავშვებს უნდა მოუაროს, მისი შრომა საკმარისი არ არის მის სარჩენად. მაგრამ, როგორც გამოანგარიშებულია, ახლად დაბადებულ ბავშვთა ნახევარი იხოცება, ვიდრე მოწიფულობას მიაღწევდეს. მაშასადამე, ამ ანგარიშის თანახმად, თითოეული უღარიბესი მუშა ცოლქმარი უნდა ეცადოს გამოზარდოს ოთხი ბავშვი მაინც, რათა მათში ორმა მიაღწიოს აღნიშნულ ასაკს. მაგრამ ოთხი ბავშვის შენახვის ხარჯი, როგორც ანგარიშობენ, დაახლოებით ეთანასწორება ერთი მოზრდილი მუშის შენახვის ხარჯს. ღონიერი მონის შრომა, დასძენს იგივე ავტორი, მისი შენახვის ხარჯზე ორჯერ მეტი ღირებულების მქონედ ითვლება, ხოლო სულ უბრალო მუშის შრომის ღირებულება არ შეიძლება ნაკლები იყოს, ვიდრე ღონიერი მონისა. ყოველ შემთხვევაში ეს, ეტყობა, უცილობელია, რომ ცოლქმრის შრომა, უდაბლესი სახისაც კი, უნდა იძლეოდეს ცოტათი იმაზე მეტს, რაც აბსოლუტურად საჭიროა მათი საკუთარი დარჩენისათვის; მაგრამ მე ვერ ვიკისრებ იმის გადაჭრას, თუ რამდენად მეტი უნდა იყოს: აღნიშნული პროპორციის თუ სხვა პროპორციის მიხედვით.

მაგრამ არსებობს განსაზღვრული გარემოებები, რომელნიც ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ მუშებს და მათ შესაძლებლობას აძლევენ ასწიონ თავიანთი ხელფასი გაცილებით მაღლა ამ ნორმაზე, რაც, ცხადია, ისეთი უაღრესად დაბალი ნორმაა, როგორიც კი შესაძლებელია შეითავსოს უბრალო ჰუმანობამ.

როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში განუწყვეტლივ მატულობს მოთხოვნა იმათ მიმართ, რომელნიც ხელფასით ცხოვრობენ, სახელდობრ მოთხოვნა მუშების, ქარგლების, ყოველგვარი მსახურების მიმართ, როდესაც თითოეული წელიწადი მუშების მეტ რიცხვს აძლევს სამუშაოს, ვიდრე წინა წელიწადი, მაშინ მუშებს არ სჭირდებათ შეთანხმების მოწყობა მათი ხელფასის გადიდების მიზნით. მუშა-ხელის ნაკლებობა იწვევს კონკურენციას დამქირავებლებს შორის, რომელნიც, რათა მუშები მოიპოვონ, ერთი მეორეზე მეტ გასამრჯელოს სთავაზობენ მუშებს და ამგვარად თვითონვე არღვევენ მესარეწეების ბუნებრივ შეთანხმებას ხელფასის გაუდიდებლობის შესახებ.

მოთხოვნა იმათ მიმართ, რომელნიც ხელფასით ცხოვრობენ, ცხადია, მხოლოდ იმ ფონდების გადიდების პროპორციულად შეიძლება გაიზარდოს, რომლებიც

ხელფასის გადასახდელად არის დანიშნული. ეს ფონდები ორგვარია: ჯერ ერთი, იმ ოდენობაზე გარდამეტი შემოსავლისა, რომელიც მესარეწეთა შესანახადაა საჭირო, და, მეორე, იმ ოდენობაზე გარდამეტი კაპიტალისა, რომელიც საჭიროა თვითონ მესარეწეთა მოსაქმეობისათვის.

როდესაც მემამულეს, რენტის მიმღებს, ან კაპიტალისტს იმაზე მეტი შემოსავალი აქვს, რაც, მისი აზრით, საჭიროა მისი ოჯახის შესანახად, მაშინ იგი მთელ ამ გარდამეტს ან მის ნაწილს ხარჯავს ერთი ან რამდენიმე მსახურის შენახვაზე. და თუ ეს გარდამეტი იზრდება, იგი, რასაკვირველია, ადიდება ამ მსახურთა რიცხვს.

როდესაც ვინმე დამოუკიდებელი ხელოსანი, მაგალითად, ფეიქარი ან მეჩექმე, იმაზე მეტ კაპიტალს დააგროვებს, ვიდრე მას ესაჭიროება მასალების საყიდლად მისი საკუთარი მუშაობისათვის და ოჯახის შენახვისათვის, სანამ პროდუქტს გაჰყიდდეს, მაშინ იგი, რასაკვირველია, გარდამეტ თანხას გამოიყენებს ერთი ან რამდენიმე მუშის დასაქირავებლად, რათა მათი შრომით მოგება ნახოს. და თუ ეს გარდამეტი გაიზარდა, იგი, რასაკვირველია, თავისი მუშების რიცხვს გაადიდებს.

ამრიგად, მოთხოვნა იმათ მიმართ, რომელნიც ხელფასით ცხოვრობენ, აუცილებლობის გზით იზრდება თითოეულ ქვეყანაში შემოსავლისა და კაპიტალის ზრდასთან ერთად და არას გზით არ შეიძლება გაიზარდოს, თუ ამ უკანასკნელ ზრდას ადგილი არა აქვს. შემოსავლისა და კაპიტალის ზრდა ნიშნავს ეროვნული სიმდიდრის ზრდას. მაშასადამე, მოთხოვნა იმ პირთა მიმართ, რომელნიც ხელფასით ცხოვრობენ, იზრდება, რასაკვირველია, ეროვნული სიმდიდრის ზრდასთან ერთად და არ შეიძლება გაიზარდოს, თუ ამ უკანასკნელს ადგილი არა აქვს.

არა ეროვნული სიმდიდრის სიდიდე ამა თუ იმ მომენტში, არამედ მისი შეუწყვეტელი ზრდა იწვევს შრომის ხელფასის გადიდებას. ამიტომ შრომის ხელფასი უმაღლეს დონეზეა არა უმდიდრეს ქვეყნებში, არამედ იმ ქვეყნებში, რომელნიც აყვავების პროცესში არიან ანუ სწრაფად მდიდრდებიან. ინგლისი ამჟამად, უეჭველია, ბევრად უფრო მდიდარი ქვეყანაა, ვიდრე ჩრდილო-ამერიკის რომელიმე ნაწილი. მიუხედავად ამისა, შრომის ხელფასი ჩრდილო-ამერიკაში ბევრად უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ინგლისის რომელსამე ნაწილში. პროვინცია ნიუ-იორკში შავი მუშები შოულობენ¹ დღეში 3 შილინგს და 6 პენსს იქაური ფულით, რაც უდრის 2 შილინგს ინგლისის ფულით. გემებზე მომუშავე დურგლები იღებენ 10 შილინგს და 6 პენსს იქაური ფულით და ერთ პინტ რომს, რაც უდრის ღირებულებით ნახევარ ინგლისურ შილინგს, _ სულ მაშ იღებენ 4 შილინგს და 6 პენსს ინგლისის ფულით; თერძი მუშები იღებენ 5 შილინგს იქაური ფულით, ანუ ინგლისურ ფულზე დაახლოებით 2 შილინგს და 10 პენსს. ეს ფასები საერთოდ უმაღლესია ლონდონისაზე, და, როგორც ამბობენ, სხვა კოლონიებშიც შრომის ხელფასი ისევე მაღალია, როგორც ნიუ-იორკში. სურსათ-სანოვანის ფასი კი ჩრდილო-ამერიკაში ყველგან ბევრად უფრო დაბალი ინგლისისაზე. სიმპირის გაჩენა იქ უცნობი არის. უცუდეს სეზონებშიც კი იქ ყოველთვის საკმაოდ ჰქონდათ სურსათი თავისთვის, თუმცა ნაკლები _ ექსპორტისთვის. თუ, ამიტომ, შრომის ფულადი ფასი იქ უფრო მაღალია, ვიდრე სხვაგან სადმე მეტროპოლიაში, _ კიდევ უფრო დიდი პროპორციით უნდა იყოს მაღალი იქ შრომის ნამდვილი ფასი, ე. ი. რაოდენობა არსებობისა და კომფორტისათვის საჭირო საგანთა, რომელსაც მუშა ნამდვილად იღებს თავის განკარგულებაში.

¹ ეს დაწერილი იყო 1773 წ., უკანასკნელი შფოთის დაწყებამდე.

მაგრამ თუმცა ჩრდილო-ამერიკა ჯერ კიდევ არაა ინგლისსავით მდიდარი, იგი მაინც უფრო სწრაფად ვითარდება და უფრო სწრაფად მიდის წინ შემდგომი სიმდიდრის შექმნის გზაზე. ყოველი ქვეყნის აყვავების ყველაზე უცილობელი ნიშანი არის მისი მოსახლეობის რიცხვის ზრდა. დიდ ბრიტანეთში და მეტწილ სხვა ევროპულ ქვეყნებში ეს რიცხვი, როგორც ანგარიშობენ, ორკეცდება დაახლოებით 500 წელიწადში. ბრიტანეთის ჩრდილო-ამერიკის კოლონიებში კი, როგორც დამტკიცებულია, ეს გაორკეცება ხორციელდება 20 ან 25 წელიწადში. ამჟამად ეს მატება გამოწვეულია უმთავრესად არა ახალ მცხოვრებთა მუდმივი იმიგრაციით, არამედ მოდემის სწრაფი გამრავლებით. როგორც გადმოგვცემენ, იქ ადამიანები, რომელნიც სიბერეს აღწევენ, ხშირად ხედავენ 50-დან 100-მდე თავის შთამომავალს და ზოგჯერ მეტსაც. ისე კარგი გასამრჯელო ეძლევა შრომას, რომ ბავშვების დიდი რიცხვი არ თუ ტვირთი არაა მშობლებისათვის, არამედ, პირიქით, წყაროა მათი სიმდიდრის და კეთილდღეობისა. თითოეული ბავშვის შრომა იმ დრომდე, საიან იგი მშობლის სახლს დასტოვებდეს, მშობლებს აძლევს, როგორც ანგარიშობენ, 100 გირვანქა წმინდა მოგებას. ოთხი ან ხუთი პატარა შვილის პატრონ ახალგაზრდა ქვრივ დედაკაცს, რომელსაც ევროპის მოსახლეობის დაბალ წრეებში მცირე შანსი ექნებოდა მეორე ქმრის მოპოვებისათვის, იქ ხშირად ეტრფიან როგორც დიდ დოვლათს. ის გარემოება ბავშვები ასეთ ღირებულებას წარმოადგენენ. მეტისმეტად წამხალისებელია ქორწინებისათვის. ამიტომ ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ჩრდილო-ამერიკის მცხოვრებლები ჩვეულებრივ ძალიან ახალგაზრდები ქორწინდებიან. და მაინც, მიუხედავად მოსახლეობის დიდი მატებისა, რომელსაც იწვევს ეწოდენ ადრეული დაქორწინება, ჩრდილო-ამერიკაში მუდამ გაისმის ჩივილი მუშა-ხელის ნაკლებობის შესახებ. მოთხოვნა მუშების მიმართ, მათ შესანახად დანუშნული ფონდები, როგორც ეტყობა, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე რიცხვი მუშებისა, რომელთა შოვნა შესაძლებელი არის სამუშაოზე დასაყენებლად.

ისეთ ქვეყანაში, რომელიც დიდი სიმდიდრის პატრონი არის, მაგრამ სადაც ეს სიმდიდრე არ იზრდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჩვენ არ უნდა მოველოდეთ ძალიან მაღალი ხელფასის ხილვას. ამ ქვეყნის ფონდი, შრომის ხელფასად დანიშნული, მისი მცხოვრებლების შემოსავალი და კაპიტალი შეიძლება ძალიან დიდიც იყოს, მაგრამ თუ ყველა ეს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უცვლელი ან თითქმის უცვლელი რჩებოდა, იმ შემთხვევაში ყოველწლიურად მუშაობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი შეიძლება საკმარისი იყოს, ან საკმარისზე მეტიც, იმ რიცხვის დასაფარავად, რომელიც შემდეგ წელში არის საჭირო. ასეთ ქვეყანაში იშვიათად შეიძლება ადგილი ექნეს მუშა-ხელის ნაკლებობას, და მესარეწეები იძულებული არ არიან ერთმანეთს გამოსტაცონ მუშა-ხელი. მუშა-ხელის რაოდენობა ამ შემთხვევაში, პირიქით, უფრო დიდი იქნება, ვიდრე მისი გამოყენების შესაძლებლობა. ადგილი ექნება სამუშაოს განუწყვეტელ ნაკლებობას, და მუშები იძულებული იქნებიან ერთმანეთს შეეჯიბრონ სამუშაოს მისაღებად. თუ ასეთ ქვეყანაში შრომის ხელფასმა გადააჭარბა იმ ზომას, რომელიც საკმარისია მუშისა და მისი ოჯახის შესანახად, მუშების კონკურენცია და მესარეწეების ინტერესი მალე დასწევს მას ისეთ უდაბლეს დონეზე, როგორც კი შესაძლებელია შეუთავსდეს უბრალო კაცთმოყვარეობას. ჩინეთი დიდხნას წარმოადგენდა ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას, ე. ი. ერთ-ერთ უნაყოფიერეს, საუკეთესოდ დამუშავებულ, ყველაზე უფრო შრომისმოყვარე და ყველაზე უფრო სქელმოსახლეობიან ქვეყანას მსოფლიოში, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი დიდხნას უძრავ მდგომარეობას იყო გაჩერებული. მარკო პოლო, რომელმაც დაახლოებით 500 წლის წინათ ინახულა ჩინეთი, მის

სასოფლო მეურნეობას, მრეწველობასა და მოსახლეობიანობას თითქმის ისეთივე სიტყვებით აგვიწერს, როგორც აგვიწერენ ახლანდელი მოგზაურები. შესაძლებელია, უკვე დიდი ხნით ადრე მარკო პოლომდე ჩინეთს მოპოვებული ჰქონდა ყველა ის სიმდიდრე, რომლის მოპოვებაც კი მას შეეძლო მისი კანონებისა და დაწესებულებების პირობებში. ყველა მოგზაურთა ცნობები, რომლებიც ბევრ სხვა მხრივ ერთი მეორის წინააღმდეგია, შეთანხმებულად მოგვითხრობს დაბალი ხელფასის შესახებ და იმ სიძნელის შესახებ, რომელსაც განიცდის მუშა ჩინეთში ოჯახის შენახვისათვის. იგი კმაყოფილია, თუ მათ მთელი დღის განმავლობაში მიწის თხრით იმდენი აიღო, რომ შეუძლია სადამოს იყიდოს ბრინჯის პატარა კერძი. ხელოსნის არსებობის პირობები, თუ კი ეს შესაძლებელია, კიდევ უარესი არის. ნაცვლად იმისა, რომ დამშვიდებით ელოდნენ თავიანთ სახელოსნოებში დაკვეთას მუშტრებისაგან, როგორც ეს მიღებულია ევროპაში, ისინი მუდამ დაძრწიან ქუჩებში თავიანთი სამუსაო იარაღებითურთ და ყველას სთავაზობენ თავის სამსახურს, თითქოს მოწყალეობას თხოულობენ სამუშაოს სახით. ჩინეთში ხალხის დაბალი ფენების სიღარიბე დიდად აღემატება ევროპის უდატაკესი ერების სიღარიბეს. კანტონის მიდამოებში მრავალ ასეულ ოჯახებს და, როგორც ჩვეულებრივ ამტკიცებენ, მრავალ ათასეულ ოჯახებსაც კი სრულიად არავითარი ბინა არა აქვთ ხმელეთზე და მუდამ ცხოვრობენ პატარა სათევზაო ნავებში მდინარეებსა და არხებზე. სარჩო, რომელსაც ისინი აქ შოულობენ, იმდენად არასაკმარისია, რომ ისინი ხარბად იჭერენ ყოვლად უვარგის ნაყარს, რომელსაც ევროპის გემების ერდოდან გადაისვრიან ხოლმე წყალში. ყოველი ლეში, მაგალითად, ძაღლის ან კატის მძოვრი, თუნდაც ნახევრად გახრწნილი და აყროლებული, ისევე სანუკვარი საჭმელია მათთვის, როგორც ყივლად საღი საჭმელი სხვა ქვეყნების ხალხისათვის. ქორწინებისათვის წამხალისებელია ჩინეთში არა ბავშვებისაგან მისაღები სარგებლობა, არამედ ნებართვა ბავშვების დახოცვისა. ყველა დიდ ქალაქში ყოველ ღამე მრავალ ბავშვს სტოვებენ ღამით ქუჩაში ანდა აღრჩობენ წყალში ლეკვებსავით. იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ამ სასინელი საქმის შესრულება აღიარებულ პროფესიას შეადგენს, რომლითაც მრავალნი თავიანთ სარ4ჩოს შოულობენ.

თუმცა ჩინეთი, იქნებ, კი იმყოფება უძრავ მდგომარეობაში, მაგრამ იგი მაინც, როგორც ეტყობა, არ მიდის უკან. მისი ქალაქები არსად არაა მათი მცხოვრებლებისაგან თავმინებებული. მიწა, რომელიც ერთხელ დამუშავებულია, არასოდეს არ რჩება დაუმუშავებელი. ამიტომ ყოველწლიურად შესრულებული უნდა იქნეს შრომის ერთი და იგივე ან თითქმის ერთი და იგივე რაოდენობა, და, მაშასადამე, ფონდი, რომელიც მის შესანახადაა დანიშნული, არ მცირდება შესამჩნევად. მაშასადამე, მუშების უდაბლესი ფენა, თავისი გაჭირვებული არსებობის მიუხედავად, ასე თუ ისე ახერხებს თავისი მოდგმის განგრძობას იმდენად, რომ მისი რიცხვი არ შემცირდეს.

სხვაგვარად იქნება საქმე ისეთ ქვეყანაში, სადაც ფონდი, რომელიც შრომის შესანახადაა დანიშნული, თვალსაჩინოდ მცირდება. ყოველ წელს მოთხოვნა მსახურებისა და მუსების მიმართ შრომის ყოველ დარგში უფრო და უფრო შემცირდება წინა წელთან შედარებით. მრავალი მუშა, რომელიც შრომის უმაღლეს დარგებს ეკუთვნის, რადგან შესაძლებლობა არ ექნება სამუშაო იშოვოს თავის სპეციალობაში, მოხარული იქნება, თუ მას იშოვის შრომის უდაბლეს დარგში. მაგრამ ამ უდაბლეს დარგებში, რომლების გავსებული იქნება არა მარტო მათი საკუთარი მუშებით, არამედ ყველა სხვა ჯგუფებიდან გადმოსულებითაც, კონკურენცია სამუშაოს მოსაპოვებლად ისე დიდი გახდება, რომ შრომის ხელფასს დაიყვანს იმ

დონემდე, როდესაც მუშას ყოვლად უზადრუკი და უმწეო არსებობა ექნება. ბევრნი ასეთ მძიმე პირობებშიც ვერ იშოვნებენ სამუშაოს, _ ისინი ან შიმშილით დაიხოცებიან, ანდა იძულებული იქნებიან მათხოვრობით ან უდიდეს ბოროტმოქმედებათა ჩადენის გზით ეზიონ თავიანთი სარჩო. გაჭირვება, შიმშილი და მოკვდაობა გახდება დაუყოვნებლივ ამ კლასის ხვედრი და აქედან ეს გავრცელდება ყველა უმაღლეს კლასზე, სანამ ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი არ შემცირდება იმ რაოდენობამდე, რომელმაც ადვილად შეიძლება იარსებოს იმ შემოსავლით და კაპიტალით, რაც დარჩება ქვეყანაში და გადაურჩება მტარვალობასა და უბედურებას, რომელმაც გაანადგურა დანარჩენი. ასეთია დაახლოებით, შეიძლება ვთქვათ, ახლანდელი მდგომარეობა ბენგალიის და ინგლისელთა რამდენიმე სხვა დასახლებული ადგილისა ოსტ-ინდოეთში. თუ ნაყოფიერ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა წინათ მნიშვნელოვნად შემცირდა და სადაც ამიტომ ძალიან ძნელი არ უნდა უყოს საარსებო საშუალებების მოპოვება და სადაც, მიუხედავად ამისა, მაინც ხუთასი ათასი ადამიანი იხოცება შიმშილით ერთ წელიწადში, _ ასეთ ქვეყანაში, ეჭვი არაა, მშრომელ ღარიბთა შესანახად დანიშნული ფონდი ძალიან შემცირებულია. განსხვავება ბრიტანეთის კონსტიტუციის ხასიათსა, რომლის მფარველობისა და მმართველობის ქვეშ იმყოფება ჩრდილო-ამერიკა, და იმ სავაჭრო კომპანიის ხასიათს შორის, რომელიც ოსტ-ინდოეთს ფლობს და სჩაგრავს, არაფრით არ შეიძლება ისე ცხადყოფილი იქნეს, როგორც ამ ქვეყნების მდგომარეობის სხვადასხვაობით.

შრომის უხვი სასყიდელი წარმოადგენს, ამიტომ, როგორც აუცილებელ შედეგს, ისე აგრეთვე ბუნებრივ ნიშანს ეროვნული სიმდიდრის ზრდისას. და, მეორე მხრივ, მშრომელ ღარიბთა გაჭირვებული არსებობა ბუნებრივი ნიშანია იმისა, რომ ქვეყანა სტაციონარულ მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო მათი დამშევა იმის მაჩვენებელია, რომ ეს ქვეყანა სწრაფი ნაბიჯით მიდის უკან.

დიდ ბრიტანეთში შრომის ხელფასი ამჟამად, როგორც ცხადად სჩანს, იმ დონეზე მაღლა დგას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მუშამ შესძლოს ოჯახის გამოკვება. რათა ამაში დავრწმუნდეთ, საჭირო არაა ვიწყოთ იმ მინიმალური თანხის მოსაწყენი და საეჭვო გამოთვლა, რომელიც უზრუნველჰყოფს ამის შესაძლებლობას. არსებობს მრავალი ცხადი სიმპტომი იმისა, რომ შრომის ხელფასი არსად ამ ქვეყანაში არ განისაზღვრება იმ უდაბლესი ნორმის მიხედვით, რომელიც შეიძლება შეითავსოს ჩვეულებრივმა ჰუმანობამ.

1. თითქმის ყველგან დიდ ბრიტანეთში, უდაბლესი დარგის შრომისათვისაც კი, არსებობს განსხვავება საზაფხულო და საზამთრო ხელფასს შორის. საზაფხულო ხელფასი ყოველთვის უფრო მაღალია. ოჯახის შენახვა კი, სათბობი მასალისათვის არაჩვეულებრივი ხარჯების გამო, სწორედ ზამთარში ჯდება უფრო ძვირად. ამიტომ, რამდენადაც შრომის ხელფასი ყველაზე უფრო მაღალია იმ დროს, როდესაც ოჯახის შესანახი ხარჯები ყველაზე უფრო მცირე არის, _ ცხადია, ხელფასი განისაზღვრება არა ამ უკანასკნელი ხარჯებით, არამედ შრომის რაოდენობისა და მისი ნაგულისხმევი ღირებულების მიხედვით. მართალია, შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ მუშა დაზოგავს თავისი საზაფხულო ხელფასის ნაწილს, რათა დაჰფაროს თავისი საზამთრო ხარჯები, და რომ მთელი წლის შრომის ხელფასი არ აღემატება იმას, რაც აუცილებელია მისი ოჯახის შესანახად მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ ჩვენ ასე არ მოვეპყრობოდით მონას ან ისეთ ადამიანს, რომელიც ჩვენზე იქნებოდა აბსოლუტურად დამოკიდებული. მისი ყოველდღიური ულუფა მის ყოველდღიურ მოთხოვნილებასთან იქნებოდა შეფარდებული.

2. შრომის ხელფასი დიდ ბრიტანეთში არ მერყეობს სურსათ-სანოვაგის ფასის მიხედვით. ეს უკანასკნელი იცვლება ყველგან წლიდან წლამდე, ხშირად თვიდან თვიმდე, მაშინ როდესაც შრომის ფულადი ფასი ხანდახან უცვლელი რჩება ბევრ ადგილას ზოგჯერ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. თუ, ამრიგად, მშრომელი ღარიბი იმ ადგილებში ახერხებს სიძვირის დროს თავისი ოჯახის შენახვას, ხომიერი ფასების პერიოდებში გაუჭირვებლად უნდა იმყოფებოდეს. სურსათ-სანოვაგის მაღალ ფასს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ ახლდა სამეფოს ბევრ ადგილას შრომის ფულადი ფასის შესამჩნევი აწევა. მართალია, უკანასკნელს ჰქონდა ზოგან ადგილი, მაგრამ ეს, ალბათ, გამოწვეული იყო უფრო შრომის მოთხოვნის გაზრდით, ვიდრე სურსათ-სანოვაგის ფასის გადიდებით.

3. მაშინ როდესაც სურსათ-სანოვაგის ფასი ირყევა წლიდან წლამდე უფრო, ვიდრე შრომის ხელფასი, _ შრომის ხელფასი, თავის მხრივ, იტყევა ადგილიდან ადგილამდე უფრო, ვიდრე სურსათ-სანოვაგის ფასი. პურისა და ხორცის ფასები შეერთებული სამეფოს უდიდეს ნაწილში ჩვეულებრივ ერთნაირია ან თითქმის ერთნაირია. ეს და მეტი წილი სხვა საგნები, რომლებიც წვრილ-წვრილად იყიდება, _ სწორედ იმ წესით, როგორც მშრომელი ღარიბი ყიდულობს ყველა საგანს, _ ისევე იაფია ანდა უფრო იაფიც არის დიდ ქალაქებში, ვიდრე ქვეყნის შორეულ ნაწილებში, იმ მიზეზების გამო, რომლებიც მე შემთხვევა მექნება გავარკვიო შემდეგში. შრომის ხელფასი კი დიდ ქალაქში და მის მიდამოში ხშირად ერთი მეოთხედით ან ერთი მეხითედით, ოცი ან ოცდახუთი პროცენტით, უფრო მაღალია, ვიდრე მისგან რამდენიმე მილის მანძილზე დაშორებით. 18 პენსი დღიურად შეიძლება ჩავთვალოთ შრომის ჩვეულებრივ ფასად ლონდონში და მის მიდამოებში. რამდენიმე მილის მანძილზე მისგან იგი ჩამოდის 14 და 15 პენსზე. 10 პენსი შეიძლება ჩავთვალოთ შრომის ფასად ედინბურგში და მის მიდამოებში. რამდენიმე მილის მანძილზე მისგან იგი ჩამოდის 8 პენსზე, რაც შეადგენს ჩვეულებრივ ფასს უბრალო შრომისათვის მეტწილად ქვემო-შოტლანდიაში, სადაც იგი ბევრად უფრო ნაკლებ ირყევა, ვიდრე ინგლისში. ფასის ასეთი განსხვავება, რომელიც, როგორც სჩანს, საკმარისი არაა იმისათვის, რომ ადამიანი აიძულოს გადასახლდეს ერთი სამრეველოდან მეორეში, აუცილებლად გამოიწვევდა უაღრესად მძიმე საქონელთა ისე გაძლიერებულ გადაზიდვას არა თუ ერთი სამრეველოდან მეორეში, არამედ სამეფოს ერთი კიდიდან _ და, იქნებ, მსოფლიოს ერთი კიდიდანაც _ მეორეში, რომ ფასები ერთნაირ დონეზე დადგებოდა. ყველა იმის მიუხედავად, რაც უთქვამთ ადამიანის სიმჩატისა და დაუდგრომლობის შესახებ, გამოცდილება ცხადად გვიმტკიცებს, რომ ადამიანის დაძვრა ადგილიდან ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე რაიმე სხვაგვარი ტვირთისა. ამიტომ, თუ მშრომელ ღარიბებს სამეფოს იმ ნაწილებში, სადაც შრომის ფასი უდაბლეს დონეზე დგას, შეუძლიათ თავიანთი ოჯახის შენახვა, მაშ იქ, სადაც ეს ფასი უმაღლეს დონეზე არის, ისინი გაუჭირვებლად უნდა ცხოვრობდნენ.

4. შრომის ფასის რყევა არა თუ შეესაბამება სურსათ-სანოვაგის ფასის რყევას სივრცესა და დროში, არამედ ხშირად იგი ამ რყევის მიმართ დაპირისპირებული არის.

ხორბლეული, უბრალო ხალხის საზრდო, შოტლანდიაში უფრო ძვირია, ვიდრე ინგლისში, საიდანაც შოტლანდია თითქმის ყოველწლიურად იღებს მეტად მნიშვნელოვან რაოდენობას. მაგრამ ინგლისის ხორბლეული უფრო ძვირ ფასად უნდა გაიყიდოს შოტლანდიაში, _ იქ, სადაც იგი შეიზიდება, ვიდრე ინგლისში, _ იქ, საიდანაც იგი მიიღება; და ხარისხის ერთნაირობისას ეს ხორბლეული არ შეიძლება გაიყიდოს შოტლანდიაში უფრო ძვირად, ვიდრე შოტლანდიის ხორბლეული,

რომელიც იმავე ბაზარზე შემოდის და მას კონკურენციას უწევს. ხორბლეულის ხარისხი განისაზღვრება უმთავრესად იმ ფქვილის ღირსებით, რომელსაც იგი იძლევა დაფქვისას, და ამ მხრივ ინგლისის ხორბლეული იმდენად სჯობნის შოტლანდიისას, რომ, თუმცა ხშირად გარეგნობით ან მის რაოდენობასთან შედარებით ძვირი არის, სინამდვილეში ჩვეულებრივ უფრო იაფია შეფარდებით მის ხარისხთან ან მის წონასთანაც კი. შრომის ფასი კი, პირიქით, უფრო ძვირია ინგლისში, ვიდრე შოტლანდიაში. ამიტომ, თუ მშრომელ ღარიბებს სამეფოს ერთ ნაწილში, სახელდობრ შოტლანდიაში შეუძლიათ თავიანთი ოჯახის შენახვა, მაშ მის მეორე ნაწილში, სახელდობრ ინგლისში, ისინი გაუჭირვებლად უნდა ცხოვრობდნენ. მართალია, შვრიის ფქვილი შოტლანდიაში შეადგენს დაბიო ხალხის უმთავრეს და საუკეთესო საზრდოს, რაც საერთოდ დიდა ჩამოუვარდება იმავე კლასის მის მეზობელთა საზრდოს ინგლისში. მაგრამ ეს განსხვავება მუშების კვების პირობებში არის არა მიზეზი, არამედ შედეგი განსხვავებისა მათ შრომის ხელფასში, თუმცა მე მსმენია, რომ, უცნაური გაუგებლობის გამო, მას მიზეზად სთვლიან, არა იმიტომ, რომ ერთ ადამიანს ეტლი აქვს, ხოლო მისი მეზობელი ფეხით დადის, პირველი მათგანი მდიდარია და მეორე – ღარიბი, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ პირველი მდიდარია, მას აქვს ეტლი, და იმიტომ, რომ მეორე ღარიბია, იგი დადის ფეხით.

შეერთებული სამეფოს ორსავე ნაწილში ხორბლეული, საშუალოდ, წარსული საუკუნის განმავლობაში უფრო ძვირი იყო, ვიდრე მიმდინარე საუკუნეში. ეს არის ფაქტი, რომლის უცილობლობას საეჭვოდ არ ხდის არავითარი გონივრული საბუთი და რომელიც კიდევ უფრო, თუ შეიძლება, უცილობლად დამტკიცებულია შოტლანდიისთვის, ვიდრე ინგლისისთვის. შოტლანდიისთვის იგი მტკიცდება ოფიციალური “ფიარებით”, ე. ი. ფიცს ქვეშ მოცემული ცნობების საფუძველზე შედგენილი სიებით ყოველგვარი ხორბლეულის საბაზრო ფასის შესახებ შოტლანდიის თითოეულ საგრაფოში. თუ ასეთი პირდაპირი დამტკიცება კიდევ რაიმე დამატებით დადასტურებას საჭიროებს, მე შემძლია აღვნიშნო, რომ ამავე ფაქტს ადგილი ჰქონდა აგრეთვე საფრანგეთში და, ალბათ, დანარჩენი ევროპის უმრავლეს ნაწილებშიც. რაც შეეხება საფრანგეთს, მოიპოვება ამის უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი. მაგრამ თუ უცილობელია, რომ შეერთებული სამეფოს ორსავე ნაწილში ხორბლეული წარსულ საუკუნეში რაოდენადმე უფრო ძვირი იყო, ვიდრე მიმდინარე საუკუნეში, ისევე უცილობელია ისიც, რომ შრომა ბევრად უფრო იაფი იყო. და თუ მშრომელი ღარიბები ახერხებდნენ მაშინ თავიანთი ოჯახის შენახვას, მაშ ახლა მით უფრო გაჭირვებულად უნდა ცხოვრობდნენ. წარსულ საუკუნეში უზშირესი დღიური ხელფასი შავი მუშისთვის შოტლანდიის უდიდეს ნაწილში შეადგენდა 6 პენსს ზაფხულში და 5 პენსს ზამთარში. დაახლოებით ასეთივე შრომის ხელფასი, სახელდობრ 3 შილინგი კვირაში, არსებობს დღესაც ზემო-შოტლანდიის ზოგ ნაწილებში და დასავლეთ კუნძულებზე. ქვემო-შოტლანდიის უდიდეს ნაწილში შავი მუშის ჩვეულებრივი ხელფასი ამჟამად აღწევს 8 პენსს დღეში; 10 პენსს აღწევს, ზოგჯერ 1 შილინგსაც, ედინბურგის მიდამოებში, ინგლისის მოსაზღვრე საგრაფოებში, – ალბათ, ამ ახლო მეზობლობის გამო, – და რამდენსამე სხვა ადგილას, სადაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა შრომის მოთხოვნის მნიშვნელოვან ზრდას, – გლაზგოში, კარონში, აირშირში და სხვაგან. ინგლისში მიწათმოქმედების, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე შოტლანდიაში. შრომის მოთხოვნა და, მაშასადამე, მისი ფასი აუცილებლად უნდა გაზრდილიყო ამ განვითარების კვალობაზე. ამიტომ, როგორც წარსულ, ისე მიმდინარე საუკუნეში შრომის ხელფასი ინგლისში უფრო მაღალი იყო,

ვიდრე შოტლანდიაში. იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ დროის შემდეგ, თუმცა – დიდი სხვადასხვაობის გამო შრომის ხელფასში, რომელსაც აქ სხვადასხვა ადგილას აძლევენ – ძნელია იმის განსაზღვრა, თუ სახელდობრ რამდენად გაიზარდა. 1614 წელს ქვეითი ჯარისკაცის ჯამაგირი ისეთივე იყო, როგორც დღეს, სახელდობრ 8 პენსი დღეში. როდესაც ეს ჯამაგირი დაწესებულ იქნა, იგი, რასაკვირველია, შეფარდებული იყო შავი მუშების ხელფასთან, რომელთა წრიდანაც ჩვეულებრივ გროვდებოდნენ ქვეითი ჯარისკაცები. ლორდი მთავარი მსაჯული ჰელსი, რომელიც კარლოს II-ის ხანაში სწერდა, აუცილებელ ხარჯებს მუშის ოჯახისთვის, რომელიც 6 სულისგან – მამისა, დედისა, ორი შრომიუნარიანი ბავშვისა და ორი შრომისუუნარო ბავშვისაგან – შესდგება, ანგარიშობს 10 შილინგად კვირაში ანუ 26 გირვანქად წელიწადში. თუ ოჯახს არ შეუძლია ამ თანხის შოვნა თავისი შრომით, მან უნდა მოიპოვოს იგი, როგორც ის ფიქრობს, მათხოვრობით ან ქურდობით. როგორც ეტყობა, მან საფუძვლიანად გამოიკვლია ეს საგანი¹. 1688 წელს გრეგორი კინგმა, რომლის დახელოვნებას პოლიტიკურ არითმეტიკაში ესოდენ აქებს დ-რი დევენანტი, მუშებისა და გარედან მოსიარულე მსახურების წლიური შემოსავალი განსაზღვრა 15 გირვანქით ოჯახზე, რომელიც, როგორც იგი გულისხმობს, საშუალოდ 3 1/2 სულისგან შესდგება. მისი ანგარიში, თუმცა იგი ერთი შეხედვით განსხვავდება მსაჯული ჰელსის ანგარიშისაგან, არსებითად ძალიან უახლოვდება მას. ორნივე გულისხმობენ მუშის ოჯახის კვირეულ ხარჯად დაახლოებით 20 პენსს სულზე. ასეთი ოჯახების ფულადი შემოსავალი და ხარჯი იმ დროის შემდეგ შესამჩნევად გაიზარდა სამეფოს დიდ ნაწილში, ზოგ ადგილას მეტად, ზოგ ადგილას ნაკლებად, თუმცა, იქნებ, არსად ისე დიდი ზომით, როგორც ნაჩვენებია იყო ახლახან გამოქვეყნებულ ცნობებში დღევანდელი შრომის ხელფასის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ფასის განსაზღვრა სრული ზედმიწევნილობით თითოეული ადგილისათვის შეუძლებელი არის, ვინაიდან ერთსა და იმავე ადგილას და ერთი და იმავე მუშაობისათვის ხშირად არაერთნაირი ფასის გადახდას აქვს ადგილი, არა მარტო მუშების უნარის სხვადასხვაობის გამო, არამედ დამქირავებელთა მეტნაკლები ხელგაშლილობის თუ კრიჭანგობის მიზეზითაც. იმ შემთხვევებში, როდესაც შრომის ხელფასი კანონით არაა დაწესებული, ჩვენ შეგვიძლია შევეცადოთ მხოლოდ იმ ხელფასის განსაზღვრას, რომელიც ყველაზე უფრო ჩვეულებრივი არის; და გამოვდილება თითქოს გვიმტკიცებს, რომ კანონს არასოდეს არ შეუძლია ხელფასის ნამდვილად განსაზღვრა, თუმცა მას ხშირად მოუნდომნია ამის შესრულება.

შრომის ნამდვილი სასყიდელი, ე. ი. არსებობისა და კომფორტისათვის საჭირო საგანთა რაოდენობა, რომელიც იმ სასყიდელმა შეიძლება მოუპოვოს მუშას, მიმდინარე საუკუნის განმავლობაში გაიზარდა, იქნებ, უფრო მეტად, ვიდრე შრომის ფულადი ფასი. არა მარტო პური გაიაფდა რაოდენადმე, არამედ მნიშვნელოვნად გაიაფდა მრავალი სხვა საგანიც, რომელსაც სასიამოვნო და საღი სხვადასხვაობა შეაქვს მშრომელ ღარიბთა საზრდოში. ასე, მაგალითად, კარტოფილი ამჟამად სამეფოს უდიდეს ნაწილში ღირს ნახევარი იმისა, რაც ღირდა 30 ან 40 წლის წინათ. იგივე შეიძლება ითქვას თალგამზე, სტაფილოზე, კომბოსტოზე, – იმ საგნებზე, რომლებიც წინათ მხოლოდ დაბარვის გზით მოჰყავდათ, ახლა კი ჩვეულებრივ მოხვნის გზით მოჰყავთ. აგრეთვე ყველა სხვაგვარი ხილი და ბოსტნეული უფრო იაფი გახდა. უდიდესი ნაწილი ვაშლისა და ხახვისაც კი, რომლებიც დიდ ბრიტანეთში მოიხმარება, წარსულ საუკუნეში ფლანდრიიდან შემოჰქონდათ. დიდი

¹ იხ. მისი პროექტი ღარიბების შენახვის შესახებ წიგნში: Burn, History of the Poorlaws.

გაუმჯობესება იაფი – სელის და მატყლის – ქსოვილების წარმოებაში მუშებს აძლევს უფრო იაფ და უკეთეს ტანსაცმელს, ხოლო გაუმჯობესება ტლანქი ლითონების დამუშავებაში აძლევს მათ უფრო იაფ და უკეთეს შრომის იარაღებს, აგრეთვე მრავალ სასიამოვნო და გამოსადეგ საოჯახო ავეჯს. საპონი, მარილი, სანთელი, ტყავი და ალკოჰოლიანი სასმელები, მართალია, გაძვირდა უმთავრესად მათზე დაწესებული ხარკების გამო. მაგრამ რაოდენობა ამ საგანთა, რომელიც მუშებმა აუცილებლად უნდა მოიხმარონ, ისე მცირეა, რომ მათი ფასის გადიდება არ აწონასწორებს ესოდენ მრავალ სხვა საგანთა ფასის შემცირებას. ჩვეულებრივ ჩივილს იმაზე, რომ ფუფუნება ხალხის უდაბლეს ფენებზეც ვრცელდება და რომ მშრომელი ღარიბები ახლა აღარ კმაყოფილდებიან იმ კვებით, ტანსაცმელით და ბინით, რომლითაც უწინდელ დროში კმაყოფილდებოდნენ, შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ გაიზარდა არა მარტო შრომის ფულადი ფასი, არამედ მისი ნამდვილი სასყიდელიც.

სასარგებლოდ თუ არა ხელსაყრელად მისაჩნევია საზოგადოებისთვის ხალხის დაბალი ფენების მდგომარეობის ასეთი გაუმჯობესება? პასუხი, ერთი შეხედვით, სრულიად ნათელია. მსახურნი, მუშები და ყოველგვარი დღიურ მომუშავენი ყველა მსხვილი პოლიტიკური საზოგადოების უდიდეს ნაწილს შეადგენენ. ხოლო რაც გაუმჯობესებს უდიდესი ნაწილის არსებობის პირობებს, ის არასოდეს არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მავნებლად მთელისათვის. საზოგადოება, უეჭველია, ვერ აყვავდება და ბედნიერი ვერ იქნება, თუ მის წევრთა დიდძალი უმრავლესობა ღატაკი და უბედურია. გარდა ამისა, უბრალო სამართლიანობა მოითხოვს, რომ ის ადამიანები, რომელნიც ჰკვებავენ, აცმევენ და ბინას უგებენ ხალხის მთელ სხეულს, ისეთ წილს იღებდნენ თავიანთი საკუთარი შრომის პროდუქტში, რომ თვითონ შეეძლოთ ასატანად კვება, ჩაცმა-დახურვა და ბინადრობა.

სიღარიბე ყოველთვის შეუძლებელს არ ხდის ქორწინებას, თუმცა, უეჭველია, აბრკოლებს მას. იგი, როგორც ეტყობა, ხელშემწყობიც კი არის გამრავლებისა. ნახევრად დამშეული ზემო-შოტლანდიელი დედაკაცი ხშირად 20 ბავშვზე მეტს შობავს, მაშინ როდესაც კარგად ნაკვებ ნარნარა ქალბატონს ერთის შობვაც კი არ ძალუძს და ჩვეულებრივ იგი 2 თუ 3 ბავშვის შემდეგ გამოფიტული არის. უნაყოფობა, რომელიც ესოდენ ხშირია წარჩინებულ ბანოვანთა შორის, ძალიან იშვიათად მოვლენა არის დაბალი ფენის დედაკაცებში. ფუფუნება, იქნებ, აღვივებს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში მისწრაფებას სიამოვნებისადმი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ყოველთვის ასუსტებს და ხშირად სრულიადაც სპობს მოდგმის წარმოშობის უნარს.

მაგრამ სიღარიბე, თუმცა იგი არ აბრკოლებს მოდგმის გამრავლებას, ძალიან ხელშემშლელია ბავშვების გამოზრდისათვის. სათუთი მცენარე აღმოცენდება, მაგრამ ასეთ ცივ ნიადაგსა და მკაცრ ჰავაში მალე ჭკნება და კვდება. როგორც მე ხშირად გამიგონია, ზემო-შოტლანდიაში უჩვეულოს არას წარმოადგენს, რომ დედას, რომელსაც 20 ბავშვი უშობნია, მხოლოდ 2 შერჩენია ცოცხალი. ზოგი ფრიად გამოცდილი ოფიცრები მარწმუნებდნენ, რომ ჯარისკაცების შვილების რიცხვი საკმარისი არ იყო არა თუ მათი გუნდის შესავსებად, არამედ მარტოდენ მედოლეთა და მესალამურეთა შესანაცვლებლადაც კი. ისე კი იშვიათად ნახავს ადამიანი სადმე ესოდენ მრავალ ლამაზ ბავშვებს, როგორც ჯარისკაცების ყაზარმების ახლოს. მაგრამ იმათგან მხოლოდ ცოტანი აღწევენ, როგორც ეტყობა, ცამეტი ან თოთხმეტი წლის ასაკს. ზოგ ადგილებში ბავშვთა ნახევარი იხოცება მეოთხე წლამდე, სხვა ადგილებში მეშვიდე წლამდე და თითქმის ყველგან მეცხრე ან მეათე წლამდე. მაგრამ ასეთ მოკვდაობას ადგილი აქვს ყველგან უმთავრესად დაბიო ხალხის ბავშვებში, რომლებსაც ისეთი მოვლა არა აქვთ, როგორც უფრო შეძლებული მშობლების

შვილებს. თუმცა ქორწინება დაბიო ხალხში უფრო ნაყოფიერია, ვიდრე საზოგადოების უმაღლეს წრეებში, მაგრამ ბავშვთა ნაკლები ნაწილი აღწევს იქ მოწიფულობის ასაკს. ნაპოვნ ბავშვთა აღმზრდელ სახლებში კი და იმ ბავშვებს შორის, რომელნიც სამრევლოების ქველმოქმედების ხარჯზე იზრდებიან, მოკვდაობა კიდევ უფრო დიდია, ვიდრე დაბიო ხალხის ბავშვებს შორის.

ცხოველთა ყოველი სახე მრავლდება, რასაკვირველია, მისი საკვების არსებული რაოდენობის შესაბამისად, და არც ერთ ცხოველთა სახეს არ შეუძლია ამ ფარგალზე მეტად გამრავლება. მაგრამ ცივილიზებულ საზოგადოებაში საარსებო საშუალებების ნაკლებობამ მხოლოდ ხალხის დაბალ კლასებში შეიძლება დაუდოს ფარგალი ადამიანთა მოდგმის გამრავლებას, და ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ გზით, რომ აღნიშნული ნაკლებობის გამო გაწყდება დიდი ნაწილი ბავშვთა, რომელთაც წარმოშობს ნაყოფიერი ქორწინება ხალხის დაბალ კლასებში.

შრომის უხვი სასყიდელი, რომელიც მუშებს საშუალებას აძლევს უკეთ მოუარონ თავიანთ ბავშვებს და, მამასადამე, მათი უფრო დიდი რაოდენობა გამოზარდონ, იწვევს, რასაკვირველია, იმ ფარგლის გაწევას და გაფართოებას. ამასთან აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ეს გაფართოება ხდება შეძლებისამებრ იმ ზომის შესაბამისად, რომელიც შრომის მოთხოვნიდან წარმოსდგება. თუ ეს მოთხოვნა განუწყვეტლივ იზრდება, შრომის სასყიდელმა იმ ზომით უნდა წაახალისოს მუშები დაქორწინებისა და გამრავლებისათვის, რომ მათ შეეძლოთ ეს მუდამ მზარდი მოთხოვნა დააკმაყოფილონ მუდამ მზარდი მოსახლეობით. თუ შრომის ხელფასმა რომელსამე მომენტში იმ დონეზე დაბლა დაიწია, რომელიც საჭიროა ამ მიზნისათვის, მუშა-ხელის ნაკლებობა მალე ასწევს მას მაღლა; ხოლო თუ მან იმ დონეზე მაღლა აიწია, ზომას გადაჭარბებული გამრავლება მალე დასწევს მას აუცილებელ მის დონემდე. ბაზარი ერთ შემთხვევაში იმდენად არასაკმარისად იქნება შრომით მომარაგებული და მეორე შემთხვევაში იმდენად გარდამეტად იქნება მით მომარაგებული, რომ ეს გარემოება მალე მიიყვანს შრომის ფასს ჯეროვან ნორმამდე, რომელსაც მოითხოვს საზოგადოების არსებული პირობები. ამრიგად, ადამიანთა მოთხოვნა, ისე როგორც ყოველი სხვა საქონლის მოთხოვნა, აუცილებლად აწესრიგებს ადამიანთა წარმოშობას, _ აჩქარებს მას, როდესაც იგი ნამეტნავად ნელა მიმდინარეობს, და აფერხებს, როდესაც მისი მსვლელობა ნამეტნავად სწრაფი არის. სწორედ ეს მოთხოვნაა, რომ აწესრიგებს და განსაზღვრავს ადამიანთა მოდგმის გამრავლებას ყველგან სხვადასხვა ქვეყანაში დედამიწაზე, ჩრდილო-ამერიკაში, ევროპაში და ჩინეთში; იგი იწვევს ადამიანთა სწრაფ გამრავლებას პირველში, ნელ და თანდათანობით გამრავლებას მეორეში და მოსახლეობის სრულიად უძრავ დონეზე გაჩერებას უკანასკნელში.

ჩვეულებრივ ამბობენ, მონის გაცვეთა მისი ბატონის ხარჯზე ხდებაო, ხოლო თავისუფალი მსახურის გაცვეთა _ მის საკუთარ ხარჯზეო. მაგრამ უკანასკნელის გაცვეთაც ისევე დაეკისრება მის დამქირავებელს, როგორც პირველის გაცვეთა. ხელფასი, რომელიც ეძლევა დღიურ მუშებს და ყოველგვარ მსახურებს, საშუალოდ ისეთი უნდა იყოს, რომ მათ შესაძლებლობას აძლევდეს განაგრძონ დღიურ მუშათა და მსახურთა მოდგმის იმ ზომით წარმოშობა, როგორსაც საჭიროებს საზოგადოების მზარდი, კლებადი თუ სტაციონარული მოთხოვნა. მაგრამ, თუმცა თავისუფალი მსახურის გაცვეთაც მისი დამქირავებლის ხარჯზე ხდება, იგი მაინც გაცილებით ნაკლებ უღირს დამქირავებელს, ვიდრე მონის გაცვეთა. ფონდი, რომელიც დანიშნულია მონის გაცვეთის ასანაზღაურებლად ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესაკეთებლად, ჩვეულებრივ იმყოფება დაუდევარი ბატონის ან უზრუნველი

მოურავის გამგებლობაში. ის ფონდი კი, რომელიც თავისუფალი ადამიანის მიმართ არის დანიშნული იმავე მიზნისათვის, თვით ამ ადამიანის გამგებლობაში იმყოფება. ბუნებრივია, რომ ის უწყსრიგობა, რომელიც ჩვეულებრივს სჭარბობს მდიდარი კაცის მეურნეობაში, სჭარბობს იმ ფონდის გამგებლობაშიც, რომელიც მონების შესანახადაა დანიშნული; და ასევე ბუნებრივია, რომ ღარიბის მხრივ მკაცრი ზომიერება და მომჭირნეობა ტარდება მის საარსებო საშუალებათა ხარჯვის საქმეში. ასეთი სხვადასხვაგვარი გამგებლობის არსებობისას ერთი და იმავე მიზნის შესასრულებლად სულ სხვადასხვა ხარჯები იქნება საჭირო. ამის შესაბამისად, როგორც მე მგონია, ყველა დროისა და ყველა ხალხის გამოცდილება იმას გვეუბნება, რომ თავისუფალ ადამიანთა შრომა ბოლოს და ბოლოს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მონების შრომა. ეს დამტკიცებულია კიდევ ბოსტონში, ნიუ-იორკში და ფილადელფიაში, სადაც ხელფასი უბრალო შრომისათვის ესოდენ მაღალ დონეზე არის.

ამრიგად, თუ შრომის უხვი სასყიდელი, ერთის მხრივ, შედეგია სიმდიდრის ზრდისა, იმავე დროს, მეორე მხრივ, იგი მოსახლეობის ზრდის მიზეზი არის. მასზე ჩივილი ნიშნავს იმას, რომ ვგოდებდეთ უდიადესი საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელ შედეგსა და მიზეზზე.

იქნებ საჭირო იყოს აღვნიშნოთ, რომ მშრომელ ღარიბთა, ხალხის ამ უდიდესი ნაწილის, მდგომარეობა, როგორც ეტყობა, უაღრესად ბედნიერი და წარმატებულია უფრო მაშინ, როდესაც საზოგადოება პროგრესის პროცესშია, როდესაც იგი წინ მიდის სიმდიდრის შეძენის გზაზე, ვიდრე მაშინ, როდესაც საზოგადოებამ უკვე მოიპოვა ყველა შესაძლებელი სიმდიდრე. მშრომელთა მდგომარეობა მძიმეა საზოგადოების სტაციონარობის დროს და სავალალოა მისი დაცემის ხანაში. საზოგადოების პროგრესული მდგომარეობა მოასწავებს სინამდვილეში ყველა მისი კლასისთვის სიხარულსა და სავსებას. საზოგადოების უძრავი მდგომარეობა სიხარულს მოკლებული არის, ხოლო მისი რეგრესული მდგომარეობა გავსებულია ნალღველით.

შრომის უხვი გასამრჯელო როგორც ხელს უწყობს დაბიო ხალხის გამრავლებას, ისევე ხელს უწყობს მისი შრომისმოყვარეობის გაძლიერებას. შრომის ხელფასი წამახალისებელია შრომისმოყვარეობისა, რომელიც, როგორც ადამიანის ყოველი სხვა თვისება, მათულობს იმ ზომით, რა ზომითაც იგი წახალისებას განიცდის. უხვი საზრდო ადიდებს მშრომელის ფიზიკურ ძალას, ხოლო ის სასიხარულო იმედი, რომ მან შეიძლება გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა და ქონიერობასა და სავსებაში დაასრულოს თავისი დღენი, სტიმულს აძლევს მას უაღრესად დასჭიმოს თავისი ძალღონე. ამიტომ იქ, სადაც მაღალი ხელფასია, ჩვენ ყოველთვის ვპოვებთ მუშას უფრო მომქმედს, მუყაითს და საზრიანს, ვიდრე იქ, სადაც ეს ხელფასი დაბალია. ინგლისში, მაგალითად, ჩვენ უფრო ვპოვებთ ასეთ მუშებს, ვიდრე შოტლანდიაში, დიდი ქალაქის მიდამოებში უფრო, ვიდრე შორეულ სოფლის ადგილებში. რასაკვირველია, არიან ისეთი მუშები, რომელნიც, თუ მათ ოთხ დღეში იმდენის შოვნა შეუძლიათ, რომ მით მთელ კვირას იცხოვრებენ, დანარჩენ 3 დღეს უქმად დადიან; მაგრამ ისინი სრულიადაც არ წარმოადგენენ უმრავლესობას. პირიქით, როდესაც მუშებს უხვი საცალო გასამრჯელო ეძლევა, ისინი მზად არიან წელში გასწყდნენ მუშაობით და რამდენსამე წელიწადში გაანადგურონ თავიანთი ჯანმრთელობა და ძალღონე. ლონდონში და ზოგ სხვა ადგილას ხუროს, როგორც ანგარიშობენ, დაახლოებით 8 წელზე მეტხანს არ შეუძლია შეინარჩუნოს თავისი სრული ძალღონე. მსგავს მოვლენას აქვს ადგილი ბევრ სხვა მრეწველობაშიც, სადაც

მუშა საცალო გასამრჯელოს იღებს. ასე ხდება ჩვეულებრივად მანუფაქტურებში და სოფლის მეურნეობაშიც კი, – ყველგან, სადაც შრომის ხელფასი ჩვეულებრივ დონეზე მაღალი არის. ხელოსანთა თითქმის ყველა კატეგორია ექვემდებარება რაიმე სპეციალურ დაავადებას, რომელსაც წარმოშობს მათი უზომო საქმიანობა შრომის განსაკუთრებულ დარგში. რამაძინიმ, გამოჩენილმა იტალიელმა ექიმმა, სპეციალური წიგნი დასწერა ამ დაავადების შესახებ. ჩვენ არ ვთვლით ჩვენს ჯარისკაცებს ჩვენი ხალხის უადრეს შრომისმოყვარე ნაწილად. და მაინც, როდესაც მათ რაიმე განსაკუთრებულ სამუშაოზე აყენებდნენ, რისთვისაც კარგ საცალო გასამრჯელოს აძლევდნენ, მათ ოფიცრებს ხშირად სჭირდებოდათ მესარეწესთან შეთანხმების დადება იმის შესახებ, რომ მათთვის არ მიეცათ შესაძლებლობა განსაზღვრულ თანხაზე მეტი აეღოთ დღეში დაწესებული საცალო სასყიდლის ნორმის საფუძველზე. ვიდრე ასეთი შეთანხმება დაიდებოდა, ერთმანეთთან შეჯიბრება და მეტი მოგების სურვილი ჯარისკაცებს აიძულებდა ზომაზე მეტად ემუშავათ და თავისი ჯანმრთელობისათვის ზიანი მიეყენებიათ. კვირაში ოთხ დღეს დაძაბული უზომო მუშაობა ხშირად ნამდვილი მიზანია უსაქმობისა დანარჩენი სამი დღის განმავლობაში, რაზედაც ესოდენ ძალიან და ხმამაღლა სჩივიან. დაძაბული შრომის შემდეგ, გონებრივის და ფიზიკურისა, რომელიც გრძელდება ოთხ დღეს ერთი მეორის მიყოლებით, ადამიანთა უმრავლესობას ბუნებრივად აღეძვრის დასვენების მოთხოვნილება, და ეს მოთხოვნილება თითქმის უძლეველია, უკეთუ ხელს არ შეუშლის ძალდატანება ან დიდი გაჭირვება. ეს ძახილია ბუნებისა, რომელიც მოითხოვს დახმარებას ჯანის დაზოგვით, ზოგჯერ მხოლოდ დასვენების გზით, ზოგჯერაც გართობისა და შექცევის გზით. ამ მოთხოვნილების აუსრულებლობის შედეგი ხშირად სახიფათოა, ზოგჯერ საბედისწეროც, და თითქმის ყოველთვის, ადრე თუ გვიან, იწვევს სპეციალურ საპროფესიო ავადმყოფობას. მუშების დამქირავებლები რომ ყოველთვის გონებისა და კაცთმოყვარეობის კარნახს უსმენდნენ, მათ ხშირად საფუძველი ექნებოდათ შეეკავებიათ უფრო, ვიდრე გაეღვივებიათ, ბევრი მათი მუშის გულმოდგინეობა. როგორც მე მგონია, ყოველი დარგის მრეწველობაში ჩვენ ვნახავთ, რომ ადამიანი, რომელიც აუჩქარებლად მუშაობს და რომელსაც, ამიტომ, მუდამ შეუძლია მუშაობა, არა თუ უფრო დიდხანს ინარჩუნებს თავის ჯანმრთელობას, არამედ შრომის მეტ რაოდენობასაც ასრულებს წლის განმავლობაში.

ამბობენ, რომ მუშები საერთოდ იაფობის წლებში უფრო ზარმაცნი არიან და სიძვირის წლებში უფრო მუყაითნი, ვიდრე ჩვეულებრივ. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ უხვი საზრდო ასუსტებს მუშების შრომისმოყვარეობას, ხოლო მისი ნაკლებობა, პირიქით, აღვივებს ამ უკანასკნელს. რომ რაოდენადმე ჩვეულებრივზე მეტმა ქონიერობამ შესაძლებელია ზოგი მუშები გააზარმაცოს, ამის უარყოფა არ შეიძლება; მაგრამ მაინც და მაინც დასაჯერებელი არ არის, რომ იგი ასეთ გავლენას ახდენდეს მუშების უმრავლესობაზე ან რომ ადამიანები არასაკმაო კვების დროს, გუნებადაცემულობისა და ხშირი ავადმყოფობის დროს ჩვეულებრივ უკეთ მუშაობდნენ, ვიდრე მაშინ, როდესაც კარგად იკვებებიან, კარგ გუნებაზე ან საერთოდ ჯანმრთელად არიან. უნდა აღინიშნოს, რომ სიძვირის წლები საერთოდ დაბიო ხალხისათვის შეადგენს გამღერებული დაავადებებისა და მოკვდაობის წლებს, რასაც არ შეიძლება შედეგად არ ჰქონდეს მისი შრომის პროდუქტის შემცირება.

სიუხვის წლებში მსახურნი ხშირად სტონებენ თავიანთ დამქირავებლებს და ცდილობენ დამოუკიდებელი მოსაქმეობით მოიპოვონ სარჩო. მაგრამ სურსათ-სანოვავის იგივე სიიაფე, ადიდებს რა მუშების შესანახად დანიშნულ ფონდს, სტიმულს აძლევს მეპატრონეებს, განსაკუთრებით ფერმერებს, მსახურთა მეტი

რიცხვი დაიქირავონ. ასეთ შემთხვევებში ფერმერები იმედოვნებენ, რომ მეტ მოგებას ნახავენ, უკეთეს თავიანთ პურს ცოტათი მეტ მსახურთა შესანახად გამოიყენებენ, ვიდრე მაშინ, უკეთეს მას დაბალ ფასში გაჰყიდონ ბაზარზე. მოთხოვნა მსახურთა მიმართ იზრდება, მაშინ როდესაც იმათი რიცხვი, რომელნიც ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად თავიანთი თავის მიმწოდებელნი არიან, კლებულობს. ამიტომ შრომის ფასი იაფობის წლებში ხშირად მაღლა იწევს.

ნაკლებობის წლებში არსებობის სიძნელე და არაუზრუნველყოფილობა აიძულებს ყველა ასეთ ხალხს დაუბრუნდეს დაქირავებით მუშაობას. მაგრამ სურსათ-სანოვაგის მაღალი ფასი, რადგან იგი ამცირებს მსახურთა შესანახად დანიშნულ ფონდს, აიძულებს მეპატრონეებს შეამცირონ თავიანთი მუშების რიცხვი უფრო, ვიდრე გაადიდონ იგი. გარდა ამისა, სიძვირის წლებში ღარიბი დამოუკიდებელი მშრომელები ხშირად სარჩოდ ხარჯავენ მთელ თავის კაპიტალს, რომლითაც ისინი ჩვეულებრივ მასალას მოიპოვებდნენ თავის სამუშაოსათვის, და, რათა იარსებონ, იძულებულნი არიან დაქირავებულ მუშებად იქცნენ. სამუშაოს ეძებს იმ რაოდენობაზე მეტი რიცხვი ადამიანთა, რომელმაც შესაძლებელია მიიღოს სამუშაო; ბევრნი მზად არიან ჩვეულებრივზე უფრო დაბალი სასყიდლით აიღონ ეს სამუშაო და ამიტომ სიძვირის წლებში მსახურებისა და დღიური მუშების ხელფასი ხშირად დაბლა იწევს.

ამიტომ ყოველგვარი მეპატრონენი მუშების შრომით ხშირად მეტ სარგებლობას იღებენ სიძვირის წლებში, ვიდრე იაფობის წლებში, და ისინი პირველ შემთხვევაში მუშებს უფრო მორჩილებს და თავდაბლებს პოულობენ, ვიდრე მეორე შემთხვევაში. და ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი სიძვირის წლებს უფრო ხელსაყრელად სთვლიან მრეწველობისათვის, ვიდრე იაფობის წლებს. გარდა ამისა, ლენდლორდებს და ფერმერებს, მეპატრონეთა ამ ორ მრავალრიცხოვან კლასს, გარდა ამისა სხვა მიზეზიც აქვთ კმაყოფილნი იყვნენ სიძვირის წლებით. რენტა პირველთა და მოგება მეორეთა დამოკიდებულია ძალიან სურსათ-სანოვაგის ფასზე. მაგრამ უფრო აბსურდული არა არის რა, ვიდრე იმ აზრის გამოსახვა თავში, რომ ადამიანები საერთოდ ნაკლებს იმუშავენ, როდესაც თავისთვის მუშაობენ, ვიდრე მაშინ, როდესაც სხვისთვის მუშაობენ. ღარიბი დამოუკიდებელი მშრომელი ჩვეულებრივ უფრო მუყაითია, ვიდრე დღიური მუშაკი, რომელიც ცალობით მუშაობს. პირველი იღებს სრულად თავისი შრომის პროდუქტს, მეორე კი იმას თავის დამქირავებელს უყოფს. პირველი, რომელიც ცალკე და დამოუკიდებლად მუშაობს, ნაკლებ ექვემდებარება ცდუნებას ცუდი საზოგადოების მხრივ, რაც მსხვილ მანუფაქტურებში ესოდენ ხშირად ანადგურებს სხვების ზნეობას. კიდევ უფრო დიდია, რასაკვირველია, დამოუკიდებელი მშრომელის უპირატესობა იმ მსახურებთან შედარებით, რომელთაც თვის ან წლის ვადით ქირაობენ და რომელნიც ერთნაირ ხელფასს და შესანახს იღებენ დამოუკიდებლად იმისგან, ბევრს მუშაობენ თუ ცოტას. იაფობის წლებს ტენდენცია აქვს დამოუკიდებელ მშრომელთა რიცხვის გადიდებისა და დღიური მუშების და მსახურების რიცხვთან შედარებით, ხოლო სიძვირის წლებს – იმ რიცხვის შემცირებისა.

ბ-ნი მესანსი, – ფრანგი მწერალი, დიდი ცოდნისა და ნიჭის პატრონი, ხარკის ამკრეფი სენტ-ეტიენის საარჩევნო ოლქში, – ცდილობს დაამტკიცოს, რომ ღარიბები მეტს მუშაობენ იაფობის წლებში, ვიდრე სიძვირის წლებში, და ამასთან იგი პირველ და მეორე შემთხვევაში წარმოებულ საქონელთა რაოდენობას და ღირებულებას ადარებს სამ სხვადასხვა წარმოებაში: მსხვილი შალეულის წარმოებაში ელბეფისა, ტილოს წარმოებაში და აბრემუმის წარმოებაში საერთოდ მთელი რუანის

ტერიტორიაზე. მისი ანგარიშებიდან, რომლებიც ოფიციალური დაწესებულებების რეგისტრებიდანაა აღებული, სჩანს, რომ იმ სამ წარმოებაში დამზადებულ საქონელთა რაოდენობა და ღირებულება ჩვეულებრივ უფრო დიდი იყო იაფობის წლებში, ვიდრე სიმძვირის წლებში, და რომ ეს რაოდენობა და ღირებულება უდიდესი იყო უაღრესი სიიაფის წლებში და უმცირესი იყო უდიდესი სიმძვირის წლებში. სამივე ეს წარმოება, როგორც ეტყობა, სტაციონარული წარმოება, ე. ი. ისეთი წარმოება, რომლის პროდუქცია, თუმცა იგი შესაძლებელია რაოდენადმე იცვლებოდეს წლიდან წლამდე, არც უკან მიდის და არც წინ.

ტილოს წარმოება შოტლანდიაში და მსხვილი შალეულის წარმოება იორკშირის დასავლეთ ოლქში წარმოადგენს ზრდის პროცესში მყოფ წარმოებას, რომლის პროდუქცია საერთოდ იზრდება – თუმცა რაოდენადმე ირყევა – რაოდენობით და ღირებულებით. მაგრამ მათი წლიური პროდუქციის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშების გასინჯვისას მე ვერ აღმოვაჩინე, რომ ამ პროდუქციის რყევა რაიმე საგრძნობ კავშირში იმყოფებოდეს სიმძვირის ან იაფობის პერიოდებთან. 1740 წელს, როდესაც დიდ მოუსავლობას ჰქონდა ადგილი, ორივე ეს წარმოება, როგორც ეტყობა, შესამჩნევად უკან წავიდა. მაგრამ 1756 წელს, როდესაც აგრეთვე დიდი მოუსავლობა იყო, შოტლანდიის მრეწველობა ჩვეულებრივზე უფრო მეტად განვითარდა. იორკშირის მრეწველობა მართლაც დაეცა, და მისი პროდუქცია წინანდელ დონეს არ აღწევდა 1755 წლიდან დაწყებული 1766 წლამდე, როდესაც გაუქმებულ იქნა კანონი ამერიკის საღებო გამოსაღების შესახებ. ამ და შემდეგ წელში მან წინანდელ დონეზე გაცილებით მაღლა აიწია და მას შემდეგ განაგრძობს განუწყვეტლივ ზრდას.

ყველა იმ დიდი მანუფაქტურების პროდუქცია, რომელნიც შორეულ ბაზარზე ჰყიდიან თავის ნაწარმს, აუცილებლობის გზით დამოკიდებულია არა იმდენად იაფობის ან სიმძვირის პერიოდებზე იმ ქვეყანაში, სადაც წარმოებას აქვს ადგილი, რამდენადაც პროდუქციის მომხმარებელი ქვეყნის იმ პირობებზე, რომლებსაც გავლენა აქვს მოთხოვნაზე, – მშვიდობიანობასა თუ ომზე, სხვა მეტოქე მანუფაქტურების აყვავებასა თუ დაცემაზე და მთავარი მუშტრების კარგ თუ ცუდ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, იმ არაჩვეულებრივი შრომის დიდი ნაწილი, რომელიც, ალბათ, სრულდება იაფობის წლებში, არასოდეს არ შედის ოფიციალურ რეგისტრებში მრეწველობის შესახებ. მამრობითი სქესის მსახურნი, რომელნიც სტოვებენ თავიანთ დამქირავებლებს, დამოუკიდებელი მშრომელები ხდებიან. ქალები ბრუნდებიან თავიანთ მშობლებთან და ჩვეულებრივ რთავენ, რათა ტანსაცმელი დაამზადონ თავისთვის და თავისი ოჯახისათვის. დამოკიდებელი მშრომელებიც კი ყოველთვის არ მუშაობენ ღია ბაზრისათვის, არამედ მოსაქმეობენ ზოგ თავიანთ მეზობელთათვის საოჯახო საგნების დასამზადებლად. ამის გამო მათი პროდუქცია ხშირად არაა შეტანილი იმ ოფიციალურ რეგისტრებში, რომელთა ცნობებს ზოგჯერ ესოდენ დიდი ზეიმით გამოაქვეყნებენ და რომლებზედაც ჩვენი ვაჭრები და მრეწველები ხშირად ამაოდ შეეცდებოდნენ აეგოთ თავიანთი მსჯავრი უდიდეს სახელწიფოთა აყვავებისა თუ დაცემის შესახებ.

თუმცა შრომის ფასის რყევა არა თუ ყოველთვის არ შეესაბამება სურსათ-სანოვავის ფასის რყევას, არამედ ხშირად მისი სრულიად საწინააღმდეგოც არის, ჩვენ მაინც ამის საფუძვლით არ უნდა გამოვისახოთ თავში, რომ სურსათ-სანოვავის ფასს არავითარი გავლენა არა აქვს შრომის ფასზე. შრომის ფულადი ფასი აუცილებლად განისაზღვრება ორგვარი გარემოებით: მოთხოვნით შრომის მიმართ და არსებობისა და კომფორტისათვის საჭირო საგანთა ფასით. შრომის მოთხოვნა, – იმის მიხედვით,

იზრდება იგი, სტაციონარულია თუ კლებადი, ე. ი. იმის მიხედვით, მოითხოვს იგი მზარდ, სტაციონარულ თუ კლებად მოსახლეობას, – განსაზღვრავს არსებობისა და კომფორტისათვის საჭირო საგანთა რაოდენობას, რომელიც უნდა მიეცეს მუშას; და შრომის ფულადი ფასი განისაზღვრება იმ თანხით, რომელიც საჭიროა ამ რაოდენობის საყიდლად. თუმცა, ამრიგად, შრომის ფულადი ფასი ზოგჯერ მაღალი არის, მაშინ როდესაც სურსათ-სანოვაგის ფასი დაბალია, მაგრამ მაინც იგი, იმავე მოთხოვნის არსებობისას, კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, სურსათ-სანოვაგის ფასი რომ მაღალი ყოფილიყო.

სწორედ იმიტომ, რომ შრომის მოთხოვნა იზრდება უცარი და ჩვეულებრივი მოსავლიანობის წლებში და კლებულობს უცარი და არაჩვეულებრივი მოუსავლიანობის წლებში, – სწორედ ამიტომ ხდება ეს ზოგჯერ, რომ შრომის ფულადი ფასი მაღლა იწევს პირველ შემთხვევაში და დაბლა იწევს მეორეში.

უცარი და არაჩვეულებრივი მოსავლიანობის წელიწადში მრავალ მრეწველ მესარეწეს აქვს საკმარისი ფონდი იმისათვის, რომ შეინახოს და ამუშავოს მოსაქმე მშრომელთა მეტი რიცხვი, ვიდრე წინა წელს; მაგრამ ყოველთვის შესაძლებელი არაა მშრომელთა ამ არაჩვეულებრივი რიცხვის შოვნა. ამიტომ ის მესარეწენი, რომელთაც მუშების მეტი რაოდენობა ესაჭიროებათ, ეჯიბრებიან ერთმანეთს მუშებისთვის სასყიდლის შეძლევაში, რათა მუშები მოიპოვონ, რის გამო მაღლა იწევს შრომის როგორც ნამდვილი, ისე ფულადი ფასი.

ამის წინაარმდეგს აქვს ადგილი უცარი და არაჩვეულებრივი მოუსავლობის წელიწადში. საწარმოო მიზნებისთვის დანიშნული ფონდები მცირდება წინა წელთან შედარებით. სამუშაოს ჰკარგავს ადამიანთა დიდი რაოდენობა; ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან სამუშაოს მისაღებად, და ეს კი არა იშვიათად დაბლა სწევს შრომის როგორც ნამდვილ, ისე ფულად ფასს. 1740 წელს, როდესაც არაჩვეულებრივი მოუსავლობა იყო, ბევრი ადამიანი თანხმდებოდა მუშაობას მარტოოდენ კვებისათვის. შემდგომ მოსავლიან წლებში უფრო ძნელი იყო მუშებისა და მსახურების შოვნა.

სიძვირის წელიწადში საარსებო საშუალებათა ნაკლებობას, რაც ამცირებს მოთხოვნას შრომის მიმართ, ტენდენცია აქვს შრომის ფასის დაწვეისა, ისე როგორც სურსათ-სანოვაგის მაღალ ფასს ტენდენცია აქვს შრომის ფასის აწვეისა. პირიქით, იაფობის წელიწადში სიუხვეს, რადგან იგი ადიდებს მოთხოვნას, ტენდენცია აქვს შრომის ფასის აწვეისა, მაშინ როდესაც სურსათ-სანოვაგის სიიაფეს ტენდენცია აქვს მისი დაწვეისა. სურსათ-სანოვაგის ფასის ჩვეულებრივი რყევისას, სჩანს, ეს ორი ერთმანეთის მოპირისპირე მიზეზი აწონასწორებს ერთი მეორეს; ეს, ალბათ, გვიხსნის ნაწილობრივ იმას, თუ რატომ არის ყველგან შრომის ხელფასი გაცილებით უფრო მტკიცე და უცვლელი, ვიდრე სურსათ-სანოვაგის ფასი.

შრომის ხელფასის ზრდა ადიდებს აუცილებლად მრავალ საქონელთა ფასს, ვინაიდან ადიდებს ამ ფასის იმ ნაწილს, რომელიც შრომის ხელფასზე მოდის, და იმდენად მას აქვს ტენდენცია ამ საქონელთა მოხმარების შემცირებისა როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე საზღვარგარეთ. მაგრამ იმავე მიზეზს, რომელიც შრომის ხელფასს მაღლა სწევს, სახელდობრ კაპიტალის ზრდას, აქვს ტენდენცია შრომის პროდუქტიული ძალის გადიდებისა, რომლის მეოხებით, შრომის ნაკლები რაოდენობის დახარჯვისას, ნაწარმთა უფრო დიდი რაოდენობა მზადდება. კაპიტალის მფლობელი, რომელიც მუშების დიდ რიცხვს ქირაობს, აუცილებლად ცდილობს, თავისი სარგებლობის გულისთვის, სამუშაოთა ისეთი სათანადო დანაწილება და განაწილება მოახდინოს, რომ პროდუქტთა რაც შეიძლება მეტი

რაოდენობის წარმოება შეეძლოთ მუშებს. იმავე მიზნით იგი ცდილობს მათ ხელთ მისცეს ისეთი საუკეთესო მანქანები, როგორც კი მან ან მისმა მუშებმა შეიძლება მოისაზრონ. და რასაც ადგილი აქვს განსაზღვრული სახელოსნოს მუშებს შორის, იმასვე ადგილი აქვს, იმავე მიზეზით, დიდი საზოგადოების მუშებს შორის. რაც უფრო დიდია მათი რიცხვი, მით უფრო, რასაკვირველია, დანაწილებული არიან ისინი სხვადასხვა სამოსაქმეო კლასებად და ჯგუფებად. ადამიანთა მეტი რაოდენობა ადგია იმ საქმეს, რომ გამოიგონონ უაღრესად შესაბამისი მანქანები თითოეული კლასისა და ჯგუფის სამუშაოს შესასრულებლად, და ამიტომ მით უფრო მოსალოდნელია, რომ ასეთი მანქანები გამოგონებული იქნება. ამგვარად, ამ გაუმჯობესებათა გამო მრავალი საქონლის სწარმოებისას იმდენად ნაკლები შრომა იხარჯება წინანდელთან შედარებით, რომ შრომის ფასის გაზრდა უხვად წონასწორდება შრომის რაოდენობის შემცირებით.

თ ა ვ ი IX

კაპიტალის მოგება

კაპიტალის მოგების აწევა ან დაცემა იმავე მიზეზებზეა დამოკიდებული, რომლებიც იწვევს შრომის ხელფასის აწევას და დაცემას, – სახელდობრ – საზოგადოების სიმდიდრის ზრდასა ან შემცირებაზე; მაგრამ ამ მიზეზებს ძალიან სხვადასხვა მოქმედება აქვს მოგებასა და შრომის ხელფასზე.

კაპიტალის ზრდას, რომელიც ადიდება შრომის ხელფასს, ტენდენცია აქვს დაბლა დასწიოს მოგება. როდესაც მრავალ მდიდარ ვაჭართა კაპიტალები ვაჭრობის ერთსა და იმავე დარგშია მოთავსებული, იმ ვაჭართა საურთიერთო კონკურენცია იწვევს, რასაკვირველია, მათი მოგების დაწევას; და როდესაც კაპიტალის ასეთსავე გადიდებას აქვს ადგილი იმავე საზოგადოების ვაჭრობის ყველა დარგში, იმავე კონკურენციამ იგივე შედეგი უნდა წარმოშვას ყველა მათში.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ადვილი საქმე არ არის იმის განსაზღვრა, თუ როგორია საშუალო ხელფასი თუნდ განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროში. ამ შემთხვევაშიც ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ ის, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ხელფასს შეადგენს. მაგრამ კაპიტალის მოგების შესახებ ამის შესრულებაც კი იშვიათად არის შესაძლებელი. მოგება ისე მერყევი არის, რომ თვით იმასაც კი, ვინც ამა თუ იმ საქმიანობას ეწევა, არ შეუძლია სთქვას ყოველთვის, როგორია საშუალოდ მისი წლიური მოგება. ამ უკანასკნელზე მოქმედებს არა მარტო იმ საქონელთა ფასის თითოეული ცვლილება, რომლებითაც იგი ვაჭრობს, არამედ აგრეთვე ბედი და უბედობა მისი მეტოქეების და მუშტრებისა, აგრეთვე ათასი სხვა შემთხვევითობა, რომელსაც ექვემდებარება მისი საქონელი ზღვაზე თუ ხმელეთზე გადაზიდვის დროს ანდა თვით საწყობშიც. ამიტომ მოგება ირყევა არა თუ წლიდან წლამდე, არამედ დღითი დღეც და თითქმის საათიდან საათამდეც. ბევრად უფრო ძნელი უნდა იყოს იმის განსაზღვრა თუ რას წარმოადგენს საშუალო მოგებას ვაჭრობის ყველა იმ სხვადასხვა დარგებში, რომელნიც რომელსამე დიდ სამეფოში არსებობენ და სრულიად შეუძლებელი უნდა იყოს რაოდენადმე ზედმიწევნით იმაზე აზრის შედგენა, თუ რაოდენად დიდი შეიძლება ყოფილიყო ეს მოგება წინათ ან ჩვენგან დაშორებულ პერიოდებში.

თუმცა შეუძლებელია განვსაზღვროთ რაოდენიმე ზედმიწევნით, როგორია კაპიტალის მოგება ამჟამად და როგორი იყო ძველ დროში, მაგრამ მასზე ერთგვარი წარმოდგენის შედგენა ჩვენ შეგვიძლია ფულის სარგებლის საფუძველით. შეგვიძლია ეს წესად მივიჩნიოთ, რომ სადაც ფულით ბევრის გაკეთება შეიძლება იქ ბევრსაც მისცემენ მით სარგებლობისათვის, და რომ სადაც ფულით მცირე რაოდენობის გაკეთება შესაძლებელია, იქ ნაკლებსაც გაიღებენ მისთვის. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ იმის შესაბამისად, თუ როგორ იცვლება განსაზღვრულ ქვეყანაში ფულის სარგებლის ჩვეულებრივი საბაზრო ნორმა, უნდა იცვლებოდეს კაპიტალის ჩვეულებრივი მოგებაც, – დაბლა იწევდეს, როდესაც პირველი დაბლა იწევს, და მაღლა იწევდეს, როდესაც მაღლა იწევს, სარგებლის განვითარება, ამრიგად, საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ შევადგინოთ განსაზღვრული დასკვნა მოგების განვითარების შესახებ.

ჰენრი VIII-ის მეფობის 37-ე წელს გამოცემული კანონით ყოველი სარგებელი, რომელიც 10 პროცენტს აღემატებოდა, უკანონოდ იყო გამოცხადებული. როგორც ეტყობა, მანამდე არა იშვიათად მეტ სარგებელს იხდიდნენ. ედუარდ VI-ის მეფობის დროს სარწმუნოებრივმა გულმოდგინებამ ყოველგვარი სარგებელი აკრძალა. მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, ამ აკრძალვას, ყველა სხვა ამგვარი აკრძალვის მსგავსად, არავითარი შედეგი არ მიუღია, და მან, ალბათ, გაადიდა უფრო, ვიდრე შეამცირა, მევახშეობის ბოროტება. ჰენრი VIII-ის კანონი განახლებულ იქნა ელისაბედის მეფობის მე-13 წელს გამოცემული აქტის მე-8 თავით და 10 პროცენტით დარჩა სარგებლის კანონიერ ნორმად იაკობ I-ის მეფობის 21-ე წლამდე, როდესაც იგი 8 პროცენტზე იქნა ჩამოყვანილი. მალე რესტავრაციის შემდეგ იგი დაყვანილ იქნა 6 პროცენტზე, ხოლო დედოფალი ანნას მეფობის მე-12 წელს გამოცემული კანონით – 5 პროცენტზე. ყველა ეს სხვადასხვა კანონმდებლობითი რეგლამენტაციები წესდებოდა, როგორც ჩანს, დიდი საზრიანობით, – ისინი, როგორც ეტყობა, მიჰყვებოდნენ და წინ კი არ უსწრებდნენ სარგებლის საბაზრო ნორმას, ე. ი. იმ ნორმას, რომლის კვალობაზეც ჩვეულებრივ სესხულობდნენ ფულს კრედიტუნარიანი ადამიანები. დედოფალ ანნას მეფობის შემდეგ 5 პროცენტი, როგორც ჩანს საბაზრო ნორმაზე მაღალი იყო უფრო, ვიდრე დაბალი. უკანასკნელი ომის წინ მთავრობამ ისესხა ფული 3 პროცენტად, ხოლო კრედიტუნარიანი ადამიანები დედაქალაქში და სამეფოს ბევრ სხვა ადგილას სესხულობდნენ 3 1/2, 4 და 4 1/2 პროცენტად.

ჰენრი VIII-ის დროიდან დაწყებული ქვეყნის სიმდიდრე და შემოსავალი განუწყვეტლივ იზრდებოდა, და ამ ზრდის ტემპი თანდათან აჩქარებული იყო უფრო, ვიდრე შენელებული. სიმდიდრე და შემოსავალი, როგორც ეტყობა, არა თუ იზრდებოდა, მარტოდენ, არამედ იზრდებოდა უფრო და უფრო სწრაფად. იმავე პერიოდის განმავლობაში შრომის ხელფასი განუწყვეტლივ მატულობდა, ხოლო კაპიტალის მოგება ვაჭრობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგთა მეტ ნაწილში კლებულობდა.

ჩვეულებრივ რაიმე ვაჭრობის წარსამართავად დიდ ქალაქში უფრო დიდი კაპიტალია საჭირო, ვიდრე სოფელში. დიდი კაპიტალები, რომლებიც გამოიყენება ვაჭრობის თითოეულ დარგში, და დიდი რიცხვი მდიდარ მეტოქეთა ჩვეულებრივ იმ დონეზე დაბლა სწევენ ქალაქში მოგების ნორმას, რომელიც არსებობს სოფლად. მაგრამ შრომის ხელფასი დიდ ქალაქში ჩვეულებრივ უფრო მაღალია, ვიდრე სოფელში. ქალაქში, რომელიც განვითარების პროცესში იმყოფება, დიდი კაპიტალების მქონე პირთ ხშირად არ შეუძლიათ იმოვნონ მათთვის საჭირო მუშების რაოდენობა, და ამოტომ ერთმანეთს ეჯიბრებიან მუშების დაქირავებაში, რათა

მიოპოვონ შეძლებისამებრ მეტი მათი რაოდენობა; ეს კი მაღლა სწევს შრომის ხელფასს და ამცირებს კაპიტალის მოგებას. ქვეყნის შორეულ ნაწილებში ხშირად არ მოიპოვება საკმარისი კაპიტალი ყველა მუშის დასაყენებლად სამუშაოზე. ამიტომ მუშები ერთმენტს ეჯიბრებიან სამუშაოს შოვნის საქმეში, და ეს კი დაბლა სწევს შრომის ხელფასს და ადიდებს კაპიტალის მოგებას.

თუმცა შოტლანდიაში სარგებლის კანონიერი ნორმა იგივეა, რაც ინგლისში, მაგრამ მისი საბაზრო ნორმა ცოტათი უფრო მაღალია. უაღრესად კრედიტუნარიანი ადამიანები იშვიათად სესხულობენ იქ 5 პროცენტზე ნაკლებად. ედინბურგში თვით კერძო ბანკირებიც კი 4 პროცენტს იხდიან თავიანთ თამასუქებში. ლონდონში კერძო ბანკირები არავითარ სარგებელს არ იძლევიან იმ ფულში, რომელიც ანაბარადაა მათთან შეტანილი. ვაჭრობის მეტწილ დარგებში შოტლანდიაში საქმის წარმოება შეიძლება ნაკლები კაპიტალით ვიდრე ინგლისში. მოგების ჩვეულებრივი ნორმა, ამიტომ ცოტათი უფრო მაღალი უნდა იყოს. შრომის ხელფასი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შოტლანდიაში უფრო დაბალია, ვიდრე ინგლისში. ქვეყანაც არა თუ ბევრად უფრო ღარიბია, არამედ, როგორც ეტყობა, განვითარების ტემპიც, ვინაიდან ეს ქვეყანა, უეჭველია, უკეთესი მდგომარეობისაკენ მიისწრაფვის – ბევრად უფრო ნელი და ხანდაზმული არის.

საფრანგეთში სარგებლის კანონიერი ნორმა მიმდინარე საუკუნის განმავლობაში ყოველთვის არ განისაზღვრებოდა საბაზრო ნორმის მიხედვით. 1720 წელს სარგებელი პენის 1/20-დან დაწეულ იქნა 1/50-ზე, ე. ი. 5-დან 2 პროცენტზე; 1724 წელს აწეულ იქნა პენის 1/30-მდე, ე.ი. 3 1/3 0/0-მდე; 1725 წელს ისევ აწეულ იქნა პენის 1/20-მდე ანუ 5 0/0-მდე, ხოლო 1726 წელს, ბ-ნი ლავერდის მმართველობის დროს, ჩამოყვანილ იქნა პენის 1 /25-მდე ანუ 4%-ზე. აბატმა ტერეიმ შემდეგ იგი წინანდელ 5 0/0-ის ნორმაზე აიყვანა. სარგებლის ესოდენ მრავალგზის ძალადობით შემცირებას ხშირად სახელმწიფო ვალების სარგებლის შემცირებისათვის გზის გაკვალვა ჰქონდა მიზნად და ამას იგი ზოგჯერ აღწევდა კიდევ. საფრანგეთი ამჟამად, იქნებ, ისე მდიდარი ქვეყანა აღარაა, როგორც ინგლისი, და თუმცა სარგებლის კანონიერი ნორმა საფრანგეთში ხშირად უფრო დაბალი იყო, ვიდრე ინგლისში, საბაზრო ნორმა ჩვეულებრივ იყო უფრო მაღალი, ვინაიდან იქ, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, არსებობს არა ერთი და ორი საიმედო და ადვილი საშუალება კანონისთვის გვერდის ასავლელად. სავაჭრო მოგება, როგორც მარწმუნებდნენ ბრიტანელი ვაჭრები, რომლებიც ორივე ქვეყანაში ეწეოდნენ ვაჭრობას, საფრანგეთში უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისში; და უეჭველია, რომ სწორედ ამ მიზეზით ბრიტანეთის ბევრი ქვეშევრდომი არჩევს თავისი კაპიტალი პირველ ქვეყანაში გამოიყენოს, სადაც ვაჭრობა პატივში არაა, ვიდრე თავის ქვეყანაში, სადაც იგი დიდ პატივშია. შრომის ხელფასი საფრანგეთში უფრო დაბალია, ვიდრე ინგლისში. როდესაც თქვენ შოტლანდიიდან მოდიხართ ინგლისში, ის განსხვავება, რომელსაც თქვენ ამჩნევთ ორივე ქვეყნის მდაბიო ხალხის ჩაცმულობასა და გარეგნობაში, საკმაოდ გეუბნებათ მათი მდგომარეობის განსხვავების შესახებ. კონტრასტი კიდევ უფრო დიდია, როდესაც თქვენ საფრანგეთიდან ბრუნდებით. საფრანგეთს, თუმცა იგი, უეჭველია, შოტლანდიაზე უფრო მდიდარი ქვეყანაა, როგორც ეტყობა, ისე სწრაფი წინმსვლელობა არა აქვს. შოტლანდიაში საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებაა ეს და პოპულარულიც, რომ ეს მხარე უკან მიდის; ეს არის შეხედულება, რომელიც, როგორც მე ვფიქრობ, საფრანგეთის შესახებაც კი უსაბუთო არის, ხოლო შოტლანდიის შესახებ შეუძლებელია იგი გაიზიაროს ვინმემ, ვინც ამჟამად უცქერის ამ ქვეყანას და ვისაც იგი 20 ან 25 წლის წინათ უნახავს.

ჰოლანდია, პირიქით, თავისი ტერიტორიის მოცულობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით უფრო მდიდარ ქვეყანას წარმოადგენს, ვიდრე ინგლისში. მთავრობა იქ ფულს სესხულობს 2 პროცენტად, ხოლო კარგი კრედიტუნარიანი კერძო პირები – 3 პროცენტად. შრომის ხელფასი, როგორც ამბობენ, ჰოლანდიაში უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისში, და ჰოლანდიელები, როგორც კარგად ცნობილია, ვაჭრობას აწარმოებენ ნაკლები მოგებით, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხი ევროპაში. ზოგნი ამტკიცებენ, ჰოლანდიის ვაჭრობა დაცემის პროცესში იმყოფებაო, და შეიძლება ეს მართალიც იყოს ზოგი მისი განსაკუთრებული დარგის შესახებ. მაგრამ აღნიშნული სიმპტომები, ვფიქრობთ, საკმაოდ მაჩვენებელია იმისა, რომ საერთოდ ჰოლანდიის ვაჭრობა დაცემას არ განიცდის. როდესაც მოგება მცირდება, ვაჭრებს მიდრეკილება აქვთ ძალიან იწყონ ჩივილი ვაჭრობის დაცემაზე, თუმცა მოგების შემცირება წარმოადგენს ვაჭრობის აყვავების ბუნებრივ შედეგს, ანუ იმის შედეგს, რომ ვაჭრობაზე წინანდელზე უფრო დიდი კაპიტალი გამოიყენება. უკანასკნელი ომის დროს ჰოლანდიელებმა ხელთ იგდეს საფრანგეთის მთელი სატრანსპორტო ვაჭრობა, რომლის ძალიან დიდი ნაწილი დღესაც ხელში უჭირავთ. დიდი თანხები, რომლებიც მათ აქვთ მოთავსებული საფრანგეთისა და ინგლისის სახელმწიფო ქაღალდებში, – დაახლოებით ორმოცი მილიონი მხოლოდ უკანასკნელებში (მე მგონია, რომ ეს ციფრი ძალიან გადაჭარბებულია), შემდეგ ის დიდი თანხები, რომლებსაც ისინი სესხად აძლევენ კერძო პირებს იმ ქვეყნებში, სადაც სარგებლის ნორმა უფრო მაღალია, ვიდრე მათ საკუთარ ქვეყანაში, – ყველა ეს უეჭველია, მოწმობს მათი კაპიტალის სიუხვეს, ე. ი. იმას, რომ მათი კაპიტალი გაზრდილია იმაზე მეტად, ვიდრე მათ შეუძლიათ მისი მოთავსება დამაკმაყოფილებელი მოგებით თავისი ქვეყნის საკუთარ სარეწაოებში; მაგრამ ეს არ ამტკიცებს იმას, რომ აღებ-მიცემობა დაცემულია. როგორც კერძო პირის კაპიტალი, თუნდაც რომ ვაჭრობის ერთ განსაზღვრულ დარგში შექმნილი, შესაძლებელია იმაზე მეტად გაიზარდოს, ვიდრე ძალუძს იმ პირს მისი გამოყენება იმ დარგში, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი განაგრძობს ზრდას, – ასევე შეიძლება მოხდეს დიდი ერის კაპიტალის შესახებაც.

ჩვენს ჩრდილო-ამერიკის და ვესტ-ინდოეთის კოლონიებში არათუ შრომის ხელფასი, არამედ ფულის სარგებელიც და, მაშასადამე, კაპიტალის მოგებაც უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისში. სხვადასხვა კოლონიებში სარგებლის როგორც კანონიერი ნორმა, ისე საბაზრო ნორმაც ირყევა 6-დან 8%-მდე. მაგრამ მაღალ ხელფასს და კაპიტალის მაღალ მოგებას იმავდროულად თითქმის არასოდეს არ აქვს ადგილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალ კოლონიებს მათი განსაკუთრებული პირობებითურთ. ახალი კოლონია რამდენიმე ხნის განმავლობაში ყოველთვის უნდა განიცდიდეს კაპიტალის მეტად ნაკლებობას მისი ტერიტორიის მოცულობასთან შედარებით და მოსახლეობის მეტად ნაკლებობას მისი კაპიტალის მოცულობასთან შედარებით, ვიდრე ამას ადგილი აქვს მეტწილ სხვა ქვეყნებში. მას მეტი მიწა აქვს დასამუშავებლად, ვიდრე კაპიტალი. ამიტომ ის, რაც მას აქვს, გამოიყენება მხოლოდ უნაყოფიერესი და უაღრეს ხელსაყრელ მდებარე მიწების, სახელდობრ ზღვის ნაპირების ახლოს და გემთსავლელი მდინარეების ნაპირების გასწვრივ მდებარე მიწების დასამუშავებლად. ამასთან ასეთი მიწა იყიდება ხშირად ისეთ ფასში, რომელიც მისი ბუნებრივი პროდუქტის ღირებულებაზე ნაკლებია. ასეთი მიწის ყიდვასა და დამუშავებაზე დახარჯულ კაპიტალს ძალიან მოზრდილი მოგება უნდა მოჰქონდეს და, მაშასადამე, ძალიან მაღალი სარგებლის გადახდის შესაძლებლობას იძლეოდეს. კაპიტალის სწრაფი დაგროვება ესოდენ მოგებიანი გამოყენების არსებობისას საშუალებას აძლევს პლანტატორს თავისი მუშების რიცხვი უფრო

სწრაფად გაადიდოს, ვიდრე მას ძალუძს იშოვოს ისინი ახალ დასახლებულ ადგილას. ამიტომ იმათ ვისაც შოულობს, იგი ძალიან უხვად აძლევს გასამრჯელოს. კოლონიის გაზრდის მიხედვით კაპიტალის მოგება თანდათან მცირდება, მას შემდეგ რაც უნაყოფიერესი და საუკეთესო მდებარეობის მქონე მიწები ყველა დაჭერილია, ნიადაგისა და მდებარეობის მხრივ ნაკლებ ხელსაყრელი მიწების დამუშავების მხრივ მხოლოდ ნაკლები მოგების მიღებაა შესაძლებელი და ნაკლები სარგებელი შეიძლება გადახდილ იქნეს კაპიტალში, რომელიც ამ მიწებს ხმარდება. ამის გამო მეტწილ ჩვენს კოლონიებში სარგებლის კანონიერმა და საბაზრო ნორმამ მნიშვნელოვნად დაიწია მიმდინარე საუკუნის განმავლობაში. მაშინ როდესაც სიმდიდრე, მიწის კულტურა და მოსახლეობა გაიზარდა, სარგებელი შემცირდა. შრომის ხელფასი არ იწევს დაბლა კაპიტალის მოგების დაწვევასთან ერთად. შრომის მოთხოვნა იზრდება კაპიტალის ზრდასთან ერთად, როგორც უნდა იყოს ამ უკანასკნელის მოგება; და მას შემდეგ რაც მოგება იწყებს კლებას, კაპიტალი შეიძლება არათუ განაგრძობდეს ზრდას, არამედ იზრდებოდეს კიდევ გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე წინათ. შრომისმოყვარე ერების შესახებ, რომელნიც წინ მიდიან სიმდიდრის დაგროვების საქმეში, იგივე მეორდება, რასაც ადგილი აქვს შრომისმოყვარე ინდივიდუუმების შესახებ. დიდი კაპიტალი, თუმცა ნაკლები მოგების მიმღები, ჩვეულებრივ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე პატარა კაპიტალი, რომელსაც დიდი მოგება მოაქვს. ფული ფულს აკეთებსო – ამბობს ანდაზა. თუ თქვენ უკვე მოიპოვეთ ცოტა ფული, შემდეგ ხშირად ადვილია მეტის მოპოვება. დიდ სიმძელეს სწორედ ამ ცოტა ფულის მოპოვება წარმოადგენს. კავშირი კაპიტალის ზრდასა და მრეწველობის ზრდას ანუ სასარგებლო შრომის და მოთხოვნის ზრდას შორის ნაწილობრივ უკვე იყო გარკვეული, მაგრამ უფრო დაწვრილებით იქნება განმარტებული შემდეგ, როდესაც კაპიტალის დაგროვებაზე გვექნება ლაპარაკი.

ახალი ტერიტორიის მოპოვებას ან ვაჭრობა-მრეწველობის ახალი დარგების განვითარებას ზოგჯერ შეუძლია ძალა ასწიოს კაპიტალის მოგება და მასთან ერთად ფულის სარგებელიც, იმ ქვეყნაშიც კი, რომელიც სწრაფად მიდის წინ სიმდიდრის შექმნის საქმეში. რადგან ქვეყნის კაპიტალი მაშინ საკმარისი არაა მთელი იმ საქმიანობის ხელმოსაკიდებლად, რის შესაძლებლობასაც აღნიშნული ცვლილებები აძლევს სხვადასხვა ადამიანთ, რომელთა შორის ის საქმიანობა დანაწილებული არის, ამიტომ კაპიტალს მხოლოდ იმ დარგებში ეძლევა დაბანდება, რომელიც უდიდეს მოგებას იძლევიან. იმ კაპიტალების ნაწილი, რომლებიც წინათ ვაჭრობა-მრეწველობის სხვა დარგებში იყო მოთავსებული, აუცილებლად გამოიტანება იქიდან და რომელსამე ახალ უფრო მოგებიან დარგებში შეიტანება. ამის გამო ვაჭრობის ყველა იმ ძველ დარგებში კონკურენცია ნაკლები ხდება წინანდელთან შედარებით, – ბაზარს ნაკლები სიუხვით ეძლევა ბევრგვარი საქონელი. ასეთ საქონელთა ფასი მეტნაკლებ მატულობს აუცილებლად და უფრო დიდ მოგებას აძლევს იმ პირთ, რომელნიც მით ვაჭრობენ და რომელთაც, ამიტომ, შეუძლიათ ახლა ფულის სესხად აღება უფრო მაღალი სარგებლით. რამდენიმე ხნის განმავლობაში უკანასკნელი ომის დამთავრების შემდეგ არათუ საუკეთესო კრედიტის მქონე კერძო პირები, არამედ ზოგიერთი უდიდესი კომპანიებიც ლონდონში ფულს სესხულობდნენ ჩვეულებრივ 5 პროცენტად, მაშინ როდესაც წინათ 4 თუ 4 1/2 პროცენტზე მეტის გადახდას არ იყვნენ ჩვეულები. ტერიტორიის და ვაჭრობის გადიდება, რომელიც წარმოსდგება შედეგად ჩვენს შენაძენთა ჩრდილო-ამერიკასა და ვესტ-ინდოეთში, საკმაოდ გვიხსნის ამ ფაქტს, ასე რომ საჭირო არაა ვიგულისხმობთ კაპიტალის მარაგის შემცირება საზოგადოებაში. ძველი კაპიტალით წარსამართავი ახალი სააღებმიცემო საქმეების

ესოდენ დიდ მატებას აუცილებლად უნდა შეემცირებინა იმ კაპიტალის რაოდენობა, რომელიც მოთავსებული იყო ვაჭრობის მრავალ ცალკეულ დარგში, სადაც, კონკურენციის შემცირების გამო მოგება უფრო დიდი უნდა გამხდარიყო. შემდეგ მე მექნება შემთხვევა აღვნიშნო ის მოსაზრებანი, რომელიც მაფიქრებინებენ, რომ დიდი ბრიტანეთის კაპიტალი უკანასკნელი ომის ვეება ხარჯების გამოც კი არ შემცირებულა. საზოგადოების კაპიტალის მარაგის ანუ იმ ფონდის შემცირება, რომელიც მრეწველობის წარსამართავადაა დანიშნული, ამცირებს რა შრომის ხელფასს, მაღლა სწევს კაპიტალის მოგებას, და მაშასადამე, ფულის სარგებელს. საზოგადოებაში დარჩენილი კაპიტალის მფლობელებს შრომის ხელფასის შემცირების გამო, წინანდელთან შედარებით ნაკლები ხარჯებით შეუძლიათ თავიანთ საქონელთა გატანა ბაზარზე. და რადგან იმავე დროს ბაზრის მომსახურებას ნაკლები კაპიტალი ხმარდება, ვიდრე უწინ, – მათ შეუძლიათ ამ საქონელთა უფრო ძვირად გაყიდვა. მათი პროდუქტები მათ ნაკლებ უღირთ, იღებენ მეტს მათში, მათი მოგება, ამრიგად, მატულობს ორ მხარეზე და ამიტომ მათ შესაძლებლობა აქვთ უფრო მაღალი სარგებელი გადაიხადონ. დიდი ქონების ესოდენ სწრაფი და ადვილი შეძენა ბენგალიაში და ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის სხვა დასახლებულ ადგილებში გვიდასტურებს იმას, რომ ამ განადგურებულ ქვეყნებში ძალიან დაბალი ხელფასის არსებობისას კაპიტალის მოგება ძალიან მაღალი არის, ფულის სარგებელიც ამის შესაბამისად ძალიან მაღალია. ბენგალიაში ფერმერებს ხშირად 40, 50 და 60 პროცენტად აძლევენ სესხად და მომავალი წლის მოსავალი დაგირავებულია ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად. როგორც მოგება, რომელმაც უნდა გაისტუმროს ესოდენ დიდი სარგებელი, თითქმის მთლად უნდა შთანთქას მემამულის რენტა, ისევე ესოდენ უზომოდ მევახშეობა, თავის მხრივ, უნდა შთანთქას იმ მოგების უდიდესი ნაწილი. რომის რესპუბლიკის დაცემის წინ ამდენი მევახშეობა, როგორც ეტყობა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო პროვინციებში იმ გამანადგურებელი მართვა-გამგეობის არსებობისას, რომელსაც მათი პროკონსულები აწარმოებდნენ. ციცერონის წერილებიდან ვიგებთ, რომ სათნობიანი ბრუტოსი 48 პროცენტად ასესხებდა ფულს კიპროსში.

იმ ქვეყანაში, რომელმაც შეიძინა სრულად იმდენი სიმდიდრე, რამდენის შეძენის შესაძლებლობას მას აძლევდა მისი ნიადაგის ხასიათი და ჰავა და მისი მდებარეობა სხვა ქვეყნების მიმართ, რომელსაც, მაშასადამე, არ შეუძლია მეტად განვითარება და მასთან ერთად არც უკუსვლა აქვს, – ასეთ ქვეყანაში შრომის ხელფასი და კაპიტალის მოგება, ალბათ, ძალიან დაბალი იქნება. იმ ქვეყანაში, რომელიც მჭიდროდ დასახლებულია იმასთან შედარებით, რისი გამოკვებაც მის ნიადაგს შეუძლია ან რომლისათვის მის კაპიტალს სამუშაოს მიცემა შეუძლია, კონკურენცია სამუშაოს მოპოვებისათვის აუცილებლად ისე ძლიერი იქნება, რომ შრომის ხელფასს შეამცირებს იმ დონემდე, რომელიც საკმარისია მარტოოდენ მუშათა არსებული რიცხვის შესანახად, და რადგან ქვეყანა მჭიდროდ არის დასახლებული, ეს რიცხვი ვეღარ გადიდდება. იმ ქვეყანაში, რომელიც, მისი ვაჭრობა-მრეწველობის პროპორციულად, სავსეა კაპიტალით, თითოეულ ცალკე დარგში იმდენი კაპიტალი დაბანდდება, რამდენის ნებასაც იმ დარგის ხასიათი და მოცულობა იძლევა. კონკურენცია, ამიტომ, ყველა დარგში ძალიან დიდი იქნება, და მაშასადამე ჩვეულებრივი მოგება _ ძალიან დაბალი.

მაგრამ შესაძლებელია, არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდეს დღემდე სიმდიდრის ასეთი დონე მიღწეული. ჩინეთი, როგორც ეტყობა, დიდხანს იყო უძრავ მდგომარეობაში გაჩერებული და მან, ალბათ, დიდი ხანია შეიძინა სიმდიდრის ის

მაქსიმუმი, რომელიც შეთავსებადია მის კანონებსა და დაწესებულებებთან. მაგრამ ეს მაქსიმუმი, შესაძლებელია, ბევრად ნაკლები არის იმაზე, რაც, სხვა კანონებისა და დაწესებულებების არსებობისას, შეიძლებოდა შეეძინილიყო ქვეყნის არსებული ნიადაგის ხასიათის, ჰავისა და მდებარეობის საფუძველზე. იმ ქვეყანას, რომელიც უგულებელჰყოფს საგარეო ვაჭრობას ან რომელსაც სძაგს იგი და უცხოეთის გემებს მხოლოდ თავის ერთ ან ორ ნავსადგურში უშვებს, არ შეუძლია თავისი ვაჭრობის განვითარება იმ ზომით, რა ზომითაც ეს შესაძლებელი იქნებოდა სხვა კანონებისა და დაწესებულებების არსებობისას, გარდა ამისა, ამ ქვეყანაში, სადაც მდიდარი ადამიანები ან დიდი კაპიტალის პატრონები თითქმის სრული ხელშეუხებლობით სარგებლობენ, ხოლო ღარიბები ან პატარა კაპიტალის პატრონები არავითარი ხელშეუხებლობით არ სარგებლობენ და მუდამყამს განიცდიან, სამართლის გაჩენის საბაბით, დაბალი მანდარინების მხრივ ძარცვასა და განიავებას, _ ასეთ ქვეყანაში კაპიტალის რაოდენობამ, რომელიც მისი სააღმშენებლო საქმიანობის ყველა სხვადასხვა დარგშია მოთავსებული, არასოდეს არ შეიძლება მიაღწიოს იმ ზომას, რომელსაც შესაძლებელს ხდის იმ დარგთა ხასიათი და მოცულობა. თითოეულ დარგში ღარიბის ჩაგვრამ უნდა შეჰქმნას მონოპოლია მდიდრისათვის, რომელსაც, რადგან იგი ხელთ იგდებს მთელ ვაჭრობას, შეუძლია მიიღოს ძალიან დიდი მოგება. ამიტომ, როგორც ამბობენ, 12 პროცენტი ფულის ჩვეულებრივ სარგებელს წარმოადგენს ჩინეთში, და კაპიტალის ჩვეულებრივი მოგება საკმარისად დიდი უნდა იყოს ასეთი დიდი სარგებლის გასასტუმრებლად.

ეფექტს, რომელიც კანონს ახლავს, შეუძლია ზოგჯერ სარგებლის ნორმა იმ დონეზე თვალსაჩინოდ მაღლა ასწიოს, რომელსაც, სიმდიდრისა და სიღარიბის მხრივ, ქვეყნის მდგომარეობა მოითხოვს. როდესაც კანონი არ უზრუნველყოფს ხელშეკრულობის შესრულებას იძულების გზით, იგი ყველა მოვალეს თითქმის ისეთსავე მდგომარეობაში აყენებს, როგორშიაც კეთილმოწყობის ქვეყნებში კოტრები და საექვო საკრედიტო უნარის მქონე პირები იმყოფებიან. დაურწმუნებლობა იმაში, რომ თავის ფულს უკან მიიღებს, აიძულებს ფულის გამსესხებელს ისეთი სავაზმო სარგებელი მოითხოვოს, რომელსაც ჩვეულებრივ კოტრებისაგან ითხოვენ. ბარბაროს ხალხებში, რომლებსაც, რომის იმპერიის დასავლეთის პროვინციები წალეკავს, ხელშეკრულობის შესრულება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულობის დამდები მხარეების პატიოსნებაზე იყო მიმდობილი. მათი სამეფო სასამართლოები იშვიათად ერეოდნენ ამ საქმეში. სარგებლის დიდი ნორმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ ძველ დროში, შესაძლებელია ნაწილობრივ ამ მიზეზით აიხსნებოდეს.

როდესაც კანონი საზოგადოდ აკრძალვას აწესებს სარგებლისათვის, იგი სრულიადაც არ სპობს მას. ბევრნი იძულებულნი არიან ისესხონ ფული, და არავინ არ თანხმდება ასესხოს მათ ისეთი სასყიდლის აულებლად, რომელიც არა მარტო იმ შემოსავალს შეესაბამება, რაც შესაძლებელია მიიღოს იმ ფულმა, არამედ იმ სიძნელეს და ხიფათსაც, რომელიც კანონისთვის გვერდის ავლას ახლავს. სარგებლის მაღალ ნორმას ყველა მუსულმან ხალხში მონტესკიე ხსნის არა მათი სიღარიბით, არამედ ნაწილობრივ ამით და ნაწილობრივაც ფულის უკან მიღების სიძნელით.

მოგების მინიმალური ჩვეულებრივი ნორმა ყოველთვის რაოდენადმე მეტი უნდა იყოს, რაც საკმარისი არის შემთხვევითი დანაკარგის დასაფარავად, რომელსაც შესაძლებელია კაპიტალის ყოველგვარ დაბანდებაში ჰქონდეს ადგილი. მხოლოდ ეს გარდამეტები წარმოადგენს წმინდა ანუ ნეტო-მოგებას. ის, რასაც ბრუტო-მოგებას უწოდებენ, შეიცავს არა მარტო გარდამეტს, არამედ იმ თანხასაც, რომელსაც ხელში

იჭერენ აღნიშნული არაჩვეულებრივი დანაკარგის ასანაზღაურებლად. სარგებელი, რომლის გადახდაზე სესხის ამღებს შეუძლია დათანხმდეს, მხოლოდ იმ წმინდა მოგების ზომით განისაზღვრება.

სარგებლის მინიმალური ჩვეულებრივი ნორმაც სწორედ ასევე რაოდენადმე იმაზე მეტი უნდა იყოს, რაც საკმარისია შემთხვევითი დანაკარგის ასანაზღაურებლად, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ფულის გასესხების შემთხვევაში მაშინაც კი, როდესაც სათანადო სიფრთხილე იყო დაცული. სარგებლის ნორმა რომ ამაზე მეტი არ იყოს, – მართოდენ ქველმოქმედება ან მეგობრობა იქნებოდა მოტივი სესხის გაცემისათვის.

ქვეყანაში, რომელმაც სიმდიდრის უმაღლეს საზღვარს მიაღწია, სადაც ვაჭრობა-მრეწველობის ყოველ დარგში ისეთი მაქსიმალური კაპიტალია მოთავსებული, როგორც კი შესაძლებელი არის იქნეს მასში მოთავსებული, – ასეთ ქვეყანაში წმინდა მოგების ჩვეულებრივი ნორმა ძალიან დაბალი იქნება და აგრეთვე სარგებლის საბაზრო ნორმაც, რომელიც მოგებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს, ისე დაბალი იქნება, რომ ძალიან მდიდარ ადამიანებს გარდა ვერავინ ვერ შესძლებს თავისი ფულის სარგებლით ცხოვრებას.

ყველა პატარა და საშუალო ქონების პატრონი ადამიანი იძულებული იქნება თვითონ აწარმოოს თავისი კაპიტალის პროდუქტიული გამოყენება; აუცილებელი იქნება, რომ თითქმის ყოველი ადამიანი დაადგეს რაიმე სააღმშენებლო თუ სამრეწველო საქმეს. ასეთ მდგომარეობას უახლოვდება, როგორც ეტყობა, ჰოლანდია, სადაც სათაკილოდ ითვლება, თუ ვინმე არავითარ სააღმშენებლო საქმეს არ ეწევა. აუცილებლობა ჩვეულებად ხდის იქ ყოველი ადამიანის მონაწილეობას სააღმშენებლო საქმეში, ხოლო ჩვეულება ყველგან განსაზღვრავს იმას, თუ რა არის სათაკილოდ მიჩნეული. როგორც სასაცილოა ის, ვინც სხვებსავით არ არის ჩაცმული, ისევე რაოდენადმე სასაცილო ხდება ის, ვინც ისე არ მოსაქმეობს, როგორც სხვები. როგორც სამოქალაქო პროფესიის მქონე ადამიანი უხერხულად გრძნობს თავს სამხედრო ბანაკში ან გარნიზონში და დაცივნის გამოწვევის ერთგვარ ხიფათსაც კი განიცდის, ისევე მოსდის უქმ ადამიანსაც მოსაქმე ადამიანთა წრეში.

რაც შეეხება მოგების უმაღლეს ჩვეულებრივ ნორმას, მან შეიძლება მიაღწიოს ისეთ ზომას, როდესაც იგი მთლად ნთქავს მეტწილ საქონელთა ფასის იმ ნაწილს, რომელიც მიწის რენტას უნდა რგებოდა და სტოვებს მხოლოდ იმას, რაც საჭიროა საქონლის წარმოებაზე და საქონლის ბაზრად გატანისათვის დახარჯული შრომის სასყიდლის გადასახდელად და ამასთან იმ უმდაბლესი, სადმე შესაძლებელი სასყიდლის ნორმის შესაბამისად, რომელიც მართოდენ არსებობისათვის აუცილებელ საშუალებას აძლევს მშრომელს. მუშა ყოველთვის, ავად თუ კარგად, უნდა იკვებებოდეს, როდესაც იგი მუშაობს, მაშინ როდესაც მემამულემ, შესაძლებელია, არც მიიღოს ყოველთვის რენტა. იმ ვაჭრობის მოგება, რომელსაც ბენგალიაში აწარმოებენ ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოსამსახურეები, იქნებ არც იყოს ამ ნორმას ძალიან დაშორებული.

შეფარდება, რომელშიაც უნდა იმყოფებოდეს სარგებლის ჩვეულებრივი საბაზრო ნორმა წმინდა მოგების ჩვეულებრივი ნორმის მიმართ, მერყეობს აუცილებლად მოგების აწევისა თუ დაწევის მიხედვით. დიდ ბრიტანეთში ვაჭრები კარგ, ზომიერ, სამართლიან მოგებას უწოდებენ იმ მოგებას, რომელიც უდრის ორკეც სარგებელს, – მე მგონია, ამ გამოთქმით აღინიშნება მხოლოდ ჩვეულებრივი საშუალო მოგება. ქვეყანაში, სადაც წმინდა მოგების ჩვეულებრივი ნორმა 8 ან 10 პროცენტს აღწევს, შეიძლება სამართლიანად ჩავთვალოთ, თუ მისი ნახევარი სარგებლის

გადახდაზე მიდის, როდესაც სარეწაო ნასესხები ფულითაა წარმართული. კაპიტალის რისკი სესხის ამღებს აქვს ნაკისრი, და იგი, ასე ვთქვათ, დასაზღვევად იღებს ამ კაპიტალს გამსესხებლისგან; და 4 ან 5 პროცენტი მრეწველობის მეტწილ დარგებში შეიძლება ჩათვლილ იქნეს საკმაო მოგებად ასეთი დაზღვევის რისკისათვის, და აგრეთვე ეს საკმაოა გასამრჯელოდ კაპიტალის გამოსაყენებლად გაწეული გარჯისათვის. მაგრამ შეფარდება სარგებელსა და წმინდა მოგებას შორის შეიძლება იგივე არ იყოს იმ ქვეყნებში, სადაც მოგების ჩვეულებრივი ნორმა მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ან მნიშვნელოვნად უფრო მაღალი არის. როდესაც იგი მნიშვნელოვნად უფრო დაბალი არის, შესაძლებელია მისი ნახევარი არც იქნეს სარგებლისათვის გაღებული, ხოლო როდესაც იგი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი არის, შესაძლებელია მოგების ნახევარზე მეტიც წავიდეს სარგებლის გადასახდელად.

ქვეყანაში, რომელიც სწრაფად მიდის წინ გამდიდრების გზაზე, შრომის მაღალი ხელფასი შესაძლებელია წონასწორდებოდეს მოგების დაბალი ნორმით; და ეს შესაძლებლობას აძლევს ამ ქვეყანას ისევე იაფად გაჰყიდოს თავისი საქონელი, როგორც ყიდიან მისი ნაკლებ წარმატებული მეზობელი ქვეყნები, სადაც შრომის ხელფასი შეიძლება უფრო დაბალი იყოს.

სინამდვილეში მაღალი მოგება გაცილებით უფრო უწყობს ხელს პროდუქტის ფასის გადიდებას, ვიდრე მაღალი ხელფასი. თუ, მაგალითად, ტილოს წარმოებაში სხვადასხვა კატეგორიის მუშებს, – სელის მძენძავებს, მრთველებს, ფეიქრებს და სხვებს – 2 პენსით გაუდიდეს ხელფასი დღეში, იმ შემთხვევაში საქირო გახდება თითო თოფი ტილოს ფასის იმდენჯერ 2 პენსით გადიდება, რამდენსაც შეადგენს მის დამზადებაზე მოსაქმე მუშების რიცხვი, იმ დღეების რიცხვზე გამრავლებული, რომელთა განმავლობაში ისინი მუშაობდნენ. საქონლის ის ნაწილი, რომელიც შრომის ხელფასზე მოდის, იზრდება წარმოების ყველა სხვადასხვა საფეხურზე მარტოოდენ არითმეტიკული პროპორციით შრომის ხელფასის ამ გადიდების მიმართ. მაგრამ მოგების გადიდებისას 5 პროცენტით ყველა იმ სხვადასხვა მესარეწეებისათვის, რომელნიც სამუშაოს აძლევენ ამ მუშებს, საქონლის ფასის ის ნაწილი, რომელიც მოგებაზე მოდის, გაიზრდება წარმოების ყველა საფეხურზე გეომეტრიული პროპორციით მოგების ამ გადიდების მიმართ. ის, ვინც სელის მძენძავებს ამუშავებს, სელის გაყიდვისას მოითხოვს 5 პროცენტს მასალის და იმ ხელფასის მთელი ღირებულებისათვის, რომელიც მან ავანსად მისცა თავის მუშებს. ის, ვინც მრთველებს ამუშავებს, მოითხოვს კიდევ 5 პროცენტს მის მიერ ავანსად აღებული სელის ფასისათვის და მრთველების ხელფასისათვის, და ისიც, ვინც ფეიქრებს ამუშავებს, მოითხოვს აგრეთვე იმავე 5 პროცენტს, ტილოს ნართის ფასისათვის და ფეიქრების ხელფასისათვის, რომელიც მან ავანსად გაიღო. ხელფასის გადიდება ისევე მოქმედებს საქონელთა ფასის გადიდებაზე, როგორც მარტივი სარგებელი ვალის გაზრდაზე. მოგების გადიდება კი ისე მოქმედებს, როგორც რთული სარგებელი. ჩვენი ვაჭრები და მანუფაქტურის მფლობელები ძალიან სჩივიან მაღალი ხელფასის ცუდი გავლენის გამო, რომელიც მაღლა სწევს ფასს და ამიტომ აბრკოლებს მათი პროდუქტების გასაღებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. მაგრამ ისინი არას ამბობენ მაღალი მოგების ცუდი გავლენის შესახებ. ისინი ჩუმად არიან, როდესაც საქმე შეეხება მათი საკუთარი მოგების მავნებელ შედეგებს; სჩივიან მხოლოდ სხვების მოსაგების გამო.

ხელფასი და მოგება შრომისა და კაპიტალის სხვადასხვა გამოყენებისას

ერთსა და იმავე ადგილას შრომისა და კაპიტალის სხვადასხვა გამოყენების ხელსაყრელობა თუ არახელსაყრელობა საერთოდ უნდა იყოს სრულიად ერთნაირი ანდა მას უნდა ჰქონდეს განუწყვეტელი მისწრაფება თანასწორობისადმი. თუ რომელიმე ადგილას ისეთი გამოყენება ექნებოდა შრომას და კაპიტალს, რომელიც სრულიად ცხადად უფრო ხელსაყრელი ან ნაკლებ ხელსაყრელი იქნებოდა, ვიდრე დანარჩენი გამოყენება, მაშინ მას, პირველ შემთხვევაში, მიაწყდებოდა და მეორე შემთხვევაში გამოეცლებოდა იმდენი ადამიანი და კაპიტალი, რომ მისი ხელსაყრელობა მალე სხვების დონეზე დადგებოდა. ასე მოხდებოდა ყოველ შემთხვევაში, ისეთ საზოგადოებაში, სადაც საქმეები მათ ბუნებრივ მსვლელობაზე იქნებოდა მინებებული, სადაც ადგილი ექნებოდა სრულს თავისუფლებას და სადაც ყოველ ადამიანს სრულიად თავისუფლად შეეძლებოდა იმ ხელობის არჩევა, რომელსაც თავისთვის შესაფერად ჩასთვლიდა, და მისი გამოცვლა, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევდა. საკუთარი ინტერესი თითოეულ ადამიანს ხელსაყრელ მოსაქმეობას მოაძებნიებდა და არახელსაყრელისთვის გვერდს აახვევინებდა.

ნამდვილად ფულადი ხელფასი და ფულადი მოგება ყველგან ევროპაში მეტისმეტად სხვადასხვაა შრომისა და კაპიტალის სხვადასხვა სახის გამოყენების მიხედვით. მაგრამ ეს სხვადასხვაობა დამოკიდებულია ნაწილობრივ განსაზღვრულ გარემოებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ თვით იმ გამოყენებების დარგში და რომელნიც სინამდვილეში ამ ადამიანთა მარტოოდენ წარმოდგენაში ანაზღაურებენ მცირე ფულად სარგებლობას ერთ დარგებში და აწონასწორებენ დიდ სარგებლობას სხვა დარგებში; ნაწილობრივაც დამოკიდებულია ევროპაში არსებულ პოლიტიკაზე, რომელიც არსად არ უტოვებს საგნებს სრულს თავისუფლებას.

ამ გარემოებათა და ამ პოლიტიკის სპეციალური განხილვა ამ თავს ჰყოფს ორ განყოფილებადად.

განყოფილება I

უთანასწორობანი, რომელთაც იწვევს თვით მოსაქმეობის ხასიათი

შემდეგი ხუთი მთავარი გარემოება, რამდენადაც მე შევძელი დაკვირვება მომეხდინა, ანაზღაურებს მცირე ფულად მოსაგებს ზოგ მოსაქმეობაში და აწონასწორებს დიდ მოსაგებს სხვა მოსაქმეობაში: 1) თვით მოსაქმეობის საამურობა თუ არასაამურობა, 2) მისი შესწავლის სიადვილე და სიიადვილე ან სიძნელე და სიძვირე, 3) მოსაქმეობის მუდმივობა ან არამუდმივობა, 4) მეტი ან ნაკლები ნდობა, რომელსაც აღმოუჩინენ მხოლოდ იმას, ვინც იმ მოსაქმეობას ადგას, და 5) მოსაქმეობაში წარმატების მოსალოდნელობა ან არმოსალოდნელობა.

I. შრომის ხელფასი იცვლება იმის მიხედვით, თუ რაოდენ ადვილი ან ძნელია, სუფთა ან უსუფთაოა, საპატიო ან დამამცირებელია მოსაქმეობა. ასე, მეტწილად ადგილებში მუშა-თერძი საშუალოდ წელიწადში შოულობს მუშა-ფეიქარზე ნაკლებს. ის შრომა ბევრად უფრო ადვილი არის, მუშა-ფეიქარი შოულობს მჭედელზე ნაკლებს, – მისი შრომა თუმცა არაა ყოველთვის უფრო ადვილი, მაგრამ ბევრად უფრო სუფთა

არის. მუშა-მჭედელი, თუმცა იგი ხელოსანია, იშვიათად შოულობს 12 საათის მუშაობით იმდენს, რამდენსაც იღებს 8 საათში მალაროს მუშა, რომელიც უბრალო მუშა არის, საქმე იმაშია, რომ მისი სამუშაო ისე ჭუჭყიანი არაა, ნაკლებ სახიფათოა და სრულდება მიწის ზედაპირზე და დღის სინათლეში. პატივი შეადგენს გასამრჯელოს მნიშვნელოვან ნაწილს ყველა განსაკუთრებით საპატიო პროფესიაში; რაც შეეხება ფულად მოსაგებს, ამ პროფესიებში, თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა გარემოებას, მომუშავეებს ჩვეულებრივ არასაკმარისი გასამრჯელო ეძლევათ, როგორც მე შევეცდები კიდევ დავანახო მკითხველს. ზიზღს, რომელსაც ადგილი აქვს ზოგი პროფესიის მიმართ, საწინააღმდეგო შედეგი ახლავს. ყასაბის მოსახლეობა უხეში და შესაზიზღი პროფესია არის, მაგრამ თითქმის ყველგან უფრო მოგებიანია, ვიდრე მეტი წილი ხელობათა. ყველაზე უფრო საზიზღარი ხელობაა ჯალათის ხელობა, რომელსაც, თუ შესრულებულ სამუშაოს რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში, უკეთესი სასყიდელი ეძლევა, ვიდრე რომელსამე სხვა ჩვეულებრივ ხელობას.

ნადირობა და მეთევზეობა, ადამიანთა ეს ორი უმნიშვნელოვანესი მოსაქმეობა საზოგადოების პირველყოფილ მდგომარეობაში, შემდგომ განვითარებაში იქცევა გასართობად ადამიანთა, რომელნიც ახლა სიამოვნებით აკეთებენ იმას, რასაც წინათ მათ გაჭირვება ასრულებინებდა. ამიტომ ცივილიზებულ საზოგადოებაში სრულიად ღარიბებს აქვთ აღებული ხელობად ის, რასაც სხვები დროის გასატარებლად ასრულებენ. ასეთი იყვნენ მეთევზეები ყოველთვის თეოკრიტეს დროს დაწყებული¹. ბრაკონიერები დიდ ბრიტანეთში ჩვეულებრივ ყოვლად ღარიბი ადამიანები არიან. იმ ქვეყნებში, სადაც კანონის სისასტიკე სავსებით აღმკვეთელია ნებადაურთველად ნადირობისა ნებათთვის მქონე მონადირე ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება. მუნებრივი მიდრეკილება ასეთი მოსაქმეობისადმი იწვევს იმას, რომ ამ საქმეს ხელს ჰკიდებს იმ რაოდენობაზე მეტი რიცხვი ადამიანთა, რომელმაც შესაძლებელია იცხოვროს მით გაუჭირვებლად, და მათი შრომის პროდუქტი ბაზარზე ყოველთვის ნამეტანი იაფად იყიდება დახარჯული შრომის რაოდენობასთან შედარებით და ამიტომ ძნელად რომ გაჭირვებით არსებობის საშუალებასაც კი აძლევდეს ამ მოსაქმეობაზე მდგომ ადამიანებს.

მოსაქმეობის უსაამურობა და მის მიმართ საზოგადოების ზიზღი ისევე მოქმედებს კაპიტალის მოგებაზე, როგორც შრომის ხელფასზე. შაგბოლისის ან სამიკიტნოს პატრონი, რომელიც არასოდეს არაა თავისი საკუთარი სახლის ბატონი და მუდამყამს ყოველი ლოთის თავხედობას განიცდის, არ ეწევა ძალიან სასიამოვნო და ძალიან საპატიო საქმიანობას. მაგრამ ძნელად რომ მოიპოვებოდეს სხვა თუნდ ერთი ჩვეულებრივი პროფესია ისეთი, სადაც ესოდენ პატარა კაპიტალს ასეთი დიდი მოგება მოჰქონდეს.

2. შრომის ხელფასი იცვლება იმის მიხედვით, თუ რაოდენ ადვილი და იაფია ან ძნელია და ძვირია პროფესიის შესწავლა.

როდესაც რაიმე ძვირ მანქანას აგებენ, ჩვეულებრივ მოელიან, რომ სამუშაოს დიდი რაოდენობა, რომელსაც იგი შეასრულებს, ვიდრე გაცვდებოდეს, აანაზღაურებს მასზე დახარჯულ კაპიტალს, ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოგებითურთ. ადამიანი, რომელმაც ბევრი შრომისა და დროის დახარჯვით ერთ-ერთი ისეთი ხელობა შეისწავლა, რომელიც არაჩვეულებრივ ხელმარჯვობას და დახელოვნებას მოითხოვს, ასეთ ძვირ მანქანას შეიძლება შევადაროთ. იმ შრომისაგან, რომლის შესრულებასაც იგი სწავლობს, მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ იგი, გარდა

¹ იხ. "Idyllium", XXI.

ხელფასისა ჩვეულებრივი შრომისათვის, აუნაზღაურებს მას შესწავლისათვის გაწეულ მთელ ხარჯებს მათი თანატოლი კაპიტალის – ყოველ შემთხვევაში – ჩვეულებრივი მოგებითურთ. და ეს უნდა განხორციელდეს არა ნამეტნავად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, და ამასთან ანგარიშში მისაღებია ადამიანის სიცოცხლის ფრიად საეჭვო ხანგრძლივობა, ისე როგორც მანქანის გამძლეობის ბევრად უფრო უეჭველი ხანგრძლივობა.

მასზეა დამყარებული განსხვავება კვალიფიციური შრომის ხელფასსა და ჩვეულებრივი შრომის ხელფასს შორის.

ევროპის სამეურნეო პოლიტიკა ყველა მექანიკოსის, ხელოსნის და სამანუფაქტურო მუშის შრომას კვალიფიციურ შრომად სცნობს, ხოლო სოფლის მუშების შრომას – ჩვეულებრივ შრომად. როგორც სჩანს, იგულისხმება, რომ პირველთა შრომა უფრო ნაზი და სათუთი ხასიათისაა, ვიდრე უკანასკნელთა შრომა. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ეს ასეც იყოს; მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარადაა, როგორც მე შევეცდები დავანახო ეს მკითხველს. ევროპის კანონები და ჩვეულება აწესებს შეგირდობის გავლის აუცილებლობას, რათა ადამიანს ჰქონდეს უფლება გასწიოს პირველი სახის შრომით მოსაქმეობა, თუმცა ეს აუცილებლობა სხვადასხვა ადგილას მეტნაკლები სისასტიკითაა დაწესებული. მეორე სახის შრომა თავისუფალი და ღიაა ყველასთვის. შეგირდობის დროის განმავლობაში შეგირდის მთელი შრომა მის ოსტატს ეკუთვნის. ამ ხნის განმავლობაში შეგირდი, ბევრ შემთხვევაში, მისმა მშობლებმა ან ნათესავებმა უნდა შეინახონ და, თითქმის ყველა შემთხვევაში, მას უნდა ჩააცვან. ოსტატს ჩვეულებრივ რამდენსამე ფულსაც აძლევენ ხელობის სწავლებისათვის. ვისაც ფულის მიცემა არ შეუძლია, აძლევს დროს, ე. ი. პირობას დებს, რომ შეგირდად მეტი წლების განმავლობაში დარჩება, ვიდრე მიღებული არის. ეს პირობა, თუმცა იგი ყოველთვის ხელსაყრელი არაა ოსტატისათვის შეგირდების ჩვეულებრივი სიზარმაცის გამო, მუდამ არახელსაყრელია შეგირდისათვის. სოფლად მუშაობისას, პირიქით, მშრომელი ჯერ ასრულებს თავისი სამუშაოს უფრო ადვილ ნაწილებს და იმავე დროს სწავლობს მის უფრო ძნელ ნაწილებს, ასე რომ იგი საკუთარი შრომით ინახავს თავს თავისი საქმიანობის ყველა სხვადასხვა საფეხურზე. ამიტომ სამართლიანია, რომ ევროპაში მექანიკოსების, ხელოსნებისა და სამანუფაქტურო მუშების ხელფასი ცოტათი უფრო მაღალი იყოს უბრალო მუშებზე. იგი ასეთია ნამდვილადაც, და ამ ჯგუფის მუშების უფრო მაღალი გასამრჯელო იწვევს იმას, რომ ისინი მეტწილად ადგილებში ხალხის უფრო უპირატეს კლასად არიან მიჩნეული. მაგრამ ეს მათი უპირატესობა საერთოდ ძალიან მცირეა; ჩვეულებრივ მანუფაქტურებში, – მაგალითად, მსხვილი ტილოს და მაუდის დამამზადებელ მანუფაქტურებში, – დღიური მუშის დღიური ან კვირეული მონაგარი საშუალოდ უმრავლეს შემთხვევაში ცოტათი აღემატება ჩვეულებრივი მუშების ხელფასს. მართალია, მათი მოსაქმეობა უფრო მტკიცე და უფრო მუდმივია, და მათი მონაგარი საშუალოდ მთელს წელიწადში, შესაძლებელია, ცოტათი მეტი იყოს. მაგრამ, როგორც სჩანს იგი მარტოოდენ იმდენად არის მეტი, რომ ანაზღაუროს ხელობის შესწავლის უფრო დიდი ხარჯები.

სხვადასხვა ხელოვნებასა და ლიბერალურ პროფესიაში მომზადება კიდევ უფრო ხანგრძლივია და ძვირი. ამიტომ მხატვრებისა და მოქანდაკეების, იურისტებისა და ექიმების გასამრჯელო კიდევ უფრო უხვი უნდა იყოს; და ამას ადგილი აქვს კიდევ სინამდვილეში.

კაპიტალის მოგება, როგორც ეტყობა, ძალიან ნაკლებ არის დამოკიდებული, ვაჭრობა-მრეწველობის იმ დარგის შესწავლის სიადვილესა თუ სიმძნელეზე, სადაც

კაპიტალია დაბანდებული. კაპიტალის ყველა ის სხვადასხვა სახის დაბანდება, რომელსაც ადგილი აქვს დიდ ქალაქებში, გვევლინება როგორც ერთნაირად ადვილი ან ერთნაირად ძნელი შესასწავლად. საგარეო ან შინაური ვაჭრობის ესა თუ ის დარგი არ შეიძლება ბევრად უფრო რთული იყოს, ვიდრე სხვა რომელიმე.

3. შრომის ხელფასი იცვლება იმის მიხედვით თუ რამდენად მუდმივია თუ არამუდმივია მოსაქმეობა.

მრეწველობის ზოგ დარგებში მოსაქმეობას ბევრად უფრო მეტი მუდმივობა აქვს, ვიდრე სხვებში. მეტწილ მანუფაქტურებში დღიურ მუშას შეუძლია თითქმის დარწმუნებული იყოს, რომ, თუ თვითონ არ მოცდება, სამუშაო ექნება ყოველდღე წლის განმავლობაში. პირიქით, კალატოზს არ შეუძლია მუშაობა არც ძლიერ ყინვაში, არც ცუდ დარში, და, გარდა ამისა, მისი მუშაობა ყველა სხვა დროსაც მისი მუშტრების შემთხვევით დაკვეთებზეა დამოკიდებული. ეს კი ნიშნავს ხშირად უმუშევრად დარჩენას. ამის გამო ასეთი მუშის გასამრჯელო იმ დღეებში, როდესაც იგი მუშაობს, არათუ საკმარისი უნდა იყოს უმუშევრობის დღეებშიც არსებობისათვის, არამედ მას რაოდენადმე კომპენსაციასაც უნდა აძლევდეს იმ დარდისა და მწუხარების მომენტებისათვის, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე ფიქრი ესოდენ არაუზრუნველყოფილი მდგომარეობის შესახებ. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც სამანუფაქტურო მუშების საშუალო გასამრჯელო თითქმის ერთ დონეზეა ჩვეულებრივი მუშების დღიურ ხელფასთან, კალატოზის გასამრჯელო ჩვეულებრივ აღემატება მას 1 1/2-ჯერ და 2-ჯერ, თუ უბრალო მუშები შოულობენ 4 და 5 შილინგს, კალატოზი ხშირად შოულობს 7 და 8 შილინგს; თუ პირველთა აქვთ 6 შილინგი, უკანასკნელი იღებს 9-ს და 10-ს, ხოლო თუ პირველნი იღებენ 9 და 10 შილინგს, როგორც ეს ხდება ლონდონში, უკანასკნელი ჩვეულებრივ შოულობს 15 და 18 შილინგს. და არც ერთი სახის კვალიფიციური შრომა თითქოს ისე ადვილშესასწავლი არაა, როგორც კალატოზის შრომა. ლონდონში ზაფხულობით, როგორც გადმოგვცემენ, ზოგჯერ ტახტრევანდის მატარებლებს ამუშავებენ კალატოზებად. ამრიგად, ამ ჯგუფის მუშების მაღალი ხელფასი არ წარმოადგენს იმდენად სასყიდელს მათი განსაკუთრებული დახელოვნებისათვის, რამდენადაც ანაზღაურება მათი მოსაქმეობის არამუდმივობისათვის.

ხუროს ხელობა თითქოს უფრო ფაქიზი ხელობაა და მეტი დახელოვნების მომთხოვნელი, ვიდრე კალატოზის ხელობა. მაგრამ, თუ ყველგან არა, უმრავლეს შემთხვევაში მაინც, ხუროს დღიური ხელფასი რაოდენადმე ნაკლები არის. მისი მოსაქმეობა დამოკიდებულია ძალიან მუშტრების შემთხვევის დაკვეთაზე, თუმცა დამოკიდებულია არა სავსებით, და არ განიცდის შეწყვეტას ავდრის მიზეზით.

თუ განსაზღვრული ხელობა, რომელსაც ჩვეულებრივ აქვს მუდმივი სამუშაო, განსაზღვრულ ადგილას მოკლებულია ასეთი მუდმივობის ხასიათს, იმ შემთხვევაში ამ ხელობის მუშების ხელფასი ყოველთვის თვალსაჩინოდ აღემატება მის ჩვეულებრივ შეფარდებას უბრალო მუშების ხელფასის მიმართ. ლონდონში თითქმის ყველა მუშა-ხელოსანს მესარეწე ქირაობს და ითხოვს იმ წესით, როგორც დღიურ მუშებს ქირაობენ და ითხოვენ სხვა ადგილებში: დღიურად ან კვირიდან კვირამდე. და ამიტომ იქ უდაბლესი კატეგორიის მუშა-ხელოსნები, _ დღიური მუშა თერძები, _ ნახევარ კრონას იღებენ დღეში, თუმცა 18 პენსი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უბრალო შრომის ხელფასად. პატარა ქალაქებში და სოფლად დღიური მუშა-თერძების ხელფასი ძლივს თუ უდრის უბრალო შრომის ხელფასს; მაგრამ ლონდონში ისინი ხშირად რამდენსამე კვირას, განსაკუთრებით ზაფხულში უმუშევრად არიან.

როდესაც მოსაქმეობის არამუდმივობას თან ახლავს კიდევ განსაკუთრებული სიძნელე, უსაამურობა და უსუფთაობა, მაშინ ეს გარემოება ზოგჯერ უაღრესად დახელოვნებული ხელოსნის ხელფასზე მაღლა სწევს სრულიად დაბალი შრომის ხელფასს. ქვანახშირის მაღაროს მუშა, რომელიც სანარდო მუშაობას ეწევა, იღებს, როგორც ანგარიშობენ, ორჯერ მეტს ნიუკესტლში და სამჯერ მეტს შოტლანდიის ზოგ ადგილას, ვიდრე უბრალო მუშა. მისი ასეთი მაღალი ხელფასი აიხსნება მისი სამუშაოს სიძნელით, უსაამურობით და უსუფთაობით. ასეთ მუშას მეტწილად ყოველთვის აქვს სამუშაო, თუ თვითონ არ გაცდება, ნახშირის გადამტვირთავები ლონდონში ისეთ მუშაობას ეწევიან, რომელიც სიძნელის, უსუფთაობისა და უსაამურობის მხრივ არ ჩამოუვარდება მაღაროს მუშებისას, და ნახშირით დატვირთული გემების არარეგულარულად მოსვლის გამო ამ მუშების უმრავლესობას აუცილებლობის გზით ფრიად არამუდმივი სამუშაო აქვს. და ამიტომ, თუ მაღაროს მუშები უბრალო მუშაზე ორჯერ და სამჯერ მეტს შოულობენ, უცნაურად არ უნდა გვეჩვენოს, უკეთუ ნახშირის გადამტვირთავები ზოგჯერ ოთხჯერ და ხუთჯერ მეტს იღებენ. მათი მდგომარეობის გამოკვლევისას ამ რამდენიმე წლის წინათ აღმოჩნდა, რომ იმ ნორმის მიხედვით, რომლის კვალობაზე მათ მაშინ აძლევდნენ გასამრჯელოს, მათ შეეძლოთ აეღოთ დღეში 6-დან 10 შილინგამდე. 6 შილინგი შეადგენს ლონდონში უბრალო მუშის ხელფასზე ოთხჯერ მეტს, და თითოეულ პროფესიაში უმცირესი ჩვეულებრივი გასამრჯელო უნდა ვსცნათ ყოველთვის იმ პროფესიის მუშების დიდი უმრავლესობის გასამრჯელოდ. რაგინდ ზომაზე გადაჭარბებულად გვეჩვენებოდა ეს გასამრჯელო, იგი რომ აღემატებოდა იმ ზომას, რომელიც საკმარისია ყველა იმ არასასიამოვნო გარემოების საკომპენსაციოდ, რაც აქ მუშების საქმიანობასთანაა დაკავშირებული, ამ პროფესიაში, რომელიც განსაკუთრებული პრივილეგიით არაა აღჭურვილი, მალე ისე ბევრი კონკურენტი გაჩნდებოდა, რომ სწრაფად ჩამოიყვანდა შრომის ხელფასს უფრო დაბალ ნორმაზე.

მოსაქმეობის მუდმივობას ან არამუდმივობას არ შეუძლია გავლენა იქონიოს კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებაზე მრეწველობის ამა თუ იმ დარგში. კაპიტალის მუდმივად თუ არამუდმივად გამოყენება დამოკიდებულია არა მრეწველობაზე, არამედ მრეწველზე.

4. შრომის ხელფასი იცვლება მეტი ან ნაკლები ნდობის მიხედვით, რომლითაც უნდა სარგებლობდეს მუშა.

ოქრომჭედელისა და იუველირის შრომის ხელფასი ყველგან უფრო მაღალია, ვიდრე ხელფასი ბევრ სხვა მუშათა, რომლების შრომა გულისხმობს არათუ თანატოლ, არამედ მეტ დახელოვნებასაც; ეს აიხსნება მით, რომ მათ ძვირფას ლითონებს ანდობენ.

ექიმს ჩვენ ვანდობთ ჩვენს ჯანმრთელობას, იურისტს და ვექილს – ჩვენს ქონებას და ზოგჯერ ჩვენს სიცოცხლეს. ასეთი ნდობა არ შეიძლება დაიმედებულად აღმოუჩინოთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც კარგ და დამოუკიდებელ მდგომარეობაში არ იმყოფებიან. ამიტომ მათი გასამრჯელო ისეთი უნდა იყოს, რომ მათ უზრუნველყოფდეს იმ საზოგადოებრივ მდგომარეობას, რომელსაც მოითხოვს ესოდენ მნიშვნელოვანი ნდობა. ხანგრძლივი დრო და დიდი ხარჯები, რომლებიც მათ სწავლას მოუხდა, აღნიშნულ გარემოებასთან ერთად ანგარიშში მიღებული, აუცილებლად კიდევ უფრო ადიდებს მათი შრომის ფასს.

როდესაც ვინმე მხოლოდ თავის კაპიტალს ათავსებს სარეწაოში, სრულიად არ დგას ნდობის საკითხი; რაც შეეხება კრედიტს, რომელიც მან შეიძლება მიიღოს სხვა

პირებისაგან, _ ეს კრედიტი დამოკიდებულია არა მისი სარეწაოს ხასიათზე, არამედ იმ პირთა აზრზე მისი ქონების, პატიოსნებისა და კეთილგონიერების შესახებ. ამიტომ მოგების სხვადასხვა ნორმები ვაჭრობა-მრეწველობის სხვადასხვა დარგებში არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა ზომის ნდობაზე მესარეწის მიმართ.

5. შრომის ხელფასი სხვადასხვა მოსაქმეობაში იცვლება მასში წარმატების მოსალოდნელობისა თუ არმოსალოდნელობის მიხედვით.

იმის განხორციელების მოსალოდნელობა, რომ განსაზღვრული პირი ოდესმე გამოსადეგი იქნება იმ მოსაქმეობისათვის, რომლისთვისაც იგი ემზადება, მეტად არაერთნაირია სხვადასხვა პროფესიებისათვის. მეტწილად ხელოსნურ პროფესიებში მოსაქმის წარმატება თითქმის უეჭველია, მაგრამ იგი ფრიად საეჭვოა ლიბერალურ პროფესიებში. მიეცით თქვენი შვილი მეჩექმეს შეგირდად, და თქვენ შეგიძლიათ თითქმის არ გქონდეთ ეჭვი, რომ იგი ისწავლის ჩექმის შეკერვას; მაგრამ გაგზავნეთ იგი სამართლის შესასწავლად, და შეიძლება სანაძლეო დავდოთ ოცი ერთის წინააღმდეგ: იგი ისეთ წარმატებას ვერ მიაღწევს, რომ თავისი პროფესიით ცხოვრება შესძლოს. სავსებით პატიოსნურად მოწყობილ ლატარეაში მოგებიანი ნომრების ამომღებლებმა უნდა მოიგონ ყველა ის, რასაც კარგავენ ფუჭი ბილეთების ამომღებლები. პროფესიებში, რომელშიაც ოცი დამარცხებული მოდის ერთ წარმატებულზე, ამ ერთმა უნდა მოიგოს ყველა ის, რაც ოც მარცხის განმცდელს უნდა მოეგო. ვექილმა, რომელიც, იქნებ, ორმოცი წლისა იწყებს რისამე შოვნას თავისი პროფესიით, უნდა მიიღოს ანაზღაურება არა თუ თავისი ესოდენ ხანგრძლივი და ძვირი სწავლა-განათლებისათვის, არამედ იმ ოცზე მეტი პირის სწავლა-განათლებისთვისაც, რომელნიც, ალბათ, ვერასოდეს ვერ მიიღებენ რამეს ამ პროფესიიდან. რაგინდ უზომოდ დიდად სჩანდეს ვექილების ჰონორარი, მათი ნამდვილი გასამრჯელო მაინც არასოდეს არ აღწევს აღნიშნულ ზომას. იანგარიშეთ რომელიმე ადგილისათვის ამა თუ იმ ჩვეულებრივი პროფესიის მუშების, _ მაგალითად, მეჩექმეების ან ფეიქრების _ წლიური მონაგარი და წლიური ხარჯები, და თქვენ ნახავთ, რომ მონაგარის ჯამი, საერთო წესით, აღემატება ხარჯების ჯამს. მაგრამ აბა შეადგინეთ ასეთივე ანგარიში ყველა ვექილის შესახებ და ყველა სტუდენტის შესახებ სხვადასხვა იურიდიულ სასწავლებლებში, და თქვენ ნახავთ, რომ მათი წლიური შემოსავალი შეადგენს მათი წლიური ხარჯების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, თუნდაც რომ გავზიადებულად აიღოთ პირველი და შემცირებულად ივარაუდოთ ხარჯი. ამრიგად, სამართლის პროფესიის ლატარია სრულიად არ ჰგავს სამართლიანად მოწყობილ ლატარიას; ეს პროფესია, ისე როგორც ბევრი სხვა ლიბერალური და საპატიო პროფესია, ფულადი მოსაგების თვალსაზრისით, ნაკლებად არის დაჯილდოებული.

და მაინც აღნიშნული პროფესიები მიმზიდველობის მხრივ არ ჩამოუვარდება სხვა პროფესიებს: ამ გულგამტეხი გარემოების მიუხედავად, უაღრეს კეთილშობილი და თავისუფალმოაზროვნე ადამიანები ხარბობენ ამ პროფესიებში მოხვედრას. ამას ხელს უწყობს ორი სხვადასხვა გარემოება. ჯერ ერთი, იმ საპატიო სახელის მოპოვების სურვილი, რომელიც მოელის იმას, ვინც თავს გამოიჩენს მათში, და, მეორე, ის რწმენა, რომელიც მეტნაკლებ ყველა ადამიანს აქვს არათუ თავისი ნიჭის, არამედ აგრეთვე თავისი ბედის მიმართ.

თავის გამოჩენაში იმ პროფესიაში, სადაც მხოლოდ მცირეოდენი აღწევს მდარე წარმატებას, უეჭველი მაჩვენებელია იმის, რასაც გენიოსობას ან მაღალ ნიჭს უწოდებენ. საზოგადოებრივი პატივისცემა, რომელსაც მიუზღავენ ხოლმე მაღალი ნიჭის ადამიანებს, ყოველთვის შეადგენს მათი გასამრჯელოს ნაწილს, რომელიც

მეტნაკლებ დიდია იმ პატივისცემის ზომის შესაბამისად. იგი მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ექიმის გასამრჯელოში და, იქნებ, კიდევ უფრო დიდს იურისტის გასამრჯელოში; მგოსნისა და ფილოსოფოსისთვის ეს პატივისცემა შეადგენს თითქმის მთელ გასამრჯელოს.

არსებობს ზოგი ფრიად საამო და მშვენიერი უნარი, რომელიც იწვევს სხვებში მისდამი აღტაცებას, მაგრამ მოსაგების მიღების წყაროდ მისი გამოყენება – სამართლიანად თუ ცრუ აზრის გამო – საჯარო ბოზობად ითვლება. ამიტომ იმ პირთა ფულადი გასამრჯელო, რომელნიც ასეთ ნიჭს ამ მიზნით ხმარობენ, საკმაო უნდა იყოს არამართო იმისათვის, რომ გადაუხადოს მათ ის დრო, შრომა და ხარჯები, რაც ამ უნარის შექმნაზე იყო დახარჯული, არამედ აგრეთვე იმისათვის, რომ მათ ნაცვალგება მისცეს იმ ცუდი სახელისათვის, რომელიც ახლავს ამ უნარის გამოყენებას საარსებო საშუალებათა მოპოვების მიზნით. ის ვეება სასყიდელი, რომელსაც იღებენ მსახიობები, ოპერის მომღერლები, ოპერის მოცეკვავეები და სხვ., აიხსნება ამ ორი მიზეზით: სათანადო უნარის იშვიათობითა და სილამაზით და იმ ცუდი სახელით, რაც აღნიშნული წესით მის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ერთის შეხედვით თითქოს უაზრობაა ეს, რომ ჩვენ ამ ადამიანთა პიროვნება გვძაგს, და ამასთან ერთად მათ უნარს ბედოვლათური ხელგაშლილობით ვაძლევთ გასამრჯელოს. მაგრამ ერთი მეორესთანაა განუყრელად შეკავშირებული. თუ საზოგადოებრივი შეხედულება ან ცრუ აზრი ოდესმე შეიცვალა ამ პროფესიების მიმართ, მათი ფულადი გასამრჯელო სწრაფად შემცირდება. მაშინ ბევრი ხალხი მოჰკიდებს ხელს ამ პროფესიებს და კონკურენცია მალე დასწევს დაბლა მათი შრომის ფასს. ყოველი ასეთი უნარი, თუმცა იგი სრულიადაც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას, მაინც არც ისე იშვიათი არის, როგორც ჰგონიათ. ბევრ ადამიანს აქვთ სრულყოფით ასეთი უნარი, მაგრამ არ კადრულობს ასეთი წესით მათ გამოყენებას, და კიდევ უფრო ბევრს შეუძლია მისი შექმნა, თუ შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება პატივდაუკარგავად.

გაზვიადებული წარმოდგენა, რომელიც მეტწილ ადამიანთ აქვთ თავის ნიჭზე, ძველისძველ სიავეს წარმოადგენს, რომელიც აღნიშნული აქვთ ყველა დროის ფილოსოფოსებსა და მორალისტებს. მაგრამ იმ უგუნური რწმენისათვის, რომელიც ადამიანებს აქვთ თავისი ბედის მიმართ, ნაკლები ყურადღება მიუქცევიათ და ეს რწმენა თუკი შესაძლებელია კიდევ უფრო გავრცელებული არის. არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, რომელიც, ხორციით და სულით რაოდენადმე სადი, არ იზიარებდეს მას. ყოველი ადამიანი მეტნაკლებ გაზვიადებით ანგარიშობდა მოგების შანსებს, ხოლო წაგების შანსებს უმრავლესობა ანგარიშობს დაკლებული ზომით, და ძნელად რომ მოიპოვებოდეს ისეთი ადამიანი, რომელიც, ხორციით და სულით რაოდენადმე სადი, ჯეროვანზე მეტ შეფასებას აკუთვნებდეს წაგების შანსებს.

რომ მოგების შანსები ადამიანის მიერ ბუნებრივად გაზვიადებით წარმოიდგინება, ამის შეცნობის საშუალებას ჩვენ გვაძლევს ის საყოველთაო წარმატება, რომელიც ლატარიებს აქვს. არასოდეს ქვეყნად არ ყოფილა და არც ოდესმე იქნება სავსებით პატიოსნურად მოწყობილი ლატარია, ე.ი. ისეთი, რომელშიაც მთელი მოგება მთელ წაგებას უდრიდეს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მის გამმართველს არავითარი მოგება არ ექნებოდა. სახელმწიფო ლატარიებში ბილეთები ნამდვილად იმ ფასადაც არ არის ღირებული, რომელსაც პირველი ხელმომწერნი იხდიან მათში, და მაინც ეს ბილეთები ბაზარზე ჩვეულებრივ 20, 30 და 40 პროცენტის წამატებით იყიდება. ფუჭი იმედი, – ერთ-ერთი დიდი მოგება მერგებაო, წარმოადგენს ამ მოთხოვნის ერთადერთ მიზეზს. სრულიად გონიერი ადამიანებიც კი არ სთვლიან

სისულელედ პატარა თანხა გადაიხადონ 10 000 ან 20 000 გირვანქის მოგების შანსისათვის, თუმცა იციან, რომ ეს პატარა თანხაც, იქნებ, 20 ან 30 პროცენტით აღემატება ამ შანსის ღირებულებას. იმ ლატარიაში, რომელშიაც არც ერთი მოგება არ იქნებოდა 20 გირვანქაზე მეტი, ბილეთების მოთხოვნა ნაკლები იქნებოდა, თუნდაც რომ ეს ლატარია სხვა მხრივ გაცილებით უფრო ყოფილიყო დაახლოებული პატიოსნურ ლატარიას, ვიდრე ჩველებრივი სახელმწიფო ლატარია. ზოგნი, რათა ერთ-ერთი დიდი მოგების მეტი შანსი ჰქონდეთ, ყიდულობენ რამდესამე ბილეთს ანდა კიდევ უფრო მრავალი ბილეთის პატარ-პატარა ნაწილებს. და მათემატიკაში კი ერთ-ერთი ყველაზე უფრო უცილობელი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტ ბილეთს იღებს ადამიანი, მით უფრო მოსალოდნელია მისთვის წაგება. გასწიეთ რისკი საერთოდ ყველა ბილეთზე, და თქვენ უეჭველად წააგებთ და რაც უფრო დიდია თქვენი ბილეთების რიცხვი, მით უფრო უეჭველია თქვენი წაგება.

რომ წაგების შანსს ხშირად ჯეროვანზე ნაკლებ შეაფასებენ და თითქმის არასოდეს – ჯეროვანზე მეტად, ამის დამტკიცების მოცემა შეუძლია დამზღვევი დაწესებულებების ძალიან ზომიერ მოგებას. რათა ცეცხლისა და საზღვაო ხიფათისგან დაზღვევის საფუძველზე საერთოდ წესიერი სარეწაო იყოს აგებული, საჭიროა ჩვეულებრივი პრემია კმაროდეს ჩვეულებრივი ზარალის დასაფარავად, სამართავაგამგებლო ხარჯების გასასტუმრებლად და სტოვებდეს ისეთ მოგებას, როგორც თანატოლი კაპიტალით შესაძლებელი იქნებოდა მიღებული ყოფილიყო ვაჭრობა-მრეწველობის ამა თუ იმ ჩვეულებრივ დარგში. ვინც მხოლოდ ამდენს იხდის, ის, ცხადია, იხდის მხოლოდ ხიფათის ღირებულებას ანუ იმ უმაღლეს ფასს, რადაც მისთვის შესაძლებელი არის, გონივრული წესის საფუძველზე, იმ ხიფათისგან თავის დაზღვევა. იმათგან, ვინც დაზღვევას ეწეოდა, თუმცა მცირე მოგება ბევრმა ჰპოვა, მაგრამ მცირეოდენმა შეიძინა მით დიდი ქონება; და მარტო ამ ფაქტიდან საკმარისად ცხადად სჩანს, რომ მოგებისა და ზარალის ჩვეულებრივი ბალანსი ამ საქმეში უფრო ხელსაყრელი არაა, ვიდრე ვაჭრობა-მრეწველობის სხვა ჩვეულებრივ დარგებში, სადაც ესოდენ მრავალმა ადამიანმა შეიძინა ქონება. ჰო და, ესოდენ ზომიერია დაზღვევის პრემია საერთოდ, მაგრამ მაინც ბევრი ადამიანი ნამეტნავად უგულვებელყოფს ხიფათს, რათა იზრუნოს ამ პრემიის გადასახდელად. თუ ჩვენ მთელ სამეფოს ავიღებთ საშუალო სახით, 19 სახლი 20-დან ანუ, კიდევ მეტი, 99 სახლი 100-დან დაზღვეული არაა ცეცხლისგან. საზღვაო ხიფათი მეტ შიშს აგრძნობინებს ადამიანთა უმრავლესობას და ამიტომ დაზღვეული გემების რიცხვის შეფარდება დაუზღვეველი გემების რიცხვის მიმართ გაცილებით უფრო დიდია. მაგრამ მაინც ბევრნი ზღვაზე მგზავრობას შეუდგებიან ხოლმე წლის ყოველ დროს და ომის დროსაც კი, ყოველგვარი დაზღვევის გარეშე. შესაძლებელია, ზოგჯერ ეს არ ხდებოდეს გაუფრთხილებლობით. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელსამე დიდ კომპანიას ან აგრეთვე მდიდარ ვაჭარს ზღვაში 20 ან 30 გემი ჰყავს, მათ შეუძლიათ ეს გემები, ასე ვთქვათ, ერთი მეორეთი დააზღვევონ. ყველა ამ გემთა პრემიის ეკონომიას შეუძლია უხვად დაჰფაროს ზარალი, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან გარემოებათა ჩვეულებრივ მსვლელობისას. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში გემების, ისე როგორც სახლების, დაუზღვევლობა როდია ასეთი ზედმიწევნითი ანგარიშის შედეგი, არამედ წარმოსდგება უგუნური წინდაუხედაობით და ხიფათის უზომო აბუჩად აგდებით.

ხიფათის უგულვებელყოფა და წარმატების გაზვიადებული იმედი სიცოცხლის არც ერთ პერიოდში არაა ისე ძლიერი, როგორც იმ ასაკში, როდესაც ახალგაზრდები თავისთვის პროფესიას ირჩევენ. თუ რაოდენ მცირედ ძალუძს მაშინ მარცხის შიშს

გააწონასწოროს კარგი ბედის იმედი, ამას კიდევ უფრო ცხადად გვიჩვენებს დაბიო ხალხის ხალისიანობა ჯარისკაცებად ჩასაწერად ან ზღვაში გასამგზავრებლად, ვიდრე უფრო შეძლებული კლასების ადამიანთა მისწრაფება ეგრეთწოდებულ ლიბერალურ პროფესიებში შესასვლელად.

საკმაოდ ცხადია, თუ რისი დაკარგვა შეუძლია ჯარისკაცს, და მაინც, ხიფათის მიუხედავად, ახალგაზრდა მოხალისენი ჯარში ისე ხალისით არასოდეს არ ეწერებიან, როგორც ახალი ომის დასაწყისში; და მათ, თუმცა მოკლებულნი არიან თითქმის ყოველგვარ შანსს სამსახურში წინწასაწევად, თავის ახალგაზრდულ ოცნებაში მაინც სახელისა და დაჯილდოების ათასი შემთხვევა აქვთ გამოსახული, რომელიც არასოდეს არ განხორციელდება. ეს რომანტიკული იმედები შეადგენს მთელ ფასს მათ მიერ დაღვრილი სისხლისათვის. მათი სასყიდელი ნაკლებია უბრალო მუშის ხელფასზე და მათი შრომა ნამდვილი სამსახურის დროს გაცილებით უფრო ძნელი არის.

საზღვაო სამსახურის ლატარია მთლად ისე არახელსაყრელი არაა, როგორც სახმელეთო ჯარში სამსახურის ლატარია. პატივცემული მუშის ან ხელოსნის შვილს შეუძლია ხშირად საზღვაო სამსახურში შესვლა თავისი მამის ნებართვით, მაგრამ ჯარისკაცად წასვლა მას ყოველთვის უხდება ასეთი თანხმობის მიუღებლად. სხვა ადამიანებიც სცნობენ, რომ ის რამეს მიაღწევს, თუ საზღვაო სამსახურში შევა, მაგრამ არავინ, თვით მის გარდა, არ მოელოდება რაიმე ხეირს ჯარისკაცის ხელობისგან. დიდი ადმირალი ნაკლებ საზოგადოებრივ პატივისცემას დაიმსახურებს ხოლმე, ვიდრე დიდი გენერალი, და უდიდესი წარმატება საზღვაო სამსახურში ნაკლებ ბრწყინვალე მდგომარეობას და პატივს უქადის ადამიანს, ვიდრე ასეთივე წარმატება ხმელეთზე. ასეთსავე განსხვავებას ვხედავთ ერთი და მეორე სამსახურის ყველა საფეხურზე. სახარისხო დებულების მიხედვით, კაპიტანი ფლოტში უდრის პოლკოვნიკს ჯარში, მაგრამ საზოგადოებრივი შეფასებით არ უდრის მას. თუ ლატარიაში მცირეა დიდ მოგებათა რიცხვი, მით უფრო დიდი უნდა იყოს მასში პატარა მოგებათა რიცხვი. ამიტომ ჩვეულებრივი მატროსები უფრო ხშირად აღწევენ მცირეოდენი ქონების შექმნას და წარჩინებას, ვიდრე ჩვეულებრივი ჯარისკაცები, და უმთავრესად ასეთი მოგებიანი ნომრების ამოღების იმედი ხდის მატროსის პროფესიას მიმზიდველად. თუმცა მატროსების დახელოვნება და ხელმარჯვეობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე თითქმის ყველა ხელოსნისა, და თუმცა მთელი მათი სიცოცხლე მუდმივი გაჭირვებისა და ხიფათის შემცველია, _ ყველა ამისათვის ისინი, სანამ ჩვეულებრივი მატროსები არიან, სხვა სასყიდელს თითქმის არას იღებენ გარდა ამისა: რომ ანვითარებენ თავის დახელოვნებასა და ხელმარჯვეობას და სძლევენ გაჭირვებასა და ხიფათს. მათი ხელფასი არ აღემატება შავი მუშების ხელფასს იმ ნავსადგურში, რომელიც მეზღვაურთა ხელფასის ნორმას განსაზღვრავს. რადგან ისინი მუდამ ერთი ნავსადგურიდან მეორეში გადადიან, ამიტომ მათი ხელფასი გაცილებით უფრო უახლოვდება ერთი მეორისას, ვიდრე სხვა მუშების ხელფასი იმ სხვადასხვა ადგილებში, და იმ ნავთსადგურის ხელფასის ნორმა, რომლიდანაც გადის და რომელშიაც მოემგზავრება მეზღვაურთა უმრავლესობა, ე. ი. ლონდონის ნავსადგურის ნორმა, განსაზღვრავს ხელფასის ნორმას ყველა დანარჩენ ნავთსადგურში. ლონდონში მეტწილ მუშათა ხელფასი თითქმის ორჯერ აღემატება სათანადო ჯგუფების ხელფასს ედინბურგში. მაგრამ მატროსები, რომელნიც ლონდონის ნავთსადგურიდან გადიან, იშვიათად იღებენ 3 თუ 4 შილინგზე მეტს თვეში ზედმეტად იმათთან შედარებით, რომელნიც ნავსადგურ ლეიტიდან გადინ, და ხშირად განსხვავება ამდენიც არ არის. მშვიდობიანობის დროს და სავაჭრო

ფლოტში ლონდონის ხელფასი ირყევა ერთ გინეასა და ოცდაშვიდ შილინგს შორის კალენდარულ თვეში. ლონდონში უბრალო შავ მუშას, კვირაში 9 ან 10 შილინგის ნორმის საფუძველზე, შეუძლია აიღოს 40-დან 45 შილინგამდე კალენდარულ თვეში. მართალია, მატროსს, ყოველთვის არ აღემატება სხვაობას მის ფულად სასყიდელსა და უბრალო შავი მუშის სასყიდელს შორის, და თუ ზოგჯერ იგი კიდევ აღემატება, ეს გარდამეტი მაინც არ შეადგენს წმინდა მოსაგებს მატროსისათვის, ვინაიდან მას არშეუძლია უწილადოს იგი თავის ცოლსა და ოჯახს, რომელიც მან უნდა შეინახოს შინ თავისი ხელფასით.

ასეთი ცხოვრება, სხვადასხვა თავგადასავალით და ხიფათით აღსავსე, როდესაც ადამიანის სიცოცხლე ყოველთვის ბეწვზეა დაკიდებული, არა თუ არ აშინებს ახალგაზრდებს, არამედ ხშირად, როგორც ეტყობა, იზიდავს მეზღვაურის პროფესიისაკენ. ნაზ დედას ხალხის ქვედა ფენიდან სანავთსადგურო ქალაქში ხშირად ეძნელება სკოლაში გაგზავნოს თავისი შვილი, რადგან ეშინია, გემების დანახვამ და მატროსების თავგადასავალმა არ გაიტყუოს საზღვაო სამსახურში. შორეული პერსპექტივა ხიფათისა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ჩვენი ყოჩაღობით და ოსტატობით, არაა ჩვენთვის უსიამოვნო და არც ერთ პროფესიაში არ ადიდებს შრომის ხელფასს. სხვაგვარადაა საქმე იმ პროფესიებში, რომლებშიაც ყოჩაღობა და ოსტატობა ადამიანს არას შველის. პროფესიებში, რომლებიც ცნობილია თავისი არაჩვეულებრივი მავნებლობით ჯანმრთელობისათვის, შრომის ხელფასი ყოველთვის მნიშვნელოვნად მაღალი არის. სამუშაოს მავნებლობა ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებული სახის უსიამონებას წარმოადგენს და მისი გავლენა შრომის ხელფასზე სათანადო ზოგადი თვალსაზრისის ფარგალშია მოსაქცევი.

კაპიტალის ყველა სხვადასხვა დაბანდების შემთხვევაში მოგების ჩვეულებრივი ნორმა ირყევა მეტნაკლებ შემოსავლის საიმედობის თუ არა-საიმედობის მიხედვით. ეს შემოსავალი საერთოდ ნაკლებ საეჭვოა საშინაო ვაჭრობაში, ვიდრე საგარეოში, ხოლო ამ უკანასკნელის ზოგ დარგში ნაკლებ საეჭვოა, ვიდრე სხვებში: ჩრდილო-ამერიკასთან წარმოებულ ვაჭრობაში, მაგალითად, ნაკლებ, ვიდრე იამაიკასთან წარმოებულ ვაჭრობაში. მოგების ჩვეულებრივი ნორმა ყოველთვის მეტნაკლებ მაღლა იწევს რისკთან ერთად. მაგრამ ეს აწევა, როგორც ეტყობა, არაა რისკის მატების პროპორციული ანუ არაა მისი სავსებით გამწონასწორებელი. გაკოტრებას უფრო ხშირად აქვს ადგილი ვაჭრობა-მრეწველობის ყველაზე უფრო რისკიან დარგებში. ყველა პროფესიაზე უფრო რისკიანი პროფესია, – კონტრაბანდისტის პროფესია, – თუმცა იგი, როდესაც კონტრაბანდა მოხერხდება, ალბათ, უაღრესად მოგებიანი არის, უეჭველი გზაა გაკოტრების მისაღწევად. აქ, ეტყობა, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, მოქმედებს გაბედული რწმენა წარმატებისა, რაც ისე მრავალ ავანტიურისტს ითრევს ამ სახიფათო საქმეებში, რომ მათი საურთიერთო კონკურენცია მათ მოგებას იმ დონეზე დაბლა სწევს, რომელიც აუცილებელია რისკის საკომპენსაციოდ. რისკის საკომპენსაციოდ საჭიროა, რომ საერთო შემოსავალი ჰფარავდეს, კაპიტალის ჩვეულებრივი მოგების გარდა, არა მარტო ყველა შემთხვევითს ზარალს, არამედ გაბედულებს აგრეთვე უზრუნველყოფდეს ისეთ დამატებითს მოგებას, რომელიც დამზღვევ საზოგადოებათა მოგებას შეესაბამება. მაგრამ ჩვეულებრივი შემოსავალი რომ საკმარისი ყოფილიყო ყველა ამისათვის, მაშინ გაკოტრების შემთხვევები ამ დარგებში უფრო ხშირი არ იქნებოდა, ვიდრე სხვებში.

ამრიგად, იმ ხუთი გარემოებიდან, რომელნიც შრომის ხელფასს სცვლიან, მხოლოდ ორი ეხება კაპიტალის მოგებას: სახელდობრ, მოსაქმეობის საამურობა თუ უსამურობა და რისკი თუ საიმედოობა რაც მასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება საამურობას თუ არასამურობას, ამ მხრივ მეტი წილი კაპიტალდაბანდებათა სრულიად არაფრით ან თითქმის არაფრით არ განსხვავდება ერთი მეორისაგან; შრომის გამოყენების სხვადასხვა დარგებში, პირიქით, ეს განსხვავება ძალიან დიდი არის. რაც შეეხება რისკს, – კაპიტალის ჩვეულებრივი მოგება მატულობს მასთან ერთად, მაგრამ, როგორც სჩანს, არა ყოველთვის მის პროპორციულად. ყველა ამიდან გამომდინარეობს, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებაში ან ერთსა და იმავე ადგილას მოგების საშუალო ანუ ჩვეულებრივი ნორმები კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა სფეროებში უფრო უნდა უახლოვდებოდეს ერთმანეთს, ვიდრე ფულადი ხელფასები სხვადასხვა სახის შრომისათვის. და ასეც ხდება სინამდვილეში. განსხვავება ჩვეულებრივი შავი მუშის მონაგარსა და კარგი პრაქტიკის მქონე იურისტისა ან ექიმის მონაგარს შორის, ცხადია, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება ჩვეულებრივ მოგებას შორის ვაჭრობა-მრეწველობის რომელსამე ორ დარგში. ამასთან სხვადასხვა დარგებში გარეგნულად არსებული მოგებათა განსხვავება საერთოდ მოჩვენებელი განსხვავება არის და აიხსნება მით, რომ ჩვენ იმას, რაც ხელფასად არის ჩასათვლელი, ვურევთ იმაში, რაც მოგებად ჩასათვლელი არის.

მეაფთიაქეების მოგება ანდაზადაა გადაქცეული, იგი აღიარებულია როგორც უზომოდ მაღალი. მაგრამ ეს გარეგნულად დიდი მოგება ხშირად წარმოადგენს მხოლოდ სამართლიან ხელფასს შრომისათვის. მეაფთიაქის დახელოვნება უფრო სათუთი და ფაქიზი თვისებაა, ვიდრე რომელიმე ხელოსნის დახელოვნება, ხოლო იმ ნდობას, რომლითაც მას მიმართავენ, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. მეაფთიაქე ღარიბების ექიმია ყველა შემთხვევაში და მდიდრის ექიმიც იმ შემთხვევაში, როდესაც დაავადება ან ხიფათი ძალიან დიდი არ არის. ამიტომ მისი გასამრჯელო უნდა შეესაბამებოდეს მის დახელოვნებას და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აწევს, და ჩვეულებრივ ეს გასამრჯელო მოქცეული არის იმ ფასში, რა ფასადაც იგი ჰყიდის თავის წამლებს. მაგრამ წამლების მთელი ის რაოდენობა, რომელსაც დიდ ქალაქში კარგი ვაჭრობის მქონე მეაფთიაქე ჰყიდის წელიწადში, მას უღირს, იქნებ, არა უმეტეს ოცდაათი ან ორმოცი გირვანქისა. და თუმცა იგი ამ წამლებს სამას ან ოთხას გირვანქად ჰყიდის, ე. ი. ათასი პროცენტის მოგებით, მაგრამ ეს ხშირად მხოლოდ მისი შრომის სამართლიან ხელფასს, რომელიც მას, რადგან იგი სხვა არაფერზე შეუძლია გადაიტანოს, თავისი წამლების ფასზე გადააქვს. მოჩვენებელი მოგების უდიდესი ნაწილი რეალურად წარმოადგენს ხელფასს, რომელსაც მოგების გარეგანი სახე აქვს.

პატარა სანავთსადგურო ქალაქში მეწვრილმანეს შეუძლია თავისს კაპიტალზე, რომელიც მხოლოდ ას გირვანქას უღრის, 50 პროცენტი მოიგოს, მაშინ როდესაც ბითუმად მოვაჭრე მსხვილი ვაჭარი იმავე ადგილას ძლივს 8 თუ 10 პროცენტს იგებს 10 000 გირვ. კაპიტალზე. წვრილი ვაჭრობა აუცილებელია მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ბაზრის შეზღუდულობა, შესაძლებელია, ნებას არ იძლეოდეს საქმეში უფრო დიდი კაპიტალის მოსათავსებლად. მაგრამ მეწვრილმანემ არა თუ უნდა იცხოვროს თავისი ვაჭრობით, არამედ უნდა იცხოვროს იმ ღირსების შესაბამისად, რომელსაც ეს ვაჭრობა მოითხოვს. გარდა იმისა, რომ მას პატარა კაპიტალი უნდა ჰქონდეს, მან უნდა იცოდეს წერა, კითხვა და ანგარიში, უნდა იცნობდეს, იქნებ, ორმოცდაათი ან სამოცი სხვადასხვა საქონელს, მათ ფასებს, ხარისხსა და ბაზარს, სადაც მათი ყიდვა ყველაზე უფრო იაფად შეიძლება. მოკლედ,

მას უნდა ჰქონდეს ყველა ის ცოდნა, რაც საჭიროა მსხვილი ვაჭრისათვის, – ასეთ ვაჭრად გახდომას მას უშლის მხოლოდ საკმაო კაპიტალის უქონლობა. 30 ან 40 გირვანქა წელიწადში არ შეიძლება დიდ გასამრჯელოდ ჩავთვალოთ ესოდენ მომზადებული ადამიანის შრომისათვის. თუ ამას გამოვრიცხავთ მისი კაპიტალის გარეგნულად დიდი მოგებიდან, დარჩება, იქნებ, ძალიან ცოტა იმაზე მეტი, რაც კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებას შეადგენს. ამ შემთხვევაშიც მოჩვენებულის მოგების უდიდესი ნაწილი ნამდვილად ხელფასს წარმოადგენს.

განსხვავება წვრილი ვაჭრობის მოჩვენებულ მოგებასა და მსხვილი ვაჭრობის ასეთსავე მოგებას შორის დედაქალაქში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პატარა ქალაქებში ან საბაზრო დაბებში. იმ შემთხვევაში, როდესაც წვრილ ვაჭრობაში შესაძლებელია 10 000 გირვანქა იყოს მოთავსებული, ხელფასი წვრილი ვაჭრის შრომისათვის მეტად უმნიშვნელო დამატებას შეადგენს ესოდენ დიდი კაპიტალის ნამდვილი მოგებისას. ამიტომ ასეთი ცალობით მოვაჭრე მსხვილი ვაჭრის გარეგნული მოგება ძალიან უახლოვდება ბითუმად მოვაჭრის მოგებას. ამ მიზეზის გამო საქონელი, რომელიც ცალობით იყიდება, დედა-ქალაქში ჩვეულებრივ ისევე იაფია და ხშირად უფრო იაფიც, ვიდრე პატარა ქალაქებში და საბაზრო დაბებში. საბაკალეო საქონელი, მაგალითად, ჩვეულებრივ ბევრად უფრო იაფი არის; ხშირად ისევე იაფია პური და ხორცი. საბაკალეო საქონლის მიზიდვა დიდ ქალაქში არ ჯდება უფრო ძვირად, ვიდრე საბაზრო დაბაში მიზიდვა; მაგრამ გაცილებით უფრო ძვირად ჯდება პურის და ცხოველის მიზიდვა, რადგან მათი უდიდესი ნაწილი ბავრად უფრო დამორებული პუნქტებიდანაა გადასაზიდი. რადგან, ამრიგად, საბაკალეო საქონლის ნასყიდობის ფასი ერთნაირია ორსავე ადგილას, ამიტომ იგი უფრო იაფად იყიდება იქ, სადაც მას ნაკლები მოგება ედება. პურის და ხორცის ნასყიდობის ფასი დიდ ქალაქში უფრო მაღალია, ვიდრე საბაზრო დაბაში. და თუმცა მოგება პირველში ნაკლები არის, პური და ხორცი იქ ამის გამო არაა ყოველთვის უფრო იაფი, არამედ ხშირად ისევე იაფია, როგორც საბაზრო დაბებში. ასეთი პროდუქტების ვაჭრობაში, როგორცაა პური და ხორცი, იგივე მიზეზი, რომელიც ამცირებს გარეგნულ მოგებას, მაღლა სწევს ნასყიდობის ფასს. ბაზრის სიდიდე, რადგან იგი დიდ კაპიტალს უქმნის დაბანდებას, ამცირებს გარეგნულ მოგებას; მაგრამ, რადგან იგი იმავე დროს საჭიროდ ხდის პროდუქტების მიზიდვას უფრო შორეული მანძილიდან, – ადიდებს ნასყიდობის ფასს. ეს მოგების შემცირება და ნასყიდობის ფასის მაღლა აწევა უმრავლეს შემთხვევაში, როგორც ეტყობა, თითქმის აწონასწორებს ერთიმეორეს, და ეს, ალბათ, გვიხსნის იმ ფაქტს, რომ პურის და ხორცის ფასები სამეფოს მეტ ნაწილში ჩვეულებრივ ერთ დონეზე დგას, თუმცა ხორბლის და ხვასტაგის ფასები სხვადასხვა ადგილას ჩვეულებრივ ძალიან სხვადასხვა არის.

თუმცა კაპიტალის მოგება როგორც მსხვილ, ისე წვრილ ვაჭრობაში საერთოდ დედა-ქალაქში ნაკლებია, ვიდრე პატარა ქალაქებსა და საბაზრო დაბებში, მაგრამ პირველში ხშირად პატარა კაპიტალით დიდი ქონება შეიძინება, მეორეებში კი – თითქმის არასოდეს. პატარა ქალაქებსა და საბაზრო დაბებში, ბაზრის შეზღუდულობის გამო, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ვაჭრობის გაფართოება კაპიტალის გადიდების შესაბამისად. ამიტომ, თუმცა ასეთ ადგილებში ცალკეული პირის მოგების ნორმა შეიძლება ძალიან მაღალიც იყოს, ამ მოგების ჯამი ანუ თანხა არასოდეს არ შეიძლება იყოს ძალიან დიდი და, მაშასადამე არ შეიძლება იყოს დიდი მისი ყოველწლიური დაგროვებაც. დიდ ქალაქებში, პირიქით, ვაჭრობა შეიძლება გაფართოებულ იქნეს კაპიტალის ზრდის მოხედვით, ხოლო დამზოგველი და წარმატებაში მყოფი ადამიანის კრედიტი იზრდება ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე

მისი კაპიტალი. მისი ვაჭრობა ფართოვდება ერთისა და მეორის შესაბამისად, მისი მოგების ჯამი ანუ თანხა მისი ვაჭრობის მოცულობის პროპორციულია, ისე როგორც მისი წლიური დაგროვება პროპორციული მისი თანხისა. მაგრამ დიდ ქალაქებშიც იშვიათად გვხვდება, რომ ვაჭრობა-მრეწველობის რომელსამე, დიდი ხნიდან დამყარებულ და კარგად ცნობილ, დარგში დიდი ქონება შეიძინებოდეს სხვაგვარად, თუ არ დიდი ხნის მუყაითი, მომჭირნე და საზრიანი სიცოცხლის შედეგად. რასაკვირველია, ასეთ ადგილებში ზოგჯერ სწრაფად შეიძინება ქონება ეგრეთწოდებული სპეკულაციის გზით. სპეკულიანტი-ვაჭარი ხელმოკიდებული არაა ერთ რომელსამე რეგულარულ, მტკიცედ დამყარებულ და კარგად ცნობილ სავაჭრო დარგს. ერთ წელს იგი ვაჭრობს ხორბლეულით, მეორე წელს ღვინით, შემდეგში – შაქრით, თამბაქოთი ან ჩაით. ის ხელს ჰკიდებს ყოველგვარ ვაჭრობას, რომელიც მას ჩვეულებრივზე მეტ მოგებას უქადის, და თავს ანებებს მას, როგორც კი შეამჩნევს, რომ აქედან მისაღები მოგება დაბლა იწევს სხვა სავაჭრო დარგების დონემდე. მისი მოგება და ზარალი, ამიტომ არ შეიძლება იმყოფებოდეს რაიმე რეგულარულ შეფარდებაში რომელიმე დამყარებული და საყოველთაოდ ცნობილი სავაჭრო დარგის მოგების და ზარალის მიმართ. გაბედულ ავანტიურისტს შეუძლია ზოგჯერ თვალსაჩინო ქონება შეიძინოს ორი ან სამი წარმატებულად დამთავრებული სპეკულაციით, მაგრამ სწორედ ასევე მოსალოდნელია ისიც, რომ ორი ან სამი წარუმატებელი სპეკულაციის შედეგად მთელი ქონება დაეკარგოს. ასეთი სპეკულაციური ვაჭრობის წარმოება მხოლოდ დიდ ქალაქებშია შესაძლებელი. მხოლოდ იქ, სადაც ფართოდ გავრცელებულია სავაჭრო საქმეები და მათთვის საჭირო კორესპონდენცია, აქვს სპეკულაციას ნიადაგი.

თუმცა ზემოაღნიშნული ხუთი გარემოება იწვევს მნიშვნელოვან უთანასწორობას შრომის ხელფასში და კაპიტალის მოგებაში, მაგრამ არ იწვევს არავითარ უთანასწორობას მთლიანად იმ _ ნამდვილი თუ წარმოდგენაში არსებული _ ხელსაყრელობისა ან არახელსაყრელობის ჯამში, რომელიც კაპიტალისა და შრომის სხვადასხვა სახის გამოყანებასთანაა დაკავშირებული. თავისი არსებით ის გარემოებანი, ისეთი ხასიათის არიან რომ იმ გამოყენების ზოგ დარგებში ანაზღაურებენ მცირე ფულად მოსაგებს და სხვებში აწონასწორებენ დიდ მოსაგებს.

მაგრამ, რათა ამ თანასწორობას ადგილი ჰქონდეს იმ დარგების ხელსაყრელობისა ან არახელსაყრელობის საერთო ჯამში, საჭიროა – იქაც კი, სადაც კი შეძლებისამებრ სრული თავისუფლებაა დამყარებული _ შემდეგი სამი პირობა. პირველი: მოცემული სავაჭრო-სამრეწველო დარგი უნდა იყოს ყველასათვის კარგად ცნობილი და დიდი ხნიდან დამყარებული განსაზღვრულ ადგილას; მეორე: იგი უნდა იმყოფებოდეს თავის ნორმალურ ანუ, ასე ვთქვათ, ბუნებრივ მდგომარეობაში; მესამე: იგი უნდა შეადგენდეს ერთადერთ ან მთავარ მოსაქმეობას იმისთვის, ვინც მასში მოსაქმეობს.

1. ამ თანასწორობას ადგილი აქვს მხოლოდ იმ მოსაქმეობაში, რომელიც კარგად ცნობილია და დიდი ხნიდან დამყარებული განსაზღვრულ ადგილას.

ყველა სხვა პირობების თანასწორობისას შრომის ხელფასი ჩვეულებრივ უფრო მაღალია ვაჭრობა-მრეწველობის ახალ დარგებში, ვიდრე ძველებში. როდესაც რომელიმე მესარეწე ხელს ჰკიდებს ახალი მანუფაქტურის გამართვას, მან პირველად მისთვის საჭირო მუშები მრეწველობის სხვა დარგებიდან უნდა გადაიბიროს უფრო მაღალი ხელფასის დახარბებით, ვიდრე ის ხელფასი არის, რომლის მიღება მათ შეუძლიათ თავის ძველ ადგილას ან რომელიც სხვა პირობებში ამ ახალი სარეწაოს ხასიათის შესაფერი იქნებოდა; და უნდა განვლოს საკმაოდ ხანგრძლივმა დრომ, სანამ

იგი შესძლებს გაბედოს ხელფასის დაწევა ჩვეულებრივ დონემდე. მანუფაქტურები, რომელთათვისაც მოთხოვნა სავსებით მოდასა და მომხმარებლების კაპრიზზეა დამოკიდებული, მუდამ იცვლებიან და იშვიათად არსებობენ ისე ხანგრძლივად, რომ შეიძლებოდეს მათი მიჩნევა დიდი ხნიდან დამყარებულ მანუფაქტურებად. პირიქით, ის მანუფაქტურები, რომელთა პროდუქტები უმთავრესად აუცილებელ ანუ ჩვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ნაკლებ ექვემდევარებიან ცვლილებას და ერთი და იგივე ფორმა ან ფაბრიკაციის წესი შეიძლება მთელი საუკუნეების განმავლობაში აკმაყოფილებდეს მოთხოვნას. ამიტომ შრომის ხელფასი პირველგვარ მანუფაქტურებში უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე მეორეგვარ მანუფაქტურებში. ბირამინგამში უფრო გავრცელებულია პირველგვარი მანუფაქტურები, შევილდში – მეორეგვარი, და შრომის ხელფასი იმ ორ პუნქტში, როგორც ამბობენ, შეესაბამება ამ განსხვავებას მათი მანუფაქტურების ხასიათში.

ყოველი ახალი მანუფაქტურის ყოველი ახალი სავაჭრო დარგის დაწესება ან მიწათმოქმედებაში ყოველი ახალი მეთოდის შემოღება წარმოადგენს ყოველთვის ერთგვარ სპეკულაციას, რომლისგანაც მესარეწე არაჩვეულებრივი მოგების მიღებას მოელის. ეს მოგება ზოგჯერ ძალიან დიდია, ზოგჯერ კი, იქნებ უფრო ხშირადაც, ამის წინააღმდეგს აქვს ადგილი; მაგრამ საერთოდ ეს მოგება არავითარ რეგულარულ შეფარდებაში არ იმყოფება მოცემული ადგილის სხვა სავაჭრო-სამრეწველო დარგების მოგების მიმართ. პროექტი თუ განხორციელდა, დასაწყისში მოგება ჩვეულებრივ ძალიან მაღალია, მაგრამ როდესაც მოცემული სავაჭრო-სამრეწველო დარგი ან ახალი მეთოდი საბოლოოდ დამყარდება და საყოველთაოდ ცნობილი გახდება, – კონკურენცია მოგებას სხვა დარგების მოგების ჩვეულებრივ დონემდე დასწევს.

2. ამ თანასწორობას შრომისა და კაპიტალის სხვადასხვა გამოყენების ხელსაყრელობისა ან არახელსაყრელობის საერთო ჯამში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, თუ აღებული დარგი ჩვეულებრივს ანუ, ასე ვთქვათ, ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება.

მოთხოვნა თითქმის ყველა სახის შრომის მიმართ ხან უფრო დიდია ჩვეულებრივზე, ხან უფრო მცირე. შრომის გამოყენების ხელსაყრელობა ერთ შემთხვევაში მატულობს, მეორე შემთხვევაში კლებულობს ჩვეულებრივ დონესთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო შრომის მოთხოვნა უფრო დიდია თიბვის და მოსავლის აკრეფვის დროს, ვიდრე წლის დანარჩენი დროის განმავლობაში და ხელფასი იზრდება მოთხოვნასთან ერთად. ომის დროს, როდესაც 40 000 ან 50 000 მატროსი სავაჭრო ფლოტიდან იძულებით გადაიყვანება სამხედრო ფლოტში, მატროსების მოთხოვნა სავაჭრო გემებისათვის აუცილებლობის გზით მატულობს მათი რიცხვის შემცირების შესაბამისად, და მათი ხელფასი ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ მატულობს, 1 გინეიდან და 27 შილინგიდან ადის 40 შილინგზე და 3 გირვანქაზე თვეში. პირიქით, მანუფაქტურაში, რომელიც დაცემისკენაა გადახრილი, ბევრი მუშა, რადგან არ სურს ჩვეულ სამუშაოს თავი დაანებოს, კმაყოფილდება იმაზე ნაკლები ხელფასით, რაც სხვა გარემოებაში მათი სამუშაოს ხასიათის შესაბამისი იქნებოდა.

კაპიტალის მოგება ირყევა საქონელთა ფასის რყევასთან ერთად, რომელთა დამზადებაზედაც ეს კაპიტალი იხმარება. თუ რომელიმე საქონლის ფასი ამ უკანასკნელის ჩვეულებრივ ანუ საშუალო ნორმაზე მაღლა იწევს, მოგებაც, ყოველ შემთხვევაში კაპიტალის იმ ნაწილის მოგება, რომელიც ამ საქონლის ბაზარზე მოტანას ემსახურება, მაღლა იწევს მოგების ჩვეულებრივ დონესთან შედარებით,

ხოლო ამ ფასის დაცემისას ეცემა ამ დონეზე დაბლა. ყველა საქონელთა ფასი მეტნაკლებ ექვემდებარება რყევას, მაგრამ ეს რყევა ზოგი საქონლისათვის უფრო დიდია, ვიდრე სხვებისათვის. ყველა საქონელთა წარმოებაში, რომელთაც ადამიანის შრომა ჰქმნის, წლიურად დახარჯული შრომის რაოდენობას აუცილებლობის გზით აწესრიგებს წლიური პროდუქცია შეძლებისამებრ შეესაბამება საშუალო წლიურ მოხმარებას. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ზოგ დარგში შრომის ერთი და იგივე რაოდენობა ჰქმნის ყოველთვის საქონელთა ერთსა და იმავე რაოდენობას ან თითქმის ერთსა და იმავე რაოდენობას. ტილოს ან შალეულის წარმოებაში, მაგალითად, მუშახელის ერთი და იგივე რაოდენობა წლიურად დაახლოებით ტილოს და შალის ქსოვილების ერთსა და იმავე რაოდენობას აწარმოებს. ამიტომ ასეთ საქონელთა საბაზრო ფასის რყევა შეიძლება წარმოსდგეს მხოლოდ მოთხოვნის რაიმე შემთხვევითი რყევის შედეგად. საზოგადოებრივი გლოვა მაღლა სწევს შავი შალის ფასს, მაგრამ რადგან მოთხოვნა მეტწილად ფერის ტილოს და შალის მიმართ თითქმის უცვლელი რჩება, ამიტომ შავი შალის ფასიც მყარი არის. მაგრამ არსებობს სხვა დარგები, სადაც შრომის ერთი და იგივე რაოდენობა ყოველთვის არ აწარმოებს საქონელთა იმავე რაოდენობას. ასე, მაგალითად, შრომის ერთი და იგივე რაოდენობა იძლევა სხვადასხვა წლებში ხორბლის, ღვინის, სვიის, შაქრის, თამბაქოსა და სხვ. ფრიად სხვადასხვა რაოდენობას. ამიტომ ასეთ საქონელთა ფასი ირყევა არა მარტო მოთხოვნის რყევის გამო, არამედ აგრეთვე მათი რაოდენობის კიდევ უფრო დიდი და ხშირი რყევის გამო და, მაშასადამე, იგი უადრესად მერყევი არის. მაგრამ საქონელთა ფასის რყევასთან ერთად აუცილებლად ირყევა ზოგ ვაჭართა მოგებაც. განსაკუთრებით ამ კატეგორიის საქონელი შეადგენს სპეკულანტი ვაჭრის ოპერაციების საგანს. იგი ცდილობს ასეთი საქონელი შეისყიდოს, როდესაც მოელის მისი ფასი აწევას, და გაჰყიდოს, როდესაც მოელის მის დაცემას.

3. თანასწორობას შრომისა და კაპიტალის სხვადასხვაგვარი გამოყენების ხელსაყრელობისა და არახელსაყრელობის საერთო ჯამში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ისეთ დარგებში, რომელნიც შეადგენენ ერთადერთ ან უმთავრეს პროფესიას მათში მოსაქმე პირთათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე თავის საარსებო საშუალებებს ღებულობს ერთი რაიმე მოსაქმეობის გზით, რაც მას მისი დროის უდიდეს ნაწილს არ ართმევს, იგი მოცლილობის საათებში მზად არის იმუშაოს მოსაქმეობის სხვა დარგში უფრო ნაკლები ხელფასით, ვიდრე საზოგადოდ შეეფერება ამ მოსაქმეობის ხასიათს.

შოტლანდიის ბევრ ნაწილში დღემდე არსებობს კატეგორია ადამიანთა, რომელთაც “კოტერებს” ანუ “კოტეჯერებს” უწოდებენ, თუმცა რამდენიმე წლის წინათ იმათ უფრო ხშირად შეხვდებოდა ადამიანი, ვიდრე ამჟამად. ესენი არიან მემამულეებისა და ფერმერების ერთგვარი მოჯამაგირეები, რომელნიც დამქირავებელთა კარმიდამოში არ ცხოვრობენ. ისინი ჩვეულებრივ იღებენ დამქირავებელთაგან სასყიდლად ქობს, პატარა ბოსტანს, თივას, _ სწორედ საკმარისს ერთი ძროხის გამოსაკვებად, და ზოგჯერ ერთ ან ორ აკრ ცუდ სახნავ მიწას. როდესაც ბატონს მათი შრომა სჭირდება, იგი მათ აძლევს, გარდა ამისა, კვირაში ორ ჩანახ შვრიის ფქვილს 16 პენსის ღირებულებას. მეტწილად წლის განმავლობაში მას მცირედ სჭირდება ან სრულებით არ სჭირდება მათ შრომა, ხოლო მათთვის გადაცემული პატარა ნაკვეთის დამუშავება არ ართმევს მათ მთელ იმ დროს, რომელიც მათ განკარგულებაშია. როცა ასეთი მოჯამაგირეები უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ, ვიდრე ამჟამად არიან, ისინი, როგორც გადმოგვცემენ, ყველა ხალისით აძლევდნენ თავიანთ თავისუფალ დროს ფრიად მცირე

სასყიდლებისთვის და ნაკლები ხელფასით მუშაობდნენ, ვიდრე სხვა მუშები. ძველ დროში ისინი, როგორც ეტყობა, მარავლად იყვნენ ყველგან ევროპაში. იმ ქვეყნებში, სადაც მიწები ცუდად იყო დამუშავებული და მოსახლეობა მეჩხრად დასახლებული, მეტწილ შემემულებს და ფერმერებს არ შეეძლოთ სხვა გზით მოეპოვათ მუშების ის არაჩვეულებრივი რაოდენობა, რომელიც სასოფლო მეურნეობისთვის საჭირო არის განსაზღვრულ პერიოდებში. ის დღიური ან კვირეული ხელფასი, რომელსაც ასეთი მუშები იღებდნენ დროგამოშვებით თავიანთა დამქირავებლებისაგან ცხადია, არ შეადგენდა მათ შრომის მთელ ფასს. მათი პატარა მიწის ნაკვეთი მის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. მაგრამ ბევრმა მწერალმა, რომელიც ცნობებს აგროვებდა შრომისა და სურსათ-სანოვაგის ფასების შესახებ წინანდელ დროში ეტყობა, ეს დღიური ან კვირეული სასყიდელი შრომის მთელ სასყიდლად ჩასთვალა და ამიტომ შეეძლო სიამოვნებით აღენიშნა მისი საკვირველი სიმცირე.

ასეთი შრომის პროდუქტი ხშირად უფრო იაფად გამოდის ბაზარზე, ვიდრე ეს სხვებზე შეესაბამება ასეთი პროდუქტის ხასიათს. შოტლანდიის ბევრ ნაწილში წინდებს გაცილებით უფრო იაფად ქსოვენ, ვიდრე სხვა ადგილებში, სადაც მათ საქსოვი დაზგების საშუალებით ამზადებენ. ეს წინდები ნაწარმოებია შინამსახურების და სხვა მშრომელთა, რომელნიც თავიანთი საარსებო საშუალებების უმთავრეს ნაწილს სხვა მოსაქმეობიდან იღებენ. ათას წყვილ წინდაზე მეტი მოაქვთ ყოველწლიურად შეტლანდის კუნძულებიდან ლეიტში, ფასი 5-7 პენსია წყვილისათვის. ლირევიკში, შოტლანდის კუნძულების პაწია დედა-ქალაქში, როგორც მე მარწმუნებენ, 10 პენსი დღეში შეადგენს ჩვეულებრივ ფასს უბრალო შრომისათვის. იმავე კუნძულებზე ქსოვენ შალის წინდებს, წყვილს ერთი გინეის და მეტის ღირებულებისას.

შოტლანდიაში სელის რთვა თითქმის ისე წარმოებს, როგორც წინდების ქსოვა, ე.ი. შინამსახური ქალების მიერ, რომელთაც უმთავრესად სხვა მიზნისათვის ქირაობენ. ისინი, რომელნიც ცდილობენ მარტო ერთი ან მეორე საქმიანობით მოიპოვონ მთელი თავშესაზახი, საშინლად მცირეს შოულობენ. შოტლანდიის მეტწილ ადგილებში კარგ მრთველ ქალად ითვლება ის, ვისაც შეუძლია 20 პენსი გასამრჯელო აიღოს კვირაში.

მდიდარ ქვეყნებში ბაზარი ჩვეულებრივ ისე ფართოა, რომ მარტო ერთი მოსაქმეობა საკმარისია იმისათვის, რომ შეიწოვოს იმ პირთა მთელი შრომა და კაპიტალი, რომელიც მას ეწევა. ისეთ ადამიანთა მაგალითებს, რომელიც ერთი მოსაქმეობით ცხოვრობენ და იმავე დროს სხვა მოსაქმეობით იღებენ რაიმე პატარა სარგებლობას, ადგილი აქვს უმთავრესად ღარიბ ქვეყნებში. მაგრამ შემდეგ სრულიად მსგავს მოვლენას ადგილი აქვს ძალიან მდიდარი ქვეყნის დედა-ქალაქშიაც. მე მგონია ევროპაში არ მოიპოვება ისეთი ქალაქი, სადაც სახლის ქორა ლონდონზე უფრო ძვირი იყოს, და, მიუხედავად ამისა არ ვიცი ისეთი დედა-ქალაქი, სადაც ავეჯით მოწყობილი ბინები უფრო იაფად ქირავდებოდეს. ბინები ლონდონში არა თუ ბევრად უფრო იაფია, ვიდრე პარიზში, არამედ, თანატოლი ვარგისობისას, ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ედინბურგშიც კი. და, რაც საოცრად უნდა გვეჩვენოს სახლების დიდი ქირა შეადგენს ბინების სიიაფის მიზეზს. სახლის ქირის სიძვირეს ლონდონში იწვევენ არა მარტო ის მიზეზები, რომელნიც ამ ქირას აძვირებენ ყველა დიდ დედა-ქალაქში: შრომის სიძვირე, მასალების სიძვირე, რომლებიც ჩვეულებრივ შორიდანაა მოსაზიდი, და ამას გარდა მიწის რენტის სიძვირე, ვინაიდან თითოეული მემამულე წარმოგვიდგება მონოპოლისტის სახით, რომელიც ხშირად ერთ აკრ ცულ მიწაში ქალაქად უფრო მაღალ რენტას იხდევინება, ვიდრე შესაძლებელი არის ადებულ იქნეს

ას აკრ საუკეთესო მიწაში სოფლად, – მას იწვევს არა მარტო ის მიზეზები, არამედ აგრეთვე ხალხის განსაკუთრებული ადათი და ჩეულება, რომელიც ყოველი ოჯახის უფროსს აიძულებს მთელი სახლი იქირაოს სარდაფიდან დაწყებული სახურავამდე. ინგლისში ბინა ეწოდება ყველაფერს, რაც ერთი და იმავე სახურავის ქვეშაა მოქცეული; საფრანგეთში, შოტლანდიასა და ევროპის ბევრ სხვა ნაწილში ბინა ნიშნავს ხშირად მარტოდენ ერთ სართულს. ვაჭარ-მრეწველი ლონდონში იძულებულია მთელი სახლი იქირაოს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მისი მუშტრები ცხოვრობენ. მისი მაღაზია მოთავსებულია ქვედა სართულში, ხოლო მას და მის ოჯახს სძინავს სულ უმაღლეს სართულში სახურავთან; და იგი ცდილობს სახლის ქირის ნაწილი დაჰფაროს მით, რომ ორ შუა სართულს თვითონ აქირავებს. თავისი ოჯახის შესანახად იგი იმედს ამყარებს თავის მოსაქმეობაზე და არა მდგმურებზე, მაშინ როდესაც პარიზსა და ედინბურგში იმ პირთ, რომელნიც ბინებს აქირავებენ, ჩვეულებრივ არა აქვთ არსებობის სხვა წყარო, და ბინის ქირამ იქ არა მარტო მთელი სახლის ქირა უნდა დაჰფაროს, არამედ აგრეთვე ოჯახის ყველა ხარჯი.

განყოფილება II

უთანასწორობანი, რომელთაც იწვევს ევროპის სამეურნეო პოლიტიკა

ასეთია ის უთანასწორობანი შრომისა და კაპიტალის სხვადასხვა გამოყენების ხელსაყრელობისა ან არახელსაყრელობის საერთო ჯამში, რომელნიც გამოიწვევიან ზემოაღნიშნული სამი პირობიდან ერთ-ერთის არარსებობით მაშინაც კი, როდესაც უსრულესი თავისუფლებაა დამყარებული. მაგრამ ევროპის სამეურნეო პოლიტიკა, რაც საგნებს არ აძლევს სრულიად თავისუფალ მსვლელობას, იწვევს სხვაგვარ უთანასწორობასაც, რომელსაც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს პოლიტიკა ამას წარმოშობს სამგვარი გზით. ჯერ ერთი, მით, რომ ზოგ მოსაქმეობაში კონკურენციას ზღუდავს ადამიანთა ნაკლები რიცხვით, ვიდრე უამისოდ იქნებოდა რიცხვი ამ ადამიანთა, რომელნიც აღნიშნულ მოსაქმეობაში შესვლას დაეწაფებოდნენ; მეორე, მით, რომ სხვა დარგებში კონკურენციას ადიდებს იმასთან შედარებით, რაც იგი იქნებოდა ბუნებრივ პირობებში; და, მესამე, მით, რომ აბრკოლებს შრომისა კაპიტალის თავისუფალ გადასვლას ერთი მოსაქმეობიდან მეორე მოსაქმეობაში და ერთი ადგილიდან მეორე ადგილას.

1. ევროპის სამეურნეო პოლიტიკა წარმოშობს ძალიან მნიშვნელოვან უთანასწორობას შრომისა და კაპიტალის სხვადასხვაგვარი გამოყენების ხელსაყრელობის ან არახელსაყრელობის საერთო ჯამში მით, რომ ზოგ მოსაქმეობაში კონკურენციას ზღუდავს ადამიანთა ნაკლები რიცხვით, ვიდრე უამისოდ იქნებოდა რიცხვი იმ ადამიანთა, რომელნიც აღნიშნულ მოსაქმეობაში შესვლას დაეწაფებოდნენ.

მთავარ საშუალებას, რომელსაც ეს პოლიტიკა ხმარობს ამ მიზნის მისაღწევად, წარმოადგენს საამქრო კორპორაციების მონოპოლიური პრივილეგიები.

ამქრულად მოწყობილი ხელობის მონოპოლიური პრივილეგია აუცილებლად ზღუდავს კონკურენციას იმ ქალაქში, სადაც არსებობს იმ პირებით, რომელნიც ამქარში ირიცხებიან. ამქარში შესასვლელად ჩვეულებრივ აუცილებელია, რომ სათანადო პირს ქალაქში შეგირდობა ჰქონდეს გავლილი ჯეროვნად კვალიფიციურ

ოსტატთან, რომელიც ამქარში ირიცხება. საამქრო დებულებები განსაზღვრავს ზოგჯერ შეგირდების რიცხვს, რომელიც ოსტატს შეუძლია ჰყავდეს, და თითქმის ყოველთვის იმ წლების რიცხვს, რომლებიც შეგირდმა უნდა გაატაროს შეგირდობაში. ორივე ამ დადგენილების მიზანი ის არის, რომ კონკურენცია შეზღუდული იქნეს ადამიანთა ნაკლები რიცხვით ვიდრე ასეთი შეზღუდვის არარსებობისას იქნებოდა რიცხვი იმ ადამიანთა, რომელნიც იმ პროფესიაში შესვლას მოინდომებენ. შეგირდების რიცხვის შეზღუდვა პირდაპირ ზღუდავს კონკურენციას. შეგირდობის დროის ხანგრძლივობა მას ზღუდავს არა პირდაპირ, მაგრამ ისევე ნამდვილად, ვინაიდან ადიდებს ხელობის ხელობის შეწავლისთვის გასაწევ ხარჯებს.

შევილდში, საამქრო დებულების თანახმად, არც ერთ დანის მკეთებელ ოსტატს არ შეუძლია იყოლიოს იმავდროულად ერთ შეგირდზე მეტი. ნორფოლკში და ნორვიჩში არც ერთ ფეიქარ-ოსტატს არ შეუძლია ჰყავდეს ორზე მეტი შეგირდი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმად თვეში 5 გირვანქა გადახდება მეფის სასარგებლოდ. ყველგან ინგლისში, აგრეთვე ინგლისის კოლონიებში არც ერთ მექუდე ოსტატს არ შეუძლია იყოლიოს ორ შეგირდზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გადახდევინებენ თვეში ჯარიმად 5 გირვანქას, რომლის ერთი ნახევარი მეფის სასარგებლოდ მიდის, და მეორე ნახევარი იმის სასარგებლოდ, ვინც ამის შესახებ საჩივარი განაცხადა სასამართლოში. ორივე ეს უკანასკნელი დადგენილება, თუმცა ისინი დამტკიცებულია სამეფოს საყოველთაო კანონით, ცხადია, იმავე ამქრული სულით არის ნაკარნახევი, რომელმაც შევილდის სტატუტი შექმნა. ერთ წელიწადს არც კი გაუვლია მას შემდეგ, რაც ლონდონში აბრეშუმეულის ფეიქრებმა ამქრული წყობილება დაიწესეს, რომ მათ გამოსცეს დადგენილება, რომლითაც ოსტატებს აკრძალად ორ შეგირდზე მეტის ყოლა იმავდროულად. საჭირო შეიქნა პარლამენტის სპეციალური აქტი ამ დადგენილების გასაუქმებლად.

როგორც ეტყობა, მთელს ევროპაში ძველადგან 7 წელიწადი იყო მეტწილად ამქრულად მოწყობილ ხელობებში შეგირდობის ხანგრძლივობის ვადა დაწესებული. ყველა ასეთ ამქრულ კორპორაციებს ძველს დროში უნივერსიტეტები ეწოდებოდა, რაც სინამდვილეში ლათინური სახელწოდებაა საკუთრივ ყოველგვარი კორპორაციისათვის. მჭედლების უნივერსიტეტი, თერძების უნივერსიტეტი და სხვ., – ასეთ გამოთქმებს ჩვეულებრივ ვხვდებით ჩვენ ძველი ქალაქების ძველებურ საბუთებსა და სიგელებში. როდესაც პირველად დაარსდა ის განსაკუთრებული კორპორაციები, რომლებსაც ამჟამად საკუთრივ უნივერსიტეტებს უწოდებენ, ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხის მისაღებად საჭირო სწავლის ხანგრძლივობა, როგორც ეტყობა, შეფარდებულ იქნა ჩვეულებრივ ხელობათა შეგირდობის ვადასთან, რომელთა ამქრული კორპორაციები გაცილებით უფრო ადრე წარმოსდგა. როგორც საჭირო იყო 7 წელს ჯეროვანად კვალიფიციურ ოსტატთა მუშაობა, რათა ვინმეს უფლება ჰქონებოდა რომელსამე ხელობაში ოსტატი გამხდარიყო და თვითონ შეგირდების ყოლა შესძლებოდა, ამის მსგავსადმე საჭირო იყო ჯეროვანად კვალიფიციურ მაგისტრთან 7 წელს სწავლა, რათა სათანადო პირს შესძლებოდა გამხდარიყო ლიბერალურ პროფესიებში მაგისტრი, მასწავლებელი ან დოქტორი (ძველ დროში ეს სიტყვები სინონიმები იყო) და თვით ჰყოლოდა მოქაფეები და შეგირდები (ეს სიტყვებიც თავდაპირველად სინონიმები იყო).

ელისაბედის მეფობის მე-5 წელს გამოცემული კანონით, რომელსაც ჩვეულებრივ შეგირდობის კანონს უწოდებდნენ, დაწესებულ იქნა, რომ ამიერიდან არავინ არ უნდა ყოფილიყო ინგლისში არსებულ რაიმე პროფესიაში, ხელობაში ან ხელოვნებაში მოსაქმე, უკეთუ იგი მასში წინასწარ 7 წელიწადს შეგირდად არ იყო

ნამყოფი. ამრიგად, მარავალ ცალკეულ კორპორაციათა კერძო დადგენილებები ამერიიდან იქცა ინგლისში საყოველთაოს სავალდებულო კანონად ყველა ხელობისათვის ინგლისის ქალაქებში. ვამბობთ: ქალაქებში, ვინაიდან თუმცა ამ კანონის გამოთქმა მეტად ზოგადი იყო, და ცხადია, მთელი სამეფო იგულისხმებოდა, მაგრამ მისი განმარტების გზით, მისი მოქმედება შემოფარგლულ იქნა ქალაქებით, იმიტომ რომ აღიარებულ იქნა, რომ სოფლებში ერთ პირს შეუძლია რამდენსამე ხელობაში მოსაქმეობა, თუნდაც რომ თითოეულ მათგენში 7 წლის შეგირდობა არ გაეტარებოს, რადგან ეს პროფესიები საჭიროა მცხოვრებლებისათვის და მცხოვრებთა რიცხვი ხშირად საკმარისი არ არის, რომ თითოეულ ხელობას მისი სპეციალური მოხელეები ეწვეოდნენ.

გარდა ამისა, გამოთქმა მკაცრი განმარტების გზით კანონის მოქმედება იმ ხელობებით იქნა შემოფარგლული, რომელნიც არსებობდნენ ინგლისში ელისაბედის მეფობის მე-5 წლამდე. მაგრამ თვლების მკეთებელს, თუნდაც შეგირდობა არასოდეს არ გაევიდოს ეტლის მკეთებელთან, შეუძლია თვითონ ეტლი აკეთოს ან ქარგლებს აკეთებინოს, იმიტომ რომ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მეეტლის ხელობაზე, რადგან იგი ინგლისში არ არსებობდა კანონის გამოცემამდე. ამის გამო მანჩესტერის, ბირმინგემისა და უოლვერჰამპტონის მრავალი მანუფაქტურა არ ექვემდებარება ამ კანონის მოქმედებას, რამდენადაც ეს მანუფაქტურები ინგლისში არ არსებობდნენ ელისაბედის მეფობის მე-5 წლამდე.

საფრანგეთში შეგირდობის ხანგრძლივობა სხვადასხვაა სხვადასხვა ქალაქებსა და სხვადასხვა ხელობებში. პარიზში მრავალ ხელობაში მოითხოვება ხუთწლიანი ვადა; ვიდრე უფლებას მიიღებდეს ხელობას დაადგეს დამოუკიდებელი ოსტატის სახით, იმან, ვინც შეგირდობის ვადა შეასრულა, ბევრ ხელობაში კიდევ ხუთი წელიწადი უნდა იმუშაოს როგორც ქარგალმა. ამ ვადის განმავლობაში მას ეწოდება ოსტატის კომპანიონი, ამხანაგი, და თვით ვადას ეწოდება ამხანაგობა, კომპანიონაჟი.

შოტლანდიაში არ არსებობს საყოველთაო კანონი, რომელიც აწესებდეს საზოგადოდ შეგირდობის ვადას. ეს ვადა სხვადასხვაა სხვადასხვა ამქარში. იქ, სადაც იგი ხანგრძლივია, შეიძლება შემცირებულ იქნეს მცირე შესატანის გადახდით. აგრეთვე მეტწილ ქალაქებში ძალიან პატარა შესატანის გადახდა საკმარისია განურჩევლად ამა თუ იმ ამქარში შესვლის უფლების მოსაპოვებლად. ქსელის და კანაფის ქსოვილების ფეიქრებს – ეს წარმოება უმთავრეს წარმოებას შეადგენს ამ ქვეყანაში – და ყველა სხვა მათ დამხმარე ხელოსნებს, როგორც არიან თვლების მკეთებლები, მასრების მკეთებლები და სხვ., შეუძლით თავის ხელობაში მოსაქმეობა ამქრული წყობილების მქონე ყველა ქალაქში რაიმე გამოსაღების გადაუხდელად. ყველა ამქრიან ქალაქში ყოველ ადამიანს შეუძლია ყოველ იმ დღეს კვირაში, რომელიც კანონით არის დაწესებული, თავისუფლად გაჰყიდოს ხორცი. შეგირდობის ჩვეულებრივი ვადა შოტლანდიაში, ზოგიერთ ძალიან რთულ ხელობაშიც კი, არის სამი წელიწადი, და საზოგადოდ მე არ ვიცი ევროპაში მეორე ქვეყანა, სადაც ამქრული კანონები ესოდენ ნაკლებ შემავიწროვებელი იყოს.

ყველაზე წმინდა და შეუხებელ საკუთრების უფლებას წარმოადგენს საკუთარი შრომის საკუთრების უფლება, ვინაიდან შრომა თავდაპირველი წყაროა საერთოდ ყოველი საკუთრებისა. ღარიბი ადამიანის მთელი ავლადიდება მდგომარეობს მისი ხელების ძალასა და სიმარჯვეში, და მისთვის დაბრკოლების გაჩენა, რომ მან ეს ძალა და დახელოვნება ისე გამოიყენოს, როგორც თავისთვის შესაფერად მიაჩნია, თავისი მოყვასისთვის ზიანის მიუყენებლად, ნიშნავს ტლანქი ძალადობის ჩადენას ამ უწმინდესი საკუთრების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს კანონიერი თავისუფლების

დარღვევას როგორც მუშის, ისე იმ პირებისა, რომელთაც უნდათ მისი დაქირავება. ეს როგორც ხელს უშლის მუშას ისე იმუშაოს, როგორც მას ხელსაყრელად მიაჩნია, ისევე ხელს უშლის სხვებს დაიქირავონ ის, ვინც მათ სურთ. მსჯავრი იმის შესახებ, ვარგა მუშა სამუშაოდ თუ არ ვარგა, თამამად შეგვიძლია მივანდოთ თვით დამქირავებელთა ჭკუა-გონებას, რომელთაც ეს ყველაზე უფრო შეეხება. კანონმდებლის გადაჭარბებული ზრუნვა იმაზე, რომ მათ შეუფერებელი ადამიანი არ დაიქირავონ, ისევე უადგილოა, როგორც შემავიწროვებელი.

ხანგრძლივი შეგირდობის ინსტიტუტს იმის არავითარი გარანტიის მოცემა არ შეუძლია, რომ ხშირად გასაყიდად არ იქნება გამოტანილი ცუდად დამზადებული ნაწარმი. უკანასკნელი ჩვეულებრივ წარმოსდგება მოტყუების შედეგად და არა დაუხელოვნების გამო, და მოტყუებისაგან უზრუნველყოფა უხანგრძლივეს შეგირდობასაც კი არ შეუძლია. სულ სხვაგვარი ღონისძიებებია საჭირო ამ ბოროტქმედობის თავიდან ასაცილებლად. სინჯი ვერცხლის ავეჯეულობაზე და დამლა ტილოსა და შალის ქსოვილებზე მყიდველს გაცილებით მეტ გარანტიას აძლევს, ვიდრე შეგირდობის შესახებ რომელიმე დებულება. მყიდველი ჩვეულებრივ უცქერის სინჯს ან დამლას, მაგრამ არასოდეს არ სთვლის საჭიროდ იმის გამოკვლევას, გაიარა თუ არა მუშამ შვიდწლიანი შეგირდობა.

ხანგრძლივი შეგირდობის ინსტიტუტს სრულიადაც არა აქვს ის ტენდენცია, რომ შრომისმოყვარეობას შეაჩვიოს ახალგაზრდობა. ქარგალი, რომელიც ცალობით მუშაობს, ალბათ ძალიან მუყაითი იქნება, იმიტომ რომ სარგებლობას იღებს თავისი მუყაითობისაგან. შეგირდი, ალბათ, ზარმაცი იქნება, და ეს თითქმის ყოველთვის ესეც არის, იმიტომ რომ მას უშუალო ინტერესი არა აქვს იმისა, რომ არ იყოს ზარმაცი. უფრო ტლანქ პროფესიებში შრომის საამურობა მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ შრომის გასამრჯელოში. რაც უფრო მალე შეუძლია ამა თუ იმ პირს იგემოს შრომის ეს საამურობა, მით უფრო მალე, ალბათ, შეითვისებს იგი შრომის გემოს და მუყაითობის ჩვეულებას. ახალგაზრდა კაცი, რასაკვირველია, ზიზღს იგრძნობს შრომის მიმართ, თუ დიდი ხნის განმავლობაში არავითარ სარგებლობას არ იღებს მისგან. პატარა ბიჭები, რომლებსაც შეგირდობად გასცემენ ხოლმე საქველმოქმედო დაწესებულებები, საერთოდ ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივი ვადით არიან გაცემული, და ჩვეულებრივი მოვლენა ესაა, რომ იმათგან ძალიან ზარმაცი და უვარგისი მომუშავენი გამოდიან.

შეგირდობა საერთოდ უცნობი იყო ძველებისათვის. ოსტატის და შეგირდების საურთიერთო ვალდებულებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყველა თანამედროვე კოდექსში. რომის სამართალი სრულიად სდუმს ამის შესახებ. მე არ ვიცი არც ერთი ბერძნული ან ლათინური სიტყვა (მგონია, თამამად შემძლია ვთქვა, რომ ასეთი სიტყვები ამ ენებში არ არსებობს), რომელიც გამოსახავდეს იმ ცნებას, რასაც ჩვენ ამჟამად ვუკავშირებთ სიტყვა შეგირდობას, ე. ი. გამოსახავდეს იმ შინამსახურის ცნებას, რომელიც ამა თუ იმ ხელობაში მუშაობს ოსტატის სასარგებლოდ განსაზღვრული წლების განმავლობაში, იმ პირობით, რომ ოსტატი მას ამ ხელობას ასწავლის.

ხანგრძლივი შეგირდობა სრულიად საჭირო არაა. ის სხვადასხვა ხელოვნება, რომელიც გაცილებით მაღლა დგას ჩვეულებრივ ხელობაზე, როგორც, მაგალითად, ჯიბის და კედლის საათების კეთება, ისეთ საიდუმლოებას არას შეიცავს, რომ მოითხოვდეს ხანგრძლივ შესწავლას. რასაკვირველია, ამ მშვენიერი მექანიზმების გამოგონება და ზოგი იმ ხელსაწყოების, რომელიც მათ დასამზადებლად იხმარება, ღრმა აზროვნებისა და ხანგრძლივი დროის შედეგი იყო, და იგი სამართლიანად

შეიძლება ადამიანთა გამოგონების ერთ-ერთ უბედნიერეს შედეგად მივიჩნიოთ. მაგრამ მას შემდეგ რაც ისინი იქნენ სავსებით გამოგონებული და კარგად შეთვისებული, ახალგაზრდა კაცისთვის სრულიად დაწვრილებით იმის ახსნა-განმარტება, თუ როგორ უნდა იქნეს ხელსაწყო გამოყენებული და როგორ უნდა დამზადდეს ეს მექანიზმები, არ შეიძლება მოითხოვდეს რამდენიმე კვირის სწავლებაზე მეტს, და იქნებ ამისთვის რამდენიმე დღეც იყოს საკმარისი. უბრალო მექანიკურ ხელობაში უეჭველად საკმარისია რამდენიმე დღე. მართალია, სრულიად უბრალო ხელობაშიც კი ხელმარჯვეობა ვერ შეიძინება ზევრი ვარჯიშობისა და გამოცდილების გარეშე. მაგრამ ახალგაზრდა მომუშავე ბევრად მეტი ბეჯითობით და ყურადღებით გასწევს პრაქტიკას, უკეთუ იმთავითვე იმუშავეს ქარგლის სახით, ასე რომ სასყიდელს მიიღებს იმ მცირე შრომის პროპორციულად, რომლის შესრულებასაც მოახერხებს, და, თავის მხრივ, სასყიდელს გადაიხდის იმ მასალისათვის, რომლებსაც გააფუჭებს, ხოლმე თავისი გაუვარჯიშებლობისა და გამოუცდელობის გამო. ამ შემთხვევაში მისი სწავლება, როგორც საერთო წესი, უფრო წარმატებული იქნებოდა და ყოველთვის ნაკლებ ხანგრძლივი და ნაკლებ ძვირი. რასაკვირველია, ასეთი წესის არსებობისას ოსტატი ზარალში იქნებოდა. იგი დაჰკარგავდა შეგირდის მთელ იმ ხელფასს, რომელიც მას ახლა დაზოგილი აქვს მთელ 7 წელს შეგირდობის განმავლობაში. ბოლოს და ბოლოს, იქნებ, შეგირდიც დამკარგველი იქნებოდა. იმ ხელობაში, რომელიც ასე ადვილად შეისწავლებოდა, მას მეტი კონკურენტები ეყოლებოდა, და მისი ხელფასი, როდესაც იგი გამოზრდილი ხელოსანი გახდებოდა, უფრო დაბალი იქნებოდა, ვიდრე ამჟამად არის. კონკურენტის იგივე გაძლიერება შეამცირებდა ოსტატის მოგებას, ისე როგორც მუშების ხელფასს. დაჰკარგავდა ყველა ხელობა, ყველა ხელოვნება, ყველა პროფესია. მაგრამ მოიგებდა მოსახლეობა, ვინაიდან ყველა ხელოსანთა პროდუქტი უფრო იაფი იქნებოდა ბაზარზე.

ყველა ამქარი და მეტი წილი საამქრო წესები სწორედ იმისთვის იყო შემოღებული, რომ თავისუფალი კონკურენტის შეზღუდვის გზით, რადგან ამ კონკურენტის აუცილებელ შედეგად აქვს ფასის დაცემა და, მაშასადამე, ხელფასისა და მოგების დაცემა, თავიდანვე აცილებული ყოფილიყო ეს დაცემა. ძველ დროში ევროპის ბევრ ნაწილში ამქრის დასაწესებლად არავითარი სხვა ხელისუფლება არ იყო საჭირო, გარდა იმ ადგილის საქალაქო ხელისუფლებისა, სადაც ის არსებობდა. მართალია, ინგლისში საჭირო იყო აგრეთვე პრივილეგია მეფის მხრივ. მაგრამ ეს უპირატესი სამეფო უფლება, როგორც ეტყობა, დაწესებული იყო ქვეშემრდომებისაგან ფულის გამოწურვის მიზნით უფრო, ვიდრე ასეთი შემავიწროვებელი მონოპოლიებისაგან საზოგადოებრივი თავისუფლების დაცვის მიზნით. როგორც ჩანს, ასეთი პრივილეგიები ჩვეულებრივ ხალხისთა გაიცემოდა მეფისთვის განსაზღვრული თანხის გადახდის შემდეგ; და როდესაც რომელიმე განსაკუთრებული კლასის ხელოსნები ან ვაჭრები საჭიროდ დაინახავდნენ, პრივილეგიის მიუღებლად, ამქრის სახით ემოქმედნათ, ასეთ გილდებს, როგორც მათ უწოდებდნენ, ყოველთვის კი არ დაშლიდნენ, არამედ მხოლოდ აიძულებდნენ წლიურად განსაზღვრული ფულადი თანხა გადაეხადათ მეფის სასარგებლოდ იმ პრივილეგიით სარგებლობის ნებართვისათვის, რომელიც მათ უნებართვოთ მიისაკუთრეს¹. ზედამხედველობა ყველა ამქარზე და ამქრების მიერ გამოცემულ წესებზე, რომელთა შემოღებას ისინი საჭიროდ სთვლიდნენ თავიანთი საქმეების

¹ იხ. Madox, Firma Burgi, p. 26 და შემდ.

მოსაწესრიგებლად, იმ ქალაქის მმართველობას ეკუთვნოდა, სადაც ამქარი იმყოფებოდა; და რამდენადაც ადგილი ჰქონდა ასეთი ამქრების მიერ დისციპლინარულ სასჯელს, იგი მომდინარეობდა არა მეფისაგან, არამედ უფრო ფართო კორპორაციისაგან, რომლის ნაწილს ან წევრებს თვით ის ამქრები წარმოადგენდნენ.

ქალაქების მართვა-გამგეობა, სადაც ამქრები არსებობდნენ, სულ მთლად ხელოსნებისა და ვაჭრების ხელში იყო, და ცხადია, ამ ხელოსანთა და ვაჭართა ყველა ჯგუფის ინტერესი იმას მოითხოვდა, რომ, როგორც ისინი ამბობდნენ ჩვეულებრივ, ბაზრისთვის აეცილებიათ მათ მიერ დამზადებული პროდუქტებით ზომაზე მეტად გავსება, რაც ნამდვილად იმას ნიშნავს, რომ ბაზარი ყოველთვის ზომაზე ნაკლებად უნდა ყოფილიყო პროდუქტებით გავსებული. ხელოსნებისა და ვაჭრების თითოეული ჯგუფი ხარბად ესწრაფებოდა ამ მიზნით შეზღუდვის დამყარებას და, რამდენადაც ეს ხერხდებოდა, მზად იყო დათანხმებულიყო, რომ ყოველ სხვა ჯგუფსაც იგივე გაეკეთებია. ასეთ შეზღუდვათა შედეგად თითოეული ჯგუფი, მართალია, იძულებული იყო მისთვის საჭირო პროდუქტები უფრო ძვირად ეყიდნა მეორე ჯგუფისაგან იმავე ქალაქში, ვიდრე იმ შეზღუდვის გარაშე იქნებოდა ამას იძულებული. მაგრამ ამას ანაზღაურება ეძლეოდა მით, რომ თითოეულ ჯგუფს შეეძლო თავისი პროდუქტების იმდენადვე ძვირად გაყიდვა, ასე რომ საქმე, როგორც იტყვიან, ისევე განიერი იყო, როგორც გრძელი, და, ამრიგად, ქალაქის მცხოვრებთა სხვადასხვა ჯგუფების საურთიერთო აღებმიცემაში არც ერთი ჯგუფი არ ჰკარგავდა რამეს აღნიშნული შეზღუდვის გამო. პირიქით, სოფელთან აღებმიცემა შეადგენს მთელ იმ ვაჭრობას, რომელიც ყოველ ქალაქს ინახავს და ამდიდრებს.

ყოველი ქალაქი ყველა თავის საარსებო საშუალებას და მთელ ნედლეულს მრეწველობისათვის სოფლიდან იღებს. ქალაქი უხდის ამისთვის ორი გზით. ჯერ ერთი, მით, რომ იგი ამ ნედლეულის ნაწილს, გადამუშავებულს და გარდაქმნილს, უკანვე უგზავნის სოფელს; ამ შემთხვევაში ნედლეულის ფასი დიდდება მუშების ხელფასით და ოსტატთა მოგებით ან მუშების უშუალო დამქირავებელთა მოგებით; მეორე, მით, რომ იგი სოფელს უგზავნის იმ ნედლეულისა და მზა პროდუქტების ნაწილს, რომლებიც ქალაქში იქნა შეზიდული სხვა ქვეყნებიდან ან იმავე ქვეყნის შორეული ადგილებიდან; ამ შემთხვევაშიც ამ პროდუქტების თავდაპირველი ფასი დიდდება გადამზიდველების ანუ მეზღვაურების ხელფასით და მათთვის სამუშაოს მიმცემი ვაჭრების მოგებით. მოსაგები, რომელიც ვაჭრობის პირველი დარგიდან მიიღება, შეადგენს იმ სარგებლობას, რომელიც ქალაქს აქვს თავისი მრეწველობიდან; და მოსაგები, რომელიც მეორე სახის ვაჭრობიდან მიიღება, შეადგენს იმ სარგებლობას, რომელსაც ქალაქის საშინაო და საგარეო ვაჭრობა იძლევა. მუშების ხელფასი და მათი სხვადასხვა დამქირავებლების მოგება შეადგენს მთლად იმას, რაც ამ ორ შემთხვევაში მოიგება. მაშასადამე, ყველა იმ სხვადასხვა შეზღუდვას, რომელიც იქითკენაა მიმართული, რომ ხელფასი და მოგება მათ ნორმალური დონეზე მაღლა ასწიოს, მიზნად ისა აქვს დასახული, რომ ქალაქს შესაძლებლობა მისცეს თავისი შრომის ნაკლები რაოდენობით სოფლის შრომის პროდუქტის მეტი რაოდენობა იყიდოს. აღნიშნული შეზღუდვანი ქალაქის ხელოსნებსა და ვაჭრებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებენ სოფლის მემამულეებთან, ფერმერებთან და მუშებთან შედარებით და არღვევენ ბუნებრივ თანასწორობას, რომელსაც სხვებზე ადგილი ექნებოდა ვაჭრობაში ქალაქსა და სოფელს შორის. საზოგადოების შრომის მთელი წლიური პროდუქტი ყოველწლიურად ნაწილდება მოსახლეობის ამ ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის. აღნიშნულ შეზღუდვათა შედეგად ქალაქის მცხოვრებთ ხვდება ამ

პროდუქტის უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა იმ შეზღუდვათა არსებობისას, ხოლო უფრო მცირე ნაწილი ხვდება სოფლის მცხოვრებთ.

ფასი, რომელსაც ნამდვილად იხდის ქალაქი ყოველწლიურად მასში შეზიდული სურსათ-სანოვაგისა და ნედლეულისათვის, გამოიხატება მზა პროდუქტებისა და სხვა საქონელთა იმ რაოდენობაში, რომელიც ყოველწლიურად გაიზიდება იქიდან. რაც უფრო მვირად გაიყიდება ეს უკანასკნელები, მით უფრო იაფად შეისყიდება პირველები. ქალაქის მრეწველობა ხდება უფრო ხელსაყრელი, ხოლო სოფლის შრომა – ნაკლებ ხელსაყრელი.

რომ ქალაქის მრეწველობა ყველგან ევროპაში უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო შრომა, ამაში ჩვენ შეგვიძლია, ძალიან რთული გამოანგარიშების უწარმოებლად, დავრწმუნდეთ შემდეგი ფრიად მარტივი და ცხადი ფაქტით. ევროპის ყოველ ქვეყანაში ჩვენ ვნახავთ, ყოველ შემთხვევაში ას ადამიანს, რომელსაც დიდი ქონება შეუძენიათ, თუმცა პატარა საქმე დაუწყიათ, ვაჭრობასა და მანუფაქტურაში, ე. ი. უმთავრესად საქალაქო დარგებში; და მათზე მოდის მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელსაც ქონება შეუძენია სასოფლო შრომის დარგში, სახელდობრ მით, რომ გაუდიდება ნედლეულის რაოდენობა ნიადაგის გაუმჯობესებისა და დამუშავების გზით. სამრეწველო შრომა, ამრიგად, უკეთ უნდა ჯილდოვდებოდეს და შრომის ხელფასი და კაპიტალის მოგება უფრო დიდი უნდა იყოს ქალაქად, ვიდრე ამას ადგილი აქვს სოფლად. მაგრამ კაპიტალი და შრომა, რა თქმა უნდა, ეძებს ყველაზე უფრო ხელსაყრელ მოსაქმეობას. ამიტომ ერთი და მეორეც შეძლებისამებრ მიისწრაფის ქალაქისაკენ და სტოვებს სოფელს.

ქალაქის მცხოვრებთ, როგორც ერთ ადგილას არიან შეგროვილნი, ადვილად შეუძლიათ ერთმანეთთან მოლაპარაკება და შეთანხმების დადება. ამის გამო სრულიად უმნიშვნელო საქალაქო ხელობებიც კი თითქმის ყველგან გაერთიანდნენ ამქრებად; და იქაც კი, სადაც ისინი ამქრებად არ იყვნენ გაერთიანებული, მათ შორის უპირატესად ფეხმოკიდებული იყო ამქრული სული, სიძულვილი უცხოელების მიმართ, უნდობლობა შეგირდების აყვანის ან თავიანთი ხელობის საიდუმლოების გამხელისა, და ეს მათ უკარნახებდა ნებაყოფლობითი ორგანიზაციისა და შეთანხმების გზით აეცილებიათ თავიდან ის თავისუფალი კონკურენცია, რომლის აკრძალვაც მათ არ შეეძლოთ სათანადო ამქრული დადგენილების გამოცემის გზით. ხელობები, რომლებშიაც, მუშა-ხელის მცირე რიცხვი მოსაქმეობს, ყველაზე უფრო ადვილად ახერხებენ ასეთ შეთანხმებას. იქნებ ნახევარ დუჟინზე მეტი მატყლის მჩეჩავი არ იყოს საჭირო იმისათვის, რომ 1000 მრთველს და ფეიქარს მასალა მიაწოდოს. თუ ისინი შეთანხმდნენ იმაში, რომ შეგირდები არ აიყვანონ, მათ შეუძლიათ არა თუ უზრუნველჰყონ თავისთვის უხვი სამუშაო, არამედ აგრეთვე მრეწველობის მთელი ეს დარგები ჩააყენონ ერთგავრ მონურ დამოკიდებულებაში თავისგან და თავიანთი შრომის ფასი გაცილებით იმაზე მაღლა ასწიონ, რაც ამ შრომის ხასიათს შეესაბამება.

სოფლის მცხოვრებთ, რადგან სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ დაქსაქსულად, არ შეუძლიათ ადვილად ერთმანეთთან შეთანხმების დადგენა. ისინი არათუ არასოდეს არ ყოფილან ამქრებად გაერთიანებული, არამედ მათ შორის ამქრული სულაც არ ყოფილა უპირატესად ფეხმოკიდებული. არასოდეს არ მიუჩნევიათ საჭიროდ შეგირდობის დაწესება სასოფლო მეურნეობის – სოფლად მთავარი ხელობის – შესასწავლად. მაგრამ, თუ ეგრეთწოდებულ მხატვრულ ხელოვნებათა და თავისუფალ პროფესიებს არ ჩავთვლით, იქნებ არ არსებობდეს ხელობა, რომელიც მოითხოვს ესოდენ მრავალგვარ ცოდნასა და გამოცდილებას. წიგნების აურაცხელ

ტომებს, რომლებიც დაწერელია მის შესახებ ყველა ენაზე, შეუძლიათ დაგვიდასტურონ, რომ ყველაზე უფრო ბრძენ და სწავლულ ერებში სასოფლო მეურნეობას არასოდეს არ უცქეროდნენ როგორც ძალიან ადვილად შესათვისებელ მოსაქმეობას. და ჩვენ ამაოდ შევეცდებოდით ყველა ამ ტომებიდან მოგვეპოვებია ამ მეურნეობის მრავალფეროვანი და რთული მხარეების შესახებ ის ცოდნა, რომელიც უბრალო ფერმერსაც კი აქვს ყველგან, რაგინდ ცხვირაწევით ლაპარაკობდნენ მასზე ხანდახან ზოგიერთი იმ ტომების ქედმაღალი ავტორები. პირიქით, ძნელად თუ არსებობს ისეთი ჩვეულებრივი მექანიკური ხელობა, რომლის ყველა ოპერაციის გადმოცემა, დაწვრილებით და სრულიად ნათლად, არ შეიძლებოდეს რამდენიმე გვერდის შემცველ წიგნაკში, რამდენადაც ამის შესრულება შეიძლება სიტყვებით, რომლებსაც დართული აქვს ნახაზები. ხელოვნებათა და ხელობათა ისტორიაში, რომელიც ამჟამად გამოიცემა საფრანგეთის აკადემიის მიერ, ბევრი მათგანი სწორედ ასე არის ახსნილ-განმარტებული. გარდა ამისა, იმ ოპერაციების ხელმძღვანელობა, რომლებიც უნდა იცვლებოდეს დარის ყოველ ცვლილებასთან ერთად, აგრეთვე სხვა შემთხვევით გარემოებათა მიხედვით, გაცილებით უფრო მეტ საზრიანობასა და სიფრთხილეს მოითხოვს, ვიდრე ისეთი ოპერაციების ხელმძღვანელობა, რომლებიც მუდამ ერთი და იგივეა ან თითქმის ერთი და იგივეა.

არა თუ ფერმერის ხელობა, სასოფლო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა, არამედ სასოფლო შრომის ბევრი დაბალი დარგიც გაცილებით მეტ დახელოვნებასა და გამოცდილებას მოითხოვს, ვიდრე მექანიკურ ხელობათა უმრავლესობა. ადამიანი, რომელიც სპილენძის ან რკინის დამუშავებას ეწევა, ისეთი იარაღებით და ისეთ მასალაზე მუშაობს, რომლის თვისება მუდამ უცვლელი ან თითქმის უცვლელია. ის მშრომელი კი, რომელიც მიწას ხნავს შებმული ცხენებით ან ხარებით, მუშაობს ისეთი იარაღებით, რომელთა ჯანმრთელობა, ძალღონე და ტემპერამენტი სხვადასხვა შემთხვევაში ფრიად სხვადასხვა არის. იმ მასალის თვისებაც, რომელზედაც იგი მუშაობს, არა ნაკლებ ცვალებადია, ვიდრე იარაღებისა, რომლებითაც იგი მუშაობს, და ერთიც და მეორეც საზრიან და ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს, და უბრალო მხვინელ-მთესველს, თუმცა მას ჩვეულებრივ სიტუტუციისა და უვიციობის ნიმუშად სთვლიან, მეტწილ შემთხვევაში აქვს ასეთი საზრიანობა და სიფრთხილე. მართალია, იგი ნაკლებ არის ხალხში გამოსვლას შეჩვეული, ვიდრე ქალაქად მცხოვრები მექანიკური მუშები. მისი ხმა და ენა უფრო უხეში და უფრო ძნელად გასაგები არის იმისთვის, ვინც მას შეჩვეული არაა. მაგრამ მისი გულისხმიერება, რადგან იგი შეჩვეულია მრავალ სხვადასხვაფეროვან საგანზე დაკვირვებას, ჩვეულებრივ გაცილებით აღემატება იმ ადამიანებისას, რომელთა ყურადღება დილიდან საღამომდე ერთი ან ორი ფრიად მარტივი ოპერაციის შესრულებაზეა გაჩერებული. თუ რაოდენ ძალიან აღემატებიან ნამდვილად გონებრივის მხრივ ხალხის დაბალი ფენები სოფლად ქალაქის დაბიო მოსახლეობას, ეს კარგად იცის ყველამ, ვისაც საქმეებისა თუ ცნობისმოყვარეობის გამო დასჭირებია ხშირად საუბარი ერთთან და მეორეებთანაც. ამის გამო ჩინეთსა და ინდოსტანში, როგორც ამბობენ, სოფლების მუშების მდგომარეობა და მათი ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე მეტი წილი ხელოსნებისა და მანუფაქტურის მუშების მდგომარეობა და მათი ხელფასი. ასე იქნებოდა, ალბათ, ყველგან, ამას ხელს რომ არ უშლიდეს ამქრული კანონები და ამქრული სული.

უპირატესობა, რომელიც ქალაქურ მრეწველობას აქვს, მთელს ევროპაში სოფლის მეურნეობასთან შედარებით, აიხსნება არა მხოლოდ ამქრებით და ამქრული კანონებით. მას ამაგრებს მრავალი სხვა რეგლამენტაცია. იგივე მიზანი აქვს მაღალ

ბაჟებს, რომლებიც დაწესებულია უცხოურ მანუფაქტორულ საქონელზე და უცხოელი ვაჭრების მიერ შემოხიდულ ყველა პროდუქტზე საერთოდ. ამქრული კანონები საშუალებას აძლევს ქალაქის მცხოვრებთ თავიანთი ფასები მაღლა ასწიონ ისე, რომ მათი საკუთარი თანამემამულეების მხრივ თავისუფალი კონკურენციის შიში არ ჰქონდეთ. აღნიშნული ბაჟები უზრუნველყოფს მათ აგრეთვე უცხოელთა კონკურენციისგან. ფასების აწევა, ამ ორო მიზეზით გამოწვეული, ბოლოს და ბოლოს უნდა გადაიხადონ მემამულეებმა, ფერმერებმა და სოფლის მუშებმა, რომელნიც იშვიათად უწევდნენ წინააღმდეგობას ასეთი მონოპოლიის დაწესებას. მათ არა აქვთ მიდრეკილება, არც მოხერხება კავშირის შესადგენად და ვაჭრებისა და მემანუფაქტურების ყვირილს და სოფისტურ საბუთებს ისინი ადვილად დაარწმუნებდნენ ხოლმე თავს, რომ საზოგადოების ნაწილის – და ამასთან უმნიშვნელო ნაწილის – ინტერესი მთელის საერთო ინტერესს წარმოადგენს.

დიდ ბრიტანეთში ქალაქური მრეწველობის უპირატესობა სასოფლო მეურნეობასთან შედარებით წინათ უფრო დიდი უნდა ყოფილიყოს, ვიდრე დღეს არის. შრომის ხელფასი სოფლად ახლა უფრო უახლოვდება სამრეწველო შრომის ხელფასს და კაპიტალის მოგება სასოფლო მეურნეობაში უფრო უახლოვდება სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის მოგებას, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა, როგორც გადმოგვცემენ, წარსულ საუკუნეში ან მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. ეს ცვლილება უნდა ჩაითვალოს აუცილებელ, თუმცა ძალიან დაგვიანებულ შედეგად იმ არაჩვეულებრივი მფარველობისა, რომელსაც უწევდნენ ქალაქურ მრეწველობას. ქალაქებში დაგროვილი კაპიტალი ბოლოს და ბოლოს ისე დიდი ხდება, რომ უკვე აღარ შეიძლება წინანდელი მოგებით მისი გამოყენება მრეწველობის იმ დარგებში, რომელნიც საკუთრივ მის ასპარეზს წარმოადგენენ. ასეთ დარგებს თავისი საზღვერი აქვს ისე როგორც სხვებს. და კაპიტალის ზრდა, აღიდებს რა კონკურენციას, ამცირებს აუცილებლობის გზით მოგებას. ქალაქში მოგების დაწევა აიძულებს მოგებას სოფელში გადავიდეს, სადაც იგი ახალ მოთხვნას ქმნის სოფლის შრომისათვის და მით აუცილებლად მაღლა სწევს ამ შრომის ხელფასს. და შემდეგ კაპიტალი, თუ შეიძლება, ნაკადად მოედება საერთოდ სოფელ ადგილებს და მიწათმოქმედებაში დაბანდების გზით ნაწილობრივ მკვიდრდება სოფელში, რომლის ხარჯზეაც იგი თავდაპირველად ქალაქში იქნა მასობრივად დაგროვილი. შემდგომ მე ვეცდები დავანახვო მკითხველს, რომ ყველგან ევროპაში ყველა უდიდესი გაუმჯობესება სოფლის მეურნეობაში და მისი წარმატება გამოწვეული იყო კაპიტალის ნიაღვრისებური მოდებით, რომელი კაპიტალიც თავდაპირველად ქალაქებში იქნა დაგროვილი. იმავდროულად მე ვეცდები დავანახვო, რომ თუნცა ზოგმა ქვეყანამ ამ გზით მნიშვნელოვანი ზომის სიმდიდრეს მიაღწია. ასეთი განვითარება მაინც თავისთავად აუცილებლად ნელია, არასაიმედოა, ექვემდებარება მის შემფერხებელ და შემწყვეტ ურიცხვ შემთხვევითობას და ყოველი მხრით ეწინააღმდეგება ბუნებრივ და გონივრულ წესს. ამ გამოკვლევის მესამე და მეთხე წიგნში მე ვეცდები შეძლებისამებრ სრულად და ნათლად გავარკვიო ის ინტერესები, ცრუაზრები, კანონები და ჩვეულებანი, რომელთაც გამოიწვიეს ასეთი გარემოება.

ერთი და იმავე სავაჭრო-სამრეწველო დარგის ადამიანები იშვიათად შეიკრიბებიან ერთად, გასართობად და დროს გასატარებლადაც კი, უიმისოდ, რომ მათი ბაასი არ დამთავრდეს შეთქმულებით საზოგადოების წინააღმდეგ ანუ რაიმე გეგმით ფასების ასაწევად. მართალია, შეუძლებელია ასეთი კრებების აკრძალვა რაიმე კანონის საშუალებით, რომლის არც ცხოვრებაში გატარება და არც თავისუფლებასა და სამართლიანობასთან შეთავსება შესაძლებელი არ იქნებოდა.

მაგრამ თუ კანონს არ შეუძლია ერთი და იმავე სავაჭრო-სამრეწველო დარგის ადამიანებს დაუშალოს დროგამოშვებით ერთად შეიკრიბნონ, იგი ყოველ შემთხვევაში არაფერს არ უნდა აკეთებდეს ასეთი კრებების გასაადვილებლად, და კიდევ უფრო ნაკლებს აკეთებდეს იმისათვის, რომ ასეთი კრებები აუცილებელი გახადოს.

დადგენილება, რომელიც ვალდებულად ხდის ყველა იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ერთსა და იმავე სავაჭრო-სამრეწველო დარგს ქალაქში, თავიანთი სახელებისა და ბინების მისამართით საჯარო რეგისტრში შეიტანონ, აადვილებს კრებებს. იგი აახლოებს ერთმანეთთან ადამიანებს, რომელთაც უამისოდ, იქნებ, ვერასოდეს ვერ გაეცნოთ ერთმანეთი, და თითოეულ მათგანს მიუთითებს, თუ სად შეუძლია მას ჰპოვოს თავისი თანამოხელენი.

დადგენილება, რომელიც ერთსა და იმავე სავაჭრო-სამრეწველო დარგში მოსაქმე პირი უფლებას აძლევს თავი დაიხვეწოს მათი ღარიბი და ავადმყოფი წევრების, ქვრივებისა და ობლების უზრუნველსაყოფად, აუცილებელს ხდის ასეთ კრებებს რამდენადაც ქმნის საერთო საქმეს მათი მონაწილეობისათვის.

ამქრული კორპორაცია არა თუ აუცილებელს ხდის ასეთ კრებებს, არამედ უმრავლესობის გადაწყვეტილებასაც სავალდებულოდ ხდის მთელი კორპორაციისათვის. თავისუფალ ვაჭრობაში და თავისუფალ ხელობაში ნამდვილი შეთანხმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ყველა წევრთა ერთმხრივი თანხმობით და იგი გაგრძელდება მხოლოდ მანამდე, სანამ ყველა წევრი მიღებულ აზრს ადგანან. ამქრული კორპორაციის უმრავლესობას კი შეუძლია სავალდებულო დადგენილება გამოსცეს სათანადო სასჯელით მისი დარღვევისათვის, და ამასთან ეს დადგენილება კონკურენციას ზღუდავს უფრო ეფექტურად და ხანგრძლივად, ვიდრე რომელიმე ნებაყოფილებითი შეთანხმება.

ის აზრი, რომე ამქრული კორპორაცია ვაჭრობა-მრეწველობის უკეთ გამგებლობისათვის აუცილებელი არისო, სრულიად მოკლებულია საფუძველს, წესრიგიანობას აიძულებს მშრომელს, არა ამქარი, არამედ მისი მუშტარი. მუშტარის დაკარგვის შიშია ის, რაც მოსაქმეს აკავებს, რომ მოტყუება და დაუდევრობა გასწიოს. მონოპოლიით აღჭურვილი ამქარი აუცილებლად ასუსტებს ამ წესრიგიანობას. ამქრული წყობილების არსებობისას მშრომელთა განსაზღვრული მასა უნდა მოსაქმობდეს, იმისაგან დამოუკიდებლად, კარგად მუშაობენ თუ ცუდად. სწორედ ამ მიზეზითაა, რომ ბევრ დიდ ქალაქში, სადაც ამქრული წყობილება არის, რაოდენადმე ვარგის მომუშავეს ადამიანი ვერ იპოვის უაღრესად საჭირო ხელობაშიც კი. თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი დაკვეთა ხეირიანად იქნეს შესრულებული, იგი უნდა გააკეთებინოთ ქალაქის გარეუბანში, სადაც ხელობებში მოსაქმენი, რადგან მათ განსაკუთრებული პრივილეგია არა აქვთ, თავიანთ სახელზე არიან დამოკიდებული, და შერმდეგ ეს თქვენი დანაკვეთი რაიმე გზით კონტრაბანდად უნდა შეიტანოთ ქალაქში.

ამრიგად, ევროპის სამეურნეო პოლიტიკა, ვინაიდან იგი ზოგ პროფესიებში კონკურენციას ზღუდავს ადამიანთა ნაკლები რიცხვით, ვიდრე უამისოდ იქნებოდა მათში შესვლის მსურველთა რიცხვი, ჰქმნის ფრიად მნიშვნელოვან უთანასწორობას შრომის და კაპიტალის სხვადასხვა გამოყენების ხელსაყრელობისა და არახელსაყრელობის საერთო ჯამში.

2. ევროპის სამეურნეო პოლიტიკა მით, რომ ზოგ პროფესიებში კონკურენციას აძლირებს იმ ზომასთან შედარებით, რომელიც მას ექნებოდა ბუნებრივი პირობების არსებობისას, ჰქმნის მეორე_საწინააღმდეგო თვისების- უთანასწორობას შრომის და

კაპიტალის სხვადასხვა გამოყენების ხელსაყრელობისა და არახელსაყრელობის საერთო ჯამში.

მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ განსაზღვრული პროფესიებისათვის მომზადებულიყო ახალგაზრდათა საკმაო რიცხვი, და ამ მიზნისათვის სახელმწიფო და ზოგჯერ კერძო ქველმოქმედნიც აარსებდნენ სპეციალურ პენსიებს, სასწავლო შესაწევარს, სტიპენდიებს და სხვ., რაც იმ პროფესიებისკენ იზიდავდა გაცილებით მეტ რიცხვს ადამიანთა, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა ასეთ ღონისძიებათა მიუღებლად, ყველა ქრისტიან ქვეყანაში, მე მგონია, მეტწილად საეკლესიო პირთა სწავლების ხარჯები სწორედ ამ წესით გადაიხდებოდა. მათგან ძალიან მცირეოდენი იზრდება თავის საკუთარ ზარჯზე. ამის გამო იმათ, რომელნიც საკუთარ ხარჯზე იზრდებიან, ხანგრძლივი, ძნელი და ძვირად ღირებული მომზადება ყოველთვის არ უზრუნველყოფს ჯეროვან გასამრჯელოს. ვინაიდან ეკლესია ზომაზე მეტად გავსებულია ადამიანებით, რომელნიც, რათა რაიმე ადგილი მიიღონ, მზად არიან გაცილებით იმაზე ნაკლებ გასამრჯელოს დათანხმდნენ, რისი მიღების უფლებასაც მათ მისცემდა სხვა პირობებში მათი ამგვარი მომზადება; ამრიგად, ღარიბების კონკურენცია გასამრჯელოს ართმევს მდიდრებს. უეჭველია, არასაკადრისი იქნებოდა ცამრევლო მღვდლის ან კაპელანის შედარება რომელიმე ხელობის ქარგალთან. მაგრამ სამრევლო მღვდლის და კაპელანის ჯამაგირი ჩვენ სრულის უფლებით შეგვიძლია იმავე ხასიათის სასყიდლად ჩავთვალოთ, როგორც არის ქარგლის ხელფასი. ისინი ყველანი სასყიდელს იღებენ მათი შრომისათვის ხელშეკრებულობის თანახმად, რომელიც მათ თავიანთ სათანადო უფროსებთან დასდეს. მე-XIV საუკუნის შუამდე 5 ვერცხლის მარკა, რომელიც დაახლოებით იმდენ ვერცხლს შეიცავდა, რამდენსაც 1- გირვანქა ახლანდელი ჩვენი ფული, შეადგენდა ინგლისში სამრევლო მღვდლის ან მისი მოადგილის ჩვეულებრივ ჯამაგირს, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ სხვადასხვა ეროვნული კონვენტების დადგენილებებში, იმ ხანაში 4 პენსი, რომელიც იმდენ ვერცხლს შეიცავდა, რამდენსაც ახლანდელი ჩვენი ფულის ერთი შილინგი, დაწესებული იყო ოსტატი-კალატოზის დღიურ ხელფასად, და 3 პენსი, ე. ი. 9 პენსი ახლანდელი ჩვენი ფულით,-კალატოზის ქარგლის დღიურ ხელფასად.¹ ამრიგად, ამ ხელოსნების ხელფასი თუ ვიგულისხმებთ, რომ მათ სამუშაო ყოველთვის ჰქონდათ, გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ახლანდელი ჩვენი სამრევლო მღვდლის ჯამაგირი. იმ შემთხვევაში, თუ ოსტატა-კალატოზს სამუშაო არ ჰქონდა წლის ერთი მესამედის განმავლობაში, მისი ხელფასი უდრიდა მღვდლის ჯამაგირს. დედოფალი ანნას მეფობის მე-12 წელს გამოცემული კანონით (თავი 12) გამოცხადებული იქნა, რომ “ვინაიდან, მღვდლების არასაკმაო შესანახისა და გასამრჯელოს გამო, სამრევლოები ბევრ ადგილას უმღვდელოდ არიან დარჩენილი, ეპისკოპოსუფლება ეძლევა, თავისი ხელმოწერით და ბეჭდის დასმით, დააწესოს საკმარისი სტიპენდია ანუ ჯამაგირი არა უმეტეს 50-ის და არა ნაკლებ 20 გირვანქისა წელიწადში”. 40 გირვანქა წელიწადში ამჟამად ითვლება კარგ ჯამაგირად სამრევლო მღვდლისათვის და აღნიშნული საპარლამენტო აქტის მიუხედავად, არსებობს კიდევ ბევრი სამრევლო, სადაც ეს ჯამაგირი 20 გირვანქაზე ნაკლებია წელიწადში. ლონდონში მოიპოვებიან ქარგალი-მეჩქმეები, რომელნიც წლიურად 40 გირვანქას შოულობენ და ამ დედაქალაქში ძნელად რომ მოიპოვებოდეს რომელსამე პროფესიაში მუყაითი მომუშავე ისეთი, რომელიც 20 გირვანქაზე მეტს არ შოულობდეს წელიწადში. ეს

¹ იხ. ელჟარდ III-ის მეფობის მე-15 წელს გამოცემული დებულება მუშების შესახებ.

უკანასკნელი თანხა ნამდვილად არ აღემატება იმას, რასაც ხშირად უბრალო შავი მუშა შოულობს ბევრ სოფლის სამრეველოში. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი ცდილობდა მუშების ხელფასის მოწესრიგებას, ეს ხდებოდა მისი შემცირების მიზნით უფრო, ვიდრე გადიდების მიზნით. სამრეველო მღვდლების შესახებ კი კანონს არაერთხელ უცდია მათი ჯამაგირის გადიდება და ეკლესიის ღირსების გულისთვის, დაუვალვებია სამრეველო რექტორებისათვის, რომ მათ მღვდლებისთვის რაოდენადმე იმ გლახაკურ შესანახზე მეტი მიეცათ, რაზედაც ეს უკანასკნელი თვითონ, იქნებ, თანხმდებოდნენ. მაგრამ, როგორც ეტყობა, კანონმა ორსავე შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწია, - მან ვერ შესძლო ვერც სამრეველო მღვდლების ჯამაგირის აწევა განზრახულ დონემდე, ვერც მუშების ხელფასის დაწევა ასევე განზრახულ დონემდე; ეს მოხდა იმიტომ, რომ კანონს არ შეეძლო პირველებისათვის ხელი შეეშალა დაწესებულზე ნაკლებ გასამრჯელოს დასჯერებოდნენ, მათი გაჭირვებული მდგომარეობისა და მათ შორის დიდი კონკურენციის არსებობის გამო და ასევე არ შეეძლო მეორეებისათვის ხელი შეეშალა დაწესებულზე მეტი აეღოთ, როდესაც საწინააღმდეგო კონკურენციას ჰქონდა ადგილი იმ პირთ შორის, რომელნიც მოელოდნენ, რომ მათი დაქირავების გზით მოგებას ან სიამოვნებას მოიპოვებდნენ. დიდი საეკლესიო საადგილმამულო შემოსავალი და სხვაგვარი წარჩინება იცავს ეკლესიის ღირსებას, მიუხედავად ზოგ მის დაბალ წევრთა უმწეო მდგომარეობისა. აგრეთვე ის პატივისცემა, რომლითაც სარგებლობს ეს პროფესია, წარმოადგენს ერთგვარ კომპენსაციას მათი მცირე ფულადი გასამრჯელოსათვის. ინგლისში და ყველა კათოლიკურ ქვეყანაში სამსახურის ხელსაყრელობა სინამდვილეში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე საჭირო არის. შოტლანდიის, ჟენევისა და ზოგიერთი სხვა პროტესტანტული ეკლესიის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ასეთი პატივისცემით აღჭურვილი პროფესია, რომლისადმი მომზადება ესოდენ ადვილი შესაძენი არის, გაცილებით ნაკლები საეკლესიო საადგილმამულო შემოსავლის პერსპექტივის შემთხვევაშიც კი მიიზიდავდა ამ წმინდა წრეში განათლებულ, ზრდილ და პატივცემულ ადამიანთა საკმაო რიცხვს.

იმ პროფესიებისათვისაც რომელთაც არა აქვთ სპეციალური საადგილმამულო შემოსავალი, როგორცაა, მაგალითად, იურისპრუდენცია და მკურნალობა, ადამიანთა ამდენსავე რაოდენობას რომ ამზადებდნენ საზოგადოების ხარჯზე, კონკურენცია მალე ისე დიდი გახდებოდა, რომ შრომის ფულადი გასამრჯელო მნიშვნელოვნად დაიწევდა. ამ შემთხვევაში არავის ხელს არ მისცემდა თავისი შვილი ამ პროფესიებისათვის თავის ხარჯზე აღეზარდა. ეს პროფესიები მთლად იმათ დარჩებოდათ, რომელნიც საზოგადოებრივი საქველმოქმედო დაქსებულებისხარჯზე აღიზრდებოდნენ და რომელიც მათი სიმრავლე და სიღარიბე აიძულებდა ფრიად მცირე გასამრჯელოს დასჯერებოდნენ, ხოლო ეს გამოიწვევდა იურისტებისა და ექიმების ესოდენ პატივცემული პროფესიების სრულს დაცემას.

ის უბედური მოდგმა ადამიანთა, რომელთაც ჩვეულებრივ სცავლულებს და მცერლებს უწოდებენ, დაახლოებით იმავე მდგომარეობაში იმყოფება, რომელშიაც, ალბათ, იქნებოდნენ იურისტები და ექიმები, ზემოაღნიშნულ პირობას რომ ადგილი ჰქონებოდა, ყველგან ევროპაში მათი უმრავლესობა საეკლესიო სამსახურისათვის ემზადებოდა, მაგრამ სხვადასხვა გარემოებამ ხელი შეუშალა სასულიერო პირთა წრეში შესულიყო. მათ, მაშასადამე, საერთოდ საზოგადოების ხარჯზე აქვთ სქავლა მიღებული, და ყველგან მათი რიცხვი ისე დიდია, რომ მათი შრომის ფასი უაღრეს ლატაკურ გასამრჯელოს დონეზეა დასული.

წიგნის ბეჭდვის ხელოვნების გამოგონებამდე სწავლულს და მწერალს მხოლოდ ერთ მოსაქმეობაში შეეძლო თავისი ცოდნის გამოყენება, -საჯარო ან კერძო მასწავლებლის მოსაქმეობაში, ე. ი. იმაში, რომ სხვა ადამიანებს გადასცემდა ხოლმე იმ საინტერესო და სასარგებლო ცნობებს, რომლებიც მას ჰქონდა შემენილი; და ეს, უეჭველად, უფრო საპატიო, უფრო სასარგებლო მოსაქმეობაა და, საერთო წესით, უფრო ხელსაყრელიც, ვიდრე წიგნების გამომცემლობისათვის წერა, რაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა წიგნის ბეჭდვის გაჩენის შემდეგ, დრო, სწავლა, უნარი, ცოდნა და მუყაითობა, რომელიც საჭიროა, რათა ადამიანი ჩინებული სამეცნიერო მასწავლებელი გახდეს, ყოველ შემთხვევაში იმაზე ნაკლები არ არის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანი გახდეს უდიდესი პრაქტიკოსი იურისპრუდენციასა და სამკურნალო მეცნიერებაში. მაგრამ გამოჩენილი მასწავლებლის ჩვეულებრივი გასამრჯელო სრულიად არ შეესაბამება იურისტის ან ექიმის გასამრჯელოს; აიხსნება ეს მით, რომ პირველის პროფესია გავსებულია ხელმოკლე ადამიანებით, რომელთაც საზოგადოების ხარჯზე აქვთ სწავლა განათლება მიღებული, მაშინ როდესაც უკანასკნელთა პროფესიაში ცოტად მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც საკუთარ ხარჯზე არ იყვნენ აღზრდილნი. ხოლო რაგინდ მცირედ გვეჩვენებოდეს საჯარო და კერძო მასწავლებელთა გასამრჯელო, იგი, უეჭველად, კიდევ ნაკლები იქნებოდა, ბაზარს რომ მოცილებული არ ჰქონდეს კონკურენცია იმ-კიდევ უფრო ხელმოკლე-განათლებულ ადამიანთა, რომელნიც ლუკმა პურისთვის სწერენ. წიგნის ბეჭდვის გამოგონებამდე სიტყვები: სტუდენტი და მათხოვარი, როგორც სჩანს, თითქმის სინონიმები იყო. იმ ხანაში უნივერსიტეტების სხვადასხვა რექტორები, როგორც ეტყობა, ხშირად აძლევდნენ თავიანთ სტუდენტებს ნებართვის მოწმობებს სამათხოვროდ.

ძველს დროში, როდესაც ამგვარი საქველმოქმედო ფონდები ჯერ კიდევ არ იყო დაწესებული ხელმოკლე ადამიანთა აღსაზრდელად სამეცნიერო პროფესიებისათვის, გამოჩენილ მასწავლებელთა გასამრჯელო, ეტყობა, გაცილებით უფრო დიდი იყო. იზოკრატე თავის ეგრეთჭოდებულ დიალოგში სოფისტების წინააღმდეგ თავისი დროის მასწავლებლებს უსაყვედურებს შემდეგ წინაარმდეგობას. "ისინი-ამბობს, იგი-უაღრეს ბრწყინვალე დაპირებებს აძლევენ თავიანთ მოწაფეებს და კისრულობენ ასწავლონ მათ გახდნენ ბრძენნი, ბედნიერნი და სამართლიანნი, და ესოდენ მნიშვნელოვანი სამსახურისათვის კი მოითხოვენ დატაკურ გასამრჯელოს ოთხი თუ ხუთი მინის რაოდენობით. ვინც-განაგრძობს იგი-სხვას სიბრძნეს ასწავლის, ის, უეჭველად, თვითონ უნდა იყოს ბრძენი, ხოლო ვინმემ სხვამ რომ ასეთ ფასში გაჰყიდოს ასეთი სამსახური, ამას უცილებელ სიტუტუცედ ჩასთვლიდნენ." იზოკრატეს აქ, რასაკვირველია, არა აქვს განზრახვა გააზვიადოს ჩვეულებრივი გასამრჯელო, და ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს გასამრჯელო იმაზე ნაკლები არ იყო, რასაც იგი აღნიშნავს. ოთხი მინი ეთანასწორებოდა 13 გირვ. სტერლ. 6 შილ. და 5 პენსს, ხოლო ხუთი მინი-16 გირვ. სტერლ. 13 შილ. და 4 პენსს. მამასადამე, გამოჩენილ მასწავლებლებს ათინაში მაშინ სასყიდლად აძლევდნენ თანხას, რომელიც ნაკლები არ იყო აქ აღნიშნულ უდიდეს თანხაზე. თვითონ იზოკრატე მოითხოვდა თითოეული მოწაფისგან ათ მინს, ანუ 38 გირვ. სტერლ. 6 შილ. და 8 პენსს. როდესაც იგი ათინაში მასცავლებლობდა, მას, როგორც გადმოგცემენ, 100 მოწაფე ჰყავდა. მე მგონია, ასეთი იყო რიცხვი მოწაფეთა, რომელთაც იგი იმავდროულად ასწავლიდა, ანუ რომელნიც ისმენდნენ იმას, რასაც ჩვენ ამჟამად ლექციების კურსს ვუწოდებდით; ეს რიცხვი არ გვეჩვენება უჩვეულო დიდად, თუ მხედველობაში მივიღებთ დიდ ქალაქს და ესოდენ გამოჩენილ

მასწავლებელს, რომელიც ამასთან ისეთ მეცნიერებას ასწავლიდა, რაც მაშინ ყველაზე უფრო მოდაში იყო, სახელდობრ რიტორიკას. ამრიგად, ლექციების თითოეულ კურსში მას უნდა აელო ათასი მინი ანუ 3333 გირვ. სტერლ. 6 შილ. და 8 პენსი. ასევე ამის თანახმად პლუტარხს მეორე ადგილას აღნიშნული აქვს, რომ იზოკრატეს დიდაქტორნი ანუ სასყიდელი სწავლების კურსისათვის შეადგენდა ათას მინს, ბევრ სხვა გამოჩენილ მასწავლებელს იმ ხანებში დიდი ქონება უნდა ჰქონოდას შემენილი. გორგიასმა დელფის ტაძარს ძღვნად მიართვა თავისი საკუთარი ქანდაკება, წმინდა ოქროსგან ჩამოსხმული. ჩვენ არ უნდა ვიგულისხმოთ, მე მგონია, რომ ეს ქანდაკება ნატურალური სიდიდისა იყო. მისი ცხოვრების წესს, ისე როგორც ჰიპიასის და პროთაგორასის, იმდროინდელი ორი სხვა გამოჩენილი მასწავლებლის, ცხოვრების წესს პლატონი წარმოგვიდგენს როგორც ბრწყინვალეს, რომელიც მედიდურობამდეც კი აღწევდა. თვითონ პლატონიც, როგორც გადმოგვცემენ, საკმაო ფუფუნებაში ცხოვრობდა. არისტოტელმა, როდესაც ალექსანდრეს სწავლება დაამთავრა და, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, ფრიად უხვი გასამრჯელო მიიღო ალექსანდრესგან და მისი მამის ფილიპესგან, მაინც გარჯის ღირსად ჩასთვალა ათინაში დაბრუნებულიყო და სწავლება განეხლებია თავის სკოლაში. მეცნიერების მასწავლებლები იმ დროს, ალბათ, ისე მრავალრიცხოვანნი არ იყვნენ, როგორც ასი ან ორასი წლის შემდეგ, როდესაც კონკურენციამ, როგორც ეტყობა, რაოდენადმე დაბლა დასწია მათი შრომის ფასი და შეამცირა თაყვანისცემა მათი პიროვნების მიმართ, მაგრამ, როგორც სჩანს, მათ შორის უფრო სახელოვანნი ყოველთვის ბევრად უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობდნენ, ვიდრე მსგავსი პროფესიის რომელიმე წარმომადგენელი ამჟამად. აკადემიკოსი კარვანდე და სტოიკოსი დიოგენი ათინელებმა საზეიმო ელჩებად გაგზავნეს რომში; თუმცა მათ ქალაქს მაშინ უკვე აღარ ჰქონდა წინანდელი დიდება, მაგრამ იგი მაინც ჯერ კიდევ დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი რესპუბლიკა იყო. ამასთან კარვანდე დაბადებით ბაბილონელი იყო, და რადგან არც ერთ ხალხს არ ჰქონებია ისე მცირე მიდრეკილება, როგორც ათონელებს, მიეკუთვნებია უცხოელისათვის საზოგადოებრივი თანამდებობა, -სჩანს, მათი პატივისცემა კარვანდეს მიმართ ფრიად დიდი ყოფილა.

ასეთი უთანასწორობა საბოლოო ანგარიშით იქნებ უფრო სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, ვიდრე საზიანო, იგი, შესაძლებელია, რაოდენადმე დაბლა სწევს საჯარო მასწავლებლის პროფესიას, მაგრამ მეცნიერული განათლების სიაფე, უეჭველია, ისეთ უპირატესობას წარმოადგენს, რომელიც უხვად ასწორებს იმ პატარა უარყოფით გარემოებას. და ამასთან მოსახლეობას აქედან მეტი სარგებლობა ექნებოდა, ისკოლები და კოლეჯები, რომლებშიც სწავლება სწარმოებს, უფრო გონივრულად რომ იყოს მოწყობილი, ვიდრე ვამჟამად არის მეტწილად ევროპაში.

3. ევროპის სამეურნეო პოლიტიკა, აბრკოლებს რა შრომისა და კაპიტალის თავისუფალ გადასვლას გამოყენების ერთი დარგიდან მეორე დარგში და ერთი ადგილიდან მეორეში, წარმოშობს ზოგ შემთხვევაში ფრიად მავნებელ უთანასწოებას შრომისა და კაპიტალის სხვადასხვა გამოყენების ხელსაყრელობისა თუ არახელსაყრელობის საერთო ჯამში.

შეგირდობის შესახები კანონი აბრკოლებს შრომის თავისუფალ გადასვლას ერთი მოსაქმეობიდან მეორეში ერთსა და იმსვრადგილასაც კი. განსაკუთრებული საამქრო პრივილეგიები აბრკოლებს ამ გადასვლას ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ერთსა და იმავე პროფესიაშიც კი.

ხშირად მოხდება, რომ როდესაც ერთ წარმოებაში მუშებს მაღალი ხელფასი ეძლევათ, მეორე წარმოების მუშები იძულებული არიან მარტოდენ თავის სარჩენად

საკმარისის აღებას დასჯერდნენ. პირველი წარმოება ვითარდება და ამიტომ იქ ყოველთვის არსებობს დამატებითი მუშახელის მოთხოვნა; მეორე იმყოფება დაცემის პროცესში. და ამიტომ ზედმეტი მუშა-ხელის რიცხვი იქ განუწყვეტლივ იზრდება. ეს ორი წარმოება შეიძლება ზოგჯერ იყოს ერთსა და იმავე ოლქში, მაგრამ მათ სულ მცირედი დახმარებაც კი არ შეუძლიათ ერთმანეთისათვის. ერთ შემთხვევაში ამას ხელს უშლის შეგირდობის შესახები კანონი, მეორე შემთხვევაში_როგორც ეს კანონი, ისე ამქრული კარჩაკეტილობა. ხოლო მრავალ სხვადასხვა წარმოებაში იმდენად მსგავსი ოპერაციებია, რომ მუშები ადვილად შესძლებდნენ ერთი მოსაქმეობიდან მეორეზე გადასვლას, ამას რომ ის უაზრო კანონი არ აბრკოლებდეს. მაგალითად, სადა ტილოს მქსოველის და სადა აბრეშუმის მქსოველის ხელობა თითქმის სრულებით არ განსხვავდება ერთი მეორისაგან; სადა შალეულის ქსოვა რაოდენადმე სხვაგვარია; მაგრამ განსხვავება ისე უმნიშვნელოა, რომ ტილოს ან აბრეშუმის მქსოველს სულ რამდენსამე დღეში შეუძლია გახდეს გვარიანი მომუშავე ამ წარმოებაშიც.თუ, ამრიგად, ამ სამი მთავარი ხელობიდან ერთ-ერთი დაცემის პროცესში იქნებოდა, მუშები ადვილად ჰპოვებდნენ საარსებო წყაროს ერთ-ერთში იმ დანარჩენი. ორიდან, რომლებსაც უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა აქვთ, და მათი ხელფასი ნამეტნავად მაღლა არ აიწევა და წარმატების გზაზე მყოფ წარმოებაში და არც ნამეტნავად დაბლა დაეცემოდა იმ წარმოებაში, რომელიც დაცემის პროცესში იმყოფება. მართალია, ტილოს წარმოება ინგლისში, განსაკუთრებული სტატუსის საფუძვლით, ღიაა ყველასთვის, მაგრამ რადგან იგი ნაკლებ გავრცელებულია ქვეყნის უდიდეს ნაწილში, მას არ შეუძლია საარსებო წყაროდ გახდეს სხვა_დაცემის პროცესში მყოფ წარმოებათა მუშებისათვის; ამიტომ ყველგან, სადაც ადგილი აქვს შეგირდობის შესახებ კანონს, ამ მუშებს სხვა არჩევანი არა აქვთ გარდა იმისა, რომ ან სამრევლოს დააწვინენ შესანახად, ანდა უბრალო შავი მუშების სამუშაოს დაადგინენ, რისთვისაც ისინი, მატ მიერ შეთვისებული ჩვეულების მიზეზით, ნაკლებ გამოსადეგნი არიან, ვიდრე ამა თუ იმ ხელობისათვის, რომელიც რაოდენადმე ემსგავსება საკუთარ ხელობას. ამის გამო ისინი ჩვეულებრივ რჩევობენ სამრევლოს მიმართონ დახმარებისათვის.

მაგრამ ის, რაც აბრკოლებს შრომის თავისუფალ გადასვლას ერთი მოსაქმეობიდან მეორეში, აბრკოლებს აგრეთვე კაპიტალის ასეთ გადასვლასაც, ვინაიდან იმ კაპიტალის სიდიდე, რომელიც შესაძლებელია დაბანდებულია იქნეს მრეწველობის ამა თუ იმ დარგში, ძალიან დამოკიდებულია შრომის რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ დარგში, მაგრამ ამქრული კანონები ნაკლებ უსლის ხელს კაპიტალის გადანაცვლებას ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, ვიდრე შრომის გადანაცვლებას; ყველგან მდიდარ ვაჭარს გაცილებით უფრო ადვილად შეუძლია მოიპოვოს ვაჭრის უფლება ამქრული წყობილების მქონე ქალაქში, ვიდრე ღარიბ ხელოსანს ძალუძს მიიღოს იქ მუშაობის უფლება.

ამქრული კანონების გზით შექმნილ დაბრკოლებას შრომის თავისუფალი გადასვლა-გადმოსვლისათვის, მე მგონია, ადგილი აქვს ევროპის ყველა ნაწილში. მაგრამ ის დაბრკოლება, რომელსაც ამ მიმართულებით ჰქმნის ღარიბთა შესახები კანონები, რამდენადაც მე ვუწყი, მხოლოდ ინგლისის თავისებურებას შეადგენს. ეს დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ღარიბ ადამიანს გამწელებული აქვს ბინადრობის უფლების მოპოვება ან თუნდ მარტოოდენ თავის ხელობაზე მუშაობის ნებართვის მიღებაც სადმე სამრევლოში, თუ არ იმაში, რომელსაც იგი ეკუთვნის. ამქრული კანონები მხოლოდ ხელოსნებისა და სამანუფაქტურო მუშების შრომის თავისუფალ გადასვლა-გადმოსვლას აბრკოლებს, მაშინ როდესაც ბინადრობის

მოპოვების გაძნელება აბრკოლებს უბრალო შრომის გადასვლა-გადმოსვლასაც კი. ვფიქრობთ, ზედმეტი არ უნდა იქნეს მოკლე მიმოხილვა ამ ბოროტების წარმოშობის, გაძლიერებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ბოროტების, რაც, იქნებ, უდიდესია ყველა იმათგან, რომლებიც შეუქმნია ინგლისში სახელმწიფოს პოლიტიკას.

როდესაც, მონასტრების გაუქმების გამო, ღარიბებს მოესპოთ საქველმოქმედო დახმარება ამ რელიგიურ დაწესებულებათა მხრივ, მათ დასახმარებლად გაწეული მთელი რიგი უნაყოფო ცდების შემდეგ, ელისაბედის მეფობის მე-43 გამოცემული კანონით (თავი 2) დადგენილ იქნა, რომ თითოეულ სამრევლოს ეზრუნა თავისი ღარიბებისათვის და რომ ყოველწლიურად დანიშნული ყოფილიყვნენ ღარიბების მზრუნველები, რომელთაც საეკლესიო ზედამხედველებთან ერთად უნდა მოეკრიფათ სამრევლოს დაბეგვრის გზით ამ მიზნისათვის საჭირო თანხები.

ამ კანონით თითოეულ სამრევლოს აუცილებელ მოვალეობად ჰქონდა დაკისრებული თავისი ღარიბებისათვის ზრუნვა. ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი შეიქმნა ის, თუ ვინ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სამრევლოს ღარიბად ჩათვლილი. ეს საკითხი, სხვადასხვა განმარტების შემდეგ, დაბოლოს გადასწყვიტა, კარლოს II-ის მეფობის მე-13 და მე-14 წელს გამოცემულმა კანონმა, რომელმაც დაადგინა, რომ 40 დღის განმავლობაში დაუბრკოლებლად ცხოვრება ამა თუ იმ სამრევლოში აძლევდა სათანადო პირს უფლებას იქ ბინადრობისას; მაგრამ ამ ვადის განმავლობაში კი ორ მომრიგებელ მოსამართლეს უფლება ჰქონდათ, საეკლესიო ზედამხედველობის ან ღარიბთა მზრუნველობის საჩივრის საფუძველით, ყოველი ახალი მცხოვრები გადაესახლებიათ იმ სამრევლოში, სადაც იგი უკანასკნელად იყო კანონიერად დასახლებული, უკეთეს მას მამული არ ჰქონდა იჯარით აღებული წლიურად 10 გირვ. სტერლ. საჯარო ფასით არ წარადგენდა, მოსამართლეების აზრით, იმის საკმაო გარანტიას, რომ ტვირთად არ დააწვებოდა იმ სამრევლოს, რომელშიაც ახლა ბინადრობდა.

როგორც ამტკიცებენ, ამ კანონს შედეგად ჰქონდა მრავალგვარი სიყალბის ჩადენა. სამრევლოს თანამდებობის პირნი არა იშვიათად მოსყიდვის გზით აიძულებდნენ სხვა სამრევლოში და დამალული ყოფილიყვნენ 40 დღის განმავლობაში, რათა მოეპოვებიათ იქ ბინადრობა და ამრიგად ის სამრევლო, რომელსაც ეს ღარიბები ნამდვილად ეკუთვოდნენ, გაენთავისუფლებიათ. ამიტომ იაკობ II-ის მეფობის 1-ლ წელს გამოცემული კანონით დადგენილ იქნა, რომ 40 დღის განმავლობაში დაუბრკოლებლად ცხოვრება, რაც საჭირო იყო ვინმეს მიერ ბინადრობის მოსაპოვებლად, უნდა ეანგარიშნათ იმ დღიდან, როდესაც ის პირი წერილობით ცნობას მისცემდა თავისი ბინისა და თავისი ოჯახის წევრთა რიცხვის შესახებ იმ სამრევლოს ერთ-ერთ საეკლესიო ზედამხედველს ან ღარიბთა მზრუნველს, სადაც იგი დაბინავებას აპირებდა.

მაგრამ სამრევლოს თანამდებობის პირნი, როგორც სცანს, ყოველთვის არ იქცეოდნენ თავიანთი საკუთარი სამრევლოს მიმართ მეტი კეთილსინდისიერებით, ვიდრე უცხო სამრევლოს მიმართ, და არაიშვიათად ყურს არ იბერტყავდნენ ასეთი შემოხიზნულების გამო, ვინაიდან თუმცა ცნობას კი იღებდნენ მათ შესახებ, მაგრამ არავითარ ზომებს არ ხმარობდნენ მათ წინააღმდეგ. ამიტომ, რადგან იგულისხმებოდა, რომ სამრევლოს ყოველი მცხოვრები დაიტერესებული იყო იმაში, რომ შეძლებისამებრ თავიდან აეცილებია ასეთიშემოხიზნულობით წარმომდგარი ტვირთი,-ვილიამ III-ის მეფობის მე-3 წელს გამოცემული კანონით დადგენილ იქნა, რომ ბინადრობის ორმოცდღიანი ვადა უნდა ეანგარიშნათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც

აღნიშნული წერილობითი განცხადება კვირა დღეს ეკლესიაში იქნებოდა წირვის გათავებისთანავე საჯაროდ წაკითხული.

ბოლოს და ბოლოს ამბობს დ-რი ბერნი-ამ სახის ბინადრობას, სახელდობრ 40 დღეს იმ ადგილას ცხოვრების გზით, მტხოვნელს, წერილობითი განცხადების საჯაროდ წაკითხვის შემდეგ, ძალიან იშვიათად მიიღებს, და კანონმდებლობის მიზანია არა იმდენად ბინადრობის მოპოვების გაადვილება, რანდენადაც მისი გამწვანება იმ პირთათვის, რომელნიც მალულად ბინავდებიან სამრევლოში, ვინაიდან ასეთი განცხადების მიცემა მხოლოდ აიძულებს სამრევლოს განდევნოს ასეთი მობინადრე. მაგრამ თუ მობინადრის მდგომარეობა ისეთია, რომ საეჭვო რჩება, განსადევნელია იგი თუ არა, იმ შემთხვევაში ეს მობინადრე განცხადების მიცემით სამრევლოს აიძულებს, ან დასტოვოს იგი 40 დღეს საცხოვრებლად და მით მისცეს მას დაუბრკოლებელი ბინადრობა, ანდა მისი განდევნა გადასწყვიტოს და ამ შემთხვევაში საქმე მოსამართლეებს გადასცეს”.

ამრიგად, ამ კანონს თითქმის შეუძლებელი გახადა ღარიბებისათვის ახალი ბინადრობის მოპოვება წინანდელი წესით, ე. ი. განსაზღვრულ ადგილას 40 დღის განმავლობაში ცხოვრების გზით, მაგრამ რათა ისე არ გამოჩენილიყო, რომ დაბიო ხალხს საერთოდ აკრძალული აქვს ერთი სამრევლოდან მეორეში გადასახლება, კანონმა დააწესა კიდევ ბინადრობის მოპოვების ოთხი სხვა წესი, გარდა სატანადო განცხადების წარდგენისა ან გამოქვეყნებისა. პირველი წესი იყო სასამრევლო გადასახადებებით დაბეგრა და მათი გადახდა; მეორე-სამრევლოს რაიმე თანამდებობაზე არჩევა და ამ თანამდებობის ასრულება ერთი წლის განმავლობაში; მესამე-შეგირდობის გავლა სამრევლოში; მეოთხე-სამსახური დაქირავებით განუწყვეტლივ ერთი წლის განმავლობაში სამრევლოს ტერიტორიაზე.

ბინადრობის მოპოვება ერთ-ერთი წესით პირველი ორიდან არავის არ შეეძლო სხვაფრივ, თუ არ მთელი სამრევლოს საჯარო დადგენილებით: სამრევლოს კარგად ესმოდა, თუ რა შედეგი ექნებოდა სასამრევლო გადასახადებით დაბეგრის გზით ან რაიმე სასამრევლო თანამდებობაზე არჩევის გზით სამრევლოში ისეთი ახალი მობინადრის მიღებას, რომელსაც არსებობისათვის მარტოოდენ საკუთარი შრომა გააჩნდა.

ბინადრობის მოპოვება ერთ-ერთი წესით ორი უკანასკნელიდან არ შეეძლო არც ერთ ოჯახის პატრონ ადამიანს. შეგირდი ხომ თითქმის ყოველთვის უცოლმშვილია; და კანონში სპეციალურად არის აღნიშნული, რომ არც ერთ ცოლიან მუშას არ შეუძლია ბინადრობის მოპოვება მით, რომ იგი ერთი წლის განმავლობაში სამუშაოდ არის დაქირავებული. სამსახურის საფუძველზე ბინადრობის მოპოვების დაწესებას ის მთავარი შედეგი ჰქონდა, რომ მეტწილად გაჰქრა პრაქტიკიდან ძველი ჩვეულება წლიურად დაქირავებისა, რაც წინათ ისე გავრცელებული იყო ინგლისში, რომ ახლაც კი კანონი დაქირავების ვადად წლიურ ვადას გულისხმობს, უკეთუ განსაკუთრებული ვადა არაა დადებული. დამქირავებლებს ყოველთვის არ სურთ მიანიჭონ თავიანთ მსახურთ ბინადრობა, როდესაც ამ წესით ქირაობენ, და მსახურებსაც ყოველთვის არ სურთ დაექირავონ ამ პირობებში, იმიტომ რომ, რამდენადაც უკანასკნელი ბინადრობა აუქმებს ყველა წინანდელს, მათ შეუძლიათ დაჰკარგონ თავიანთი თავდაპირველი ბინადრობა იმ ადგილას, სადაც დაბადებულან და სადაც მათი მშობლები და ნათესავები ცხოვრობენ.

ცხადია, არც ერთ დამოუკიდებელ მშრომელს, მუშას ან ხელოსანს, არ შეუძლია ბინადრობის მოპოვება შეგირდობის მოპოვება ან დაქირავებით მუშაობის საფუძველზე. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მშრომელი სამუშაოდ

სახლდებოდა ახალ სამრევლოში, მას, ყოველი საეკლესიო ზედამხედველის ან ღარიბთა მზრუნველის ახირებისამებრ, იქიდან გასახლება მოელოდა, რაგინდ ჯანმრთელი და შრომისმოყვარე ყოფილიყო, უკეთუ მამული არ ჰქონდა საჯაროდ აღებული წელიწადში 10 გირვ. სტერლ. საიჯარო ფასით,-რაც ყოვლად შეუძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ თავისი შრომით ცხოვრები ადამიანისათვის,-ანდა არ წარადგენდა უზრუნველყოფას, რომელსაც ორი მომრიგებელი მოსამართლე საკმარისად ჩასთვლიდა, რომ სამრევლოს არ დააწვევებოდა ტვირთად. ამ უზრუნველყოფის ზომა სავსებით მომრიგებელ მოსამართლეთა შეხედულებაზე დამოკიდებული, მგრამ მათ უეჭველად არ შეუძლიათ მოითხოვონ 30 გირვანქაზე ნაკლები უზრუნველყოფა, ვინაიდან კანონი აწესებს, რომ ისეთი მამულის ყიდვაც კი, რომლის ღირებულება 30 გირვანქაზე ნაკლები არის, მყიდველს არ აძლევს ბინადრობას, რამდენადაც იგი საკმარისი უზრუნველყოფა არაა იმისათვის, რომ სამრევლოს არ დასჭირდება ხარჯების გაწევა დახმარების გასაწევად. მაგრამ ეს ისეთი უზრუნველყოფაა, რომლის წარდგენა ძნელად რომ შეეძლოს ისეთ ადამიანს, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს: ხშირად კი ამაზე უფრო დიდ უზრუნველყოფასაც თხოულობენ.

იმ მიზნით, რომ რაოდენადმე აღდგენილიყო შრომის ტავისუფალი გადასვლა-გადმოსვლა, რომელიც თითქმის სრულიად მოსპო ამ სხვადასხვა კანონებმა, გამოიგონეს მოწმობები. ვილიამ III-ს მეფობის მე-8 და მე-9 წელს გამოცემული კანონით დაწესებულია, რომ ის პირნი, რომელთაც აქვთ მოწმობა უკანასკნელი სამრევლოდან, სადაც ისინი კანონიერად ცხოვრობდნენ,-მოწმობა საეკლესიო ზედამხედველებისა და ღარიბთა მზრუნველების მიერ ხელმოცერილი და ორი მომრიგებელი მოსამართლის მიერ დადასტურებული,-ყველა სხვა სამრევლომ უნდა მიიღოს საბინადროდ; რომ მათი გადასახლება არ შეიძლება მარტო იმ საფუძვლით, რომ შესაძლებელია სამრევლოს ტვირთად დააწვნენო, არამედ გადასახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ფაქტიურად დააწვებიან ტვირთად სამრევლოს, და რომ ის სამრევლო, რომელმაც მოწმობა გასცა, ვალდებულია გადაიხადოს მათ შესანახად და გადასასახლებლად გაწეული ხარჯები. მაგრამ იმ სამრევლოსთვის სრული უზრუნველყოფის შესაქმნელად, სადაც ასეთი მოწმობით აღჭურვილი პირი სახლდებოდა, იმავე კანონმა შემდეგ, დააწესა, რომ აღნიშნულ პირს იქ ბინადრობის მოპოვება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით: ან მით, რომ უსასყიდლოდ იმსახურებს ერთი წლის განმავლობაში რაიმე სასამრევლო თანამდებობაზე; მაშასადამე, მოსპობილ იქნა ბინადრობის მოპოვების შესაძლებლობა განცხადების წარდგენის, დაქირავებით სამსახურის, შეგირდობის ან სამრევლო გადასახადთა გადახდის საშუალებით. შემდეგ, დედოფალი ანნას მეფობის მე-12 წელს გამოცემულმა კანონმა (სტატუტი 1, თავი 18) დააწესა, რომ ასეთი მოწმობებით აღჭურვილ პირთა არც შეგირდებს და არც მსახურებს არ შეუძლიათ ბინადრობის მიღება იმ სამრევლოში, სადაც ის პირნი მოწმობის საფუძვლით ცხოვრობენ.

თუ რამდენად აღადგინა ამ გამოგონებამ შრომის თავისუფალი გადასვლა-გადმოსვლა, რომელიც თითქმის სრულიად მოსპობილი იყო წინათ გამოცემული კანონებით, ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ აზრი დ-რ ბერნის ფრიად გონივრული შენიშვნის საფუძვლით. “ცხადია, ამბობს ის, რომ არსებობს სხვადასხვა საფუძვლიანი მიზეზი მოწმობების მოსათხოვად იმ პირთაგან, რომელნიც ამა თუ იმ ადგილას დაბინავებას აპირობენ; სახელდობრ ის, რომ ამ პირთ არ შეუძლიათ ბინადრობის მოპოვება არც შეგირდობის გზით, არც დაქირავებით სამსახურის

საფუძვლით, არც განცხადების წარდგენით, არც სამრევლო გადასახადთა გადახდის გზით; რომ მათ არ შეუძლიათ ბინადრობა მიანიჭონ თავიანთ შეგირდებს და მუშებს; რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამრევლოს ტვირთად დააწვენენ, ამ სამრევლომ უკვე იცის ზედმიწევნით, სად უნდა გადასახლოს ისინი, და ამასთან მას აუნაზღაურდება მათ გადასახლებაზე და გადასახლებამდე მათ შენახვაზე გაწეული ხარჯები; რომ თუ ისინი დაავადნენ და ამიტომ მათ გადასახლება არ შეიძლება, ისინი იმ სამრევლომ უნდა შეინახოს, რომელმაც მოწმობა გასცა; და ყველა ამისათვის მოწმობის არსებობაა საჭირო, მეორე მხრივ, ყველა ეს მიზეზი იმის მიზეზიც არის, რომ სამრევლოები ჩვეულებრივ უარს ამბობენ მოწმობების გაცემაზე, ვინაიდან ფრიად მოსალოდნელია, რომ ის პირნი, ვისაც ისინი მოწმობებს მისცემენ, უკან დაუბრუნდებიან მათ და მასთან უარეს მდგომარეობაში მყოფნი”. ამ შენიშვნას აზრი ის უნდა იყოს, რომ მოწმობას ყოველთვის მოითხოვს სამრევლო, რომელშიაც დასახლება სურს ღარიბს, და რომ ამ მოწმობას ძალიან იშვიათად იძლევა ის სამრევლო, რომლის დატოვებაც სწადია ღარიბს. “ამ მოწმობების სავალდებულობა მოკლებული არაა უღმობლობას, ამბობს იგივე დაკვირვებული მწერალი თავის “ღარიბთა კანონების ისტორიაში”, “ვინაიდან იგი სამრევლოს თანამდებობის პირს უფლებას აძლევს დაატყვევოს ადამიანი ერთ ადგილას მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, რაგინდ მოუხერხებელი იყოს ამ უკანასკნელისათვის იმ ადგილას დარჩენა, სადაც მან, მისდა საუბედუროდ, ეგრეტწოდებული ბინადრობა მოიპოვა, ან რაგინდ მისთვის ხელსაყრელი იყოს სხვა ადგილას გადასახლება”.

თუმცა მოწმობა არ წარმოადგენს კარგი ყოფაქცევის დადასტურებას და მხოლოდ იმის მოწმობა არის, რომ განსაზღვრული პირი ეკუთვნის ნამდვილად განსაზღვრულ სამრევლოს, მაგრამ მაინც სამრევლოს თანამდებობის პირთა ნებაზეა ეს სავსებით დამოკიდებული, გასცემენ ასეთ მოწმობას, თუ უარს იტყვიან მის გაცემაში, როგორც დ-რი ბერნი გადმოგვცემს, ერთხელ წინადადება იყო წარდგენილი უმაღლეს სასამართლოში იმის შესახებ, რომ სასამართლოს თავისი განაჩენით იძულებულყო საეკლესიო ზედამხედველები და ღარიბთა მზრუნველები ხელი მოეწერათ ასეთ მოწმობაზე, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ ეს წინადადება უარყო როგორც ყოვლად უცნაური პრეტენზია.

შრომის ის მეტად უთანასწორო ფასი, რომელსაც ჩვენ ხშირად ვხედავთ ინგლისში ერთმანეთთან ახლოს მდებარე ადგილებში, აიხსნება, ალბათ, იმ სიძნელით, რასაც ბინადრობის შესახები კანონი უქმნის ღარიბს, რომელსაც, მოწმობის უქონელად, სწადია ერთი სამრევლოდან მეორეში გადაიტანოს თავისი შრომა. მართლაც, მარტოხელა ადამიანს, ჯანმთელს და მუყაითს, შეუძლია ზოგჯერ სხვა სამრევლოში დაბინავდეს, მის იქ ყოფნას მოითმენენ; მაგრამ თუ ცოლშვილიანმა ადამიანმა მოინდომა ეს, მეტწილ სამრევლოებში იგი უეჭველად განიცდის გადასახლებას; და თუ უცოლო ადამიანი შემდეგში დაქორწინდა, ისიც განდევნილი იქნება ჩვეულებრივ. ამიტომ მუშა-ხელის ნაკლებობა ერთ სამრევლოში არ შეიძლება ყოველთვის შევსებულ იქნეს იმ მოჭარბებულობით, რომელიც მეორე სამრევლოში არის, როგორც ეს ხდება მუდამ შოტლანდიაში და, მგონია, ყველა სხვა ქვეყანაში, სადაც ბინადრობის დაბრკოლება არ არსებობს. ასეთ ქვეყნებში ხელფასმა, მართალია, შეიძლება ზოგჯერ ცოტათი მაღლა აიწიოს დიდი ქალაქის ახლობელ მიდამოებში ან იქ, სადაც შრომის არაჩვეულებრივი მოთხოვნა წარმოსდგება, და თანდათან დაიწიოს ასეთ ადგილებიდან დაშორების მიხედვით, ვიდრე არ გაუთანასწორდება ქვეყანაში არსებულ ჩვეულებრივ დონეს; მაგრამ ჩვენ არასოდეს არ შევხვდებით შრომის ხელფასის ისეთ უეცარ დაუცნაურ განსხვავებებს მეზობელ ადგილებში, როგორც ამას

ზოგჯერ ვხდებით ინგლისში, სადაც ღარიბებისატვის უფრო ძნელია სამრევლოს ხელოვნური სამღვრის გადალახვა, ვიდრე ზღვის ყურეზე გადასვლა ან მაღალი მთის მწვერვალის გადალახვა, ე. ი. იმ ბუნებრივ საზღვრებზე გადასვლა, რომელნიც სხვა ქვეყნებში ხშირად ძალიან მკვეთრად ანცალკავებენ ერთმანეთისაგან ხელფასისი სხვადასხვა ნორმებს.

მის მიერ არჩეული სამრევლოდან გადასახლება ადამიანისა, რომელსაც დანაშაული არა ჩაუდენია რა, წარმოადგენს ბუნებრივი თავისუფლებისა და სამართლიანობის ცხად შელახვას. ინგლისის დაბიო ხალხი, რომელიც ესოდენ თავგამოდებულია თავისი თავისუფლებისათვის, მაგრამ რომელსაც, მეტწილ სხვა ქვეყნების დაბიო ხალხსავით, არ ესმის, თუ რაში მდგომარეობს ეს თავისუფლება, ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ითმენს ამ წამალდაუდებელ შევიწროებას. თუმცა მოაზროვნე ადამიანები ზოგჯერ სჩივოდნენ ბინადრობის შესახებ კანონზე, როგორც საზოგადოებრივ ბოროტებაზე, მაგრამ ამ ჩივილს არასოდეს არ გამოუწვევია მასობრივი სახალხო პროტესტები, იმ პროტესტების მსგავსი, რომლებიც მიმართული იყო საერთო დაპატიმრების შესახები ბრძანებების წინააღმდეგ, რაც, უეჭველია, წარმოადგენდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, მაგრამ მაინც არ იწვევდა ესოდენ მასობრივ ჩაგვრას. გავხედავ ვთქვა, რომ საეჭვოა მოიპოვებოდეს ინგლისში თუნდ ერთი ისეთი ღარიბი ადამიანი ორმოცი წლისა, რომელსაც თავისი ცხოვრების ამა თუ იმ მომენტში არ განეცადოს ულმობელი ჩაგვრა ამ უაზრო კანონის მხრივ, რომელიც ბინადრობას შეეხება.

მე დავამთავრებ ამ გრძელ თავს იმის აღნიშვნით, რომ თუმცა წინანდელ დროში ჩვეულებრივ ადგილი ჰქონდა ხელფასის დანორმვას თავდაპირველად საყოველთაო კანონების გზით, რომელნიც მთელი სამეფოსათვის გამოიცემოდნენ, და შემდეგში მომრიგებელი მოსამართლეების სპეციალური დადგენილებით თითოეული საგრაფოსათვის, მაგრამ არც ერთი ეს მეთოდი ამჟამად არაა ხმარებაში.

“ოთხას წელზე მეტი ხნის გამოცდილების შემდეგ,-ამბობს დ-რი ბერნი,- თითქოს დრო არის ხელი ავიღოთ ყოველგვარ ცდაზე იმის შესახებ , რომ მკაცრ რეგლამენტაციას დაუქვემდებაროთ ის, რაც თავისი რაც თავისი ბუნებით არ ექვემდებარება არავითარ ზედმიწევნით განსაზღვრას; ვინაიდან ყველა მუშას, რომელიც შრომის ერთსა და იმავე დარგში მუშაობს, ერთნაირი ხელფასი დაურჩა, ადგილი აღარ დარჩება შრომისმოყვარეობის ამ ნიჭისათვის”.

მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული საპარლამენტო აქტები ზოგჯერ კიდევ ცდილობენ ხელფასის განსაზღვრას მრეწველობის ცალკე დარგებისათვის და ცალკე ადგილებისათვის. მაგალითად, გეორგ III-ის მეფობის მე-8 წელს გამოცემული კანონი, სასჯელის დამუქრებით, უკრძალავს ლონდონში და ხუთი მილის მანძილზე მის მიდამოებში ყველა თერძ-ოსტატს დღეში ხელფასად 2 შილინგსა და 71/2 პენსზე მეტის გაცემას და ყველა ქარგალს-ამაზე მეტის აღებას, გარდა იმ შეთხვევებისა, როდესაც საზოგადოებრივ გლოვას აქვს ადგილი. ყოველთვის, როდესაც კანონმდებლობა ცდილობს მოაგვაროს უთანხმოება მესარეწეებსა და მუშებს შორის, მისი მრჩევლები მუდამ მესარეწეები არიან. ამიტომ თუ კანონის მიერ დანაწესები სასრგებლოა მუშებისათვის, იგი ყოველთვის სწორი და სამართლიანი არის, მაგრამ ასეთი არაა იგი ყოველთვის, როდესაც სასარგებლო არის მესარეწეებისათვის. ასე, მაგალითად, ის კანონი, რომელიც მრეწველობის ზოგ დარგებში მესარეწეებს ავალებს ტავიანთ მუშებს ფულით გაუსწორდნენ და არა საქონლით, სრულიად სწორი და სამართლიანი არის. იგი დამქირავებლებს არ აკისრებს რაიმე რეალურ ტვირთს. იგი მატ ავალებს მხოლოდ, რომ ფულით გადაიხადონ ის ღირებულება, რომელსაც ისინი-

მათი განცხადების თანახმად-იხდიდნენ საქონლით, მაგრამ ნამდვილად არ იხდიდნენ ყოველთვის. ეს კანონი მუშების სასარგებლოდაა გამოცემული; მაგრამ გეორგ III-ის მეფობის მე-8 წელს გამოცემული კანონი მესარეწეების სასარგებლოდაა შედგენილი. როდესაც დამქირავებლები ერთმანეთს შორის შეთანხმდებიან მათი მუშების ხელფასის შემცირების მიზნით, ისინი ჩვეულებრივ ადგენენ კერძო კავშირს ანუ შეთანხმებას, რომ, განსაზღვრული ჯარიმის დამუქრებით, მუშებს არ მისცენ განსაზღვრულ ხელფასზე მეტი. მაგრამ თუ მუშებმა მოაწყვეს ერთმანეთს შორის შეთანხმება, რომ, განსაზღვრული ჯარიმის დამუქრებით, არ დასთანხდნენ განსაზღვრულ ხელფასს, კანონი მათ ძალიან სასტიკად სჯის; და, მიუკრძებლობა რომ იყოს დაცული, იგი ასევე უნდა იქცეოდეს დამქირავებლების წინააღმდეგ. გეორგ III-ის მეფობის მე-8 წელს გამოცემული კანონი კი კანონმდებლობის გზით აწესებს ხელფასის იმ შეზღუდვას, რომლის განხორციელებასაც დამქირავებლები ზოგჯერ ცდილობენ აღნიშნული შეთანხმების გზით, და სრულიად საფუძვლინად უნდა გვეცვენოს, თუ მუშები სჩივიან, რომ კანონი უადრესად დახელოვნებულ და მუყაით მუშას ერთ დონეზე აყენებს ჩვეულებრივ მუშასთან.

წინანდელ დროში ჩვეულებრივ ცდილობდნენ აგრეთვე მოეწესრიგებიათ ვაჭრების და სხვა საქონელთა ფასების დანორმების გზით. პურის ნიხრი, რამდენადაც მე ვიცი, წარმოადგენს ამ ძველი ჩვეულების ერთადერთ ნაშთს, სადაც მონოპოლიური ამქრული კორპორაცია არსებობს, იქ, იქნებ, საჭიროც იყოს პირველი საჭიროების საგანთა ფასისმოცესრიგება, მაგრამ სადაც ასეთი კორპორაცია არ არსებობს, იქ ამ ფასს ყოველგვარ ნიხრზე გაცილებით უკეთ მოაწესრიგებს კონკურენცია. პურის ნიხრის განსაზღვრის ის წესი, რომელიც გეორგ II-ის მეფობის მე-31 წელს გამოცემულმა კანონმა დაამყარა შოტლანდიაში, ვერ იქნა ცხოვრებაში გატარებული თვით კანონის ნაკლის გამო: მისი განხორციელება დაკავშირებული იყო საბაზრო ბოქაულის თანამდებობისათვის, რომელიც შოტლანდიაში არსებობს. ეს ნაკლი გასწორებ ულ იქნა მხოლოდ გეორგ III-ის მეფობის მე-3 წელს. და ნიხრის არარსებობა არავითარ შესამჩნევ უხერხულობას არ იწვევდა, ხოლო მის შემოღებას იმ მცირეოდენ ადგილას, სადაც ახლა უკვე დაწესებულია, არ მოაქვს არავითარი შესამჩნევი სარგებლობა. მაგრამ შოტლანდიის მეტწილ ქალაქებში არსებობს მეპურეების ამქრული კორპორაცია, რომელსაც ხელი უპყრია მონოპოლიური პრივილეგია, თუმცა იგი ყოველთვის არაა მკაცრად დაცული.

შრომისა და კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა დარგებში ხელფასისა და მოგების ნორმებს შორის შეფარდებაზე, ეტყობა, დიდი გავლენა არა აქვს, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, ქვეყნის სიმდიდრეს ან სიღარიბეს, მის პროგრესულ, სტაციონარულ ან რეგრესულ მდგომარეობას. ასეთი რევოლუციები საზოგადოებრივ კეთილდღეობაში თუმცა კი შეეხებიან ხელფასის და მოგების ნორმას საერთოდ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მათ თანაბარი ზემოქმედება უნდა ჰქონდეთ ამ ნორმაზე ყველგან მრეწველობის სხვადასხვა დარგებში. ამიტომ შეფარდება მათ შორის წინანდებური უნდა რჩებოდეს, და არ შეიშლება, ყოველ შემთხვევაში რაოდენადმე ხანგრძლივი დროის მანძილზე, შეიცვალოს ამგვარი რევოლუციების გზით.

თ ა ვ ი XI

მიწის რენტა

რენტა, განხილული როგორც მიწით სარგებლობისათვის გადახდილი ფასი, წარმოადგენს, რასაკვირველია, იმ უდიდეს თანხას, რომლის გადახდაც ძალუძს მოიჯარადრეს მიწის მოცემული ხარისხის არსებობისას. საჯარო ხელშეკრულობის პირობების განსაზღვრის დროს მემამულე ცდილობს მოიჯარადრეს დაუტოვოს პროდუქტის მხოლოდ ისეთი ნაწილი, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ანაზღაურებული იქნეს კაპიტალი, რომელსაც მოიჯარადრე ხარჯავს თესლის შესაძენად, შრომის ხელფასად, ხვასტაგისა და აგრეთვე ცხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საყიდლად და შესანახად და, გარდა ამისა, მიღებულ იქნეს ჩვეულებრივი იმ არემარეში მოგება საფერმერო კაპიტალზე. ეს, ცხადია, ის უმცირესი წილია, რომლითაც შეუძლია მოიჯარადრეს დაკმაყოფილდეს, ზარალის განუცდელად, ხოლო მემამულეს იშვიათად აქვს აზრად მისთვის ამაზე მეტის დატოვება. მემამულე ცდილობს, რასაკვირველია, პროდუქტის ფასის მთელი ის ნაწილი, რომელიც ამ წილის შემდეგ რცება, თავისთვის დაინარჩუნოს მიწის რენტის სახით, რაც, ცხადია, წარმოადგენს უდიდეს თანხას, რომელიც კი მოიჯარადრეს შეუძლია გადაიხადოს მიწის მოცემული ხარისხის არსებობისას. მარტალია, ზოგჯერ ხელგაშლილობა და უფრო ხსირად უვიცობა მემამულეს აიძულებს ამ ნაწილზე ცოტათი ნაკლებს დასჯერდეს; ზოგჯერ აგრეთვე, თუმცა უფრო იშვიათად, უვიცობა აიძულებს მოიჯარადრეს ცოტათი მეტი გადაიხადოს ანუ რაოდენადმე ნაკლები მოგებით დაკმაყოფილდეს, ვიდრე საფერმერო კაპიტალის ჩვეულებრივი მოგება არის იმ არემარეში. მაგრამ მაინც ეს ნაწილი შეიძლება ჩავთვალოთ მიწის ბუნებრივ რენტად, ე. ი. იმ რენტად, რადაც მეტი წილი მიწები გაიცემა იჯარით.

შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ მიწის რენტა ხშირად წარმოადგენს მხოლოდ იმ კაპიტალის ზომიერ მოგებას ანუ სარგებელს, რომელიც მემამულეს დაუხარჯავს მიწის გაუმჯობესებაზე. ეს უეჭველია, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ნაწილობრივ ასეც იყოს, მაგრამ-მხოლოდ ნაწილობრივ. მემამულე გაუმჯობესებული მიწისთვისაც მოითხოვს რენტას, და ის ნაგულისხმევი სარგებელი ანუ მოგება გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯებისათვის ჩვეულებრივ შეადგენს დანამატს, რომელიც წაემატება ხოლმე იმ თავდაპირველ რენტას. გარდა ამისა, მიწის გაუმჯობესება ყოველთვის არ ხდება მემამულის კაპიტალით, არამედ ზოგჯერ სრულდება აგრეთვე მოიჯარადრის კაპიტალით. ხოლო როდესაც საიჯარო ხელშეკრულობის განახლების ვადა დგება, მემამულე ჩვეულებრივ თხოულობს მაინც რენტის ასეთსავე გადიდებას, თითქოს ყველა ეს გაუმჯობესება მას თავისი საკუთარი სახსრით შეესრულებინოს.

ზოგჯერ იგი მოითხოვს რენტას იმისთვისაც, რაც კი საერთოდ არ ექვემდებარება გაუმჯობესებას ადამიანის მხრივ. ხურხუმი ერთგვარი ზღვის ბალახია, რომელიც დაწვის შემდეგ იძლევა ტუტოვან მარილს, რომელიც შუშისა და საპნის დასამზადებლად და ზოგი სხვა მიზნისათვის იხმარება. იგი იზრდება ზოგ ადგილას ინგლისში, განსაკუთრებით შოტლანდიაში, მხოლოდ ისეთ კლდეებზე, რომლებიც ზღვის მოქცევის ფარგალშია მომწყვდეული და დღეში ორჯერ წყლით იფარება და რომელთა პროდუქტი, ამრიგად, არასოდეს არ გაუზრდია ადამიანის შრომას. მიუხედავად მემამულე, რომლის მამულსაც ხურხუმის შეცველი ნაპირი აკრავს, ისევე მოითხოვს ამისათვის რენტას, როგორც მოითხოვს მას თავისი საკუთარი მიწებისათვის.

შეტლანდის კუნძულების ირგვლივ ზღვა არაჩვეულებრივ მდიდარია თევზით, რომელიც მთავარ სარჩოს შეადგენს იმ კუნძულების მცხოვრებისათვის.

მაგრამ, რათა წყლის ამ პროდუქტით სარგებლობა შეეძლოთ, მათ ბინა უნდა ჰქონდეთ სანაპირო ხმელეთზე. და რენტა, რომელსაც ამ შემთხვევაში მემამულე იღებს, შეესაბამება არა იმას, რაც ფერმერს შეუძლია მიიღოს მიწიდან, არამედ იმას, რისი მიღებაც შეუძლია იმავდროულად მიწიდან და ზღვიდან. რენტას ნაწილობრივ იხდიან თევზით; სახელდობრ აქ ჩვენ ვხედავთ ერთ იშვიათ მაგალითს იმისას, როდესაც რენტა შედის როგორც შემადგენელი ნაწილი თევზის ფასში.

ამრიგად, მიწის რენტა, განხილული როგორც მიწით სარგებლობისათვის გადახდილი ფასი, წარმოადგენს, რასაკვირველია, მონოპოლიურ ფასს. იგი სრულიად არავიარ შეფარდებაში არაა იმასთან, რაც მემამულეს დაუხარჯავს მიწის გასაუმჯობესებლად ან რითაც იგი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო; იგი განისაზღვრება მით, რისი გადახდაც ძალუძს ფერმერს.

როგორც ჩვეულებრივი წესი, მიწის მხოლოდ ასეთი პროდუქტები შეიძლება ბაზარზე იქნეს გატანილი, რომელთა ჩვეულებრივი ფასი საკმარისია იმისათვის, რომ ანაზღაურებულ იქნეს მათ იქ გასატანად დახარჯული კაპიტალი ჩვეულებრივი მოგებითურთ. თუ ჩვეულებრივი ფასი ამ ნორმას აღემატება, მისი გარდამეტი, რასაკვირველია, რჩება მიწის რენტად; ხოლო თუ იგი არ აღემატება ამ ნორმას, მაშინ თუმცა საქონელი კი შეიძლება ბაზარზე იქნეს გატანილი, მაგრამ მას არავითარი რენტა არ მოაქვს მემამულისათვის, მოთხოვნაზეა დამოკიდებული, აღემატება ამ დონეს ფასი თუ არა.

მიწის პროდუქტის განსაზღვრული ნაწილის მიმართ მოთხოვნაყოველთვის უნდა იყოს ისეთი, რომ იწვევდეს უფრო დიდ ფასს, ვიდრე ეს საჭირო არის პროდუქტის ბაზარზე გასატანად; პროდუქტის დანარჩენი ნაწილის მიმართ მოთხოვნა შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს ისე დიდი, რომ იწვევდეს ამ უფრო დიდ ფასს. პირველ შემთხვევაში მემამულე ყოველთვის მიიღებს რენტას, მეორე შემთხვევაში კი მან შეიძლება იგი მიიღოს ან შეიძლება არც მიიღოს, -სხვადასხვა გარემოების მიხედვით.

ამრიგად, რენტა_და ამას უნდა მიეყვას ყურადღება_სხვაგვარად შედის საქონლის ფასის აგებულებაში, ვიდრე ხელფასი და მოგება. მაღალი ან დაბალი ხელფასი და მოგება მიზეზია მაღალი ან დაბალი ფასისა; მაღალი ან დაბალი რენტა კი მისი შედეგი არის. განსაზღვრული საქონლის ფასი მაღალია ან დაბალი იმიტომ, რომ, მაღალი ან დაბალი ხელფასის და მოგების გადახდაა საჭირო, რათა ეს საქონელი ბაზარზე იქნეს გატანილი. მაგრამ საქონელი იძლევა მაღალ ან დაბალ რენტას ან სრულიად არ იძლევა რენტას იმის მიხედვით, მაღალია თუ დაბალია მისი ფასი, აღემატება იგი დიდად ან მცირედ თუ სრულეებით არ აღემატება იმას, რაც საჭიროა იმ ხელფასის და მოგების გასასტუმრებლად.

ეს თავი იყოფა სამ განყოფილებად იმის მიხედვით, რომ განიხილება, ჯერ ერთი, მიწის პროდუქტის ის ნაწილი რომელიც ყოველთვის იძლევა განსაზღვრულ რენტას, მეორე_მისი ის ნაწილი, რომელიც ზოგ შემთხვევაში იძლევა და ზოგ შემთხვევაში არ იძლევა რენტას, და მესამე_ის ცვლილებები, რომელთაც, მიწის გაუმჯობესების სხვადასხვა პერიოდებში, ბუნებრივად აქვთ ადგილი ამ ორი სხვადასხვა სახის ნედლეულის შეფარდებითს ღირებულებაში, როდესაც ჩვენ მას ვადარებთ სამრეწველო საქონელს.

განყოფილება I

მიწის პროდუქტი, რომელიც ყოველთვის იძლევა რენტას

რადგან ადამიანები ყველა სხვა ცოცხალ არსებასავით, ბუნებრივად მრავლდებიან მათი არსებული საარსებო საშუალებების შესაბამისად, ამიტომ მუდამ არსებობს მეტნაკლები მოთხოვნა საზრდოსათვის. ამ უკანასკნელის საშუალებით ყოველთვის შესაძლებელია შრომის მეტნაკლები რაოდენობის მოპოვება ანუ მისი მიღება თავის განკარგულებაში, და ყოველთვის იქნება ვინმე რაიმე სამუშაოს შესრულების მსურველი ამ საზრდოს მიღების გულისათვის. მართალია, იმის გამო, რომ ზოგჯერ შრომისათვის მაღალი ხელფასია გადასახდელი, შრომის ის რაოდენობა, რომლის მოპოვება შეიძლება საზრდოს განსაზღვრული რაოდენობით, ყოველთვის ისე დიდი არაა, როგორც შეიძლებოდა ამ სარჩოთი ყოფილიყო შენახული, თუ ეს უკანასკნელი უფრო ეკონომიურად იქნებოდა დახარჯული; მაგრამ ამ სარჩოთი მაიც ყოველთვის შეიძლება შრომის ისეთი რაოდენობის მოპოვება, რომლის მით შენახვა შესაძლებელი არის ჩვეულებრივი საარსებო დონის შესაბამისად, რაც ამ სახის შრომას აქვს განსაზღვრულ ადგილას.

მაგრამ მიწა, თითქმის ყოველ მდგომარეობაში, საზრდოს იმაზე მეტ რაოდენობას წარმოშობს, რაც აუცილებელი არის მთელი იმ შრომის შესანახად, რომელიც საჭიროა იმ სარჩოს ბაზარზე გატანისათვის, თუნდაც რომ უაღრეს უხვად ეძლეოდეს ამ შრომას შესანახი. ამასთან ის გარდამეტი, რომელიც აქ რჩება, ყოველთვის იმაზე მეტი არის, რა საკმარისია ამ შრომის გამოყენებისათვის დახარჯული კაპიტალის ასანაზღაურებლად და აგრეთვე ამ კაპიტალზე მოგების მისაღებად. ამიტომ მუდამ რჩება განსაზღვრული გარდამეტი მემამულის რენტის წილად.

ნორვეგიის და შოტლანდიის ყოვლად უდაბნო ადგილებიც კი იძლევიან ერთგვარ საკვებს ხვასტაგისათვის, რომლისაგან იმდენი რძე და ნაშენი მიიღება, რომ საკმარისია არა მარტო ამ ხვასტაგის მოვლისათვის საჭირო შრომის შესანახად და ფერმერისათვის ან ჯოგის თუ ფარის პატრონისათვის ჩვეულებრივი მოგების მისაცემად, არამედ მემამულისათვის პატარა რენტის მისაცემადაც. ეს რენტა მატულობს სამოვრის ვარგისობის მიხედვით. ამ შემთხვევაში მიწის ერთი და იგივე სივრცე არა თუ ჰკვებავს ხვასტაგის მეტ რაოდენობას, არამედ აგრეთვე მოითხოვს ნაკლებ შრომას მის მოსავლელად და მისი პროდუქტების მოსაგროვებლად, ვინაიდან ხვასტაგი ნაკლებ ფართობზეა მოთავსებული. მემამულე იგებს ორგვარად: პროდუქტის გადიდების გამო და ამ შრომის შემცირების გამო, რომელიც ამ პროდუქტის ხარჯზეა შესანახი.

მიწის რენტა ცვალებადია არა მარტო მიწის ნაყოფიერების მიხედვით, როგორც უნდა იყოს მისი პროდუქტი, არამედ აგრეთვე, მისი პროდუქტი, არამედ აგრეთვე, მისი ნაყოფიერებისაგან დამოუკიდებლად, მისი მდებარეობის მიხედვით. ქალაქის ახლოს მდებარე მიწა უფრო დიდ რენტას იძლევა, ვიდრე ისევ ნაყოფიერი მიწა ქვეყნის დაშორებულ ადგილას. თუნდაც რომ ერთი და მეორე მიწის დამუშავება თანატოლ შრომის რაოდენობას მოითხოვდეს, დაშორებული მიწის ნაკვეთიდან ბაზარზე პროდუქტის მიტანა მაინც ყოველთვის უფრო ძვირად უნდა დაჯდეს და, მაშასადამე, რომის უფრო დიდი რაოდენობაა შესანახი; ამის გამო უნდა შემცირდეს ის გარდამეტი, საიდანაც მიიღება როგორც ფერმერის მოგება, ისე მემამულის რენტა. მაგრამ ქვეყნის დაშორებულ ნაწილებში, როგორც უკვე გარკვეული იყო, მოგების

ნორმა ჩვეულებრივ უფრო მაღალი არის, ვიდრე დიდი ქალაქის ახლობელ მიდამოში. ამიტომ მემამულის წილად ნაკლები რჩება ამ შემცირებული გარდამეტიდან.

კარგი გზები, არხები და სანაოსნო მდინარეები, რადგან ამცირებენ გადაზიდვის ხარჯებს, დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაში აყენებენ ქვეყნის დაშორებულ ნაწილებს და ქალაქის ახლობელ ადგილებს. ამ თვალსაზრისით ისინი წარმოადგენენ უდიდეს გაუმჯობესებას ყველა გაუმჯობესებათაგან. ისინი ხელს უწყობენ შორეული ნაწილების დამუშავებას, რომელნიც ყოველთვის ქვეყნის უდიდეს ფართობს შეიცავენ, სარგებლობას აძლევენ ქალაქს, ვინაიდან სპობენ მისი ახლო მიდამოების მონოპოლიას, და სარგებლობას აძლევენ ამ მიდამოებსაც: მართალია, ეს გზები ხელს უწყობენ ზოგი მეტოქე საქონლის შემოსვლას ძველ ბაზარზე, მაგრამ ამასთან ერთად ხსნიან ბევრ ახალ ბაზარს ამ მიდამოებს ნაწარმებისათვის. გარდა ამისა, მონოპოლია დიდი მტერია კარგი მდგომარეობისა; ამ უკანასკნელმა შეიძლება გავრცელება მიიღოს მხოლოდ შედეგად თავისუფალი და საყოველთაო კონკურენციას, რომელიც ყოველ ადამიანს აიძულებს საკუთარი თავდაცვის გულისათვის ხელი მოჰკიდოს კარგ მეურნეობას. დაახლოებით 50 წელზე მეტი არც კია გასული მას შემდეგ, რაც ლონდონის ზოგი ახლობელი საგრაფოები პარლამენტს პეტციით მიმართავდნენ დაშორებულ საგრაფოებში შარა-გზების გაყვანის წინააღმდეგ. ეს დაშორებული საგრაფოები, ამტკიცებდნენ ისინი, რადგან იქ შრომა იაფი არის, შესძლებენ ლონდონის ბაზარზე თავიანთი თივის და პურის უფრო იაფად გაყიდვას, ვიდრე ახლობელი საგრაფოებით, და ამიტომ გამოიწვევენ აქ რენტის დაწევას და სასოფლო მეურნეობის განადგურებას. მიუხედავად ამისა, იმ დროის შემდეგ მათი რენტა გაიზარდა, ხოლო სასოფლო მეურნეობა გაუმჯობესდა.

საყანე მიწა, ზომიერი ნაყოფიერების შემცველი, გაცილებით მეტ სარზდოს რაოდენობას იძლევა ადამიანისათვის, ვიდრე იმავე ზომის საუკეთესო სამოვარი. თუმცა მისი დამუშავება ბევრად უფრო მეტ შრომას მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროდ გარდამეტიც, რომელიც თესლის ანაზღაურებისა და მთელი ამ შრომის გასტუმრების შემდეგ რჩება, ბევრად უფრო დიდი არის. ამიტომ, თუ ვიგულისხმებდით, რომ გირვანქა ხორცის ღირებულება არასოდეს მეტი არაა გირვანქა პურის ღირებულებაზე, ეს უფრო დიდი გარდამეტი ყოველთვის უფრო დიდი ღირებულების შემცველი იქნებოდა და შეადგენდა უფრო დიდ ფონდს ფერმერის მოგებისათვის და მემამულის რენტისათვის. ასეც იყო, როგორც სჩანს, ყველგან მიწათმოქმედების დასაწყის სტადიაში.

მაგრამ ამ ორი სხვადასხვა სახის საზრდოს_პურის და ხორცის_შეფარდებითი ღირებულება ფრიად სხვადასხვა სასოფლო მეურნეობის განვითარების სხვადასხვა პერიოდში. მის სრულიად პრიტიულ, დასაწყის სტადიაში, ყველა დამუშავებული ვერანა ადგილი, რომელსაც ქვეყნის გაცილებით უფრო დიდი ფართობი ეჭირა მაშინ, სულ მთლად ხვასტაგის სამოვრად იყო დარჩენილი, ამიტომ აქ მეტი ხორცი მოიპოვება, ვიდრე პური და, მაშასადამე, პური იმ სახის საზრდოს წარმოადგენს, რომლისათვის უდიდესი მოთხოვნა არსებობს და რომელსაც ამის გამო უდიდესი ფასი აქვს. როგორც ულთა გადმოგვცემს, ბუენოს-აირესში ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინათ ჩვეულებრივი ფასი ხარისა, რომელსაც აირჩევდით ორას-სამასი სულის შემცველ ჯოგში, შეადგენდა სულ ოთხ რეალს ანუ 21½ პენსს. იგი არას პურის ფასის შესახებ, ალბათ, იმიტომ, რომ ამ მხრივ საყურადღებო არა შეუნიშნავს რა. ხარი იქ, როგორც იგი ამბობს, ცოტათი იმაზე მეტად ღირს, რასაც წარმოადგენს შრომა მისი დაჭერისათვის. მაგრამ პურის მოყვანა არსად არ შეიძლება ბევრი შრომის დაუხარჯავად, და მდინარე ლა-პლატის გასწვრივ მდებარე ქვეყანაში, რომელიც იმ

დროს შეადგენდა მთავარ გზას ევროპიდან პოტოზის ვერცხლის სამადნეებისაკენ, შრომის ფულადი ფასი არ შეიძლება ყოფილიყო ძალიან იაფი. ხოლო სხვაგვარადაა საქმე, როდესაც მიწათმოქმედება ქვეყნის უდიდეს ნაწილზე ვრცელდება. მაშინ მეტი პური არის, ხორცი კი – ნაკლები. მოთხოვნა იცვლის თავის მიმართულებას, და ხორცის ფასი პურის ფასზე მეტი ხდება.

გარდა ამისა, როდესაც მიწათმოქმედება ვრცელდება, დაუმუშავებელი მიწები უკვე აღარაა საკმარისი იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ხორცის მოთხოვნა. საჭირო ხდება, რომ დამუშავებული მიწის დიდი ნაწილი დატოვებულ იქნეს ხვასტაკის გამოსაკლებად და გასასუქებლად, რომლის ფასი, ამიტომ, საკმარისი უნდა იყოს არა მარტო მისი მოვლისათვის საჭირო შრომის სასყიდლის დასაფარავად, არამედ აგრეთვე იმ რენტისა და მოგების გასასტუმრებლად, რომლების მიღება შეეძლო მემამულეს და ფერმერს ეს მიწა რომ სახნავად ყოფილიყო გამოყენებული. ყოვლად უდაბურ მიწებზე გამოზრდილი ცხოველიც მოცემულ ბაზარზე, თანატოლი წონისა და ღირებულებისამებრ, ამავე ფასში იყიდება, როგორც ის ცხოველი, რომელიც საუკეთესო კულტურულ მიწებზეა გამოზრდილი. ასეთი უდაბური ადგილების პატრონები სარგებლობენ ამით და თავიანთი მიწის რენტას ადიდებენ ამ ცხოველის ფასის შესაბამისად. ერთი საუკუნე არც კია მას შემდეგ გასული, რომ ზემო-მოტლანდიის ბევრ ადგილას ხორცი ისევე იაფი იყო, როგორც შვრიის პური, ან უფრო იაფიც. ინგლისთან შეერთების გამო ზემო-მოტლანდიის ხვასტაკს გაეხსნა ინგლისის ბაზარი. მისი ჩვეულებრივი ფასი ამჟამად სამჯერ აღემატება იმ ფასს, რომელიც ამ საუკუნის დამდეგს არსებობდა და ზემო-მოტლანდიის ბევრი მამულის რენტა ამ ხნის განმავლობაში გასამკვეცდა და გაოთხკვეცდა. ამჟამად თითქმის ყველგან დიდ ბრიტანეთში ერთი გირვანქა ორ გირვანქა საუკეთესო პურზე მეტად ღირს, ხოლო მოსავლიან წლებში იმდენივე ღირს, რამდენიც სამი ან ოთხი გირვანქა პური.

ამრიგად განვითარების მსვლელობაში იმ სამოვრებისგან მიღებული რენტა და მოგება, რომლებსაც არ განუცდია გაუმჯობესება, რაოდენადმე განისაზღვრება გაუმჯობესებული სამოვრების რენტით და მათგან მიღებული მოგებით, ხოლო ამ უკანასკნელთა რენტა და მოგება განისაზღვრება პურის წარმოებისას მიღებული რენტით და მოგებით. პური წარმოადგენს მცენარეს, რომელიც ყოველ წელიწადს მოდის; ხორცი ისეთი პროდუქტია, რომლის მოსამწიფებლად ოთხი ან ხუთი წელიწადია საჭირო. ამიტომ, რადგან აკრ მიწაზე ერთი სახის საზრდოს გაცილებით ნაკლები რაოდენობა მიიღება, ვიდრე მეორე სახისა, _ რაოდენობის ამ ნაკლებობის კომპენსაცია უნდა მიეცეს უფრო მაღალი ფასით თუ ამ კომპენსაციამ გაწონასწორების ზომას გადააჭარბა, _ მეტი საყანე მიწები იქნება სამოვრად გადაქცეული, ხოლო თუ მან ამ ზომას არ მიაღწია, საზოვრების ნაწილი საყანე მიწებად გადაიქცევა.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რენტის და მოგების თანასწორობას, რომლებიც მიიღება სამოვრებიდან და საყანე ადგილებიდან, ე. ი. ისეთი მიწებიდან, რომელთა უშუალო პროდუქტი ცხოველების საკვებს შეადგენს, და იმ მიწებოდან, რომელთა უშუალო პროდუქტი ადამინთა საზრდოს წარმოადგენს, _ ამ თანასწორობას ადგილი აქვს მხოლოდ დიდი ქვეყნის მეტი წილი კულტურული მიწების მიმართ, განსაკუთრებული ადგილობრივი პირობების არსებობისას კი საქმე სულ სხვაგვარად არის, და რენტა და მოგება სამოვრებზე გაცილებით აღემატება საყანე ადგილებისას.

ასე, დიდი ქალაქის ახლო მიდამოებში რძის და _ ცხენების საკვებად _ თივის მოთხოვნა, ისე როგორც ხორცის მაღალი ფასი, იწვევს თივის ფასის მეტად გადიდებას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ მისი ბუნებრივი შეფარდება პურთან. ცხადია,

ეს ადგილობრივი ხელსაყრელობა შეუძლებელია ვრცელდებოდეს შორს მდებარე მიწებზე.

განსაკუთრებულმა გარემოებებმა გამოიწვია ზოგ ქვეყნებში მოსახლეობის ისეთი გაზრდა, რომ მთელი მათი ტერიტორია, დიდი ქალაქის ახლოს მდებარე მიწების მსგავსად, საკმარისი აღარ დარჩა იმისათვის, რომ მათი მცხოვრებლებისთვის საჭირო თივა და პური წარმოეშვა. ამიტომ მათი მიწები უმთავრესად ბალახეულის საწარმოებლად იქნა გამოყენებული, რაც დიდი მოცულობის საქონელს წარმოადგენს და შორი მანძილიდან მოტანას ვერ იტანს, ხოლო პური, ხალხის დიდი მასის მთავარი საზრდო, უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდათ. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ამჟამად ჰოლანდია, ხოლო რომის აყვავების ეპოქაში ასეთი იყო, როგორც ეტყობა, ძველი იტალიის მდგომარეობა. კატონი უფროსი ამბობს, ციცეროს გადმოცემით, რომ მამული უდიდეს მოგებას იძლევა ხვასტაგის კარგად გამოკვებისას, ნაკლებს იძლევა მდარედ გამოკვებისას და კიდევ უფრო ნაკლებს – ცუდად გამოკვებისას. ყველაზე ნაკლებ მოგებას და სარგებლობას იძლევა, მისი სიტყვით, ხვნა-თესვა. მართლაც, ძველი იტალიის იმ ნაწილში, რომელიც რომის ახლოს მდებარეობდა, ხვნა-თესვას ძალიან ხელს უშლიდა ხალხისთვის პურის ხშირი – სრულიად უსასყიდლოდ ან ფრიად დაბალ ფასში – დარიგება. ეს პური მოჰქონდათ დაპყრობილი პროვინციებიდან, რომელთაგან ზოგნი ვალდებულნი იყვნენ, ხარკების ნაცვლად, მათი მოსავლის მეათედი ჩაებარებიათ რესპუბლიკისათვის განსაზღვრულ ფასში, დაახლოებით 6 პენსად ჩანახი. დაბალ ფასს, რადაც ამ პურს ურიგებდნენ ხალხს, აუცილებლობის გზით უნდა გამოეწვია იმ პურის ფასის დაწევა, რომელიც რომის ბაზარზე გამოდიოდა ლაციუმიდან ანუ რომის ძველ ტერიტორიიდან, და ხელი უნდა შეეშალა პურის თესვისათვის იმ ოლქში.

გაშლილ მიდამოში აგრეთვე, რომლის მთავარ პროდუქტს პური წარმოადგენს, კარგად შეღობილი საძოვარი ხშირად უფრო მაღალ რენტას იძლევა, ვიდრე რომელიმე მის ახლო მდებარე საყანე მიწა. საძოვარი საჭიროა შინაური საქონლის შესანახად, რომელიც საყანე მიწების დასამუშავებლად იხმარება, და მისი მაღალი რენტა ამ შემთხვევაში გადაიხდება არა იმდენად მისი საკუთარი პროდუქტიდან, რადმენადაც საყანე მიწების პროდუქტიდან, რომელთა დამუშავება იმ შინაური საქონლის დახმარებით სწარმოებს. ეს რენტა, ალბათ, დაეცემა, თუ გარშემო მდებარე მიწები შეღობილ იქნა. ის მაღალი რენტა, რომელსაც ამჟამად იძლევა შეღობილი მიწა შოტლანდიაში, როგორც ეტყობა იქიდან წარმოსდგება, რომ ასეთი შეღობილი მიწები იშვიათია, და იგი, ალბათ, მანამდე გასტანს, სანამ ადგილი ექნება ამ იშვიათობას. საძოვრის ხელსაყრელობა უფრო დიდია, ვიდრე საყანე მიწების შეღობვისა. ამის მეოხებით დაიზოგება შინაური საქონლის საწყესავად საჭირო შრომა, და ეს საქონელი ამასთან უკეთ იკვებება, როდესაც მას მწყემსი ან მისი ძალი არ აწუხებს.

მაგრამ, სადაც ასეთი ადგილობრივი უპირატესობა არ არსებობს, იქ, რასაკვირველია, იმ რენტამ და მოგებამ, რომლებიც პურისგან ან ხალხის სხვა ჩვეულებრივი მცენარეული საზრდოსაგან მიიღება, უნდა განსაზღვროს საძოვრების რენტა და მოგება, თუ ეს საძოვრები გამოსადეგია პურის აღმოსაგენებლად.

მოსალოდნელი იყო, რომ ხელოვნური საკვები ბალახეულის ხმარებას, – თალგამის, სტაფილოს, კომბოსტოსა და სხვებისას, რომლებსაც ხელი მიჰყვებს, რათა ტანატოლი სიდიდის მიწის ნაკვეთზე შინაური საქონლის უფრო დიდი რაოდენობა გამოეკვებათ, ვიდრე ბუნებრივი ბალახეულით შეიძლებოდა, – რაოდენადმე დაბლა უნდა დაეწია ის მაღალი ფასი, რომელიც კულტურულ ქვეყანაში ხორცს აქვს პურთან შედარებით. ეს, როგორც ჩანს, ასეც მოხდა; და არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ

ყოველ შემთხვევაში ლონდონის ბაზარზე ხორცის ფასი პურის ფასთან შეფარდებით მნიშვნელოვნად უფრო დაბალია ამჟამად, ვიდრე იყო წარსული საუკუნის დასაწყისში.

დამატებაში, რომელიც ბატონიშვილი ჰენრის ცხოვრების აღწერილობას აქვს დართული, დ-რი ბერჩი გვამლევს ცნობებს ხორცის ფასების შესახებ, რომლებსაც ჩვეულებრივ იხდიდა ბატონიშვილი. იქ ნათქვამია, რომ ხარის ოთხი მეოთხედი, წონით 600 გირვანქისა, მას უჯდებოდა 9 გირვანქა და 10 შილინგი ან დაახლოებით ამდენი, ე. ი. 31 შილინგი და 8 პენსი 100 გირვანქა. ბატონიშვილი ჰენრი გარდაიცვალა 1612 წლის 6 რიცხვით ნოემბერს, ცხრამეტი წლის ასაკში მყოფი.

1764 წლის მარტში მოხდენილ იქნა სურსათ-სანოვაგის იმდროინდელი მაღალი ფასის მიზეზების საპარლამენტო გამოკვლევა. ამასთან დაკავშირებით, სხვა მოწმეებს შორის, ერთმა ვირგინელმა ვაჭარმა ასეთი ჩვენება მისცა: რომ 1763 წლის მარტში მან თავისი გემებისათვის იყიდა ხარის ხორცი 24-25 შილინგად 100 გირვანქა, და ამ ფასს იგი ჩვეულებრივ ფასად სთვლიდა, ხოლო ამ გაძვირების წელს იმავე რაოდენობისა და ხარისხის ხორცში გადაიხადა 27 შილინგი. მაგრამ 1764 წლის ეს მაღალი ფასი 4 შილინგით და 8 პენსით უფრო იაფია იმ ფასზე, რასაც ჩვეულებრივ იხდიდა ბატონიშვილი ჰენრი; და ამასთან მხედველობაში მისაღებია, რომ აქ იგულისხმება საუკეთესო ხარის ხორცი, რომელიც ვარგა დასამარილებლად შორეული მგზავრობისათვის.

ფასი, რომელსაც ბატონიშვილი ჰენრი იხდიდა, შეადგენს 34/5 პენსს გირვანქაზე, ცუდი და საუკეთესო ნაწილების განურჩევლად; და ამ ნორმის მიხედვით უკეთესი ხარისხის ხორცის ნაჭრები წვრილ ვაჭრობაში არ შეიძლება ღირებულიყო გირვანქა 41/2 ან 5 პენსზე უფრო იაფად.

1764 წლის საპარლამენტო გამოკვლევის დროს მოწმეები აცხადებდნენ, რომ პირველი ხარისხის ხარის ხორცის საუკეთესო ნაწილების ფასი მომხმარებლისთვის შეადგენდა 4 და 41/2 პენსს გირვანქაზე, ხოლო უფრო ცუდი ხარისხისა _ შვიდი ფარტინგიდან 21/2 და 21/4 პენსს; ამასთან ისინი ამბობდნენ, _ ეს ფასი საერთოდ ნახევარი პენით უფრო ძვირია იმ ფასზე, რა ფასადაც იმავე ხარისხის ნაჭრები იყიდებოდა მარტის თვეშიო. მაგრამ ეს მაღალი ფასიც კი მნიშვნელოვნად უფრო იაფია იმ ფასზე, რომელიც, როგორც ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, ჩვეულებრივ არსებობდა წვრილ ვაჭრობაში ბატონიშვილი ჰენრის დროს.

წარსული საუკუნის პირველი თორმეტი წლის განმავლობაში საუკეთესო ხორბლის საშუალო ფასი ვინდზორის ბაზარზე შეადგენდა 1 გირვანქა 18 შილინგს და 31/6 პენსს 9 ვინჩესტერული ბუშელის შემცველი კვარტერისათვის. ხოლო 12 წლის განმავლობაში 1764 წლამდე (ამ წლის ჩათვლით) საუკეთესო ხორბლის ასეთივე რაოდენობის საშუალო ფასი იმავე ბაზარზე იყო 2 გირვ. 1 შილ და 91/2 პენსი.

ამრიგად, გამოდის, რომ წარსული საუკუნის პირველი თორმეტი წლის განმავლობაში ხორბალი მნიშვნელოვნად უფრო იაფი იყო და ხორცი მნიშვნელოვნად უფრო ძვირი, ვიდრე იმ თორმეტი წლის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა 1764 წელს (ამ წლის ჩათვლით).

ყველა დიდ სახელმწიფოში დამუშავებული მიწების უდიდესი ნაწილი გამოყენებულია საზრდოს საწარმოებლად ადამიანისათვის ან ცხოველებისათვის. რენტა და მოგება, რომლებიც ამ მიწებიდან მიიღება, განსაზღვრავს იმ მიწების რენტას და მოგებას, რომლებიც სხვა კულტურებისთვისაა გამოყენებული. თუ რომელიმე ცალკეული პროდუქტი ნაკლები რენტისა და მოგების მომცემი იქნებოდა, იმ შემთხვევაში ის მიწა, რომელზედაც იგი მოიყვანება, საყანედ ან სამოვრად

იქნებოდა გამოყენებული, ხოლო თუ მეტი რენტისა და მოგების მომცემი იქნებოდა, – საყანე საზოვარი მიწების ნაწილი მალე ამ პროდუქტის საწარმოებლად იქნებოდა გამოყენებული.

მართალია, ის პროდუქტები, რომელნიც მოითხოვენ უფრო დიდ თავდაპირველ ხარჯებს მიწის გასაუმჯობესებლად ან უფრო დიდ ყოველწლიურ ხარჯებს მის დასამუშავებლად, თითქოს იძლევიან ჩვეულებრივ – პირველნი უფრო მაღალ რენტას და მეორენი უფრო მაღალ მოგებას, ვიდრე საყანე ან საძოვარი ადგილები. მაგრამ რენტის ან მოგების ეს გარდამეტი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღემატება ზომიერ სარგებელს ან ანაზღაურებას აღნიშნული დამატებითი ხარჯებისათვის.

ასე, სვიის პლანტაცია, ხეხლისი ბაღი, ბოსტანი ჩვეულებრივ აზღვევს მემამულეს უფრო მაღალ რენტას და ფერმერს – უფრო მაღალ მოგებას, ვიდრე საყანე ადგილი ან საძოვარი. მაგრამ ამისთვის მიწის სათანადო მომზადება მოითხოვს მეტ ხარჯებს; აქედან – ის უფრო მაღალი რენტა, რომელიც უნდა ერგოს მემამულეს. მეორე მხრივ, ისინი მოითხოვენ მეტი გულისყურით და დახელოვნებით მოვლას, რითაც განისაზღვრება ფერმერის უფრო მაღალი მოგება. და მოსავალიც, ყოველ შემთხვევაში სვიის და ხეხილისა, უფრო საეჭვო არის, და ამიტომ პროდუქტის ფასი ამ შემთხვევაში, ყველა შემთხვევითი ზარალის ანაზღაურების გარდა, უნდა შეიცავდეს აგრეთვე ერთგვარ სადაზღვევო მოგებას. მეზღვევის ცხოვრების დონე, ჩვეულებრივად საშუალო და ყოველთვის ზომიერი, გვიმტკიცებს, რომ როგორც საერთო წესი, მათი დიდი დახელოვნება არ ჯილდოვდება ზომაზე მეტად. ამ სამ ხელოვნებას მრავალი მდიდარი ადამიანი ეწევა გასართობად, რის გამო ის პირნი, რომელნიც მოგების გულისათვის ადგანან ამ საქმეს, მცირე სარგებლობას პოულობენ მით: ის ადამიანები, რომელნიც მათი საუკეთესო მუშტრები უნდა ყოფილიყვნენ, თვითონ იმარაგებენ თავს მათი უძვირფასესი პროდუქტებით.

ის სარგებლობა, რომელსაც იღებს მემამულე მიწის ასეთი გაუმჯობესებისაგან, როგორც ეტყობა, არასოდეს არ აღემატება ამ გაუმჯობესებისათვის საჭირო თავდაპირველი ხარჯების ანაზღაურებას. ძველი დროის სასოფლო მეურნეობაში კარგი სარწყავი ბოსტანი, როგორც ეტყობა, ვენახთან ერთად, ითვლებოდა უდიდესად ღირებული პროდუქტის მომცემ ნაწილად მამულისა. მაგრამ დემოკრიტე, რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ წერდა სასოფლო მეურნეობის შესახებ და ძველების მიერ ამ ხელოვნების ერთ-ერთ მამათმთავრად ითვლებოდა, ფიქრობდა, – ჭკვიანურად არ იქცევა ის, ვინც ბოსტანს ღობავსო. მოგებაო, სწერდა იგი, არ აანაზღაურებს ქვის გალავნის ხარჯებს, აგური კი (მას, როგორც მე ვფიქრობ, მხედველობაში ჰქონდა მზეზე გამხმარი აგური) დაიშლება წვიმის ზეგავლენით და ზამთრის ქარების გამო და მუდამ შეკეთება დასჭირდებაო. კალუმელა, რომელიც დემოკრიტეს ამ აზრს გადმოგვცემს, არ ეწინააღმდეგება მას, არამედ იძლევა შელობვის ფრიად ეკონომიურ მეთოდს ქაცვის და ასკილის ღობის საშუალებით, რომლის შესახებ ამბობს იგი_გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ იგი გამძლე და გაუვალ ღობეს წარმოადგენსო, მაგრამ რომელიც, როგორც ეტყობა, დემოკრიტეს დროს არ ყოფილა საყოველთაოდ ცნობილი.. პალადიუსი ემხრობა კალუმელას აზრს, რომელიც წინათ კიდევ ვარროს მიერ იყო მოწონებული. ამრიგად, ამ ძველ სოფლის მეურნეთა აზრით, ბოსტნის პროდუქტი, როგორც სჩანს, მხოლოდ მცირეოდენით აღემატება, იმას, რაც საჭიროა არაჩვეულებრივი დამუშავებისა და მორწყვის ხარჯების ასანაზღაურებლად; ამ სამხრეთის ქვეყნებში იმ ხანად, ისე როგორც ამჟამად, მიზანშეწონილად ითვლებოდა ადამიანს ჰქონოდა თავის განკარგულებაში

წყლის ნაკადი, რომელიც შეიძლება იყოს მიშვებული ყოფილიყო ბოსტნის ყოველ კვალზე. დღესაც მეტწილად ევროპაში იმ აზრის არიან, რომ ბოსტანს კალუმელას მიერ აღნიშნულზე უკეთესი ღობე არ შეჰფერის. დიდ ბრიტანეთში და ზოგ სხვა ჩრდილოეთის ქვეყანაში უფრო სათუთი ხილეული არ შეიძლება საუკეტესოდ მოყვანილ იქნეს, თუ არ კედლის შემოვლების საშუალებით. ამიტომ მისი ფასი ამ ქვეყნებში, სადაც ასეთი კედლები აუცილებელი არის, საკმარისი უნდა იყოს იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებიც საჭიროა ამ კედლების აგებისა და წესიერ მდგომარეობაში შენახვისათვის. ხილის ბაღის კედელს შიგნით ხშირად მოქცეულია აგრეთვე ბოსტანი, და ეს ბოსტანი, ამრიგად, სარგებლობს ღობით, რომლის ხარჯების გადახდა იშვიათად შეუძლია მის საკუთარ პროდუქტს.

რომ ჯეროვნად გაშენებული და საუკეთესოდ მოვლილი ვენახი მამულის უძვირფასეს ნაწილს შეადგენს, ეს, როგორც ეტყობა, უცილობელ პრინციპად იყო მიჩნეული ძველს სასოფლო მეურნეობაში, ისე როგორც იგი ასეთად არის მიჩნეული ამჟამადაც ყველა ღვინის მწარმოებელ ქვეყანაში. მაგრამ, როგორც ჩვენ კალუმელასაგან ვტყობილობთ, ძველი იტალიის სოფლის მეურნეობისათვის სადავო საკითხს შეადგენდა, ხელსაყრელია თუ არა ახალი ვენახის გაშენება. თვითონ იგი, როგორც მოყვარული ყოველი კულტურისა, რომელიც გულმოდგინებით მოვლას მოითხოვს, თავის აზრს გამოსთქვამს ვენახის სასარგებლოდ და ცდილობს, მოგებისა და ხარჯების შედარებით, დაამტკიცოს, რომ ვენახი ყველაზე უფრო ხელსაყრელ კულტურას წარმოადგენს. მაგრამ ასეთი შედარებები მოგების და ხარჯებისა ახალი პროექტების შემთხვევაში ჩვეულებრივ ძალიან მცდარია, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობაში. სინამდვილეში ასეთ ნარგავობათაგან მიღებული მოსავლები რომ ისე დიდი იყოს, როგორც ეს მას ჰქონდა წარმოდგენილი, მაშინ ხომ დავაც აღარ იქნებოდა ამ საკითხის გამო. ხოლო ეს საკითხი დღესაც ხშირად კამათის საგანს შეადგენს ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში მწერლები, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ სწერენ, უმადლესი კულტურების მოყვარულნი და მომხრენი, საერთოდ, როგორც ეტყობა, კოლუმელას მხარეზე იხრებიან და აზრს ვენახის სასარგებლოდ გამოსთქვამენ. საფრანგეთში ძველი ვენახების მესაკუთრეების მისწრაფება: რომ ხელი შეუშალოს ახალი ვენახების გაშენებას, თითქოს ამტკიცებს მათ აზრს და მაჩვენებელია იმისა, რომ ადამიანები, რომელთაც ეს უნდა იცოდნენ საკუთარი გამოცდილებით, სცნობენ, რომ კულტურის ეს სახე ამჟამად იმ ქვეყანაში უფრო ხელსაყრელია, ვიდრე რომელიმე სხვა სახის კულტურა. მაგრამ ამასთან ერთად ეს, თითქოს მაჩვენებელია მეორე აზრისაც: რომ ასეთი უფრო მაღალი მოგება შესაჩლებელია არსებობდეს მხოლოდ მანამდე, სანამ არსებობს კანონები, რომელნიც ამჟამად ზღუდავენ თავისუფალ მევენახეობას. 1731 წელს ვენახების მესაკუთრეებმა მოახერხეს სახელმწიფო საბჭოსათვის გამოეცემინებოდა ბრძანება, რომელთაც აკრძალულ იქნა როგორც ახალი ვენახების გაშენება, ისე იმ ძველი ვენახების განახლება, რომლების დამუშავება შეწყვეტილი იყო ორი წლის განმავლობაში; ახლის გაშენება და ძველის განახლება შეიძლება მხოლოდ მეფის სპეციალური ნებართვით, რაც გაიცემოდა პროვინციის ინტენდანტის მოხსენების საფუძველზე, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან გამოიკვლია განსაზღვრული მიწის ნაკვეთი და ჰპოვა, რომ ეს უკანასკნელი არ ვარგა რაიმე სხვა კულტურისათვის. ამ ბრძანების მოტივად აღნიშნავდნენ პურის და საკვები ბალახეულის ნაკლებობას და ღვინის და ღვინის მოჭარბებულობას. მაგრამ ამ მოჭარბებულობას რომ მართლა ჰქონებოდა ადგილი, იგი, სახელმწიფო საბჭოს ყოველი ბრძანების გარეშე, თვით გამოიწვევდა ახალი ვენახების გაშენების შეწყვეტას

მით, რომ კულტურის ამ დარგის მოგებას მის ბუნებრივ დონეზე დაბლა დასწევდა საყანე მიწებისა და საძოვრებისაგან მისაღებ მოგებასთან შედარებით. რაც შეეხება ვენახების გამრავლებით გამოწვეულ პურის ნაკლებობას, საფრანგეთში არსად ისე გულდასმით არ ეწევიან პურის მოყვანას, როგორც მეღვინეობის პროვინციებში, რამდენადაც მიწა გამოსადეგია იმ კულტურისათვის, -ასე, მაგალითად, ბურგუნდიაში, გიენაში და ზემო-ლანგედოკში. მუშების სიმრავლე, რომელნიც კულტურის ერთ დარგში მოსაქმეობენ, აუცილებლობის გზით ხელს უწყობს მეორე დარგის განვითარებას, რადგან ჰქმნის მზა ბაზარს უკანასკნელის პროდუქტისათვის. იმ პირთა რიცხვის შემცირება, რომელთაც ძალუბთ პურის ფასის გადახდა, უეჭველად წარმოადგენს ფრიად უვარგის საშუალებას პურის მოყვანისთვის ხელის შესაწყობად. ეს იმ პოლიტიკის მსგავსია, რომელიც სასოფლო მეურნეობისთვის ხელისშეწყობას მოინდომებდა მით, რომ დაბრკოლებას შეუქმნიდა მანუფაქტურების განვითარებას.

ყველა ზემონათქვამის გამო, რენტა და მოგება იმ კულტურებისგან, რომელნიც მოითხოვენ ან უფრო დიდ თავდაპირველ ხარჯებს მათთვის მიწის მოსამზადებლად ან უფრო დიდ ყოველწლიურ ხარჯებს დასამუშავებლად, თუმცა ხშირად ძალიან აღემატება იმ რენტას და მოგებას, რომლებიც პურის მოყვანით ანდა საძოვრებისგან მიიღება, მაგრამ მაინც ისინი, თუ მარტოდენ ანაზღაურებენ აღნიშნულ არაჩვეულებრივ ხარჯებს, სინამდვილეში იმ რენტით და მოგებით განისაზღვრებიან, რომლებიც ამ უფრო გავრცელებული მცენარეებისგან მიიღება.

მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ მიწის ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება რაიმე განსაკუთრებული კულტურისათვის იქნეს გამოყენებული, ძალიან მცირეა ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მთელი პროდუქტი შეიძლება გაყიდულ იქნეს იმ პირებზე, რომელნიც მზად არიან გაიღონ მასში რაოდენადმე იმაზე მეტი, რაც საკმარისი არის მთელი რენტის, ხელფასისა და მოგების გასასტუმრებლად, რომლებიც საჭიროა პროდუქტის საწარმოებლად და ბაზარზე მის გასატანად, ხელფასის, მოგებისა და რენტის ბუნებრივი ნორმების შესაბამისად, რომლებიც არსებობს მეტი წილი სხვა დამუშავებული მიწებისათვის. ფასის გარდამეტი, რომელიც რჩება მიწის გაუმჯობესებისა და დამუშავების ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ, ამ შემთხვევაში_და მხოლოდ ამ შემთხვევაში_შესაძლებელია ჩვეულებრივ არ იმყოფებოდეს არავითარ რეგულარ შეფარდებაში ასეთსავე გარდამეტთან, რომელიც მიიღება საყანე და საძოვარი ადგილებისგან, არამედ შესაძლებელია აღემატებოდეს მას თითქმის ყოველგვარი ზომით; და ამ გარდამეტის უდიდესი ნაწილი, რასაკვირველია, მიდის მემამულის რენტის წილად.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვეულებრივ და ბუნებრივ შეფარდებას, მაგალითად, მეღვინეობის რენტისა და მოგებისა და იმ რენტის და მოგებას შორის, რომლებიც საყანე და საძოვარი მიწებისგან მიიღება, ადგილი აქვს მხოლოდ იმ ვენახების მიმართ, რომელნიც თითქმის ყველგან კარგ ჩვეულებრივ ღვინოს იძლევიან, როგორც შეიძლება მიღებულ იქნეს თითქმის ყველგან ყოველ მსუბუქ, ხრეშიან ან ქვიშნარ ნიადაგზე და რომლის საქებრად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი მაგარია და ჯანმთელობისათვის მარგებელი. მხოლოდ ასეთი ვენახების მიმართ შეუძლია ჩვეულებრივ ნიადაგს კონკურენციის გაწევა; ვინაიდან, ცხადია, სპეციალურ ნიადაგზე გაშენებული ვენახების მიმართ მას ის არ შეუძლია.

ნიადაგის სხვადასხვაობას უფრო მეტი ზეგავლენა აქვს ღვინოს ხარისხზე, ვიდრე რომელიმე სხვა ნაყოფის ხარისხზე. ზოგი ნიადაგი ღვინოს აძლევს ისეთ სურნელებას, რომლის მიღება სხვა ნიადაგზე არ შეიძლება არავითარი დამუშავებით,

არც მოვლით. ასეთი სურნელება_ნამდვილი თუ წარმოდგენაში არსებული_ზოგჯერ აქვს მცირერიცხოვანი ვენახების პროდუქტს, ზოგჯერ_პატარა რაიონის მეტი წილი ვენახების ღვინოს, ზოგჯერაც ამ თვისებით განირჩევიან დიდი პროვინციის მნიშვნელოვანი ნაწილის ვენახები. ასეთი ღვინოების მთელი რაოდენობა, რომელიც ბაზარზე გამოდის, არ ფარავს ნაღვილ მოთხოვნას ანუ იმ პირთა მოთხოვნას, რომელნიც მზად არიან გადაიხადონ მთელი რენტა, მოგება და ხელფასი, რომლებიც აუცილებელია ამ ღვინოების დასამზადებლად და ბაზარზე გამოსატანად, გადაიხადონ ხელფასის, მოგებისა და რენტის ბუნებრივი ნორმების შესაბამისად, ე. ი. იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც არსებობს ჩვეულებრივი ვენახებისათვის. ამიტომ მთელი ეს რაოდენობა შეიძლება გაყიდულ იქნეს იმათზე, ვინც მზად არიან აღნიშნულზე მეტი გადაიხადონ ამ ღვინოებში, ხოლო ეს აუცილებლად იწვევს ამ უკანასკნელთა ფასის აწევას, ჩვეულებრივი ღვინის ფასთან შედარებით. ფასის სხვაობა მეტიაან ნაკლებია იმის მიხედვით, თუ რამდენად მოცემული ღვინის პოპულარობა და მისი ნაკლებობა მეტნაკლებ ამწვავებს მომხმარებელთა კონკურენციას. ასეა თუ ისე, ამ სხვაობის მეტი წილი მემამულეს ხვდება რენტად. ვინაიდან: თუმცა ასეთი ვენახები უფრო გულმოდგინედ დამუშავებას მოითხოვენ, ვიდრე დანარჩენთა უმრავლესობა, მაგრამ მაინც ღვინის მაღალი ფასი, როგორც სჩანს, იმდენად შედეგი არაა, რამდენაც მიზეზია ასეთი გულმოდგინე დამუშავებისა. ასეთი ძვირფასი პროდუქტის შემთხვევაში ზარალი, რომელიც მოუვლელივით წარმოსდგება, იმდენად დიდი არის, რომ მეტად დაუდევარ ადამიანებსაც აიძულებს ყურადღებებიტ მოექცნენ საქმეს. ამიტომ ამ მაღალი ფასის პატარა ნაწილი საკმარისია იმ დამატებითი შრომის გასასტუმრებლად, რომელიც ასეთ კულტურაზე დაიხარჯა, და იმ დამატებითი კაპიტალის მოგების გასასტუმრებლად, რომელმაც ეს შრომა მოძრაობაში მოიყვანა.

ევროპის სახელმწიფოებისადმი კუთვნილი კოლონიები ვესტ-ინდოეთში, რომელნიც შექარს აწარმოებენ, ამ ძვირფას ვენახებს შეიძლება შევადაროთ. ამ კოლონიების მთელი პროდუქტი საკმარისი არაა ევროპის ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და მთლად იგი შეიძლება გაყიდულ იქნეს იმ პირებზე, რომლებიც მზად არიან გადაიხადონ იმაზე მეტი, რაც საკმარისია იმ პროდუქტის წარმოებისა და მისი ბაზარზე მოტანისათვის აუცილებელი რენტის, მოგებისა და ხელფასის გასასტუმრებლად იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც ადგილი აქვს ყოველი სხვა პროდუქტის წარმოებისას. კოხინხინაში საუკეთესო შექარი იყიდება ჩვეულებრივ პიასტრად კვინტალი ანუ დაახლოებით 13 შილინგად და 6 პენსად ჩვენს ფულზე, როგორც ამას გადმოგვცემს ბ-ნი პუავრი,¹ იმ ქვეყნის სასოფლო მეურნეობის ფრიად დაკვირვებული მეთვალყურე. იქაური კვინტალი იწონის 150_200 პარიზულ გირვანქას ანუ, საშუალოდ, 175 პარიზულ გირვანქას, რაც დაახლოებით შეადგენს 8 შილინგს 100 ინგლისური გირვანქისათვის; ეს ფასი იმის მეოთხედსაც არ შეადგენს, რასაც ჩვეულებრივ იხდიან ჩვენი კოლონიებიდან შემოზიდულ მუქ შექარში ანუ “მუსკავადში”, არ შეადგენს იმის მეექვსედსაც, რასაც იხდიან საუკეთესო თეთრ შექარში. დამუშავებული მიწის უდიდესი ნაწილი კოხინხინაში გამოყენებულია პურისა და ბრინჯის საწარმოებლად., რომელიც შეადგენს ხალხის მთავარი მასის საზრდოს. პურის, ბრინჯისა და შექარის სათანადო ფასებს იქ, ალბათ, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ბუნებრივი შეფარდება, რომელიც ბუნებრივად მყარდება მეტი წილი დამუშავებული მიწების სხვადასხვა მცენარეებს შორის და რომელიც მემამულეს და

¹ Poivre, Voyages d'un philosophe.

ფერმერს უნაზღაურებს დაახლოებით ჩვეულებრივ ხარჯებს, გაწეულს თავდაპირველი გაუმჯობესებისათვის და ყოველწლიურად გაწეულს დამუშავებისათვის, მაგრამ ჩვენს შაქრის მწარმოებელ კოლონიებში, პირიქით, შაქრის ფასი არავითარ ასეთ შეფარდებაში არ იმყოფება ბრინჯის ან პურის მინდვრების პროდუქტის მიმართ ევროპასა და ამერიკაში. ჩვეულებრივ ამბობენ, შაქრის პლანტატორს იმის იმედი აქვს, რომ რომი და ბადაგი დაჰფარავს მისი პლანტაციის ხარჯებს, ხოლო შაქარი მას წმინდა მოგებად დარჩება. ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ლონდონსა და სხვა სავაჭრო ქალაქებში ვაჭართა კომპანიები ყიდულობენ ჩვენს შაქარს მწარმოებელ კოლონიებში უდაბურ ადგილებს, რომელთა გაუმჯობესებას და მოგებით დამუშავებას ფიქრობენ მოურავების და აგენტების საშუალებით, მიუხედავად იმ მიწების დიდი სიმორისა და შემოსავლის მიღების არასაიმედობისა დეფექტური სამართლის გამო, რასაც ადგილი აქვს იმ ქვეყნებში, არავინ არ მოინდომებს გააუმჯობესოს და დაამუშაოს ამგვარად უნაყოფიერესი მიწები შოტლანდიაში, ირლანდიაში ან ჩრდილო-ამერიკის პურის მწარმოებელ პროვინციებში, თუმცა ამ ქვეყნებში, უფრო მკაცრი მართმსაჯულების არსებობის გამო, შემოსავლის უფრო რეგულარულად მიღების იმედი შეუძლია ჰქონდეს ადამიანს.

ვირჯინიასა და მერილენდში თამბაქოს მოყვანას უპირატესობას აკუთვნებენ პურთან შედარებით, იმიტომ რომ იგი უფრო ხელსაყრელი არის. თამბაქო სარგებლობით შეიძლება მოყვანილი იქნეს ევროპის უდიდეს ნაწილში, მაგრამ თითქმის ყველგან ევროპაში იგი დაბეგვრის მთავარ საგნად გადაიქცა, და გავრცელებული იყო. ის აზრი, რომ ხარკის აკრეფა თითოეული ცალკე ფერმისგან, სადაც ეს მცენარე მოიყვანება, უფრო ძნელი იქნებოდა, ვიდრე ხარკის აღება საბაჟოში თამბაქოს შემოტანისას. ამის გამო თამბაქოს მოყვანა აკრძალულ იქნა ყოვლად უგუნურად ევროპის უდიდეს ნაწილში, რაც აუცილებლად ერთგვარ მონოპოლიას უქმნის იმ ქვეყნებს, სადას თამბაქოს მოყვანა ნებადართული არის; და რადგან ვირჯინია და მერილენდი თამბაქოს უდიდეს რაოდენობას აწარმოებენ, ისინი ფართოდ სარგებლობენ ამ მონოპოლიის ხელსაყრელობით, თუმცა იძულებულნი არიან ეს სარგებლობა გაუყონ ზოგიერთ კონკურენტებსაც, მაგრამ მაინც თამბაქოს მოყვანა, როგორც ეტყობა, ისე ხელსაყრელი არაა, როგორც შაქრის წარმოება. მე არასოდეს არ გამიგონია არც ერთ თამბაქოს პლანტაციაზე, რომელიც დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ვაჭრების კაპიტალით იყოს გამართული და დამუშავებული, და ჩვენი თამბაქოს მწარმოებელი კოლონიები არ გვიგზავნიან მეტროპოლიაში ისეთ მდიდარ პლანტატორებს, რომლებსაც ჩვენ ხშირად ვხედავთ მოსულებს ჩვენი შაქრის მწარმოებელი კუნძულებიდან. თუმცა ის უპირატესობა, რომელსაც ამ კოლონიებში თამბაქოს მოყვანას აკუთვნებენ პურის მოყვანასთან შედარებით, თითქოს იმას მოწმობს, რომ ევროპის ნამდვილი მოთხოვნა თამბაქოს მიმართ სავსებით არ იფარება, მაგრამ მაინც ეს მოთხოვნა, ალბათ, უფრო ახლოსაა სავსებით დაკმაყოფილებასთან, ვიდრე შაქრის მოთხოვნა. და თუმცა თამბაქოს ახლანდელი ფასი, ალბათ, საკმარისზე მეტიცაა მისი წარმოებისა და ბაზარზე გატანისათვის საჭირო რენტის, ხელფასისა და მოგების გასასტუმრებლად იმ ნორმის მიხედვით, რომელიც მათთვის არსებობს პურის მწარმოებელ ქვეყანაში, მაგრამ მაინც იგი იმდენად არ აღემატება ამ დონეს, როგორც შაქრის ახლანდელი ფასი. იმიტომ ბევრმა მეთამბაქოეებმა ისეთივე შიში გამოიჩინეს თამბაქოს სიჭარბის გამო, როგორც ძველი ვენახების პატრონებმა საფრანგეთში ღვინის სიჭარბის გამო. წარმომადგენელთა პალატის მიერ გამოცემული აქტის გზით მათ თამბაქოს პლანტაცია შეჰკვეციეს ექვს ათას ძირამდე იმ ვარაუდით,

რომ თითოეულ ზანგზე 16-დან 60 წლამდე ასაკისა მიღებულ იქნას ათასი გიტვანქა თამბაქო. ასეთ ზანგს, მათი ანგარიშით, თამბაქოს ამ რაოდენობის გარდა, შეუძლია კიდევ ოთხი აკრი სიმინდის დამუშავება. გარდა ამისა, ბაზრის დასაცავად ზომაზე მეტად პროდუქტით გავსებისაგან ისინი, დ-რ დუგლასის¹ სიტყვით (მე მგონია, რომ მას არა აქვს სწორი ინფორმაცია), ზოგჯერ მოსავლიან წლებში სწავდნენ თამბაქოს განსაზღვრულ რაოდენობას თითოეული ზანგის წილად, როგორც ამას – ამბობენ – ჰოლანდიელები სჩადიოდნენ სანელებლების მიმართ. თუ ესოდენ ძალადობითი მეთოდებია საჭირო იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნეს თამბაქოს ახლანდელი ფასი, მაშ, ალბათ, დიდხანს ვერ გაგრძელდება თამბაქოს მოყვანის უპირატესობა პურის წარმოებასთან შედარებით, თუ საერთოდ ასეთ უპირატესობას აქვს ადგილი.

ამრიგად, იმ დამუშავებული მიწების რენტა, რომლების პროდუქტი ადამიანთა საზრდოს შეადგენს, განსაზღვრავს მეტი წილი დამუშავებული მიწების რენტას. არც ერთ განსაკუთრებულ პროდუქტს არ შეუძლია ხანგრძლივად ნაკლები რენტის მოცემა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მიწა დაუყოვნებლივ სხვა კულტურისათვის იქნება გამოყენებული; და თუ რომელიმე სპეციალური პროდუქტი ჩვეულებრივ მეტ რენტას იძლევა, ეს ხდება იმიტომ, რომ მიწის რაოდენობა, რომელიც შეიძლება მისთვის იქნეს გამოყენებული, ნამეტნავად პატარა არის ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ევროპაში პური წარმოადგენს მიწის მთავარ პროდუქტს, რომელიც ადამიანის უშუალო საზრდოს შეადგენს. ამიტომ ევროპაში თუ განსაკუთრებულ პირობებს მხედველობაში არ მივიღებთ, საყანე მიწების რენტა განსაზღვრავს ყველა სხვა დამუშავებული მიწის რენტას. ბრიტანეთს არ უნდა შეშურდეს არც საფრანგეთის ვენახები და არც იტალიის ზეთისხილის პლანტაციები. ამ უკანასკნელთა ღირებულება განსაკუთრებული პირობების გამოკლებით, განისაზღვრება საყანე მიწების ღირებულებით; ხოლო ამ მიწების ნაყოფიერება ინგლისში ბევრით არ ჩამოუვარდება ასეთივე მიწების ნაყოფიერებას საფრანგეთსა გინდ იტალიაში.

თუ რომელსამე ქვეყანაში ყველაზე უფრო გავრცელებულ და ხალხის მიერ ხმარებულ საზრდოს იძლევა მცენარე, რომელიც ჩვეულებრივ ნიადაგზე აღმოცენდება ბევრად უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე პური უნაყოფიერეს ადგილზე, ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი დამუშავების გაწევსას, იმ შემთხვევაში მემამულის რენტა ანუ საზრდოს ის გარდამეტი, რომელიც მას დარჩება შრომის სასყიდლის გადახდისა და ფერმერის კაპიტალის – ჩვეულებრივი მოგებითურთ – ანაზღაურების შემდეგ, აუცილებლად გაცილებით უფრო დიდი იქნება. როგორც უნდა იყოს ნორმა, რომლის მიხედვით ამ ქვეყანაში შრომას შესაძლებელია ეძლევა, ეს გარდამეტი ყოველთვის შრომის მეტ რაოდენობას შეინახავს და, მაშასადამე, მემამულეს მისცემს შესაძლებლობას იყიდოს ანუ თავის განკარგულებაში მიიღოს შრომის უფრო დიდი რაოდენობა. აუცილებლად გაცილებით უფრო დიდი იქნება რენტის რეალური ღირებულება, მემამულის რეალური სიმდიდრე და ავტორიტეტი, მის მიერ ფლობა არსებობის და კომფორტისათვის საჭირო საგნებისა, რომელთა მისთვის მიცემა შეუძლია სხვა ადამიანთა შრომას.

საბრინჯე მინდორი საზრდოს უფრო დიდ რაოდენობას იძლევა, ვიდრე უნაყოფიერესი საპურე მიწა, როგორც ამბობენ, აკრზე ჩვეულებრივ ორ მოსავალს იღებენ წელიწადში, თითოს 30-დან 60 ბუშელამდე, თუმცა ბრინჯის მოყვანა მეტ შრომას მოითხოვს, – მაინც, ამ შრომის შენახვის ხარჯების დაფარვის შემდეგ,

¹ Douglas's Summary, vol. II, p. 372, 373.

გაცილებით უფრო დიდი გარდამეტი რჩება. იმ ქვეყნებში, სადაც ბრინჯი მოჰყავთ და ეს ბრინჯი საყოველთაო და საუპირატესო მცენარეულ საზრდოს შეადგენს ხალხისათვის და სადაც მიწათმომქმედნი უმთავრესად ბრინჯით იკვებებიან, მემამულეები ამ გარდამეტის უფრო დიდ ნაწილს იღებენ, ვიდრე პურის მწარმოებელ ქვეყნებში. კაროლინაში, სადაც, ისე როგორც ბრიტანეთის სხვა კოლონიებშიც, პლანტატორები ჩვეულებრივ ფერმერები და იმავე დროს მემამულეებიც არიან და სადაც, ამიტომ, რენტა მოგებაში შეირევა ხოლმე, ბრინჯის მოყვანას უფრო ხელსაყრელად სთვლიან, ვიდრე პურის მოყვანას, თუმცა საბრინჯე მინდვრები ერთ მოსავალს იძლევიან წელიწადში და თუმცა, გაბატონებული ჩვეულების გამო, ბრინჯი აქ არ წარმოადგენს ხალხის საყოველთაო და საუპირატესო საზრდოს.

კარგი საბრინჯე მინდორი მთელი წლის განმავლობაში წარმოადგენს ჭაობს, ხოლო წლის ერთი სეზონის განმავლობაში – წყლით დაფარულ ჭაობს. იგი გამოსადეგი არაა არც პურისათვის, არც სამოვრისათვის, არც ვენახისათვის ან რაიმე სხვა მცენარეული პროდუქტისათვის, რომელიც შესაძლებელია ძალიან სასარგებლო იყოს ადამიანისათვის; და მიწები, რომლებიც გამოსადეგია ამ მიზნებისათვის, გამოსადეგი არაა ბრინჯისათვის. ამიტომ, ბრინჯის მწარმოებელ ქვეყნებშიც კი, საბრინჯე მინდვრების რენტა არ შეიძლება განსაზღვრავდეს დანარჩენი დამუშავებული მიწების რენტას, რომელნიც ვერასოდეს ვერ გამოიყენებიან ბრინჯის საწარმოებლად.

საზრდოს რაოდენობა, რომელსაც კარტოფილის მინდორი იძლევა, არ ჩამოუვარდება იმ რაოდენობას, რომელსაც იძლევა ბრინჯის მინდორი, და მნიშვნელოვნად აღემატება იმას, რასაც პურის მინდორი იძლევა. 12 000 გირვანქა კარტოფილი ერთ აკრ მიწაზე არ წარმოადგენს უფრო დიდ მოსავალს, ვიდრე 2 000 გირვანქა ხორბალი. ნამდვილ მასაზრდოებელ ნივთიერებათა რაოდენობა, რომელიც შესაძლებელია გამოღებულ იქნეს ამ ორი მცენარიდან, სრულიადაც პროპორციული არაა მათი წონისა, ვინაიდან კარტოფილი ბევრი წყლის შემცველი არის. მაგრამ თუ ჩვენ წყალს ამ ძირნაყოფში მისი წონის ნახევრად ჩავთვლით, – და ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ბევრს ვანგარიშობთ, – მაინც გამოვა, რომ ერთი აკრი ასეთი კარტოფილის მინდორი იძლევა 6 000 გირვანქა ნამდვილ საზრდოს, ე. ი. სამჯერ იმაზე მეტს, რასაც იძლევა ერთი აკრი პურის მინდორი. აკრი კარტოფილის მინდვრის დამუშავება ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს, ვიდრე აკრი პურის მინდვრისა, ვინაიდან მიწის დასვენება, რაც ჩვეულებრივ წინ უძღვის პურის თესვას, სიჭარბით აწონანასწორებს კარტოფილისათვის საჭირო დაბარვას მიწისას და ყველა სხვა განსაკუთრებულ მუშაობას, რომელიც კარტოფილის კულტურას სჭირდება. თუ ეს ძირნაყოფი ოდესმე ევროპის რომელსამე ნაწილში ხალხის საყოველთაო და საუპირატესო მცენარეულ სარჩოდ იქცა, ბრინჯის მსგავსად ზოგ ქვეყანებში, ასე რომ მან დამუშავებული მიწის იგივე ნაწილი დაიჭირა, რაც ამჟამად ცხორბალს და სხვა პურეულს უჭირავს, რომელიც ადამიანთა საზრდოს შეადგენს, მაშინ დამუშავებული მიწის იგივე ფართობი ადამიანთა გაცილებით მეტ რაოდენობას მისცემს სარჩოს. და რადგან მუშების საზრდო მეტწილად კარტოფილი იქნებოდა, ამიტომ უფრო დიდი გარდამეტი დარჩებოდა ხოლმე მთელი კაპიტალის ანაზღაურებისა და კარტოფილის დამუშავებაზე მოსაქმე მუშების მთელი შესანახის დაფარვის შემდეგ. ამასთან ამ გარდამეტის უდიდესი ნაწილი მემამულეს ხვდებოდა წილად. მოსახლეობა გაიზრდებოდა, და რენტა იმ დონეზე გაცილებით მაღლა აიწევდა, რომელზედაც ახლა დგას.

კარტოფილისათვის გამოსადეგი მიწა გამოსადეგია თითქმის ყველა სხვა სასარგებლო მცენარეულისათვის. თუ კარტოფილმა დამუშავებული მიწის ისეთსავე ნაწილი დაიჭირა, როგორც დღეს პურს უჭირავს, იგი ამგვარადვე განსაზღვრული იქნება მეტწილ სხვა დამუშავებული მიწების რენტისა.

როგორც გადმომცეს, ლანკაშირის ზოგ ადგილებში ამტკიცებენ, რომ შვრიის ფქვილის პური უფრო სად საზრდოს წარმოადგენს მუშებისათვის, ვიდრე ხორბლის ფქვილი; მე ხშირად გამიგონია ასეთი აზრი შოტლანდიაშიც, მაგრამ მე ცოტათი ვეჭვობ ამ აზრის სისწორეში. ადამიანები დაბიო ხალხის წრიდან შოტლანდიაში, რომელნიც შვრიის პურით იკვებებიან, ჩვეულებრივ ისე ღონიერნი და ლამაზნი არ არიან, როგორც იმავე კლასის ადამიანები ინგლისში, რომელნიც ხორბლის პურით იკვებებიან. ისინი ვერ მუშაობენ ისე კარგად, არც ისეთი კარგი გამომეტყველება აქვთ. და რადგან ასეთ განსხვავებას ადგილი აქვს ამ ორი ქვეყნის შედლებულ ადამიანებს შორის, ამიტომ გამოცდილება, თითქოს, იმას გვიჩვენებს, რომ დაბიო ხალხის საზრდო შოტლანდიაში ისე მარგებელი არ არის ადამიანის აგებულებისათვის, როგორც საზრდო იმავე კლასის ადამიანთა ინგლისში; მაგრამ ასე არ არის, როგორც ეტყობა, საქმე კარტოფილის შესახებ. ტვირთის მზიდავები, შავი მუშები და ნახშირის გადამტვირთავები ლონდონში, აგრეთვე ის უბედური ქალები, რომელნიც პროსტიტუციით ცხოვრობენ, – ეს, იქნებ, უღონიერესი მამაკაცები და, შეიძლება ითქვას, ულამაზესი ქალები ბრიტანეთის ტერიტორიაზე, – მეტწილად როგორც ამბობენ, წარმოსდგებიან ირლანდიის მოსახლეობის დაბალი ფენებიდან, რომელნიც უმთავრესად ამ ძირნაყოფით იკვებებიან. არც ერთ სხვა საჭმელს არ შეუძლია მოგვცეს ამაზე უფრო გადამჭრელი დამტკიცებები თავისი მასარდობელი თვისებების ან თავისი მარგებლობის ადამიანის ჯანმთელობისათვის.

ძნელია კარტოფილის შენახვა ერთი წლის განვალობაშიდა შეუძლებელია მისი შენახვა პურსავით ორ ან სამ წელიწადს. შიში იმისა, რომ მისი გაყიდვა ვერ მოხერხდება, სანამ მისი გაფუჭება დაიწყებოდეს, ხელს უშლის უშლის კარტოფილის კულტურას და წარმოადგენს, შესაძლებელია, იმის მთავარ დაბრკოლებას, რომიგი ოდესმე გახდეს, პურის მსგავსად, რომელსამე დიდ ქვეყანაში მთავარი მცენარეული სარჩო ხალხის ყველა სხვადასხვა კლასისათვის.

განყოფილება II

მიწის პროდუქტი, რომელიც ზოგჯერ იძლევა რენტას და ზოგჯერ არა.

ადამიანის საზრდო წარმოადგენს, როგორც სჩანს, მიეის ერთ-ერთ პროდუქტს, რომელიც ყოველთვის და აუცილებლად იძლევა რაიმე რენტას მემამულისათვის. სხვა სახის პროდუქტები, გარემოებათა მიხედვით, შეიძლება ზოგჯერ იძლეოდეს რენტას და ზოგჯერაც არ იძლეოდეს.

საზრდოს შემდეგ ტანისამოსი და ბინა შეადგენს ორ მთავარ მოთხოვნილებას ადამიანთა.

თავის პირველყოფილ მდგომარეობაში მიწას შეუძლია მასალა ტანისამოსისა და ბინისათვის მისცეს იმაზე ბევრად უფრო დიდ რაოდენობას ადამიანთა, რაც მას

ზოგჯერ ძალუძს გამოჰკვებოს. თავის კულტურულ მდგომარეობაში მას ძალუძს გამოჰკვებოს უფრო დიდი რაოდენობა ადამიანთა, ვიდრე რამდენსაც მას შეუძლია მისცეს აღნიშნული მასალა, – ყოველ შემთხვევაში იმ სახით, რა სახითაც ადამიანთ სურთ ამ მასალის მიღება და მზად არიან მისი საფასე გადაიხადონ. პირველ შემთხვევაში, ამიტომ, ყოველთვის ჭარბად მოიპოვება ეს მასალა, რომელსაც ამის გამო ხშირად მცირე ღირებულება აქვს ან სრულიად არა აქვს ღირებულება. მეორე შემთხვევაში ხშირად მისი ნაკლებობაა, რის გამო აუცილებლად მატულობს მისი ღირებულება. პირველ შემთხვევაში ამ მასალის დიდ ნაწილს, როგორც უსარგებლოს გადააგდებენ ხოლმე, ხოლო იმის ფასი, რასაც გამოიყენებენ, მხოლოდ იმ შრომისა და ხარჯების თანასწორად მიაჩნიათ, რომლებიც იხარჯება მოხმარებისათვის მისთვის ვარგისი მდგომარეობის მისაცემად და ამიტომ რენტას ვერ მისცემს მემამულეს. მეორე შემთხვევაში მთელი მასალა გამოიყენება და ამასთან ხშირად მოთხოვნა აღემატება მასალის არსებულ რაოდენობას. ყოველთვის მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც მზად არიან გადაიხადონ აღნიშნული მასალის ამა თუ იმ ნაწილში იმაზე მეტი, რაც საჭიროა იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებიც გაწეული იყო ამ მასალის ბაზარზე გასატანად. ამიტომ მასალის ფასს ყოველთვის შეუძლია მისცეს მემამულეს განსაზღვრული რენტა.

თავდაპირველად მასალას ტანისამოსისათვის შეადგენდა უფრო მსხვილი ცხოველების ტყავი. ამიტომ მონადირე და მეჯოგე ხალხებში, რომელთა საზრდო უმთავრესად ასეთი ცხოველების ხორცისგან შესდგება თითოეული ადამიანი, როდესაც საზრდოს მოიპოვებს, მასთან ერთად მოიპოვებს მასალასაც ტანისამოსისათვის და ამასთან მოიპოვებს მას იმაზე მეტი რაოდენობის ტანისამოსისათვის, რაც მას შეუძლია ატაროს. საგარეო ვაჭრობა რომ არ ყოფილიყო, ტყავის უდიდეს ნაწილს გადააგდებდნენ, როგორც ღირებულის სრულიად არმქონე საგანს. ასეთი იყო, ალბათ, ჩრდილო-ამერიკის მონადირე ხალხების მდგომარეობა მათი ქვეყნის აღმოჩენამდე ევროპელების მიერ, რომლებსაც ისინი ახლა უცვლიან თავიანთ ოჯარდამეტ ტყავებს საბნებზე, სასროლ იარაღებზე და არაყზე, რაც განსაზღვრულ ღირებულებას ანიჭებს იმ ტყავებს. საგარეო ვაჭრობის ახლანდელი მდგომარეობის არსებობისას ქვეყნიერობის იმ ნაწილში, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც მე ვფიქრობ, ყველაზე უფრო ბარბაროსი ხალხები, რომლებშიაც მიწის საკუთრება არსებობს, ამგვარ საგარეო ვაჭრობას ეწევიან და თავიანთ უფრო შეძლებულ მეზობლებში პოულობენ ისეთ დიდ მოთხოვნას ყველა სატანსაცმლო მასალისათვის, რომელსაც მათი ქვეყანა აწარმოებს და რომელიც მათ არ ძალუძთ შინ გადაამუშაონ ან მოიხმარონ, რომ ამ მასალის ფასი აღემატება იმ ხარჯების დონეს, რომლებიც ჭირდება მის მიტანას მათ უფრო შეძლებულ მეზობლებთან. ამიტომ ეს პროდუქტი მემამულეს აძლევს განსაზღვრულ რენტას. როდესაც ზემო შოტლანდიის შინაური საქონლის უდიდესი ნაწილი ადგილობრივ მოიხმარებოდა მთებშივე, ტყავის ექსპორტი შეადგენდა ამ ქვეყნის უმთავრეს სავაჭრო საგანს, და ის, რაზედაც იგი იცვლებოდა, იძლეოდა იმ მთიანი ზოლოს მამულთა რენტის განსაზღვრულ დამატებას. ინგლისის მატყლი, რომელიც ძველ დროში შინ ვერც მოიხმარებოდა და ვერც გადამუშავდებოდა, ბაზარს პოულობდა უფრო მდიდარ და უფრო მრეწველ ფლანდრიაში, და მისი ფასი იძლეოდა იმ მიწის რენტის განსაზღვრულ დამატებას, რომელზედაც ის მატყლი იყო წარმოებული. იმ ქვეყნებში, რომელნიც სამეურნეო კულტურის მხრივ იმავე საფეხურზე დგანა, რომელზედაც იდგა, მაშინ ინგლისი ან არის ახლა ზემო-შოტლანდია, და რომელნიც საგარეო ვაჭრობას არ ეწევიან, სატანსაცმლო მასალა, ცხადია, ისე უხვად უნდა მოიპოვებოდეს, რომ მისი დიდი

ნაწილი, როგორც უსარგებლო რამ, უნდა გადაიგდებოდეს, და არც ერთი მისი ნაწილი რენტას ვერ მისცემს მემამულეს.

საშენობო მასალა ვერ გადაიზიდება ყოველთვის ისე შორს, როგორც სატანსაცმლო მასალა, და ისე ადვილად ვერ გახდება საგარეო ვაჭრობის საგანი, როდესაც იგი უხვად მოიპოვება მის მწარმოებელ ქვეყანაში, ხშირად, მსოფლიო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობაშიც კი, იგი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს მემამულისათვის. კარგი ქვის-სამტეხლო ლონდონის ახლოს მნიშვნელოვანი რენტის მომცემი იქნება. შოტლანდიისა და უელსის ახლოს იგი არავითარ რენტას არ იძლევა. ხმელ საშენ ხე-ტყეს დიდი ღირებულება აქვს დასახლებულ და კარგი სამეურნეო კულტურის მქონე ქვეყანაში, და მიწა, რომელიც მას წარმოშობს, მნიშვნელოვან რენტას იძლევა. მაგრამ ჩრდილო-ამერიკის ბევრ ადგილას მემამულე ძალიან მაღლიერი იქნებოდა ყველასი, ვინც მას მოაცილიდა მისი უზარმაზარი ხეების დიდ ნაწილს. ზემო შოტლანდიის ზოგ ადგილებში ხმელეთისა და წყლის გზების უქონლობის გამო, ხის ქერქი წარმოადგენს ტყის ერთადერთ პროდუქტს, რომელიც შეიძლება გაგზავნილი იქნეს ბაზარზე. საშენ ხეს მიწაზე სტოვებენ დასალოპობად. როდესაც საშენი მასალა ესოდენ უხვად მოიპოვება, _ მის იმ ნაწილს, რომელიც საქმეში გამოიყენება, მხოლოდ ის ღირებულება აქვს, რასაც მას აძლევს შრომა და ხარჯები, რომლებიც სჭირდება მისთვის იმ გამოსაყენებელი მდგომარეობის მიცემას. მას რენტა არ მოაქვს მემამულისათვის, რომელიც ჩვეულებრივ ყველას აძლევს მით სარგებლობის ნებართვას, ვინც კი ამის შესახებ სთხოვს. მაგრამ უფრო მდიდარი ხალხების მოთხოვნა მემამულეს უქმნის ზოგჯერ შესაძლებლობას რენტა მიიღოს ამისთვის. ლონდონის ქუჩებში ქვაფენილის დაგებამ შესაძლებლობა შეუქმნა შოტლანდიის სანაპიროებზე მდებარე ზოგი გახრეკილი კლდეების მეპატრონეებს რენტა მიეღოთ ისეთი მიწებისგან, რომელნიც წესით არასოდეს რენტას არ იძლეოდენ. ნორვეგიისა და ბალტიის ზღვის სანაპიროების ტყეები პოულობენ ბრიტანეთის ბევრ ადგილას ბაზარს, რომელიც მათ არა აქვთ ადგილობრივ, და ამიტომ განსაზღვრულ რენტას აძლევენ თავიანთ მეპატრონეებს.

ესა თუ ის ქვეყანა დასახლებულია არა ადამიანთა იმ რიცხვის პროპორციულად, რომელიც შესაძლებელია მისმა პროდუქტმა უზრუნველჰყოს ტანისამოსით და ბინით, არამედ იმ რაოდენობის პროპორციულად, რომლის გამოკვეთა მას შეუძლია. როდესაც საზრდო უზრუნველყოფილია, საჭირო ტანისამოსისა და ბინის შოვნა ადვილი არის. მაგრამ ხშირად შესაძლებელია, თუმცა ტანისამოსი და ბინა მოიპოვება, ძნელი იყოს საზრდოს შოვნა. ბრიტანეთის სამფლობელოთა ზოგ ადგილებშიც კი ის, რასაც სახლს უწოდებენ, შეიძლება აგებულ იქნეს ერთი ადამიანის შრომის დახარჯვით ერთი დღის განმავლობაში. უმარტივესი ტანსაცმელი, ცხოველების ტყავი, მოითხოვს რაოდენადმე მეტ შრომას გასატყავებლად და გასაწმენდად და მოხმარებისთვის მოსამზადებლად. მაგრამ ამისთვის მაინც საჭირო არაა დიდი შრომა. ველურ და ბარბაროს ხალხებში მთელი წლის შრომის მესამედი ან ცოტათი მეტი ნაწილი საკმარისია იმდენი ტანსაცმლისა და ბინის მოსაპოვებლად, რამდენიც საჭირო არის ხალხის უდიდესი ნაწილის დასაკმაყოფილებლად. შრომის დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი მესამედი ხშირად ძლივს არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს ისინი საზრდოთი.

მაგრამ როდესაც, მიწის გაუმჯობესებისა და დამუშავების გამო, ერთი ოჯახის შრომას ორი ოჯახისთვის შეუძლია საზრდოს მიცემა, _ მთელი საზოგადოების ნახევრის შრომა საკმარისი არის ყველა მცხოვრებთა უზრუნველსაყოფად საზრდოთი. ამიტომ საზოგადოების მეორე ნახევარი ან ყოველ შემთხვევაში, მისი

მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა საგანთა მოსაპოვებლად ანუ კაცობრიობის სხვა მოთხოვნილებათა თუ სურვილთა დასაკმაყოფილებლად. ტანსაცმელი და ბინა, ავეჯეულობა და ეგრეთწოდებული მორთულობა შეადგენს ამ მოთხოვნილებათა და სურვილთა უდიდეს ნაწილს. მდიდარი მეტ საჭმელს არ სჭამს, ვიდრე მისი ღარიბი მეზობელი. ხარისხის მხრივ ეს საჭმელი შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს და მისი გამოძებნა და მომზადება შეიძლება მეტ შრომას და დახელოვნებას მოითხოვდეს, მაგრამ რაოდენობის მხრივ განსხვავება თითქმის არ არის. მაგრამ აბა შეადარეთ ერთის ფართო სასახლე და დიდი გარდერობი მეორის ქოხსა და მცირეოდენ ჩვრებს, და თქვენ ნახავთ, რომ განსხვავება მათი ტანსაცმელის, ბინის და ავეჯეულობისა თითქმის დიდია რაოდენობის მხრივ, როგორც ხარისხის მხრივ. საჭმლის მოთხოვნილება თითოეული ადამიანისათვის ზღვარდადებულია ადამიანის სტომაქის ვიწრო ტევადობით, ხოლო კომფორტის, ბინის მორთულობის, ტანისამოსის, ავეჯეულობისა და საოჯახო ნივთების მოთხოვნილებას, როგორც ეტყობა, არ უდევს არავითარი საზღვარი ანუ მტკიცე ზღუდე. ამიტომ ისინი, ვისაც საზრდოს იმაზე მეტი რაოდენობა აქვს, რაც თვითონ შეიძლება მოიხმარონ, ყოველთვის მზად არიან მისი გარდამეტი ანუ, რაც იგივეა, მისი ფასი გასცვალონ სამაგიეროზე ამ სხვა საგანთა სახით. ის, რაც აღნიშნული ზღვარდადებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ რჩება, იხარჯება იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთა სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელი არის და რომელთაც საერთოდ, როგორც სჩანს, არ უდევთ საზღვარი. ღარიბნი, რათა საზრდო მოიპოვონ, წელებზე ფეხს იდგამენ მდიდრების იმ სურვილთა დასაკმაყოფილებლად, და რათა ეს საზრდო ნამდვილად მოიპოვონ, ისინი ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ თავიანთი შრომის სიიარესა და სრულყოფის მხრივ. მშრომელთა რიცხვი მატულობს საზრდოს რაოდენობის ზრდასთან ერთად ანუ მიწის გაუმჯობესებისა და დამუშავების განვითარებასთან ერთად; და რადგან მათი მოსაქმეობის თვით ბუნება შესაძლებელს ხდის შრომის უაღრესად დანაწილებას, – იმ მასალის რაოდენობა, რომლის დამუშავება მათ შეუძლიათ, იზრდება უფრო დიდი პროპორციით, ვიდრე რიცხვი თვით მშრომელთა. აქედან წარმოსდგება მოთხოვნა ყოველგვარი მასალისა, რომლის გამოყენებაც კი შეუძლია ადამიანის გამომგონებლობას, სასარგებლო მიზნით თუ მორთულობისათვის, ტანსაცმლისათვის სახლის მოწყობილობისათვის თუ ავეჯეულობისათვის; მოთხოვნა მიწის წიაღის მადნეულის და მინერალებისა, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვებისა.

ამრიგად, საზრდო წარმოადგენს არა თუ რენტის თავდაპირველ წყაროს, არამედ მიწის ყოველი სხვა პროდუქტიც, რომელიც რენტას იძლევა შემდგომ, თავისი ღირებულობის ამ ნაწილს მიიღებს შრომის პროდუქტიული ძალის გადიდების შედეგად საზრდოს წარმოებისას მიწის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდების გზით.

მაგრამ მიწის ეს სხვა პროდუქტები, რომლებიც შემდგომ რენტას იძლევა, ყოველთვის არ იძლევა მას. ცივილიზებულ და კულტურულ ქვეყნებშიც კი მოთხოვნა ამ პროდუქტების მიმართ ყოველთვის არ არის იმდენად დიდი, რომ მათი ფასი აღემატებოდეს იმ ფასს, რომელიც საკმარისია შრომის სასყიდლის გასასტუმრებლად და იმ კაპიტალის – მისი ჩვეულებრივი მოგებითურთ – ასანაზღაურებლად, რომელიც დახარჯული იყო მათი ბაზარზე მიტანისათვის. იქნება ეს მოთხოვნა საკმაოდ დიდი თუ არ იქნება, – ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე.

ასე, მაგალითად, ნახშირის მალაროდან რენტის მიღება ნაწილობრივ დამოკიდებულია მის ხვავრიელობაზე, ნაწილობრივ _ მის მდებარეობაზე.

სამადნეს ან მალაროს, როგორც უნდა იყოს იგი, შეიძლება ეწოდოს მდიდარი ან მწირი იმის მიხედვით, თუ მინერალების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება იქიდან ამოღებულ იქნეს შრომის განსაზღვრული რაოდენობით, მეტია თუ ნაკლებია მინერალების იმ რაოდენობაზე, რომელიც თანატოლი შრომის დახარჯვით შეიძლება მიღებულ იქნეს იმავე სახის მეტი წილი სამადნებიდან.

ზოგი ნახშირის მალარო, ხელსაყრელი მდებარეობის მქონე არ შეიძლება დამუშავებულ იქნეს მისი სიმწირის გამო, მისი პროდუქტი არ ჰფარავს ხარჯებს. ასეთ მალაროს არ მოაქვს არც მოგება და არც რენტა.

არსებობს ისეთი მალაროებიც, რომელთა პროდუქტს შეუძლია მხოლოდ გაისტუმროს შრომა და აანაზღაუროს მათ დამუშავებაზე დახარჯული კაპიტალი ჩვეულებრივი მოგები.ურთ. ეს მალაროები მესარეწეს აძლევენ ერთგვარ მოგებას, მაგრამ მემამულეს არ ძლევენ არავითარ რენტას. ისინი შეიძლება სარგებლობით დამუშავებული იქნენ მხოლოდ მემამულის მიერ, რომელიც, რადგან იგი თვითონ არის მესარეწე, იღებს ამ საქმეზე დახარჯული კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებას. ბევრი ნახშირის მალაროს დამუშავება შოტლანდიაში სწარმოებს სწორედ ამ წესით, და არავითარი სხვა წესით არ შეიძლება მათი დამუშავება. მემამულე არავის არ დაანებებს მათ დამუშავებას რენტის გადაუხდელად, ხოლო რენტის გადახდა არავის არ შეუძლია.

სხვა ნახშირის მალაროები იმავე ქვეყნაში, რომლებიც საკმაოდ მდიდარია ნახშირით, არ შეიძლება დამუშავებულ იქნენ მათი მდებარეობის გამო. ამ მალაროებიდან შეიძლება შრომის ჩვეულებრივი რაოდენობის დახარჯვით, და ჩვეულებრივზე ნაკლების დახარჯვითაც კი, ამოღებულ იქნეს მინერალის ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისია წარმოების ხარჯების დასაფარავად; მაგრამ ეს რაოდენობა წყლის ნაპირებისგან დაშორებულ ადგილებში, რომლებიც მეჩხრად დასახლებულია და რომლებსაც კარგი სამიმოსვლო გზები ხმელეთსა და წყალზე არ გააჩნია, არ შეიძლება გაყიდულ იქნეს.

ნახშირი ნაკლებ სასიამოვნო საწვავი მასალაა, ვიდრე შეშა: ამბობენ აგრეთვე, რომ იგი უფრო მავნებელი არის ჯანმრთელობისათვის. ამიტომ ნახშირით გათბობის ღირებულება მისი მოხმარების ადგილებში რაოდენადმე ნაკლები უნდა იყოს შემთხვევით გათბობის ღირებულებაზე.

მაგრამ ტყის ფასი, თავის მხრივ იცვლება სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის მიხედვით, და იცვლება დაახლოებით იმგვარადვე და სწორედ იმავე მიზეზით, როგორც შინაური საქონლის ფასი. სასოფლო მეურნეობის წარმოშობისას, როდესაც იგი განვითარებულია, ყოველი ქვეყნის უდიდესი ნაწილი ტყეებით არის დაფარული და ისინი მაშინ ყოველ ღირებულებას მოკლებულ ტვირთს შეადგენენ მემამულისათვის, რომელიც მზად არის ყველას მისცეს მათი გაჩეხის ნებართვა. სასოფლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ტყეების გაჩეხა ხდება ნაწილობრივ ხვნა_თესვის გაფართოების გამო, ნაწილობრივაც ტყეები ნადგურდება შინაური საქონლის რიცხვის გადიდების გამო. შინაური საქონელი არ მრავლდება იმავე პროპორციით, როგორც პური, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის შრომით მოიპოვება, მაგრამ იგი მაინც მრავლდება ადამიანთა მფარველობით და მოვლით, რომელნიც სიუხვის სეზონში იმარაგებენ საკვებს მის გამოსაკვებად ნაკლებობის სეზონში; რომელნიც წლის განმავლობაში შინაურ საქონელს აძლევენ მეტ საკვებს, ვიდრე მას მისცემდა კულტურის ხელუხლები ბუნება, და რომელნიც მით, რომ

სპობენ და ანადგურებენ მის მტრებს, უზრუნველყოფენ მას თავისუფლად სარგებლობას ყველა იმით, რასაც ბუნება იძლევა. თუ შინაური საქონლის უამრავ ჯოგებს ტყეებში უშვებენ საძოვრად, ისინი, მართალია, ძველ ხეებს არ ანადგურებენ, მაგრამ სპობენ ნორჩ რქებს, ასე რომ ერთი ან ორი საუკუნის განმავლობაში მთელი ტყე ისპობა. და მაშინ ტყის ნაკლებობის გამო მაღლა იწევს მისი ფასი. ტყე იწყებს კარგი რენტის მოცემას, და მემამულე ზოგჯერ უფრო ხელსაყრელად ჰპოვებს საშენი ტყე, გააშენოს თავის საუკეთესო მიწებზე; დიდი მოგება, რომელიც აქ მიიღება, ხშირად ანაზღაურებს კაპიტალის დაგვიანებით დაბრუნებას. ასეთია დაახლოებით, როგორც ეტყობა, მდგომარეობა ამჟამად დიდი ბრიტანეთის ზოგ ადგილებში, სადაც ტყის გაშენებით მიღებული მოგება არ ჩამოუვარდება იმ მოგებას, რომელსაც პურის ან საკვები ბალახეულის მოყვანა იძლევა. ის სარგებლობა რომელსაც მემამულე იღებს ტყის გაშენებით, ვერასოდეს ან ყოველ შემთხვევაში რაოდენადმე დიდი ხნით ვერ გადააჭარბებს იმ რენტას, რომლის მოცემა შეუძლია ამ მიწაზე პურის ან საკვები ბალახეულის მოყვანას; და ზღვისგან დაშორებულ, მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაში ხშირად იგი არ იქნება ამ რენტაზე ბევრით ნაკლები. რასაკვირველია, ასეთ ქვეყანაში ზღვის ნაპირას, თუ ნახშირი საწვავად ადვილი საშოვნელია, შესაძლებელია უფრო იაფი ჯდებოდეს ხმრლი საშენი ხე-ტყის მოტანა უფრო ჩამორჩენილი ქვეყნებიდან, ვიდრე მისი გაშენების გზით საკუთარ ქვეყანაში. ახალ ქალაქ ედინბურგში, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში აშენდა, იქნებ ერთი ნაჭერიც კი არ მოიპოვებოდეს შოტლანდიის საშენი ტყისა.

როგორც უნდა იყოს შემის ფასი, თუ ნახშირის ფასი ისეთია, რომ ნახშირით გათბობის ხარჯი თითქმის იგივეა, რაც შემით გათბობისა, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამ ადგილას და ამ პირობებში ნახშირის ფასს ის სიმაღლე აქვს მიღწეული, რაც მას შესაძლებელია ჰქონდეს. ამას, როგორც ეტყობა, ადგილი აქვს ინგლისის ზოგ შიდა ადგილებში, განსაკუთრებით ოქსფორდის საგრაფოში, სადაც დაბიო ხალხსაც კი, ჩვეულებად აქვს ცეცხლის დანთებისას სანახევროდ ნახშირი და შეშა აურიოს ხოლმე ერთმანეთში და სადაც ამიტომ ერთი და მეორე რიგის სათბობის ხარჯის განსხვავება არ შეიძლება იყოს ძალიან დიდი.

ნახშირის მწარმოებელ ადგილებში ნახშირის ფასი ყველგან ამ მაქსიმალურ დონეზე დაბლა დგას. წინააღმდეგ შემთხვევაში ნახშირი ვერ აიტანდა ხმელეთსა და წყალზე შორეული გადაზიდვის ხარჯებს. ასეთ პირობებში ნახშირის მხოლოდ მცირე რაოდენობა გასაღდებოდა; ხოლო ნახშირის მრეწველები და ნახშირის მადაროების მეთატრონენი სთვლიან, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია მინიმალურ ფასზე ცოტათი უფრო მეტ ფასში გაჰყიდონ ნახშირის დიდი რაოდენობა, ვიდრე მაქსიმალურ ფასში გაჰყიდონ მცირე რაოდენობა. აგრეთვე ნახშირით უმდიდრესი მადარო განსაზღვრავს ყველა სხვა მადაროთა ნახშირის ფასს იმ მიდამოში. როგორც მადაროს მესაკუთრე, ისე მისი დამამუშავებელი მესარეწე ჰპოვებენ, რომ, თუ თავიანთ მეზობლებზე ცოტათი უფრო იაფად გაჰყიდიან, მათ შეუძლიათ მიიღონ: პირველმა უფრო დიდი რენტა, მეორემ უფრო დიდი მოგება. მათი მეზობლები მალე იძულებული ხდებიან ნახშირი იმავე ფასში გაჰყიდონ ხოლმე, თუმცა ეს მათ არ შეუძლიათ უზარალოდ და თუმცა ეს ყოველთვის ამცირებს და ხშირად სულ არარად აქცევს მათ რენტას და მოგებას. ზოგ მადაროებს სულ მიატოვებენ; სხვები რენტას ვეღარ იძლევიან და მხოლოდ მესაკუთრეების მიერ შეიძლება დამამუშავებულ იქნენ.

უდაბლესი ფასი, რა ფასშიაც შეიძლება ნახშირის გაყიდვას ჰქონდეს ადგილი რაოდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არის, სხვა საქონელთა ფასის მსგავსად, ის ფასი, რომელიც სწორედ საკმარისია იმისათვის, რომ ანაზღაურებულ

იქნეს კაპიტალი, – მისი ჩვეულებრივი მოგებითურთ, – რომელიც დახარჯული იყო ბაზრად მისი გატანისათვის. იმ მაღაროდან მირებული ნახშირის ფასი, რომლისაგანაც რენტას ვერ იღებს მისი მესაკუთრე და რომელიც ამ უკანასკნელმა ან თვით უნდა დაამუშაოს, ანდა სულ მთლად მიატოვოს, უნდა უახლოვდებოდეს საერთოდ ამ ფასს.

მაშინაც კი, როდესაც ნახშირი იძლევა რენტას, ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ შეადგენს უფრო მცირე ნაწილს ნახშირის ფასში, ვიდრე მიწის სხვა ნედლი პროდუქტების ფასში. იმ მამულის რენტა, რომელშიაც სასოფლო მეურნეობა სწარმოებს, ჩვეულებრივ აღწევს, როგორც ანგარიშობენ, მთლიანი პროდუქტის მესამედს და ეს რენტა ჩვეულებრივ მყარი რენტაა და დამოუკიდებელია მოსავლის შემთხვევითი რყევისაგან. ნახშირის მაღაროებისათვის კი რენტა მთლიანი პროდუქტის ერთი მეხუთედის ოდენობით ძალიან დიდ რენტად ითვლება; ერთი მეათედი შეადგენს ჩვეულებრივ რენტას, და ეს რენტა იშვიათად არის მყარი, იგი ამოღების შემთხვევითს რყევაზეა დამოკიდებული. ეს რყევა ისე დიდია, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ოცდაათწლიური პროდუქტი ზომიერ ფასად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მამულისათვის ათწლიური პროდუქტი კარგ ფასადაა მიჩნეული ნახშირის მაღაროსათვის.

ნახშირის მაღაროს ღირებულება მისი მეპატრონისათვის ხშირად დამოკიდებულია იმდენადვე მის მდებარეობაზე, რამდენადაც მის სიმდიდრეზე. ლითონის შემცველი სამადნის ღირებულება მეტწილად დამოკიდებულია მის სიმდიდრეზე და ნაკლებად – მის მდებარეობაზე. უბრალო ლითონი და კიდევ უფრო მეტად ძვირფასი ლითონები, როდესაც მადნიდან არის გამოცალკევებული, ისე დიდად ღირებული არის, რომ ჩვეულებრივ შეუძლია აიტანოს ძალიან შორ მანძილზე ხმელეთის გზით და უშორეს მანძილზე წყლის გზით გადატანის ხარჯები. მათი ბაზარი არაა სამადნის ახლობელი ადგილებით შემოფარგლული, არამედ ვრცელდება მთელ მსოფლიოზე. იაპონიის სპილენძი შეადგენს ვაჭრობის საგანს ევროპაში; ესპანეთის რკინა ჩილისა და პერუს ბაზრებზე იყიდება. პერუს ვერცხლი შედის არა თუ ევროპაში, არამედ ევროპიდან ჩინეთშიც.

ნახშირის ფასს უესტმორლენდში ან შროპში მცირე გავლენა შეუძლია ჰქონდეს მის ფასზე ნიუკესტლში, და მის ფასს ლიონის რაიონში სრულიადაც არ შეუძლია გავლენა ჰქონდეს. ერთმანეთისაგან ასე დაშორებული ნახშირის მაღაროების პროდუქტებს არასოდეს არ შეუძლია კონკურენციის გაწევა ერთი მეორისათვის. ერთმანეთისაგან ფრიად დაშორებულ ლითონის სამადნეთა პროდუქტებს კი, პირიქით, ხშირად შეუძლია ერთი მეორისათვის კონკურენციის გაწევა და სინამდვილეში ამას ჩვეულებრივ აქვს ადგილი. ამიტომ მთელს მსოფლიოში უმდიდრესი სამადნეების უბრალო ლითონთა ფასი და კიდევ უფრო მეტად ძვირფას ლითონთა ფასი აუცილებლად გავლენას უნდა ახდენდეს მეტნაკლებ ყველა სხვა სამადნეების პროდუქტის ფასზე. სპილენძის ფასი იაპონიაში განსაზღვრულ გავლენას უნდა ახდენდეს იმ სპილენძის ფასზე, რომელიც ევროპის სამადნეებიდან მიიღება. სპილენძის ფასს პერუში ანუ შრომის თუ სხვა დოვლათის რაოდენობას, რომელიც იქ შეიძლება გაცვლით მიღებულ იქნეს მის სამაგიეროდ, უნდა ჰქონდეს ერთგვარი გავლენა იმ ვერცხლის ფასზე, რომელიც მიიღება არა თუ ევროპის ვერცხლის სამადნეებიდან, არამედ ჩინეთის სამადნეებიდანაც. პერუს სამადნეების აღმოჩენის შემდეგ ევროპის ვერცხლის სამადნეები მეტწილად მიტოვებულ იქნა. ვერცხლის ღირებულებამ ისე ძალიან დაიწია, რომ ამ სამადნეების პროდუქტს არ შეუძლია მათი დამუშავების ხარჯების დაფარვა ანუ ამ საქმიანობის

დროს მომხმარებელი საზრდოს, ტანსაცმელის, ბინისა და სხვა აუცილებელ საგანთა ანაზღაურება მოგებითურთ. ასევე მოუვიდა კუბისა და სან-დომინგოს სამადნეებს, პერუს ძველ სამადნეებსაც კი, მას შემდეგ რაც პოტოხის სამადნეები იქნა აღმოჩენილი.

რადგან, ამრიგად, ყოველი ლითონის ფასი თითოეულ სამადნეში რაოდენადმე განისაზღვრება მისი ფასით ქვეყნად არსებულ უმდიდრეს სამდნეში, რომელიც კი დამუშავებაში იმყოფება, ამიტომ ამ ფასს მეტწილ სამადნეებში მხოლოდ ცოტათი იმაზე მეტის მოცემა შეუძლია, რაც საჭიროა დამუშავების ხარჯების დასაფარავად, იშვიათად შეუძლია მისცეს მემამულეს ძალიან მაღალი რენტა. ამის მიხედვით რენტა, როგორც სჩანს, მეტწილ სამადნეებში შეადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს უბრალო ლითონის ფასისას და კიდევ უფრო ნაკლებ ნაწილს ძვირფას ლითონთა ფასისას. შრომა და მოგება შეადგენს ორივეს უდიდეს ნაწილს.

როგორც პატივცემული ბ-ნი ბორლესი, კალის სამადნეების დირექტორის თანაშემწე, გვაცნობებს, კორნუელის კალის სამადნეების რენტა, ამ უმდიდრესი სამადნეებისა, როგორც კი ქვეყნად ცნობილი არის, შეადგენს, საშუალოდ, მთლიანი პროდუქტის მეექვსედ ნაწილს. ზოგი, ამბობს იგი, იძლევა მეტს, ზოგიც – არა ასე ბევრს. აგრეთვე შოტლანდიის ზოგი ფრიად მდიდარი ტყვიის სამადნეების რენტას მთლიანი პროდუქტის მეექვსედ ნაწილს შეადგენს.

როგორც ფრეიზერი და ულოა გვაცნობებენ, პერუს ვერცხლის სამადნეების მესაკუთრე ხშირად მხოლოდ ამ პირობას ადებინებს დამუშავებელ მესარეწეს; რომ ეს უკანასკნელი მადანს მის წისქვილზე დაფქვავს და ამისათვის მას ჩვეულებრივ სასყიდელს მისცემს. სინამდვილეში, 1736 წლამდე, ბაჟი ესპანეთის მეფის სასარგებლოდ შეადგენდა წმინდა ვერცხლის ერთ მეხუთედს, რაც იმ დროისთვის შეიძლება მივიჩნიოთ მეტწილ პერუს ვერცხლის სამადნეების ნამდვილ რენტად, ან ყველაზე უმდიდრესი სამადნეებისა, როგორც კი ცნობილია ქვეყნად. ბაჟი რომ სრულიად არ ყოფილიყო, ეს მეხუთედი ნაწილი, რასაკვირველია, მემამულის კუთვნილი იქნებოდა, და ზოგი სამადნე დამუშავდებოდა, რომელიც მაშინ დაუმუშავებელი რჩებოდა, ვინაიდან არ შეეძლო ასეთი ბაჟის გადახდა. ბაჟი, რომელსაც კორნუელის ჰერცოგი ახდევინებს კალაზე, აღემატება, როგორც ანგარიშობენ, მისი ღირებულების 5 პროცენტს ანუ მეოცედ ნაწილს; და რა ზომისაც უნდა იყოს ეს ბაჟი, იგი სულ მთლად სამადნის მესაკუთრის სასარგებლოდ დარჩებოდა, კალა რომ თავისუფალი ყოფილიყო დაბეგვრისაგან. თუ ერთ მეექვსედს მივუმატებთ ერთ მეოცედს, ვნახავთ, რომ კორნუელის კალის სამადნეების მთელი საშუალო რენტა ისე შეესაბამებოდა პერუს ვერცხლის სამადნეების მთელ საშუალო რენტას, როგორც ცამეტი თორმეტს. მაგრამ პერუს ვერცხლის სამადნეებს ამჟამად ასეთი დაბალი რენტის მოცემაც არ შეუძლია, და 1736 წელს ვერცხლის ბაჟი ერთი მეხუთედიდან დაწეულ იქნა ერთ მეათედამდე. ვერცხლის ეს ბაჟიც მაინც კიდევ უფრო მცდუნებელია საკონტრაბანდოდ, ვიდრე ბაჟი ერთი მეოცედის ოდენობით კალაზე; ხოლო კონტრაბანდა ძვირფასი ლითონის მიმართ გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე დიდმოცულობიანი პროდუქტის მიმართ. ამიტომ, როგორც ამბობენ, ესპანეთის მეფის სასარგებლოდ დაწესებულ ბაჟს იხდიან ძალიან ცუდად, ხოლო კორნუელის ჰერცოგისას – ძალიან კარგად. ამის გამო სარწმუნო არის, რომ რენტა ქვეყნად არსებული უმდიდრესი სამადნეების კალის ფასის უფრო დიდ ნაწილს შეადგენს, ვიდრე ქვეყნად არსებული უმდიდრესი სამადნეების ვერცხლის ფასისას. ნაშთი, რომელიც მეპატრონეს რჩება ამ სხვადასხვა სამადნეების დამუშავებაზე დახარჯული კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ, მისი ჩვეულებრივი

მოგებითურთ, როგორც ეტყობა, უფრო დიდია უბრალო ლითონის ამოღების შემთხვევაში, ვიდრე ძვირფასი ლითონის ამოღების შემთხვევაში.

ამასთან ერთად პერუში ვერცხლის სამადნეების დამმუშავებელ მესარეწეთა მოგება ჩვეულებრივ არაა ძალიან დიდი. იგივე ფრიად პატივცემული და სარწმუნო ინფორმაციის მქონე ავტორები გადმოგვცემენ, რომ ყოველ ადამიანს, რომელიც ხელს ჰკიდებს ახალი სამადნის დამუშავებას პერუში, ჩვეულებრივ უცქერიან როგორც გასაკოტრებლად და ქონების გასანიაველად განწირულ პირს, და ამიტომ ყველანი მას ერიდებიან და გაურბიან. სამადნის დამუშავებას იქ, ეტყობა, ისე უცქერიან, როგორც უცქერიან ჩვენში, – მას სთვლიან ლატარიად, რომელშიაც მომგები ბილეთები არ აწონასწორებს ფუჭ ბილეთებს, თუმცა მოგების სიდიდე ზოგ ავანტიურისტს აცდუნებს თავისი ქონება დახარჯოს ესოდენ უიმედო საქმეზე.

მაგრამ რადგან ხელმწიფე თავისი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ვერცხლის სამადნეების პროდუქტიდან იღებს, – პერუს კანონი ყოველგვარ წახალისებას იძლევა ახალი სამადნეების აღმოჩენისა და დამუშავებისათვის. თითოეულ ადამიანს, რომელიც ახალ სამადნეს აღმოაჩენს, უფლება აქვს მიიზომოს თავისთვის მიწის ნაკვეთი სიგრძით ორას ორმოცდაექვსი ფუტი, – იმ მიმართულებით, რომელიც, მისი აზრით, აქვს მადნის ქანს, – და სიგანით ამის ნახევარი. იგი მესაკუთრე ხდება სამადნის ამ ნაწილისა და შეუძლია დაამუშაოს იგი მემამულისთვის რაიმე სასყიდლის გადაუხდელად. კორნუელის ჰერცოგის ინტერესმა გამოიწვია თითქმის ასეთივე წესის შემოღება ამ ძველ საჰერცოგოში. ყოველ ადამიანს, რომელიც კალის სამადნეს აღმოაჩენს უდაბურ და შეუღობავ მიწაში, უფლება აქვს აღნიშნოს მისი საზღვრები გარკვეული ფართობისათვის, რასაც სამადნის შემოფარგვლა ეწოდება. ასეთი პირი ხდება სამადნის ნამდვილი მესაკუთრე და მას შეუძლია ან თვით დაამუშაოს იგი ანდა იჯარით გადასცეს სხვა პირს მისი დამუშავება, ნებართვის გამოუთხოვნელად მემამულისაგან, რომელსაც მხოლოდ მცირე სასყიდელი უნდა მიეცეს ამ დამუშავების გამო. ამ წესებით ორსავე შემთხვევაში წმინდა უფლება კერძო საკუთრებისა მსხვერპლად შეეწირება სახელმწიფო შემოსავლის ნაგულისხმევ ინტერესებს.

ამგვარადვე უქმნიან პერუში წახალისებას აგრეთვე ოქროს სამადნეების აღმოჩენას და დამუშავებას, და ოქროზე დაწესებული სამეფო ბაჟი წმინდა ლითონის მეოცედ ნაწილს შეადგენს მხოლოდ. წინათ იგი უდრიდა მეხუთედ ნაწილს, შემდეგ – მეათედს, ისე, როგორც ვერცხლისათვის, მაგრამ გამოირკვა, რომ სამადნეების დამუშავებას ეს უმცირესი განაკვეთიც არ ძალუძს ზიდოს. მაინც, როგორც ამბობენ იგივე ავტორები: ფრეზიერი და ულოა, იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც ვერცხლის სამადნეების დამუშავებით ქონება შეეძინოს, კიდევ უფრო იშვიათია ასეთი ადამიანის შეხვედრა ოქროს სამადნეების დამმუშავებელთა შორის. ბაჟი ერთი მეოცედის ოდენობით უდრის, როგორც ეტყობა, მთელ რენტას, რომელსაც იძლევიან მეტი წილი ოქროს სამადნეები ჩილიში და პერუში. ამასთან ოქრო უფრო ადვილად ექვემდებარება კონტრაბანდას, ვიდრე ვერცხლიც კი არა მხოლოდ მისი უფრო დიდი ღირებულების გამო, მის მოცულობასთან შედარებით, არამედ იმ განსაზღვრული სახის გამოც, რომლითაც მას ბუნება წარმოშობს. ვერცხლი იშვიათად გვხვდება წინდა სახით ბუნებაში, არამედ, სხვა ლითონთა უმრავლესობასავით, ჩვეულებრივ შეერთებულია რაიმე სხვა სხეულთან, რომლისგანც მისი გამოცალკევება იმ რაოდენობით, რომ ხარჯები დაჰფაროს, შესაძლებელი არის, მხოლოდ ფრიად ხანგრძლივი და ძნელი ოპერაციის გზით, რის შესრულება შეიძლება მხოლოდ ამ მიზნისთვის მოწყობილ სახელოსნოში და ამის გამო ოგო მეფის მოხელეების

ზედამხედველობას ექვემდებარება. ოქრო, პირიქით, თითქმის ყოველთვის მოიპოვება წმინდა სახით. ზოგჯერ მას პოულობენ მოდილო ნატეხების სახით: და მაშინაც, როდესაც იგი მცირე და თითქმის შეუმჩნეველი ნაწილების სახით არეულია ქვიშასთან, მიწასთან და სხვა სხეულთან, ადვილად შეიძლება მისი გამოცალკევება იმათგან ფრიად სწრაფი და უბრალო ოპერაციის გზით, რომლის შესრულება შესაძლებელია კერძო სახლში ყველას მიერ, ვისაც მოეპოვება ცოტაოდენი ვერცხლის წყალი. და თუ ვერცხლზე დაწესებული სამეფო ბაჟის გადახდა ცუდად სწარმოებს, მით უფრო ცუდად სწარმოებდეს ოქროზე დაწესებულის გადახდა, ხოლო რენტა გაცილებით უფრო მცირე ნაწილს უნდა შეადგენდეს ოქროს ფასში, ვიდრე ვერცხლის ფასშიც კი.

უდაბლესი ფასი, რადაც ძვირფასი ლითონების გაყიდვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, ანუ სხვა დოვლათის უმცირესი რაოდენობა, რომელზედაც ამ ლითონების გაცვლა შეიძლება ხდებოდეს რაოდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იმავე პრინციპებით განისაზღვრება, რომლების მიხედვითაც მყარდება უდაბლესი ჩვეულებრივი ფასი ყველა სხვა დოვლათთან. ამ ფასს განსაზღვრავს კაპიტალი, რომელიც ჩვეულებრივ უნდა იქნეს დახარჯული, საზრდო, ტანსაცმელი და ბინა, რომლებიც ჩვეულებრივ უნდა იქნეს მოხმარებული მდაროებიდან ლითონების გამოსაღებად და მათ მისატანად ბაზარზე, იგი ყოველ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს კაპიტალის ასანაზღაურებლად ჩვეულებრივი მოგებითურთ.

მაგრამ ამ ლითონების უმაღლესი ფასი განისაზღვრება, როგორც ეტყობა, მხოლოდ მათი ნაკლებობით ან მოჭარბებულობით. იგი აუცილებლად არ განისაზღვრება რომელიმე სხვა საქონლის ფასით, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ქვანახშირის შესახებ, რომლის ფასმა _ მისი ნაკლებობის შემთხვევაშიც კი _ არ შეიძლება აიწიოს შემის ფასზე მაღლა. გაადიდეთ ოქროს ნაკლებობა განსაზღვრულ ზომამდე, და მისი ფრიად მცირე ნაჭერი ბრილიანტზე უფრო ძვირი გახდება და სხვა დოვლათთა მეტ რაოდენობაზე გაიცვლება ხოლმე.

ამ ლითონთა მოთხოვნას იწვევს ნაწილობრივ მათი სარგებლიანობა და ნაწილობრივ მათი სილამაზე. ისინი უფრო სასარგებლონი არიან, ვიდრე, იქნებ, ყველა სხვა ლითონი, რკინის გამოკლებით. რადგან მათ ჟანგი და ჭუჭყი ნაკლებ ეკიდება, _ უფრო ადვილია მათი სუფთად შენახვა, და მათგან გაკეთებული და სუფრის და სამზარეულოს ავეჯ-ჭურჭლეული უკვე ამიტომ უფრო სასიამოვნო არის. ვერცხლის ქვაბი უფრო სუფთაა, ვიდრე ტყვიისაგან, სპილენძისაგან ან კალისაგან გაკეთებული ქვაბი, და იმავე თვისების გამო ოქროს ქვაბი კიდევ უფრო უკეთესი არის ვერცხლისაზე. მაგრამ ძვირფას ლითონთა მთავარი ღირსებაა მათი სილამაზე, რაც მათ განსაკუთრებით გამოსაყენებელს ხდის ტანსაცმელისა და ავეჯეულობის მოსართავად. ვერავითარი საღებავი ან სანდალოზი ვერ მოსცემს ისეთ ბრწყინვალე ფერს, როგორც ოქროთი მოვარაყება. ძვირფას ლითონთა ღირსება, რომელსაც მათი სილამაზე წარმოადგენს, მნიშვნელოვნად დიდდება მათი იშვიათობით. მეტწილ მდიდარ ადამიანთათვის მთავარი სიამოვნება სიმდიდრით იმაში მდგომარეობს, რომ ეს სიმდიდრე გამოაჩინონ, და მათ თვალში ეს სიამოვნება მხოლოდ მაშინ არის სრული, როდესაც ისინი სიმდიდრის იმ გარეგნულ განმასხვავებელ ნიშნებს ფლობენ, რომლებიც არავის არ შეუძლია ჰქონდეს მათ გარდა. მათ თვალში ამა თუ იმ ზომით სასარგებლო ან ლამაზი საგნის ღირსება მნიშვნელოვნად დიდდება მისი იშვიათობით ანუ იმ დიდი შრომის გამო, რომლის დახარჯვა საჭიროა აღნიშნული საგნის მნიშვნელოვანი რაოდენობის მოსაპოვებლად, _ შრომის, რომლისათვის სასყიდელის გაღება არავის არ ძალუძს მათ გარდა. ისინი ყოველთვის მზად არიან

უფრო მაღალ ფასად იყიდონ ასეთი საგნები, ვიდრე ისეთები, რომლებიც ბევრად უფრო ლამაზი და სასარგებლოა, მაგრამ უფრო ჩვეულებრივი არის. ეს თვისებები: სარგებლიანობა, სილამაზე და იშვიათობა ძირითადი საფუძველია ამ ლითონთა მაღალი ფასის ანუ იმისა, რომ ისინი ყოველთვის შეიძლება გაცვლილ იქნენ სხვა დოვლათთა დიდ რაოდენობაზე. ეს მათი მაღალი ღირებულება წინ უძღოდა მათ გამოყენებას მონეტის სახით და დამოუკიდებელი იყო ამისაგან; იგი შეადგენდა სწორედ იმ თვისებას, რომელმაც ეს ლითონები გახადა გამოსადეგად ასეთი გამოყენებისათვის. მაგრამ ამ გამოყენებამ, რომელმაც შეჰქმნა დამატებითი მოთხოვნა მათთვის და, მაშასადამე, შეამცირა მათი ის რაოდენობა, რომელიც შეიძლებოდა სხვა მიზნებისათვის ყოფილიყო გამოყენებული, შესაძლებელია ხელი შეუწყო შემდეგში მათი ღირებულების შენარჩუნებას ანდა გადიდებასაც.

მვირფასი ქვების მოთხოვნას იწვევს მხოლოდ და მხოლოდ მათი სილამაზე. ისინი იხმარებიან მხოლოდ მორთულობისათვის, და მათი ღირსება, რომელსაც სილამაზე წარმოადგენს, მნიშვნელოვნად დიდდება მათი იშვიათობით ანუ იმ იშვიათობისა და სიმძნელის გამო, რომელიც დაკავშირებულია მალაროებიდან მათ ამოღებასთან. მათი მაღალი ფასი ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში თითქმის სულ მთლად ხელფასისა და მოგებისაგან შესდგება. რენტა მასში შედის ძალიან მცირე ნაწილის სახით ან სულ არ შედის, და მხოლოდ ძალიან მდიდარი მალაროები იძლევიან რაოდენადმე მნიშვნელოვან რენტას. როდესაც იუველიერმა ტავერნიემ ინახულა ალმასის მალაროები გოლკონდში და ვიზიაპურში, მას აცნობეს, რომ იმ ქვეყნის ხელმწიფემ, ვის სასარგებლოდაც მალაროების ექსპლოატაცია სწარმოებდა, ბრძანება გამოსცა ყველა მალარო დაეკეტათ, გარდა ისეთებისა, რომელნიც უმსხვილეს და ულამაზეს ქვებს იძლეოდნენ. დანარჩენი მალაროები, როგორც ეტყობა, მეპატრონეს არ უფარავდნენ დამუშავების ხარჯებს.

რადგან მვირფასი ლითონების და მვირფასი ქვების ფასი განისაზღვრება მათი ფასით უმდიდრეს სამადნეებში, ამიტომ რენტა, რომელიც ამა თუ იმ სამადნეს შეუძლია მისცეს თავის მესაკუთრეს, შეეფარდება არა ამ სამადნის აბსოლუტურს, არამედ მის, ასე ვთქვათ, შედარებით სიმდიდრეს ანუ გამოსავლიანობის მხრივ მის უპირატესობას სხვა ამგვარსავე სამადნეებთან შედარებით. სხვა სამადნეები რომ იქნეს აღმოჩენილი, რომელნიც იმდენადვე უფრო მდიდარნი არიან პოტოზისაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელნი აღემატებიან სიმდიდრით ევროპის სამადნეებს, იმ შეთხვევაში ვერცხლის ღირებულება ისე ძალიან დაიწევად, რომ პოტოზის სამადნეებიც კი არ ეღირებოდა დასამუშავებლად. ესპანეთის ვესტ-ინდოეთის აღმოჩენამდე ევროპის უმდიდრესი სამადნეები, შესაძლებელია, ასეთსავე დიდ რენტას აძლევდნენ მეპატრონეს, როგორც ამჟამად პერუს უმდიდრესი სამადნეები იძლევიან. თუმცა მოპოვებული ვერცხლის რაოდენობა ნაკლები იყო, მაგრამ მისი გაცვლა შეიძლებოდა სხვა დოვლათთა დიდ რაოდენობაზე, და ის წილი, რომელსაც მესაკუთრე იღებდა, შესაძლებლობას აძლევდა ამ უკანასკნელს ეყიდა ანუ თავის განკარგულებაში მიეღო შრომის ან სხვა საქონელთა ასევე დიდი რაოდენობა. როგორც პროდუქტის, ისე რენტის ღირებულება, ნამდვილი შემოსავალი, რომელსაც ის სამადნეები აძლევდნენ საზოგადოებას და მესაკუთრეს, შესაძლებელია იგივე ყოფილიყო.

მვირფასი ლითონების ან მვირფასი ქვების უმდიდრეს მალაროებს ცოტა რამ შეუძლიათ მიუმატონ ქვეყნის სიმდიდრეს. პროდუქტი, რომლის ღირებულებას მისი იშვიათობა იწვევს, აუცილებლად ჰკარგავს ღირებულებას, როდესაც იგი უხვად მოიპოვება. სუფრის ვერცხლეული და ტანსაცმელის თუ ავეჯეულის სხვაგვარი ფუჭი

მორთულობა შეიძლება შექმნილ იქნეს შრომის ნაკლები რაოდენობით ან საქონელთა ნაკლები რაოდენობით, და მხოლოდ ეს იქნება ის სარგებლობა, რომელსაც ქვეყანა მიიღებს ძვირფასი ლითონების და ქვების სიუხვის გამო.

სხვაგვარადაა საქმე შესახებ მამულებისა მიწის ზედაპირზე. მათი როგორც პროდუქტის, ისე რენტის ოდენობა პროპორციულია მათი აბსოლუტური ნაყოფიერებისა და არა შეფარდებითისა. მიწას, რომელიც საზრდოს, ტანსაცმელისა და ბინის განსაზღვრულ რაოდენობას წარმოშობს, შეუძლია ყოველთვის ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობა გამოკვებოს, შემოსოს და ბინით უზრუნველჰყოს; და როგორც უნდა იყოს მემამულის წილი, ეს უკანასკნელი მაინც ყოველთვის აძლევს მას სათანადო შესაძლებლობას თავის განკარგულებაში მიიღოს შრომა ამ ადამიანთა ან საქონელნი, რომლებიც იმ შრომას ძალუმს მოუპოვოს მას. ყოველად მწირი მიწის ღირებულებას არ ამცირებს მის ახლოს უნაყოფიერესი მიწის მდებარეობა. პირიქით, ეს ღირებულება ჩვეულებრივ იზრდება ამის გამო. დიდი სიმრაველ ადამიანთა, რომელთაც ნაყოფიერი მიწა არჩენს, ჰქმნის მწირი მიწის პროდუქტთა დიდი ნაწილისათვის ბაზარს, რაც მათ არასოდეს არ ექნებოდათ იმ მოსახლეობაში, რომლის შენახვასაც შესძლებდა მარტო ამ მიწის პროდუქტი.

ყველაფერი, რაც მიწის ნაყოფიერებას ადიდებს საზრდოს წარმოშობის მხრივ, ადიდებს არა მარტო იმ მიწების ღირებულებას, რომელთაც გაუმჯობესება შეეხო, არამედ სხვა მიწების ღირებულებასაც, ვინაიდან ახალ მოთხოვნას ჰქმნის მათი პროდუქტისათვის. საზრდოს ის გარდამეტი, რომელიც, მიწის გაუმჯობესების წყალობით, მრავალ ადამიანთ აქვთ თავის განკარგულებაში იმას გარდა, რაც თვითონ მათ შეუძლიათ მოიხმარონ, წარმოადგენს ძირითად მიზეზს მოთხოვნისა ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების მიმართ, აგრეთვე ყველა სხვა ნივთების მიმართ, რომელნიც შეადგენენ კომფორტისა და სამკაულის საგნებს ტანსაცმელში, ბინაში, საოჯახო ავეჯეულობასა და მორთულობაში. საზრდო არა თუ შეადგენს ქვეყნიერობის სიმდიდრის მთავარ ნაწილს, არამედ მისი უხვად არსებობა მრავალი სხვა სახის სიმდიდრეს აძლევს მის მთავარ ღირებულებას. კუბისა და სან-დომინგოს ღარიბ მცხოვრებლებს, რომელნიც პირველად აღმოაჩინეს ესპანელებმა, ჩვეულებად ჰქონდათ ოქროს პატარა ნახატების ტარება, მორთულობის სახით, თმაში და ტანსაცმელის სხვადასხვა ნაწილებზე. ისინი, როგორც ეტყობა, ისევე აფასებდნენ ამ ნატეხებს, როგორც ჩვენ დავაფასებდით რაიმე კენჭს, რომელსაც ცოტათი ჩვეულებრივზე მეტი სილამაზე აქვს, და მათ სთვლიდნენ მიწიდან აღების ღირსად, მაგრამ არა ესოდენ ძვირფასად, რომ არ ებოძებიათ იმისათვის, ვინც სთხოვდა. ისინი ამ ოქროს ნატეხებს აძლევდნენ პირველ თხოვნისთანავე თავიანთ ახალ სტუმრებს, და სრულებით არ ეგონათ, ეტყობა, რომ ძალიან ძვირფას საჩუქარს აძლევდნენ. ისინი გაცეცხლებული იყვნენ იმ სიხარბით, რომლითაც ესპანელები ესწრაფებოდნენ ოქროს შექმნას, და აზრად არ მოსდიოდათ, რომ შეიძლება სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, სადაც მრავალ ადამიანთ ისე უხვად მოეპოვებათ საზრდო, _ რომელიც ესოდენ ნაკლებად აქვთ ყოველთვის კუბის და სან-დომინგოს მცხოვრებლებს, _ რომ მზად არიან ამ ბრწყინვალა უბრალო საგნის მცირე რაოდენობისათვის მისცენ იმდენი საზრდო, რამდენიც მთელ ოჯახს დაარჩენს რამდენიმე წლის განმავლობაში. შესაძლებელი რომ ყოფილიყო მათთვის ამის გაგებინება, ესპანელების მისწრაფება ოქროსადმი მათ აღარ გააკვირვებდა.

განყოფილება III

ცვლილებები შეფარდებაში იმ სახის პროდუქტების ღირებულებასა, რომელნიც ყოველთვის იძლევიან რენტას და იმ სახის პროდუქტების ღირებულებას შორის, რომელნიც ზოგჯერ იძლევიან რენტას

საზრდოს უხვად არსებობა, რაც მოწების გაუმჯობესების ზრდისა და დამუსავების გაფართოების შედეგი არის, აუცილებლად უნდა გამოიწვიოს მოთხოვნის გადიდება მიწის ყველა ისეთი პროდუქტის მიმართ, რომელიც საზრდოს არ შეადგენს, მაგრამ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კომფორტისა ან მორთულობისათვის. ამიტომ, შეიძლება მოლოდინი გვექნებოდეს, რომ განვითარების საერთო პროცესის მიმდინარეობაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ერთ ცვლილებას ამ ორი სხვადასხვა სახის პროდუქტთა შეფარდებით ღირებულებაში. იმ სახის პროდუქტთა ღირებულება, რომელნიც ზოგჯერ იძლევიან რენტას და ზოგჯერ არ იძლევიან, უნდა იზრდებოდეს მუდამ იმ პროდუქტების ღირებულებასთან შედარებით, რომელნიც ყოველთვის იძლევიან რენტას. ხელოვნებათა და მრეწველობის განვითარების მიხედვით მასალა ტანსაცმელისა და ბინისათვის, მიწიდან ამოღებული სასარგებლო მადნეული და მინერალები, ძვირფასი ლითონები და ქვები თანდათან უფრო და უფრო დიდი მოთხოვნის საგანი უნდა ხდებოდეს, თანდათან უფრო და უფრო საზრდოს დიდ რაოდენობაზე უნდა იცვლებოდეს ანუ, სხვა სიტყვებით, თანდათან უფრო და უფრო ძვირი უნდა ხდებოდეს. მართლაც ასე ხდებოდა მეტწილად ამ საგანთა შესახებ უმრავლეს შემთხვევაში და ასე მოხდებოდა ყველა მათ შესახებ ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოებანი რომ უფრო მეტი ზომით არ ადიდებდნენ ზოგ შემთხვევაში ზოგი მათგანის მიწოდებას, ვიდრე მოთხოვნას.

ასე მაგალითად, ფილაქანსამტეხლოს ღირებულება აუცილებლად იზრდება ახლომახლო მიდამოების სიმდიდრისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი ერთადერთ ქვის სამტეხლოს შეადგენს იქ. პირიქით, ვერცხლის სამადნის ღირებულება, თუნდ რომ ათასი მილის მანძილზე არ არსებობდეს მეორე სამადნე, არ იზრდება აუცილებლად იმ ქვეყნის სიმდიდრის გადიდებასთან ერთად, რომელშიაც ეს სამადნე მდებარეობს. ბაზარი ფილაქანსამტეხლოს პროდუქტისათვის იშვიათად შეიძლება ვრცელდებოდეს რამდენიმე მილზე უფრო შორს ირგვლივ, და მოთხოვნა საერთოდ უნდა შეესაბამებოდეს ამ პატარა რაიონის სიმდიდრესა და მოსახლეობას პირიქით, ბაზარი ვერცხლის სამადნის პროდუქტისათვის შეიძლება ვრცელდებოდეს დედამიწის ყველა ნაწილზე, რომელიც კი ცნობილი არის. ამიტომ, თუ არ იზრდება საერთოდ მთელი მსოფლიოს სიმდიდრე და მოსახლეობა, ვერცხლის მოთხოვნა შეიძლება სრულებით არ გაიზარდოს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იზრდება სამადნეების ირგვლივ მდებარე ფართო მიდამოების სიმდიდრე. მაშინაც კი, თუ იზრდება საერთოდ მთელი მსოფლიოს სიმდიდრე, მაგრამ სიმდიდრის ამ ზრდის პარალელურად აღმოჩენილ იქნა ახალი სამადნეები, ბევრად უფრო ნაყოფიერი, ვიდრე რომელიმე წინათ ცნობილი, – მაშინაც კი, თუმცა ვერცხლის მოთხოვნა მატულობს, მისი მიწოდება მაინც შეიძლება გაიზარდოს უფრო მეტი ზომით, ასე რომ ამ ლითონის ნამდვილი

ფასი თანდათან დაიწევს, ე. ი. მისი განსაზღვრული რაოდენობა, მაგალითად, ერთი გირვანქა თანდათან შრომის უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობის ყიდვას შესძლებს ანუ პურის _ მშრომელის ამ მთავარი საარსებო საშუალების _ უფრო და უფრო ნაკლებ რაოდენობაზე გაიცვლება.

ვერცხლის დიდ ბაზარს შეადგენს ვაჭრობის მწარმოებელი და ცივილიზაციის ნაწილის მქონე მსოფლიოსი.

თუ საერთო განვითარების პროცესის მიმდინარეობაში ამ ბაზრის მხრივ მოთხოვნა გაიზარდა, მაშინ როდესაც იმავე დროს მიწოდება იმავე პროპორციით არ გადიდებულა, _ ვერცხლის ღირებულება თანდათან გაიზარდება პურის ღირებულებასთან შედარებით. ადგილი ექნება ვერცხლის მოცემული რაოდენობის გაცვლას პურის უფრო და უფრო დიდ რაოდენობაზე ანუ, სხვა სიტყვებით, პურის ფულადი ფასი თანდათან უფრო და უფრო იაფი გახდება.

თუ, პირიქით, მიწოდება, რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო დიდი ზომით გაიზარდა, ვიდრე მოთხოვნა, იმ შემთხვევაში ეს ლითონი თანდათან უფრო და უფრო იაფი გახდება ანუ, სხვა სიტყვებით, პურის საშუალო ფულადი ფასი, ყოველგვარ გაუმჯობესებათა მიუხედავად, თანდათან უფრო და უფრო ძვირი გახდება.

მაგრამ თუ, მეორე მხრივ, ლითონის მიწოდება დაახლოებით იმავე ზომით გაიზარდა, როგორც მოთხოვნა, იმ შემთხვევაში ეს ლითონი წინანდებურად იყიდის პურის თითქმის იმავე რაოდენობას ანუ გაიცვლება მის თითქმის იმავე რაოდენობაზე და პურის საშუალო ფულადი ფასი, ყოველგვარ გაუმჯობესებათა მიუხედავად, თითქმის უცვლელი დარჩება.

ეს სამი შემთხვევა თითქმის ამოსწურავს ყველა შესაძლებელ კომბინაციას, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროგრესის მიმდინარეობაში; და უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა მიმდინარე საუკუნეს, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია განვსაჯოთ იმის მიხედვით, რაც მოხდა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში, თითოეულ კომბინაციას ამ სამიდან ადგილი ჰქონდა, როგორც სჩანს, ევროპის ბაზარზე, და ამასთან _ იმ თანმიმდევრობით, როგორც მე ეს აღვნიშნე აქ.

მიმოხილვა ვერცხლის ღირებულების ცვლილებებისა უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში

პირველი პერიოდი

1350 წელს და რამდენიმე ხნით მანამდე კვარტერი ხორბლის ფასი ინგლისში, როგორც ეტყობა, არ იყო ოთხ უნც ვერცხლზე ნაკლები, ტაუერის წონით, რაც უდრის დაახლოებით 20 შილინგს ჩვენს ახლანდელ ფულზე. ამ დონედან ხორბლის ფასმა, როგორც სჩანს, თანდათან დაიწია 2 უნც ვერცხლამდე, რაც უდრის დაახლოებით 10 შილინგს ჩვენს ახლანდელ ფულზე, და ამ ფასად ფასობდა იგი მე-XVI საუკუნის დამდეგს და, როგორც ეტყობა, შემდეგაც დაახლოებით 1570 წლამდე.

1350 წელს, – ედუარდ III-ის მეფობის მე-25 წელს, – გამოცემულ იქნა ეგრეთწოდებული მუშათა სტატუტი. ამის შესავალი ნაწილი შეიცავს ჩვილს მსახურების კადნიერების გამო, რომელნიც ცდილობენ გადიდონ თავიანთი ბატონებისაგან მისაღები ხელფასი. სტატუტი, ამიტომ, აწესებს, რომ ყველა მსახურნი და მუშები ამიერიდან უნდა დაკმაყოფილდნენ იმ ხელფასით და შესანახით (შესანახი იმ დროში ნიშნავდა არა მარტო ტანსაცმელს, არამედ სურსათსაც), რომელსაც ისინი ჩვეულებრივ იღებენ ედუარდ III-ის მეფობის მე-20 წელში და მის წინა ოთხ წელიწადში; რომ, ამასთან დაკავშირებით მათი შესანახი ხორბალი არსად არ უნდა შეფასდეს 10 პენსზე მეტად ბუშელი და რომ ბატონების ნებაზე უნდა იყოს, მისცემენ ისინი ხორბალს თუ ფულს. ამრიგად, ედუარდ III-ის მეფობის მე-25 წელს 10 პენსი ერთი ბუშელისათვის ითვლებოდა ხორბლის ძალიან ზომიერ ფასად, ვინაიდან სპეციალური კანონის გამოცემა იყო საწირო იმისათვის, რომ მსახურებისათვის მიეღებინებიათ ეს ფასი ნაცვლად ჩვეულებრივი შესანახისა ნატურით; ეს ფასი ითვლებოდა სამართლიან ფასად აგრეთვე 10 წლის წინა დროისათვის, სახელდობრ იმავე ედუარდ III-ის მეფობის მე-16 წლისათვის, რომელიც წარმოადგენდა ვადას, სადამდეც ვრცელდებოდა კანონის ძალა. ედუარდ III-ის მეფობის მე-16 წელს კი 10 პენსი შეიცავდა დაახლოებით ნახევარ უნც ვერცხლს, ტაუერის წონით, და უდრიდა თითქმის ნახევარ კრონას ჩვენს ახლანდელ ფულზე. მაშასადამე, 4 უნცი ვერცხლი ტაუერის წონით, რაც უდრიდა იმ დროის 6 შილინგს და 8 პენსს ანუ თითქმის 20 შილინგს ახლანდელ ფულზე, უნდა ყოფილიყო მიჩნეული ზომიერ ფასად 8 ბუშელის შემცველი კვარტერისათვის.

ეს კანონი უცილობლად უფრო სწორ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა ითვლებოდა იმ დროში პურის ზომიერ ფასად, ვიდრე ისტორიკოსებისა და სხვა მწერლების მიერ ჩვეულებრივ აღნიშნული ფასები ცალკე წლებისათვის, რომელნიც არაჩვეულებრივი გაძვირების ან გაიაფების წლებს წარმოადგენენ და რომელთა მიხედვით, ამიტომ, ძნელია წარმოდგენის შედგენა ჩვეულებრივი ფასის შესახებ. გარდა ამისა, გვაქვს სხვა საბუთებიც ვიფიქროთ, რომ მე-XIV საუკუნის დამდეგს და რამდენიმე ხნით მის წინათაც კვარტერი ხორბლის ჩვეულებრივი ფასი არ იყო 4 უნც ვერცხლზე ნაკლები და რომ სხვა მარცვლეულის ფასი ამ ფასთან იყო შეფარდებული.

1309 წელს რაულ დე ბორნმა, წმ. ავგუსტინის მონასტრის წინამძღვარმა კენტებერიში, იმ დღეს, როდესაც თანამდებობა ჩაიბარა, ნადიმი გამართა, რომლის შესახებ ვილიამ ტორნმა შეგვიწარჩუნა არა თუ საჭმელების სია, არამედ ბევრი საგნის ფასებიც. ამ ნადიმზე დაიხარჯა: 1) 53 კვარტერი ხორბალი, ფასით 19 გირვანქისა ანუ კვარტერი 7 შილინგის და 2 პენსისა, რაც ჩვენს ფულზე შეადგენს დაახლოებით 21 შილინგს და 6 პენსს; 2) 58 კვარტერი ალაო, 17 გირვანქის და 10 შილინგისა, ანუ კვარტერი 6 შილინგისა, რაც ჩვენს ფულზე შეადგენს დაახლოებით 18 შილინგს; 3) 20 კვარტერი შვრია, 4 გირვანქის ანუ კვარტერი 4 შილინგისა, რაც ჩვენს ფულზე უდრის დაახლოებით 12 შილინგს. ალაოს და შვრიის ფასები აქ თითქოს უფრო მაღალია, ვიდრე შეესაბამება მათ ჩვეულებრივ შეფარდებას ხორბლის ფასის მიმართ.

ეს ფასები აღნიშნულია არაჩვეულებრივი სიძვირის ან სიიაფის გამო, არამედ მოხსენებულია შემთხვევით, როგორც ფაქტიურად გადახდილი ფასები პურის დიდი რაოდენობისათვის, რომელიც დაიხარჯა თავისი სიდიადით განთქმულ ნადიმზე.

1262 წელს, ჰენრი III-ის მეფობის მე-51 წელს, აღდგენილ იქნა ძველი კანონი, ეგრეთწოდებული პუროს და ლუდის ნიხრი, რაც, როგორც მეფე ამბობს კანონის შესავალში, დაწესებული იყო მისი წინაპრების – ინგლისის მეფეების – დროს. სარწმუნოა, ამიტომ, რომ ეს კანონი ყოველ შემთხვევაში იმდენად დიდი ხნისაა, რომ

აღწევს მისი პაპის – ჰენრი II-ის – ხანას და შესაძლებელია ინგლისის დაპყრობის ხანასაც. კანონი პურის ფასს აწესებს ხორბლის არსებული ფასების მიხედვით, კვარტერისათვის 1-დან 20 შილინგამდე მაშინდელ ფულზე. მაგრამ ამგვარი კანონების შესახებ ჩვეულებრივ გულისხმობენ, რომ ისინი ერთგვარადვე იღებენ მხედველობაში ყველა გადახრას საშუალო ფასიდან როგორც ქვევითკენ, ისე ზევითკენ. ამ გულისხმობის მიხედვით, 10 შილინგი, რომელიც შეიცავდა 6 უნც ვერცხლს ტაუერის წონით და უდრიდა დაახლოებით 30 შილინგს ჩვენს ახლანდელ ფულზე, უნდა ჩაითვალოს კვარტერი ხორბლის საშუალო ფასად იმ დროში, როდესაც ეს კანონი პირველად იყო გამოცემული, და მიჩნეული უნდა იქნეს ასეთ ფასად ჰენრი III-ის მეფობის მე-51 წლამდე ამიტომ ჩვენ არ მოგვივა დიდ შეცდომა, თუ მივიღებთ, რომ საშუალო ფასი არ იყო იმ უმაღლესი ფასის ერთ მესამედზე ნაკლები, რომელიც კანონმა დააწესა, ე. ი. არ იყო ნაკლები 4 შილინგსა და 8 პენსზე, მაშინდელი ფულით ანუ 4 უნც ვერცხლზე ტაუერის წონით.

ჩვენ თითქოს გვაქვს რაოდენადმე საფუძველი ამ სხვადასხვა ფაქტებიდან დავასკვნათ, რომ მე-XVI საუკუნის შუაში და მანამდეც მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში კვარტერი ხორბლის საშუალო ანუ ჩვეულებრივ ფასად ითვლებოდა არანაკლებ 4 უნცი ვერცხლისა ტაუერის წონით.

დაახლოებით მე-XIV საუკუნის ნახევრიდან მე-XVI საუკუნის დასაწყისამდე ხორბლის იმ ფასმა, რომელსაც სამართლიან და ზომიერ ფასად, ე. ი. ჩვეულებრივ ანუ საშუალო ფასად სთვლიდნენ, თანდათან დაიწია, როგორც ეტყობა, აღნიშნული ფასის ნახევრამდე, ასე რომ, დაბოლოს იგი დაეცა 2 უნც ვერცხლამდე ტაუერის წონით, რაც უდრის თითქმის 10 შილინგს ჩვენს ახლანდელ ფულზე. ასეთი შეფასება ჰქონდა ხორბალს დაახლოებით 1570 წლამდე.

ჰენრის – ნორტუმბერლენდის მეხუთე გრაფის – საოჯახო დავთარში, რომელიც 1512 წელს შეეხება, მოიპოვება ხორბლის სხვადასხვა შეფასება. ერთის მიხედვით კვარტერი იანგარიშება 6 შილინგად და 8 პენსად, მეორის მიხედვით – მხოლოდ 5 შილინგად და 8 პენსად. 1512 წელს 6 შილინგი და 8 პენსი შეიცავდა მხოლოდ 2 უნც ვერცხლს ტაუერის წონით და უდრიდა დაახლოებით 10 შილინგს ჩვენს ახლანდელ ფულზე.

ედუარდ III-ის მეფობის მე-25 წლიდან მოკიდებული ელისაბედის მეფობის დასაწყისამდე, ე. ი. ორას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, 6 შილინგი და 8 პენსი შეადგენდა ისევ და ისევ, როგორც ეს ჩანს სხვადასხვა სტატუტებიდან, ხორბლის ეგრეთწოდებულ ზომიერ ანუ სამართლიან ფასს ე. ი. ჩვეულებრივ ანუ საშუალო ფასს. მაგრამ ვერცხლის რაოდენობა, რომელსაც ეს ნომინალური თანხა შეიცავდა, ამ პერიოდის განმავლობაში მუდამ კლებულობდა იმ მრავალგზის ცვლილებების გამო, რომელნიც მონეტამ განიცადა. მხოლოდ ვერცხლის ღირებულების გადიდება, როგორც სჩანს იმდენად აწონასწორებდა ამ ნომინალურ თანხაში მოქცეული ვერცხლის რაოდენობის შემცირებას, რომ კანონმდებლობა საჭიროდ არ სთვლიდა ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის.

ასე, 1436 წელს გამოცემულ იქნა კანონი, რომ შეიძლებოდა ხორბლის გატანა განსაკუთრებული ნებართვის აუღებლად, უკეთუ მისი ფასი არ აღემატებოდა 6 შილინგს და 8 პენსს, ხოლო 1463 წელს გამოცემულ იქნა კანონი, რომელიც კრძალავდა ხორბლის შემოტანას, როდესაც მისი ფასი კვარტარისათვის არ აღემატებოდა 6 შილინგსა და 8 პენსს. კანონმდებელი ფიქრობდა, ასეთი დაბალი ფასის არსებობისას ექსპორტი არ შეიძლება ჰქმნიდეს რაიმე უხერხულობასო, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ფასი ამ დონეზე მაღლა იწევს, გონივრული იქნება

იმპორტი ნებადართული იყოსო. ამრიგად, ამ ხანაში ხორბლის ეგრეთწოდებულ ზომიერ და სამართლიან ფასად ითვლებოდა 6 შილინგი და 8 პენსი, რომელიც დაახლოებით იმდენსავე ვერცხლს შეიცავდა, რამდენსაც შეიცავს ჩვენი ახლანდელი ფულის 13 შილინგი და 4 პენსი (ერთი მესამედით ნაკლებს, ვიდრე შეიცავდა ასეთივე ნომინალური თანხა ედუარდ III-ის ხანაში).

1554 წელს, _ ფილიპეს და მარიამის მეფობის 1-ლ და მე-2 წელს, _ და 1558 წელს, _ ელისაბედის მეფობის 1-ლ წელს, _ ხორბლის ექსპორტი აკრძალულ იქნა აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც კვარტერის ფასი აღემატებოდა 6 შილინგსა და 8 პენსს, _ თანხას, რომელიც მაშინ შეიცავდა მხოლოდ ორი პენსით მეტ ვერცხლს, ვიდრე ასეთივე ნომინალური თანხა ამჟამად. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ხორბლის ექსპორტის შეკავება მანამდე, სანამ მისი ფასი არ დაიწევდა ესოდენ დაბალ დონემდე, სინამდვილეში ნიშნავდა მის სრულებით აკრძალვას. ამიტომ 1562 წელს, _ ელისაბედის მეფობის მე-5 წელს, _ ნებადართული იქნა ხორბლის ექსპორტი და ზოგიერთი ნავსადგურებიდან იმ შემთხვევაში, როდესაც კვარტერის ფასი არ აღემატებოდა 10 შილინგს, რაც შეცავდა დაახლოებით ვერცხლის იმავე რაოდენობას, რასაც შეიცავს ამჟამად ასეთივე ნომინალური თანხა. ამრიგად, ეს ფასი ითვლებოდა ამ დროს ხორბლის ეგრეთწოდებულ ზომიერ და სამართლიან ფასად. ეს თითქმის შეესაბამება 1512 წლის ნორტუმბერლენდის დავთრის შეფასებას.

რომ საფრანგეთში ხორბლის საშუალო ფასი ასევე ბევრად უფრო დაბალი იყო მე-XV საუკუნის ბოლოს და მე-XVI საუკუნის დასაწყისში, ვიდრე ამის წინა ორ საუკუნეში, ეს აღნიშნული აქვს როგორც ბ-ნ დიუპრე დე სენ-მორს, ისე ბრწყინვალე ავტორს „ ცდისა სამარცვლეული პოლიტიკის შესახებ.” ხორბლეულის ფასმა იმავე პერიოდის განმავლობაში, ალბათ, დაიწია ასევე მეტწილ ევროპაში.

ვერცხლის ღირებულების ეს აწევა ხორბლის ღირებულებასთან შედარებით გამოწვეული იყო მთლად ან ამ ლითონის მიმართ მოთხოვნის გადიდებით, რაც შედეგი იყო მრეცველობის და მიწათმოქმედების განვითარებისა, მაშინ როდესაც მისი მიწოდება იმავე პერიოდში იგივე იყო, რაც წინათ, ან მოთხოვნა თუ წინანდებური დარჩა, აღნისნული აწევა შესაძლებელია მთლად გამოწვეული ყოფილიყო მიწოდების თანდათან შემცირებით, ვინაიდან მეტი წილი სამადნეები, რომლებიც რომელიც მაშინ ცნობილი იყო ქვეყნად, ძალიან გამოფიტული იყო და ამიტომ მათი დამუშავების ხარჯებიც _ დიდად გაზრდილი; ანდა იგი შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ნაწილობრივ ერთი და ნაწილობრივ მეორე ზემო აღნიშნული გარემოებით. მე-XV საუკუნის დასარულს და მე-XVI საუკუნის დასაწყისში ევროპის უდიდესი ნაწილი უახლოვდებოდა მთავრობის უფრო მტკიცე ფორმის დამყარებას, ვიდრე ის ფორმა იყო, რომელიც მას ჰქონდა მანამდე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. უშიშროების გადიდებას უნდა გამოეწვია, რასაკვირველია, მრეწველობისა და კულტურის ზრდა, და მოთხოვნა ძვირფასი ლითონების მიმართ, აგრეთვე ფუფუნებისა და მორთულობის ყველა სხვა საგანთა მიმართ, რა თქმა უნდა გადიდებულიყო სიმდიდრის ზრდასთან ერთად. უფრო დიდი წლიური პროდუქტის სამიმოქცევოდ საჭირო იყო მონეტის უფრო დიდი რაოდენობა, და მდიდარ ადამიანთა უფრო დიდ რაოდენობას უნდა მოეთხოვნა ვერცხლის ყოველგვარი ავეჯეულის და სამკაულის უფრო დიდი რაოდენობა. ბუნებრივია აგრეთვე იმის გულისხმობა, რომ მეტი წილი სამადნეები, რომელნიც მაშინ ევროპის ბაზარს ვერცხლს აწვდიდნენ, ძალიან გამოფიტული იყო და მეტ ხარჯებს მოითხოვდა. დასამუშავებლად. ბევრი მათგანის დამუშავება რომაელების დროიდან სწარმოებდა.

და მაინც უმრავლესობა იმათი, რომელთაც უწერიათ საქონელთა ფასების შესახებ წინანდელ დროში, იმ აზრს ადგა, რომ ინგლისის დაპყრობის დროიდან დაწყებული და, შეიძლება, იულიუს კეისარის შესევის დროიდანაც დაწყებული ამერიკის აღმოჩენამდე ვერცხლის ღირებულება განუწყვეტილ კლებულობდა. ამ აზრზე ისინი მიჰყავდა ნაწილობრივ იმ დაკვირვებას, რომელიც მათ უწარმოებიათ როგორც ხორბლის, ისე რამდენიმე სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლი პროდუქტის ფასებზე, ნაწილობრივ ამ პოპულარულ შეხედულებას რომ ყოველ ქვეყანაში სიმდიდრის ზრდასთან ერთად ბუნებრივად იზრდება ვერცხლის რაოდენობაც, და ამიტომ მისი ღირებულება კლებულობს ამ რაოდენობის ზრდის მიხედვით.

მათ შინაშე მანამდე ხორბლის ფასების შესახებ ეს მწერლები, როგორც ეტყობა, ხშირად შეცდომაში შეჰყავს სამ სხვადასხვა გარემოებას.

1. ძველად თითქმის ყველა რენტა გადაიხდებოდა ნატურით, პურის ცხოველის, ფრინველისა და სხვ. განსაზღვრული რაოდენობით, მაგრამ ზოგჯერ ამასაც ჰქონდა ადგილი, რომ მემამულეს პირობაში შეჰქონდა ასეთი მუხლი რომ მას შეეძლო, თავის შეხედულებისამებრ, მიწის ამღებისაგან მოეთხოვა წლიური გადასახდელის გადახდა ან ნატურით, ანდა, მის ნაცვლად, ფულის განსაზღვრული თანხა, იმ ფასს, რომლის თანახმად ნატურით გადახდა, ამგვარად, ფულის განსაზღვრული თანხით იყო შეცვლილი, შოტლანდიაში ეწოდება საკონვერსიო ფასი. რადგან ყოველთვის მემამულეს აქვს არჩევანი, ან პროდუქტი აიღოს ან მისი ფასი, – მიწის ამღების უზრუნველყოფისათვის საჭიროა, რომ საკონვერსიო ფასი საბაზრო ფასზე დაბალი იყოს უფრო ვიდრე მაღალი. ამიტომ ბევრ ადგილას ეს ფასი არ აღემატება საბაზრო ფასის ნახევარს. შოტლანდიის უდიდეს ნაწილში ეს ადათი დღესაც არსებობს შინაური ფრინველისთვის და ზოგ ადგილას შინაური საქონლისათვისაც. იგი, ალბათ, შენარჩუნებული იქნებოდა ხორბლეულისთვისაც, მისთვის რომ დასასრული არ მიეცა საჯარო ნიხრის დაწესებას. განსაკუთრებული კომისიები აწესებდნენ სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა ღირსების ხორბლეულის საშუალო ფასის განსაზღვრას ფაქტიური საბაზრო ფასის შესაბამისად სხვადასხვა საგრაფოში. ეს დანიხვრა საკმაოდ უზრუნველყოფდა მიწის ამღებს და მემამულისთვის ბევრად უფრო მოხერხებულს ხდიდა, რომ მათ ხორბლეულის რენტა, როგორც ისინი ამას უწოდებენ, გადაეტანათ ფულზე უპირატესად. ყოველწლიური სანიხრო ფასის მიხედვით, ვიდრე რაიმე მტკიცე ფასის მიხედვით, ვიდრე რაიმე მტკიცე ფასის მიხედვით, მაგრამ მცერლები, რომლებიც ჰკრებდნენ ცნობებს ხორბლის ფასების შესახებ წინანდელ დროში, ხშირად, როგორც ეტყობა, შეცდომით იღებდნენ ფაქტიურ საბაზრო ფასად იმას, რასაც შოტლანდიაში საკონვერსიო ფასს უწოდებენ. ფლიტვუდი ერთ შემთხვევაში აღიარებს, რომ მას ასეთი შეცდომა მოუვიდა. მაგრამ რადგან იგი თავის წიგნს სპეციალური მიზნით სწერდა, ამიტომ მან საჭიროდ მიიჩნია ამის აღიარება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თხუთმეტჯერ გადმოსწერა უკვე ეს საკონვერსიო ფასი. ეს ფასი შეადგენს 8 შილინგს კვარტერი ხორბლისათვის. ეს თანხა 1423 წელში, რომლისათვისაც იგი აღნიშნავს ამ ფასს პირველად, შეიცავდა ვერცხლის იმავე რაოდენობას, რასაც შეიცავს 16 შილინგი ჩვენს ახლანდელ ფულზე, ხოლო 1562 წელში, რომლისათვისაც იგი აღნიშნავს ამ ფასს უკანასკნელად, იგი შეიცავდა, არა იმაზე მეტს, რასაც შეიცავს, ამჟამად ასეთივე ნორმალური თანხა.

1. ეს მწერლები შეცდომაში შედიოდნენ იმ დაუდევრობის გამო, რომელსაც იჩენდნენ ხშირად დაღლილი გადამწერლები ზოგი ძველი სანიხრო სტატუტების გადაწერაში და, შესაძლებელია, ზოგჯერ კანონმდებელნიც მათ შედგენაში.

ძველი სანაპირო სტატუტები, როგორც ეტყობა, იწყებდნენ ყოველთვის ამის განსაზღვრით: როგორი უნდა ყოფილიყო პურის და ლუდის ფასი, როდესაც უდაბლეს დონეზე იდგა ხორბლის და ქერის ფასი, და, როგორც სჩანს, შემდეგ გადადიოდნენ თანდათან იმის განსაზღვრაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს ფასი, როდესაც ამ ორი სახის ხორბლეულის ფასი თანდათან უდაბლეს დონეზე მაღლა იწევდა. მაგრამ ამ სტატუტების გადამწერლები ხშირად, როგორც ეტყობა, საკმარისად სთვლიდნენ დადგენილების მხოლოდ ის ნაწილი გადაეწერათ, სადაც პირველი სამი თუ ოთხი უდაბლესი ფასი იყო აღნიშნული, ვინაიდან ისინი ამგვარად შრომას იმოკლებდნენ და, როგორც მე მგონია, ფიქრობდნენ, რომ ეს საკმარისი იყო იმ პროპორციის საჩვენებლად, რომელიც დაცული უნდა ყოფილიყო ყველა უფრო მაღალი ფასის შემთხვევაში.

ასე, იმ სტატუტით პურისა და ლუდის ნიხრის შესახებ, რომელიც გამოცემულ იქნა ჰენრი III-ის მეფობის მე-51 წელს, პურის ფასი დაწესებული იყო, ხორბლის სხვადასხვა ფასების მიხედვით, კვარტერისათვის 1-დან 20 შილინგამდე მაშინდელი ფულით. მაგრამ ხელნაწერებში, რომლებიდანაც იბეჭდებოდა სტატუტების სხვადასხვა გამოცემები ბ-ნი რუფკედის გამოცემამდე, გადამწერლებს არასოდეს არ ჰქონდათ ეს დადგენილება გადაწერილი 12 შილინგს იქით. ზოგმა მწერლებმა, რომელნიც ასეთმა ნაკლულოვანმა კოპიომ შეცდომაში შეიყვანა, სრულიად ბუნებრივად ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ საშუალო ფასი, ანუ 6 შილინგი კვარტერზე, რაც დაახლოებით 18 შილინგს უდრის ჩვენს ახლანდელ ფულზე, ხორბლის ჩვეულებრივ ანუ საშუალო ფასს შეადგენდა იმ დროში.

სამარცხვინო სკამისა და სამარცხვინო ბოძის შესახები სტატუტით, რომელიც დაახლოებით იმავე დროს არის გამოცემული, ლუდის ფასი, თანახმად ქერის ფასის თითოეული აწევისა 6 პენსით, დაწესებულია 2 შილინგიდან 4 შილინგამდე კვარტერისათვის. მაგრამ ეს 4 შილინგი არ იტვლებოდა უმაღლეს ფასად, სადამდეც ქერი შეიძლებოდა იმ დროში ხშირად ასულიყო, და ეს ფასები აღნიშნული იყო მხოლოდ როგორც იმ პროპორციის მაგალითი, რომელიც დაცული უნდა ყოფილიყო ყველა სხვა – უფრო მაღალი თუ უფრო დაბალი – ფასის შემთხვევაში. ეს ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ სტატუტის უკანასკნელი სიტყვებიდან: „et sic deinceps crescet vel diminnetur per sex denarios”. ეს გამოთქმა მოკლებულია ზედმიწევნილობას, მაგრამ აზრი საკმაოდ ნათელი არის: „ლუდის ფასმა უნდა აიწიოს ან დაიწიოს იმის მიხედვით, როგორც ქერის ფასი თითოეულჯერ აიწევს ან დაიწევს 6 პენსით”. ამ სტატუტის შედგენაში თვით კანონმდებელი, სჩანს, ისევე დაუდევრათ იქცევა, როგორც გადამწერლები სხვა სტატუტების გადაწერაში.

„Regam Majestatem”-ის – ძველი შოტლანდიური კანონთა კრებულის – ერთ ძველ ხელნაწერში მოიპოვება სანიხრო სტატუტი, რომელშიაც პურის ფასი, ხორბლის სხვადასხვა ფასების მიხედვით, განსაზღვრულია 10 პენსიდან 3 შილინგამდე შოტლანდიური „ბოლისისთვის”, რაც დაახლოებით უდრის ნახევარ ინგლისურ კვარტერს. 3 შოტლანდიური შილინგი იმ დროს, როდესაც, როგორც ფიქრობენ, გამოცემული იყო ეს სტატუტი, უდრიდა დაახლოებით 9 შილინგს ვერცხლით ჩვენს ახლანდელ ფულზე. ბ-ნი რუდიმანი¹ აქედან, როგორც სჩანს, იმ დასკვნას აკეთებს, რომ 3 შილინგი შეადგენდა უმაღლეს ფასს, სადამდე ოდესმე იმ დროში ასულა ხორბალი, და რომ 10 პენსი, შილინგი ან, დიდი-დიდი, 2 შილინგი ჩვეულებრივი ფასი იყო. მაგრამ ხელნაწერის გაცნობისას ცხადი ხდება, რომ ყველა ეს ფასები იმ

¹ იხ. მისი წინასიტყვაობა Anderson-ის *Diplomata scotiae*-სთვის.

პროპორციის მაგალითის სახითაა აღნიშნული, რომელიც დაცული უნდა იყოს ხორბლისა და პურის ფასს შორის. სტატუტის უკანასკნელი სიტყვები ასეთია: „*reliqua judicabis secundum secundum praescripta habendo respectum ad pretium bladi*”, რაც ნიშნავს შემდეგს: „დანარჩენი შემთხვევები უნდა განვსაჯოთ იმის თანახმად, რაც ზემოთ არის დაწერილი, ხორბლის ფასის მხედველობაში მიღებით”.

3. აღნიშნული მწერლები, როგორც ეტყობა, შეცდომაში შეიყვანა იმ მეტად დაბალმა ფასმა, რადაც ზოგჯერ ხორბალი იყიდებოდა ძალიან ძველ დროში, და მათი ის აზრი გამოისახეს თავში, რომ რახან ხორბლის ფასი მაშინ გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე შემდეგ ხანებში, მისი ჩვეულებრივი ფასიც გაცილებით უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მათ შეეძლოთ დაენახათ, რომ ხორბლის უმაღლესი ფასი იმ ძველ დროში იმდენადვე მაღალი იყო, რამდენადაც მისი უდაბლესი ფასი დაბალი იყო იმ ფასზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოდესმე შედეგ ხანებში. ასე, 1270 წლისთვის ფლიტვუდი გვაუწყებს ორ ფასს კვარტერი ხორბლისათვის. ერთი უდრის 4 გირვანქას და 16 შილინგს იმდროინდელ ფულზე, რაც ახლანდელ ფულზე ეთანასწორება 14 გირვანქას და 8 შილინგს. მეორე უდრის 6 გირვანქას და 8 შილინგს, რაც ჩვენს ახლანდელ ფულზე ეთანასწორება 19 გირვანქას და 4 შილინგს. მე-XV საუკუნის ბოლოს ან მე-XVI საუკუნის დასაწყისში არ შეძლება ვპოვოთ ისეთი ფასი, რომელიც უახლოვდებოდეს ამ უზომოდ მაღალ ფასებს. თუმცა ხორბლის ფასი ცვლილებას ექვემდებარება ყოველთვის, მაგრამ იგი ცვლილებას განიცდის მეტწილად იმ აფორიაქებულ და მოუწესრიგებელ საზოგადოებაში, სადაც ყოველი ვაჭრობის და კავშირგაბმულობის შეწყვეტა ხელს უშლის იმას, რომ ქვეყნის ერთ ნაწილში არსებული სიუხვე ამსუბუქებდეს ნაკლებობას მეორეში. იმ შფოთიან ხანაში, როდესაც პლანტაგენეტები განაგებდნენ ინგლისს, მე-XII საუკუნის ნახევრიდან მე-XV საუკუნის ბოლომდე, ერთი ოლქი შეიძლებოდა სიუხვეში ყოფილიყო, მაშინ როდესაც მისგან არა დიდად დაშორებულ მეორე ოლქს შიმშილის ყველა საშინელება განეცადა, თუ მისი მოსავალი განადგურებული იყო ავდრით ან რომელიმე მეზობელი ბარონის იქ შეჭრით. თუ მათ შორის რომელიმე მტერი მეტატონის მიწები მდებარეობდა სულ მცირე დახმარების გაწევა არ შეეძლო ერთს მეორისათვის. ტიუდორების ძლიერი მთავრობის დროს, რომელიც მე-XV საუკუნის უკანასკნელი ნაწილის და მთელი მე-XVI საუკუნის განმავლობაში განაგებდნენ ინგლისს, არც ერთი ბარონი არ იყო იმდენად ძლიერი, რომ გაეხდინა საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევა.

ამ თავის ბოლოში მკითხველი იპოვის ფლიტვუდის მიერ შეგროვილ ყველა ფასს 1202-დან 1597 წლამდე (ორივე ამ წლის ჩართვით), ჩვენს ახლანდელ ფულზე გადატანილს და ქრონოლოგიის მიხედვით 7 განყოფილებად დალაგებულს, რომელთაგან თითოეულში 12 წელია მოქცეული. თითოეული განყოფილების ბოლოში იგი იპოვის აგრეთვე საშუალო ფასს 12 წლისთვის, რომლებისგანაც განყოფილება შესდგება. ამ ხანგრძლივი პერიოდისთვის ფლიტვუდმა შესძლო ფასების შეკრება მოლოდინს მიხედვით წლისთვის, ასე რომ ოთხი წელიწადი აკლია უკანასკნელი 12 წლის შესავსებად. ამიტომ მე დავუმატე 1598, 1599, 1600 და 1601 წლების ფასები, რომლებიც ამოვიღე იტონის კოლეჯის ანგარიშებიდან. ეს ერთადერთი დამატებაა, რომელიც მე მოვახდინე. მკითხველი დაინახავს მე-XIII საუკუნის დასაწყისიდან მე-XVI საუკუნის შუამდე საშუალო ფასი თითოეული 12 წლისათვის თანდათან უფრო და უფრო დაბალი ხდება და რომ მე-XVI საუკუნის ბოლოს იგი იწყებს ხელახლა მაღლა აწევას. მაგრამ, როგორც ეტყობა, ის ფასები, რომლების შესახებ ცნობების შეგროვება ფლიტვუდმა შესძლო, უპირატესად ისეთი

ფასებია, რომლებიც შესანიშნავი იყო არაჩვეულებრივი სიძვირის ან სიიაფის გამო; ამიტომ არ შემოიძლია ვამტკიცო, რომ იმათგან შეიძლებოდა რაიმე საიმედო დასკვნის გამოტანა. რამდენადა ისინი საერთოდ რამეს ამტკიცებენ, _ ადასტურებენ იმ აზრს, რომლის დასაბუთებაც მე ვცდილობდი. თვით ფლიტვუდი კი, სხვა მწერლების უმრავლესობასთან ერთად, იმ აზრის იყო, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვერცხლის ღირებულება, მისი მუდამ მზარდი რაოდენობის გამო, განუწყვეტლივ კლებულობდა. მაგრამ ხორბლის ფასები, რომლებიც მან შეჰკრიბა, უეჭველად არ ადასტურებს ამ აზრს. ისინი ადასტურებენ სავსებით ბ-ნი დიუპრე დე სენ-მორის აზრს და იმ აზრს, რომელიც მე ვცვადე გადმომეცა. ეპისკოპოზი ფლიტვუდი და დიუპრე დე სენ-მორი ის ორი ავტორია, რომელთაც, როგორც სჩანს, დიდის გულდასმით და ზედმიწევნით შეჰკრიბეს საგანთა ფასები ძველს დროში. ცოტათი საკვირველია, რომ, თუმცა მათი აზრი ასე ძალიან განსხვავდება, მათი ცნობები, ყოველ შემთხვევაში რამდენადაც ისინი ხორბლის ფასს შეეხებიან, ასე ზედმიწევნით თანაემთხვევა ერთი მეორეს.

მაგრამ ყველაზე უფრო ჩაკვირვებული მწერლები ვერცხლის დიდ ღირებულებას იმ ძველი დროისათვის დაასკვნიდნენ არა იმდენად ხორბლის დაბალი ფასიდან, რამდენადაც მიწის სხვა ნედლი მასალების დაბალი ფასიდან. ხორბალი, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, წარმოადგენდა რა ერთგვარ დამუშავებულ პროდუქტს; იმ პრიმიტიულ ხანაში გაცილებით უფრო ძვირი იყო მეტწილ სხვა საქონელთან შედარებით; აქ იგულისხმება, როგორც მე ვფიქრობ, მეტი წილი დაუმუშავებელი პროდუქტები, როგორცაა შინაური საქონელი ფრინველური, ყოველგვარი ნადირი და სხვ. აუცილებლად სწორია, რომ იმ ბარბაროსობისა და სიღარიბის ხანაში ეს პროდუქტები შედარებით ბევრად უფრო იაფი იყო, ვიდრე ხორბალი. მაგრამ ეს სიიაფე შედეგი იყო არა ვერცხლის მაღალი ღირებულების, არამედ ამ პროდუქტთა მცირე ღირებულებისა. მიზეზს შეადგენდა არა ის, რომ ვერცხლი იმ ხანაში მეტ შრომას ყიდულობდა ან წარმოადგენდა, არამედ ის, რომ ასეთი პროდუქტები შრომის ბევრად ნაკლებ რაოდენობას ყიდულობდა ან წარმოადგენდა, ვიდრე უფრო დიდი სიმდიდრისა და კულტურის ხანაში. ვერცხლი, რასაკვირველია, უფრო იაფი უნდა იყოს ესპანეთის ამერიკაში, ვიდრე ევროპაში, ე. ი. უფრო იაფი უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც იგი მოიპოვება, ვიდრე იმაში, სადაც იგი შორიდან შეიზიდება ხარჯების გაწევით ხმელეთისა და წყლის ტრანსპორტზე, ფრახტსა და დაზღვევაზე. როგორც ულთა გადმოგვცემს, სულ რამდენიმე წლის წინათ ბუნოს-აირესში 300 _ 400-თავიანი ჯოგიდან ამორჩეული ხარის ფასი 21 1/2 პენსს შეადგენდა. კარგი ცხენის ფასი ჩილის დედა-ქალაქში, როგორც ბაირონი გადმოგვცემს, უდრიდა 16 მილინგს ვერცხლით. ქვეყანაში, რომელიც ბუნებით ნაყოფიერი არის, მაგრამ რომლის უდიდესი ნაწილი დაუმუშავებელი რჩება, შინაური საქონელს, ფრინველს, ყოველგვარ ნადირსა და სხვ., ვინაიდან მათი შექმნა შრომის ფრიად მცირე რაოდენობითაა შესაძლებელი, ასევე შრომის ფრიად მცირე რაოდენობა შეუძლია იყიდოს ანუ მიაღებინოს ადამიანს თავის განკარგულებაში. დაბალი ფულადი ფასი, რადაც ისინი შეიძლება გაყიდულ იქნენ, სრულიადაც არ წარმოადგენს იმის დამტკიცებას, რომ ვერცხლის ნამდვილი ღირებულება იქ ძალიან მაღალი არის, _ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ამპროდუქტების ნამდვილი ღირებულება ძალიან დაბალია.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შრომა, და არა რაიმე განსაკუთრებული საქონელი ან ჯგუფი საქონელთა, წარმოადგენს როგორც ვერცხლს, ისე ყველა სხვა საქონლის ღირებულების ნამდვილ საზომს.

მეტწილად უდაბურ ან მარტოოდენ მეჩხერად დასახლებულ ქვეყნებში ცხოველს, ფრინველს, ყოველგვარ ნადირსა და სხვ., რამდენადაც ესენი უშუალო პროდუქტებია ბუნებისა, ეს უკანასკნელი ხშირად წარმოშობს ბევრად მეტი რაოდენობით, ვიდრე ამას მოითხოვს მცხოვრებთა მოხმარება. ასეთ გარემოებაში მიწოდება ჩვეულებრივ აღემატება მოთხოვნას..ამიტომ საზოგადოების სხვადასხვა მდგომარეობაში, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ასეთი პროდუქტები წარმომადგენელია ანუ ეკვივალენტია შრომის ფრიად სხვადასხვა რაოდენობისა.

საზოგადოების ყოველ მდგომარეობაში, კულტურის ყოველ საფეხურზე ხორბალი ადამიანის შრომის პროდუქტს შეადგენს. მაგრამ შრომის ყოველი დარგის საშუალო პროდუქტი მეტნაკლებ ზედმიწევნით შეესაბამება საშუალო მოთხოვნას. გარდა ამისა, კულტურის ყოველ სხვადასხვა საფეხურზე ხორბლის ერთნაირი რაოდენობის წარმოებისათვის, იმავე ნიადაგისა და ჰავის არსებობისას, საჭიროა საშუალოდ თითქმის ერთნაირი რაოდენობა შრომისა ანუ, რაც იგივეა, თითქმის ერთნაირი ხარჯების გაწევა შრომისათვის, ვინაიდან შრომის მუდამ მზარდი პროდუქტიული ძალა კულტურის გადიდებისას მეტნაკლებ წონასწორდება შინაური საქონლის _ მიწათმოქმედების ამ მთავარი იარაღის _ ფასის შეუწყვეტელი ზრდით. ყველა ამის გამო ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ საზოგადოების ყოველ მდგომარეობაში და ყოველ საფეხურებზე, ხორბლის ერთნაირი რაოდენობა უფრო მეტად, ვიდრე ერთნაირი რაოდენობა მიწის რომელიმე სხვა ნედლი პროდუქტის ნაწილისა, შრომის ერთნაირი რაოდენობის წარმომადგენელი ანუ ეკვივალენტი იქნება. ამისდა მიხედვით ხორბალი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სიმდიდრისა და კულტურის განვითარების ყველა სხვადასხვა საფეხურზე უფრო ზედმიწევნითი საზომია ღირებულებისა, ვიდრე რომელიმე სხვა საქონელი ან საქონელთა ჯგუფი. ამიტომ განვითარების ყველა ამ სხვადასხვა საფეხურზე ვერცხლის ნადვილი ღირებულება ჩვენ უკეთ შეგვიძლია განვსაჯოთ მისი შედარებით ხორბალთან, ვიდრე მისი შედარებით რომელსამე სხვა საქონელთან ან საქონელთან ჯგუფთან.

გარდა ამისა, ხორბალი, ან ყოველი სხვა ჩვეულებრივი და საუპირატესოდ მიჩნეული მცენარეული საზრდო ხალხისა, ყოველ კულტურულ ქვეყანაში. შეადგენს მშრომელის საარსებო საშუალებათა მთავარ ნაწილს, მიწათმოქმედების გაფართოების გამო ყოველი ქვეყნის მიწა წარმოშობს მცენარეული საზრდოს ბევრად უფრო დიდ რაოდენობას, ვიდრე ცხოველურ საზრდოსას, და მშრომელი ყველგან იკვებება უმეტავერესად იმ სადი საზრდოთი, რომელიც უიაფესია და უხვად მოიპოვება. ხორცი, თუ ანგარიშში არ მივიღებთ უაღრესად მდიდარ ქვეყნებს ან ისეთებს, სადაც შრომას ძალიან მაღალი სასყიდელი ეძლევა, შეადგენს მშრომელის საზრდოს უმნიშვნელო ნაწილს მხოლოდ; ფრინველი კიდევ უფრო ნაკლებ ნაწილს შეადგენს, ხოლო ნადირის ხორცი სულაც არ შედის მასში. საფრანგეთში და შოტლანდიაშიც კი, სადაც შრომის ცოტათი უკეთესი გასამრჯელო ეძლევა, ვიდრე საფრანგეთში, მშრომელი დარიბი იშვიათად სჭამს ხორცს, გარდა დღესასწაულების და სხვა არაჩვეულებრივი შემთხვევებისა. ამიტომ შრომის ფულადი ფასი დამოკიდებულია უფრო ხორბლის _ მშრომელის ამ სასაზრდოო საგნის _ საშუალო ფულად ფასზე, ვიდრე ხორცის ან რაიმე სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლი პროდუქტის ასეთ ფასზე. ამრიგად, ოქროს და ვერცხლის ნამდვილი ღირებულება, შრომის ნამდვილი რაოდენობა, რომელიც ამ ოქრო ვერცხლს შეუძლია იყიდოს ანუ მიიღოს თავის განკარგულებაში, დამოკიდებულია გაცილებით უფრო მეტად ხორბლის რაოდენობაზე, რომლის ყიდვა ანუ თავის განკარგულებაში მიღება მათ

შეუძლიათ, ვიდრე ხორცისა ან სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რაოდენობაზე.

ასეთი ზერელე დაკვირვება ხორბლის ან სხვა საქონელთა ფასებზე არ გამოეპარებოდა, ალბათ, ესოდენ მრავალ განათლებულ ავტორთა ყყრადღებას, ისინი რომ იმავე დროს იმ პოპულარული შეხედულების ზეგავლენის ქვეშ არ ყოფილიყვნენ, რომელიც ამტკიცებს, რომ, ვინაიდან ვერცხლის რაოდენობა ბუნებრივად იზრდება ყოველ ქვეყანაში სიმდიდრის ზრდასთან ერთად, მისი ღირებულება კლებულობს იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება მისი რაოდენობა მაგრამ ასეთი აზრი სრულიად უსაბუთო უნდა იყოს.

ძვირფას ლითონთა რაოდენობა ამა თუ იმ ქვეყანაში შეიძლება გაიზარდოს ორი მიზეზის გამო. ან, ჯერ ერთი, იმ სამადნეების ხვავრიელობის გამო, რომლებიც ამ ლითონებს იძლევიან, ანდა, მეორე, ხალხის სიმდიდრის ზრდის გამო, მისი წლიური შრომის პროდუქტის გადიდების გამო, ამ მიზეზებიდან პირველი მიზეზი, უეჭველია, აუცილებლად დაკავშირებულია ძვირფას ლითონთა ღირებულების შემცირებასთან; მეორე კი – არა.

როდესაც უფრო მდიდარი სამადნეების აღმოჩენას აქვს ადგილი, ბაზარზე გამოდის ძვირფას ლითონთა უფრო დიდი რაოდენობა, და რადგან არსებობისა და კომფორტისთვის საჭირო საგანთა რაოდენობა, რომელზედაც ეს ლითონები უნდა გაიცვალოს, უცვლელი რჩება, ძვირფას ლითონთა იგივე რაოდენობა საქონელთა ნაკლებ რაოდენობაზე უნდა იქნეს გაცვლილი. რამდენადაც, მამასადამე, ძვირფას ლითონთა რაოდენობის გადიდება რომელსამე ქვეყანაში სამადნეების გამოსავლიანობის გადიდებითაა გამოწვეული, იგი აუცილებლად მათი ღირებულების რაოდენადმე შემცირებასთან არის დაკავშირებული.

როდესაც, პირიქით, რომელიმე ქვეყნის სიმდიდრე იზრდება, როდესაც მისი წლიური შრომის პროდუქტი თანდათან სულ უფრო და უფრო დიდდება, – საჭირო ხდება მონეტად მოჭრილი ფულის უფრო დიდი რაოდენობა საქონელთა უფრო დიდი რაოდენობის სამიმოქცეოდ, და ადამიანები, რასაკვირველია, იწყებენ ოქრო ვერცხლის ნაწარმთა უფრო დიდი რაოდენობის ყიდვას, რადგან ეს მათ შეუძლიათ, რადგან მათ მეტი საქონელი აქვთ ამ ნაწარმებზე გასაცვლელად. მონეტის რაოდენობა მათ ხელში გაიზრდება საჭიროების გამო, ხოლო ოქროს და ვერცხლის ნაწარმთა რაოდენობა – თავმომწონეობისა და ფუფუნების გამო, ე. ი. იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მათ ხელში, ალბათ, იმატებს ლამაზ ქანდაკებათა, სურათებისა და ყოველგვარ ძვირფას და იშვიათ საგანთა რაოდენობა, როგორც ძნელი საფიქრებელია, რომ მოქანდაკება და მხატვრებს უარესი გასამრჯელო ეძლევიდა მზარდი სიმდიდრისა და წარმატების ხანაში, ვიდრე სიღარიბისა და შეფერხების დროს, ისევე ნაკლებ საფიქრელია, რომ ასეთ ხანაში ნაკლებს აძლევდნენ ოქროსა და ვერცხლში.

რადგან ოქროს და ვერცხლის ფასი, თუ უფრო მდიდარი სამადნეების შემთხვევითი აღმოჩენა დაბლა არ სწევს მას, ბუნებრივად მატულობს ყოველ ქვეყანაში სიმდიდრის ზრდასთან ერთად, ამიტომ ბუნებრივია, რომ, როგორც უნდა იყოს სამადნეთა მდგომარეობა, ოქრო-ვერცხლის ფასი ყოველთვის უფრო მაღლაა, რა თქმა უნდა, მდიდარ ქვეყანაში, ვიდრე ღარიბში. ოქრო და ვერცხლი ეძებს, რასაკვირველია, როგორც ყველა სხვა საქონელი, იმ ბაზარს, სადაც უკეთეს ფასს იძლევიან მათში, ხოლო უკეთეს ფასს ჩვეულებრივ იმ ქვეყანაში აძლევენ ყოველ ნივთში, რომელსაც უფრო ადვილად შეუძლია ასეთი ფასის გაღება. ბოლოს და ბოლოს შრომა – და ეს უნდა გვახსოვდეს წარმოადგეს იმ ფასს, რომელის გაიცემა ყოველ ნივთში, და იმ ქვეყნებში, სადაც ერთნაირად კარგი გასამრჯელო ეძლევა

შრომას, შრომის ფულადი ფასი პროპორციულია მუშის საარსებო საშუალებათა ფულადი ფასისა. მაგრამ ოქრო და ვერცხლი საარსებო საშუალებათა უფრო დიდ რაოდენობაზე იცვლება, რასაკვირველია, მდიდარ ქვეყანაში, ვიდრე ღარიბში, უფრო დიდ რაოდენობაზე იმ ქვეყანაში, რომელსაც უხვად მოეპოვება საარსებო საშუალება, ვიდრე იმაში, რომელიც არასაკმაოდ არის მით მომარაგებული. თუ ორი ასეთი ქვეყანა ძალიან დაშორებულია ერთი მეორისაგან, სხვაობა შეიძლება ძალიან დიდი იყოს, იმიტომ რომ, თუმცა ლითონები ცუდი ბაზრიდან უკეთესისაკენ გარბიან, მაინც შესაძლებელია საძნელო დარჩეს მათი გადაზიდვა იმ რაოდენობით, რომ მათი ფასი დაახლოებით გაწონასწორდეს ორსავე ადგილას. თუ ეს ქვეყნები ერთი მეორის ახლოსაა, სხვაობა იფრო მცირე იქნება და ზოგჯერ შესაძლებელია, თითქმის შეუმჩნეველიც, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ტრანსპორტი ადვილი არის. ჩინეთი გაცილებით უფრო მდიდარი ქვეყანაა, ვიდრე ევროპის რომელიმე ნაწილი, და სხვაობა საარსებო საშუალებათა ფასისა ჩინეთსა და ევროპაში ძალიან დიდია. ბრინჯი ჩინეთში გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ხორბალი სადმე ევროპაში, ინგლისი ბევრად უფრო მდიდარი ქვეყანაა, ვიდრე შოტლანდია, მაგრამ სხვაობა ხორბლის ფულადი ფასისა ამ ორ ქვეყანაში გაცილებით ნაკლებია და ძლივს შესამჩნევია. თუ რაოდენობის, ანუ საწყაოს მიხედვით ავიღებთ, შოტლანდიის ხორბალი საერთოდ, თითქოს, გაცილებით უფრო იაფია ინგლისისაზე; მაგრამ თუ მის ხარისხს მივიღებთ მხედველობაში, იგი უეჭველად რაოდენადმე უფრო ძვირი არის. შოტლანდია თითქმის ყოველ წელიწადს ხორბლის დიდ რაოდენობას იღებს ინგლისიდან, და ყოველი საქონელი რაოდენადმე უფრო ძვირი უნდა იყოს ჩვეულებრივ იმ ქვეყანაში, სადაც იგი შეიზიდება, ვიდრე იქ საიდანაც იგი მიიღება. ინგლისის ხორბალი, ამიტომ, უფრო ძვირი უნდა იყოს შოტლანდიაში, ვიდრე ინგლისში, ხოლო მისი ხარისხის კვალობაზე, ე. ი. იმ ფქვილის რაოდენობისა და ვარგისობის კვალობაზე, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს მისგან, იგი არ შეიძლება უფრო მაღალ ფასში გაიყიდოს, ვიდრე შოტლანდიის ხორბალი, რომელიც მას კონკურენციას უწევს იმ ბაზარზე.

სხვაობა შრომის ფულადი ფასისა ჩინეთსა და ევროპაში კიდევ უფრო დიდი არის, ვიდრე საარსებო საშუალებათა ფულადი ფასის სხვაობა, იმიტომ რომ შრომის ნამდვილი გასარჯელო უფრო მაღალია ევროპაში, ვიდრე ჩინეთში, ვინაიდან ევროპის უდიდესი ნაწილი განვითარების პროცესში იმყოფება, მაშინ როდესაც ჩინეთი, როგორც ეტყობა, სტაციონარულ მდგომარეობაშია. შოტლანდიაში შრომის ფულადი ფასი უფრო დაბალია, ვიდრე ინგლისში, ვინაიდან შრომის ნამდვილი გასამრჯელო გაცილებით უფრო დაბალი არის; თუმცა შოტლანდიაშიც აქვს ადგილი სიმდიდრის ზრდას, მაგრამ ეს ზრდა ბევრად უფრო ნელია, ვიდრე ინგლისში. შოტლანდიიდან გასახლების სიხშირე და ინგლისიდან გადასახლების იშვიათობა საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ შრომის მოთხოვნა მეტად სხვადასხვა ამ ორ ქვეყანაში. შეფარდება შრომის ნამდვილი გასამრჯელოსი სხვადასხვა ქვეყანაში, ბუნებრივია, განისაზღვრება – და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს – არა მათი სიმდიდრით ან სიღარიბით, არამედ ამით: წინმსვლელობის გზაზე იმყოფებიან ეს ქვეყნები სტაციონარულ მდგომარეობაში არიან, თუ დაცემას განიცდიან.

როგორც ბუნებრივია, რომ ოქროსა და ვერცხლს უდიდესი ღირებულება მდიდარ ხალხებში აქვს, ისევე ბუნებრივია, რომ მათ უმცირესი ღირებულება აქვთ უღარიბეს ხალხებში. ველურებში, რომელნიც უღარიბესნი არიან, ყველა ხალხთაგან, ამ ლითონებს თითქმის არავითარი ღირებულება არა აქვს.

დიდ ქალაქებში ხორბალი ყოველთვის უფრო ძვირია, ვიდრე ქვეყნის შორეულ ნაწილებში. მაგრამ ეს შედეგია არა ვერცხლის ნამდვილი სიიარაღის, არამედ ხორბლის ნამდვილი სიმძირისა. სრულიადაც ნაკლებ შრომად არ ღირს ვერცხლის მიზიდვა დიდ ქალაქში ქვეყნის შორეულ ნაწილებში მიზიდვასთან შედარებით; მაგრამ ხორბლის იქ მიზიდვა გაცილებით მეტად ღირს.

ზოგ ძალიან მდიდარ და მოვაჭრე ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, ჰოლანდია და გენუის ოლქი, ხორბალი ძვირია იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც იგი ძვირი არის დიდ ქალაქებში. ისინი ვერ აწარმოებენ საკმარის ხორბალს მათი მცხოვრებლების გამოსაკვებად. ისინი მდიდარნი არიან სამრეწველო საქმიანობით და თავიანთ ხელოსანთა და მანუფაქტურულ მუშაკთა დახელოვნებით, მდიდარნი არიან ყოველგვარი მანქანებით, რომელნიც შრომის გაადვილებისა და შემცირების შესაძლებლობას იძლევიან, მდიდარნი არიან გემებით და ტრანსპორტისა და ვაჭრობის ყველა სხვა იარაღებით და საშუალებებით; მაგრამ ისინი ღარიბნი არიან ხორბლით, რომელიც იქ შორეული ქვეყნებიდან მიიზიდება და რომლის ფასი, ამიტომ, გადახდილი უნდა იქნეს წანამატურთ იმ შორეული ქვეყნებიდან მოზიდვის ხარჯების დასაფარავად. ნაკლებ შრომად არ ღირს ვერცხლის მიზიდვა ამსტერდამში, ვიდრე დანციგში, მაგრამ გაცილებით მეტად ღირს ხორბლის იქ მიზიდვა. ვერცხლის ნამდვილი ღირებულება თითქმის ერთნაირი უნდა იყოს იმ ორ ადგილას, მაგრამ ხორბლის ღირებულება ძალიან სხვადასხვა უნდა იყოს. აბა შემცირდეს ჰოლანდიის ან გენუის ოლქის რეალური სიმდიდრე, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი უცვლელი დარჩეს; შემცირდეს მათი უნარი შორეულ ქვეყნებიდან სურსათით თავის მომარაგებისა: ამ შემთხვევაში ხორბლის ფასი, ნაცვლად იმისა, რომ შემცირდეს მათი ვერცხლის რაოდენობის შემცირებასთან ერთად, რომელიც აუცილებლად თან უნდა ჰყვებოდეს ასეთ დაცემას მისი მიზეზისა ან შედეგის სახით, მაღლა აიწევს შიმშილიანობის ფასის დონემდე. როდესაც ჩვენ აუცილებლად საჭირო საგნების ნაკლებობას განვიცდით, ხელი უნდა ავიღოთ ყველაფერ ზედმეტზე, და ყველა ამ ზედმეტი საგნების ღირებულება, რომელიც მაღლა იწევს კეთილდღეობისა და აყვავების ხანაში, დაბლა იწევს სიღარიბისა და გაჭირვების პერიოდებში. სხვაგვარადაა საქმე აუცილებლად საჭირო საგნების შესახებ. მათი ნამდვილი ფასი, ე. ი. შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვა ანუ თავის განკარგულებაში მიღება შეიძლება იმ საგნებით, მაღლა იწევს სიღარიბისა და გაჭირვების ხანაში და ეცემა კეთილდღეობისა და აყვავების პერიოდებში, რომელნიც იმავე დროს დიდი სიუხვის პერიოდებს წარმოადგენენ; უამისოდ ეს პერიოდები ვერ იქნებოდა კეთილდღეობისა და აყვავების პერიოდები. პური წარმოადგენს აუცილებელი მოთხოვნილების საგანს, ვერცხლი კი – ფუფუნების საგანს, რომელიც აუცილებლად საჭირო არ არის.

როგორც უნდა ყოფილიყო, ამიტომ ძვირფას ლითონთა რაოდენობის გადიდება სიმდიდრისა და კულტურის ზრდით გამოწვეული, ამ პერიოდის განმავლობაში: მე-XIV საუკუნის ნახევრიდან მე-XVI საუკუნის ნახევრამდე, მას მაინც არ შეიძლება ჰქონოდა ტენდენცია ამ ლითონთა ღირებულების შემცირებისა დიდ ბრიტანეთში ან ევროპის რომელსამე სხვა ნაწილში. თუ, მაშასადამე, იმათ, რომელთაც ცნობები შეჰკრიბეს საქონელთა ფასების შესახებ ძველს დროში, არავითარი საფუძველი არა აქვთ, რომ იმ დაკვირვებიდან, რომელიც მათ უწარმოებიათ ხორბლის თუ სხვა საქონელთა ფასებზე, დასკვნა გააკეთონ ვერცხლის ღირებულების შემცირების შესახებ აღნიშნულ პერიოდში, მით უფრო ნაკლები საფუძველი აქვთ მათ დაასკვნან ეს სიმდიდრისა და კულტურის ნაგულისხმევი მატებიდან.

მეორე პერიოდი

რაგინდ სხვადასხვა აზრისა იყვნენ სწავლულნი ვერცხლის ღირებულების მოძრაობის შესახებ პირველი პერიოდის განმავლობაში, ისინი ერთსულოვანნი არიან მის შესახებ მეორე პერიოდის განმავლობაში.

დაახლოებით 1570-დან 1640 წლამდე, – დაახლოებით 70 წლის შემცველი პერიოდის განმავლობაში, – ცვლილებას ვერცხლის ღირებულების შეფარდებაში ხორბლის ღირებულების მიმართ სრულიად წინააღმდეგი მიმართულება ჰქონდა. ვერცხლმა დაიწია თავის ნამდვილ ღირებულებაში ანუ იცვლებოდა შრომის ნაკლებ რაოდენობაზე, ვიდრე წინათ, ხოლო ხორბალმა აიწია თავის ნომინალურ ფასში და, ნაცვლად 2 უნცი ვერცხლისა ანუ დაახლოებით 10 შილინგისა ჩვენს ახლანდელ ფულზე, კვარტერი იყიდებოდა 6 და 8 უნც ვერცხლად ანუ 30 და 40 შილინგად ჩვენს ახლანდელ ფულზე.

მდიდარი სამადნეების აღმოჩენა ამერიკაში წარმოადგენდა, როგორც ეტყობა, ერთადერთ მიზეზს ვერცხლის ღირებულების შემცირებისას ხორბლის ღირებულებასთან შედარებით. ყველანი ასე ხსნიან ამ მოვლენას, და არასოდეს არ ჰქონია ადგილი დავას თვით ფაქტის ან მისი მიზეზის შესახებ. მეტწილ ევროპაში ამ პერიოდის განმავლობაში მრეწველობა და კულტურა ვითარდებოდა, და ვერცხლის მოთხოვნა ამიტომ, უნდა გადიდებულიყო. მაგრამ მიწოდების გადიდება, როგორც სჩანს, ისე ძალიან სჭარბობდა მოთხოვნის ზრდას, რომ ამ ლითონის ღირებულება შესამჩნევად დაეცა. უნდა აღინიშნოს, რომ მადნების აღმოჩენას ამერიკაში არავითარი, როგორც ეტყობა, რაოდენადმე შესამჩნევი გავლენა არ ჰქონებია პროდუქტების ფასებზე ინგლისში 1570 წლამდე, თუმცა პატოზის მადნებიც კი უკვე აღმოჩენილი იყო 20 წელზე მეტი ხნის წინათ მანამდე.

1595-დან 1620 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით) საუკეთესო ხორბლის საშუალო ფასი 9 ბუშელიანი კვარტერისათვის ვინდზორის ბაზარზე, ეტყობა, შეადგენდა 2 გირვანქას 1 შილინგს და 6 9/13 პენსს, როგორც ეს სჩანს იტონის კოლეჯის ანგარიშებიდან. თუ ამ თანხიდან წილადს არ მივიღებთ ანგარიშში და გამოვაკლებთ ერთ მეცხრედს, ე. ი. 4 შილინგს და 7 1/3 პენსს, გამოვა, რომ 8 ბუშელის შემცველი კვარტერის ფასი შეადგენდა 1 გირვანქას 16 შილინგს და 10 2/3 პენსს. თუ ამ თანხიდანაც წილადს არ მივიღებთ ანგარიშში და გამოვაკლებთ ერთ მეცხრედს, ე. ი. 4 შილინგს და 1 1/9 პენსს, როგორც სხვაობას საუკეთესო ხორბლის ფასსა და საშუალო ხარისხის ხორბლის ფასს შორის, გამოვა, რომ საშუალო ხარისხის ხორბლის ფასი შეადგენდა 1 გირვანქას 12 შილინგს და 8 8/9 პენსს ანუ 6 1/3 უნც ვერცხლს.

1621-დან 1636 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით) იმავე რაოდენობის საუკეთესო ხორბლის ფასი იმავე ბაზარზე შეადგენდა, როგორც ეს სჩანს იმავე ანგარიშებიდან, 2 გირვანქას და 10 შილინგს; თუ აქედან ისევე გამოვაკლებთ, როგორც წინა შემთხვევაში, გამოვა, რომ საშუალო ხარისხის ხორბლის საშუალო ფასი 8 ბუშელიანი კვარტერისათვის შეადგენდა 1 გირვანქას 11 შილინგს და 6 პენსს ანუ დაახლოებით 7 2/3 უნც ვერცხლს.

მესამე პერიოდი

1630 და 1640 წლებს შორის, ანუ 1636 წლის ირგვლივ, ამერიკაში სამადნეების აღმოჩენის გავლენამ ვერცხლის ღირებულების შემცირებაზე, როგორც სჩანს, უმადლეს ხარისხს მიაღწია, და ამ ლითონის ღირებულება არასოდეს ისე დაბლა არ დაწეულა ხორბლის ღირებულებასთან შედარებით, როგორც დაახლოებით იმ დროში. აღნიშნულმა ღირებულებამ თითქოს აიწია რაოდენადმე მიმდინარე საუკუნის განმავლობაში და, ალბათ, ეს აწევა დაიქყო რამდენიმე ხნით ადრე წარსული საუკუნის დასასრულამდე.

1637-იდან 1700 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით), ე. ი. წარსული საუკუნის 64 წლის განმავლობაში, საუკეთესო ხორბლის საშუალო ფასი 9 ბუშელიანი კვარტერისათვის ვინდზორის ბაზარზე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს სჩანს იმავე ანგარიშებიდან, 2 გირვანქა 11 შილინგი და 1/3 პენსი, რაც მხოლოდ 1 შილინგით და 1/3 პენსით უფრო ძვირი ფასია, ვიდრე იყო წინა 16 წლის განმავლობაში. მაგრამ ამ 64 წლის მიმდინარეობაში ადგილი ჰქონდა ორ მოვლენას, რომლებსაც უნდა წარმოეშვა გაცილებით უფრო დიდი ნაკლებობა ხორბლისა, ვიდრე სხვებზე ამის გამოწვევა შეეძლო ამინდის მსვლელობას, და რომელიც, ამიტომ, სრულიად საკმაოდ გვიხსნის ფასის ამ პატარა აწევას უიმისოდ, რომ საჭირო იყოს ვიგულისხმობთ ვერცხლის ღირებულების შემდგომი შემცირება.

ამ მოვლენებიდან პირველი იყო სამოქალაქო ომი, რომელმაც დააბრკოლა ხვნა-თესვა და შესწყვიტა ვაჭრობა და რომელმაც, ამიტომ, ხორბლის ფასი ბევრად უფრო მაღლა ასწია, ვიდრე ამის გამოწვევა შეეძლო ამინდის მსვლელობას. მას ეს შედეგი უნდა ჰქონებოდა მეტნაკლებ ყველა ბაზარზე სამეფოში, განსაკუთრებით კი ბაზრებზე ლონდონის ახლოს, რომელიც საჭიროებს მომარაგებას ფრიად შორეული ადგილებიდან. თანახმად ამისა, 1648 წელს საუკეთესო ხორბლის ფასი ვინდზორის ბაზარზე, იმავე ანგარიშების მიხედვით, იყო 4 გირვანქა და 5 შილინგი, ხოლო 1649 წელს – 4 გირვანქა 9 ბუშელის შემცველი კვარტერისათვის. ამ ორი წლის ფასის გარდამეტი 2 გირვანქასა და 10 შილინგთან (1637 წლის წინა 16 წლის საშუალო ფასთან) შედარებით შეადგენს 3 გირვანქას და 5 შილინგს, რაც, წარსული საუკუნის 64 წელზე განაწილებული, საკმარისად გვიხსნის ფასის იმ მცირე აწევას, რომელსაც, როგორც ეტყობა, ადგილი ჰქონდა ამ წლებში. მაგრამ ეს ფასები, თუმცა ისინი მაქსიმალური ფასებია, სრულიადაც არ წარმოადგენს ერთადერთ მაქსიმალურ ფასებს, რომლებიც სამოქალაქო ომს უნდა გამოეწვიოს.

მეორე ფაქტს შეადგენდა ხორბლის საექსპორტო პრემია, 1688 წელს დაწესებული. ამ პრემიამ, შესაძლებელია, როგორც ბევრნი ფიქრობდნენ, მით, რომ ხვნა-თესვის გაძლიერებას ხელს უწყობდა, გამოიწვია მთელი რიგი წლების განმავლობაში ხორბლის უფრო დიდი სიუხვე და, მაშასადამე, უფრო დიდი სიახვე შინაურ ბაზარზე, ვიდრე ამას სხვებზე შეიძლება ადგილი ჰქონებოდა. შემდეგში მე გავარკვევ, თუ რამდენად შეეძლო პრემიას რომელსამე მომენტში ასეთი შედეგი ჰქონებოდა; ამჟამად აღვნიშნავ მხოლოდ, რომ 1688-დან 1700 წლამდე საკმაოდ დრო არ იყო იმისათვის, რომ მას ასეთი შედეგი გამოეწვია. ამ მოკლე პერიოდში პრემიის ერთადერთი შედეგი უნდა ყოფილიყო ფასის გადიდება შინაურ ბაზარზე, ვინაიდან ეს პრემია ხელს უწყობდა ყოველი წლის გარდამეტი პროდუქტის ექსპორტის გაძლიერებას და აბრკოლებდა, რომ ერთი წლის გარდამეტს გაეწონასწორებია ნაკლებობა მეორე წელში. თუმცა ხორბლის ნაკლებობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში 1693-დან 1699 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით), უეჭველად ცუდი ამინდით იყო უმთავრესად გამოწვეული და ამიტომ ევროპის მნიშვნელოვან ნაწილს

მოიცავდა, – იგი მაინც რაოდენადმე უნდა გაძლიერებულიყო პრემიის მეოხებით. ამის გამო 1699 წელს ხორბლის შემდგომი გაზიდვა აკრძალულ იქნა ცხრა თვით.

ამ პერიოდის მსვლელობაში ადგილი ჰქონდა კიდევ მესამე ფაქტს, რომელსაც თუმცა არ შეეძლო გამოეწვის არც ხორბლის რაიმე ნაკლებობა და, იქნებ, არც მასში ჩვეულებრივ გადასხდელი ვერცხლის ნამდვილი რაოდენობის გადიდება, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოეწვია ნომინალური თანხის რაოდენადმე გადიდება. ამ ფაქტს წარმოადგენდა ვერცხლის მონეტის ძალიან გაფუჭება ჩამოჭრისა და გადახეხვის გამო. ეს ბოროტება წარმოსდგა კარლოს II-ის მეფობაში და განუწყვეტლივ იზრდებოდა 1695 წლამდე, როდესაც, როგორც ჩვენ ამას ბ-ნი ლოუნდისაგან ვტყობილობთ, მიმოქცევაში მყოფი ვერცხლის მონეტა საშუალოდ 25 პრეცენტით დაბლა იდგა თავის კანონიერ ღირებულებაზე. მაგრამ ნომინალური თანხა, რომელიც ყოველი საქონლის საბაზრო ფასს შეადგენს, განისაზღვრება არა იმდენად ვერცხლის იმ რაოდენობით, რომელსაც მონეტა უნდა შეიცავდეს დაწესებული ნორმის მიხედვით, რამდენადაც იმ რაოდენობით, რომელსაც იგი ფაქტიურად, როგორც გამოცდილებითაა დამტკიცებული, შეიცავს. მაშასადამე, ეს ნომინალური თანხა აუცილებლობით გზით უფრო მაღალია მაშინ, როდესაც მონეტა ძალიან გაფუჭებულია, ვიდრე როდესაც იგი თავის კანონიერ ღირებულებას უახლოვდება.

მიმდინარე საუკუნის განმავლობაში ვერცხლის მონეტა არასოდეს არ ყოფილა თავის კანონიერ წონაზე ესოდენ ნაკლები წონის, როგორც ამჟამად არის. მაგრამ, თუმცა იგი ძალიან გაფუჭებული იყო, მის ღირებულებას განსაზღვრულ სიმაღლეზე აჩერებდა ოქროს მონეტის ღირებულება, რომელზედაც იგი იცვლებოდა. ვინაიდან, თუმცა უკანასკნელ ხელახალ მოჭრამდე ოქროს მონეტაც გვარიანად გაფუჭებული იყო, იგი მაინც ნაკლებ იყო გაფუჭებული, ვიდრე ვერცხლის მონეტა. 1695 წელს კი, პირიქით, ვერცხლის მონეტის ღირებულებას არ აჩერებდა განსაზღვრულ დონეზე ოქროს მონეტა; გინეა მაშინ ჩვეულებრივ იცვლებოდა 30 შილინგ გადახეხილ და ჩამოჭრილ ვერცხლის მონეტაზე. ოქროს ფულის უკანასკნელ ხელახალ მოჭრამდე ვერცხლის ზოდის ფასი იშვიათად აღემატებოდა 5 შილინგს და 7 პენსს უნცისათვის, რაც მხოლოდ 5 პენსით არის მონეტურ ფასზე მეტი. მაგრამ 1695 წელს ვერცხლის ზოდის ჩვეულებრივი ფასი აღწევდა 6 შილინგს და 5 პენსს უნცისთვის¹, ე. ი. 15 პენსით აღემატებოდა მონეტურ ფასს. ამრიგად, ოქროს ფულის უკანასკნელ ხელახალ მოჭრამდეს კი ოქროსა და ვერცხლის მონეტას, ვერცხლის ზოდთან შედარებით, მის კანონიერ ღირებულებაზე ნაკლები შეფასება ეძლეოდა არა უმეტეს 8 პრეცენტისა. პირიქით, 1695 წელს მონეტას მის კანონიერ ღირებულებაზე თითქმის 25 პროცენტით ნაკლები ღირებულების მქონედ სთვლიდნენ. მაგრამ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, ე. ი. ფულის ხელახალი მოჭრის შემდეგ უშუალოდ, რასაც ადგილი ჰქონდა მეფე ვილიამის ხანაში, მეტი წილი მიმოქცევაში მყოფი ვერცხლის მონეტა უფრო ახლო უნდა ყოფილიყო მისთვის დაწესებულ წონასთან, ვიდრე ახლა არის. აგრეთვე მიმდინარე საუკუნის განმავლობაში ადგილი არ ჰქონებია არავითარ დიდ საზოგადოებრივ უბედურებას, როგორცაა სამოქალაქო ომი, რომელსაც შეეძლო დაებრკოლებია ხვნა-თესვა ან შეეწყვიტა ქვეყნის შინაური ვაჭრობა. და თუმცა პრემიას, რომელიც ამ საუკუნის დიდი ნაწილის განმავლობაში არსებობდა, ყოველთვის რაოდენადმე მაღლა უნდა აეწია ხორბლის ფასი იმასთან შედარებით, რაც იგი სხვებზე იქნებოდა მიწათმოქმედების თანამედროვე მდგომარეობაში, მაგრამ,

¹ იხ. L o w n d e s, Essay on the Silver Coin, p. 68.

მეორე მხრივ, – რადგან ამ პრემიას ამ საუკუნის განმავლობაში საკმაოდ დრო ჰქონდა წარმოეშვა ყველა ის კარგი შედეგები, რომლებსაც მას ჩვეულებრივ მიაწერენ, სახელდობრ ხელი შეეწყო მიწათმოქმედების განვითარებისთვის და ამგვარად გაედიდებია შინაურ ბაზარზე ხორბლის რაოდენობა, – შეიძლება, ამ სისტემის პრინციპების თანახმად, რომლებსაც მე განვმარტავ და განვიხილავ შემდეგში, ვიგულისხმობ, რომ პრემია რაოდენადმე ხელს უწყობდა ამ საქონლის ფასის როგორც დაწევას, ერთის მხრივ, ისე მის აწევას, მეორე მხრივ. ბევრნი ფიქრობენ, რომ იგი უფრო ხელშემწყობი იყო პირველი მიმართულებით. მიმდინარე საუკუნის განმავლობაში საუკეთესო ხორბლის საშუალო ფასი ვინდზორის ბაზარზე 9 ბუშელის შემცველი კვარტერისათვის, როგორც სჩანს, იტონის კოლეჯის ანგარიშების თანახმად, შეადგენდა 2 გირვანქას და 6 19/32 პენსს, რაც 10 შილინგით და 6 პენსით ანუ 25 პროცენტზე მეტით უფრო იაფია, ვიდრე ის ფასი, რომელიც არსებობდა წარსული საუკუნის უკანასკნელი 64 წლის განმავლობაში, და თითქმის 9 შილინგითა და 6 პენსით უფრო იაფია, ვიდრე ის ფასი, რომელიც არსებობდა 1636 წლის წინა 16 წელიწადში, როდესაც, ჩვენ შგვიძლია ვიგულისხმობ, ამერიკის მდიდარი სამადნეების აღმოჩენის გავლენა სავსებით უნდა ყოფილიყო გამოაშკარავებული, და 1 შილინგით უფრო იაფია, ვიდრე იყო ეს ფასი 1620 წლის წინ 26 წლის განმავლობაში, როდესაც იმ სამადნეების აღმოჩენის სრული გავლენის გამოაშკარავება არაა საგულისხმებელი. ამ ცნობების მიხედვით, საშუალო ხარისხის ხორბლის საშუალო ფასი მიმდინარე საუკუნის ამ პირველი 64 წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 32 შილინგს 8 ბუშელის შემცველი კვარტერისათვის.

ამრიგად, ვერცხლის ღირებულება მიმდინარე საუკუნეში, როგორც ეტყობა, რაოდენადმე აიწია ხორბლის ღირებულებასთან შედარებით და, ალბათ, აწევა იწყა რამდენიმე ხნით ადრე წარსული საუკუნის გასვლამდე.

1687 წელს საუკეთესო ხორბლის ფასი 9 ბუშელიანი კვარტერისათვის ვინდზორის ბაზარზე შეადგენდა 1 გირვანქას 5 შილინგს და 2 პენსს, რაც წარმოადგენს უდაბლეს ფასს, რომელიც კი ოდესმე ყოფილა 1595 წლის შემდეგ.

1688 წელს გრეგორი კინგი, ფრიად სახელგანთქმული ადამიანი თავისი ცოდნის გამო ამგვარ საკითხებში, ანგარიშობდა ზომიერი მოსავლიანობის წლებში ხორბლის ფასად მწარმოებლისათვის 3 შილინგს და 6 პენსს ბუშელზე ანუ 28 შილინგს კვარტერზე. მწარმოებლის ფასი მე ისე მესმის, რომ იგი იგივე ფასია, რასაც ზოგჯერ სახელშეკრულებო ფასს უწოდებენ, ანუ ის ფასია, რადაც ფერმერი კისრულობს ვაჭარს ჩააბაროს ხორბლის განსაზღვრული რაოდენობა განსაზღვრული წლების განმავლობაში. რადგან ამგვარი ხელშეკრულება ფერმერს თავიდან აცილებს პროდუქტის ბაზარზე გასატანად საჭირო ხარჯებსა და გარჯას, ამიტომ სახელშეკრულებო ფასი ჩვეულებრივ უფრო დაბალია, ვიდრე ეგრეთწოდებული საბაზრო ფასი. კინგი ფიქრობდა, რომ 28 შილინგი კვარტერზე იმ დროს შეადგენს სახელშეკრულებო ფასს ზომიერი მოსავლიანობის წლებში. ვიდრე უკანასკნელი არაჩვეულებრივად მოუსავლიანი წლებით გამოწვეული პურის ნაკლებობა არ ჩამოვარდებოდა, იგი შეადგენდა, როგორც მე მარწმუნებენ ჩვეულებრივ სახელშეკრულებო ფასს საშუალო მოსავლიანობის წლებში.

1688 წელს პარლამენტის მიერ დაწესებულ იქნა პრემია ხორბლის ექსპორტზე. აზნაური მემამულენი, რომელნიც მაშინ საკონონმდებლო კრების უფრო დიდ ნაწილს შეადგენდნენ, ვიდრე ამჟამად, ხედავდნენ, რომ ხორბლის ფულადი ფასი ეცემოდა. პრემია წარმოადგენდა საშუალებას მის ხელოვნურად აწევისთვის იმ მაღალი ფასის დონემდე, რა ფასად ხორბალი ხშირად იყიდებოდა კარლოს I-ის და კარლოს II-ის

დროს. ამიტომ პრემია უნდა გაცემულიყო მანამდე, სანამ ხორბლის ფასი არ ავიდოდა 48 შილინგზე კვარტერისათვის, ე. ი. არ გახდებოდა 20 შილინგით ანუ 5/7-ით უფრო ძვირი ამ სახელშეკრულებო ფასზე, რომელიც კინგმა იმავე წელში იანგარიშა ზომიერი მოსავლიანობის წლებისთვის. მისი ანგარიში ნაწილობრივაც თუ ღირსი არის იმ ნდობის, რომელიც მან საყოველთაოდ დაიმსახურა, – 48 შილინგი კვარტერისათვის ისეთ ფასს წარმოადგენდა, რომელიც იმგვარი საშუალების გარეშე, როგორსაც პრემია შეადგენდა, მოსალოდნელი არ იყო იმ დროში, თუ არაჩვეულებრივი მოუსავლიანობის წლებს არ ჩავთვლით. მაგრამ მაშინ მეფე ვილიამის მთავრობა ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ დამკვიდრებული, მას არ შეეძლო უარი ეთქვა რამეში აზნაური მემამულეებისთვის, რომლებსაც იგი სწორედ იმ დროს სთხოვდა პირველად წლიური საადგილმამულო ხარკის დაწესებას.

ამრიგად, ვერცხლის ღირებულებამ ხორბლის ღირებულებასთან შედარებით, ალბათ, აიწია რაოდენადმე წარსული საუკუნის დასასრულის წინ და, როგორც ეტყობა, განაგრძობდა მაღლა აწევას მიმდინარე საუკუნის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, თუმცა პრემიის აუცილებელ მოქმედებას უნდა დაებრკოლებს ეს აწევა და გაეხადა ნაკლებ შესამჩნევი, ვიდრე სხვებზე იქნებოდა იგი მიწათმოქმედების არსებულ მდგომარეობაში.

მოსავლიან წლებში პრემია, იწვევს რა ექსპორტის გაძლიერებას, აუცილებლად მაღლა სწევს ხორბლის ფასს იმასთან შედარებით, რასაც სხვებზე ადგილი ექნებოდა ასეთ წლებში. პრემიის დაწესების პირდაპირ მიზანს შეადგენდა მიწათმოქმედებისათვის ხელის შეწყობა ხორბლის ფასების გადიდებით დიდად მოსავლიან წლებშიც კი.

მართალია, იმ წლებში, როდესაც ხორბლის დიდი ნაკლებობა იყო, პრემიას აუქმებდნენ. მაგრამ მაინც ზოგ ასეთ წლებშიც პრემიას ერთგვარი გავლენა უნდა ჰქონებოდა ფასებზე. მით, რომ მოსავლიან წლებში არაჩვეულებრივ ექსპორტს იქვევდა, პრემიას ხშირად ხელი უნდა შეეშალა იმისათვის, რომ ერთი წლის სიუხვეს გაეწონასწორებია ნაკლებობა მეორე წელში.

ამრიგად, როგორც მოსავლიან, ისე მოუსავლიან წლებში პრემია იმ დონეზე მაღლა სწევს ხორბლის ფასს, რომელზედაც იგი ბუნებრივად იქნებოდა მოწათმოქმედების თანამედროვე მდგომარეობაში. ამიტომ, თუ მიმდინარე საუკუნის პირველი 64 წლის განმავლობაში ეს ფასი უფრო დაბალი იყო, ვიდრე წარსული საუკუნის უკანასკნელი 64 წლის განმავლობაში, – იგი, მიწათმოქმედების იმავე მდგომარეობაში, კიდევ უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო, პრემიის აღნიშნულ გავლენას რომ არ ჰქონებოდა ადგილი.

მაგრამ, შეიძლება გვითხრან, პრემია რომ არ ყოფილიყო, მიწათმოქმედების მდგომარეობა იგივე არ იქნებოდაო. ქვემოთ, სპეციალურად პრემიების საკითხის განხილვის დროს, მე შევეცდები გავარკვიო, რა გავლენა შეიძლება ჰქონებოდა პრემიას ქვეყნის მიწათმოქმედებაზე. ამჟამად მე მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ვერცხლის ღირებულების ეს აწევა ხორბლის ღირებულებასთან შედარებით მარტო ინგლისისთვის არ იყო დამახასიათებელი. რომ მას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში იმავე პერიოდის განმავლობაში და თითქმის იმავე ზომით, ეს შემჩნეული აქვს ხორბლის ფასების სამს ფრიად ზედმიწევნით, მცდელობა და მუყაით შემკრებს, სახელდობრ ბ-ნ დიუპრე დე სენ მორჟს, ბ-ნ მესანს და ავტორს „ცდისა სახორბლო პოლიტიკის შესახებ“. მაგრამ საფრანგეთში 1764 წლამდე კანონით აკრძალული იყო ხორბლის ექსპორტი, და ძნელად საფიქრებელია, რომ ფასის თითქმის ასეთივე დაწევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთ ქვეყანაში ექსპორტის ამ აკრძალვის

მიუხედავად, მეორე ქვეყანაში გამოწვეული ყოფილიყოს ექსპორტისთვის შექმნილი არაჩვეულებრივი დახმარებით.

იქნებ უფრო სწორი იყო, ხორბლის საშუალო ფულადი ფასის ეს ცვლილება ჩავთვალოთ უფრო შედეგად ვერცხლის ნამდვილი ღირებულების განსაზღვრული თანდათან აწევისა ევროპის ბაზარზე, ვიდრე ხორბლის ნამდვილი საშუალო ღირებულების დაცემის შედეგად. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხორბალი ერთმანეთისგან დაშორებული პერიოდებისთვის წარმოადგენს ღირებულების უფრო სწორ საზომს, ვიდრე ვერცხლი ან, იქნებ, რომელიმე სხვა საქონელი. როდესაც, ამერიკის მდიდარი სამადნეების აღმოჩენის შემდეგ, ხორბალი სამჯერ და ოთხჯერ უფრო გაძვირდა მის წინანდელ ფულად ფასთან შედარებით, ყველანი ასეთ ცვლილებას მიაწერდნენ არა ხორბლის ნამდვილი ღირებულების აწევას, არამეს ვერცხლის ნამდვილი ღირებულების დაცემას. ამიტომ, თუ მიმდინარე საუკუნის პირველი 64 წლის განმავლობაში ხორბლის საშუალო ფულადმა ფასმა რაოდენადმე უფრო დაბლა დაიწია, ვიდრე იყო იგი წარსული საუკუნის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, – ეს ცვლილება ჩვენ იმგვარადვე უნდა მივაწეროთ არა ხორბლის ნამდვილი ღირებულების დაცემას, არამედ ვერცხლის ნამდვილი ღირებულების რაოდენადმე აწევას ევროპის ბაზარზე.

მართალია, ხორბლის მაღალმა ფასმა უკანასკნელი ათი თუ თორმეტი წლის განმავლობაში წარმოშვა ეჭვი, რომ ვერცხლის ნამდვილი ღირებულება დაცემას განაგრძობს კიდევ ევროპის ბაზარზე. მაგრამ, როგორც ეტყობა, ხორბლის ეს მაღალი ფასი შედეგი იყო ცხადად არაჩვეულებრივი ცუდი ამინდისა, და ამიტომ იგი უნდა ჩათვალოს არა მუდმივ მოვლენად, არამედ დროებითად და შემთხვევითად. ამინდი უკანასკნელ 10-12 წელიწადში არახელსაყრელი იყო მეტწილ ევროპაში, და პოლონეთში წარმოდგარმა არეულობამ ძალიან გააძლიერა პურის ნაკლებობა ყველა იმ ქვეყნებში, რომელნიც სიძვირის წლებში ჩვეულებრივ ამ ბაზრიდან მარაგდებოდნენ. ასე ხანგრძლივი ცუდი ამინდი თუმცა ჩვეულებრივი მოვლენა არაა, მაგრამ მაინც არ წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ რამეს, და ვისაც უკვლევია ფასების ისტორია წინანდელ დროში, იმას შეუძლია მოიგონოს არა ერთი და ორი ამგვარი მაგალითი. გარდა ამისა, არაჩვეულებრივი ნაკლებობის 10 წელიწადი უფრო საკვირველი არაა, ვიდრე არაჩვეულებრივი მოსავლიანობის 10 წელიწადი. ხორბლის დაბალი ფასი 1741-იდან 1750 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით) სრულის უფლებით შეიძლება დავუპირისპიროთ მის მაღალ ფასს უკანასკნელი 8 თუ 10 წლის განმავლობაში. 1741-იდან 1750 წლამდე საუკეთესო ხორბლის საშუალო ფასი ვინდზორის ბაზარზე, 9 ბუშელიანი კვარტერისათვის, როგორც ეს სჩანს იტონის კოლეჯის ანგარიშებიდან, შეადგენდა მხოლოდ 1 გირვანქას 13 შილინგს და 9 4/5 პენსს, რაც თითქმის 6 შილინგით და 3 პენსით უფრო დაბალია, ვიდრე მიმდინარე საუკუნის პირველი 64 წლის საშუალო ფასი. ამ ცნობების თანახმად, საშუალო ხარისხის ხორბლის საშუალო ფასი 8 ბუშელიანი კვარტერისათვის იმ 10 წელიწადში უდრიდა მხოლოდ 1 გირვანქას 6 შილინგს და 8 პენსს.

მაგრამ 1741 და 1750 წლებს შორის პრემიას დაბრკოლება უნდა შეექმნა ხორბლის ფასისათვის იმ ზომით დაცემულიყო შინაურ ბაზარზე, რა ზომითაც ამას ადგილი უნდა ჰქონებოდა ბუნებრივი მსვლელობისას. როგორც საბაჟო წიგნებიდან სჩანს, ამ ათი წლის განმავლობაში გადატანილი ყველა სახის ხორბლეულის რაოდენობა შეადგენდა არა ნაკლებ 8 029 156 კვარტერის და 1 ბუშელისა. ამისთვის გაცემული პრემია შეადგენდა 1 514 962 გირვანქას 17 შილინგს და 4 1/2 პენსს. და 1749 წელს პელჰემმა, მაშინდელმა პრემიერმინისტრმა, აღნიშნა თემთა პალატაში, რომ

უკანასკნელ სამ წელიწადში არაჩვეულებრივად დიდი თანხა იყო გაცემული ხორბლის ექსპორისათვის პრემიის სახით. მას ჰქონდა ყველა საფუძველი ეს განეცხადებია, და კიდევ მეტი საფუძველი ექნებოდა ამისათვის შემდეგ წელში. მართა ამ ერთ წელში გაცემული პრემია შეადგენდა არა ნაკლებ 324 176 გირვანქის 10 მილინგის და 6 პენსისა¹. საჭირო არაა იმის აღნიშვნა, თუ როგორ ძალიან უნდა აეწია ამ ნაძალადევი ექსპორტს ხორბლის ფასი იმასთან შედარებით, რაც სხვა პირობებში იქნებოდა იგი შინაურ ბაზარზე.

ფასების იმ ცხრილის ბოლოში, რომელიც დართული აქვს ამ თავს, მკითხველი ნახავს სპეციალურ ცხრილს ამ ათი წლისათვის. იგი ნახავს აგრეთვე განსაკუთრებულ ცხრილს ათი წლისათვის, რომლისათვის საშუალო ფასი აგრეთვე საუკუნის პირველი 64 წლის საშუალოზე უფრო დაბალი არის, თუმცა არა დიდად უფრო დაბალი. მაგრამ 1740 წელი არაჩვეულებრივად მოუსავლიან წელიწადს წარმოადგენდა. 20 წელიწადი, რომელიც წინ უძღოდა 1750 წელს, თამამად შეიძლება დავუპირისპიროთ 1770 წლის წინა 20 წელიწადს. როგორც პირველ ოცწლედში, მიუხედავად იმისა, რომ მასში ორი თუ სამი სიძვირის წელიწადი ერია, ფასები საუკუნის საერთო საშუალოზე ბევრად დაბალი იყო, ისევე მეორე ოცწლედში, მიუხედავად იმისა, რომ მასში ორი თუ სამი იაფობის წელიწადი – მაგალითად, 1759 წელი – ერია, ფასი იმ საშუალოზე ბევრად მაღალი იყო. და თუ პირველ შემთხვევაში ფასი იმდენით ნაკლები არ იყო საშუალოზე, რამდენითაც საშუალოზე მეტი იყო მეორე შემთხვევაში, – ეს, ალბათ, უნდა მიეწეროს პრემიის არსებობას. ფასის ცვლილება, ცხადია, მეტად უეცარი იყო, რათა შეიძლებოდეს მივაწეროთ იგი ვერცხლის ღირებულების ცვლილებას, რომელიც ყოველთვის ხდება ნელა და თანდათანობით. შედეგის უეცრობა შეიძლება ახსნილ იქნეს მხოლოდ ისეთი მიზეზით, რომელიც უეცრად მოქმედებს, სახელდობრ ამინდის შემთხვევითი ცვლილებით.

მართალია, შრომის ფულადმა ფასმა დიდ ბრიტანეთში აიწია მიმდინარე საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ეს, როგორც ეტყობა, შედეგი იყო არა იმდენად ვერცხლის ღირებულების შემცირებისა ევროპის ბაზარზე, რამდენადაც შრომის მოთხოვნის გადიდებისა დიდ ბრიტანეთში, რაც წარმოშვა ამ ქვეყნის ძლიერმა და თითქმის საყოველთაო აყვავებამ. საფრანგეთში, რომელიც სრულიადაც არ წარმოადგენს ესოდენ წარმატებაში მყოფ ქვეყანას, უკანასკნელი საუკუნის ნახევრიდან შემჩნეულია შრომის საშუალო ფულადი ფასის თანდათან დაწვევა პურის საშუალო ფულადი ფასის დაწვევასთან ერთად. როგორც წარსულ, ისე მიმდინარე საუკუნეში, შავი მუშის დღიური ხელფასი, როგორც ამტკიცებენ, თითქმის უცვლელად უდრიდა სექტე ხორბლის საშუალო ფასის ერთ მეოცედს; ეს არის საწყაო, რომელიც შეიცავს ოთხ ვინჩესტერულ ბუშელზე ცოტათი მეტს. დიდ ბრიტანეთში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შრომის ნამდვილი გასამრჯელო, არსებობისა და კომფორტისათვის საჭირო საგანთა რაოდენობა, რომელიც მუშას ეძლევა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმდინარე საუკუნის განმავლობაში. შრომის ფულადი ფასის გადიდება, სჩანს, შედეგია არა ვერცხლის ღირებულების შემცირებისა ევროპის ბაზარზე, არამედ შრომის ნამდვილი ფასის გადიდებისა სპეციალურად ინგლისის ბაზარზე, რაც ამ ქვეყნის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებითაა გამოწვეული.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ვერცხლი ისევ წინანდელ ფასში ანუ ცოტათი დაკლებულ ფასში იყიდებოდა. სამადნეებიდან

¹ იბ. Tracts on the Corn Trade; Tract. 3d.

მიღებული მოგება რამდენსამე ხანს ძალიან დიდი იყო და მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოგების ბუნებრივ ნორმას. მაგრამ ის პირნი, რომელთაც ვერცხლი შემოჰქონდათ ევროპაში, მალე უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ მთელი წლიური იმპორტი არ შეიძლებოდა ამ მაღალ ფასში გაყიდულიყო. დაიწყო ვერცხლის გაცვლა საქონელთა სულ უფრო და უფრო ნაკლებ რაოდენობაზე. მისმა ფასმა თანდათან სულ უფრო და უფრო დაბლა დაიწია, სანამ არ მიაღწია თავის ბუნებრივ დონეს, ე. ი. იმ თანხას, რაც საკმარისი იყო – მათი ბუნებრივი ნორმების მიხედვით – შრომის ხელფასის, კაპიტალის მოგების და მიწის რენტის გასასტუმრებლად, რომლებიც უნდა გადახდილიყო, რათა ეს ლითონი სამადნეებიდან ბაზარზე გამოტანილიყო. მეტწილ პერუს ვერცხლის სამადნეებში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ესპანეთის მეფის სასარგებლოდ დაწესებული ბაჟი, რომელიც მთლიანი პროდუქტის მეთავე ნაწილს შეადგენს, ნთქავს მთელ მიწის რენტას. ეს ბაჟი თავდაპირველად უდრიდა მთლიანი პროდუქტის ნახევარს, შემდეგ ჩამოვიდა ერთ მესამედზე, კიდევ ერთ მეხუთედზე და ბოლოს ერთ მეთავედზე, და ეს ნორმა არსებობს დღესაც. მეტწილ პერუს ვერცხლის სამადნეებში, როგორც სჩანს, ესაა სულ ის, რაც რჩება მესარეწის კაპიტალის ანაზღაურებისა და მისი ჩვეულებრივი მოგების გასტუმრების შემდეგ; და, როგორც ეტყობა, ყველას მიერ აღიარებულია, რომ ეს მოგება, რომელიც წინათ ძალიან მაღალი იყო, ამჟამად არ აღემატება იმ მინიმუმს, რომლის არსებობისას შესაძლებელი კიდევ სამადნეთა დამუშავები განგრძობა.

ესპანეთის მეფის სასარგებლოდ დაწესებული ბაჟი დაწეულ იქნა რეგისტრირებული ვერცხლის ერთ მეხუთედამდე 1504 წელს¹, ე. ი. ორმოცდაერთი წლით ადრე 1545 წლამდე, როდესაც აღმოაჩინეს პოტოზის სამადნეები. 90 წლის განმავლობაში, ე. ი. 1636 წლამდე, ამ სამადნეებს, რომლებიც უმდიდრესი სამადნეებია მთელს ამერიკაში, საკმაო დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ სავსებით გამოეჩინათ თავისი მოქმედება ანუ გამოეწვიოთ ევროპის ბაზარზე ვერცხლის ღირებულების ისეთი დაწევა, როგორც კი, ესპანეთის მეფის სასარგებლოდ ბაჟის გადახდისას, შეიძლებოდა მომხდარიყო. 90 წელიწადი საკმაო დროა იმისათვის, რომ ყოველი საქონელი, რომლისათვის მონოპოლია არ არსებობს, დაყვანილი იქნეს მის ბუნებრივ ფასზე, ე. ი. იმ უდაბლეს ფასზე, რა ფასშიაც იგი, იხდის რა სპეციალურ ბაჟს, შესაძლებელია იყიდებოდეს რაოდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

შესაძლებელია ვერცხლის ფასი, იქნებ, უფრო დაბლაც დაცემულიყო ევროპის ბაზარზე, და ამის გამო აუცილებელი გამხდარიყო ან მასზე დაწესებული ბაჟის დაწევა არათუ ერთ მეთავედამდე, როგორც 1736 წელში, არამედ ერთ მეოცედამდეც, როგორც ეს მოხდენილ იქნა ოქროსთვის, ანდა დამუშავების შეწყვეტა მეტწილ ამერიკის სამადნეებში, რომელთა დამუშავება ამჟამად სწარმოებს. ვერცხლის მოთხოვნის თანდათან ზრდა ანუ ამერიკის ვერცხლის სამადნეების პროდუქტისთვის ბაზრის თანდათან გადიდება წარმოადგენს, ალბათ, იმ მიზეზს, რომელმაც ხელი შეუშალა იმას, რომ ეს მომხდარიყო, და არა თუ შეაკავა წინანდელ დონეზე ვერცხლის ღირებულება ევროპის ბაზარზე, არამედ, იქნებ, რაოდენადმე მაღლაც ასწია იგი იმ ღირებულებასთან შედარებით, რომელიც მას ჰქონდა წარსული საუკუნის ნახევარში.

ამერიკის თავდაპირველი აღმოჩენის მომენტიდან ბაზარი მისი ვერცხლის სამადნეების პროდუქტისთვის თანდათან სულ უფრო და უფრო ფართოვდება.

¹ Solórzano, vol. II.

1. ევროპის ბაზარი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ევროპის მეტ ნაწილში მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურა. ინგლისს, ჰოლანდიას, საფრანგეთსა და გერმანიას, თვით შვეციასაც, დანიასაც და რუსეთსაც მნიშვნელოვანი პროგრესი ჰქონდათ მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში. იტალიაც, როგორც ეტყობა, არ იდგა რეგრესის გზაზე. მისი დაცემა წინ უძღოდა პერუს დაპყრობას. მას შემდეგ მან, როგორც სჩანს, ცოტათი ღონე მოიცვა. მართალია, ფიქრობენ, რომ ესპანეთი და პორტუგალია უკან მიდიოდნენ. მაგრამ პორტუგალია ევროპის მცირე ნაწილს შეადგენს მხოლოდ, ხოლო ესპანეთის დაცემა, იქნებ, არც ისე დიდია, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ. მე-XVI საუკუნის დასაწყისში ესპანეთი ძალიან ღარიბ ქვეყანას წარმოადგენდა საფრანგეთთან შედარებითაც კი, რომელიც მას შემდეგ ძალიან წინ წავიდა. ყველამ კარგად უწყის შენიშვნა იმპერატორი კარლოს V-ის, რომელიც ორსავე ქვეყანაში ხშირად მოგზაურობდა: საფრანგეთში ყველაფერი უხვადაა, ესპანეთში კი ყველაფრის ნაკლებობააო. ევროპის მიწათმოქმედებისა და მრეწველობის მზარდ პროდუქტს აუცილებლად უნდა მოეთხოვა მის სამიმოქცევოდ საჭირო ვერცხლის მონეტის რაოდენობის თანდათან გადიდება; და მდიდარ ადამიანთა რიცხვის ზრდას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მათი ვერცხლის ავეჯეულისა და სამკაულის რაოდენობის ზრდა.

2. თვითონ ამერიკა ახალ ბაზარს წარმოადგენს მისი საკუთარი ვერცხლის სამადნეების პროდუქტისთვის, და რადგან მისი მიწათმოქმედება, მრეწველობა და მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ეს ხდება ევროპის უაღრეს აყვავებულ ქვეყნებში, ამიტომ მისი მოთხოვნაც გაცილებით უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს. ინგლისის კოლონიები საზოგადოდ წარმოადგენენ ახალ ბაზარს, რომელიც ნაწილობრივ სამონეტოდ, ნაწილობრივ საავეჯოდ მოითხოვს ვერცხლის განუწყვეტლივ მზარდ მიწოდებას დიდი ტერიტორიისათვის, სადაც წინათ არასოდეს არ არსებობდა ამის მოთხოვნა. ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიებიც მეტწილად სულ ახალ ბაზარს წარმოადგენენ. ახალი გრენადა, იუკატანი, პარაგვაი და ბრაზილია, სანამ მათ ევროპელები აღმოაჩენდნენ, დასახლებული იყო ველური ხალხებით, რომელთაც არ იცოდნენ არც ხელოსნობა, არც მიწათმოქმედება. ახლა კი ამ ქვეყნებში ერთიც და მეორეც მნიშვნელოვანი ზომითაა შეტანილი. მექსიკაც და პერუც კი, რომლების, მართალია, არ შეიძლება სრულიად ბაზრებად ჩაითვალოს, ახლა, უეჭველია, გაცილებით უფრო დიდ ბაზრებს წარმოადგენენ, ვიდრე ოდესმე წინათ. ვინც ყველა იმ საკვირველი მოთხოვნების შემდეგ, რომლებიც კი დაბეჭდილია შესახებ ამ ქვეყნების ბრწყინვალე მდგომარეობისა ძველ დროში, წაიკითხავს მათი პირველი აღმოჩენისა და დაპყრობის ისტორიას და ამასთან ინარჩუნებს რაოდენადმე ფხიზელ მსჯელობას, ცხადად დაინახავს, რომ მათი მცხოვრებლები ხელოსნობასა, მიწათმოქმედებასა და ვაჭრობაში გაცილებით უფრო უვიცნი იყვნენ, ვიდრე დღეს თათრები არიან უკრაინაში. პერუელებსაც კი, რომელნიც იმ ორ ხალხში უფრო ცივილიზირებულ ხალხს წარმოადგენენ, თუმცა ისინი ოქროსა და ვერცხლს კი ხმარობდნენ მორთულობისათვის, არ ჰქონდათ არავითარი მოჭრილი ფული მონეტის სახით. მთელი მათი ვაჭრობა გაცვლითი ვაჭრობა იყო, და ამიტომ მათში თითქმის არ არსებობდა შრომის დანაწილება. ადამიანები, რომელნიც მიწის დამუშავებს ეწვეოდნენ, იძულებული იყვნენ თვითონ აეშენებიათ თავიანთი სახლი, თვითონ დაემზადებიათ თავიანთი საოჯახო ავეჯეულობა, თავიანთი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები. იმ მცირეოდენ ხელოსნებს,

რომელნიც მათში იყვნენ, ინახავდნენ, როგორც ამბობენ, მთავარი, აზნაურები და ქურუმები; ისინი, ალბათ, ამათ მსახურებს ან მონებს წარმოადგენდნენ. მექსიკის და პერუს მთელ ძველ მრეწველობას არც ერთი თავისი ნაწარმი არ მიუწოდებია ოდესმე ევროპისათვის. ესპანეთის ჯარები, რომლებშიაც ძნელად რომ ოდესმე 500 კაცზე მეტი ყოფილიყოს, ხოლო ხშირად ამის ნახევარიც კი არ იყო, თითქმის ყველგან დიდ სიმძელეს ხვდებოდნენ საარსებო საშუალების შოვნაში. შიმშილი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ეს ჯარები იწვევდნენ თითქმის ყველგან, სადაც გამოჩნდებოდნენ, იმ ადგილებშიც კი, რომელთაც იმავე დროს როგორც ძალიან დასახლებულ და მდიდარ ადგილებს გვიხატავენ, საკმაოდ ამტკიცებს, რომ ისტორია ამ დასახლებულობისა და დიდი სიმდიდრის შესახებ მეტწილად ზღაპარი არის. ესპანეთის კოლონიები ისეთი მთავრობის ხელში იმყოფებიან, რომელიც ნაკლებ ხელშემწყობია მიწათმოქმედების, კულტურისა და მოსახლეობისათვის, ვიდრე ინგლისის კოლონიების მთავრობა. მაგრამ ისინი მაინც, როგორც ეტყობა, გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე რომელიმე ქვეყანა ევროპაში. როგორც სჩანს, ნაყოფიერი ნიადაგისა და კარგი ჰავის არსებობისას მიწის უხვად არსებობა და მისი სიახვე _ გარემოება, რომელიც საერთოა ყველა ახალი კოლონიისათვის, _ ისეთ უპირატესობას წარმოადგენს, რომ ეს აწონასწორებს სამოქალაქო მმართველობის ბევრ ნაკლს. ფრეზიერი, რომელმაც პერუ ინახულა 1713 წელს, ამბობს, ლიმაში 25-დან 28 ათასამდე მცხოვრები ითვლებოდა. ულოა, რომელიც იმავე ქვეყანაში ცხოვრობდა 1740-დან 1746 წლამდე, ამბობს, ლიმაში 50 ათასზე მეტი მცხოვრები არისო. სხვაობა მათ ცნობებში ჩილისა და პერუს ზოგი სხვა მთავარი ქალაქების მოსახლეობის შესახებ თითქმის ასეთივეა; და რადგან, თითქოს, არ არის საფუძველი ერთის ან მეორის ინფორმაციის სისწორეში დავეჭვდეთ, _ ეს ცნობები მოწმობს მოსახლეობის ისეთ ზრდას, რომელიც საეჭვოა ჩამოუვარდებოდეს მოსახლეობის ზრდას ინგლისის კოლონიებში. ამრიგად, ამერიკა წარმოადგენს ახალ ბაზარს მისი საკუთარი ვერცხლის სამადნეების პროდუქტისთვის, რომლის მიმართ მოთხოვნა გაცილებით უფრო სწრაფად უნდა მატულობდეს, ვიდრე მეტწილ ევროპის უაღრესად აყვავებულ ქვეყნებში.

3. ოსტ-ინდოეთიც ბაზარს წარმოადგენს ამერიკის ვერცხლის სამადნეების პროდუქტისთვის, და ამასთან ისეთ ბაზარს, რომელსაც ამ სამადნეების აღმოჩენის შემდეგ მუდამ ვერცხლის სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობა მიჰქონდა. იმ დროიდან მოკიდებული ამერიკასა და ოსტ-ინდოეთს შორის პირდაპირი ვაჭრობა, რომელიც აკაპულკოს გემებით სწარმოებს, განუწყვეტლის იზრდებოდა, და კიდევ უფრო დიდი პროპორციით იზრდებოდა არაპირდაპირი აღებმიცემობა ევროპის გზით. მე-XVI საუკუნის განმავლობაში პორტუგალიელები წარმოადგენდნენ ერთადერთ ევროპულ ხალხს, რომელიც რეგულერულ ვაჭრობას ეწეოდა ოსტ-ინდოეთთან. ამ საუკუნის უკანასკნელ წლებში ჰოლანდიელებმა იწყეს ამ მონოპოლიის განგრევა, და სულ რამდენიმე წლის განმავლობაში განდევნეს პორტუგალიელები მთავარი ადგილებიდან, რომელნიც მათ ეჭირათ ინდოეთში. მეტი წილი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ოსტ-ინდოეთის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამ ორ ხალხს ჰქონდა ერთმანეთს შორის განაწილებული, ამასთან ჰოლანდიელების ვაჭრობა უფრო დიდი პროპორციით იზრდებოდა, ვიდრე ეცემოდა პორტუგალიელების ვაჭრობა. ინგლისელები და ფრანგები წარსულ საუკუნეში ეწეოდნენ რაოდენადმე ინდოეთთან ვაჭრობას, მაგრამ ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მხოლოდ მიმდინარე საუკუნის განმავლობაში. შვეციელების და დანიელების ვაჭრობა, ოსტ-ინდოეთთან წარმოსდგა მიმდინარე

საუკუნის განმავლობაში. თვით მოსკოველებიც კი ეწევიან ამჟამად ვაჭრობას ჩინეთთან ერთგვარი ქარავანების საშუალებით, რომელნიც მიდიან ხმელეთით ციმბირზე და სათათრეთზე პეკინს. ყველა ამ ხალხთა ვაჭრობა ოსტ-ინდოეთთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფრანგების ვაჭრობას, რომელიც უკანასკნელმა ომმა ლამის სულ მოსპო, თითქმის განუწყვეტლივ იზრდებოდა. ოსტ-ინდოეთის ნაწარმთა მზარდი მოხმარება ევროპაში, როგორც ეტყობა, ისე დიდია, რომ ყველა ეს ხალხები ადიდებენ თავიანთ ვაჭრობას ამ მხარესთან. ჩაი, მაგალითად ისეთი პროდუქტი იყო, რომელსაც წარსული საუკუნის შუამდე ევროპაში ძალიან ცოტას ხმარობდნენ. ამჟამად კი იმ ჩაის ღირებულება, რომელიც ყოველ წელს შემოაქვს ინგლის-ინდოეთის კომპანიას ინგლისელთა მოსახმარებლად, აღემატება მილიონ ნახევარ გირვანქა სტერლინგს; და ესეც არ კმარობს, ვინაიდან გაცილებით მეტი შემოდის მუდამ კონტრაბანდად ჰოლანდიის ნავთსადგურებიდან, შვეციის გეტებორგიდან, შემოდის აგრეთვე საფრანგეთის სანაპიროებიდან, სანამ აღორძინებაში იყო საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია. თითქმის ასეთივე პროპორციით გაიზარდა ჩინეთის ფაიფურის, მალუკის კუნძულებიდან მიღებული სანელებლის, ბენგალიის ქსოვილებისა და უამრავ სხვა საგანთა მოხმარება. ამის შესაბამისად საერთო ტონაჟი ყველა ევროპულ გემთა, რომელნიც ოსტ-ინდოეთის ვაჭრობას ემსახურებოდნენ, წარსული საუკუნის არც ერთ მომენტში არ ყოფილა, შეიძლება ითქვას, ბევრით მეტი იმ ტონაჟზე, რომელიც ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიას ჰქონდა მისი გემების უკანასკნელ შემცირებამდე.

მაგრამ ძვირფასი ლითონების ღირებულება ოსტ-ინდოეთში, განსაკუთრებით ჩინეთსა და ინდოსტანში, როდესაც ევროპელებმა პირველად იწყეს ვაჭრობა ამ ქვეყნებთან, გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ევროპაში. იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს ბრინჯის კულტურას, რომელიც ჩვეულებრივ იძლევა ორ მოსავალს და ზოგჯერ სამსაც წელიწადში, და ამასთან თითოეული ეს მოსავალი უფრო უხვია, ვიდრე ხორბლის ჩვეულებრივი მოსავალი, საზრდო გაცილებით უფრო უხვად უნდა მოიპოვებოდეს, ვიდრე რომელსამე თანატოლი სიდიდის ქვეყანაში, რომელიც ხორბალს აწარმოებს. ასეთი ქვეყნები ამის გამო უფრო სქლად არიან დასახლებული. ამ ქვეყნებში მდიდარ ადამიანებს, რადგან მათ განკარგულებაშია საზრდოს დიდი გარდამეტი იმას გარდა, რაც თვითონ მათ სეუძლიათ მოიხმარონ, საშუალება აქვთ იყიდონ სხვა ადამიანთა შრომის ბევრად დიდი რაოდენობა. ამიტომ დიდკაცის ამაღლა ჩინეთსა და ინდოსტანში, ყველა ცნობის თანახმად, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალეა, ვიდრე უმდიდრეს ადამიანთა ამაღლა ევროპაში. საზრდოს იგივე გარდამეტი, რომელიც მათ განკარგულებაშია, მათ აძლევს შესაძლებლობას მისი დიდი რაოდენობა გაიღონ ყველა იმ განსაკუთრებული და იშვიათი პროდუქტებისთვის, რომლებსაც ბუნება იძლევა მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობით, როგორცაა, მაგალითად, ძვირფასი ლითონები და ქვები, ეს მთავარი საგანი მდიდარ ადამიანთა კონკურენციისა. ამიტომ, ინდოეთის ბაზრისთვის პროდუქტის მიმცემი სამადნეები რომ იმდენადვე ბარაქიანი ყოფილიყო, როგორც ის სამადნეები, რომლებიც ევროპის ბაზარს აძლევდნენ პროდუქტს, ძვირფასი ლითონები – ბუნებრივია – საზრდოს უფრო დიდ რაოდენობაზე გაიცვლებოდა ინდოეთში, ვიდრე ევროპაში. მაგრამ სამადნეები, რომლებიც ძვირფას ლითონებს აძლევდნენ ინდოეთის ბაზარს, როგორც სჩანს, გაცილებით ნაკლებ მდიდარი იყო, და სამადნეები, რომლებიც ძვირფას ქვებს აძლევდნენ, – გაცილებით უფრო მდიდარი, ვიდრე ის სამადნეები, რომელნიც ევროპის ბაზარს ამარაგებდნენ. ამის გამო ძვირფასი ლითონები, რასაკვირველია, ძვირფასი ქვების რაოდენადმე უფრო დიდ

რაოდენობაზე და საზრდოს ბევრად უფრო დიდ რაოდენობაზე უნდა გაცვლილიყო ინდოეთში, ვიდრე ევროპაში. ბრილიანტის – ამ ყველაზე უფრო ზედმეტი საგნის – ფულადი ფასი რაოდენადმე ნაკლები უნდა ყოფილიყო, ხოლო საზრდოს – აუცილებელი საგნის – ფულადი ფასი მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა ყოფილიყო ინდოეთში, ვიდრე ევროპაში. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შრომის ნამდვილი ფასი, საარსებო საშუალებათა ნამდვილი რაოდენობა, რომელიც მშრომელს ეძლევა, ნაკლებია ჩინეთსა და ინდოსტანში, ინდოეთის ამ ორ დიდ ბაზარში, ვიდრე მეტწილ ევროპაში. მშრომელის ხელფასს იქ საზრდოს ნაკლები რაოდენობა შეუძლია იყიდოს, და რადგან საზრდოს ფულადი ფასი ინდოეთში გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ევროპაში, ამიტომ შრომის ფულადი ფასი იქ უფრო დაბალია ორი მიზეზის გამო: საზრდოს ნაკლები რაოდენობის გამო, რომელიც შეიძლება იქ მით იქნეს მოპოვებული, და ამ საზრდოს დაბალი ფასის გამო: მაგრამ ერთნაირი ხელოვნებისა და მრეწველობის მქონე ქვეყნებში მეტწილ სამრეწველო ნაწარმთა ფულადი ფასი პროპორციულია შრომის ფულადი ფასისა, და ჩინეთი და ინდოსტანი თუმცა ხელოვნებისა და მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილნი არიან, ბევრით მაინც არ ჩამოუვარდებიან, როგორც სჩანს, ევროპის რომელსამე ნაწილს. ამიტომ მეტწილ სამრეწველო ნაწარმთა ფულადი ფასი, ბუნებრივია, ბევრად უფრო დაბალი იქნება ამ დიდ სახელმწიფოებში, ვიდრე არის იგი ევროპის რომელსამე ქვეყანაში. გარდა ამისა, ხმელეთზე გადაზიდვის ხარჯები მნიშვნელოვნად ადიდებს მეტწილ სამრეწველო ნაწარმთა როგორც ნამდვილს, ისე ნომინალურ ფასს. მეტი შრომა და, მამასადამე, მეტი ფული უნდა დაიხარჯოს ჯერ მასალის და შემდეგ დამზადებული პროდუქტის მისატანად ბაზარზე. ჩინეთსა და ინდოსტანში ფართო და მრავალმხრივი შინაგანი ნაოსნობა ზოგავს ამ შრომის და, მამასადამე, ამ ფულის უდიდეს ნაწილს და, ამრიგად, კიდევ უფრო დაბლა სწევს მეტწილ მათ სამრეწველო პროდუქტთა როგორც ნამდვილს, ისე ნომინალურ ფასს. ყველა ამ მიზეზების გამო ძვირფასი ლითონები წარმოადგენს ისეთ საქონელს, რომლის გაზიდვა ევროპიდან ინდოეთში ყოველთვის ფრიად ხელსაყრელი იყო და დღესაც ფრიად ხელსაყრელი არის. ძნელად რომ მოიპოვებოდეს რომელიმე სხვა საქონელი, რომელიც იქ უკეთეს ფასში იყიდებოდეს ან რომლითაც, იმ შრომისა და საქონელთა რაოდენობასთან შედარებით, რადაც იგი ევროპაში ღირს, ინდოეთში შეიძლებოდეს შრომის და საქონელთა მეტი რაოდენობის ყიდვა ანუ მიღება თავის განკარგულებაში. ამასთან უფრო ხელსაყრელია იქ ვერცხლის გაზიდვა, ვიდრე ოქროსი, ვინაიდან ჩინეთში და მეტწილ სხვა ბაზრებზე ინდოეთისა შეფარდება წმინდა ვერცხლსა და წმინდა ოქროს შორის არის მხოლოდ როგორც 10 ან – დიდი-დიდი – 12:1, მაშინ როდესაც ევროპაში იგი არის როგორც 14 ან 15:1. ჩინეთსა და ინდოეთის მეტწილ სხვა ბაზრებზე 10 ან – დიდი-დიდი – 12 უნცი ვერცხლი 1 უნც ოქროს ყიდულობს, მაშინ როდესაც ევროპაში ამისთვის 14-15 უნცია საჭირო. ამიტომ მეტწილ ინდოეთში მიმავალ ევროპის გემთა ტვირთში ვერცხლს ეჭირა ღირებულების მხრივ ჩვეულებრივ ერთ-ერთი მთავარი ადგილი. ვერცხლი შეადგენს უძვირფასეს ნაწილს იმ გემების ტვირთში, რომელნიც აკაპულკოდან მანილაში მიდიან. ამრიგად, ახალი კონტინენტის ვერცხლი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქონელს, რომლითაც სწარმოებს ვაჭრობა ძველი ქვეყნის ორ უკიდურეს პუნქტს შორის და რომელიც მეტწილად ხელს უწყობს იმას, რომ ქვეყნიერების ეს დაშორებული ნაწილები ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული.

ესოდენ ფართო ბაზრის მოსამარაგებლად საჭიროა, რომ ყოველწლიურად სამადნეებიდან მოტანილი ვერცხლი საკმარისი იყოს არა მარტო იმისათვის, რომ

დააკამყოფილოს მუდამ მზარდი სამონეტო და საავეჯო მოთხოვნა, რომელსაც იწვევს ყველა ქვეყანაში სიმდიდრის ზრდა, არამედ იმისთვისაც, რომ ანაზღაუროს ვერცხლის მუდმივი გაცვითა და მოხმარება, რომელსაც ადგილი აქვს ყველა ქვეყანაში, სადაც ეს ლითონი იხმარება.

მონეტად მოჭრილ ძვირფას ლითონთა დანაკარგი, რომელიც წარმოსდგება ხმარებით, და ავეჯად გაკეთებულის დანაკარგი, რომელიც წარმოსდგება ხმარებით და წმენდით, ფრიად საგრძნობი არის; და იმ საქონელთათვის, რომელთა ხმარება ესოდენ გავრცელებულია, მარტო ეს გარემოება გახდიდა საჭიროდ ყოველწლივ ფრიად მნიშვნელოვან შევსებას. ამ ლითონთა მოხმარება ზოგიერთ სპეციალურ წარმოებაში, თუმცა იგი საერთოდ, იქნებ, იმ თანდათან დანაკარგზე დიდი არაა, მაინც გაცილებით უფრო საგრძნობია, ვინაიდან ბევრად უფრო სწრაფად ხდება. მარტო ბირმინგამის მანუფაქტურებში იმ ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა, რომელიც მოსაოქრავად და ზესადებად იხმარება ყოველწლივ და რომელსაც ამიტომ აღარ შეუძლია კვლავ ამ ლითონების სახე მიიღოს, 50 000 გირვანქა სტერლინგს აღემატება. აქედან ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა შევადგინოთ იმაზე, თუ რაოდენ დიდი უნდა იყოს ოქრო-ვერცხლის ყოველწლიური მოხმარება მსოფლიოს ყველა ნაწილში როგორც ბირმინგამში დამზადებულის მსგავსი პროდუქტებისათვის, ისე ბუზმენტების, ყაითნების, ოქრო-ვერცხლის ქსოვილების დასამზადებლად, წიგნების მოსავარაყებლად და სხვა. ასევე დიდი რაოდენობა უნდა იკარგებოდეს ყოველწლიურად ამ ლითონების გადაზიდვისას ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ხმელეთით და ზღვით. გარდა ამისა, კიდევ უფრო დიდი რაოდენობის დაკარგვას უნდა იწვევდეს მეტწილ აზიის სახელმწიფოებში თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული ჩვეულება მიწაში განძის ჩამარხვისა, რომლის ადგილი ჩამმარხველის სიკვდილის შემდეგ აღარავინ იცის.

ოქრო-ვერცხლის რაოდენობა, რომელიც კადიქსში და ლისაბონში შემოაქვთ (არა მარტო ის, რაც რეგისტრში აღინიშნება, არამედ ისიც, რაც კონტრაბანდადა საგულვებელი), აღწევს, საუკეთესო გამოანგარიშების მიხედვით, დაახლოებით 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს ყოველწლიურად.

ბ-ნი მეჯენსის¹ თანახმად, ძვირფას ლითონთა წლიური იმპორტი ესპანეთში საშუალოდ 6 წელიწადში, სახელდობრ 1748-დან 1753 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით), და პორტუგალიაში საშუალოდ 7 წელიწადში, სახელდობრ 1747-დან 1753 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით), აღწევდა ვერცხლისთვის წონით 1 101 107 გირვანქას და ოქროსთვის წონით 49 940 გირვანქას. ვერცხლი შეადგენს, თუ ტროის გირვანქას 62 შილინგად ჩავთვლით, 3 413 431 გირვანქა სტერლინგს და 10 შილინგს. ოქრო შეადგენს, თუ ტროის გირვანქას 44 1/2 გინეად ვიანგარიშებთ, 2 333 446 გირვანქა სტერლინგს და 14 შილინგს. საერთო ჯამი შეადგენს 5 746 878 გირვანქა სტერლინგს და 4 შილინგს. მეჯენსი გვარწმუნებს, რომ რეგისტრის მიხედვით მოხდენილი ანგარიში სრულიად სწორი არის. იგი გვამღევეს დაწვრილებით ცნობებს იმ პუნქტების შესახებ, საიდანაც შეჰქონდათ ოქრო და ვერცხლი, და თითოეული ამ ლითონის რაოდენობის შესახებ, რომელიც, რეგისტრის თანახმად, შედიოდა თითოეული პუნქტიდან. და მას გამოანგარიშებული აქვს აგრეთვე თითოეული

¹ დამატება "Universal Merchant"-ისა, p. 15 და 16. ეს დამატება დაიბეჭდა მხოლოდ 1756 წელს, _ წიგნის გამოსვლიდან, რომელსაც მეორე გამოცემა არ ჰქონებია, სამი წლის შემდეგ. ეს დამატება, ამიტომ, მხოლოდ რამდენსამე ეგზემპლარად მოიპოვება. იგი ასწორებს ცალკეულ შეცდომებს, რომლებიც წიგნში არის.

ლითონის ის რაოდენობაც, რომელიც, მისი აზრით, კონტრაბანდად იყო შეზიდული. დიდი გამოცდილება, რომელიც ამ გონიერ ვაჭარს აქვს, მნიშვნელოვან წონას აძლევს მის აზრს.

იმ ცნობების თანახმად, რომლებსაც იძლევა „ორსავე ინდოეთში ევროპელების დასახლების ფილოსოფიური პოლიტიკური ისტორიის“ მჭევრმეტყველი და ზოგჯერ სწორი ინფორმაციის მქონე ავტორი, რეგისტრაციით აღნუსხული ოქროსა და ვერცხლის წლიური იმპორტი ესპანეთში საშუალოდ 11 წელიწადში, სახელდობრ 1754-დან 1764 წლამდე (ორივე ამ წლის ჩათვლით), აღწევდა 13 984 185 3/5 პიასტრს (თითოს 10 რეალის შემცველს). უმატებს რა იმას, რაც შესაძლებელია კონტრაბანდად შეზიდულიყო, იგი ფიქრობს, რომ მთელ წლიურ იმპორტს შეიძლება შეედგინა 17 მილიონი პიასტრი, რაც, თუ პიასტრს 4 შილინგად და 6 პენსად ვიანგარიშებთ, შეადგენს 3 825 000 გირვანქა სტერლინგს. იგი იძლევა აგრეთვე ცნობებს ცალკე პუნქტების შესახებ, საიდანაც ოქრო და ვერცხლი შეჰქონდათ, და თითოეული ამ ლითონის რაოდენობის შესახებ, რომელიც რეგისტრის თანახმად, თითოეული ცალკე პუნქტიდან შედიოდა. იგი გვაცნობებს აგრეთვე, რომ, თუ ბრაზილიიდან ლისაბონში ყოველწლიურად შეზიდული ოქროს რაოდენობას იმ ბაჟის თანხის მიხედვით განვსჯით, რომელიც პორტუგალიის მეფის სასარგებლოდ გადაიხდება და რომელიც, როგორც ეტყობა, წმინდა ლითონის ერთ მეხუთედს შეადგენს, ჩვენ შეგვიძლია ეს იმპორტი ვიანგარიშით 18 მილიონ კრუზადოდ ანუ 42 მილიონ ფრანგულ ლივრად, რაც შეადგენს დაახლოებით 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს. თუ მხედველობაში მივიღებთ კონტრაბანდულ იმპორტს, ჩვენ თამამად შეგვიძლია ამ ჯამს ერთი მერვედი ანუ 250 000 გირვანქა სტერლინგი მივუმატოთ, ასე რომ მთელი იმპორტის ჯამი იქნება 2 250 000 გირვანქა სტერლინგი. ამრიგად, ამ ცნობების მიხედვით, ძვირფას ლითონთა წლიური იმპორტი ესპანეთში და პორტუგალიაში ერთად შეადგენს დაახლოებით 6 075 000 გირვანქა სტერლინგს.

ზოგი სხვა ფრიად სარწმუნო ანგარიშებიც, თუმცა ხელთნაწერი, შეთანხმებულად განსაზღვრავს, როგორც მარწმუნებენ, მთელი წლიური იმპორტის თანხას საშუალოდ დაახლოებით 6 მილიონი გირვანქით, – ზოგჯერ რაოდენადმე მეტი, ზოგჯერ რაოდენადმე ნაკლებით.

ძვირფას ლითონთა წლიური იმპორტი კადიქსში და ლისაბონში, მართალია, ამერიკის სამადნეების მთელ წლიურ პროდუქციას არ წარმოადგენს. ნაწილი მისი ყოველწლივ იგზავნება აკაპულკოს გემებით მანილაში; ნაწილი შეადგენს საგანს კონტრაბანდული ვაჭრობისათვის, რომელსაც ესპანეთის კოლონიები ეწვეიან სხვა ევროპულ ხალხთა კოლონიებთან; ნაწილი კიდევ, უეჭველია, რჩება თვით იმავე ქვეყანაში. გარდა ამისა, ამერიკის სამადნეები არაა ერთადერთი ოქრო-ვერცხლის სამადნეები მსოფლიოში, თუმცა ისინი ყველაზე უფრო მდიდარი სამადნეები არის. საყოველთაოდ მიღებული აზრის მიხედვით, პროდუქცია ყველა სხვა სამადნეთა, რომელნიც კი ჩვენ ვიცით, უმნიშვნელოა ამერიკის სამადნეების პროდუქციასთან შედარებით, და მათი პროდუქციის უდიდესი ნაწილი, როგორც ესეც საყოველთაოდ არის აღიარებული, ყოველწლიურად შეიზიდება კადიქსში და ლისაბონში. მაგრამ მარტო ერთი ბირმინგამის მოხმარება, რომელიც 50 ათასი გირვანქა სტერლინგს შეადგენს წელიწადში, უდრის უკვე ერთ ასმეოცედ ნაწილს ამ წლიური იმპორტისას, რომელიც 6 მილიონს შეადგენს. ამის მიხედვით ოქროსა და ვერცხლის მთელი წლიური მოხმარება მსოფლიოს ყველა სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ამ ლითონებს ხმარობენ, შესაძლებელია დაახლოებით უდრიდეს მთელ წლიურ პროდუქციას. ნაშთი, შესაძლებელია, იმაზე მეტი არ იყოს, რაც საკმარისია იმ ქვეყნების მზარდი

მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომლებშიაც იზრდება კეთილდღეობა. შესაძლებელია იგი იმდენად ნაკლებიც არის ამ მოთხოვნაზე, რომ იწვევს ამ ლითონების ფასის რაოდენადმე აწევას ევროპის ბაზარზე.

სპილენძისა და რკინის რაოდენობა, რომელიც ყოველ წლიურად გამოიტანება ბაზარზე, შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა. მაგრამ ჩვენ მაინც ამ მიზეზით არ ვფიქრობთ, რომ ეს ტლანქი ლითონები მრავლდება მოთხოვნაზე მეტად ან თანდათან უფრო და უფრო იაფი ხდება. და რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება ძვირფასი ლითონების შესახებ? მართალია, ტლანქ ლითონებს, თუმცა ისინი უფრო მაგარია, მოხმარებაც უფრო ტლანქი ეძლევა, და რადგან მათ ნაკლები ღირებულება აქვთ, ამიტომ მათი შენახვისათვის ნაკლებ ზრუნავენ. მაგრამ ძვირფასი ლითონები სრულიადაც არაა აუცილებლად მათზე უფრო უკვდავი, არამედ აგრეთვე ექვემდებარება მრავალგვარი გზით დაკარგვას, გაცვეთას და მოხმარებას.

ყველა ლითონის ფასი, თუმცა ნელ და თანდათან ცვლილებას ექვემდებარება, ნაკლებ იცვლება წლიდან წლამდე, ვიდრე მიწის ყველა სხვა ნედლი პროდუქტის ფასი, ხოლო ძვირფას ლითონთა ფასი კიდევ უფრო ნაკლებ ექვემდებარება უეცარ ცვლილებებს, ვიდრე ტლანქ ლითონთა ფასი. ლითონთა ფასის ამ არაჩვეულებრივ სიმტკიცის საფუძველს შეადგენს მათი გამძლეობა. წარსულ წელს ბაზარზე გამოტანილი პური ბევრად ადრე ამ წლის გასვლამდე იქნება მთლად ან თითქმის მთლად მოხმარებული. მაგრამ რკინის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ორი ან სამი საუკუნის წინათ იყო სამადნიდან ამოღებული, შეიძლება კიდევ ხმარებაში იყოს, ასევე, იქნებ, ოქროს ზოგი ნაწილიც, რომელიც ორი ან სამი ათასი წლის წინათ იყო იქიდან ამოღებული. პურის სხვადასხვა რაოდენობა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მსოფლიოს მოხმარება სხვადასხვა წლებში, ყოველთვის თითქმის პროპორციულის იმ სხვადასხვა წლების სათანადო პროდუქციისა. მაგრამ შეფარდება რკინის სხვადასხვა რაოდენობას შორის, რომელიც ხმარებაშია ორ სხვადასხვა წელში, ძალიან მცირედ იცვლება შემთხვევითი სხვაობის გამო სამადნეების ამ ორი წლის პროდუქციაში. და შეფარდება ოქროს სხვადასხვა რაოდენობას შორის კიდევ უფრო ნაკლებ ცვლილებას განიცდის სხვაობის გამო ოქროს სამადნეების პროდუქციაში. ამიტომ, თუმცა ლითონის სამადნეების უმრავლესობის პროდუქცია, იქნებ, წლიდან წლამდე ბევრად უფრო იცვლება, ვიდრე მეტი წილი საპურე მინდორთა პროდუქცია, ეს ცვლილება მაინც პირველი სახის საქონელთა ფასზე ისეთ გავლენას არ ახდენს, როგორც მეორე სახის საქონელთა ფასზე.

ცვლილებები შეფარდებაში ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას შორის

ამერიკის სამადნეების აღმოჩენამდე წმინდა ოქროს ღირებულების შეფარდება წმინდა ვერცხლის ღირებულებისადმი ევროპის სხვადასხვა ზარაფხანაში განისაზღვრებოდა როგორც 1:10 ან როგორც 1:12 ე. ი. მიღებული იყო, რომ ერთი უნცი წმინდა ოქრო უდრის ღირებულებით 10-12 უნც წმინდა ვერცხლს. წარსული საუკუნის შუაში დაახლოებით ეს შეფარდება განისაზღვრებოდა როგორც 1:14 და 1:15, ე. ი. მიღებული იყო, ერთი უნცი წმინდა ოქრო უდრის ღირებულებით 14-15 უნც

წმინდა ვერცხლს. ოქრომ აიწია თავის ნომინალურ ღირებულებაში, ანუ მასში იძლევიდნენ ვერცხლის მეტ რაოდენობას. ორივე ლითონმა დაიწია თავის ნამდვილ ღირებულებაში, ე. ი. მათ შეეძლოთ შრომის ნაკლები რაოდენობის ყიდვა; მაგრამ ვერცხლმა ოქროზე მეტად დაიწია. თუმცა როგორც ოქროს, ისე ვერცხლის სამადნეები ამერიკაში თავიანთი ნაყოფიერობით აღემატებოდნენ ყველა სხვა სამადნეებს, რომლებიც კი მანამდე ცნობილი იყო, – ვერცხლის სამადნეების ნაყოფიერობა მაინც, როგორც ეტყობა, შედარებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ოქროს მადნებისა.

ვერცხლის იმ დიდმა რაოდენობამ, რომელიც ყოველწლივ ევროპიდან მიჰქონდათ ინდოეთში, თანდათან დაბლა დასწია იქ ინგლისელებით დასახლებულ ზოგ ადგილებში ამ ლითონის ღირებულება ოქროს ღირებულებასთან შედარებით. კალკუტის ზარაფხანაში მიღებული იყო, რომ ერთი უნცი წმინდა ოქრო ღირებულებით უდრის 15 უნც წმინდა ვერცხლს, – სწორედ ისე, როგორც ეს იყო ევროპაში. მაგრამ ზარაფხანაში ოქროს, იქნებ, ნამეტნავად მაღალი შეფარდება ეძლევიდა იმ ღირებულებასთან შედარებით, რომელიც მას აქვს ბენგალის ბაზარზე. ჩინეთში ოქროსა და ვერცხლის შეფარდება არის როგორც 1:10 ან 1:12. იაპონიაში, როგორც ამბობენ, ეს შეფარდებაა როგორც 1:8.

შეფარდება ოქროსა და ვერცხლის რაოდენობას შორის, რომელიც ყოველწლიურად შემოაქვთ ევროპაში, მეჯენსის ცნობების თანახმად, არის თითქმის როგორც 1:22, ი. ე. 1 უნც ოქროზე აქ შემოდის 22 უნცზე მეტი ვერცხლი. როგორც მეჯენსი ფიქრობს, ვერცხლის ის დიდი რაოდენობა, რომელიც ყოველწლივ იგზავნება ოსტ-ინდოეთში, ამცირებს ამ ლითონთა ევროპაში დარჩენილ რაოდენობას და ჩამოჰყავს ასეთ შეფარდებაზე: 1:14 ან 15, რაც მათი ღირებულების შეფარდებას შეესაბამება. შეფარდება მათ ღირებულებას შორის, მისი აზრით, აუცილებლად უნდა უდრიდეს შეფარდებას მათ რაოდენობას შორის; იგი იქნებოდა, ამიტომ, როგორც 1:22, ვერცხლის იმ დიდ გაზიდვას რომ არ ჰქონდეს ადგილი. მაგრამ შეფარდება ორი საქონლის სათანადო ღირებულებას შორის სრულიადაც არ უდრის აუცილებლად შეფარდებას მათ რაოდენობას შორის, რომელიც ჩვეულებრივად ბაზარზე მოიპოვება. ხარის ფასი, თუ მას 10 გინეად ვიანგარიშებთ დაახლოებით სამიცჯერ დიდია ხბოს ფასზე, თუ მას 3 შილინგად და 6 პენსად ჩავთვლით. მაგრამ უაზრობა იქნებოდა აქედან დაგვესკვნა, რომ ერთ ხარზე ჩვეულებრივ 60 ხბო მოიპოვება ბაზარზე; და ასევე უაზრობა იქნებოდა დაგვესკვა, რომ რადგან ერთი უნცი ოქრო ჩვეულებრივ 14 ან 15 უნც ვერცხლს ყიდულობს, ამიტომ 1 ერთ უნც ოქროზე ჩვეულებრივ მხოლოდ 14 ან 15 უნცი ვერცხლი მოიპოვება ბაზარზე.

ბაზარზე ჩვეულებრივ არსებული ვერცხლის რაოდენობა, ალბათ, გაცილებით უფრო დიდია ოქროს რაოდენობასთან შედარებით, ვიდრე ოქროს განსაზღვრული რაოდენობის ღირებულება უფრო დიდია ვერცხლის ასეთივე რაოდენობის ღირებულებაზე. ბაზარზე გამოტანილი იაფი საქონლის მთელი რაოდენობა ჩვეულებრივ არა თუ უფრო დიდია, არამედ უფრო დიდი ღირებულების არის, ვიდრე ხორცის მთელი რაოდენობა, ხოლო ბაზარზე გამოტანილი ხორცის მთელი რაოდენობა არა თუ უფრო დიდია, არამედ უფრო დიდი ღირებულებისაც არის, ვიდრე შინაური ფრინველის მთელი რაოდენობა, და უკანასკნელის მთელი რაოდენობა კიდევ არა თუ უფრო დიდია, არამედ უფრო დიდი ღირებულებისაც არის, ვიდრე გარეული ფრინველის მთელი რაოდენობა. იაფი საქონლის მყიდველების რიცხვი იმდენად აღემატება ძვირი საქონლის მყიდველების რიცხვს, რომ ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ იქნეს იაფი საქონლის არა თუ უფრო

დიდი რაოდენობა, არამედ რეალიზაცია მიეცეს მის უფრო დიდ ღირებულებასაც. ამიტომ იაფი საქონლის მთელი რაოდენობა უფრო დიდი უნდა იყოს ძვირი საქონლის მთელ რაოდენობასთან შედარებით, ვიდრე ძვირი საქონლის განსაზღვრული რაოდენობა უფრო ძვირი არის იაფი საქონლის ასეთივე რაოდენობის ღირებულებასთან შედარებით. თუ ჩვენ ძვირფას ლითონებს შევადარებთ ერთმანეთს, ვერცხლი იაფი საქონელია და ოქრო – ძვირი. ჩვენ ამიტომ უნდა მოველოდეთ, რასაკვირველია, რომ ბაზარზე ყოველთვის არა თუ უფრო დიდი რაოდენობის, არამედ აგრეთვე უფრო დიდი ღირებულების ვერცხლი იქნება, ვიდრე ოქრო. აბა ვინმემ, რომელსაც ცოტათი ერთი ც მოეპოვება და მეორეც, თავისი ვერცხლის ნივთები შეადაროს თავის ოქროს ნივთებს, და, ალბათ, ნახავს, რომ არა თუ რაოდენობით, არამედ ღირებულებითაც პირველნი მნიშვნელოვნად აღემატებიან უკანასკნელთ. გარდა ამისა, ბევრ ადამიანს აქვს ვერცხლეულის კარგა დიდი რაოდენობა, მაგრამ სრულებით არა აქვს ოქროს ნივთები; ესენიც, როდესაც ისინი ვინმეს აქვს, წარმოადგენენ ჩვეულებრივ მხოლოდ საათს, სათუთუნეს ან მსგავს წვრილმან ნივთებს, რომელთა ღირებულება საერთოდ იშვიათად შეადგენს დიდ თანხას. მართალია, ბრიტანეთის მონეტებში ოქრო ღირებულებით დიდად აღემატება ვერცხლს, მაგრამ ეს ასე არაა ყველა ქვეყანაში. ზოგი ქვეყნების მონეტებში ორივე ლითონის ღირებულება თითქმის ერთნაირი არის. შოტლანდიის მონეტებში, ინგლისთან შეერთებამდე, მართალია, ოქრო სჭარბობდა ვერცხლს, როგორც ეს სჩანს ზარაფხანის ანგარიშებიდან, მაგრამ სჭარბობდა მხოლოდ მცირედით¹. ბევრი ქვეყნის მონეტებში ვერცხლი სჭარბობს. საფრანგეთში უდიდესი თანხები ჩვეულებრივ ამ ლითონით გადაიხდება, და იქ ძნელია იმაზე მეტი ოქროს მიღება, რისი ტარებაც ჯიბით შეიძლება. მაგრამ ვერცხლის ავეჯეულობის უფრო დიდი ღირებულება ოქროს ავეჯეულობის ღირებულებასთან შედარებით, რასაც ადგილი აქვს ყველა ქვეყანაში, ჭარბად აწონასწორებს ოქროს მონეტების სიმეტეს ვერცხლის მონეტებთან შედარებით, რასაც მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში აქვს ადგილი.

თუმცა, ამ სიტყვის ერთი აზრით, ვერცხლი ყოველთვის იყო და, ალბათ, ყოველთვის იქნება ოქროზე იაფი, მაგრამ, მეორე აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ოქრო ესპანეთის ბაზარზე ამ უკანასკნელის ახლანდელ მდგომარეობაში ცოტათი უფრო იაფია ვერცხლზე. საქონელი შეიძლება ჩავთვალოთ ძირად ან იაფად არა მხოლოდ მისი ჩვეულებრივი ფასის აბსოლუტური სიმაღლის ან სიდაბლის მიხედვით, არამედ აგრეთვე იმის მიხედვით, ეს საქონელი მეტად თუ ნაკლებად მაღალია იმ უდაბლეს ფასზე, რა ფასშიაც შესაძლებელია იგი ბაზარზე გამოიტანებოდეს რაოდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს უდაბლეს ფასი წარმოადგენს იმ ფასს, რომელიც ანაზღაურებს მხოლოდ, ზომიერი მოგებითურთ, კაპიტალს, რომელიც დაიხარჯა საქონლის ბაზარზე გამოსატანად. ეს ფასი მემამულისთვის არაფერს იძლევა, რენტა არ შედის მასში რაიმე შემადგენელ ნაწილად, ვინაიდან ეს ფასი მთლად ისლება შრომის ხელფასად და მოგებად. მაგრამ ესპანეთის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობაში ოქრო, უეჭველია, რაოდენადმე უფრო ახლოა ამ უდაბლეს ფასთან, ვიდრე ვერცხლი. ესპანეთის მეფის ბაჟი ოქროზე შეადგენს წმინდა ლითონის მხოლოდ ერთ მეოცედს ანუ 5 პროცენტს, მაშინ როდესაც მისი ბაჟი ვერცხლზე ამ ლითონის მეათედ ნაწილს ანუ 10 პროცენტს შეადგენს. ეს ბაჟები, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შეიცავს ესპანეთის ამერიკაში მდებარე მეტწილ ოქროსა და ვერცხლის სამადნეების მთელ რენტას; და ოქროს ბაჟის გადახდა

¹ იხ. რუდდიმანის წინასიტყვაობა ანდერსონის *Diplomata etc. Scotiae*-სთვის.

უფრო ცუდადა სწარმოებს, ვიდრე ვერცხლისა. ოქროს სამადნეების მესარეწეტა მოგებაც, რომელნიც უფრო იშვიათად იძენენ ქონებას, საზოგადოდ უფრო ზომიერო უნდა იყოს, ვიდრე ვერცხლის სამადნეების მესარეწეტა მოგება. ამიტომ ესპანეთის ოქროს ფასი, რადგან იგი ნაკლებ რენტას და ნაკლებ მოგებას იძლევა, რაოდენადმე უფრო ახლოს უნდა იყოს, ვიდრე ესპანეთის ვერცხლი, იმ უდაბლეს ფასთან ესპანეთის ბაზარზე, რა ფასშიაც შესაძლებელი არის მისი აქ გამოტანა. თუ ყველა ხარჯს მივიღებთ მხედველობაში, აღმოჩნდება, რომ პირველი ლითონის მთელი რაოდენობა, თითქოს, არ შეიძლება გაყიდულ იქნეს ესპანეთის ბაზარზე ისეთივე სარგებლობით, როგორც მეორე ლითონის მთელი რაოდენობა. პორტუგალიის მეფის ბაჟი ბრაზილიის ოქროზე სინამდვილეში უდრის ესპანეთის მეფის წინანდელ ბაჟს მექსიკისა და პერუს ვერცხლზე, ე. ი. წმინდა ლითონის ერთ მეხუთედს. ამიტომ ძნელია გადაჭრით თქმა: შემოდის თუ არა ამერიკული ოქროს მტელი მასა საერთო ევროპულ ბაზარზე ისეთ ფასად, რომელიც, ამერიკული ვერცხლის ფასთან შედარებით უფრო უახლოვდება იმ უდაბლეს ფასს, რა ფასშიაც შესაძლებელი არის მისი ამ ბაზარზე გამოტანა.

ბრილიანტებისა და სხვა ძვირფასი ქვების ფასი, იქნებ, უფრო უახლოვდებოდეს, ვიდრე თვით ოქროს ფასი, იმ უდაბლეს ფასს, რა ფასშიაც შესაძლებელი არის მათი ბაზარზე გამოტანა.

თუმცა ძალიან მოსალოდნელი არ არის, რომ ისეთი ბაჟის რაიმე ნაწილზე, როგორც არის ვერცხლზე დაწესებული ბაჟი, რომლითაც დაბეგრულია დასაბეგრად უადრეს შესაფერისი ობიექტი – წმინდა ფუფუნებისა და სრულიად ზედმეტი საგანი და რომელიც ამასთან ესოდენ დიდ შემოსავალს იძლევა, – რომ ასეთი ბაჟის ნაწილზე ოდესმე ხელი აიღონ, სანამ მისი გადახდა შესაძლებელი არის, მაგრამ მისი გადახდის შესაძლებლობას, რომელიც 1736 წელს აუცილებელი გახდა ბაჟის შემცირება და ერთი მეხუთედით მისი დაწევა ერთ მეათედამდე, შეუძლია აუცილებელი გახადოს მისი შემდგომი შემცირებაც, სწორედ ისე, როგორც მან აუცილებელი გახდა ოქროს ბაჟის შემცირება ერთ მეოცედამდე. ყველა, ვისაც შეუსწავლია ვერცხლის სამადნეების მდგომარეობა ესპანეთის ამერიკაში, აღიარებს, რომ ეს სამადნეები, ყველა სხვა სამადნეების მსგავსად, სულ უფრო და უფრო დიდ ხარჯებს მოითხოვენ დამუშავებისათვის იმ დიდი სიღრმის გამო, რომელზედაც საჭირო ხდება დამუშავების წარმოება, და იმ უფრო დიდი ხარჯის გამო, რომელიც სჭირდება ესოდენ დიდი სიღრმიდან წყლის ამოტუმბვას და სუფთა ჰაერით მალაროს უზრუნველყოფას.

ამ მიზეზებმა, რომლებიც ვერცხლის იშვიათობის ზრდას მოასწავებს (ვინაიდან შეიძლება ითქვას, რომ, თუ საქონლის განსაზღვრული რაოდენობის მოპოვება უფრო ძნელი და უფრო დიდი ხარჯების მომთხოვნი შეიქნა, ეს საქონელი უფრო იშვიათი ხდება), დროის განმავლობაში უნდა გამოიწვიოს ერთ-ერთი შედეგი შემდეგ სამში. ხარჯების გადიდება ან, ერთი, სავსებით უნდა გაწონასწორდეს ლითონის ფასის პროპორციული გადიდებით, ან, მეორე, სავსებით გაწონასწორდეს პროპორციული შემცირებით ვერცხლის ბაჟისა, ანდა, მესამე, გაწონასწორდეს ნაწილობრივ ერთი და ნაწილობრივ მეორე ამ საშუალებით. ეს უკანასკნელი გამოსავალი უფრო შესაძლებელია. როგორც ოქრომ აიწია ფასში ვერცხლთან შედარებით, ოქროს ბაჟის დიდი შემცირების მიუხედავად, ისევე ვერცხლს შეუძლია აიწიოს ფასში შრომასა და საქონელთან შედარებით, ვერცხლის ბაჟის ასეთივე შემცირების მიუხედავად.

მაგრამ ბაჟის ასე თანამიმდევრობით დაწევა, თუმცა მას არ შეუძლია სავსებით გზა შეუკაროს ვერცხლის ღირებულების აწევას ევროპის ბაზარზე, ყოველ შემთხვევაში მაინც უნდა დაახანოს იგი. ბაჟის ასეთი დაწევის მეოხებით შესაძლებელია დამუშავებაში შევიდეს ბევრი ისეთი სამადნე, და ყოველწლიურად ბაზარზე გამოტანილი ვერცხლის მასა ყოველთვის რაოდენადმე უფრო დიდი უნდა იყოს და, ამიტომ, მოცემული რაოდენობის ღირებულება რაოდენადმე ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე იქნებოდა სხვა შემთხვევაში. 1736 წელს ბაჟის შემცირების გამო ვერცხლის ღირებულება ევროპის ბაზარზე, – თუმცა იგი დღესაც, შესაძლებელია, იმაზე დაბალი არ იყოს, რაც ბაჟის დაწევამდე იყო, – ალბათ მაინც, სულ ცოტა, 10 პროცენტით ნაკლებია იმაზე, რაც იქნებოდა, ესპანეთის მთავრობას რომ განეგრძო წინანდელი ბაჟის გადახდევინება.

ის ფაქტები და არგუმენტები, რომელნიც მე ზემოთ აღვნიშნე, მარწმუნებს ანუ, უფრო სწორად, გუბანს მაძლევს ვიფიქრო, – ვინაიდან ის აზრი, რომელიც მე შევძელ კეთილსინდისიერად შემედგინა ამ საგნის შესახებ, საეჭვოა ღირსი იყოს რწმენის სახელწოდებისა, – გუბანს მაძლევს ვიფიქრო, რომ, ბაჟის ამ შემცირების მიუხედავად, ვერცხლის ღირებულებამ მიმდინარე საუკუნის განმავლობაში იწყო რაოდენადმე მაღლა აწევა ევროპის ბაზარზე. მართლაც, ეს აწევა, თუ მივიღებთ, რომ მას ჰქონდა ადგილი საზოგადოდ დღემდე ისე მცირე იყო, რომ ყველა ზემონათქვამის შემდეგ, ბევრს, შეიძლება, საეჭვოდ ეჩვენოს, რომ ამას ნამდვილად ჰქონებოდად ადგილი და რომ, პირიქით, ამის წინააღმდეგი არ წარმომდგარიყოს, ე. ი. რომ ვერცხლის ღირებულება არ განაგრძობდეს დღემდე ევროპის ბაზარზე დაცემას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც უნდა ვიგულისხმოთ ოქროსა და ვერცხლის წლიური იმპორტი, უნდა დადგეს ისეთი პერიოდი, როდესაც ამ ლითონების წლიური მოხმარება უდრის ამ წლიურ იმპორტს. მათმა მოხმარებამ უნდა იმატოს მათი საერთო მასის ზრდის მიხედვით ანუ, უფრო სწორად, კიდევ მეტი პროპორციით. იმ ზომით, რა ზომითაც მათი მასა იზრდება, კლებულობს მათი ღირებულება. ამ ლითონებს მეტს ხმარობენ და ნაკლებს უფროთხილდებიან, და, ამის გამო, მათი მოხმარება მეტი ზომით იზრდება, ვიდრე მათი მასა. ამიტომ განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ ამ ლითონების წლიური მოხმარება, ამრიგად, უნდა გაუთანასწორდეს მათ წლიურ იმპორტს, მაგრამ იმ პირობით, რომ იმპორტი მუდმივ ზრდაში არ იმყოფება; და ეს ზრდა კი ჩვენი დროისთვის არ იგულისხმება.

თუ, წლიური მოხმარების გათანასწორებისას წლიურ იმპორტიან, წლიური იმპორტი თანდათან შემცირდა, – წლიურმა მოხმარებამ, შესაძლებელია, რამდენიმე ხნის განმავლობაში გადააჭარბოს წლიურ იმპორტს. ამ ლითონების მასა შესაძლებელია თანდათან და შეუმჩნევლად შემცირდეს, და მათმა ღირებულებამ თანდათან და შეუმჩნევლად მაღლა აიწიოს, სანამ წლიური იმპორტი კვლავ სტაციონარული არ გახდება, და წლიური მოხმარება თანდათან და შეუმჩნევლად შეუთანხმებდა იმ ნორმას, რომელიც ასეთ წლიურ იმპორტს შეესაბამება.

საფუძველნი, რომელნიც ნებას გვაძლევენ ვიგულისხმოთ, რომ ვერცხლის ღირებულება განაგრძობს შემცირებას

სიმდიდრის ზრდა ევროპაში და იმ პოპულარულმა შეხედულებამ, რომ ძვირფას ლითონთა რაოდენობა ბუნებრივად იზრდება სიმდიდრის ზრდასთან ერთად, ხოლო მათი ღირებულება კლებულობს, როდესაც მათი რაოდენობა იზრდება, შეიძლება ზოგს აფიქრებინოს, რომ მათი ღირებულება დღესაც განაგრძობს დაცემას ევროპის ბაზარზე; და მიწის ბევრი ნედლი პროდუქტის ფასის თანდათან ზრდას, რაც დღესაც გრძელდება, შეუძლია განამტკიცოს ეს შეხედულება.

მე უკვე შევეცადე მეჩვენებია, რომ ძვირფას ლითონთა რაოდენობის ასეთ გადიდებას, რომელსაც წარმოშობს ყოველ ქვეყანაში სიმდიდრის გადიდება, არა აქვს ტენდენცია შეამციროს მათი ღირებულება. ოქრო და ვერცხლი, ბუნებრივია, მდიდარ ქვეყანაში მიედინება იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც იქ მიედინება ყოველგვარი საგნები ფუფუნების და სიახიზისა, _ არა იმიტომ, რომ ისინი იქ უფრო იაფია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში, არამედ იმიტომ, რომ უფრო ძვირია, ანუ იმიტომ, რომ მათში უკეთეს ფასს იძლევიან. მათ იზიდავს უფრო მაღალი ფასი, და როგორც კი ეს ფასი მაღალი ჰქრება, სწყდება აგრეთვე მათი იქითკენ მიდენილობა.

მე უკვე შევეცადე მეჩვენებია, რომ, პურისა და სხვა ისეთი მცენარეების გამოკლებით, რომელნიც ადამიანის შრომით წარმოიშვებიან, ყველა სხვა სახის ნედლი პროდუქტები, როგორცაა ხვასტაგი, ფრინველი, ყოველგვარი ნადირი, მიწის მადნეული და მინერალები და სხვ., ბუნებრივად უფრო ძვირი ხდება, რამდენადაც საზოგადოება წინ მიდის სიმდიდრისა და კულტურის გზაზე. თუმცა, ამრიგად, ასეთი პროდუქტები ვერცხლის უფრო დიდ რაოდენობაზე იცვლება, ვიდრე წინათ, მაგრამ აქედან მაინც ის არ გამომდინარეობს, რომ ვერცხლი ნამდვილად უფრო იაფი გახდა ან რომ იგი ახლა შრომის ნაკლებ რაოდენობას ყიდულობს, ვიდრე უწინ; აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ასეთი პროდუქტები ნამდვილად უფრო ძვირი გახდა ან რომ მით შრომის ნაკლები რაოდენობის ყიდვა შეიძლება, ვიდრე უწინ. კულტურის განვითარებასთან ერთად მატულობს არა მარტო მათი ნომინალური ფასი, არამედ ნამდვილი ფასიც. მათი ნომინალური ფასის აწევა შედეგია არა ვერცხლის ღირებულების რაიმე დაწევის, არამედ მათი ნამდვილი ფასის აწევისა.

კულტურის განვითარების სხვადასხვა შედეგები სამგვარი სახის ნედლი პროდუქტებისათვის

სხვადასხვა სახის პროდუქტები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. პირველი შეიცავს იმ პროდუქტებს, რომელთა გამრავლება ადამიანის შრომით თითქმის შეუძლებელი არის. მეორე შეიცავს ისეთებს, რომელთა რაოდენობა ადამიანის შრომას შეუძლია გაადიდოს მოთხოვნის შესაბამისად. მესამე შეიცავს ისეთებს, რომელთა მიმართ ადამიანის შრომის ეფექტივობა შეზღუდულია ან არ არის უცილობელი. სიმდიდრისა და კულტურის განვითარებისას პირველი ჯგუფის პროდუქტების ნამდვილი ფასი შეიძლება უზომო სიმაღლემდე გაიზარდოს და, როგორც ეტყობა, არაფერი გარკვეული მიჯნით არაა შეზღუდული. მეორე ჯგუფის პროდუქტების ნამდვილ ფასს, თუმცა მან შეიძლება ძალიან აიწიოს, აქვს განსაზღვრული მიჯნა, რომელსაც იგი დიდი ხნით ვერ გადასცილდება. მესამეთა ნამდვილ ფასს თუმცა აქვს ბუნებრივი ტენდენცია აიწიოს კულტურის ზრდასთან ერთად, მაინც შესაძლებელია კულტურის იმავე საფეხურზე მან ზოგჯერ დაიწიოს კიდევ, ზოგჯერ უცვლელი დარჩეს, ზოგჯერაც აიწიოს იმის მიხედვით, თუ რაოდენ მეტნაკლებ ნაყოფიერს

ხდიან სხვადასხვა გარემოებანი ადამიანის შრომის მცდელობას ამ პროდუქტების გასადიდებლად.

პირველი ჯგუფი

პროდუქტების პირველი ჯგუფი, რომელთა ფასი იზრდება კულტურის წინსვლასთან ერთად, იმ პროდუქტებისაგან შესდგება, რომელთა გამრავლება ადამიანის შრომით თითქმის შეუძლებელი არის. იგი ისეთი საგნებისაგან შესდგება, რომელთაც ბუნება მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით წარმოშობს და რომელთაგან, რადგან ისინი ფრიად წარმავალი ბუნებისა არიან, შეუძლებელია რამდენიმე წლის პროდუქტის ერთად დაგროვება. ასეთია მეტი წილი იშვიათი და განსაკუთრებული ფრინველები და თევზები, ბევრი სხვადასხვა სახის ნადირი, თითქმის ყველა სახის გარეული ფრინველები, მეტადრე გადამფრენი ფრინველები, აგრეთვე მრავალი სხვა საგანი. როდესაც მატულობს სიმდიდრე და მისი თანმყოლი ფუფუნება, ამ საგნების მიმართ მოთხოვნაც მატულობს, და ადამიანის შრომის არავითარ მცდელობას არ ძალუძს ამ საგანთა მიწოდების გადიდება იმასთან შედარებით, რაც იყო იგი მოთხოვნის ამ გადიდებამდე. ამგვარად, რადგან ასეთ საქონელთა რაოდენობა იგივე ან თითქმის იგივე რჩება, მაშინ როდესაც კონკურენცია მათ საყიდლად მუდამ იზრდება, ამიტომ მათი ფასი შეიძლება უზომოდ სიმაღლეზე ავიდეს და, როგორც ეტყობა, არავითარი განსაზღვრული მიჯნით არაა ზღუდებული. ღალღაზე რომ ისეთი დიდი მოდა გაჩნდეს, რომ ცალი ღალღა ოც გინეად იყიდებოდეს, ადამიანის შრომის ვერავითარი მცდელობა ვერ შესძლებს მაინც მისი რაოდენობა, რომელიც ბაზარში შემოდის, გაადიდოს ბევრით იმაზე მეტად, რაც ახლა არის. ამით ადვილად აიხსნება ის მაღალი ფასები, რომლებსაც რომაელები მათი უდიდესი ძლიერების პერიოდში იხდიდნენ იშვიათ ფრინველებსა და თევზებში. ეს ფასები შედეგი იყო არა ვერცხლის დაბალი ღირებულებისა იმ ხანაში, არამედ ამ იშვიათი საგნების მაღალი ღირებულებისა, რომელთა გამრავლება სურვილისამებრ არ შეეძლო ადამიანის შრომას. ვერცხლის ნამდვილი ღირებულება რომში რამდენსამე ხანს რესპუბლიკის დაცემამდე და დაცემის შემდეგ უფრო მაღალი იყო, ვიდრე არის ამჟამად მეტწილ ევროპაში. 3 სესტერცი ანუ დაახლოებით 6 პენსი, იყოს ის ფასი, რომელსაც რესპუბლიკა იხდიდა ერთ მოდიუს ანუ ჩანახ ხორბალში, რომელიც სიცილიიდან მოდიოდა როგორც საათისთავო ხორბალი. მაგრამ ეს ფასი, ალბათ, რაოდენადმე ნაკლები იყო საშუალო საბაზრო ფასზე, ვინაიდან ვალდებულება ამ ფასში ხორბლის ჩაბარებისა ხარკად ითვლებოდა, რომელიც სიცილიის ფერმერებს ჰქონდათ დაკისრებული. ამიტომ, როდესაც რომაელებს მოუხდებოდათ საათისთავოზე მეტი ხორბლის მოთხოვნა, მათ სჭირდებოდათ გარდამეტისათვის, გარიგების საფუძველზე, 4 სესტერცის ანუ 8 პენსის მიცემა ჩანახში, და ეს ფასი, ალბათ, იმ დროში ითვლებოდა ზომიერ და სამართლიან ფასად, ე. ი. ჩვეულებრივ ანუ საშუალო სახელშეკრულებო ფასად; იგი უდრის დაახლოებით 21 შილინგს კვარტერისათვის. 28 შილინგი კვარტერზე უკანასკნელ მოუსავლიან წლებამდე შეადგემდა ჩვეულებრივ სახელშეკრულებო ფასს ინგლისის ხორბლისთვის, რომელიც ხარისხით დაბალია სიცილიისაზე და ევროპის ბაზარზე ჩვეულებრივ უფრო დაბალ ფასში იყიდება. მაშასადამე, ვერცხლის ღირებულებას იმ ძველ დროში უნდა ჰქონებოდა შეფარდება მისი ახლანდელი ღირებულების მიმართ როგორც 3:4, ე. ი. 3 უნცი ვერცხლით მაშინ შრომისა და სხვა საქონლის იმავე რაოდენობის ყიდვა

შეიძლება, რამდენისაც 4 უნციით ახლანდელ დროში. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ პლინიუსის ნაწერში¹, რომ სეიუსმა იმპერატორმა აგრიპინასთვის საჩუქრად თეთრი ბულბული იყიდა 6 000 სესტერცად, ანუ დაახლოებით 50 გირვანქად ჩვენს ახლანდელ ფულზე, და რომ აზინიუს ცელერმა² იყიდა წითელწვერა თევზი 8 000 სესტერცად, ანუ დაახლოებით 66 გირვანქად 13 შილინგად და 4 პენსად ჩვენს ახლანდელ ფულზე, – რაგინდ გვაოცებდეს ამ ფასების უზომო სიდიდე, ისინი მაინც ერთი მესამედით იმაზე ნაკლები უნდა გვეჩვენოს, რაც იყო ნამდვილად. ამ საგნების ნამდვილი ფასი, შრომისა და საარსებო საშუალებათა რაოდენობა, რომელსაც აძლევდნენ მათში, ერთი მესამედით მეტი იყო იმაზე, რასაც მათი ნომინალური ფასი გამოსახავს ჩვენთვის ამჟამად. სეიუსმა მისცა ბულბულში შრომისა და საარსებო საშუალებათა რაოდენობა, რომლის მოპოვება ახლანდელ დროში შეიძლება 66 გირვანქად 13 შილინგად და 4 პენსად, ხოლო ცელერმა მისცა წითელწვერა თევზში შრომისა და საარსებო საშუალებათა ისეთი რაოდენობა, რომლის მოპოვება ამჟამად შეიძლება 88 გირვანქად 17 შილინგად და 9 1/3 პენსად. ესოდენ უზომოდ მაღალი ფასების გამომწვევი იყო არა იმდენად ვერცხლის მოჭარბებულობა, რამდენადაც მოჭარბებულობა შრომისა და საარსებო საშუალებათა, რომლებიც იმ რომაელებს ხელთ ჰქონდათ იმაზე მეტად, რაც საჭირო იყო მათი საკუთარი მოხმარებისათვის. ვერცხლის რაოდენობა, რომელიც მათ განკარგულებაში იყო, გაცილებით ნაკლები იყო იმაზე, რასაც დღეს მათ მოუპოვებდა შრომისა და საარსებო საშუალებათა იგივე რაოდენობა.

მეორე ჯგუფი

პროდუქტების მეორე ჯგუფი, რომელთა ფასი მატულობს კულტურის განვითარებასთან ერთად, ისეთი პროდუქტებისაგან შესდგება, რომელთა გამრავლება შეუძლია ადამიანის შრომას მოთხოვნის შესაბამისად. იგი შესდგება ისეთი სასარგებლო მცენარეებისა და ცხოველებისაგან, რომელთაც უკულტურო ქვეყნებში ბუნება წარმოშობს ისე უხვად, რომ მათ მცირე ღირებულება აქვთ ან სრულიად არა აქვთ, და მათ, ამიტომ, როდესაც კულტურა განვითარდება სხვა უფრო ხელსაყრელ პროდუქტებს უნდა დაუთმონ ადგილი. კულტურის განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათი რაოდენობა განუწყვეტლივ კლებულობს, მაშინ როდესაც იმავე დროს მოთხოვნა მათ მიმართ განუწყვეტლივ იზრდება. ამიტომ მათი ნამდვილი ღირებულება, შრომის ნამდვილი რაოდენობა, რომელიც შეიძლება მით მოპოვებულ იქნეს, თანდათან მატულობს, სანამ, დაბოლოს, ისე მაღალი არ გახდება, რომ აქცევს მათ ისევე ხელსაყრელ პროდუქტად, როგორც არის ყოველი სხვა პროდუქტი, რომელიც ადამიანის შრომას შეუძლია აწარმოოს უნაყოფიერეს და საუკეთესოდ დამუშავებულ მიწაზე. როდესაც ამ პროდუქტების ღირებულება ესოდენ მაღალ დონეს მიაღწევს, მერე მას აღარ შეუძლია ამაზე მაღლა აწევა. წინააღმდეგი რომ მომხდარიყო, მაშინ მიწისა და შრომის მეტი რაოდენობა იქნებოდა მალე გამოყენებული იმ პროდუქტების რაოდენობის გასადიდებლად.

როდესაც, მაგალითად, პირუტყვის ფასი ისე მაღლა ადის, რომ ისევე ხელსაყრელი ხდება მიწის დამუშავება შინაური საქონლისთვის საკვების მისაღებად,

¹ Lib. X, c. 29.

² Lib. IX, c. 17.

როგორც მისი დამუშავება ადამიანისთვის საზრდოს მისაღებად, ამ ფასს უკვე აღარ შეუძლია კიდევ უფრო მაღალ აწევა. თუ ეს მოხდა, მალე საპურე მიწა სამოვრად იქნება გადაქცეული. ხვნა-თესვის გაფართოება, რამდენადაც იგი ამცირებს ბუნებრივ სამოვრებს, ამცირებს ხორცის რაოდენობასაც, რომელსაც ქვეყანა აწარმოებს უშრომოდ და მიწის დაუმუშავებლად, და ადიდებს ხორცის მოთხოვნას, რამდენადაც ადიდებს იმათ რიცხვს, რომელთაც ხელთ აქვთ პური ან, რაც იმასვე ნიშნავს, პურის ფასი ხორცზე გასაცვლელად. ამიტომ ხორცისა და, მაშასადამე, შინაური საქონლის ფასმა თანდათან უნდა იმატოს, სანამ ისე მაღალი არ გახდება, რომ უფრო ხელსაყრელი შეიქნეს უნაყოფიერესი და საუკეთესოდ დამუშავებული მიწების გამოყენება პირუტყვის საკვების მისაღებად, ვიდრე მათი გამოყენება პურის საწარმოებლად. მაგრამ კულტურის განვითარება უკვე საკმაოდ შორს უნდა იყოს წასული, სანამ ხვნა-თესვა იმდენად გაფართოვდებოდეს, რომ შინაური საქონლის ფასმა ამ სიმაღლეს მიაღწიოს; და სანამ ეს ფასი ამ სიმაღლეს არ მიაღწევს, იგი განუწყვეტლივ უნდა მატულობდეს, უკეთუ ყვეყანა საერთოდ განვითარებაში იმყოფება. ევროპაში, იქნებ, მოიპოვებოდეს ისეთი ადგილები, სადაც შინაური საქონლის ფასს ჯერ კიდევ არ მიუღწევია ამ სიმაღლისათვის. შოტლანდიის არც ერთ ნაწილში ინგლისთან სეერტებამდე ამ ფასს არ ჰქონდა ეს სიმაღლე მიღწეული. შოტლანდიის პირუტყვს რომ სხვა ბაზარი ჰქონებოდა, გარდა შოტლანდიისა, მაშინ ამ ქვეყანაში, სადაც მარტოოდენ საზოგრად გამოსაყენებელი მიწის ფართობი ესოდენ დიდია იმ მიწებთან შდარებით, რომლებიც სხვა მიზნებისათვის არის გამოსადეგი, საექვოა ოდესმე შესაძლებელი გამხდარიყო, პირუტყვის ფასი ისე მაღლა ასულიყო, რომ მიწის დამუშავება პირუტყვის საკვების მისაღებად ხელსაყრელი გაეხადა. ინგლისში, ეტყობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, პირუტყვის ფასმა ლონდონის ახლო მიდამოებში ამ სიმაღლეს მიაღწია წარსული საუკუნის დასაწყისში დაახლოებით; მაგრამ ქვეყნის მეტწილ დაშორებულ რაიონებში მან ამ დონეს მიაღწია, ალბათ, უფრო გვიან, ხოლო იმათგან ზოგიერთებში, იქნებ, დღესაც კი არ იყო იმ სიმაღლეზე ასული. მაგრამ მაინც ყველა იმ საგანში, რომელიც ნედლი პროდუქტების მეორე ჯგუფში შედის, შინაური საქონელი, იქნებ, იმ პროდუქტს წარმოადგენს, რომლის ფასი კულტურის განვითარებაში პირველი ადის ამ სიმაღლეზე.

სანამ შინაური საქონლის ფასს ამ სიმაღლისთვის არ მიუღწევია, საექვოა შესაძლებელი იყოს დამუშავებაში შევიდეს სრულად თუნდ იმ მიწების უდიდესი ნაწილი, რომლებიც ფრიად ინტენსიური დამუშავებისთვისაა გამოსადეგი. ყველა ფერმაში, რომელიც მეტად დაშორებულია ქალაქს, რათა შეძლებოდეს სასუქის მიტანა იქიდან, ე. ი. ყოველი დიდი ქვეყნის მეტწილ ფერმებში, კარგად დამუშავებული მიწის რაოდენობა პროპორციული უნდა იყოს თვით ფერმაში წარმოებული ნაკელისა, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, პროპორციული უნდა იყოს იმ შინაური საქონლის რაოდენობისა, რომელიც ფერმას ჰყავს. მიწას სასუქი ეძლევა ან მასზე პირუტყვის მოვებით, ანდა იმ გზით, რომ ამ პირუტყვს ბოსლებში ჰკვებავენ და მისი ნაკელი მინდვრებზე გააქვთ. მაგრამ თუ პირუტყვის ფასი საკმარისი არაა დამუშავებული მიწის რენტისა და მოგების გასასტუმრებლად, ფერმერს არ შეუძლია ამოვოს ეს პირუტყვი ამ მიწაზე, და მით ნაკლებ შეუძლია ჰკვებოს იგი ბოსელში. მხოლოდ კულტურული და კარგად დამუშავებული მიწის პროდუქტით შეიძლება პირუტყვის კვება ბოსელში, ვინაიდან უკულტურო და დაუმუშავებელ მიწაზე მწირი და გაფანტული პროდუქტის მოგროვებას ძალიან დიდი შრომა დასჭირდებოდა და ძალიან ძვირი დაჯდებოდა. ამიტომ, თუ შინაურის საქონლის ფასი საკმარისი არაა იმ

პროდუქტის ფასის დასაფარავად, რომელიც კულტურულ დამუშავებულ მიწაზე მიიღება და რომელიც პირუტყვის საკვებადაა დანიშნული, მით უფრო ნაკლებ საკმარისი იქნება იგი იმ პროდუქტის ფასის დასაფარავად, რომელიც გაცილებით უფრო დიდი დამატებითი შრომის დახარჯვით უნდა იქნეს მოგროვილი და ბოსელში მიტანილი. ამისათვის, ასეთ პირობებში, მხოლოდ იმდენი პირუტყვის კვება შეიძლება ბოსელში მოგებით, რამდენიც ხვნა-თესვისათვის არის საჭირო. მაგრამ პირუტყვის ეს რაოდენობა ვერასოდეს ვერ მოსცემს საკმარის ნაკელს ყველა იმ მიწების კარგ მდგომარეობაში შესანახად, რომლების დამუშავება შესაძლებელია იმ პირუტყვის საშუალებით. ბუნებრივია, რომ, რადგან ამ პირუტყვის მიერ მოცემული ნაკელი საკმარისი არაა მთელი ფერმისათვის, იგი ისეთი მიწებისათვის შემოინახება, რომლებზედაც უფრო ხელსაყრელად და უფრო შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ე. ი. უნაყოფიერეს მიწებზე ან, იქნებ, იმ მიწაზე, რომელიც კარმიდამოსთან ახლოს არის. აი, ეს მიწები ყოველთვის იქნება კარგ მდგომარეობაში და მოსახნავად გამოსადეგი. დანარჩენი მიწა, მისი უდიდესი ნაწილი დატოვებული იქნება ეწრად, – მწირ საძოვრად, რომელიც საკმარისია მარტოოდენ იმისათვის, რომ მასზე კანტიკუნტად მობალახე დამშეულმა პირუტყვმა თავი გაიტანოს გაჭირვებით; ამასთან ფერმას, თუმცა მას გაცილებით ნაკლები შინაური საქონელი ჰყავს იმასთან შედარებით, რაც საჭირო იქნებოდა მისი დამუშავებისათვის, – მაინც ძალიან ხშირად პირუტყვის მოჭარბებული რაოდენობა ეყოლება მის მიერ ფაქტიურად წარმოებულ პროდუქტთან შედარებით. ნაწილი ამ ეწრად დატოვებული მიწისა მას შემდეგ, რაც იგი ექვს ან შვიდ წელიწადს ასე უხეირო წესით საძოვრად იყო გამოყენებული, შეიძლება კვლავ მოიხნას. და ამ შემთხვევაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს ცუდი შვრის ან რაიმე სხვა დაბალი ჯიშის მარცვლეულის ერთი ან ორი მოსავალი, ხოლო ამის შემდეგ იგი, სრულიად გამოფიტული, მიტოვებულ უნდა იქნეს და წინანდებურად დარჩეს საძოვრად, მეორე ნაწილი კი მოიხნას, რათა ესეც, თავის მხრივ, ამავე წესით გამოფიტული, შემდეგ დასტოვონ დასასვენებლად. ასეთი იყო მეურნეობის სისტემა შოტლანდიის მთელს დაბლობში ინგლისთან შეერთებამდე. მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც ყოველთვის კარგად სასუქდაყრილი და კარგ მდგომარეობაში შენახული იყო, იშვიათად აღემატებოდა ფერმის მთელი ფართობის მესამედ ან მეოთხედ ნაწილს, ხოლო ზოგჯერ მის მეხუთედ ან მეექვსედ ნაწილსაც კი არ შეადგენდა. დანარჩენი ფართობი ყოველთვის უსასუქოდ იყო დარჩენილი, მაგრამ მისი ნაწილი, თავის მხრივ, მაინც, მიუხედავად ამისა, რეგულარულად დამუშავებაში შედიოდა და გამოფიტვას განიცდიდა. ცხადია, რომ მეურნეობის ასეთ სისტემაში შოტლანდიის მიწების ის ნაწილიც კი, რომელიც კარგი დამუშავებისათვის არის გამოსადეგი, ძალიან მცირედ წარმოშობდა იმასთან შედარებით, რისი მოცამაც მას შეეძლო. რაგინდ არახელსაყრელად გვეჩვენებოდეს ასეთი სისტემა, მაინც პირუტყვის დაბალი ფასი ინგლისთან შეერთებამდე მას, როგორც სჩანს, თითქმის აუცილებელს ხდიდა. და თუ, ამ პირუტყვის ფასის მნიშვნელოვნად ზრდის მიუხედავად, ამ სისტემას დღესაც უპირატესი ადგილი უჭირავს ქვეყნის უდიდეს ნაწილში, – ეს ბევრ ადგილას უნდა მიეწეროს უვიცობას და ძველ ადათებზე ხელაუღებლობას, ხოლო მეტწილ ქვეყნებში – იმ აუცილებელ დაბრკოლებებს, რომლებსაც საგანთა ბუნებრივი მსვლელობა უქმნის უკეთესი სისტემის დაუყოვნებლივ და სწრაფ შემოღებას: ჯერ ერთი, გლეხების სიღარიბეს, ე. ი. იმ გარემოებას, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ შეუძენიათ შინაური საქონლის საკმაო რაოდენობა მათი მიწების უფრო სისრულით დასამუშავებლად, – შინაური საქონლის ფასის იგივე ზრდა, რაც მათთვის ხელსაყრელად ხდის პირუტყვის უფრო დიდი რაოდენობის ყოლას, იმავე დროს

აძნელებს მის შექმნას; და მეორე, იმ გარემოებას, რომ, კიდევ რომ შესძლებოდათ მისი შექმნა, მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დრო თავიანთი მიწები ისეთ მდგომარეობაში მოეყვანათ, რომ შესაძლებელი გამხდარიყო შინაური საქონლის წესიერად შენახვა. შინაური საქონლის რიცხვის რაოდენადმე გადიდება და მიწის გაუმჯობესება წარმოადგენს ორ მომენტს, რომლებიც ხელიხელჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდეს და რომელთაგან არც ერთს არ შეუძლია ოდესმე წინ გაუსწროს მეორეს ძალიან. შინაური საქონლის რიცხვის რაოდენადმე გაუდიდებად თითქმის შეუძლებელია მიწის გაუმჯობესება რაოდენადმე მნიშვნელოვნად, მაგრამ შინაური საქონლის რიცხვის რაოდენადმე მნიშვნელოვან გადიდებასაც ვერ ექნება ადგილი, თუ წინასწარ მიწის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არაა განხორციელებული, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწა ამ პირუტყვს ვერ გამოჰყვება. უკეთესი სისტემის შემოღების ეს ბუნებრივი დაბრკოლებები შეიძლება მოსპობილ იქნეს მხოლოდ ხანგრძლივი შრომისა და დაზოგვის გზით, და უნდა განვლოს ნახევარ საუკუნეზე არა ნაკლებმა დრომ ან, იქნებ, მთელმა საუკუნემაც, სანამ შესაძლებელი გახდებოდეს ქვეყნის ყველა ნაწილში სავსებით ხელის ალება ძველ სისტემაზე, რომელიც თანდათანობით ჰქრება. მაგრამ ყველა იმ კომერციული სარგებლობიდან, რომელიც შოტლანდიამ ინგლისთან შეერთებით მიიღო, უდიდეს სარგებლობას, იქნებ, შინაური საქონლის ეს ფასის გადიდება წარმოადგენს. ამ გადიდებას გამოიწვია არა თუ ყველა მამულის ღირებულების გადიდება ზემო-შოტლანდიაში, არამედ იგი არის, ალბათ, აგრეთვე მთავარი მიზეზი კულტურის გაუმჯობესების და განვითარებისა დაბლობ შოტლანდიაში.

ყველა ახალ კოლონიაში დაუმუშავებელი მიწების დიდ რაოდენობას, რომლებიც მრავალი წლების განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ პირუტყვის საძოვრად შეიძლება იქნეს გამოყენებული, შედეგად მოჰყვება შინაური საქონლის უაღრესად დიდი სიუხვე, ხოლო ყველგან დიდი სიუხვის აუცილებელ შედეგს შეადგენს სიიაფე. თუმცა ყველა შინაური საქონელი ევროპული კოლონიებისა ამერიკაში თავდაპირველად ევროპიდან იყო შეზიდული, _ ეს პირუტყვი მალე ისე ძალიან გამრავლდა და ისე მცირე ღირებულებისა გახდა, რომ ცხენებსაც კი ტყეებში უშვებდნენ ველურად სარბენად, და მათი მესაკუთრენი გარჯის ღირსად არ სთვლიდნენ მათ მოკითხვას. ასეთი კოლონიების დაარსებიდან მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ შეიძლება ხელსაყრელი გახდეს შინაური საქონლის კვება დამუშავებული მიწის პროდუქტით. იმავე მიზეზებმა, სახელდობრ სასუქის ნაკლებობამ და დისპროპორციამ მიწის დამუშავებისათვის მოსახმარებელი კაპიტალის რაოდენობასა და ამ კაპიტალით დასამუშავებელი მიწის რაოდენობას შორის გამოიწვია იქ მეურნეობის სისტემა, მსგავსი იმ სისტემისა, რომელიც დღესაც განაგრძობს შოტლანდიის ესოდენ ბევრ ადგილას არსებობას. შვედელი მოგზაური კალმი, რომელიც აგვიწერს ინგლისის კოლონიების სამეურნეო სისტემას ჩრდილო-ამერიკაში 1749 წელს, აღნიშნავს, ამიტომ, რომ მას უძნელდება აქ აღმოაჩინოს ხასიათი ინგლისელი ხალხისა, რომელიც ესოდენ დახელოვნებულია სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. აქ, ამბობს იგი, კოლონისტები თითქმის არავითარ სასუქს არ აყრიან თავიანთ საყანე მინდვრებს; როდესაც მიწის ნაკვეთი გამოიფიტება განუწყვეტელი ხვნა-თესვის შემდეგ, ისინი გასწმენდენ და დაამუშავებენ ახალ ყამირ მიწას, ხოლო როდესაც ესეც გამოიფიტება, ხელს მოჰკიდებენ მესამეს. თავიანთ შინაურ საქონელს ისინი უშვებენ ტყეებში და სხვა დაუმუშავებელ მიწებზე სავლელად, სადაც ეს საქონელი ნახევრად მშვიერი არის, ვინაიდან კოლონისტებმა უკვე დიდი ხანია თითქმის მოსპეს ის ბალახი, რომელიც

ყოველ წელს აღმოცენდება, – მოსპეს მით, რომ მას ადრიანად სთიბავდნენ გაზაფხულზე, სანამ ბალახი დაყვავილდებოდა და მისი თესლი მიწაში ჩაიბნეოდა¹. ასეთი ყოველწლიურად მზარდი ბალახი, როგორც ეტყობა, საუკეთესო ბუნებრივ ბალახს შეადგენდა ამერიკის იმ ნაწილში, და როდესაც ევროპელები პირველად დასახლდნენ იქ, ეს ბალახი ძალიან სქლად იზრდებოდა და სამ თუ ოთხ ფუტ სიმაღლეს აღწევდა. მიწის ნაკვეთი, რომელიც იმ დროს, როდესაც კალმი სწერდა, ერთ ძროხასაც კი ვერ ჰკვებავდა, წინათ, როგორც მას არწმუნებდნენ, საკვებს აძლევდა ოთხ ძროხას, რომელთაგან თითოეული ოთხჯერ მეტ რძეს იძლევდა, ვიდრე ახლა. საძოვრების სიმწირემ, მისი აზრით, გამოიწვია გადაგვარებამ შინაური საქონლისა, რომელიც ყოველ მოდგმაში შესამჩნევად უარესი ხდებოდა. ეს პირუტყვი, ალბათ, ბევრით არაფრით განსხვავდებოდა იმ უძველური ჯიშისგან, რომელიც 30 თუ 40 წლის წინათ გავრცელებული იყო მთელ შოტლანდიაში და რომელიც ამჟამად ესოდენ ძალიან გაუმჯობესებულია მეტწილ დაბლობ შოტლანდიაში, და ამასთან გაუმჯობესებულია არა იმდენად ჯიშის გამოცვლით, თუმცე ზოგ ადგილას ეს საშუალებაც სცადეს, რამდენადაც საკვების გაუმჯობესებითა და გადიდებით.

ამრიგად, თუმცა დიდი ხანი გაივლის, სანამ შინაურმა საქონელმა შიძლება ისეთი ფასი მოიპოვოს, რომ ხელსაყრელი გახდეს მიწის დამუშავება მის გამოსაკვებად, მაგრამ მეორე ჯგუფის ნედლი პროდუქტებიდან შინაური საქონელი მაინც, შესაძლებელია, პირველი აღწევდეს ასეთ ფასს. მართლაც, სანამ იგი ასეთ ფასს მიაღწევდა, თითქოს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა განვითარების იმ საფეხურზეც კი ასულიყო, რომელზედაც იგი ავიდა ევროპის ზოგ ნაწილში.

თუ შინაურმა საქონელმა პირველმა მიაღწია ასეთ ფასს, – ნადირი, იქნებ, ამ ჯგუფის ნედლი პროდუქტების იმ ნაწილს ეკუთვნოდეს, რომელმაც უკანასკნელმა მიაღწია ამ ფასს. ნადირის ფასი დიდ ბრიტანეთში, რაგინდ მაღალი გვეჩვენებოდეს იგი, სრულიადაც საკმარისი არაა სანადირო პარკის ხარჯების ასანაზღაურებლად, როგორც ეს კარგად იცის ყველამ, ვინც გამოცდილია ნადირის მოშენების საქმეში. ეს რომ სხვაგვარად იყოს, ნადირის მოშენება მალე სასოფლო მეურნეობის ისეთ გავრცელებულ დარგად გადაიქცეოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ რომაელებში იმ პაწია ფრინველების მოშენების შესახებ, რომლებსაც ისინი “turdi-ს” უწოდებდნენ. ვარო და კოლუმელა გვარწმუნებენ, რომ ეს ფრიად მოგებიან საქმეს შეადგენდა. როგორც გადმოგვცემენ, ასეთსავე ხელსაყრელ საქმეს უნდა შეადგენდეს საფრანგეთის ზოგ ადგილებში გამოკვება ორტოლანების, – გადამფრენი ფრინველებისა, რომელნიც გამხდარნი მოფრინდებიან ხოლმე ამ ქვეყანაში. თუ მოდა ნადირის მიმართ ასევე დარჩა და სიმდიდრემ და ფუფუნებამ დიდ ბრიტანეთში ისე იმატა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა უკანასკნელი დროის განმავლობაში, – ნადირის ფასმა, ალბათ, კიდევ უფრო მაღლა უნდა აიწიოს, ვიდრე ახლა არის.

განვითარების იმ პერიოდსა, როდესაც ასეთ მაღალ დონეს აღწევს ესოდენ აუცილებელი პროდუქტის ფასი, როგორც შინაური საქონელი არის, და იმ პერიოდს შორის, როდესაც ასეთ ფასს აღწევს ესოდენ ზედმეტი პროდუქტი, როგორც ნადირი არის, ძალიან ხანგრძლივი დრო გაივლის, რომლის განმავლობაშიც მრავალი სხვა სახის ნედლი მასალა თანდათან აღწევს თავის უმაღლეს ფასს, – ზოგი უფრე ადრე, ზოგიც უფრო გვიან, სხვადასხვა გარემოების თანახმად.

¹ იხ. Kalm, Travels, vol. I, p. 343, 344.

ასე, ბელღებისა და ბოსლების ნარჩომებით ყოველ ფერმაში შინაური ფრინველის განსაზღვრულ რაოდენობას ინახავენ. და რადგან ეს ფრინველი იმით იკვებება, რაც სხვებზე უსარგებლოდ იქნებოდა დაკარგული, იგი წმინდა დანაზოგს წარმოადგენს; და რადგან იგი თითქმის არად უღირს ფერმერს, ამიტომ ამ უკანასკნელს შეუძლია ძალიან იაფად გაჰყიდოს იგი. თითქმის მთელი ის თანხა, რასაც იგი მასში იღებს, წმინდა მოგებას შეადგენს, და ფრინველის ფასი ძნელად შესაძლებელია ისე დაბალი გახდეს, რომ ფერმერს ხელი ააღებინოს მის იმ რაოდენობის გამოკვებაზე. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც კულტურის დონე დაბალია და ამიტომ მოსახლეობა მეჩხერია, ასე ხარჯების გაუწევლად გამოკვებული შინაური ფრინველი ხშირად სავსებით საკმარისია მთელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთ პირობებში ეს ფრინველი ამიტომ ისევე იაფია, როგორც ხორცი ან რაიმე სხვა სახის ცხოველური საზრდო. მაგრამ შინაური ფრინველის მთელი ის რაოდენობა, რომელსაც ფერმა აწარმოებს ამ გზით ხარჯების გაუწევლად, ყოველთვის ბევრად ნაკლები უნდა იყოს პირუტყვის ხორცის რაოდენობაზე, რომელიც მიიღება იმ ფერმაში; ხოლო სიმდიდრისა და ფუფუნების ხანაში იმას, რაც იშვიათია, ყოველთვის, თუ იგი თანატოლი ღირებულებისაა, უპირატესობას აკუთვნებენ იმასთან შედარებით, რაც ჩვეულებრივი და გავრცელებულია. ამიტომ, სიმდიდრისა და ფუფუნების ზრდასთან ერთად, რაც შედეგია სამეურნეო განვითარებისა, შინაური ფრინველის ფასი თანდათან მატულობს და სჭარბობს ხორცის ფასს, სანამ დაბოლოს ისეთ მაღალ დონეს არ მიაღწევს, რომ ხელსაყრელი ხდება მიწის დამუშავება ფრინველის მოშენებისა და გამოკვების მიზნით. და როდესაც ფასი ამ მაღალ დონეს მიაღწევს, შემდეგ მას აღარ შეუძლია უფრო მაღლა აწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმისთვის მალე გამოყენებული იქნებოდა მიწის დამატებითი ნაკვეთები. საფრანგეთის ზოგ პროვინციებში შინაური ფრინველის მოშენება სასოფლო მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან დარგად და საკმაოდ მოგებიან საქმედ ითვლება, რათა ფერმერმა ამ მიზნისათვის სიმინდისა და უგრეხელის მნიშვნელოვანი რაოდენობის მოყვანას მოჰკიდოს ხელი. საშუალო ფერმერს იქ ზოგჯერ ოთხასამდე ფრინველი ჰყავს თავის ეზოში. ინგლისში შინაური ფრინველების მოშენება, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ არაა ყველგან ესოდენ მნიშვნელოვან საქმედ მიჩნეული. ისე კი ინგლისში შინაური ფრინველი, უეჭველია, უფრო ძვირი არის, ვიდრე საფრანგეთში, ვინაიდან ინგლისი მის დიდ რაოდენობას იღებს საფრანგეთიდან. სამეურნეო განვითარების მსვლელობაში, პერიოდი, რომელშიაც ყოველი სახის ცხოველური საზრდო უმაღლეს ფასს აღწევს, ბუნებრივად იმ პერიოდს უნდა შეადგენდეს, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ამ სახის საზრდოს წარმოების მიზნით მიწის დამუშავების საყოველთაო პრაქტიკას. რამდენიმე ხნის განმავლობაში მანამდე, სანამ ასეთი პრაქტიკა საყოველთაო გავრცელებას მიიღებდეს, ამ სახის საზრდოს ნაკლებობა აუცილებლად უნდა გამოიწვიოს მისი ფასის აწევა. როდესაც მისი წარმოება საყოველთაოდ ვრცელდება, – პრაქტიკაში შემოდის ჩვეულებრივად კვების ახალი მეთოდები, რომელნიც ფერმერს შესაძლებლობას აძლევენ მიწის იმავე ფართობზე იმ განსაკუთრებული სახის ცხოველური საზრდოს გაცილებით მეტი რაოდენობა აწარმოოს. და არა მარტო ეს დიდი რაოდენობა აიძულებს მას უფრო იაფად გაჰყიდოს, არამედ ეს გაუმჯობესებანიც აძლევენ მას უფრო იაფად გაყიდვის შესაძლებლობას, ვინაიდან, თუ ამ გაუმჯობესებათ იგი ვერ შემოიღებდა, ამ დიდ რაოდენობას ვერ ექნებოდა დიდი ხანგრძლივობა. ალბათ, ამგვარად იყო, რომ იონჯის, თაღამის, სტაფილოს, კომბოსტოს და სხვ. ხმარებაში შემოღებამ ხელი

შეუწყო ლონდონის ბაზარზე ხორცის ჩვეულებრივი ფასის რაოდენადმე იმ დონეზე დაბლა დაწევას, რომელზედაც იგი იყო წარსული საუკუნის დასაწყისში.

ღორი, რომელიც სიბინძურეში პოულობს თავის საზრდოს და ბევრ ისეთ რამეს, რასაც ყოველი სხვა სასარგებლო ცხოველი არ მიეკარება, ხარბად ნთქავს, თავდაპირველად, შინაურ ფრინველსავით, მეურნეობის ნარჩომებით იკვებება და წმინდა დანაზოგს წარმოადგენს. სანამ ასეთ ცხოველთა რაოდენობა, რომელიც შეიძლება ამგვარად გამოკვებულ იქნეს მცირე ხარჯების გაწევით ან სრულიად ხარჯების გაუწევლად, სავსებით საკმარისია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, _ ამ სახის ხორცი ბაზარზე გამოდის გაცილებით უფრო დაბალ ფასში, ვიდრე რომელიმე სხვა სახის ხორცი. მაგრამ როდესაც მოთხოვნა გადააჭარბებს ამ რაოდენობას, როდესაც საჭირო ხდება საკვების წარმოება ღორების გამოსაკვებად და გასასუქებლად, როგორც ეს საჭიროა ყველა სხვა შინაური საქონლის გამოსაკვებად და გასასუქებლად, მაშინ ფასი აუცილებლად მაღლა იწევს და ხდება პროპორციულად უფრო მაღალი ან უფრო დაბალი სხვა სახის ხორცის ფასზე, იმის მიხედვით, ქვეყნის ბუნება და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა უფრო ძვირს თუ უფრო იაფს ხდის ღორების გამოკვებას, ვიდრე სხვა პირუტყვისას. საფრანგეთში, ბუფონის მოწმობის თანახმად, ღორის ხორცის ფასი თითქმის უდრის ძროხის ხორცის ფასს. დიდი ბრიტანეთის მეტწილ ადგილებში იგი ამჟამად რაოდენადმე უფრო მაღალი არის.

ღორებისა და შინაური ფრინველის ფასის ძალიან აწევას დიდ ბრიტანეთში ხშირად ხსნიდნენ “კოტეჯერების” და სხვა წვრილ მიწათმპყრობელთა რიცხვის შემცირებით, _ მოვლენით, რომელიც ევროპის ყველა ნაწილში უშუალოდ წინ უძღოდა სასოფლო მეურნეობის ტექნიკის გაუმჯობესებას, მაგრამ რომელსაც იმავე დროს შეეძლო ხელი შეეწყო ამ პროდუქტების ფასის ცოტათი უფრო ადრეული და უფრო სწრაფი ზრდისათვის, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა უიმისოდ. როგორც უღარიბეს ოჯახს ხშირად შეუძლია სრულიად ხარჯის გაუწევლად შეინახოს კატა ან ძაღლი, ისევე უღარიბეს მიწათმპყრობელს შეუძლია ჩვეულებრივ ძალიან მცირე ხარჯის გაწევით შეინახოს რამდენიმე ფრთა ფრინველი ან ერთი ღორი და რამდენიმე გოჭი. ასეთი ოჯახის ნასუფრალი, შრატი, ნაღებმოხდილი რძე და სხვა აძლევს იმ ცხოველებს მათი საკვების ნაწილს, ხოლო დანარჩენს ისინი პოულობენ ახლობელ მინდვრებში ვისმესთვის რაიმე შესამჩნევი ზიანის მიუყენებლად. ამიტომ ასეთ წვრილ მიწათმპყრობელთა რიცხვის შემცირებასთან ერთად აუცილებლად უნდა შემცირდეს მნიშვნელოვნად ამ სახის სანოვაგის რაოდენობაც, რომელიც იწარმოება ფრიად მცირე ხარჯებით ან სრულიად ხარჯების გაუწევლად, და მისმა ფასმა ამის გამო უნდა იმატოს უფრო ადრეულად და უფრო სწრაფად, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა უიმისოდ. მაგრამ ადრე თუ გვიან, სამეურნეო განვითარებასთან ერთად, ამ ფასმა ყოველ შემთხვევაში უნდა აიწიოს იმ მაქსიმალურ სიმაღლემდე, სადამდეც კი მას შეუძლია აწევა, ე. ი. იმ ფასამდე, რომელიც შრომის სასყიდელს და იმ მიწის დამუშავების ხარჯებს, რომელიც იმ ცხოველების საკვებს იძლევა, ჰფარავს იმ ზომით, რა ზომითაც იფარება შრომის სასყიდელი და ხარჯები მეტწილ სხვა დამუშავებულ მიწებზე.

სარძეო მეურნეობას, ისე როგორც ღორებისა და შინაური ფრინველების მოშენებას, თავდაპირველად ეწევიან როგორც დაზოგვის საშუალებას. შინაური საქონელი, რომელიც აუცილებლობის გამო ფერმაში ჰყავთ, მეტ რძეს იძლევა, ვიდრე ამას მოითხოვს ხბოების გამოკვება ან ფერმერის ოჯახის მოხმარება; ამასთან ეს პირუტყვი განსაკუთრებით ბევრ რძეს იძლევა განსაზღვრულ სეზონში. და ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შორის რძე, იქნებ, იმ პროდუქტს წარმოადგენს,

რომელიც ყველაზე უფრო ადვილად ფუჭდება. სიცხიან სეზონში, როდესაც ყველაზე უფრო მეტი რძე მიიღება, იგი გაჭირვებით სძლებს ოცდაოთხ საათს; ფერმერს, თუ იგი იქიდან კარაქებს აკეთებს, შეუძლია მისი პატარა ნაწილი ერთ კვირას შეინახოს, თუ მარილიან კარაქს აკეთებს, შეუძლია ერთ წელიწადს შეინახოს, ხოლო თუ იქიდან ყველს აკეთებს, შეუძლია მისი ბევრად უფრო დიდი ნაწილი რამდენსამე წელიწადს შეინახოს. მთელი ამ პროდუქტის ნაწილი სემონინახება ფერმერის საკუთარი ოჯახის მოსახმარებლად, ხოლო დანარჩენი გამოდის ბაზარზე ისეთ მაღალ ფასში გასაყიდად, როგორც კი შეიძლება მიღებულ იქნეს და რომელიც არ შეიძლება ისე დაბალი იყოს, რომ ფერმერს ხალისი წართვას ბაზარზე გაიტანოს ის გარდამეტი, რომელიც მას რჩება მისი ოჯახის მოხმარების შემდეგ. მართლაც, თუ ფასი ძალიან დაბალი დარჩა, ფერმერი, ალბათ, ძალიან უხეიროდ და ჭუჭყიანად წარმართავს თავის სარძეო მეურნეობას და, ალბათ, გადასწყვეტს სულაც არ იქონიოს ამისათვის ცალკე სადგომი ანუ შენობა და საქმის კეთებას იქცეოს თავისი სამზარეულოს კვამლსა, ჭუჭყსა და სიბინძურეში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შოტლანდიის ყველა სარძეო მეურნეობიან ფერმაში 30-40 წლის წინათ და როგორც ამას ადგილი აქვს დღესაც ბევრ მათგანში. იგივე მიზეზები, რომლებიც იწვევს ხორცის ფასის თანდათან აწევას, სახელდობრ მოთხოვნის გადიდებას და – როგორც შედეგს ქვეყნის განვითარებისა – შინაური საქონლის იმ რაოდენობის შემცირებას, რომელიც შეიძლება გამოკვებულ იქნეს მცირე ხარჯით ან სრულიად ხარჯის გაუწევლად, იწვევს აგრეთვე რძის პროდუქტების ფასის აწევას, რომელთა ფასი – ბუნებრივია – დაკავშირებული არის ხორცის ფასთან ანუ შინაური საქონლის გამოკვების ხარჯებთან. ფასის გადიდება შესაძლებლობას იძლევა ჯილდო მიეცეს მეტ შრომას, გულმოდგინებას და სისუფთავის დაცვას. სარძეო მეურნეობა მით უფრო დიდი ყურადღების ღირსი ხდება ფერმერისათვის და მისი პროდუქტის ხარისხი მუდამ უმჯობესდება. ბოლოს და ბოლოს ფასი ისეთ სიმაღლეს აღწევს, რომ ხელსაყრელი ხდება მიწის ზოგი უნაყოფიერესი და საუკეთესოდ დამუშავებული ნაკვეთები გამოყენებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ სარძეო მეურნეობისათვის დანიშნული პირუტყვის გამოსაკვებად. და როდესაც ფასმა ასეთ სიმაღლეს მიაღწია, მერე მას აღარ შეუძლია უფრო მაღლა აწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მალე მეტი მიწა იქნებოდა იმავე მიზნისათვის გამოყენებული. როგორც ეტყობა, ამ ფასმა მიაღწია ასეთ სიმაღლეს ინგლისის მეტწილ ადგილებში, სადაც ბევრი კარგი მიწა ჩვეულებრივ ამ წესით გამოიყენება. შოტლანდიაში ამ ფასს, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ არსად, თუ რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქის ახლო მიდამოებს არ მივიღებთ მხედველობაში, არ მიუღწევია ასეთი სიმაღლისათვის, ვინაიდან იქ ჩვეულებრივი ფერმერები იშვიათად ანდომებენ ბევრ კარგ მიწას საკვების წარმოებას იმ პირუტყვისათვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სარძეო მეურნეობისთვისაა დანიშნული. თუმცა სარძეო მეურნეობის პროდუქტების ფასმა ძალიან აიწია ამ რამდენიმე უკანასკნელი წლის განმავლობაში, მაგრამ იგი მაინც, ალბათ, ჯერ კიდევ ძალიან დაბალი არის, რათა შესაძლებელი გახადოს ეს. ამ პროდუქტების დაბალი ხარისხი ინგლისის რძის პროდუქტებთან შედარებით სავსებით შეესაბამება მათი ფასის დაბალ დონეს. მაგრამ ეს დაბალი ხარისხი წარმოადგენს დაბალი ფასის უფრო შედეგს, ვიდრე მის მიზეზს. ხარისხი რომ ბევრად უკეთესიც იყოს, იმ პირობებში, რომლებიც ქვეყანაში არსებობს, მეტი წილი იმისა, რაც ამჟამად ბაზარზე გამოდის, ვერ გაიყიდებოდა უკეთეს ფასში; ხოლო ამჟამად არსებული ფასი, ალბათ, ვერ დაჰფარავს გაცილებით უკეთესი ღირსების პროდუქტის საწარმოებლად საჭირო ხარჯებს მიწისა და შრომისათვის. ინგლისის მეტ ნაწილში, ფასების მაღალი დონის მიუხედავად, სარძეო მეურნეობა არ

ითვლება მიწის გამოყენების უფრო ხელსაყრელ წესად, ვიდრე ხორბლეულის წარმოება ან პირუტყვის მოშენება, _ ეს ორი მთავარი დარგი სასოფლო მეურნეობისა. ამიტომ შოტლანდიის უდიდეს ნაწილში იგი ესოდენ ხელსაყრელიც არ შეიძლება იყოს.

ცხადია, რომ არც ერთ ქვეყანაში მიწა არ შეიძლება სავსებით დამუშავებული და გაუმჯობესებული იქნეს, სანამ ყველა ამ პროდუქტის ფასი, რომელიც ადამიანის შრომამ უნდა აწარმოოს მასზე, ისეთ სიმაღლეს არ მიაღწევს, რომ დაჰფაროს ასეთი სრული დამუშავების და გაუმჯობესების ხარჯები. ასეთი სედეგის მისაღებად საჭიროა, რომ თითოეული განსაკუთრებული სახის პროდუქტის ფასი საკმარისი იყოს იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, გაისტუმროს კარგი საყანე მიწის რენტა, ვინაიდან ეს მიწა განსაზღვრავს მეტი წილი სხვა დამუშავებული მიწების რენტას, და, მეორე, გაისტუმროს ფერმერის შრომა და ხარჯები იმ ზომით, რა ზომითაც ჩვეულებრივ ამის ანაზღაურება ხდება კარგ საყანე მიწაზე, სხვა სიტყვებით, _ ანაზღაუროს ჩვეულებრივი მოგებითურთ ფერმერის მიერ მიწის დამუშავებაზე დახარჯული კაპიტალი. თითოეული განსაკუთრებული პროდუქტის ფასის ასეთი გადიდება, ცხადია, წინ უნდა უძღოდეს მის საწარმოებლად დანიშნული მიწის გაუმჯობესებასა და დამუშავებას. მოგება შეადგენს მიზანს ყოველი გაუმჯობესებისა, და ეს უკანასკნელი არაა გაუმჯობესების სახელწოდების ღირსი, თუ მას აუცილებელ შედეგად ზარალი ახლავს, ზარალი კი აუცილებელ შედეგად უნდა ახლდეს მიწის დამუშავებას ისეთი პროდუქტის საწარმოებლად, რომლის ფასი ვერასოდეს უკან ვერ დააბრუნებს გაწეულ ხარჯებს. თუ ქვეყნის ყველა მიწის სრული გაუმჯობესება და დამუშავება უდიდეს საზოგადოებრივ სიკეთეს წარმოადგენს, რაც ყოვლად უეჭველი არის, _ ყველა ამ სხვადასხვა სახის ნედლი პროდუქტების ფასის აწევა მისაჩნევია არა საზოგადოებრივ უბედურებად, არამედ ამ უდიდესი საზოგადოებრივი სიკეთის წინამორბედად და თანამგზავრად.

აგრეთვე ყველა ამ სხვადასხვა სახის ნედლი პროდუქტების ნომინალური ანუ ფულადი ფასის აწევა შედეგი იყო არა ვერცხლის ღირებულების დაწევის, არამედ მათი ნამდვილი ფასის აწევისა. ეს პროდუქტები ღირს არა თუ ვერცხლის მეტ რაოდენობად, არამედ შრომისა და საარსებო საშუალებათა მეტ რაოდენობად, ვიდრე წინათ, რადგან შრომისა და საარსებო საშუალებათა მეტი რაოდენობაა საჭირო ბაზარზე მათ გასატანად, ამიტომ ისინი, როდესაც ბაზარზე გამოტანილი, მეტ რაოდენობას წარმოადგენენ ანუ მეტი რაოდენობის ეკვივალენტნი არიან.

მესამე ჯგუფი

მესამე და უკანასკნელი ჯგუფი ნედლი პროდუქტებისა, რომელთა ფასი ბუნებრივად იზრდება კულტურის ზრდასთან ერთად, იმ პროდუქტებისგან შესდგება, რომელთა მიმართ ადამიანის შრომის ეფექტივობა მათი რაოდენობის გადიდების საქმეში შეზღუდულია ან გაურკვეველი არის. თუმცა ამგვარი ნედლი პროდუქტის ნამდვილ ფასს აქვს, ამიტომ, კულტურის განვითარების მსვლელობაში, ბუნებრივი ტენდენცია გადიდებისადმი, მაგრამ მაინც, იმ სხვადასხვა შემთხვევითობის მიხედვით, რომელიც მეტად ან ნაკლებად წარმატებულს ხდის ადამიანის შრომის მცდელობას პროდუქტის რაოდენობის გადიდების საქმეში, ეს ფასი შეიძლება ზოგჯერ დაეცეს, ზოგჯერ უცვლელი დარჩეს კულტურის

განვითარების სხვადასხვა პერიოდებში, ზოგჯერაც მან მეტნაკლებ აიწიოს ერთი და იმავე პერიოდის განმავლობაში.

არსებობს ნედლი პროდუქტის ისეთი სახეები, რომელნიც ბუნებამ აქცია ერთგვარ დანართად სხვა სახეებისა, ასე რომ ერთი პროდუქტის რაოდენობა, რომლის წარმოება ქვეყანას შეუძლია, აუცილებლად შეზღუდული არის მეორე პროდუქტის რაოდენობით. მაგალითად, მატყლის ან ნედლი ტყავის რაოდენობა, რომლის წარმოებაც შეუძლია განსაზღვრულ ქვეყანას, აუცილებლად შეზღუდულია მსხვილფეხი და წვრილფეხი საქონლის რაოდენობით, რომელიც ქვეყანაში მოიპოვება. ეს რაოდენობა კი, თავის მხრივ, აუცილებლად განისაზღვრება აღნიშნული ქვეყნით საერთო მდგომარეობით და მისი სასოფლო მეურნეობის ხასიათით.

იგივე მიზეზები, რომლებიც კულტურის განვითარების მსვლელობაში, ხორცის ფასის თანდათან აწევას იწვევს, ასეთსავე გავლენას უნდა ახდენდეს, თითქოს მატყლისა და ნედლი ტყავების ფასზეც და თითქმის იმავე ზომით მაღლა სწევდეს მას. ეს, ალბათ, ასეც იქნებოდა, კულტურის განვითარების პირველ სტადიებზე ბაზარი უკანასკნელი პროდუქტებისთვის რომ ისე ვიწრო ფარგლით იყოს შეზღუდული, როგორც ხორცისთვის. მაგრამ ბაზრის მოცულობა ამ ორ შემთხვევაში ჩვეულებრივ ფრიად სხვადასხვა არის.

ბაზარი ზორცისთვის თითქმის ყველგან შემოფარგლულია იმ ქვეყნით, რომელიც მას აწარმოებს. მართალია, ირლანდია და ბრიტანეთის ამერიკა ეწვეიან მნიშვნელოვან ვაჭრობას დამარილებული ხორცით, მაგრამ ისინი, მე მგონია, ერთადერთი ქვეყნებია ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოში, რომელნიც ამას სჩადიან, ე. ი. რომელთაც სხვა ქვეყნებში გააქვთ თავისი ხორცის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბაზარი მატყლისა და ნედლი ტყავებისთვის, პირიქით, კულტურის განვითარების დასაწყისს საფეხურებზე იშვიათად არის იმ ქვეყნით შემოფარგლული, რომელიც მათ აწარმოებს. ადვილად შეიძლება მათი გადატანა შორეულ ქვეყნებში: მატყლის გადატანა შეიძლება სრულიად წინასწარ დაუმუშავებლად, ხოლო ნედლი ტყავისა – ძალიან მცირე დამუშავების შემდეგ; და რადგან ისინი ნედლ მასალას შეადგენენ წარმოების ბევრი დარგისათვის, ამიტომ სხვა ქვეყნების მრეწველობამ შეიძლება მოთხოვნა წარმოადგინოს მათ მიმართ, თუნდ რომ იმ ქვეყანაში, რომელიც მათ აწარმოებს, სრულიადაც არ იყოს მათი მოთხოვნა.

იმ ქვეყნებში, სადაც მიწები ცუდად დამუშავებულია და ამიტომ მოსახლეობა მეჩხერია, მატყლისა და ნედლი ტყავის ფასი მთელი ცხოველის ფასის გაცილებით უფრო დიდ ნაწილს შეადგენს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც, კულტურის უფრო მაღალი დონისა და უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გამო, უფრო დიდი მოთხოვნა არსებობს ხორცის მიმართ. იუმი აღნიშნავს, რომ საქონელთა ხანაში ცხვრის საწმისი იანგარიშებოდა მთელი ცხვრის ღირებულების ორ მეხუთედად, და რომ ეს შეფარდება მნიშვნელოვნად აღემატება თანამედროვე შეფასებას. ესპანეთის ზოგ პროვინციებში, როგორც მე მარწუნებდნენ, ცხვრებს ხშირად მარტო მათი მატყლისა და ქონის გულისთვის კლავენ. ხორცს ხშირად მიწაზე სტოვებენ დასალპობად ან მხეცებისა და ფრინველების მიერ შესაჭმელად. თუ ამას ზოგჯერ აქვს ადგილი ესპანეთში, ეს თითქმის ყოველთვის ასე ხდება ჩილიში, ბუენოს-აირესში და ბევრ სხვა ნაწილში ესპანეთის ამერიკისა, სადაც რქოსან საქონელს თითქმის ყოველთვის კლავენ მხოლოდ ტყავისა და ქონის გულისთვის. აგრეთვე ეს ასე ხდებოდა თითქმის ყოველთვის სან-დომინგოს ესპანურ ნაწილში, როდესაც იგი

გავსებული იყო მეკობრეებით, და იმ დრომდე, როდესაც დასახლების წარმოშობამ, კულტურის განვითარებამ და მოსახლეობის ზრდამ საფრანგეთის პლანტაციებში (რომლებიც ამჟამად გავრცელებულია კუნძულის თითქმის მთელი დასავლეთ ნაწილის ნაპირის გასწვრივ) რაოდენადმე ღირებულება მისცა ესპანელების შინაურ საქონელს, რომელიც დღემდე ფლობენ არა თუ ნაპირის აღმოსავლეთ ნაწილს, არამედ ქვეყნის მთელ შიდა და მთიან ნაწილსაც.

თუმცა კულტურის განვითარებასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად მთელი ცხოველის ფასი აუცილებლად მატულობს, მაგრამ ხორცის ფასი გაცილებით უფრო მატულობს, ვიდრე მატყლისა და ტყავის ფასი. კულტურის განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პარალელურად აუცილებლად უნდა გაფართოვდეს ხორცის ბაზარი, რომელიც საზოგადოების განვითარების უდაბლეს საფეხურზე ყოველთვის იმ ქვეყნითაა შემოფარგლული, რომელიც მას აწარმოებს. მაგრამ მატყლისა და ტყავის ბაზარი, – ბარბაროსული ქვეყნისა კი, – რადგან იგი ხშირად მთელ ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოზე ვრცელდება, იშვიათად შეიძლება იმავე პროპორციით გაფართოვდეს. ხოლო მთელ ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოზე იშვიათად შეიძლება გავლენა ჰქონდეს ერთი რომელიმე ქვეყნის პროგრესსა და ბაზარი ასეთი პროდუქტებისათვის შეიძლება აღნიშნული პროგრესის შემდეგაც წინანდებურად უცვლელი ან თითქმის უცვლელი დარჩეს. ისე კი, საგანთა ბუნებრივი მსვლელობისას, ეს ბაზარი ამის გამო საერთოდ რაოდენადმე გაფართოვდეს. თუ, სახელდობრ, მრეწველობის დარგები, რომლებისთვისაც ეს პროდუქტები ნედლ მასალას შეადგენს, აყვავებას განიცდიან მოცემულ ქვეყანაში, ბაზარი თუმცა არ გაფართოვდება მნიშვნელოვნად, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში, ბევრად უფრო დაახლოებული იქნება წარმოების ადგილს, ვიდრე უწინ იყო, და ამ მასალების ფასმა შეიძლება აიწიოს მთელი იმ თანხის ოდენობით, რომელიც ჩვეულებრივ იხარჯებოდა მათ გადაზიდვაზე შორეულ ქვეყნებში. ამიტომ, თუ მატყლისა და ტყავის ფასი იმ პროპორციით არ აიწევს, როგორც ხორცის ფასი, მან მაინც ბუნებრივად უნდა აიწიოს რაოდენადმე და, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დაიწიოს.

მაგრამ ინგლისში, მისი მატყლის მრეწველობის აყვავებული მდგომარეობის მიუხედავად, ინგლისური მატყლის ფასი ედუარდ III-ის ეპოქის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვნად დაეცა. მოიპოვება ბევრი სარწმუნო ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ ამ თავადის მეფობის დროს (მე-XIV საუკუნის შუაში ანუ 1339 წლის ირგვლივ) 28 გირვანქა ინგლისური მატყლის შემცველი სეკვრის ზომიერ და სამართლიან ფასად ითვლებოდა არა ნაკლებ 10 შილინგისა იმდროინდელი ფულით¹, რაც, უნცში 20 პენსის ანგარიშით, შეადგენდა 6 უნც ვერცხლს ტაუერის წონით ანუ დაახლოებით 20 შილინგს ჩვენს ახლანდელ ფულზე. ამჟამად კარგი ინგლისური მატყლის კარგ ფასად შეიძლება ჩაითვალოს 21 შილინგი 28 გირვანქის შემცველი შეკვრისათვის. ამრიგად, მატყლის ფულადი ფასი ედუარდ III-ის დროს მის ახლანდელ ფულად ფასს შეეფარდება როგორც 10:7. მისი ნამდვილი ფასის სიმეტე კიდევ უფრო დიდი იყო. კვარტერისათვის 6 შილინგის და 8 პენსის ნორმის საფუძველზე, 10 შილინგი შეადგენდა იმ ძველ დროში 12 ბუშელი ხორბლის ფასს. კვარტერისათვის 28 შილინგის ნორმის საფუძველზე, ჩვენს დროში 21 შილინგი სეადგენს მხოლოდ 6 ბუშელის ფასს. ამრიგად, შეფარდება იმ ძველი დროისა და ახლანდელი დროის ნამდვილ ფასებს შორის არის როგორც 12:6. ანუ როგორც 2:1. იმ ძველ დროში ერთი სეკვრა მატყლი ორჯერ მეტ საარსებო საშუალებებს იყიდდა, ვიდრე ამჟამად, და,

¹ იხ. Smith-ის Memoirs of Wool, vol. I, c. 5, 6 და 7; აგრეთვე vol. II, c. 176.

მაშასადამე, შრომის ორჯერ მეტ რაოდენობას, შრომის ნამდვილი გასამრჯელო რომ ერთნაირი ყოფილიყო ორივე ამ პერიოდისათვის.

მატყლის როგორც ნამდვილი, ისე ნომინალური ფასის ასეთი დაცემა ვერას გზით ვერ წარმოსდგებოდა საგანთა ბუნებრივი მსვლელობის შედეგად. სინამდვილეში იგი შედეგი იყო ძალადობითი და ხელოვნური ღონისძიებებისა: ჯერ ერთი, ინგლისიდან მატყლის ექსპორტის სრული აკრძალვისა; მეორე, ესპანეთის მისი იმპორტის ნებართვისა ბაჟის გადაუხდელად; მესამე, ირლანდიიდან მისი სხვა ქვეყნებში ექსპორტის აკრძალვისა, ინგლისს გარდა. ამ შემზღვეველი ღონისძიებების შედეგად ინგლისური მატყლის ბაზარი ნაცვლად იმისა, რომ რაოდენადმე გაფართოებულიყო ინგლისის კულტურის განვითარების გამო, შემოფარგლულ იქნა შინაური ბაზრით, სადაც გზა გაეხსნა ინგლისურ მატყლთან კონკურენციისათვის რამდენიმე სხვა ქვეყნის მატყლს და სადაც ირლანდიის მატყლი იძულებით კონკურენციას უწევს მას. და რადგან, ამასთან, შალეულის მანუფაქტურები ირლანდიაში ისეთ დიდ შევიწროებას განიცდიან, როგორც კი შესაზღვრელია სამართლიანობასა და პატიოსნებასთან იყოს რაოდენადმე შეთავსებული. ამიტომ ირლანდიელებს თავისი მატყლის მხოლოდ ნაწილის გადამუშავება შეეძლოთ და ამის გამო ისინი იძულებული არიან მისი უდიდესი ნაწილი გზავნონ ინგლისში, – იმ ერთადერთ ბაზარზე, რომელიც მათ აქვთ მიჩენილი.

მე ვერ შევძელი მეპოვნა ასეთივე სარწმუნო ცნობები ნედლი ტყავის ფასის შესახებ იმ ძველ დროში. მატყლს ჩვეულებრივ უხდინდნენ მეფეს ხარკის სახით, და ის, რადაც იგი შეფასდებოდა ამ ხარკის გადახდისას, გვადლევს, ყოველ შემთხვევაში რაოდენადმე, ცნობას იმის შესახებ, თუ არ იყო მისი ჩვეულებრივი ფასი. ნედლი ტყავის შესახებ კი ასეთი წესი, როგორც ეტყობა, არ არსებობდა. მაგრამ ფლიტვუდი გვამცნობებს ასეთი ტყავის ფასს, თანახმად ბურჩესტერის (ოქსფორდის) წინამძღვარის და ერთ-ერთი მისი კანონიკის ანგარიშებისა, როგორც ეს ფასი განსაზღვრული იყო ამ ცალკეულ შემთხვევაში მაინც; ჩვენ იქ გვაქვს ასეთი ციფრები: 5 ხარის ტყავი 12 შილინგად, 5 ძროხის ტყავი 7 შილინგად და 3 პენსად, 36 ორწლიანი ცხვრის ტყავი 9 შილინგად, 16 ხბოს ტყავი 2 შილინგად. 1425 წელს 12 შილინგი შეიცავდა დაახლოებით ვერცხლის იმდენსავე რაოდენობას, რამდენსაც შეიცავს ჩვენი ახლანდელი ფულის 24 შილინგი. მაშასადამე, ხარის ტყავი შეფასებული იყო აღნიშნულ ანგარიშში ვერცხლის იმ რაოდენობად, რომელსაც შეიცავს ჩვენი ახლანდელი ფულის 4 4/5 შილინგი. მისი ნორმალური ფასი მაშინ გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ახლა არის; მაგრამ, კვარტერისათვის 6 შილინგის და 8 პენსის ნორმის საფუძველზე, მაშინ 12 შილინგით შეიძლებოდა 14 4/5 ბუმელი ხორბლის ყიდვა, რაც, ბუმელისათვის 3 შილინგის და 6 პენსის საფუძველზე, ამჟამად ეღირებოდა 51 შილინგი და 4 პენსი. მაშასადამე, ხარის ტყავით იმ დროში იმდენი პურის ყიდვა შეიძლებოდა, რამდენის ყიდვაც ჩვენს დროში შეიძლება 10 შილინგად და 3 პენსად. აღნიშნული ტყავის ნამდვილი ფასი უდრიდა 10 შილინგს და 3 პენსს ჩვენს ახლანდელ ფულზე. ჩვენ არ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ იმ ძველ დროში შეინაური საქონელი, რომელიც მეტწილად ზანთარში დამშეული იყო, განსაკუთრებით დიდი ტანის ყოფილიყოს. ხარის ტყავი წონით 4 სტონისა, რომელიც სავაჭრო წონით 16 გირვანქას შეიცავს თითო, ამჟამად არ ითვლება ცუდ ტყავად, ხოლო იმ დროში, ალბათ, ძალიან კარგ ტყავად ითვლებოდა. მაგრამ თუ სტონს ნახევარ კრონად ვიანგარიშებთ, რაც მე ამჟამად (1773 წლის თებერვალი) ჩვეულებრივ ფასად მიმაჩნია, ასეთი ტყავი ახლა მხოლოდ 10 შილინგი ეღირებოდა. ამრიგად, თუმცა მისი

ნორმალური ფასი დღეს უფრო მაღალია, ვიდრე იმ ძველ დროში იყო, მისი ნამდვილი ფასი, საარსებო საშუალებათა ნამდვილი რაოდენობა, რომლის მით ყიდვა ან თავის განკარგულებაში მიღება შეიძლება, უფრო შემცირებული არის. პროხის ტყავის ფასი, როგორც ეს უკანასკნელი ნაჩვენებია აღნიშნულ ანგარიშებში, ჩვეულებრივს შეფარდებაშია ხარის ტყავის ფასის მიმართ. ცხვრის ტყავის ფასი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია. ცხვრის ტყავი, ალბათ, მატყლიანად იყიდებოდა. ხბოს ტყავი, პირიქით, ბევრად უფრო დაბალია. იმ ქვეყნებში, სადაც შინაური საქონლის ფასი ძალიან დაბალია, ხბოებს, რომელთა გაზრდა არ სწადიათ ჯოგის გასამრავლებლად, ჩვეულებრივ ძალიან ახალგაზრდებს კლავენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შოტლანდიაში 20 თუ 30 წლის წინათ. ამით დაიზოგება რძე, რომლის ხარჯვას მათი ფასი ვერ ანაზღაურებდა. ამიტომ ხბოს ტყავი ჩვეულებრივ ნაკლებ მოსახმარი არის.

ნედლი ტყავის ფასი მნიშვნელოვნად უფრო დაბალი არის ამჟამად, ვიდრე იყო რამდენიმე წლის წინათ, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სელაპის ტყავზე დაწესებული ბაჟი გაუქმებულ იქნა და ნედლი ტყავის შემოზიდვა ირლანდიიდან და კოლონიებიდან ნებადართულ იქნა განსაზღვრული ვადით; ეს მოხდა 1769 წელს. თუ ავიღებთ საშუალო ფასს მიმდინარე საუკუნისათვის, ნედლი ტყავის ნამდვილი ფასი რაოდენადმე უფრო მაღალი გამოვა, ვიდრე იყო იმ ძველ დროში. ამ საქონლის ბუნება მატყლზე ნაკლებ გამოსადეგად ხდის მას შორეულ ბაზრებზე ტრანსპორტისათვის. მას უფრო უფუჭდება ხარისხი შენახვისას. დამარილებული ტყავი უფრო დაბალი ხარისხის მქონედაა მიჩნეული, ვიდრე ახალი ტყავი, და უფრო დაბალ ფასში იყიდება. ამ გარემოებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთგვარი ტენდენცია – დასწიოს ნედლი ტყავის ფასი იმ ქვეყანაში, რომელიც თვითონ არ ეწევა მის გადამუშავებას და იძულებულია გაზიდოს იგი, და შედარებით დასწიოს იგი იმ მის მწარმოებელ ქვეყანაში, სადაც ამ ტყავის გადამუშავებას აქვს ადგილი. ამ გარემოებამ უნდა გამოიწვიოს ტყავის ფასის რაოდენადმე დაწევა ბარბაროსულ ქვეყანაში და მისი აწევა კულტურულ და მრეწველ ქვეყანაში. მაშასადამე, მას უნდა გამოეწვია რაოდენადმე მისი დაწევა ძველ დროში და მისი აწევა ახლანდელ დროში. გარდა ამისა, ჩვენმა მეტყავეებმა ვერ შესძლეს, როგორც ეს მოახერხეს მაუდის მრეწველებმა, დაერწმუნებიათ ნაციის გონება, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა სწორედ მათი დარგის მრეწველობის აყვავებაზეა დამოკიდებული; ამიტომ მათ გაცილებით ნაკლებ მფარველობას უწევდნენ. ნედლი ტყავის ექსპორტი, მართალია, იქნა აკრძალული და მავნებლად გამოცხადებული, მაგრამ მის იმპორტზე ბაჟი დააწესეს; და თუმცა ეს ბაჟი ირლანდიიდან და კოლონიებიდან შემოზიდული ტყავისათვის გაუქმებულ იქნა (მხოლოდ ხუთი წლის ვადით), მაგრამ მაინც ირლანდია არ იყო ინგლისის ბაზრით შეზღუდული თავისი ზედმეტი ტყავის ანუ იმ ტყავის გასაყიდად, რომლის გადამუშავებას თვითონ არ აწარმოებდა. ჩვეულებრივი პირუტყვის ტყავი მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქნა იმ საქონელთა სიაში შეტანილი, რომელნიც მხოლოდ მეტროპოლიაში შეუძლიათ კოლონიებს გზავნონ; და ისევე ირლანდიის ვაჭრობაც დღემდე არ განიცდიდა ამ მხრივ არავითარ შევიწროებას დიდი ბრიტანეთის მანუფაქტურებისთვის დახმარების გაწევის მიზნით.

ყოველგვარ ღონისძიებას, რომელსაც ის მისწრაფება აქვს, რომ მატყლის ან ნედლი ტყავის ფასი დასწიოს იმ დონეზე დაბლა, რომელზედაც იგი ბუნებრივად იქნებოდა, კულტურულ და განვითარებულ ქვეყანაში უნდა ჰქონდეს რაოდენადმე ტენდენცია ხორცის ფასის აწევისა. ფასი როგორც მსხვილფეხი, ისე წვრილფეხი საქონლისა, რომლის მოშენება და გამოკვება გაუმჯობესებულ და დამუშავებულ

მიწაზე სწარმოებს, საკმარისი უნდა იყოს რენტისა და მოგების გასასტუმრებლად, რომელთა მიღებას ასეთი მიწისგან საფუძვლიანად მოელიან მემამულე და ფერმერი. თუ იგი საკმარისი არაა ამისთვის, ისინი მალე თავს დაანებებენ პირუტყვის მოშენებას. ამიტომ ამ ფასის ის ნაწილი, რომელსაც მატყლი და ტყავი ვერ იხდის, უნდა გადახდებოდეს იქნეს ხორცის ფასით. რაც უფრო ნაკლები გადაიხდება პირველი ორისათვის, მით უფრო მეტი უნდა იქნეს გადახდილი უკანასკნელისათვის. მემამულისა და ფერმერისათვის – ოღონდ კი სრულად მიიღონ მათ ეს ფასი და – სულერთია, როგორ განაწილდება იგი ცხოველის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ამიტომ კუჭტურიან და განვითარებულ ქვეყანაში მემამულის და ფერმერის ინტერესს არ შეიძლება მაინც და მაინც ძალიან შეეხოს ამგვარი ღონისძიებები, თუმცა მათ ინტერესს, როგორც მომხმარებლისას, შეეხება სურსათ-სანოვავის ფასის აწევა. სრულიად სხვაგვარი იქნება მდგომარეობა ნაკლებ განვითარებულ და უკუღმართ ქვეყანაში, სადაც მიწების უდიდესი ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაიმე სხვა მიზნისათვის, თუ არ პირუტყვის მოშენებისა და გამოკვებისათვის, და სადაც მატყლი და ტყავი ამ პირუტყვის ღირებულების მთავარ ნაწილს შეადგენს. ამ შემთხვევაში მათ ინტერესს, როგორც მემამულის და ფერმერისას, ძალიან შეეხება ასეთი ღონისძიებები, ხოლო მათ ინტერესს, როგორც მომხმარებლისას, ძალიან მცირედ შეეხება. მატყლისა და ტყავის ფასის დაწევა ამ შემთხვევაში არ გამოიწვევს ხორცის ფასის აწევას, ვინაიდან მოშენებული პირუტყვის რაოდენობა არ იცვლება, რამდენადაც მიწების უდიდესი ნაწილი ქვეყანაში სხვა არაფრისთვისაა გამოსადეგი, გარდა პირუტყვის მოშენებისა: ბაზარზე ხორცის იგივე რაოდენობა შემოვა, რაც წინათ, ხოლო მოთხოვნა მის მიმართ წინანდელი იქნება; მაშასადამე, მისი ფასი წინანდელზე დარჩება. ცხოველის მთელი ფასი შემცირდება და ამასთან დაიწვეს რენტა და მოგება ყველა იმ მიწიდან, რომლის მთავარ პროდუქტს პირუტყვი შეადგენდა, ე. ი. მეტი წილი მიწებიდან ქვეყანაში. მატყლის ექსპორტის სამუდამოდ აკრძალვა, რასაც ჩვეულებრივ, თუმცა უმართებულოდ, ედუარდ III-ეს მიაწერენ, ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობაში სრულიად გამანადგურებელი ღონისძიება იქნებოდა, როგორც კი შესაძლებელია შემოღებული ყოფილიყო. იგი არა თუ გამოიწვევდა მეტი წილი მიწების ღირებულების დაცემას სამეფოში, არამედ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სახის წვრილფეხი საქონლის ფასის დაცემის გამო, ძალიან დაახანებდა იმ მიწების შემდგომ გაუმჯობესებას.

შოტლანდიის მატყლი ძალიან მნიშვნელოვნად დაეცა ფასში ინგლისთან შეერთების გამო, ვინაიდან ამის მეოხებით იგი გამორიცხულ იქნა ევროპის დიდი ბაზრიდან და შემოიფარგლა დიდი ბრიტანეთის ვიწრო ბაზრით. მეტი წილი მიწების ღირებულებას შოტლანდიის სამხრეთ საგრაფოებში, სადაც უმთავრესად მეცხვარეობაა გავრცელებული, ძალიან უნდა განეცადა ამ მოვლენის გავლენა, ხორცის ფასის აწევას რომ არ გაეწონასწორებია სავსებით მატყლის ფასის დაცემა.

ადამიანის შრომის ეფექტივობა მატყლისა ან ნედლი ტყავის რაოდენობის გადიდების დარგში შეზღუდული არის, რამდენადაც იგი მოცემული ქვეყნის წარმოებაზე დამოკიდებული, და გაურკვეველი არის, რამდენადაც იგი დამოკიდებულია სხვა ქვეყნების წარმოებაზე. იგი დამოკიდებულია არა იმდენად იმ რაოდენობაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი აწარმოებენ, რამდენადაც იმ რაოდენობაზე, რომლის გადამუშავებას ისინი არ ეწევიან, და აგრეთვე დამოკიდებულია იმ სხვადასხვა შეზღუდვაზე, რომლის დაწესება მათ, შესაძლებელია, საჭიროდ მიიჩნიონ ამ სახის ნედლეულის ექსპორტისათვის. რადგან ყველა ეს გარემოება სრულიად დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის

მრეწველობისგან, ამიტომ იგი აუცილებლად მეტნაკლებ გაურკვეველს ხდის იმ ქვეყნის მცდელობის ეფექტივობას. ამრიგად, ადამიანის შრომის ეფექტივობა ამ სახის ნედლი პროდუქტების გამრავლების საქმეში არა მარტო შეზღუდულია, არამედ გაურკვეველიც არის.

ადამიანის შრომის ეფექტივობა აგრეთვე შეზღუდული და გაურკვეველია მეორე ფრიად მნიშვნელოვანი სახის ნედლი პროდუქტის რაოდენობის გადიდების საქმეში, სახელდობრ თევზის რაოდენობისა, რომელიც ბაზარზე გამოიტანება. ეს რაოდენობა შეზღუდულია ქვეყნის ადგილმდებარეობით, მისი სხვადასხვა პროვინციების სიახლოვით თუ დაშორებით სხვისგან, მისი ტბებისა და მდინერების რაოდენობით და ამ ზღვების, ტბებისა და მდინარეების ეგრეთწოდებული ნაყოფიერებით თუ სიღარიბით თევზის მხრივ. რამდენადაც მოსახლეობა იზრდება, რამდენადაც ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი სულ უფრო და უფრო დიდი ხდება, – იზრდება თევზის მყიდველთა რიცხვი, და ამ მყიდველებს ხელთ აქვთ სხვა პროდუქტების უფრო დიდი რაოდენობა თუ მრავალფეროვანობა ანუ, რაც იგივეა, მრავალფეროვანი სხვა პროდუქტების უფრო დიდი რაოდენობის ფასი, რომლითაც შეუძლიათ შესყიდვა. მაგრამ ჩვეულებრივ შეუძლებელია დიდი და ფართო ბაზრის მომარაგება შრომის უფრო დიდი რაოდენობის დაუხარჯავად და ამასთან მეტი პროპორციით დაუხარჯავად, ვიდრე ეს აუცილებელია ვიწრო და შეზღუდული ბაზრის მოსამარაგებლად. ასე, ის ბაზარი, რომელიც წინათ მხოლოდ 1000 ტონა თევზს მოითხოვდა წლიურად და ახლა 10 000 ტონას მოითხოვს, იშვიათად შეიძლება მომარაგებულ იქნეს ათკეცზე მეტი შრომის დაუხარჯავად იმასთან შედარებით, რაც წინათ იყო საკმარისი. ამისათვის საჭირო ხდება თევზის ძებნა უფრო შორ მანძილზე, უფრო დიდი გემების გამოყენება და ყოველგვარი უფრო ძვირი იარაღებით სარგებლობა. ამიტომ ამ პროდუქტის ნამდვილი ფასი, რასაკვირველია, მატულობს კულტურის განვითარებასთან ერთად. და მე მგონია, რომ ეს ფასი მეტნაკლებ მატულობდა ნამდვილად ყველა ქვეყანაში.

თუმცა წარმატება თევზის ჭერისა ერთ განსაზღვრულ დღეს, შესაძლებელია, ფრიად გაურკვეველი იყოს, მაგრამ, ქვეყნის მოცემულ ტოპოგრაფიულ პირობებში, შრომის საერთო ეფექტივობა, – შეიძლება ვიფიქროთ, – თუ მთელ წელიწადს ან ერთად რამდენსამე წელიწადს ავიღებთ, ბაზარზე თევზის განსაზღვრული რაოდენობის გამოტანის მხრივ, საკმაოდ გარკვეული არის, და იგი, უეჭველია, ასეცაა სინამდვილეში. რადგან ეს ეფექტივობა დამოკიდებულია უფრო ქვეყნის ადგილმდებარეობაზე, ვიდრე მისი სიმდიდრის დონესა და მრეწველობის მდგომარეობაზე, რადგან იგი, ამის გამო, სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება ერთნაირი იყოს განვითარების სხვადასხვა პერიოდებში და ფრიად სხვადასხვა იყოს ერთსა და იმავე პერიოდში, ამიტომ მისი კავშირი კულტურის მდგომარეობასთან გაურკვეველი არის, და სწორედ ამგვარ გაურკვეველობაზე მაქვს მე აქ ლაპარაკი.

ადამიანის შრომის ეფექტივობა სხვადასხვა მინერალებისა და ლითონების რაოდენობის გადიდების საქმეში, რომელნიც მიწის წიაღიდან ამოიღებიან, განსაკუთრებით იმ მინერალების და ლითონებისა, რომელნიც უფრო ძვირფასნი არიან, არაა, როგორც ეტყობა, შეზღუდული, მაგრამ სრულიად გაურკვეველი კი არის.

ძვირფას ლითონთა რაოდენობა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მოიპოვება, შეზღუდული არაა ამ ქვეყნის ნიადაგისა და მიწის ზედაპირის რაიმე თვისებებით, – მაგალითად, მისი საკუთარი სამადნეების ნაყოფიერობით ან სიმწირით. ეს ლითონები ხშირად უხვად მოიპოვება იეთ ქვეყნებში, რომელთაც სამადნეები არა აქვთ. ამ ლითონების რაოდენობა თითოეულ განსაზღვრულ ქვეყანაში

დამოკიდებულია, როგორც ეტყობა, ორ სხვადასხვა გარემოებაზე: ჯერ ერთი, იმ ქვეყნის მსყიდველობით ძალაზე, მისი მრეწველობის მდგომარეობაზე, მისი მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტზე, რის შესაბამისად მას ძალუძს შრომის და საარსებო საშუალებათა მეტი ან ნაკლები რაოდენობა ხარჯოს იმისათვის, რომ ფუფუნების ისეთი საგნები, როგორც ოქრო და ვერცხლია, ამოიღოს თავისი საკუთარი სამადნეებიდან ან იყიდოს სხვა ქვეყნების სამადნეებიდან; მეორე, სამადნეების ნაყოფიერობასა ან სიმწირეზე, რომელნიც მოცემულ პერიოდში ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოს აწოდებენ ამ ლითონებს. ამ ლითონების რაოდენობა იმ ქვეყნებში, რომელნიც ყველაზე უფრო დაშორებულნი არიან სამადნეებს, მეტნაკლებ განისაზღვერა ამ უკანასკნელთა ნაყოფიერობით თუ სიმწირით, იმიტომ რომ ამ ლითონების გადაზიდვა, მათი მცირე მოცულობისა და დიდი ღირებულების გამო, ადვილი და იაფი არის. მათ რაოდენობაზე ჩინეთსა და ინდოსტანში მეტნაკლებ უნდა ახდენდეს გავლენას ამერიკის სამადნეების სიმდიდრე.

რამდენადაც ძვირფასი ლითონების რაოდენობა რომელსამე ქვეყანაში ამ ორიდან პირველ გარემოებაზე (მსყიდველობით ძალაზე) არის დამოკიდებული, იმდენად მათმა ნამდვილმა ფასმა, ფუფუნების ყველა სხვა საგანთა ფასის მსგავსად, უნდა აიწიოს ქვეყნის სიმდიდრისა და განვითარების ზრდასთან ერთად, და უნდა დაეცეს მის სიღარიბესა და დაცემასთან ერთად. ქვეყნები, რომელთაც დაგროვილი აქვთ შრომისა და საარსებო საშუალებათა დიდი რაოდენობა, შეუძლიათ ამ ლითონების განსაზღვრული რაოდენობა იყიდონ შრომისა და საარსებო საშუალებათა უფრო დიდი რაოდენობის დახარჯვის გზით, ვიდრე იმ ქვეყნებს, რომელთაც ნაკლებ აქვთ დაგროვილი.

რამდენადაც ძვირფასი ლითონების რაოდენობა იმ ორი გარემოებიდან უკანასკნელზე არის დამოკიდებული (ე. ი. ნაყოფიერობასა ან სიღარიბეზე სამადნეებისა, რომელნიც ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოს აწვდიან ამ ლითონებს), იმდენადვე მათი ნამდვილი ფასი, შრომის და საარსებო საშუალებათა ნამდვილი რაოდენობა, რომლის ყიდვა შეიძლება მათი საშუალებით ან რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს მათზე გაცვლის გზით, უეჭველია, ყოველთვის მეტნაკლებ დაიწვეს იმ სამადნეების ნაყოფიერობის შესაბამისად და აიწვეს მათი სიღარიბის შესაბამისად.

მაგრამ სიმდიდრე თუ სიღარიბე სამადნეებისა, რომელნიც განსაზღვრულ პერიოდში ამ ლითონების მიმწოდებელნი არიან ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოსათვის, ისეთ გარემოებას წარმოადგენს, რომელიც, ცხადია, არავითარ კავშირში არ იმყოფება ცალკეული ქვეყნის მრეწველობის მდგომარეობასთან. მას, თითქოს, საერთოდ მსოფლიოს მრეწველობის მდგომარეობასთანაც კი არ აქვს კავშირი. მართალია, როდესაც მრეწველობა და ვაჭრობა თანდათან გავრცელდა დედამიწის უფრო და უფრო დიდ ნაწილში, ახალი სამადნეების ძებნას, რაც ახლა უფრო დიდ ფართობზე სწარმოებს, შესაძლებელია წარმატების მეტი შანსი ჰქონდეს, ვიდრე ჰქონდა იმ ეპოქაში, როდესაც იგი უფრო ვიწრო ფარგალში იყო მოქცეული. მაგრამ ახალი სამადნეების აღმოჩენა, რამდენადაც ადვილი აქვს ძველების თანდათან გამოფიტვას, ფრიად არასაიმედო საქმეს წარმოადგენს, და მის წარმატებას ვერ უზრუნველყოფს ადამიანის დახელოვნება ან შრომა. ყველა ნიშანი, როგორც ვიცით, საეჭვოა, და ახალი სამადნის მხოლოდ ფაქტიურ აღმოჩენას და წარმატებით დამუშავებას შეუძლია მისი ნამდვილი ღირებულების ანდა მასში ლითონის არსებობის დადასტურება. ამ ძებნაში, როგორც ეტყობა, არ არსებობს არავითარი გარკვეული ფარგალი არც ადამიანის შრომის შესაძლებელი წარმატებისათვის და არც

მისი უნაყოფობისათვის. შესაძლებელია ერთი ან ორი საუკუნის განმავლობაში აღმოჩენილი იქნეს უფრო მდიდარი ახალი სამადნეები, ვიდრე იყო რომელიმე მანამდე ცნობილი; და ასევე შესაძლებელია, რომ უმდიდრესი სამადნეები, რომლებიც კი ცნობილი ყოფილა მანამდე, უფრო ღარიბი გახდეს, ვიდრე სხვა რომელიმე, რომლის დამუშავება სწარმოებდა ამერიკის სამადნეების აღმოჩენამდე. ადგილი ექნება ერთ შემთხვევას თუ მეორეს, – ამას ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ნამდვილი სიმდიდრისა და კეთილდღეობისათვის, მიწისა და კაცობრიობის შრომის წლიური პროდუქტის ნამდვილი ღირებულებისათვის. ამ პროდუქტის ნომინალური ღირებულება, ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა, რომლითაც ეს წლიური პროდუქტი შეიძლება გამოიხატოს ან წარმოდგენილ იქნეს, უეჭველია, ფრიად სხვადასხვა იქნებოდა, მაგრამ მისი ნამდვილი ღირებულება, შრომის ნამდვილი რაოდენობა, რომელიც შეიძლება მით იყიდოს ადამიანმა ან მიიღოს თავის განკარგულებაში ზედმიწევნით ერთი და იგივე იქნებოდა. პირველ შემთხვევაში ერთი შილინგი იმაზე მეტი შრომის წარმომადგენელი ვერ იქნებოდა, რასაც ახლა წარმოადგენს ერთი პენი, და უკანასკნელ შემთხვევაში ერთი პენი იმდენი შრომის წარმომადგენელი იქნებოდა, რამდენის წარმომადგენელიც ამჟამად შილინგი არის. მაგრამ პირველ შემთხვევაში, ვისაც ჯიბეში ერთი შილინგი აქვს, იმაზე უფრო მდიდარი არ იქნებოდა, ვისაც ახლა ერთი პენი აქვს, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში ერთი პენის პატრონი სწორედ ისევე მდიდარი იქნებოდა, როგორც ის, ვისაც ახლა ერთი შილინგი აქვს. ოქროსა და ვერცხლის ავეჯის სიიაფე იქნებოდა ის ერთადერთი სარგებლობა, რომელიც მსოფლიოს ექნებოდა პირველი შემთხვევიდან, და ამ უმნიშვნელო და ზედმეტი საგნების სიძვირე და ნაკლებობა ის ერთადერთი უხერხულობა, რომელიც მსოფლიოს უნდა განეცადა მეორე შემთხვევის გამო.

ვერცხლის ღირებულების ცვლილებათა მიმოხილვის დასკვნა

მეტი წილი მწერლები, რომელნიც ცნობებს აგროვებდნენ საგანთა ფულადი ფასების შესახებ ძველს დროში, როგორც ეტყობა, ხორბლის და საერთო პროდუქტების დაბალ ფულად ფასს ანუ, სხვა სიტყვებით, ოქროსა და ვერცხლის მაღალ ფასს სთვლიდნენ არა თუ ამ ლითონების ნაკლებობის დამამტკიცებელ საბუთად, არამედ ქვეყნის სიღარიბისა და ბარბაროსობის დამამტკიცებლადაც იმ დროში, როდესაც ასეთ ფასს ადგილი ჰქონდა. ასეთი წარმოდგენა დაკავშირებულია პოლიტიკური ეკონომიკის სისტემასთან, რომელსაც წარმოდგენილი აქვს, რომ ნაციონალური სიმდიდრე მდგომარეობს ოქროსა და ვერცხლის უხვად არსებობაში, ხოლო ნაციონალური სიღარიბე – მათ ნაკლებობაში. ამ გამოკვლევის მეოთხე წიგნში მე ვეცდები ეს სისტემა დაწვრილებით გადმოვცე და განვიხილო. ჯერჯერობით კი აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ძვირფასი ლითონების მაღალი ფასი იმ დროში, როდესაც მას ადგილი აქვს, არ შეიძლება იყოს დამამტკიცებელი საბუთი განსაზღვრული ქვეყნის სიღარიბის თუ ბარბაროსობისა. იგი დამამტკიცებელია მხოლოდ იმ სამადნეების სიღარიბისა, რომელნიც იმ პერიოდში ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოს აწვდიან ლითონებს. ღარიბ ქვეყანას, რომელსაც არ შეუძლია მდიდარ ქვეყანაზე მეტი ოქრო-ვერცხლი იყიდოს, არ შეუძლია აგრეთვე მათში ამ უკანასკნელზე მეტი გადაიხადოს; ამიტომ ამ ლითონების ღირებულება პირველში

ვერ იქნება უფრო მაღალი, ვიდრე მეორეში. ჩინეთში, რომელიც გაცილებით უფრო მდიდარი ქვეყანაა, ვიდრე ევროპის რომელიმე ნაწილი, ძვირფას ლითონთა ფასი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის რომელსამე ნაწილში. მართალია, თუ ევროპის სიმდიდრემ დიდად იმატა ამერიკის სამადნეთა აღმოჩენის შემდეგ, – ოქროსა და ვერცხლის ღირებულებამ თანდათან დაიწია. მაგრამ მათი ღირებულების ეს დაწევა გამოწვეული იყო არა ევროპის რეალური სიმდიდრის, მისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის გადიდებით, არამედ უფრო მდიდარი სამადნეების შემთხვევითი აღმოჩენით, ვიდრე იყო რომელიმე მანამდე ცნობილი სამადნე. ოქროსა და ვერცხლის რაოდენობის გადიდება ევროპაში და ევროპის მანუფაქტურისა და მიწათმოქმედების განვითარება წარმოადგენს ორ მოვლენას, რომელიც თუმცა თითქმის ერთსა და იმავე დროს წარმოსდგა, მაგრამ წარმოსდგა სრულიად სხვადასხვა მიზეზების გამო და თითქმის არავითარ ბუნებრივ კავშირში არ იმყოფება ერთი მეორესთან. პირველი წარმოსდგა წმინდა შემთხვევითობით, რომელშიაც არავითარი როლი არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონებოდა წინდახედულებას ან პოლიტიკას; მეორე გამოიწვია ფეოდალური სისტემის დაცემამ და ისეთი მთავრობის დამყარებამ, რომელმაც მრეწველობას აღმოუჩინა ის ერთადერთი მფარველობა, რასაც იგი საჭიროებდა, სახელდობრ მისცა რაოდენადმე უზრუნველყოფა იმისა, რომ მას შეუძლია ისარგებლოს თავისი საკუთარი შრომის ნაყოფით. პოლონეთი, სადაც ფეოდალური სისტემა განაგრძობს არსებობას, წარმოადგენს ამჟამად ისევე ლატაკ ქვეყანას, როგორც იგი იყო ამერიკის აღმოჩენამდე. მაგრამ მაინც ხორბლის ფულადმა ფასმა იქ აიწია; ძვირფას ლითონთა ნამდვილი ღირებულება პოლონეთში ისევე დაეცა, როგორც ევროპის სხვა ნაწილებში. მათი რაოდენობა, ამიტომ, უნდა გადიდებულიყო იქ, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, და ამასთან – დაახლოებით იმავე პროპორციით მიწისა და შრომის წლიური პროდუქტისადმი. მაგრამ ძვირფას ლითონთა რაოდენობის ამ გადიდებას, როგორც ეტყობა, არ გამოუწვევია ქვეყნის წლიური პროდუქტის გადიდება, არ გაუუმჯობესებია მისი მანუფაქტურები და მიწათმოქმედება, არც ცხოვრების პირობები მისი მცხოვრებლებისა. ესპანეთი და პორტუგალია, სამადნეთა მფლობელი ქვეყნები, წარმოადგენენ პოლონეთის შემდეგ, შეიძლება ითქვას, უდატაკეს ქვეყნებს ევროპაში. მაგრამ ძვირფას ლითონთა ღირებულება ესპანეთსა და პორტუგალიაში უფრო დაბალი უნდა იყოს, ვიდრე ევროპის რომელსამე სხვა ნაწილში, ვინაიდან ეს ლითონები ამ ქვეყნებიდან ევროპის სხვა ნაწილებში შედის დამძიმებული არა მარტო ტრანსპორტისა და დაზღვევის ხარჯებით, არამედ კონტრაბანდით შეტანის ხარჯებითაც იმის გამო, რომ მათი ექსპორტი ან აკრძალულია, ანდა ბაჟს ექვემდებარება. ამიტომ მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტთან შედარებით მათი რაოდენობა ამ ქვეყნებში უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე ევროპის რომელსამე სხვა ნაწილში. და ის ქვეყნები მაინც ევროპის მეტწილ ქვეყნებზე უფრო ღარიბნი არიან. თუმცა ფეოდალური სისტემა მოსპობილ იქნა ესპანეთსა და პორტუგალიაში, მაგრამ უკეთესს არას დაუჭერია იქ იმ სისტემის ადგილი.

როგორც ოქროსა და ვერცხლის დაბალი ფასი დამამტკიცებელი არაა იმ ქვეყნის სიმდიდრის და აყვავებისა, სადაც მას ადგილი აქვს, ისევე მათი მაღალი ფასი ანუ საერთოდ საქონელთა ან კერძოდ ხორბლის დაბალი ფულადი ფასი დამამტკიცებელი არაა მისი სიღარიბის და ბარბაროსობისა.

მაგრამ თუ საერთოდ საქონელთა ან კერძოდ ხორბლის დაბალი ფულადი ფასი დამამტკიცებელი არაა სათანადო ეპოქის სიღარიბის თუ ბარბაროსობისა, ამის უცილობლად მაჩვენებელი არის ზოგიერთი განსაზღვრული სახის საქონელთა,

მაგალითად, პირუტყვის, შინაური ფრინველის, ყოველგვარი ნადირისა და სხვა. დაბალი ფულადი ფასი პურის ფასთან შედარებით. იგი ნათლად გვიჩვენებს, ჯერ ერთი, მათ უხვად არსებობას პურთან შედარებით, მაშასადამე, გვიჩვენებს, რომ მათ მოშენებას მიწის დიდი ფართობი უჭირავს პურის მოყვანასთან შედარებით და, მეორე, გვიჩვენებს იმ მიწის დაბალ ღირებულებას საპურე მიწის ღირებულებასთან შედარებით, მაშასადამე, გვიჩვენებს ქვეყნის მეტი წილი მიწების ცუდ მდგომარეობას და დაუმუშავებლობას. იგი ცხადად გვიჩვენებს, რომ ქვეყნის კაპიტალი და მოსახლეობა ისეთ შეფარდებაში არაა ტერიტორიის ფართობის მიმართ, როგორც ჩვეულებრივ არსებობს ცივილიზებულ ქვეყნებში, და რომ საზოგადოება მოცემულ დროსა და მოცემულ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბავშვობის მდგომარეობაში იმყოფება. საერთოდ საქონელთა ან კერძოდ პურის მაღალი თუ დაბალი ფულადი ფასის საფუძველზე ჩვენ მხოლოდ ის სეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამადნეები, რომელნიც მოცემულ პერიოდში ვაჭრობის მაწარმოებელ მსოფლიოს აწვდიან ოქროსა და ვერცხლს, მდიდარია ან ღარიბი არის, მაგრამ არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული ქვეყანა მდიდარია ან ღარიბი არის. ხოლო ზოგო სახის საქონელთა მაღალი თუ დაბალი ფულადი ფასიდან სხვა საქონელთა ფასთან შედარებით ჩვენ შეგვიძლია განსაზღვრული ხარისხის ალბათობით, რომელიც თითქმის უახლოვდება უექველობას, დავასკვნათ, რომ ქვეყანა მდიდარი ან ღარიბი არის, რომ მისი მიწების უდიდესი ნაწილი განიცდის ან არ განიცდის გაუმჯობესებას, რომ აღნიშნული ქვეყანა მეტნაკლებ ბარბაროსულ ან მეტნაკლებ ცივილიზებულ მდგომარეობაში იმყოფება.

საქონელთა ფულადი ფასის აწევა, რომელიც სავსებით ვერცხლის ღირებულების დაწვევიდან წარმოსდგება, თანაბრად უნდა შეეხოს ყველა სახის საქონელთ და გამოიწვიოს მათი ფასის საყოველთაო აწევა ერთი მესამედით, მეოთხედით ან მეხუთედით, შესაბამისად ვერცხლის მიერ თავისი წინანდელი ღირებულების მესამედის, მეოთხედის თუ მეხუთედის დაკარგვისა. მაგრამ სურსათ-სანოვავის ფასის აწევა, რის შესახებაც ასე ბევრს მრჯელობდნენ და კამათობდნენ, არ ვრცელდება თანაბრად ყველა სახის სურსათ-სანოვავზე. თუ ავიღებთ საშუალო ციფრებს მიმდინარე საუკუნისათვის, ვნახავთ, რომ პურის ფასმა – და ამას აღიარებენ ისინიც კი, რომელნიც ამ აწევას ვერცხლის ღირებულების შემცირებით ხსნიან – გაცილებით ნაკლებ აიწია, ვიდრე ზოგი სხვა სახის სურსათ-სანოვავის ფასმა. ამიტომ ამ სხვა სახის სურსათ-სანოვავის ფასის აწევა არ შეიძლება ვერცხლის ღირებულების დაწვევით ყოფილიყო გამოწვეული. რაიმე სხვა მიზეზები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, და ზემოთ აღნიშნული მიზეზები, შესაძლებელია, – ვერცხლის ღირებულების ნაგულისხმევ შემცირებისადმი მიუმართავად, – საკმარისად გვიხსნიდეს იმ განსაკუთრებული სახის სურსათ-სანოვავის ფასის აწევას, რომლის ფასმა მართლა აიწია პურის ფასთან შედარებით.

რაც შეეხება თვით პურის ფასს, იგი მიმდინარე საუკუნის პირველი 64 წლის განმავლობაში უკანასკნელ უჩვეულო ცუდ წლებამდე რაოდენადმე უფრო დაბალი იყო, ვიდრე წარსული საუკუნის უკანასკნელი 64 წლის განმავლობაში. ეს ფაქტი დადასტურებულია არა მარტო ვინდზორის ბაზრის ანგარიშებით, არამედ ოფიციალური ჩანაწერებითაც შოტლანდიის სხვადასხვა საგრაფოებში, აგრეთვე საფრანგეთის სხვადასხვა ბაზრების ცნობებით, რომლებიც დიდის გულმოდგინებით და ზედმიწევნით შეჰკრიბეს მესანსმა და დიუპრე დე-სენ-მორმა. ეს დამამტკიცებელი საბუთები იმაზე უფრო სრულია, რისი მოლოდინიც შეიძლება

გვეყენებოდა ისეთ საკითხში, რომლის ზედმიწევნით გამოკვლევა – ბუნებრივია – ესოდენ ძნელი არის.

რაც შეეხება პურის მაღალ ფასს უკანასკნელი ათი თუ თორმეტი წლის განმავლობაში, იგი შეიძლება სავსებით ახსნილ იქნეს ცუდი მოსავლით უიმისოდ, რომ საწირო იყოს ვიგულისხმობთ ვერცხლის ღირებულების შემცირება.

ამრიგად, ის აზრი, რომ ვერცხლი განუწყვეტლივ დაბლა იწევდა თავის ღირებულებაში, არ ემყარება, როგორც ეტყობა, რაიმე საფუძვლიან დაკვირვებას პურის ფასის ან სხვა სურსათ-სანოვაგის ფასის შესახებ.

შეიძლება გვითხრან, რომ ზემოთ აღნიშნული ცნობების მიხედვითაც ვერცხლის იმავე რაოდენობით ამჟამად ზოგი სახის სურსათ-სანოვაგის ბევრად ნაკლები რაოდენობის ყიდვა შეიძლება, ვიდრე წარსული საუკუნის ამა თუ იმ პერიოდში, და რომ იმის გამორკვევა: გამოწვეულია ეს ცვლილება იმ საქონელთა ღირებულების აწევით, თუ ვერცხლის ღირებულების დაცემით, წარმოადგენს სრულიად ფუჭი და უსარგებლო განსხვავების დამყარებას, ვინაიდან ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ადამიანისათვის, რომელიც ბაზარზე მიდის ვერცხლის განსაზღვრული რაოდენობით ანუ რომელსაც აქვს მტკიცე ფულადი შემოსავალი. მე, რასაკვირველია, არ ვამტკიცებ, რომ ამ განსხვავების ცოდნა მას შესაძლებლობას მისცემს უფრო იაფად იყიდოს პროდუქტი, მაგრამ იგი მაინც არაა სულ მთლად უსარგებლო.

ამ ცოდნას მით შეუძლია საზოგადოებას ერთგვარი სარგებლობა მოუტანოს, რომ იგი მას უდასტურებს ქვეყნის წარმატებულ მდგომარეობას. თუ ზოგი სახის სურსათ-სანოვაგის ფასის აწევა მხოლოდ ვერცხლის ღირებულების დაცემითაა წარმომდგარი, მაშინ იგი ისეთი ფაქტით არის გამოწვეული, რომლის საფუძველზე ჩვენ ამერიკის სამადნეების ნაყოფიერობა უნდა დავასკვნათ. ქვეყნის ნამდვილმა სიმდიდრემ, მისი მიწისა და შრომის წლიურმა პროდუქტმა შეიძლება, ამ გარემოების მიუხედავად, ან თანდათან იკლოს, როგორც პორტუგალიასა და პოლონეთში, ან თანდათან იმატოს, როგორც ევროპის მეტწილს სხვა ნაწილებში. მაგრამ თუ ზოგი სახის სურსათ-სანოვაგის ფასის ეს აწევა გამოწვეულია იმ მიწის ნამდვილი ღირებულების აწევით, რომელიც მას წარმოშობს, გამოწვეულია მა მიწის გადიდებული ნაყოფიერებით, ანდა იმით, რომ ეს მიწა, შედეგად ფართო მელიორაციის და კარგი დამუშავებისა, პურის თესვისათვის გამოსადეგად არის გადაქცეული, იმ შემთხვევაში ფასის არნიშნული აწევა ისეთ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომელიც სრულიად ნათლად მაჩვენებელია ქვეყნის აყვავების და განვითარებისა. მიწა შეადგენს ყოველი დიდი ქვეყნის სიმდიდრის უდიდეს, უმნიშვნელოვანეს და უმტკიცეს ნაწილს. საზოგადოებისათვის უეჭველად რაოდენადმე სასარგებლო შეიძლება იყოს ან, ყოველ შემთხვევაში, მან შეიძლება რაოდენადმე კმაყოფილება იგრძნოს, როდესაც ხელთ აქვს ესოდენ უეჭველი საბუთი, რომელიც მისი სიმდიდრის უდიდესი, უმნიშვნელოვანესი და უმტკიცესი ნაწილის ღირებულების ზრდას ადასტურებს.

ეს შეიძლება რაოდენადმე სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის აგრეთვე ზოგიერთ დაბალ მოსამსახურეთა გასამრჯელოს მოწესრიგების საქმეში. თუ ზოგი სახის სასურსათო პროდუქტების ფასის ეს აწევა ვერცხლის ღირებულების დაწევითაა გამოწვეული, მოსამსახურეთა ფულადი გასამრჯელო – იმ შემთხვევაში, თუ იგი მანამდე იყო არა ძალიან დიდი, – აუცილებლად უნდა გადიდებულ იქნეს ამ დაწვევის სიდიდის პროპორციულად. თუ იგი არ იქნა გადიდებული, მათი ნამდვილი გასამრჯელო, ცხადია, იმდენადმე შემცირებული დარჩება. ხოლო თუ ფასის

აღნიშნული აწვა უნდა მიეწეროს ღირებულების აწევას, რომელიც ამ პროდუქტების მწარმოებელი მიწის გადიდებულია ნაყოფიერობის შედეგად წარმოსდგება, იმ შემთხვევაში უფრო ძნელ საქმეს წარადგენს იმის გარკვევა, თუ რა პროპორციით უნდა იქნეს ფულადი გასამრჯელო გადიდებული, ან უნდა იქნეს თუ არა იგი საერთოდ გადიდებული. თუ სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებათა გაფართოება, ერთის მხრივ, აუცილებლად მელა სწევს, მეტნაკლებ, ყველა სახის ცხოველური საზრდოს ფასს პურის ფასთან შედარებით, მეორე მხრივ, აუცილებლად დაბლა სწევს, როგორც მე ვფიქრობ, ყველა სახის მცენარეული საზრდოს ფასს. იგი მაღლა სწევს ცხოველური საზრდოს ფასს, იმიტომ რომ დიდმა ნაწილმა მიწისა, რომელიც ამ საზრდოს წარმოშობს, როდესაც იგი პურის საწარმოებლად გამოსადეგი ხდება, მემამულეს და ფერმერს უნდა მისცეს რენტა და მოგება, რომელიც ჩვეულებრივია საპურე მიწისათვის. იგი დაბლა სწევს მცენარეული საზრდოს ფასს, იმიტომ რომ, ადიდებს რა მიწის ნაყოფიერობას, ადიდებს ამ საზრდოს რაოდენობას. გარდა ამისა, მიწათმოქმედების გაუმჯობესებას შემოაქვს ბევრი ისეთი სახის მცენარეული საზრდო, რომელიც მოითხოვს ნაკლებ მიწას და არა მეტ შრომას, ვედრე პური, და ამიტომ გაცილებით უფრო იაფ ფასში შემოდის ბაზარზე. ასეთია კარტოფილი და სიმინდი ანუ ეგრეთწოდებული ინდოეთის პური, – ორი უმნიშვნელოვანესი გაუმჯობესება, რომელიც ევროპის სასოფლო მეურნეობამ და თვით ევროპამაც მიიღო მისი ვაწრობისა და ნაოსნობის გაფართოებით. შემდეგ, ბევრი სახის მცენარეული საზრდო, რომელიც მიწათმოქმედების განვითარების დაბალ საფეხურზე მხოლოდ ბოსტნებში მოჰყავთ და ამასთან – ბარვის გზით, განვითარების უმაღლეს საფეხურზე მინდვრებში ითესება, რომლებსაც გუთნით ხნავენ, – ასე, მაგალითად, თალგამი, სტაფილო, კომბოსტო და სხვა. თუ, ამრიგად, კულტურის განვითარებასთან ერთად ერთი სახის სურსათ-სანოვავის ნამდვილი ფასი აუცილებლად მაღლა იწევს ისევე აუცილებლად ეცემა სხვა სახის სურსათ-სანოვავის ნამდვილი ფასი, და აქ ზედმიწევნით გამოანგარიშების საკითხს შეადგენს, რამდენად ერთი სახის საზრდოს ფასის აწვა შესაძლებელია მეორე სახის საზრდოს ფასის დაწევით იქნეს გაწონასწორებული. როდესაც ხორცის ნამდვილმა ფასმა უკვე მიაღწია თავის მაქსიმუმს (და ეს, როგორც ეტყობა, უკვე ასი წლის წინათ არის მიღწეული ინგლისის მეტ ნაწილში ყველა სახის ხორცისათვის, – იქნებ, ღორის ხორცის გამოკლებით), სხვა სახის ცხოველური საზრდოს ფასის ყოველ აწევას, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ექნეს ამის შემდეგ, არ შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს დაბიო ხალხის მდგომარეობაზე. ღარიბი ხალხის მდგომარეობა ინგლისის მეტ ნაწილში, უეჭველია, შინაური ფრინველის, თევზის ან ნადირის ფასის აწევის გამო ვერ გაუარესდება იმ ზომით, რა ზომითაც იგი უნდა გაუმჯობესდეს კარტოფილის ფასის დაცემის გამო.

ახლანდელ სიძვირის დროში ხორბლის მაღალი ფასი, უეჭველია, დიდ გაჭირვებაში აგდებს ღარიბებს. მაგრამ ზომიერი სიუხვის პერიოდებში, როდესაც ხორბალს თავისი ჩვეულებრივი ანუ საშუალო ფასი აქვს, ყოველი სხვა სახის ნედლი პროდუქტის ფასის ბუნებრივი აწვა არ შეიძლება ძალიან შეეხოს მათ. ისინი, შესაძლებელია, უფრო იტანჯებიან ფასის ხელოვნური აწევის გამო, რომელსაც იწვევს გადასახადები ზოგ სამრეწველო საქონელთა მიმართ, როგორცაა, მაგალითად, მარილი, საპონი, ტყავი, სანთელი, ალაო, ლუდი, ელი და სხვა.

კულტურის განვითარების გავლენა სამრეწველო ნაწარმთა ნამდვილ ფასზე

კულტურის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს თითქმის ყველა სამრეწველო ნაწარმთა ნამდვილი ფასის შემცირება. მათ დამზადებაზე დახარჯული შრომის ფასი მცირდება, – შესაძლებელია, – ყველა იმათთვის გამოუკლებელი. უკეთესი მანქანების, უფრო დიდ დახელოვნების და შრომის უფრო მიზანშეწონილი დანაწილებისა და განაწილების გამო, რაც კულტურის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს, თითოეული ცალკე საგნის დასამზადებლად შრომის ბევრად ნაკლები რაოდენობაა საჭირო; და თუმცა, საზოგადოების აყვავების გამო, შრომის ნამდვილმა ფასმა ძალიან უნდა აიწიოს, მაგრამ მაინც დახარჯული შრომის რაოდენობის შემცირება ჭარბად აწონასწორებს მისი ფასის მაქსიმალურ აწევას, რომელსაც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს.

მართალია, არსებობს მრეწველობის დარგები, რომლებშიაც ნედლი მასალის ნამდვილი ფასის აწევა ჭარბად აწონასწორებს ყველა იმ სარგებლობას, რომელსაც იძლევა ტექნიკის გაუმჯობესება სამუშაოს შესრულებაში. ხუროს და დურგლის სამუშაოში, აგრეთვე უფრო დაბალი სახის ხელოვნურ სადურგლო სამუშაოში ხმელი ხე-ტყის ნამდვილი ფასის აუცილებელი აწევა, რაც მიწის გაუმჯობესების შედეგი არის, ჭარბად აწონასწორებს ყველა იმ სარგებლობას, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს უკეთესი მანქანების გამოყენებით, უდიდესი დახელოვნებით და შრომის სრულიად მიზანშეწონილი დანაწილებით და განაწილებით.

მაგრამ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ნედლი მასალის ნამდვილი ფასი სრულიად არ მატულობს ან ბევრს არ მატულობს, სამრეწველო ნაწარმთა ნამდვილი ფასი ძალიან მნიშვნელოვნად კლებულობს.

ფასის ეს შემცირება ძალიან შესამჩნევი იყო მიმდინარე საუკუნისა და წარსული საუკუნის განმავლობაში იმ მანუფაქტურულ საწარმოებში, რომელთათვის მასალას უფრო ტლანქი ლითონები შეადგენს. დღეს შეიძლება, იქნებ, 20 შილინგად იმაზე უკეთესი საათის ყიდვა, რომლის ყიდვაც წარსულ შუა საუკუნეში შეიძლებოდა 20 გირვანქად. დანების დარგში, კლიტე-ბოქლომების დარგში, სათამაშოების დარგში, რომლებსაც უბრალო ლითონისაგან აკეთებენ, და ყველა იმ პროდუქტების დარგში, რომელიც ბირმინგამის და შეფილდის პროდუქტების სახელწოდებით არიან ცნობილნი, იმავე პერიოდის განმავლობაში ფასის ძალიან დიდი შემცირება წარმოსდგა, თუმცა მთლად ისე დიდი არა, როგორც საათებისათვის. მაგრამ ფასის ეს შემცირება მაინც საკმარისი იყო იმისათვის, რომ გამოეწვია ევროპის ყველა სხვა ნაწილის მრეწველთა გაოცება, რომელნიც ბევრ შემთხვევაში აღიარებენ, რომ ასეთი ხარისხის პროდუქტების დამზადება მათ ორმაგ და სამმაგ ფასადაც კი არ შეუძლიათ. იქნებ არც კი არსებობდეს სხვა მანუფაქტურული წარმოება, სადაც შესაძლებელი იყოს შრომის დანაწილების უფრო მეტად გატარება ან სადაც შესაძლებელი იყოს გამოყენებული მანქანების უფრო მრავალფეროვანი გაუმჯობესება, ვიდრე ამას ადგილი აქვს იმ საწარმოებში, რომელთათვის მასალას უბრალო ლითონები შეადგენს.

შალეულის წარმოებაში იმავე პერიოდის განმავლობაში არ წამომდგარა ფასის ესოდენ შესამჩნევი შემცირება. უაღრესად წმინდა მაუდის ფასმა, პირიქით, როგორც მარწმუნებდნენ, უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში აიწია რაოდენადმე მისი ხარისხის აწევის შესაბამისად, რაც, როგორც გადმომცეს, აიხსნება მასალის ფასის მნიშვნელოვნად აწევით, რომელი მასალაც უმთავრესად ესპანეთის მატყლისგან შესდგება. ხოლო იორკშირის მაუდის ფასმა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ინგლისური

მატყლისგან მზადდება, როგორც ამბობენ, ცოტაოდნად დაიწია მიმდინარე საუკუნის განმავლობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ხარისხსა. მაგრამ ხარისხი ისე გაურკვეველი რამ არის, რომ მე ყველა ამგვარი ინფორმაცია რაოდენადმე არა საიმედო ცნობად მიმაჩნია. შალეულის მრეწველობაში შრომის დანაწილება თითქმის ისეთივეა, როგორც იყო ასი წლის წინათ, ხოლო მასში გამოყენებული მანქანები ძალიან არ შეცვლილა. მაგრამ, შესაძლებელია, მცირე გაუმჯობესებას ადგილი ჰქონებოდეს ერთსა და მეორეშიც, და ამას, შეიძლება, გამოეწვიოს ფასის რაოდენადმე შემცირება.

მაგრამ ეს შემცირება გაცილებით უფრო შესამჩნევი და აუცილებელი გვეჩვენება, თუ ჩვენ ამ საქონლის ფასს ახლანდელ დროში შევადარებთ მის ფასს ჩვენგან ბევრად უფრო დაშორებულ პერიოდში, მე-XV საუკუნის ბოლოში, როდესაც, ალბათ, შრომა გაცილებით ნაკლებ იყო დანაწილებული და გამოყენებული მანქანებიც გაცილებით ნაკლებ სრულყოფილი იყო, ვიდრე ამჟამად არის.

1487 წელს, ე. ი. ჰენრი VII-ის მეფობის მეოთხე წელს, გამოცემულ იქნა ბრძანება, რომ “ყველა, ვინც წითელ ფერად შეღებილ ან სხვა ფერად შეღებილ ფრიად წმინდა მაუდს ცალობით ვაჭრობაში 16 შილინგზე უფრო ძვირად გაჰყიდის იარდს, 40 შილინგ ჯარიმას გადაიხდის თითოეულ გაყიდულ იარდშიო”. ამრიგად, 16 შილინგი, რომელიც დაახლოებით ვერცხლის იმდენსავე რაოდენობას შეიცავდა, რამდენსაც ჩვენი დღევანდელი ფულის 24 შილინგი, იმ დროში ერთი იარდი ფრიად წმინდა მაუდის სამართლიან ფასად იყო მიჩნეული; და რადგან ამ კანონს ფუფუნების საწინააღმდეგო კანონის ხასიათი აქვს, – უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მაუდი ჩვეულებრივ რაოდენადმე უფრო ძვირ ფასში იყიდებოდა. ახლანდელ დროში მაქსიმალურ ფასად შეიძლება ჩავთვალოთ ერთი გინეა. თუნდაც რომ ვიგულისხმობთ, რომ მაუდის ხარისხი მაშინ და ახლა ერთნაირი იყო, – თუმცა სინამდვილეში თანამედროვე მაუდი, ალბათ, გაცილებით უკეთესი არის, – აღმოჩნდება, რომ უაღრესად წმინდა მაუდის ფულადი ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა მე-XV საუკუნის დასასრულს შემდეგ. და გაცილებით უფრო მეტად შემცირდა მისი ნამდვილი ფასი. 6 შილინგი და 8 პენსი ითვლებოდა მაშინ და დიდხანს მას შემდეგ კვარტერი ხორბლის საშუალო ფასად. 16 შილინგი შეადგენდა, ამრიგად, 2 კვარტერი და 3 ბუმელზე მეტი ხორბლის ფასს. თუ ამჟამად კვარტერი ხორბლის ფასად 28 შილინგს მივიღებთ, გამოვა, რომ ერთი იარდი წმინდა მაუდის ფასი იმ ხანში უნდა თანასწორებოდა – სულ ცოტა – 3 გირვანქას 6 შილინგს და 6 პენსს ჩვენს ახლანდელ ფულზე. ამ მაუდის მყიდველ ადამიანს ხელი უნდა აეღო შესაძლებლობაზე თავის განკარგულებაში ჰქონებოდა შრომისა და საარსებო საშუალებათა ისეთი რაოდენობა, რომლის ყიდვა შესაძლებელია იმ თანხით ამჟამად.

უფრო უბრალო და ტლანქი ქსოვილების ნამდვილი ფასის დაწევა თუმცა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არა ისე დიდი, როგორც მაღალი ხარისხის ქსოვილებისა.

1463 წელს, ე. ი. ედუარდ IV-ის მეფობის მესამე წელს, გამოცემულ იქნა კანონი, რომლის თანახმად “არც ერთ მოჯამაგირეს სოფლად, არც ერთ შავ მუმას, ქალაქის ან დაბის გარეთ მცხოვრები ხელოსნის არც ერთ მოჯამაგირეს არ უნდა ეხმარა ან გამოეყენებია თავისი ტანსაცმელისთვის ისეთი ქსოვილი, რომლის ერთი იარდი 2 შილინგზე მეტად ღირდა”. ედუარდ IV-ის მეფობის მესამე წელში 2 შილინგი შეიცავდა თითქმის ვერცხლის იმ რაოდენობას, რასაც ჩვენი ახლანდელი ფულის 4 შილინგი შეიცავს. მაგრამ იორკშირის მაუდი, რომელიც ახლა 4 შილინგად იყიდება იარდი, ალბათ, გაცილებით უკეთესია იმ მაუდზე, რომელიც მაშინ მზადდებოდა მუმების უღარიბესი ფენებისათვის. ამიტომ მათი ტანსაცმელის ფულადი ფასიც კი

ამჟამად რაოდენადმე უფრო იაფი არის, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ხარისხს, ვიდრე იყო იმ ძველ დროში. ხოლო ნამდვილი ფასი, უეჭველია, გაცილებით უფრო იაფი არის. ბუშელი ხორბლისათვის 10 პენსი მაშინ ზომიერ და სამართლიან ფასად ითვლებოდა. მაშასადამე, 2 შილინგი შეადგენდა ფასს 2 ბუშელი და თითქმის 2 ჩანახი ხორბლისათვის, რაც ამჟამად, თუ ბუშელს 3 შილინგად და 6 პენსად ვიანგარიშებთ, 8 შილინგი და 9 პენსი ეღირებოდა. ერთი იარდი ასეთი მაუდის მოსაპოვებლად ღარიბ მოჯამაგირეს მაშინ უნდა გაეცა საარსებო საშუალებათა ისეთი რაოდენობა, რომლის ყიდვა ახლანდელ დროში შეიძლება 8 შილინგად და 9 პენსად. ამასთან აღნიშნული კანონი არის აგრეთვე სამომხმარებლო კანონი, რომელიც მიმართულია ფუფუნების წინააღმდეგ, ვინაიდან მას მიზნად ჰქონდა შეეზღუდა ღარიბების მფლანგველობა; მათი ტანსაცმელი, ამიტომ, ჩვეულებრივ გაცილებით უფრო ძვირად ღირდა.

იმავე კანონით ღარიბ კლასს აკრძალული ჰქონდა ისეთი წინდის ტარება, რომლის ფასი, წყვილისათვის, 14 პენსს აღემატებოდა, რაც ჩვენს ახლანდელ ფულზე დაახლოებით 28 პენსს უდრის. მაგრამ 14 პენსი იმ დროში შეადგენდა ფასს ერთი ბუშელი და დაახლოებით 2 ჩანახი ხორბლისას, რაც, თუ ბუშელს 3 შილინგად და 6 პენსად ვიანგარიშებთ, ამჟამად ღირს 5 შილინგი და 3 პენსი. ჩვენ დღეს ამ ფასს ძალიან მაღალ ფასად ჩავთვლიდით უღარიბესი და უდაბლესი ფენის მოჯამაგირის ერთი წყვილი წინდისათვის. მიუხედავად ამისა, ასეთი ადამიანი იმ დროში ფაქტიურად ამ თანხის ეკვივალენტს იხდიდა მასში.

ედუარდ IV-ის ხანაში წინდების ქსოვა, ალბათ, ჯერ კიდევ არსად არ იცოდნენ ევროპაში. წინდებს ამზადებდნენ ქსოვილისგან, და, შესაძლებელია, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მათი სიმვირისა. პირველი ადამიანი, რომელმაც ინგლისში ჩაიცვა მოქსოვილი წინდა, როგორც ამბობენ, იყო დედოფალი ელისაბედი; მან იგი ესპანეთის ელჩისგან მიიღო საჩუქრად.

როგორც მსხვილი, ისე წმინდა შალეულის წარმოებაში მაშინ გამოყენებული იარაღები გაცილებით ნაკლებ სრულყოფილი იყო, ვიდრე დღეს არის. მას შემდეგ აღნიშნულ წარმოებაში შეტანილ იქნა სამი ფრიად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, გარდა მრავალ წვრილ გაუმჯობესებათა, რომელთა რაოდენობა და მნიშვნელობა ძნელად განსასაზღვრავია. ეს სამი მთავარი გაუმჯობესება შემდეგია: პირველი, თითისტარის შენაცვლება ჯართი, რომელიც იმავე შრომის დახარჯვისას ორკეცზე მეტ სამუშაოს ასრულებს; მეორე, სხვადასხვა ფრიად მიზანშეწონილი მანქანების გამოყენება, რომელნიც კიდევ უფრო აადვილებენ და აჩქარებენ მატყლის ნართის დახვევას ანუ სათანადო მომზადებას საქსველის და მისაქსველისას, სანამ ესენი საქსოვ დაზგაზე გაიტანებოდეს; ეს ოპერაცია იმ მანქანების გამოგონებამდე ფრიად გრძელ და მომქანცველ სამუშაოს წარმოადგენდა; მესამე, სათელავი წისქვილის ხმარება მაუდის გასასქელებლად, ნაცვლად მისი წყალში რეცხისა. არც ქარის, არც წყლის წისქვილები ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეში ცნობილი არ იყო ინგლისში, აგრეთვე, რამდენადაც ვიცი, ევროპის სხვა ნაწილებშიც ალპებს იქით ჩრდილოეთისაკენ. ეს წისქვილები შემოვიდა იტალიაში რამდენიმე ხნით ადრე მანამდე.

ეს გარემოებები შესაძლებელია რაოდენადმე გვიხსნიდეს, თუ რატომ იყო იმ ხანაში როგორც მსხვილი, ისე წმინდა ქსოვილების ნამდვილი ფასი ესოდენ უფრო მაღალი მათ ახლანდელ ფასზე. შრომის უფრო დიდი რაოდენობა იყო საჭირო ამ საგნების ბაზარზე გამოსატანად, და ამიტომ, როდესაც ისინი იქ გამოიტანებოდა, შრომის უფრო დიდი რაოდენობის ფასში უნდა გაყიდულიყო ანუ გაცვლილიყო.

მსხვილი ქსოვილები ინგლისში იმ ძველ დროს, ალბათ, იმავე წესით მზადდებოდა, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა ისეთ ქვეყნებში, სადაც ხელოსნობა და მრეწველობა ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს წარმოადგენდა, ალბათ, საოჯახო მრეწველობას, რომლის თითოეულ ნაწილს სხვათა შორის ასრულებდნენ თითქმის ყოველი ოჯახის ყველა წევრი; და ამასთან ისინი ამ საქმეს ასრულებდნენ მაშინ, როდესაც მათ სხვა საქმე არ ჰქონდათ, და იგი არ წარმოადგენდა მათ მთავარ მოსაქმეობას, რომლისაგანაც თითოეული მათგანი იღებდა უდიდეს ნაწილს საარსებო საშუალებათა. ამგვარად შესრულებული ნამუშევარი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ყოველთვის გაცილებით უფრო იაფად გამოდის ბაზარზე, ვიდრე ის, რომელიც მშრომელის არსებობის მთავარ ან ერთადერთ წყაროს შეადგენს. მეორე მხრივ, საუკეთესო ხარისხის ქსოვილები იმ დროს მზადდებოდა არა ინგლისში, არამედ მდიდარ და მოვაჭრე ფლანდრიაში; და, ალბათ, ამ წარმოებას იქ მაშინ დღევანდელსავით ისეთი ადამიანები ეწეოდნენ, რომელნიც ყველა საარსებო საშუალებას ან ამის უმთავრეს ნაწილს ამ მოსაქმეობიდან იღებდნენ. გარდა ამისა, ეს იყო უცხო საქონელი, რომელზედაც უნდა გადახდილიყო განსაზღვრული გადასახადი, ყოველ შემთხვევაში ტონაჟისა და წონის ძველი ბაჟი მეფის სასარგებლოდ. მაგრამ ეს ბაჟი, ალბათ, არ იყო ძალიან დიდი. ევროპის პოლიტიკას იმ ხანაში მიზნად ჰქონდა არა უცხო ნაწარმთა იმპორტის შეზღუდვა დიდი ბაჟებით, არამედ, პირიქით, ამ იმპორტის გამხნეება, რათა ვაჭრებს შესაძლებლობა ჰქონებოდათ მდიდარი კაცებისთვის რაც შეიძლება უფრო იაფად მიეწოდებიათ ფუფუნებისა და კომფორტის საგნები, რომლებსაც ისინი საჭიროებდნენ და რომელთა მიწოდება მათი საკუთარი ქვეყნის მრეწველობას არ შეეძლო.

ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებას რაოდენადმე შეუძლია აგვიხსნას, თუ რატომ იყო იმ ძველ დროში მსხვილი ქსოვილების ნამდვილი ფასი წმინდა ქსოვილების ფასთან შედარებით ესოდენ უფრო დაბალი, ვიდრე ამჟამად არის.

ამ თავის დასკვნა

ამ ფრიად გრძელ თავს მე დავასრულებ იმ შენიშვნით, რომ ყოველ გაუმჯობესებას საზოგადოების ცხოვრების პირობებში ტენდენცია აქვს პირდაპირ ან არაპირდაპირ ასწიოს მაღლა ნამდვილი მიწის რენტა, გაადიდოს მემამულის ნამდვილი სიმდიდრე, მისი უნარი სხვა ადამიანთა შრომის თუ შრომის პროდუქტის ყიდვისა.

მიწის გაუმჯობესებით და მისი დამუშავების გაფართოება იქვევს უშუალოდ რენტის აწევას. მემამულის წილი პროდუქტში აუცილებლად იზრდება პროდუქტის ზრდასთან ერთად.

მიწის ნედლი პროდუქტების ნამდვილი ფასის აწევა, რომელიც თავდაპირველად შედეგია მიწის გაუმჯობესებისა და დამუშავების გაფართოებისა, ხოლო შემდეგში მიზეზია ამის შემდგომი გავრცელებისა, – მაგალითად, შინაური საქონლის ფასის აწევა, – იქვევს აგრეთვე უშუალოდ და კიდევ უფრო დიდი პროპორციით მიწის რენტის გადიდებას. იმ წილის ნამდვილი ღირებულება, რომელსაც მემამულე იღებს, ე. ი. ამ უკანასკნელი შესაძლებლობა მიიღოს თავის განკარგულებაში სხვა ადამიანთა შრომა, არა თუ მატულობს მისი პროდუქტის ნამდვილი ღირებულების ზრდასთან ერთად, არამედ აგრეთვე მასთან ერთად მატულობს მისი წილის შეფარდებაც მთელი პროდუქტის მიმართ. ამ პროდუქტის

მოსაპოვებლად, მისი ნამდვილი ფასის აწევის შემდეგ, საჭირო არაა შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე წინათ. და ამიტომ პროდუქტის ნაკლები ნაწილი საკმარისია იმისათვის, რომ ანაზღაურებულ იქნეს ჩვეულებრივი მოგებითურთ ამ შრომის გამომყენებელი კაპიტალი. ამის გამო მისი უფრო დიდი ნაწილი უნდა დარჩეს მემამულეს.

ყველა ის გაუმჯობესებანი შრომის პროდუქტიულ ძალაში, რომელნიც უშუალოდ იწვევენ სამრეწველო ნაწარმთა ნამდვილი ფასის დაწევას, არაპირდაპირ იწვევენ ნამდვილი მიწის რენტის აწევას. მემამულე სცვლის სამრეწველო ნაწარმზე თავისი ნადლი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც რჩება მისი საკუთარი მოხმარებისათვის. ანუ, რაც იგივეა, სცვლის პროდუქტის ამ ნაწილის ფასს. ყველაფერ, რაც დაბლა სწევს პირველთა ნამდვილ ფასს, მაღლა სწევს ნედლი პროდუქტის ნამდვილ ფასს. ამის გამო სას.-სამ. პროდუქტის ერთი და იგივე რაოდენობა ეკვივალენტი ხდება სამრეწველო ნაწარმთა უფრო დიდი რაოდენობისა, და მემამულეს შესაძლებლობა ეძლევა იყიდოს უფრო დიდი რაოდენობა კომფორტის, მორთულობისა და ფუფუნების საგანთა, რომლებიც მას ესაჭიროება.

საზოგადოების ნამდვილი სიმდიდრის ყოველი მატება, საზოგადოებაში გამოყენებული სასარგებლო შრომის ყოველი გადიდება არაპირდაპირ იწვევს ნამდვილი მიწის რენტის გადიდებას. ამ შრომის განსაზღვრული ნაწილი, რასაკვირველია, მიწას ხმარდება. ადამიანთა და შინაური საქონლის უფრო დიდი რაოდენობა გამოიყენება მის დასამუშავებლად, პროდუქტი იზრდება მის საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალის ზრდასთან ერთად, და რენტა იზრდება პროდუქტთან ერთად.

საწინააღმდეგო მოვლენანი, მიწის ცუდი დამუშავება და მისი გაუმჯობესების უგულებელყოფა, მიწის ნედლი პროდუქტის რომელიმე ნაწილის ნამდვილი ფასის დაცემა, სამრეწველო ნაწარმთა ნამდვილი ფასის აწევა, ხელოსნობისა და მრეწველობის დაცემის გამო, საზოგადოების ნამდვილი სიმდიდრის შემცირება, – ყველა ეს მოვლენანი, მეორე მხრივ, არაპირდაპირ იწვევენ ნამდვილი მიწის რენტის დაწევას, მემამულის ნამდვილი სიმდიდრის შემცირებას, ამცირებენ მის მიერ სხვა ადამიანთა შრომის ან პროდუქტის ყიდვის შესაძლებლობას.

ყოველი ქვეყნის მიწისა და შრომის მთელი წლიური პროდუქტი ანუ, რაც იგივეა, ამ წლიური პროდუქტის მთელი ფასი ბუნებრივად იშლება, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამ ნაწილად: მიწის რენტად, შრომის ხელფასად და კაპიტალის მოგებად, და შემადგენელია ხალხის სამი სხვადასხვა კლასის შემოსავლისა: იმათი, რომელნიც რენტით ცხოვრობენ, იმათი, რომელნიც ხელფასით ცხოვრობენ, და იმათი, რომელნიც მოგებით ცხოვრობენ. ესენია სამი დიდი, ძირითადი კლასი, რომლებისგანაც ყოველი ცივილიზებული საზოგადოება შესდგება, და მათი შემოსავლიდან გამომდინარეობს ბოლოს და ბოლოს ყოველი სხვა კლასის შემოსავალი.

ამ სამი დიდი კლასიდან პირველი კლასის ინტერესი, როგორც ზემოთ ნათქვამიდან სჩანს, მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია საზოგადოების საერთო ინტერესებთან. ყველა, რაც ხელს უწყობს ან ვნებს პირველს, აუცილებლად ხელს უწყობს ან ვნებს საზოგადოებას. როდესაც საზოგადოებას ბჭობა აქვს ვაჭრობის ან ეკონომიური პოლიტიკის მოწესრიგების შესახებ, მიწის მესაკუთრეებს არასოდეს არ შეუძლიათ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ მხოლოდ თავისი საკუთარი კლასისათვის სარგებლობის შექმნის მიზნით; ყოველ შემთხვევაში, არ შეუძლიათ, თუ მათ ცოტათი მაინც ესმით თავისი ინტერესი. ესეც კია, რომ მათ ხშირად აკლიათ

ეს მიხვედრილობა. ისინი წარმოადგენენ იმ სამ კლასში ერთადერთ კლასს, რომლის შემოსავალი მათ არ უღირთ შრომად და გარჯად, არამედ მიუდის მათ, ასე ვთქვათ, თავისთავად და დამოუკიდებლად ყოველგვარი გეგმებისა და პროექტებისაგან მათი მხრივ. ეს უსაქმური ცხოვრება, რომელიც მათი უზრუნველყოფილი და მტკიცე მდგომარეობის ბუნებრივი შედეგი არის, ხდის მათ ხშირად არა თუ უვიცებად, არამედ უუნაროებადაც იმ გონებრივი სიფხიზლისათვის, რომელიც აუცილებელია ყოველი საზოგადოებრივი ღონისძიების შედეგთა წინასწარ განსაჭვრეტად და შესაგნებად.

მეორე კლასის ინტერესი, იმ კლასის, რომელიც ხელფასით ცხოვრობს, ისევე მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების ინტერესთან, როგორც პირველის ინტერესი. როგორც უკვე იყო გარკვეული, მუშის ხელფასი ისე მაღალი არასოდეს არაა, როგორც მაშინ, როდესაც მოთხოვნა შრომის მიმართ მუდმივ ზრდაში არის ანუ როდესაც გამოყენებული შრომის რაოდენობა ყოველ წელს მნიშვნელოვნად მატულობს. როდესაც საზოგადოების სიმდიდრე სტაციონარული რჩება, მუშის ხელფასი მალე იმ ზომამდე დაიწევს, რომელიც სწორედ საკმარისია იმისათვის, რომ მუშამ შესძლოს თავისი ოჯახის შენახვა ანუ მუშათა მოდგმის არსებობის განგრძობა. საზოგადოების დაცემისას ამ ხელფასმა უფრო დაბლაც კი უნდა დაიწიოს. მესაკუთრეთა კლასმა, შესაძლებელია, საზოგადოების აყვავებიდან მეტი სარგებლობაც ჰპოვოს, ვიდრე მუშათა კლასმა; მაგრამ არც ერთი სხვა კლასი არ იტანჯება საზოგადოების დაცემის გამო ისე სასტიკად, როგორც მუშათა კლასი. თუმცა მუშის ინტერესი მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების ინტერესთან, მაგრამ მუშა მაინც მოკლებულია უნარს შეიგნოს ეს ინტერესი ან ამისი კავშირი თავის საკუთარ ინტერესთან. მისი ცხოვრების პირობები მას არ უნარჩუნებს იმდენ დროს, რომ მოიპოვოს საჭირო ცნობები, ხოლო მისი განათლება და ჩვეულება მეტწილად ისეთია, რომ სრულიად უუნაროდ ხდის მას სწორი აზროვნებისათვის, თუნდ რომ მას ხელთ სრული ინფორმაცია მოეპოვებოდეს. ამიტომ, როდესაც საჯარო ბჭობაა საკითხების შესახებ, მისი ხმა სუსტად ისმის და მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, გარდა ზოგი განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც მისი დამჭირავებელნი – არა მისი, არამედ თავიანთი საკუთარი ინტერესის გულისთვის – მას ხმამაღლა აალაპარაკებენ, შეახურებენ და დახმარებას უწევენ.

მუშის დამჭირავებელნი მესამე კლასს შეადგენენ, იმ ადამიანთა კლასს, რომელნიც მოგებით ცხოვრობენ. მოგების მისაღებად ბრუნვაში შეიტანება კაპიტალი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სასარგებლო შრომის უდიდესი ნაწილი ყოველ საზოგადოებაში. კაპიტალის დამზადებელთა გეგმა და პროექტი აწესრიგებს და მიმართულებას აძლევს შრომის ყველა უმთავრეს გამოყენებას, და ყველა ამ გეგმის და პროექტის საბოლოო მიზანს მოგება შეადგენს. მაგრამ მოგების ნორმა მაღლა არ იწევს, როგორც რენტა და შრომის ხელფასი, საზოგადოების აყვავებასთან ერთად და დაბლა არ იწევს მის დაცემასთან ერთად. პირიქით, იგი ჩვეულებრივ დაბალია მდიდარ ქვეყნებში და მაღალია ღარიბებში, და უაღრეს მაღალ დონეზე დგას ყოველთვის იმ ქვეყნებში, რომელნიც ყველაზე უფრო სწრაფად მიექანებიან განადგურებისა და დაღუპვისაკენ. ამის გამო ამ კლასის ინტერესს ისეთივე კავშირი არა აქვს საზოგადოების საერთო ინტერესთან როგორც სხვა ორი კლასის ინტერესს. ვაჭრები და მრეწველები ამ კლასში შეადგენენ ხალხის იმ ორ ჯგუფს, რომელნიც ჩვეულებრივ დიდ კაპიტალებს აბანდებენ საქმეში და რომელთაც, თავისი სიმდიდრის წყალობით, დიდი პატივი და გავლენა აქვთ საზოგადოებაში. რადგან ისინი მთელ თავის სიცოცხლეში გეგმებსა და პროექტებში არიან გართულნი, – მათ ხშირად მეტი

გონებრივი გამჭრიახობა აქვთ, ვიდრე მემამულეთა უმრავლესობას. მაგრამ ვინაიდან მათი აზრი ჩვეულებრივ მათი საკუთარი სპეციალური დარგის ინტერესითაა უფრო შეპყრობილი, ვიდრე საზოგადოების ინტერესით, ამიტომ მათი მსჯავრი, მაშინაც კი, როდესაც გულწრფელობითაა გამოთქმული (რასაც ადგილი არ ჰქონია ყველა შემთხვევაში), გაცილებით უფრო ეთანხმება მათი დარგის ინტერესებს, ვიდრე საზოგადოების ინტერესს. მათი უპირატესობა მემამულესთან შედარებით მდგომარეობს არა იმდენად მათ მიერ საზოგადოებრივი ინტერესის უკეთ შეგნებაში, რამდენადაც იმაში, რომ ისინი უკეთ იცნობენ თავის საკუთარ ინტერესებს, ვიდრე მემამულე იცნობს თავისას. თავისი საკუთარი ინტერესის უკეთ ცოდნის მეოხებით ისინი ხშირად ახერხებდნენ გავლენა მოეხდინათ მემამულის სულგრძელობაზე და დაეჯერებიათ იგი, რომ მას ხელი აეღო როგორც თავის, ისე საზოგადოების ინტერესზე იმ მარტივი, მაგრამ კეთილშობილი რწმენით, რომ მათი ინტერესი და არა მემამულის ინტერესი შეადგენს საზოგადოების ინტერესს. ნამდვილად, კი ვაჭრობის ან მრეწველობის ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელთა ინტერესი ზოგი მხრივ ყოველთვის განსხვავებულია საზოგადოების ინტერესისაგან და მისი წინააღმდეგაც კი არის. ბაზრის გაფართოება და კონკურენციის შეზღუდვა ყოველთვის ეთანხმება ვაჭრობის ინტერესს. ბაზრის გაფართოება ხშირად შეიძლება საზოგადოების ინტერესსაც ეთანხმებოდეს, მაგრამ კონკურენციის შეზღუდვა ყოველთვის წინააღმდეგი უნდა იყოს საზოგადოების ინტერესისა, და ის მხოლოდ იმას შეიძლება ემსახურებოდეს, რომ ვაჭრებმა, მათი მოგების გადიდებით იმაზე მეტად, რაც იგი ბუნებრივად იქნებოდა, თავიანთ დანარჩენ მოქალაქეებს მძიმე გადასახადი ახდევინონ თავის სასარგებლოდ. ამ კლასიდან გამომდინარე ყოველ ახალ წინადადებას ან ვაჭრობის შესახებ ახალ ღონისძიებას ყოველთვის უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ხოლმე, და იგი მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხანგრძლივ და ყოველმხრივ იქნება განხილული უაღრესი გულდასმით, მაგრამ ამასთან უაღრესად იჭვიანი ყურადღებით. ეს იმიტომ, რომ იგი გამომდინარეობს იმ კლასიდან, რომლის ინტერესი არასოდეს არაა სავსებით საზოგადოების ინტერესის თანამთხვევი, რომელიც ჩვეულებრივ დაინტერესებულია იმაში, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, დასჩაგროს კიდეც, და რომელსაც ბევრ შემთხვევაში ნამდვილადაც შეუყვანია იგი შეცდომაში და დაუჩაგრავს.

12 წელი	კვარტერი ხორბლის ფასი თითოეულ წელს			იმავე წლის სხვადასხვა ფასების საშუალო			თითოეული წლის საშუალო ფასი ახლანდელი ფულით		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1202	–	12	–	–	–	–	1	16	–
1205 }	–	12	–	–	13	5	2	–	3
	–	13	4						
	–	15	–						
1223	–	12	–	–	–	–	1	16	–
1237	–	3	4	–	–	–	–	10	–
1243	–	2	–	–	–	–	–	6	–
1244	–	2	–	–	–	–	–	6	–
1246	–	16	–	–	–	–	2	8	–
1247	–	13	4	–	–	–	2	–	–
1257	1	4	–	–	–	–	3	12	–
1258 }	1	–	–	–	17	–	2	11	–
	–	15	–						
	–	16	–						
1270 {	4	16	–	5	12	–	16	16	–
	6	8	–						
1286 {	–	2	8	–	9	4	1	8	–
	–	16	–						
						ჯამი:	35	9	3
						საშუალო ფასი:	2	19	1 1/4

12 წელი	კვარტერი ხორბლის ფასი თითოეულ წელს			იმავე წლის სხვადასხვა ფასების საშუალო			თითოეული წლის საშუალო ფასი ახლანდელი ფულით			
	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი	
1287	–	3	4	–	–	–	–	10	–	
1288	}	–	8	–	3	1/4	–	9	3/4	
		–	1							
		–	1							
		–	1							
		–	1							
		–	2							
		–	3							
–	9									
1289	}	–	12	–	10	1 2/4	1	10	4 2/4	
		–	6							
		–	2							
		–	10							
		–	8							
1	–	–	–	–	–	–	–	–		
1290	–	16	–	–	–	–	2	8	–	
1294	–	16	–	–	–	–	2	8	–	
1302	–	4	–	–	–	–	–	12	–	
1309	–	7	2	–	–	–	1	1	6	
1315	1	–	–	–	–	–	3	–	–	
1316	}	1	–	–	1	10	6	4	11	6
		1	10							
		1	12							
		2	–							
1317	}	2	4	–	1	19	6	5	18	6
		–	14							
		2	13							
		4	–							
		–	6							
–	8									
1336	–	2	–	–	–	–	–	6	–	
1338	–	3	4	–	–	–	–	10	–	
						ჯამი:	23	4	11 1/4	

						საშუალო ფასი:	1	18	8
--	--	--	--	--	--	---------------	---	----	---

12 წელი	კვარტერი ხორბლის ფასი თითოეულ წელს			იმავე წლის სხვადასხვა ფასების საშუალო			თითოეული წლის საშუალო ფასი ახლანდელი ფულით		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1339	–	9	–	–	–	–	1	7	–
1349	–	2	–	–	–	–	–	5	2
1359	1	6	8	–	–	–	3	2	2
1361	–	2	–	–	–	–	–	4	8
1363	–	15	–	–	–	–	1	15	–
1369 {	1	–	–	1	2	–	2	9	4
	1	4	–						
1379	–	4	–	–	–	–	–	9	4
1387	–	2	–	–	–	–	–	4	8
1390 {	–	13	4	–	14	5	1	13	7
	–	14	–						
	–	16	–						
1401	–	16	–	–	–	–	1	17	4
1407 {	–	4	4 3/4	–	3	10	–	8	11
	–	3	4						
1416	–	16	–	–	–	–	1	12	–
						ჯამი:	15	9	4
						საშუალო ფასი:	1	5	9 1/3

12 წელი	კვარტერი ხორბლის ფასი თითოეულ წელს			იმავე წლის სხვადასხვა ფასების საშუალო			თითოეული წლის საშუალო ფასი ახლანდელი ფულით		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1423	–	8	–	–	–	–	–	16	–
1425	–	4	–	–	–	–	–	8	–
1434	1	6	8	–	–	–	2	13	4
1435	–	5	4	–	–	–	–	10	8
1439 {	1	–	–	1	3	4	2	6	8
	1	6	8						
1440	1	4	–	–	–	–	2	8	–
1444 {	–	4	4	–	4	2	–	8	4
	–	4	–						
1445	–	4	6	–	–	–	–	9	–
1447	–	8	–	–	–	–	–	16	–
1448	–	6	8	–	–	–	–	13	4
1449	–	5	–	–	–	–	–	10	–
1451	–	8	–	–	–	–	–	16	–
						ჯამი:	12	15	4
						საშუალო ფასი:	1	1	3 1/3

12 წელი	კვარტერი ხორბლის ფასი თითოეულ წელს	იმავე წლის სხვადასხვა ფასების საშუალო	თითოეული წლის საშუალო ფასი ახლანდელი ფულით
------------	---------------------------------------	---	--

	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1453	–	5	4	–	–	–	–	10	8
1455	–	1	2	–	–	–	–	2	4
1457	–	7	8	–	–	–	–	15	4
1459	–	5	–	–	–	–	–	10	–
1460	–	8	–	–	–	–	–	16	–
1463 {	–	2	–	–	1	10	–	3	8
	–	1	8						
1464	–	6	8	–	–	–	–	10	–
1486	1	4	–	–	–	–	1	17	–
1491	–	14	8	–	–	–	1	2	–
1494	–	4	–	–	–	–	–	6	–
1495	–	3	4	–	–	–	–	5	–
1497	1	–	–	–	–	–	1	11	–
						ჯამი:	8	9	–
						საშუალო ფასი:	–	14	1

12 წელი	კვარტერი ხორბლის ფასი თითოეულ წელს			იმავე წლის სხვადასხვა ფასების საშუალო			თითოეული წლის საშუალო ფასი ახლანდელი ფულით		
	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი
1499	—	4	—	—	—	—	—	6	—
1504	—	5	8	—	—	—	—	8	6
1521	1	—	—	—	—	—	1	10	—
1551	—	8	—	—	—	—	—	2	—
1553	—	8	—	—	—	—	—	8	—
1554	—	8	—	—	—	—	—	8	—
1555	—	8	—	—	—	—	—	8	—
1556	—	8	—	—	—	—	—	8	—
1557	—	4	—	—	17	8 1/2	—	17	8 1/2
	—	5	—						
	—	8	—						
	2	13	4						
1558	—	8	—	—	—	—	—	8	—
1559	—	8	—	—	—	—	—	8	—
1560	—	8	—	—	—	—	—	8	—
						ჯამი:	6	—	2 1/
						საშუ- ალო ფასი:	—	10	5/12

12 წელი	კვარტერი ხორბლის ფასი თითოეულ წელს			იმავე წლის სხვადასხვა ფასების საშუალო			თითოეული წლის საშუალო ფასი ახლანდელი ფულით		
	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი	გირგ. სტერ.	შილ.	პენსი
1561	–	8	–	–	–	–	–	8	–
1562	–	8	–	–	–	–	–	8	–
1574 {	2	16	–	2	–	–	2	–	–
	1	4	–						
1587	3	4	–	–	–	–	3	4	–
1594	2	16	–	–	–	–	2	16	–
1595	2	13	–	–	–	–	2	13	–
1596	4	–	–	–	–	–	4	–	–
1597 {	5	4	–	4	12	–	4	12	–
	4	–	–						
1598	2	16	8	–	–	–	2	16	8
1599	1	19	2	–	–	–	1	19	2
1600	1	17	8	–	–	–	1	17	8
1601	1	14	10	–	–	–	1	14	10
						ჯამი:	28	9	4
						საშუ- ალო ფასი:	2	7	5 1/3

საუკეთესო ანუ უძვირფასესი ხორბლის ფასები 9 ბუშელიანი კვარტერისათვის ვინდზორის ბაზარზე ხარების დღეს და მიქელანგელოზის დღეს 1595 წლიდან 1764 წლამდე (ორივე წლის ჩათვლით), თითოეული წლის ფასი წარმოადგენს ამ ორი საბაზრო დღის მაქსიმალური ფასების საშუალოს.

წლები	კვარტერი ხორბალი		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1595	2	0	0
1596	2	8	0
1597	3	9	6
1598	2	16	8
1599	1	19	2
1600	1	17	8
1601	1	14	10
1602	1	9	4
1603	1	15	4
1604	1	10	8
1605	1	15	10
1606	1	13	0
1607	1	16	8
1608	2	16	8
1609	2	10	0
1610	1	15	0
1611	1	18	8
1612	2	2	4
1613	2	8	8
1614	2	1	8
1615	1	18	8
1616	2	0	4
1617	2	8	8
1618	2	6	8
1619	1	15	4
1620	1	10	4
1621	1	10	4
26)	54	0	6 1/2
	2	1	6 9/13

წლები	კვარტერი ხორბალი		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1622	2	18	8
1623	2	12	0
1624	2	8	0
1625	2	12	0
1626	2	9	4
1627	1	16	0
1628	1	8	0
1629	2	2	0
1630	2	15	8
1631	3	8	0
1632	2	13	4
1633	2	18	0

1634	2	16	0
1635	2	16	0
1636	2	16	8
16)	40	0	0
	2	10	0

წლები	კვარტერი ხორბალი		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1637	2	13	0
1638	2	17	4
1639	2	4	10
1640	2	4	8
1641	2	8	0
1642	0	0	0
1643	0	0	0
1644	0	0	0
1645	0	0	0
1646	2	8	0
1647	3	13	8
1648	4	5	0
1649	4	0	0
1650	3	16	8
1651	3	1	4
1652	2	9	6
1653	1	15	6
1654	1	6	0
1655	1	13	4
1656	2	3	0
1657	2	6	8
1658	3	5	0
1659	3	6	0
1660	2	16	6
1661	3	10	0
1662	3	14	0
1663	2	17	0
1664	2	0	6
1665	2	9	4
1666	1	16	0
1667	1	16	0
1668	2	0	0
1669	2	4	4
1670	2	1	8
1671	2	2	0
1672	2	1	0
1673	2	6	8

1674	3	8	8
1675	3	4	8
1676	1	18	0
1677	2	2	0
1678	2	19	0
1679	3	0	0
1680	2	5	0
1681	2	6	8
1682	2	4	0
1683	2	0	0
1684	2	4	0
1685	2	6	8
1686	1	14	0
1687	1	5	2
1688	2	6	0
1689	1	10	0
1690	1	14	8
1691	1	14	0
1692	2	6	8
1693	3	7	8
1694	3	4	0
1695	2	13	0
1696	3	11	8
1697	3	0	0
1698	3	8	4
1699	3	4	0
1700	2	0	0
60)	153	1	8
	2	11	0 1/3

წლები	კვარტერი ხორბალი		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1701	1	17	8
1702	1	9	6
1703	1	16	0
1704	2	6	6
1705	1	10	0
1706	1	6	0
1707	1	8	6
1708	2	1	6
1709	3	18	6
1710	3	18	0
1711	2	14	0
1712	2	6	4
1713	2	11	0
1714	2	10	4
1715	2	3	0
1716	2	8	0
1717	2	5	8

1718	1	18	10
1719	1	15	0
1720	1	17	0
1721	1	17	6
1722	1	16	0
1723	1	14	8
1724	1	17	0
1725	2	8	6
1726	2	6	0
1727	2	2	0
1728	2	14	6
1729	2	6	10
1730	1	16	6
1731	1	12	10
1732	1	6	8
1733	1	8	4
1734	1	18	10
1735	2	3	0
1736	2	0	4
1737	1	18	0
1738	1	15	6
1739	1	18	6
1740	2	10	8
1741	2	6	8
1742	1	14	0
1743	1	4	10
1744	1	4	10
1745	1	7	6
1746	1	19	0
1747	1	14	10
1748	1	17	0
1749	1	17	0
1750	1	12	6
1751	1	18	6
1752	2	1	10
1753	2	4	8
1754	1	14	8
1755	1	13	10
1756	2	5	3
1757	3	0	0
1758	2	10	0
1759	1	19	10
1760	1	16	6
1761	1	10	3
1762	1	19	0
1763	2	0	9
1764	2	6	9
64)	129	13	6
	2	0	6 19/3

წლები	კვარტერი ხორბალი		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1731	1	12	10
1732	1	6	8
1733	1	8	4
1734	1	18	10
1735	2	3	0
1736	2	0	4
1737	1	18	0
1738	1	15	6
1739	1	18	6
1740	2	10	8
10)	18	12	8
	1	17	3 1/5

წლები	კვარტერი ხორბალი		
	გირვ. სტერ.	შილ.	პენსი
1741	2	6	8
1742	1	14	0
1743	1	4	10
1744	1	4	10
1745	1	7	6
1746	1	19	0
1747	1	14	0
1748	1	17	0
1749	1	17	0
1750	1	12	6
10)	16	18	2
	1	13	9 4/5

წიგნი მეორე

კაპიტალის რაობა, დაგროვება და გამოყენება

შესავალი

საზოგადოების იმ უკულტურო მდგომარეობაში, როდესაც შრომის დანაწილება არ არსებობს, როდესაც გაცვლა-გამოცვლას იშვიათად აქვს ადგილი და თითოეული ადამიანი თვითონ აწარმოებს თავისთვის ყოველ საგანს, საჭირო არაა მარაგის დაგროვება ანუ წინასწარ მოკრება იმისათვის, რომ წარმართულ იქნეს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა. ყოველი ადამიანი ცდილობს თავისი საკუთარი გამრჯელობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები, როდესაც

ისინი თავს იჩენენ. როდესაც მას შიან, მიდის ტყეში სანადიროდ; როდესაც ტანსაცმელი გაუცვდება, ჩაიცვამს მის მიერ მოკლული რომელიმე მოზრდილი ცხოველის ტყავს, ხოლო როდესაც მისი ქოხი იწყებს ნგრევას, იგი მას შეაკეთებს, როგორც შეუძლია, ხეებით და ბელტებით, რაც მის ახლომახლო მოიპოვება.

მაგრამ როდესაც შრომის დანაწილება საყოველთაოდ იქნა უკვე შემოღებული, ადამიანის საკუთარი შრომის პროდუქტს მის მოთხოვნილებათა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილის დაკმაყოფილება შეუძლია. მის მოთხოვნილებათა უდიდეს ნაწილს დაკმაყოფილება ეძლევა სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტით, რომელსაც იგი ყიდულობს თავისი საკუთარი პროდუქტით ანუ, რაც იგივე არის, ამ პროდუქტის ფასით. მაგრამ ეს ყიდვა შეიძლება შესრულებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მისი საკუთარი შრომის პროდუქტი არა თუ დასრულდება, არამედ გაიყიდება კიდევ. ამიტომ საჭიროა, რომ წინასწარ შედგენილი იყოს სხვადასხვაგვარი პროდუქტების მარაგი, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მისცეს მას თავის შენახვის საშუალება და მისი მუშაობისთვის საჭირო მასალები და იარაღები, ყოველ შემთხვევაში იმ მომენტამდე, როდესაც ის ორი ოპერაცია განხორციელებას მიიღებს. ფეიქარს არ შეუძლია მთლად თავის სპეციალურ საქმეს ადგეს, თუ წინასწარ სადმე, ან მის საკუთარ მფლობელობაში, ან რომელიმე სხვა პირის მფლობელობაში, დაგროვილი არაა მარაგი, რომელიც საკმარისია მის შესანახად და იმისათვის, რომ მას მისცეს მისი მუშაობისთვის საჭირო მასალები და იარაღები, ვიდრე იგი არა თუ დაამზადებს ქსოვილს, არამედ გაჰყიდოს კიდევ. მარაგის ეს დაგროვება, ცხადია, უნდა მოხდეს წინასწარ, ვიდრე ფეიქარი შეიძლებდეს ესოდენ დიდი ხნით თავისი შრომა მოანდომოს ასეთ სპეციალურ მოსაქმეობას.

რადგან მარაგის დაგროვება, საგანთა ბუნებისამებრ, წინ უნდა უძღოდეს შრომის დანაწილებას, ამიტომ შრომა მხოლოდ იმ ზომით შეიძლება იქნეს უფრო და უფრო დანაწილებული, რა ზომითაც უფრო და უფრო მეტად იყო წინასწარ მარაგი დაგროვილი. მასალის რაოდენობა, რომელიც მუშების ერთსა და იმავე რიცხვს შეუძლია გადაამუშაოს, იზრდება დიდი პროპორციით, როდესაც შრომას ეძლევა უფრო და უფრო დანაწილება; და რადგან თითოეული მშრომელის მოსაქმეობა სულ უფრო და უფრო მარტივ ოპერაციებზე დაიყვანება, ამიტომ გამოიგონება სხვადასხვა ახალი მანქანები ამ ოპერაციების გასაადვილებლად და შესამოკლებლად. ამრიგად, როდესაც წინ მიდის შრომის დანაწილება, საჭიროა, რომ მუშების ერთსა და იმვე რიცხვს მუდმივ ჰქონდეს მოსაქმეობა, წინასწარ დაგროვილი იყოს იგივე მარაგი სურსათისა და უფრო დიდი მარაგი მასალების და სამუშაო იარაღებისა, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა ნაკლები განვითარების პირობებში. მაგრამ მუშების რიცხვი მოსაქმეობის თითოეულ დარგში საერთოდ იზრდება ამ დარგში შრომის დანაწილების ზრდასთან ერთად ანუ, უფრო სწორად, სახელდობრ მათი რიცხვის გადიდება აძლევს მათ შესაძლებლობას ამგვარად იყვნენ დანაწილებული და დაჯგუფებული.

მარაგის წინასწარი დაგროვება აუცილებელია შრომის პროდუქტიული ძალის მისაღწევად, და ამ დაგროვებას ბუნებრივად მივყევართ პროდუქტიულობის ასეთ გადიდებამდე. იმ პირს, რომელიც თავის მარაგს შრომის შესანახად ხმარობს, აუცილებლად სურს იგი იმგვარად გამოიყენოს, რომ რაც შეიძლება უფრო დიდი რაოდენობის სამუშაო შეასრულოს. იგი ცდილობს, ამიტომ, შემოიღოს თავის მუშებში უაღრესად მიზანშეწონილი განაწილება მოსაქმეობისა და შეაირალოს ისინი საუკეთესო მანქანებით, როგორც კი მას შეუძლია გამოიგონოს ან იყიდოს. მისი შემძლებლობა ორივე ამ მხრივ ჩვეულებრივ შეესაბამება მისი მარაგის სიდიდეს ანუ

მუშების რიცხვს, რომლებიც მას ძალუძს ამუშაოს. ამიტომ სასარგებლო შრომის რაოდენობა ქვეყანაში არა თუ მატულობს იმ მარაგის ზრდასთან ერთად, რომელიც ამ შრომას გამოიყენებს, არამედ, გარდა ამისა, შრომის იგივე რაოდენობა, ამ მატების გამო, სამუშაოს ბევრად უფრო დიდ რაოდენობას აწარმოებს.

ასეთია საერთოდ მარაგის გადიდების მოქმედება შრომასა და მის პროდუქტიულ ძალაზე.

ამ წიგნში მე შევეცადე განმემატნა მარაგის ბუნება, ის მოქმედება, რომელიც აქვს მარაგის დაგროვებას სხვადასხვა სახის კაპიტალებად, და ის შედეგები, რომლებიც აქვს ამ კაპიტალების სხვადასხვა გამოყენებას. ეს წიგნი დაყოფილია ხუთ თავად. პირველ თავში მე შევეცადე დამენახებია ის სხვადასხვა ნაწილები ანუ დარგები, რომლებიდანაც ბუნებრივად ნაწილდება ცალკეული პირის ან დიდი საზოგადოების მარაგი. მეორე თავში მე შევეცადე გამერკვია ბუნება და მოქმედება ფულის, როგორც საზოგადოების საერთო მარაგის განსაკუთრებული დარგისა. მარაგი, რომელიც დაგროვილია კაპიტალის სახით, შეიძლება ან თვით იმ პირის მიერ იქნეს გამოყენებული, რომელსაც იგი ეკუთვნის, ანდა სესხად მიეცეს ვინმე სხვა პირს. მესამე და მეოთხე თავებში მე შევეცადე გამომეკვლია, თუ როგორ მოქმედებს კაპიტალი ორსავე ამ შემთხვევაში. მეხუთე – უკანასკნელ – თავში განხილულია ის სხვადასხვა ზემოქმედება, რომელსაც კაპიტალის სხვადასხვა გამოყენება ახდენს უშუალოდ როგორც ეროვნული შრომის რაოდენობაზე, ისე მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის სიდიდეზე.

თ ა ვ ი I

მარაგის დანაწილება

როდესაც მარაგი, რომელიც ადამიანს აქვს თავის მფლობელობაში, იმაზე მეტი არაა, რაც საკმარისია მის შესანახად რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში, იგი იშვიათად ფიქრობს მისგან რაიმე შემოსავლის მიღებაზე. იგი მას მოიხმარებს შემდეგისამებრ მომჭირნეობით, და ცდილობს თავისი შრომით მოიპოვოს რაიმე, რამაც შეიძლება მარაგის ადგილი დაიკავოს, ვიდრე ეს მარაგი სულ მთლად მოიხმარებოდეს. მისი შემოსავალი ამ შემთხვევაში გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ მისი შრომიდან. ასეთია მეტწილ ღარიბ მშრომელთა მდგომარეობა ყველა ქვეყანაში.

მაგრამ თუ იმ ადამიანს ისეთი მარაგი აქვს თავის მფლობელობაში, რომელიც საკმარისია მის შესანახად რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში იგი ცდილობს, რასაკვირველია, შემოსავალი მიიღოს ამ მარაგის უდიდესი ნაწილიდან, იტოვებს რა თავისი უშუალო მოხმარებისათვის მხოლოდ იმდენს, რამდენიც მას დასჭირდება თავის შესანახად მანამდე, როდესაც ეს შემოსავალი იწყებს მასთან მოსვლას. ამრიგად, მთელი მისი მარაგი იყოფა ორ ნაწილად. იმ ნაწილს, რომლისგანაც იგი მოელის შემოსავლის მიღებას, ეწოდება მისი კაპიტალი. მეორე კი ის ნაწილია, რომელიც მის უშუალო მოხმარებას აკმაყოფილებს; იგი შესდგება ან, ჯერ ერთი, მისი მთელი მარაგის იმ ნაწილისაგან, რომელიც იმთავითვე გადადებული იყო ამ მიზნისათვის; ან, მეორე, მისი შემოსავლისაგან, – რა წყაროდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, – როგორც იგი მას თანდათანობით

შემოუდის; ან, მეხამე, იმ საგნებისაგან, რომლებიც ნაყიდი იყო მარაგის ამა თუ იმ ნაწილით წინა წლებში და რომლებიც ჯერ კიდევ არაა მთლად მოხმარებული: ასეთია მარაგი ტანსაცმელის, ავეჯულობის და მსგავსი საგნებისა. ერთი, ან მეორე, ან ყველა სამივე სახის საგნებისაგან შესდგება ის მარაგი, რომელსაც ადამიანები ჩვეულებრივ შემოინახავენ ხოლმე თავიანთი საკუთარი უშუალო მოხმარებისათვის.

არსებობს ორი წესი, რომლითაც კაპიტალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, რათა მან შემოსავალი ანუ მოგება მისცემ მის გამომყენებელს.

ჯერ ერთი, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროდუქტების აღმოსაგენებლად, გადასამუშავებლად ან საყიდლად მოგებით ისევ გაყიდვის მიზნით. ამგვარად გამოყენებული კაპიტალი არ აძლევს მის გამომყენებელს არავითარ შემოსავალს ანუ მოგებას, სანამ იგი მის მფლობელობაშია დარჩენილი ან შენარჩუნებული აქვს თავისი წინანდელი ფორმა. პროდუქტები, რომლებიც ვაჭარს ხელთ აქვს, არ აძლევს მას შემოსავალს ანუ მოგებას, სანამ იგი მათ არ გაჰყიდის ფულზე, ფულიც მას ასევე ნაკლებ სარგებლობას აძლევს, სანამ იგი მას კვლავ არ გასცვლის პროდუქტებზე. მისი კაპიტალი მუდამ მიდის მისგან ერთი სახით და უბრუნდება მას მეორე სახით, და მხოლოდ ასეთი მიმოქცევის გზით ანუ თანამიმდევრო გაცვლა-გამოცვლათა გზით შეუძლია კაპიტალს მისცეს მას რაიმე მოგება. ამიტომ ასეთ კაპიტალებს შეიძლება სრულიად შესაბამისად ეწოდოს საბრუნავი კაპიტალები.

მეორე, კაპიტალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის გასაუმჯობესებლად, სასარგებლო მანქანებისა და სამუშაო იარაღების ან მსგავსი საგნების საყიდლად, რომელნიც შემოსავალს ანუ მოგებას იძლევიან მფლობელის გამოუცვლელად ან შემდგომ მიმოქცევაში შეუსვლელად. ამიტომ ასეთ კაპიტალებს სრულიად შესაბამისად ეწოდოს ძირითადი კაპიტალები.

სხვადასხვა მოსაქმეობა მოითხოვს ფრიად სხვადასხვა შეფარდებას მასში გამოყენებულ ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის.

ვაჭრის კაპიტალი, მაგალითად, მთლად საბრუნავი კაპიტალი არის. ვაჭარს არ სჭირდება არავითარი მანქანები ან სამუშაო იარაღები, თუ ასეთებად არ ჩვეთვლით მის დუქანს ან სასაქონლო საწყობს.

ყოველი ხელოსნის ან მემანუფაქტურის კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი უნდა ჩამაგრებული იქნეს მისი მოსაქმეობის ხელსაწყობში. მხოლოდ ეს ნაწილი ზოგ მოსაქმეობაში ძალიან მცირეა, სხვებში _ ძალიან დიდი. ხელოსან თერძს არ ესაჭიროება არავითარი სხვა ხელსაწყო, გარდა რამდენიმე ნემსისა. მეჩექმის ხელსაწყო რაოდენადმე უფრო ძვირია, მაგრამ ძალიან ცოტათი. ფეიქრისა კი მნიშვნელოვნად აღემატება მეჩექმისას. მაგრამ სამაგიეროდ ყველა ასეთ ოსტატ ხელოსანთა კაპიტალის გაცილებით უდიდესი ნაწილი მიმოიქცევა მათი მუშების ხელფასის სახით ან მათ მიერ ხმარებული მასალების ფასის სახით და აუნაზღაურდება მათ, მოგებითურთ, მათი ნაწარმის ფასში.

მოსაქმეობის სხვა დარგებში მოითხოვება ბევრად უფრო დიდი ძირითადი კაპიტალი. რკინის ქარხანაში, მაგალითად, ღუმელი მადნის გასადნობად, ქურა, წისქვილი მადნის დასაფხვნელად ისეთ სამუშაო იარაღებს წარმოადგენს, რომელთა გამართვა ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვს. ქვანახშირის მალაროებში და ყოველგვარ სამადნეებში წყლისა მოსატუმბავად და სხვა მიზნებისათვის საჭირო მანქანები ხშირად კიდევ უფრო ძვირად ღირს.

ფერმერის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამიწათმოქმედო იარაღებშია მოთავსებული, შეადგენს ძირითად კაპიტალს, ხოლო ის ნაწილი, რომელიც

გამოიყენება ხელფასად და მისი მუშა-მოჯამაგირეების შესანახად, წარმოადგენს საბრუნავ კაპიტალს. ფერმერი მოგებას იღებს პირველისაგან, ინარჩუნებს რა მას თავის მფლობელობაში, და მეორისაგან იღებს მოგებას მით, რომ გასცემს მას. მისი მუშა-პირუტყვის ფასი ანუ ღირებულება ძირითადი კაპიტალია იმგვარადვე, როგორც ფასი მისი სამეურნეო იარაღებისა; პირუტყვის საკვები შეადგენს საბრუნავ კაპიტალს იმგვარადვე, როგორც მუშა-მოჯამაგირეების შესანახი. ფერმერი მოგებას იღებს იმ გზით, რომ მუშა-პირუტყვს ინარჩუნებს თავის მფლობელობაში და მის საკვებს ხარჯავს. პირიქით, იმ ცხოველების როგორც ფასი, ისე შესანახი, რომლებსაც ფერმერი არა სამუშაოდ, არამედ გასაყიდად ყიდულობს და ასუქებს, საბრუნავ კაპიტალს შეადგენს. ფერმერი თავის მოგებას იღებს იმ გზით, რომ ჰყიდის ამ ცხოველებს. ცხვრის ფარა ან რქოსანი საქონლის ჯოგი, რომელსაც, მის მოსაშენებლად გამოსადეგ ქვეყანაში, ყიდულობენ არა სამუშაოდ და არა გასაყიდად, არამედ იმ მიზნით, რომ მისი მატყლისგან, რძისგან ან ნაშენისგან მოგება მიიღონ, ძირითად კაპიტალს შეადგენს. მოგება მიიღება იმ გზით, რომ პირუტყვი შენარჩუნებული რჩება. მისი საკვები წარმოადგენს საბრუნავ კაპიტალს. მოგება მიიღება იმ გზით, რომ ამ საკვებს ხარჯავენ, და იგი უკუბრუნდება მატყლის, რძისა და ნაშენის ფასში არათუ თავისი საკუთარი მოგებითურთ, არამედ აგრეთვე მოგებითურთ ცხოველის ერთობლივ ფასზე. ასევე თესლის ერთობლივი ღირებულება, ნამდვილად, ძირითად კაპიტალს წარმოადგენს. თუმცა თესლი მიდი-მოდის წინ და უკან მინდორსა და ბელელს შორის, მაგრამ არასოდეს არ იცვლის პატრონს და, მაშასადამე, თუ ნამდვილად ვიტყვით, არ მიმოიქცევა. ფერმერი მოგებას იღებს არა მისი გაყიდვის გზით, არამედ მისი გამრავლებით.

ყოველი ქვეყნის ან საზოგადოების საერთო მარაგი იგივეა, რაც არის მარაგი ყველა მის მცხოვრებთა ანუ წევრთა, და ამიტომ ბუნებრივად იყოფა იმავე სამ ნაწილად, რომელთაგან თითოეულს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია ანუ დანიშნულება აქვს.

პირველი ის ნაწილია, რომელიც გადადებული არის უშუალო მოხმარებისათვის და რომელიც მით ხასიათდება, რომ შემოსავალს ანუ მოგებას არ იძლევა. იგი შესდგება საზრდოს, ტანსაცმელის, ავეჯეულობისა და სხვ. მარაგისაგან, რომლებიც ნაყიდა მათი მომხმარებლების მიერ, მაგრამ რომლებიც ჯერ კიდევ არაა მთლად მოხმარებული. აგრეთვე მთელი მარაგი მარტოდენ საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც ყოველ მოცემულ მომენტში მოიპოვება ქვეყანაში, შედის საზოგადოების მარაგის ამ პირველ ნაწილში. მარაგი, რომელიც სახლისთვისაა დახარჯული, თუ ეს სახლი მისი მესაკუთრის საცხოვრებლად არის დანიშნული, იმავე მომენტიდან აღარ ასრულებს კაპიტალის ფუნქციას, ე. ი. აღარ აძლევს მის პატრონს რაიმე შემოსავალს. საცხოვრებელი სახლი, როგორც ასეთი, არს მატებს მასში მცხოვრების შემოსავალს; და თუმცა იგი, უეჭველად, ფრიად სასარგებლოა მისთვის, მაგრამ სასარგებლოა ისევე, როგორც მისი ტანსაცმელი და ავეჯეულობა, რომლებიც, მაინც, შეადგენს მისი ხარჯების, და არა შემოსავლის, ნაწილს. თუ სახლი მოქირავებუ გაიცემა რენტისთვის, იმ შემთხვევაში, რადგან თვით სახლს არა შეუძლია რა წარმოშვას, მოქირავემ რენტა უნდა იხადოს ყოველთვის რაიმე სხვა შემოსავლიდან, რომელსაც იგი იღებს ან შრომიდან, ან კაპიტალიდან, ანდა მიწიდან. ამიტომ, თუმცა სახლს შეუძლია მის პატრონს შემოსავალი მისცეს და ამგვარად მისთვის კაპიტალის ფუნქცია შეასრულოს, მას არ შეუძლია რაიმე შემოსავლის მიცემა საზოგადოებისთვის ანუ მისთვის კაპიტალის ფუნქციის შესრულება, და მთელი ხალხის შემოსავალი ოდნავადაც ვერ გადიდდება ოდესმე ამ გზით. ტანსაცმელი და ავეჯეულობა ზოგჯერ

ასევე აძლევს ცალკეულ პირთ შემოსავალს და ამგვარად ასრულებს მათთვის კაპიტალის ფუნქციას. იმ ქვეყნებში, სადაც ჩვეულებად აქვთ მასკარადების გამართვა, პროფესიად არის გამხდარი სამასკარადო ტანსაცმელების ერთი ღამით გაცემა ქირით. მეავეჯენი სახლის მოწყობილობას ხშირად იძლევიან ქირით თვიურად ან წლიურად. დამარხვის პროცესის მოწყობილობის მესარეწენი ქირით იძლევიან მოწყობილობას დღიურად და კვირეულად. ბევრი ადამიანი ქირით იძლევა მორთულ სახლებს და იღებს რენტას არა მარტო სახლით სარგებლობისათვის, არამედ მორთულობით სარგებლობისთვისაც. მაგრამ შემოსავალი, რომელიც ყველა ამ შემთხვევაში მიიღება, ყოველთვის ადებული უნდა იქნეს, ბოლოს და ბოლოს, შემოსავლის რაიმე სხვა წყაროებიდან. მარაგის ნაწილებიდან, რომელიც ცალკეულ პირს ან საზოგადოებას ეკუთვნის და უშუალო მოხმარებისთვისაა გადადებული, ყველაზე უფრო ნელა მოიხმარება ის ნაწილი, რომელიც სახლებშია მოთავსებული. მარაგს ტანსაცმელის სახით შეუძლია გასძლოს რამდენსამე წელიწადს. ავეჯეულობის მარაგს – ნახევარ საუკუნეს ან მთელ საუკუნეს, მარაგს სახლების სახით კი, რომლებიც კარგადაა აშენებული და სათანადოდ მოვლილი, შეუძლია რამდენსამე საუკუნეს გასძლოს. მაგრამ, თუმცა მათი სრული მოხმარების პერიოდი უფრო ხანგრძლივი არის, ისინი მაინც, სინამდვილეში, უშუალო მოხმარებისათვის გადადებულ მარაგს წარმოადგენენ ისევე, როგორც ტანსაცმელი ან ავეჯეულობა.

მეორე ნაწილს იმ სამი ნაწილიდან, რომლებსაც საზოგადოების საერთო მარაგი იყოფა, შეადგენს ძირითადი კაპიტალი, რომელიც ხასიათდება მით, რომ შემოსავალი ანუ მოგება მოაქვს, მიმოქცევაში შეუსვლელად ანუ პატრონის გამოუცვლელად. იგი შესდგება, უმთავრესად, შემდეგი ოთხი სახის საგნებისაგან.

პირველი: ყოველგვარი სასარგებლო მანქანებისა და სამუშაო იარაღებისაგან, რომელნიც აადვილებენ და ამოკლებენ შრომას.

მეორე: ყველა იმ მოსაგებიანი შენობებისაგან, რომელნიც წარმოადგენენ საშუალებას შემოსავლის მისაღებად არა მარტო მათი მესაკუთრისათვის, რომელიც მათ გააქირავენ რენტისათვის, არამედ იმ პირისთვისაც, რომელიც მათ ქირაობს და მათში რენტას იხდის; ასეთებია – დუქნები, საწყობები, სახელოსნოები, სახლები ფერმაში ყველა საჭირო შენობითურთ: ბოსლებით, ბელლებით და სხვ. ეს შენობები ძალიან განირჩევა მარტოდენ საცხოვრებელი სახლებისაგან. ისინი წარმოადგენენ ერთგვარ სამუშაო იარაღებს და შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ასეთები.

მესამე: მიწის გაუმჯობესებისაგან, – ყველა იმისაგან, რაც ხელსაყრელად იყო დახარჯული მიწის გასაწმენდად, ამოსაშრობად, შესაღებად, საპატივებლად და მის მოსაყვანად დამუშავებისა და კულტურისათვის უაღრესად ვარგის მდგომარეობაში. გაუმჯობესება შეტანილი ფერმა შეიძლება, სრული უფლებით, იმავე თვალსაზრისით განვიხილოთ, როგორც სასარგებლო მანქანები, რომელნიც აადვილებენ და ამოკლებენ შრომას და რომელთა დახმარებით ერთსა და იმავე საბრუნავ კაპიტალს გაცილებით უფრო დიდი შემოსავალი შეუძლია მისცეს მის გამომყენებელს. გაუმჯობესება შეტანილი ფერმა ისევე ხელსაყრელია და უფრო გამძლე არის, ვიდრე რომელიმე იმ მანქანათაგანი, ვინაიდან იგი ხშირად არ მოითხოვს არავითარ შემდგომ შეკეთებას, საჭიროებს მხოლოდ უაღრეს მოგებიანად გამოყენებას ფერმერის კაპიტალისას, რომელიც მის დამუშავებაზე იხარჯება.

მეოთხე: საზოგადოების ყველა მცხოვრებთა და წევრთა შეძენილი და სასარგებლო უნარისაგან. ასეთი უნარის მოპოვება, რადგან ამისათვის მისი შემძენელის შენახვა ამ უკანასკნელის აღზრდის, სწავლისა ანუ შეგირდობის განმავლობაში, მოითხოვს ყოველთვის ნამდვილ ხარჯებს, რომლებიც წარმოადგენს

ძირითად კაპიტალს, განხორციელებულს, ასე ვთქვათ, ასეთი ადამიანის პიროვნებაში. რადგან ეს უნარი შეადგენს პიროვნების ქონების ნაწილს, ამიტომ იგი შეადგენს აგრეთვე იმ საზოგადოების ქონების ნაწილს, რომელსაც პიროვნება ეკუთვნის. მუშის განვითარებული დახელოვნება შეიძლება განვიხილოთ იმავე თვალსაზრისით, როგორც მანქანა და სამუშაო იარაღი, რომლებიც აადვილებს ან ამცირებს შრომას და რომლებიც თუმცა მოითხოვს განსაზღვრულ ხარჯებს, მაგრამ ამ ხარჯებს ანაზღაურებს მოგებითურთ.

მესამე და უკანასკნელ ნაწილს იმ სამი ნაწილიდან, რომლებსაც ბუნებრივად იყოფა საზოგადოების საერთო მარაგი, შეადგენს საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ხასიათდება მით, რომ იგი შემოსავალს იძლევა მიმოქცევაში გავლის გზით ანუ პატრონის გამოცვლის გზით. იგიც ასევე ოთხი ნაწილისაგან შესდგება:

პირველი: ფულისაგა, რომლის მოსაშუალოებით სწარმოებს დანარჩენი სამი ნაწილის მიმოქცევა და მათი განაწილება მათ ნამდვილ მომხმარებლებს შორის;

მეორე: სურსათის მარაგისაგან, რომელიც ყასაბის, პირუტყვის მომშენებლის, ფერმერის, პურით მოვაჭრის, ლუდის მხდელისა და სხვათა მფლობელობაში მოიპოვება და რომლის გაყიდვიდან ისინი მოგების მიღებას მოელიან;

მესამე: მასალებისაგან სრულიად ნედლის ან მეტნაკლებ დამუშავებულისაგან, რომლებიც დანიშნულია ტანსაცმელის, ავეჯეულობის დასამზადებლად და შენობების ასაგებად და რომლებიც ჯერ კიდევ არაა ამ სამი საქმისათვის გამოყენებული, არამედ სოფლის მეურნეების, მემანუფაქტურეების, აბრეშუმით და მაუდით მოვაჭრეების, ხე-ტყით მოვაჭრეების, ხუროებისა და დურგლების, მეაგურეებისა და სხვათა ხელშია დარჩენილი;

მეოთხე და დასასრულ: ნაწარმისაგან, რომელიც უკვე დამზადებულია და დასრულებული, მაგრამ ჯერ კიდევ ვაჭრის ან მემანუფაქტურის ხელში იმყოფება და არაა ჯერ გასაღებული ანუ სათანადო მომხმარებლებს შორის განაწილებული; ასეთებია მზა პროდუქტები, რომლებსაც ჩვენ ხშირად ვხედავთ, გასასყიდად გამოფენილს, დუქნებში: მჭედლის, დურგლის, ოქრომჭედლის, იუველირის, ფაიფურით მოვაჭრის და სხვებისა. ამრიგად, საბრუნავი კაპიტალი შესდგება სურსათისაგან, მასალებისაგან და ყოველგვარი მზა პროდუქტებისაგან, რომლებიც სათანადო ვაჭრების ხელში იმყოფება, და ფულისაგან, რომელიც საჭიროა მათ სამიმოქცეოდ და იმათ შორის გასანაწილებლად, რომელთაც ისინი საბოლოოდ გამოიყენონ ან მოიხმარონ.

ამ ოთხი ნაწილიდან სამი ნაწილი, სახელდობრ სურსათი, მასალები და მზა პროდუქტები – ან ყოველწლიურად, ან უფრო მოკლე ან უფრო გრძელ პერიოდებში – რეგულარულად ამოიღება საბრუნავი კაპიტალიდან და ჩაირთვის ან ძირითად კაპიტალში, ანდა მარაგში, როდესაც უშუალო მოხმარებისთვისაა დანიშნული.

ყოველი ძირითადი კაპიტალი თავდაპირველად წარმოსდგება საბრუნავი კაპიტალიდან და საწიროებს განუწყვეტლივ შევსებას ამავე წყაროდან. ყველა სასარგებლო მანქანა და სამუშაო იარაღები თავდაპირველად საბრუნავი კაპიტალიდან არის წარმომდგარი, რომელიც იძლევა მასალებს, რისგანაც ისინი არიან დამზადებული, და მუშების შესანახს, რომელნიც მათ ამზადებენ. აგრეთვე ამავე სახის კაპიტალია საჭირო მათი განუწყვეტელი შეკეთებისათვის.

არავითარ ძირითად კაპიტალს არ შეუძლია რაიმე შემოსავლის მოცემა სხვაფრივ, თუ არ საბრუნავი კაპიტალის დახმარებით. ყოველად სასარგებლო მანქანები და სამუშაო იარაღები ვერას აწარმოებენ უსაბრუნავ კაპიტალოდ, რომელიც იძლევა მასალებს, რომელნიც მათ გამოიყენებენ. მიწა, რაგინდ გაუმჯობესებული

იყოს, არავითარ შემოსავალს არ მოსცემს უსაბრუნავ კაპიტალოდ, რომელიც იძლევა იმ მუშების შესანახს, მიწის დამუშავებას რომ ეწევიან და მის პროდუქტს რომ აგროვებენ.

როგორც ძირითადის, ისე საბრუნავი კაპიტალის ერთადერთ მიზანს და დანიშნულებას შეადგენს შენარჩუნება და გადიდება მარაგისა, რომელიც უშუალო მოხმარებისთვისაა დანიშნული. ამ მარაგითაა, რომ ადამიანები იკვებებიან, იმოსებიან და ბინას პოულობენ. მათი სიმდიდრე ან სიღარიბე იმაზეა დამოკიდებული, უხვად თუ მუნწად აძლევს მათ ორი სახის კაპიტალი მასალას იმ მარაგისათვის, რომელიც უშუალო მოხმარებისთვისაა დანიშნული.

რადგან საბრუნავ კაპიტალს მუდამ გამოეცლება ხოლმე საზოგადოების საერთო მარაგის ესოდენ დიდი ნაწილი ორ სხვა დარგში შესატანად, ამიტომ იგი, თავის მხრივ, მუდამ უნდა იქნეს შევსებული, – უამისოდ მისი არსებობა მალე სრულიად მოისპობოდა. ეს შევსება მას ეძლევა, უმთავრესად, სამი წყაროდან: მიწიდან, სამადნეებიდან და თევზაობიდან. ისინი იძლევიან მუდამ სურსათისა და მასალების ახალ-ახალ რაოდენობას, რომლის ნაწილი შემდეგ გადაამუშავდება მზა პროდუქტებად და რომელიც შეავსებს იმ სურსათს, მასალებსა და მზა პროდუქტებს, რაც განუწყვეტლივ ამოიღება საბრუნავი კაპიტალიდან. სამადნეებიდან მიიღება აგრეთვე ის, რაც საჭირო არის მარაგის იმ ნაწილის დასაცავად და გასადიდებლად, რომელიც ფულისგან შესდგება. თუმცა, საქმეების ჩვეულებრივ მსვლელობისას, ეს ნაწილი არ ამოიღება საბრუნავი კაპიტალიდან აუცილებლად, როგორც ამას ადგილი აქვს სამი სხვა ნაწილის შესახებ, რათა შეტანილ იქნეს საზოგადოების საერთო მარაგის ორ სხვა დარგში, მაგრამ მაინც, ყველა სხვა საგნის მსგავსად, იგი ბოლოს და ბოლოს ცვდება და იღევა, ანდა ზოგჯერ იკარგება ან საზღვარგარეთ იგზავნება, და ამიტომ მუდმივ შევსებას მოითხოვს, თუმცა, უეჭველია, ბევრად ნაკლები ზომით.

მიწა, სამადნეები და თევზაობა მოითხოვს – ყველა – როგორც ძირითადს, ისე საბრუნავ კაპიტალს, მათი წარმოებისათვის, და მათი პროდუქტი ანაზღაურებს მოგებითურთ არა მარტო ამ კაპიტალებს, არამედ ყველა სხვა კაპიტალსაც საზოგადოებაში. ასე, ფერმერი ყოველწლიურად უნაზღაურებს მემანუფაქტურეს იმ სურსატს, რომელიც ამ უკანასკნელმა მოიხმარა, და იმ მასალებს, რომლებიც მან გადაამუშავა წინა წელში; მემანუფაქტურე, თავის მხრივ, უნაზღაურებს ფერმერს იმ მზა პროდუქტებს, რომლებიც ამ უკანასკნელმა მოიხმარა და გასცვითა იმავე დროის განმავლობაში. ასეთია ის რეალური გაცვლა-გამოცვლა, რომელიც ყოველწლიურად სრულდება ხალხის ამ ორ კლასს შორის, თუმცა იშვიათია, რომ ერთის ნედლი მასალები და მეორის მზა პროდუქტები უშუალოდ გაიცვალოს ერთმანეთზე, ვინაიდან მართლა იშვიათად მოხდება, რომ ფერმერმა თავისი პური ან პირუტყვი, თავისი სელი და მატყლი სწორედ იმ პირს მიჰყიდოს, რომლისგანაც მას სურს იყიდოს თავისთვის საჭირო ტანსაცმელი, ავეჯი და სამუშაო იარაღები. ამიტომ თავის ნედლ პროდუქტს იგი ჰყიდის ფულზე, რომლითაც მას შეუძლია იყიდოს თავისთვის საჭირო მზა პროდუქტი ყველგან, სადაც იშოვება. მიწა ანაზღაურებს კიდევ, ნაწილობრივ მაინც, იმ კაპიტალებს, რომლებითაც თევზის ჭერა და სამადნეები იწარმოება. მიწის პროდუქტითაა, რომ თევზი ამოაქვთ წყლიდან, და მიწის ზედაპირის პროდუქტითაა, რომ მინერალებს იღებენ მიწის წიაღიდან.

მიწიდან, სამადნეებიდან და თევზაობიდან მიღებული პროდუქტის რაოდენობა, თუ მათ ბუნებრივ პროდუქტივობას თანატოლს ვიგულისხმებთ, მათზე დახარჯული კაპიტალების სიდიდესა და სათანადო გამოყენებაზეა დამოკიდებული.

თუ კაპიტალები ერთნაირია და თანაბარ კარგად არის გამოყენებული, ეს რაოდენობა პროპორციულია მათი ბუნებრივი პროდუქტივობისა.

ყველა ქვეყანაში, სადაც საკმაოდ მტკიცე წყობილება არსებობს, ყოველი ადამიანი, რომელსაც კი საღი გონიერება შესწევს, ცდილობს მის განკარგულებაში არსებული მარაგი გამოიყენოს იმისათვის, რომ მოიპოვოს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აწმყოში ან მოგება მერმისში. თუ მარაგი გამოიყენება რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწმყოში, იგი წარმოადგენს იმ მარაგს რომელიც უშუალო მოხმარებისთვისაა დანიშნული. თუ იგი გამოიყენება მოგების მისაღებად მერმისში, ამ მარაგმა ეს მოგება უნდა მოიღოს ან მის მფლობელთან დარჩენის გზით, ანდა მისი ხელიდან გასვლის გზით. პირველ შემთხვევაში იგი იქნება ძირითადი კაპიტალი, მეორეში – საბრუნავი კაპიტალი. ადამიანი სრულიად ტუტუცი უნდა იყოს, თუ ქვეყანაში საკმაოდ მტკიცედ წყობილებაა და იგი არ ხმარობს მის განკარგულებაში არსებულ მარაგს, თავის საკუთარს ან სხვებისგან ნასესხებს, ერთ-ერთი წესით ამ სამში.

რასაკვირველია, იმ ბედკრულ ქვეყნებში, სადაც ადამიანები მუდამ შიშში არიან, რომ მსხვერპლი გახდებიან ძალმომრეობისა მათი უფროსების მხრივ, ისინი ხშირად მიწაში მარხავენ და მალავენ თავიანთი მარაგის უდიდეს ნაწილს, რათა იგი მუდამ ხელთ ჰქონდეთ იმისათვის, რომ შეეძლოთ თან წაიღონ უშიშარ ადგილას, როდესაც მათ ემუქრება ერთ-ერთი ის ხიფათი, რომელსაც ისინი – მათ აქვთ საფუძველი ასე ფიქრობდნენ – მუდამყამ ექვემდებარებიან. ეს, როგორც ამბობენ, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს თურქეთში, ინდოსტანში და, მე მგონია, აზიის მეტწილ ქვეყნებში. ასეთივე ჩვეულება იყო, როგორც ეტყობა, გავრცელებული ჩვენს წინაპრებშიაც. ფეოდალური მმართველობის ძალმომრეობის ხანაში. ნაპოვნი განძები იმ ხანაში შეადგენდა არა მცირემნიშვნელოვან ნაწილს ევროპის უდიდესი ხელმწიფეების შემოსავლისა. ეს იყო აღმოჩენილი განძები, რომლებიც მიწაში იყო ჩაფლული და რომელთა მიმართ არავის არ შეეძლო თავისი უფლების დამტკიცება. იმ დროში ასეთი განძები შემოსავლის ისე მნიშვნელოვან დარგად იყო მიჩნეული, რომ მათ ყოველთვის ხელმწიფის კუთვნილად სთვლიდნენ და არა მპოვნელის, არც მიწის მესაკუთრისა, უკეთუ ამ უკანასკნელისადმი ბოძებულ სიგელში პირდაპირ არ იყო აღნიშნული საამისო მისი უფლება. ეს განძები გათანაბრებული იყო ოქროსა და ვერცხლის სამადნეებთან, რომლებიც, თუ განსაკუთრებით აღნიშნული არ იყო სიგელში, არასოდეს არ ითვლებოდა ჩარიცხულად მიწების საერთო ბოძებაში, თუმცა ტყვის, სპილენძისა და კალის სამადნეები და ნახშირის მადაროები, როგორც ნაკლები მნიშვნელობის მქონე, კი იყო ჩარიცხული.

თ ა ვ ი II

**ფული, როგორც საზოგადოების საერთო მარაგის განსაკუთრებული ნაწილი,
ანუ
ეროვნული კაპიტალის შენარჩუნების ხარჯები**

პირველ წიგნში ნაჩვენები იყო, რომ მეტწილ საქონელთა ფასი იშლება სამ ნაწილად, რომელთაგან ერთი იხდის შრომის ხელფასს, მეორე – კაპიტალის მოგებას და მესამე – მიწის რენტას, რომლებიც საჭირო იყო მათ საწარმოებლად და ბაზარზე მისატანად; რომ არსებობს, მართალია, ზოგი ისეთი პროდუქტები, რომელთა ფასი

შესდგება მხოლოდ ორი ნაწილისაგან, სახელდობრ შრომის ხელფასისაგან და კაპიტალის მოგებისაგან, და ძალიან ცოტა – ისეთი პროდუქტები, რომელთა ფასი საზოგადოდ მხოლოდ ერთი ნაწილისაგან, შრომის ხელფასისაგან, შესდგება, მაგრამ რომ ყოველი საქონლის ფასი აუცილებლად იშლება ან ერთ, ან მეორე ან მესამე ნაწილად აღნიშნულ სამში, ამასთან ყოველი მისი ნაწილი, რომელიც არ მიდის არც რენტაზე და არც ხელფასზე, აუცილებლად ვინმეს მოგებას შეადგენს.

და, როგორც აღნიშნული იყო, თუ ეს ასეა, თითოეული ერთეული საქონლის, ცალკე აღებული, შესახებ, მაშ ასევე უნდა იყოს ყველა საქონელთა, ერთად აღებულითა, შესახებაც, რომელნიც ყოველი ქვეყნის მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს შეადგენენ. ამ წლიური პროდუქტის მთელი ფასი ანუ საცვლელი ღირებულება უნდა იშლებოდეს იმავე სამ ნაწილად და განაწილდებოდეს ქვეყნის სხვადასხვა მცხოვრებთ შორის ან მათი შრომის ხელფასის სახით, ან მათი კაპიტალის მოგების სახით ანდა მათი მიწის რენტის სახით.

თუმცა ყოველი ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება განაწილდება, ამგვარად, ქვეყნის სხვადასხვა მცხოვრებთ შორის და შეადგენს მათ შემოსავალს, მაგრამ მსგავსად იმისა, როგორც კერძო მამულის რენტაში ჩვენ გავარჩევთ მთლიან რენტას და წმინდა რენტას, დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრებთა შემოსავალშიც შეგვიძლია გავატაროთ ასეთი განსხვავება.

კერძო მამულის მთლიანი რენტა შეიცავს ყველაფერს, რასაც ფერმერი იხდის; წმინდა რენტას წარმოადგენს ის, რაც მემამულეს რჩება საგამგებლო, სარემონტო და ყველა სხვა საჭირო ხარჯების გამოკლების შემდეგ, ანუ, სხვა სიტყვებით, ის, რაც მას, თავისი მამულის მდგომარეობის გაუარესებლად, შეუძლია შეიტანოს თავის უშუალო მოხმარებისათვის დანიშნულ მარაგში, ანუ დახარჯოს თავის ჭამა-სმაზე, ეტლზე, თავისი სახლის მორთულობასა და ავეჯეულობაზე, თავის პირად სიამოვნებასა და გართობაზე. მისი ნამდვილი სიმდიდრე პროპორციულია არა მისი მთლიანი რენტის, არამედ მისი წმინდა რენტისა.

დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრებთა მთლიანი შემოსავალი შეიცავს მათი მიწისა და შრომის მთელ წლიურ პროდუქტს, წმინდა შემოსავალი კი – იმას, რაც თავისუფალი რჩება, ჯერ ერთი, მათი ძირითადი კაპიტალის და, მეორე, მათი საბრუნავი კაპიტალის შენარჩუნების ხარჯების გამოკლების შემდეგ, ანუ, სხვა სიტყვებით, ის, რაც მათ შეუძლიათ, თავიანთი კაპიტალის შეუმცირებლად, შეიტანონ უშუალო მოხმარებისათვის დანიშნულ მარაგში, ანუ დახარჯონ თავიანთ საზრდოზე, სიამოვნებასა და გართობაზე. მათი ნამდვილი სიმდიდრეც პროპორციულია არა მათი მთლიანი შემოსავლის, არამედ მათი წმინდა შემოსავლისა.

ძირითადი კაპიტალის შესანარჩუნებლად საჭირო ყველა ხარჯი, ცხადია, გამორიცხული უნდა იქნეს საზოგადოების წმინდა შემოსავლიდან. არც საზოგადოების სასარგებლო მანქანების და სამუშაო იარაღების, მისი მოსაგებიანი შენობების და სხვ. რემონტისათვის საჭირო მასალები, არც იმ შრომის პროდუქტი, რომელიც საჭიროა ამ მასალებისთვის ჯეროვანი ფორმის მისაცემად, არ შეიძლება შეადგენდეს ამ შემოსავლის რაიმე ნაწილს. ამ შრომის ფასი კი შეიძლება შეადგენდეს წმინდა შემოსავლის ნაწილს, რადგან მუშებს, რომელნიც ამ შრომას ეწევიან, შეუძლიათ თავიანთი ხელფასის მთელი ღირებულება შეიტანონ თავიანთ უშუალო მოხმარებისთვის დანიშნულ მარაგში. მაგრამ სხვა სახის შრომის შემთხვევაში ფასიც და პროდუქტიც ამ მარაგში შეიტანება: ფასი – მარაგში მუშებისა და პროდუქტი – მარაგში სხვა პირთა, რომლების საარსებო საშუალებები, კომფორტისა და სიამოვნების საგნები დიდდება ამ მუშების შრომის მეოხებით.

ძირითადი კაპიტალის დანიშნულებას შეადგენს შრომის პროდუქტიული ძალის გადიდება ანუ ის, რომ მუშების იმავე რაოდენობას შესაძლებლობა მისცეს უფრო დიდი რაოდენობის სამუშაოს შესრულებისა. იმ ფერმაში, სადაც ყველა საჭირო შენობები, ღობეები, არხები, გზები და სხვ. სრულს წესრიგში იმყოფება, მუშების და მუშა-პირუტყვების ერთი და იგივე რიცხვი პროდუქტების ბევრად უფრო დიდ რაოდენობას აწარმოებს, ვიდრე ისეთ ფერმაში, რომელიც თუმცა ასეთივე ზომისაა და ასეთივე კარგი ხარისხის მიწას შეიცავს, მაგრამ ასე კარგად არაა მოწყობილი. მანუფაქტურებში მუშა-ხელის ერთი და იგივე რაოდენობა, საუკეთესო მანქანების დახმარებით, პროდუქტების ბევრად უფრო დიდ მასას დაამზადებს, ვიდრე ნაკლებ სრულყოფილი სამუშაო იარაღების დახმარებით. ხარჯი, რომელიც რაიმე სახის ძირითადი კაპიტალისთვისაა მიზანშეწონილად გაწეული, ყოველთვის ანაზღაურდება, დიდი მოგებითურთ, და ადიდება წლიურ პროდუქტს ბევრად უფრო დიდი ღირებულებით, ვიდრე რასაც წარმოადგენს იმ დანახარჯის ღირებულება, რომელიც საჭიროა ასეთი გაუმჯობესების შესანარჩუნებლად. მაგრამ მაინც მის შესანარჩუნებლად საჭიროა იმ პროდუქტის განსაზღვრული ნაწილი; განსაზღვრული რაოდენობა მასალებისა და შრომა მუშათა განსაზღვრული რიცხვისა, რომელიც შეიძლება საზოგადოების საზრდოს, ტანსაცმელის, ბინების, არსებობისა და კომფორტის საგანთა რაოდენობის გასაზღვრებლად ყოფილიყო უშუალოდ გამოყენებული, გამოიყენება ამგვარად სხვა საქმეზე, – მართალია, ფრიად ხელსაყრელზე, მაგრამ მაინც მისგან განსხვავებულზე. ამის გამო ყველა ისეთი ტექნიკური გაუმჯობესება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მუშათა იმავე რიცხვს შეასრულოს სამუშაოს იგივე რაოდენობა უფრო იაფი და მარტივი მანქანების დახმარებით, ვიდრე წინათ იყო ხმარებაში, ყოველთვის აღიარებულია როგორც ხელსაყრელი ყოველი საზოგადოებისათვის. მასალების განსაზღვრული რაოდენობა და მუშათა განსაზღვრული რიცხვის შრომა, რომლებიც წინათ უფრო რთული და ძვირი მანქანების შენარჩუნებისათვის იხარჯებოდა, ამის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუშაობის გასაზღვრებლად, რაიც ამ მანქანის ან რომელიმე სხვა მანქანის დახმარებით სრულდება. თუ რომელიმე მესარეწე, დიდი მანუფაქტურის პატრონი, რომელიც წლიურად 1000 გირვ. სტერლინგს ხარჯავს თავისი მანქანების დასაცავად წესრიგში, შესძლებს 500 გირვანქამდე შეამციროს ეს ხარჯი, იგი, რასაკვირველია, დარჩენილ ხუთას გირვანქას მოიხმარს იმისათვის, რომ იყიდოს მასალის დამატებითი რაოდენობა და იგი გადაამუშავებინოს მუშათა დამატებით რიცხვს. ამრიგად, გადიდება იმ სამუშაოს რაოდენობა, რომლის შესრულებას მისი მანქანები ეხმარებოდა, და ამასთან ერთად გადიდება ყველა ის სარგებლობა და კომფორტი, რომელიც საზოგადოებას შეუძლია მიიღოს ამ მუშაობიდან.

ის ხარჯები, რომლებიც ძირითადი კაპიტალის შესანარჩუნებლად საჭირო რომელსამე დიდ ქვეყანაში, სრულიად შესაბამისად შეიძლება შევადაროთ კერძო მამულში გასაწევ რემონტის ხარჯებს. სარემონტო ხარჯები ხშირად შეიძლება საჭირო იყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მამულიდან პროდუქტის მიღება და, მამასადამე, მიღება მემამულის როგორც მთლიანი რენტის, ისე წმინდა რენტისა. მაგრამ მაშინ როდესაც, უფრო მიზანშეწონილი გამგებლობის მეოხებით, ეს ხარჯები შეიძლება შემცირდეს, პროდუქტის შემცირების გამოუწვევლად, – მთლიანი რენტა, ყოველ შემთხვევაში, უცვლელი რჩება, ხოლო წმინდა რენტა აუცილებლად დიდდება.

თუმცა, ამგვარად, მთელი ის ხარჯი, რომელიც ძირითადი კაპიტალის შესანარჩუნებლად საჭირო, აუცილებლად გამოირიცხება საზოგადოების წმინდა

შემოსავლიდან, მაგრამ ასე არაა საბრუნავი კაპიტალის შესანარჩუნებლად გასაწვევი ხარჯების შესახებაც. იმ ოთხი ნაწილიდან, რომლებისგანაც ეს კაპიტალი შესდგება, სახელდობრ: ფულიდან, საარსებო საშუალებებიდან, მასალებიდან და მზა პროდუქტებიდან, სამი უკანასკნელი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, რეგულარულად ამოიღება იქიდან და შეიტანება საზოგადოების ან ძირითად კაპიტალში, ანდა მარაგში, რომელიც უშუალო მოხმარებისთვისაა დანიშნული. მოხმარების ამ საგანთა ყოველი ნაწილი, რომელიც პირველის შენარჩუნებას არ ხმარდება, შედის მთლად უკანასკნელში და შეადგენს საზოგადოების წმინდა შემოსავლის ნაწილს. საბრუნავი კაპიტალის ამ სამი ნაწილის შენარჩუნებას, ამიტომ, არ მიაქვს საზოგადოების წმინდა შემოსავლიდან არავითარი ნაწილი წლიური პროდუქტისა, იმის გამოკლებით, რაც საჭიროა ძირითადი კაპიტალის შესანარჩუნებლად.

საზოგადოების საბრუნავი კაპიტალი, ამ მხრივ, განსხვავდება ცალკეული პირის საბრუნავი კაპიტალისაგან. ცალკეული პირის საბრუნავი კაპიტალი არ შეიძლება შეადგენდეს რაიმე ნაწილს მისი წმინდა შემოსავლისას; ეს უკანასკნელი მთლად უნდა შესდგებოდეს მისი მოგებისაგან. მაგრამ, თუმცა ყოველი ცალკეული პირის საბრუნავი კაპიტალი შეადგენს იმ საზოგადოების საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, რომელსაც ის პირი ეკუთვნის, _ ეს მაინც არ გამოორიცხავს მთლად იმის შესაძლებლობას, რომ ეს კაპიტალი შეადგენდეს აგრეთვე საზოგადოების წმინდა შემოსავლის ნაწილს. თუმცა ყველა ის საქონელი, რომელიც ვაჭრის დუქანში მოიპოვება, არას გზით არ შეიძლება ჩარიცხულ იქნეს მის საკუთარ მარაგში, რომელიც უშუალო მოხმარებისთვისაა დანიშნული, მაგრამ ეს საქონელი შეიძლება შეტანილ იქნეს ასეთ მარაგში სხვა ადამიანთა, რომელნიც, სხვა წყაროებიდან გამომდინარე შემოსავლით, ვაჭარს აუნაზღაურებენ რეგულარულად ამ საქონლის ღირებულებას მისი მოგებითურთ, და ამასთან _ ისე, რომ ამით არ გამოიწვევენ არც მისი და არც თავიანთი საკუთარი კაპიტალის არავითარ შემცირებას.

ამიტომ ფული წარმოადგენს საზოგადოების საბრუნავი კაპიტალის იმ ერთადერთ ნაწილს, რომლის შენარჩუნებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების წმინდა შემოსავლის განსაზღვრული შემცირება.

ძირითადი კაპიტალი და საბრუნავი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ფულის შესდგება, ძალიან ჰგავს ერთი მეორეს, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ საზოგადოების შემოსავალზე.

1. როგორც მანქანები და სამუშაო იარაღები და სხვ. განსაზღვრულ ხარჯებს მოითხოვენ ჯერ მათ დასამზადებლად და შემდეგ მათ შესანარჩუნებლად, _ ხარჯებს, რომლებიც, თუმცა საზოგადოების მთლიანი შემოსავლის ნაწილს შეადგენს, მაინც მისი წმინდა შემოსავლიდან გამოკლებას წარმოადგენს, ისევე იმ ფულის მარაგიც, რომელიც ქვეყანაში მიმოიქცევა, მოითხოვს განსაზღვრულ ხარჯებს ჯერ მის დასაგროვებლად და შემდეგ მის შესანარჩუნებლად, _ ხარჯებს, რომლებიც, თუმცა საზოგადოების მთლიანი შემოსავლის ნაწილს შეადგენს, მაინც, იმგვარადვე, მისი წმინდა შემოსავლიდან გამოკლებას წარმოადგენს. მეტად ძვირფასი მასალების, სახელდობრ ოქროსა და ვერცხლის, და ძალიან დახელოვნებული შრომის განსაზღვრული რაოდენობა, იმის ნაცვლად, რომ უშუალო მოხმარებისათვის დანიშნულ მარაგს, ცალკეულ პირთა არსებობის, კომფორტისა და სიამოვნების საგნებს ამრავლებდეს, გამოიყენება ამ მნიშვნელოვანი, მაგრამ ძვირად ღირებული სააღებმიცემო იარაღის მოსაპოვებლად, რომლის საშუალებითაც საზოგადოების

ყოველი ცალკეული წევრი იღებს რეგულარულად არსებობის, კომფორტისა და სიამოვნების საგნებს მისი შესაბამისი პროპორციით.

2. როგორც მანქანები და სამუშაო იარაღები და სხვ., რომელნიც ცალკეული პირის და საზოგადოების ძირითად კაპიტალს შეადგენენ, არ შეადგენენ არავითარ ნაწილს მათი არც მთლიანი და არც წმინდა შემოსავლისას, ისევე ფული, რომლის საშუალებით რეგულარულად განაწილდება ხოლმე საზოგადოების მთელი შემოსავალი მის სხვადასხვა წევრებს შორის, თვითონ არ შეადგენს ამ შემოსავლის ნაწილს. დიდი ბორბალი მიმოქცევისა სავსებით განსხვავებულია იმ პროდუქტებისაგან, რომელნიც მისი მოსაშუალებით მიმოიქცევიან. საზოგადოების შემოსავალი შესდგება მთლად ამ პროდუქტებისაგან და არა იმ ბორბლისაგან, რომელიც მათ მიმოაქცევს. როდესაც ჩვენ ვანგარიშობთ საზოგადოების მთლიან ან წმინდა შემოსავალს, ყოველთვის უნდა გამოვაკლოთ საზოგადოებაში მიმოქცეული პროდუქტებიდან და ფულიდან მთელი ღირებულება ფულისა, რომლის არც ერთი ფარტინგი არ შედის არც ერთსა და არც მეორეში.

მხოლოდ ენის ორაზროვნების გამოა, რომ ეს დებულება შეიძლება საეჭვოდ ან პარადოქსად გვეჩვენოს. თუ ჩვენ სათანადოდ ავხსნიტ მას და გავიგებთ, იგი ცხადზე უცხადესი შეიქნება.

როდესაც ჩვენ ფულის განსაზღვრულ თანხაზე ვლაპარაკობთ, აქ ჩვენ ზოგჯერ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის ლითონური მონეტები, რომლებისგანაც იგი შესდგება; მაგრამ ზოგჯერ ჩვენ მასში ჩავურთავთ ბუნდოვანად მითითებას პროდუქტებზე, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს ამ ფულის სამაგიეროდ, ანუ მსყიდველობით ძალაზე, რომელსაც იძლევა ამ ფულის ფლობა. ასე, როდესაც ჩვენ ვამბობთ, ინგლისში მიმოქცეულ ფულს 18 მილიონად ანგარიშობენო, ჩვენა ამით აზრად გვაქვს მხოლოდ გამოვსახოთ ლითონური მონეტების რაოდენობა, რომელიც, ზოგიერთი მწერლების გამოანგარიშებით ანუ, უკეთ, ვარაუდით, მოიპოვება ამ ქვეყნის მიმოქცევაში. მაგრამ როდესაც ჩვენ ვამბობთ, ამა და ამ ადამიანს 50 ან 100 გირვანქა წლიური შემოსავალი აქვსო, ჩვენ გვინდა გამოვსახოთ არა მარტო ლითონური მონეტების რაოდენობა, რომელსაც მას აძლევენ ყოველწლიურად, არამედ პროდუქტების ღირებულებაც, რომლებიც მას შეუძლია იყიდოს ანუ მოიხმაროს ყოველ წელიწადს. ჩვენ გვინდა ჩვეულებრივ განვსაზღვროთ, როგორ ცხოვრობს ან როგორ უნდა ცხოვრობდეს იგი, ე. ი. განვსაზღვროთ რაოდენობა და ხარისხი არსებობის და კომფორტის საგანთა, რომლების მოხმარების ნება მას შეუძლია მისცეს თავის თავს.

როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ რა ფულის განსაზღვრულ თანხას, მხედველობაში გვაქვს არა მარტო გამოვსახოთ ლითონური მონეტების რაოდენობა, რომლისგანაც იგი შესდგება, არამედ ჩავურთოთ მასში რაოდენადმე ბუნდოვანი მითითებაც პროდუქტებზე, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს მის სამაგიეროდ, იმ შემთხვევაში სიმდიდრე ანუ შემოსავალი, რომელსაც ის თანხა გამოსახავს, უდრის მხოლოდ ერთს იმ ორი ღირებულებიდან, რომლებსაც, რაოდენადმე ორაზროვანად, აღნიშნავს, ამგვარად, ერთი და იგივე სიტყვა, და ამასთან უდრის – უფრო – უკანასკნელს, ვიდრე პირველს, ე. ი. უფრო ფულის ღირებულებას, ვიდრე თვით ფულს.

ასე, თუ გინდა შეადგენს ვინმეს კვირეულ პენსიას, იმ პირს მით შეუძლია კვირის განმავლობაში იყიდოს არსებობის, კომფორტისა და სიამოვნების საგანთა განსაზღვრული რაოდენობა. იმის მიხედვით, თუ რაოდენ დიდია ან მცირეა ეს რაოდენობა, დიდი ან მცირე იქნება მისი ნამდვილი სიმდიდრე, მისი რეალური

კვირეული შემოსავალი. მისი კვირეული შემოსავალი, უცილობელია, ერთსა და იმავე დროს არ უდრის გინეასაც და იმასაც, რისი ყიდვაც შეიძლება ამ გინეით, არამედ უდრის ერთს ან მეორეს ამ ორი ღირებულებიდან; და – უფრო – მეორეს, და არა პირველს, უფრო – გინეის ღირებულებას, ვიდრე თვით გინეას.

თუ ასეთი პენსია აღნიშნულ ადამიანს ეძლევა არა ოქროთი, არამედ ერთი გინეის ყოველკვირეული თამასუქით, იმ შემთხვევაში, უეჭველია, მისი შემოსავალი შესდგება არა საკუთრივ ქალაქის ამ ნაგლეჯისგან, არამედ იმისგან, რაც მას შეუძლია მიიღოს მასში. გინეა შეიძლება განვიხილოთ როგორც არსებობისა და კომფორტის საგნების განსაზღვრული რაოდენობის თამასუქი, გაცემული იმ მიდამოს ყველა ვაჭარზე. იმ პირის შემოსავალი, რომელსაც ეს გინეა ეძლევა, შესდგება არა იმდენად ოქროს მონეტისგან, რამდენადაც იმისგან, რაც მას შეუძლია მით მიიღოს ანუ რაზედაც შეუძლია იგი გასცვალოს. თუ მასში არაფრის მიღება არ შეიძლება გაცვლის გზით, მას, კოტრზე გაცემული თამასუქის მსგავსად, მეტი ღირებულება არ ექნება, ვიდრე აქვს სრულიად უსარგებლო ქალაქს.

თუმცა ამა თუ იმ ქვეყნის ყველა მცხოვრებათ კვირეული ან წლიური შემოსავალი შეიძლება მათ ასეთი წესით ეძლეოდეს და სინამდვილეში ხშირად ეძლევა კიდევ ფულად, მაგრამ მაინც ყველა იმათი, ერთად აღებული, კვირეული ან წლიური შემოსავალი დიდი ან მცირე იქნება ყოველთვის მოხმარების საგანთა იმ რაოდენობის შესაბამისად, რომელიც მათ შეუძლიათ იყიდონ ამ ფულით. ყველა მათი, ერთად აღებული, შემოსავალი, ცხადია, ერთსა და იმავე დროს არ უდრის ფულსაც და მოხმარების საგნებსაც, არამედ უდრის ერთ-ერთს ამ ორ ღირებულებაში, და, თუ სწორად ვიტყვით, – უფრო – უკანასკნელს, ვიდრე პირველს.

ამიტომ, თუ რომელიმე პირის შემოსავალს, რომელსაც მას აძლევენ წლიურად, ჩვენ ხშირად ლითონური მონეტების რაოდენობით გამოვსახავთ ხოლმე, ეს ხდება იმიტომ, რომ იმ მონეტების რაოდენობა განსაზღვრავს მისი მყიდველობითი ძალის სიდიდეს ანუ იმ საგანთა ღირებულებას, რომლებიც მას შეუძლია მოიხმაროს წლის განმავლობაში. ჩვენ მისი შემოსავალი ყოველთვის ისე გვაქვს წარმოდგენილი, რომ მას შეადგენს ეს ძალა ყიდვის ანუ მოხმარებისა, და არა მონეტები, რომლებიც ამ ძალის მომცემია.

მაგრამ თუ ეს უკვე საკმაოდ ცხადია ცალკეული პირის მიმართ, მით უფრო ცხადია იგი საზოგადოების შესახებ. ლითონური მონეტების რაოდენობა, რომელსაც წლიურად აძლევენ ცალკეულ პირს, ხშირად ზედმიწევნით უდრის მის შემოსავალს და ამის გამო წარმოადგენს მისი შემოსავლის უმარტივეს და საუკეთესო გამოსახვას. მაგრამ თანხა ლითონური ფულისა, რომელიც მიმოიქცევა საზოგადოებაში, არასოდეს არ შეიძლება ეთანასწორობოდეს ყველა მის წევრთა შემოსავალს. რადგან ერთი და იგივე გინეის მონეტა, რომელიც დღეს კვირეულ პენსიად ეძლევა ადამიანს, ხვალ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პენსიის მისაცემად მეორისათვის და ზეგ – მესამისათვის, ამიტომ იმ ლითონური ფულის ჯამს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მიმოიქცევა წლის განმავლობაში, ყოველთვის გაცილებით ნაკლები ღირებულება უნდა ჰქონდეს, ვიდრე არის ჯამი ყველა ფულად პენსიათა, რომელთა გადახდა სწარმოებს ამ ფულით. მაგრამ მსყიდველობით ძალას ანუ იმ პროდუქტებს, რომელთა ყიდვა შეიძლება თანდათან ერთობლივ იმ ფულადი პენსიებით მათი თანდათან გაცემის მიხედვით, ყოველთვის ზედმიწევნით იგივე ღირებულება უნდა ჰქონდეს, რაც იმ პენსიებს აქვს, სწორედ ისე, როგორც იგივე ღირებულება უნდა ჰქონდეს შემოსავალს ცალკეულ პირთა, რომლებიც ამ პენსიებს იღებენ. ამ შემოსავალს, ამიტომ, არ შეიძლება ის ლითონური მონეტები შეადგენდეს, რომელთა რაოდენობა

ესოდენ ძალიან ნაკლებია მის ღირებულებაზე, არამედ მას შეადგენს მსყიდველობითი ძალა, ის საგნები, რომელთა ყიდვა შეიძლება თანდათან იმ მონეტებით, რამდენადაც ესენი გადადიან ხელიდან ხელში.

ამრიგად, ფული, მიმოქცევის ეს დიდი ბორბალი, ალებმიცემობის ეს დიდი იარაღი, ვაჭრობის სხვა იარაღებსავე, თუმცა შეადგენს კაპიტალის ნაწილს, და მასთან ძალიან ძვირფას ნაწილს, _ არ შედის არავითარ შემადგენელ ნაწილად იმ საზოგადოების შემოსავალში, რომელსაც იგი ეკუთვნის; და თუმცა ლითონური მონეტები, რომლებისგანაც ფული შესდგება, თავისი წლიური მიმოქცევის განმავლობაში თითოეულ ადამიანს მიაკუთვნებს იმ შემოსავალს, რომელიც მას ნამდვილად ერგება, თვით ეს მონეტები მაინც არ შედის ამ შემოსავალში.

3. დასასრულ, მანქანები, სამუშაო იარაღები და სხვ., რომლებიც ძირითად კაპიტალს შეადგენს, კიდევ იმ მხრივ ჰგავს საბრუნავი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ფულისგან შესდგება, რომ, როგორც ყოველი დაზოგვა ამ მანქანების აგებისა და შენარჩუნების ხარჯებში, როდესაც იგი არ ამცირებს შრომის პროდუქტიულ ძალას, მოასწავებს საზოგადოების წმინდა შემოსავლის გადიდებას, ისევე სრულიად ამგვარსავე გადიდებას მოასწავებს ყოველი დაზოგვა საბრუნავი კაპიტალის იმ ნაწილის მოგროვებისა და შენარჩუნების ხარჯებში, რომელიც ფულისაგან შესდგება.

საკმაოდ ცხადია, _ და ნაწილობრივ კიდევ იყო განმარტებული, _ რა ნაირად წარმოადგენს ძირითადი კაპიტალის შენარჩუნების ხარჯებში დაზოგვა საზოგადოების წმინდა შემოსავლის გადიდებას. ყოველი სამუშაოს მესარეწის კაპიტალი აუცილებლად იყოფა ძირითად კაპიტალად და საბრუნავ კაპიტალად. თუ მთელი მისი კაპიტალი უცვლელი რჩება, _ მით უფრო დიდი უნდა იყოს მისი ერთი ნაწილი, რაც უფრო მცირეა მეორე ნაწილი. საბრუნავი კაპიტალი იძლევა მასალებს და შრომის ხელფასს და მოძრაობაში მოჰყავს მთელი სარეწაო. ამიტომ ძირითადი კაპიტალის შენარჩუნების ხარჯების ყოველმა დაზოგვამ, რომელიც არ ამცირებს შრომის პროდუქტიულ ძალას, უნდა გაადიდოს ის ფონდი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სარეწაო, და, მაშასადამე, უნდა გაადიდოს აგრეთვე მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი, ყოველი საზოგადოების ნამდვილი შემოსავალი.

ოქროს და ვერცხლის ფულის შენაცვლება ქაღალდით ძალიან ძვირად ღირებული საალებმიცემო იარაღის მაგიერობას აწვევინებს უფრო იაფს და ხშირად ისევე მოხერხებულ საშუალებას. ამ შემთხვევაში მიმოქცევას ანხორციელებს ახალი ბორბალი, რომლის შექმნა და შენარჩუნება წინანდელზე უფრო იაფი ჯდება. მაგრამ ასევე ცხადი არაა ის, თუ როგორ ხდება ეს შენაცვლება და რანაირად იწვევს იგი საზოგადოების მთლიანი ან წმინდა შემოსავლის გადიდებას, და ამიტომ აქ საჭიროა რამდენიმე დამატებითი ახსნა-განმარტება.

არსებობს რამდენიმე სხვადასხვა სახის ქაღალდის ფული; მაგრამ ბანკების და ბანკირების ბილეთები (ბანკნოტები), რომლებიც მიმოიქცევა, წარმოადგენს მის ყველაზე უფრო ცნობილ სახეს, რომელიც, როგორც ეტყობა, განსაკუთრებით გამოსადეგია ამ მიზნისათვის.

როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობას ისეთი ნდობა აქვს რომელიმე ბანკირის შეძლებისა, პატიოსნებისა და სიფრთხილისადმი, რომ სწამს, _ ბანკირი ყოველ მომენტში მზად არის გაანაღდოს თავისი ბანკნოტები იმდენი, რამდენსაც მას წარუდგენენო, იმ შემთხვევაში ეს ბანკნოტები ისეთსავე მსვლელობას მოიპოვებს, როგორც ოქროსა და ვერცხლის ფული, იმ რწმენის გამო, რომ ყოველ ჟამს შეიძლება მათ სამაგიეროდ ასეთი ფულის მიღება.

ვთქვათ, რომელიმე ბანკირი თავის კლიენტებს აძლევს სესხად თავის საკრედიტო ბანკნოტებს, 100 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. რადგან ეს ბანკნოტები ფულის ფუნქციას ასრულებს, ამიტომ ბანკირს მისი მოვალეები ისეთსავე სარგებელს უხდიან, როგორც რომ მას მათთვის ამდენივე ფული ესესხებია. ეს სარგებელი წყაროა მისი მოგებისა. თუმცა ამ ბანკნოტების ნაწილი მუდამ უბრუნდება მას გასანადღებლად, მაგრამ ნაწილი მაინც განაგრძობს მიმოქცევას მთელი თვეების და წლების განმავლობაში. და ამიტომ, თუმცა ბანკირს საერთოდ 100 000 გირვ. სტერლინგის ბანკნოტები აქვს მიმოქცევაში გაშვებული, ხშირად 20 000 გირვ. სტერლინგის მარაგი ოქროთი და ვერცხლით საკმარისია წარდგენილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, ამ ოპერაციის გზით, 20 000 გირვ. სტერლინგი ოქროთი და ვერცხლით ასრულებს ყველა იმ ფუნქციებს, რაც სხვებზე 100 000-ს შეეძლო შეესრულებია. გაცვლა-გამოცვლის იგივე რაოდენობა შეიძლება შესრულებულ იქნეს, მოხმარების საგნების იგივე რაოდენობა შეიძლება მიმოქცეულ იქნეს და მათ ნამდვილ მომხმარებლებს დაურიგდეს 100 000 გირვ. სტერლინგის ბანკნოტების საშუალებით, ისე, როგორც იმავე ღირებულების ოქროს და ვერცხლის ფულის საშუალებით. მაშასადამე, ამ გზით შეიძლება განხორციელებულ იქნეს ოქროს და ვერცხლის 80 000 გირვ. სტერლინგის დაზოგვა ქვეყნის მიმოქცევაში; და თუ ამგვარივე ოპერაციები იწარმოება იმავდროულად ბევრი სხვა ბანკისა და ბანკირების მიერ, მთელი მიმოქცევა შეიძლება შესრულებულ იქნეს ერთი მეხუთედი ნაწილით ოქროსი და ვერცხლისა, რომელიც საჭირო იქნებოდა სხვა შემთხვევაში.

ვიგულისხმობ, რომ, მაგალითად, მთელი ის ფული, რომელიც მიმოქცევაშია რომელსამე ქვეყანაში, განსაზღვრულ მომენტში შეადგენს ერთ მილიონ გირვ. სტერლინგს, და ამასთან ეს რაოდენობა საკმარისია იმ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის მიმოქცევისათვის. ვიგულისხმობ აგრეთვე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ სხვადასხვა ბანკებმა და ბანკირებმა გამოუშვეს წარდგენისთანავე გასანადღებელი ბანკნოტები ერთი მილიონის რაოდენობით, და ამასთან, შესაძლებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თავიანთ სალაროებში დაიტოვეს 200 000 გირვ. სტერლინგი. ამის შემდეგ მიმოქცევაში იქნება 800 000 გირვანჯა ოქროთი და ვერცხლით და ერთი მილიონი გირვანჯა ბანკნოტებით ანუ სულ 1 800 000 გირვანჯა ქალაქის და ლითონის ფულით. მაგრამ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის სამიმოქცევოდ და მის ნამდვილ მომხმარებლებს შრომის გასანაწილებლად საჭირო იყო წინათ მხოლოდ ერთი მილიონი და ეს წლიური პროდუქტი არ შეიძლება ერთბაშად გადიდებულ იქნეს ასეთი საბანკო ოპერაციებით. ამიტომ ერთი მილიონი წინანდებურად საკმარისი იქნება მისი მიმოქცევისათვის. რადგან საყიდელ და გასაყიდ საგანთა რაოდენობა ზედმიწევნით იგივე რჩება, რაც წინათ იყო, ამიტომ ფულის წინანდელი რაოდენობა საკმარისი იქნება მათ საყიდლად და გასაყიდად. მიმოქცევის არხი, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმარო, სწორედ ისეთივე დარჩება, როგორც წინათ იყო. ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, ერთი მილიონი საკმარისია ამ არხის გასავსებად; და ამიტომ, რაც ამ რაოდენობაზე მეტი ჩაისხმის მასში, არხში ვერ იდენს, და იქიდან უნდა გადმოიწინდეს. მიმოქცევის არხში ჩასხმულია 1 800 000 გირვანჯა. მაშასადამე, 800 000 გირვანჯა უნდა გადმოიწინდეს იქიდან, ვინაიდან ეს რაოდენობა შეადგენს იმის გარდამეტს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის მიმოქცევაში. მაგრამ, თუმცა ეს რაოდენობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით, იგი მაინც წარმოადგენს მეტად დიდ ღირებულებას, რათა შეიძლებოდეს მისი უქმად მდებარედ დატოვება. იგი, ამიტომ, გაიგზავნება საზღვარგარეთ მოსაგებიანი გამოყენების

სამიბლად, რასაც იგი ვერ პოულობს ქვეყნის შიგნით. მაგრამ ქალაქის ფული ვერ გაიგზავნება საზღვარგარეთ, იმიტომ რომ იქ მას არ მიიღებენ ჩვეულებრივ გადასახდელში მისი გამომშვები ბანკებისა და იმ ქვეყნების სიშორის გამო, სადაც მისი სავალდებულო განაღდება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კანონის თანახმად. ამიტომ საზღვარგარეთ 800 000 გირვანქის ოქრო და ვერცხლი გაიგზავნება, და საშინაო მიმოქცევის არხი გავსებული დარჩება ერთი მილიონის ქალაქის ფულით, ნაცვლად ერთი მილიონის ლითონური ფულისა, რომელიც მას წინათ ავსებდა.

თუმცა ოქროსა და ვერცხლის ესოდენ დიდი რაოდენობა გაიგზავნება ამგვარად საზღვარგარეთ, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გაიგზავნება იქ უსასყიდლოდ ან რომ მისი მფლობელები მას საჩუქრად მიართმევენ უცხო ხალხებს. ისინი მას სცვლიან ამა თუ იმ სახის უცხო პროდუქტებზე, რათა მიაწოდონ ესენი რომელიმე სხვა უცხო ქვეყნის ან თავისი საკუთარი ქვეყნის მოხმარებას.

თუ ისინი გაზიდულ ოქრო-ვერცხლს გამოიყენებენ იმისათვის, რომ რომელსამე უცხო ქვეყანაში პროდუქტები იყიდონ, რათა ეს უკანასკნელნი მეორე ქვეყნის მოხმარებას მიაწოდონ, ე. ი. მას გამოიყენებენ ეგრეთწოდებულ სატრანზიტო ვაჭრობაში, მაშინ მთელი ის მოგება, რომელსაც ისინი მიიღებენ, წარმოადგენს დამატებას მათი საკუთარი ქვეყნის წმინდა შემოსავლისას. ოქრო და ვერცხლი აქ შეადგენს თითქოს ახალ ფონდს, რომელიც შექმნილია ახალი ვაჭრობის საწარმოებლად; საშინაო აღებმიცემობა წარმართული იქნება ქალაქის ფულით, ხოლო ოქრო და ვერცხლი იქცევა ფონდად იმ ახალი ვაჭრობის საწარმოებლად.

თუ ისინი იმ ოქრო-ვერცხლს იმისთვის გამოიყენებენ, რომ იყიდონ პროდუქტები საშინაო მოხმარებისათვის, იმ შემთხვევაში მათ შეუძლიათ, ჯერ ერთი, იყიდონ ისეთი საგნები, რომელთაც მოიხმარებენ უქმი ადამიანები, არაფრის მწარმოებელნი, როგორცაა, მაგალითად, უცხო ღვინოები, უცხო აბრეშუმეული და სხვ., ანდა, მეორე, მათ შეუძლიათ შეიძინონ დამატებითი მარაგი მასალების, სამუშაო იარაღების და სურსათისა, რათა შესანახი და საქმე გაუჩინონ მრეწველურად მომქმედ ადამიანთა დამატებით რიცხვს, რომელნიც აღადგენენ, განსაზღვრული მოგებითურთ, თავიანთ წლიურ მოხმარებას.

რამდენადაც ოქრო-ვერცხლი პირველი წესის მიხედვით გამოიყენება, იგი ხელს უწყობს მფლანგველობას, აძლიერებს ხარჯვას და მოხმარებას, წარმოების გაუდიდებლად ანდა რაიმე მუდმივი ფონდის შეუქმნელად ამ დანახარჯის დასაფარავად, და ყოველ მხრივ საზიანოა საზოგადოებისათვის.

რამდენადაც ოქრო-ვერცხლი მეორე წესის მიხედვით გამოიყენება, იგი ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას; და თუმცა ასეთი გამოყენება ადიდებს საზოგადოების მოხმარებას, მაგრამ იგი ჰქმნის მუდმივ ფონდს ამ მოხმარების დასაფარავად, ვინაიდან მომხმარებლები კვლავ აღადგენენ, მოგებითურთ, თავიანთი წლიური მოხმარების ღირებულებას. საზოგადოების მთლიანი შემოსავალი, მისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი იზრდება მთელი იმ ღირებულებით, რასაც იმ მშრომელთა მუშაობა ჰმატებს მასალებს, რომლებზედაც ისინი მუშაობენ, და მისი წმინდა შემოსავალი დიდდება იმდენით, რამდენიც ამ ღირებულებიდან რჩება იმის გამოკლების შემდეგ, რაც საჭიროა მათი მოსაქმეობის იარაღებისა და ხელსაწყოების შესანარჩუნებლად.

რომ იმ ოქრო-ვერცხლის დიდი ნაწილი, რომელიც ამ საბანკო ოპერაციების გზით საზღვარგარეთ განიდევნება და უცხო საქონელთა საყიდლად გამოიყენება საშინაო მოხმარებისათვის, და ამასთან გამოიყენება და უნდა გამოიყენებოდეს მეორეგვარ საქონელთა შესაძენად, – ეს გარემოება არა თუ სარწმუნოა, არამედ

თითქმის აუცილებელიც. მართალია, ზოგ ცალკეულმა ადამიანებმა შეიძლება ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვნად გაადიდონ თავიანთი ხარჯვა, თუმცა მათ შემოსავალი სრულიადაც არ გადიდებიან, მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ საერთოდ არც ერთი კლასი ან ჯგუფი ადამიანთა ასე არ იმოქმედებს, იმიტომ რომ, თუ ჩვეულებრივი გონიერების წესები არ ხელმძღვანელობს ყოველთვის ცალკეული ადამიანის საქციელს, მაინც ეს წესები გავლენას ახდენს მუდამ თითოეული კლასის ანუ ჯგუფის ადამიანთა უმრავლესობის მოქმედებაზე. ხოლო უქმ ადამიანთა _ კლასის ან ჯგუფის სახით აღებული _ შემოსავალი არ შეიძლება ოდნავაც კი გაიზარდოს ამ საბანკო ოპერაციების მეოხებით. ამიტომ მათი ხარჯვა საერთოდ ვერ გადიდდება მნიშვნელოვნად, თუმცა მათში ზოგიერთების ხარჯვამ შეიძლება იმატოს და ზოგჯერ მართლაც მატულობს. რადგან, ამრიგად, უქმ ადამიანთა მოთხოვნა უცხო საქონელთა მიმართ უცვლელი ან თითქმის უცვლელი რჩება, ამიტომ საბანკო ოპერაციების გზით საზღვარგარეთ განდევნილი და, საშინაო მოხმარებისათვის, უცხო საქონელთა საყიდლად გამოყენებული ფულის მხოლოდ პატარა ნაწილი შეიძლება დახარჯულ იქნეს ისეთ საქონელთა ყიდვაზე, რომლებიც უქმ ადამიანთა მიერ მოსახმარებლად დანიშნული. ფულის უდიდესი ნაწილი _ ბუნებრივია _ სამრეწველო მოხმარებისათვის იქნება გამოყენებული და არა უქმ ადამიანთა შესანახად.

როდესაც ვანგარიშობთ პროდუქტიული შრომის რაოდენობას, რომელიც საზოგადოების საბრუნავ კაპიტალს შეუძლია ჩაბმული ჰყავდეს მოსაქმეობაში, ყოველთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ მისი ის ნაწილები, რომლებიც შესდგება სურსათისაგან, მასალებისა და მზა პროდუქტებისაგან; დანარჩენი ნაწილი, რომელიც ფულისაგან შესდგება და პირველი სამი ნაწილის მიმოქცევას ემსახურება მხოლოდ, ყოველთვის უნდა გამოვაკლოთ იქიდან. იმისათვის, რომ სამრეწველო საქმიანობა მოძრაობაში იქნეს მოყვანილი, სამი საგანი არის საჭირო: მასალები გადასამუშავებლად, იარაღები სამუშაოდ და ხელფასი ანუ გასამრჯელო, რის ფულისთვისაც ადამიანები სამუშაოს ასრულებენ. ფული არც მასალაა მუშაობისათვის და არც იარაღი, რომლითაც მუშაობენ; და თუმცა მუშის ხელფასი ჩვეულებრივ ფულად გაიცემა, მაგრამ მუშის ნამდვილ შემოსავალს, როგორც ყველა სხვა ადამიანთა შემოსავალს, შეადგენს არა ფული, არამედ _ ამ ფულის ღირებულება, არა ლითონური მონეტები, არამედ _ ის, რისი მიღებაც შეიძლება იმით.

პროდუქტიული შრომის რაოდენობა, რაც რომელსამე კაპიტალს შეუძლია მოსაქმეობაში ჰყავდეს ჩაბმული, ცხადია, უნდა უდრიდეს მუშების იმ რიცხვს, რომელსაც მას ძალუძს ხელთ მისცეს მასალები, სამუშაო იარაღები და შრომის ხასიათის შესაბამისი საარსებო საშუალებები. ფული შეიძლება საჭირო იყოს მასალებისა და სამუშაო იარაღების საყიდლად, აგრეთვე მუშების საარსებო საშუალებების შესაძენად, მაგრამ პროდუქტიული შრომის რაოდენობა, რომელიც შეიძლება მთელს კაპიტალს ჰყავდეს საქმეში, ცხადია, არ შეიძლება უდრიდეს ერთსა და იმავე დროს ფულსაც, რომლითაც ყიდვა სწარმოებს, და აგრეთვე მასალებს, სამუშაო იარაღებსა და საარსებო საშუალებებს, რომლებიც იმ ფულით შეიძინება, არამედ იგი შეიძლება უდრიდეს ერთ-ერთს ამ ორ ღირებულებაში, და უდრიდეს უფრო _ უკანასკნელთა ღირებულებას, ვიდრე პირველს.

როდესაც ქაღალდის ფული იჭერს ოქრის და ვერცხლის ადგილს, მასალების, სამუშაო იარაღების და საარსებო საშუალებები რაოდენობა, რომლის მოპოვებინება ძალუძს მთელ საბრუნავ კაპიტალს, შეიძლება გადიდებულ იქნეს ოქრო-ვერცხლის მთელი იმ ღირებულებით, რაც წინათ მათ საყიდლად იხმარებოდა. მიმოქცევისა და

განაწილების დიადი ბორბლის მთელი ღირებულება ემატება პროდუქტებს, რომელნიც მისი საშუალებით მიმოიქცევიან და განაწილდებიან. ეს ოპერაცია რაოდენადმე ჰგავს ოპერაციას მსხვილი სარეწაოს მფლობელისას, რომელიც რაიმე ტექნიკური გაუმჯობესების გამო ხელს იღებს თავის ძველ მანქანებზე და სხვაობას მათ ფასსა და ახალი მანქანების ფასს შორის უმატებს თავის საბრუნავ კაპიტალს, _ იმ ფონდს, საიდანაც იგი იღებს სახსარს თავისი მუშებისათვის მასალებისა და ხელფასის მისაცემად.

იქნებ შეუძლებელიც იყოს განვსაზღვროთ ამა თუ იმ ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის შეფარდება წლიური პროდუქტის მთელი ღირებულების მიმართ, რომელიც მისი საშუალებით მიმოიქცევა. სხვადასხვა ავტორები აღნიშნულ შეფარდებას ვარაუდობდნენ ამ ღირებულების ერთი მეხუდედით, ერთი მეათედით, ერთი მეოცედით და ერთი მეოცდაათედით. მაგრამ რაგინდ პატარა იყოს მიმოქცევაში მყოფი ფულის შეფარდება წლიური პროდუქტის მთელი ღირებულების მიმართ მაინც, _ ვინაიდან ამ პროდუქტის მხოლოდ ნაწილი, და ისიც ხშირად მხოლოდ მცირე ნაწილი, არის სამრეწველო მოსაქმეობის დასახმარებლად დანიშნული, _ მაინც მიმოქცეული ფულის რაოდენობა ძალიან მნიშვნელოვანი პროპორციისა უნდა იყოს ამ ნაწილის მიმართ. თუ, ამიტომ, შედეგად ოქრო-ვერცხლის შენაცვლებისა ქალაქის ფულით, მიმოქცევისათვის საჭირო ოქროს და ვერცხლის რაოდენობა შეიკვეცა, ვთქვათ, წინანდელის ერთ მეხუთედამდე, თუ, შემდეგ დანარჩენი ოთხი მეხუთედის თუნდაც მარტოდენ უფრო დიდი ნაწილი მიემატა მრეწველობის წარსამართავად დანიშნულ ფონდს, იმ სემთხვევაში ეს იქნება ფრიად მნიშვნელოვანი გადიდება წარმოების ოდენობისა და, მაშასადამე, მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ღირებულებისაც.

ამგვარი ოპერაცია განხორციელებულ იქნა ამ ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ შოტლანდიაში ახალი საბანკო კომპანიების დაწესების გზით თითქმის ყოველ მოზრდილ ქალაქში და ზოგ სოფლებშიაც კი. შედეგები სწორედ ისეთი იყო, როგორც ზემოთაა აღნიშნული. ქვეყნის სააღმრწამო მოსაქმეობა სრულდება თითქმის სულმთლად ამ საბანკო კომპანიების ქალაქის ფულის საშუალებით, რომლითაც ჩვეულებრივ სწარმოებს ყოველგვარი ყიდვა და გაყიდვა. ვერცხლი იშვიათად სჩანს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოცმილინგის ბანკნოტას ახურდავებენ, ხოლო ოქრო _ კიდევ უფრო იშვიათად. თუმცა ყველა ამ სხვადასხვა კომპანიების საქმიანობა უზადო არ იყო და ამის გამოისობით მან საპარლამენტო აქტის გამოცემაც კი გამოიწვია მის მოსაწესრიგებლად, მაგრამ ქვეყანამ მაინც, უეჭველია, დიდი სარგებლობა მიიღო ამ საქმიდან. მე მრავალჯერ გამიგონია მტკიცება: ქალაქ გლაზგოს ვაჭრობა გაორკეცდა დაახლოებით თხუთმეტ წელიწადში იქ პირველი ბანკების დაარსების შემდეგ, ხოლო შოტლანდიის ვაჭრობა გაიზარდა ოთხკეცზე მეტადო ედინბურგში ორი საზოგადოებრივი ბანკის გახსნის შემდეგ, რომელთაგან ერთი, შოტლანდიის ბანკად წოდებული, დაფუძნებულ იქნა საპარლამენტო აქტით 1699 წელს, ხოლო მეორე, სამეფო ბანკად წოდებული, დაარსდა მეფის ქარტიის საფუძველით 1727 წელს. რომ მართლა ასე დიდი ზომით გაიზარდა საერთოდ შოტლანდიის ან კერძოდ ქალაქ გლაზგოს ვაჭრობა ესოდენ მოკლე დროში, მე ამის მტკიცებას ვერ ვიკისრებ. და თუ ერთმა ან მეორე ვაჭრობამ იმატა ამ ზომით, ეს შედეგი ისე დიდი გამოდის, რომ იგი ვერ უნდა მიეწერებოდეს მარტოდმარტო ამ მიზეზის მოქმედებას. მაგრამ რომ შოტლანდიის ვაჭრობა და მრეწველობა ძალიან მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პერიოდის განმავლობაში და რომ ბანკებმა ძალიან ხელი შეუწყვეს ამ ზრდას, _ ეს კი უცილობელი არის.

ღირებულება ვერცხლის ფულის, რომელიც ინგლისთან 1707 წელს შეეთებადმდე მიმოიქცევოდა შოტლანდიაში და უშუალოდ მის შემდგომ მიტანილ იქნა შოტლანდიის ბანკში ხელახალ მოსაჭრელად, შეადგენდა 411 117 გირვ. სტერლ. 10 შილ. და 9 პენსს. ოქროს მონეტის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ შოტლანდიის ზარაფხანის წინანდელი ანგარიშებიდან სჩანს, რომ ყოველწლიურად მონეტის სახით მოჭრილი ოქროს ღირებულება რაოდენადმე აღემატებოდა ვერცხლისას¹. ამასთან მაშინ საკმაოდ ბლომად მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომელთაც არ სჯეროდათ, რომ მიტანილ ფულს უკან დაუბრუნებდნენ, და ამიტომ თავიანთი ვერცხლი არ მიჰქონდათ შოტლანდიის ბანკში; და გარდა ამისა, მიმოქცევაში მოიპოვებოდა ცოტაოდენი რაოდენობით ინგლისური ფული, რომელსაც არ შეეხებოდა ბანკში შეტანის მოთხოვნა. ამიტომ ღირებულება ოქროს და ვერცხლისა, რომელიც შოტლანდიის მიმოქცევაში იყო ინგლისთან შეერთებამდე, უნდა ვივარაუდოთ არა ნაკლებ მილიონი გირვ. სტერლინგისა. ეს თანხა შეადგენდა, როგორც ეტყობა, თითქმის მთელ მიმოქცევას, ვინაიდან, თუმცა მიმოქცევა შოტლანდიის ბანკის, რომელსაც მაშინ მეტოქეები არ ჰყავდა, მნიშვნელოვანი იყო, მაინც იგი შეადგენდა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს მთელი მიმოქცევისას. ამჟამად შოტლანდიის მიმოქცევა არ შეიძლება ვივარაუდოთ ორ მილიონზე ნაკლებად, და ამასთან ის ნაწილი, რომელიც ოქროს და ვერცხლისგან შესდგება, ალბათ, არც კი აღწევს ნახევარ მილიონს. მაგრამ, თუმცა შოტლანდიაში მიმოქცეული ოქროსა და ვერცხლის რაოდენობამ ესოდენ დიდი შემცირება განიცადა ამ პერიოდში, მისი ნამდვილი სიმდიდრე და კეთილდღეობა, როგორც სჩანს, სრულიად არ შემცირებულა. პირიქით, მისი მიწათმოქმედება, მანუფაქტურები და ვაჭრობა, მისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი ცხადად გადიდდა.

მეტწილი ბანკები და ბანკირები თავიანთო საკრედიტო ბილეთებს უშვებენ, უმთავრესად, თამასუქების დისკონტის გზით, ე. ი. იმ გზით, რომ ფულს იძლევიან ავანსად თამასუქებში მათი ვადის გასვლამდე. ისინი ყოველთვის გამოაკლებენ ხოლმე იმ თანხას, რომელსაც ავანსად იძლევიან, კანონიერ სარგებელს თამასუქის ვადამდე. როდესაც ვადა დადგება, თამასუქის გადახდით ბანკს აუნაზღაურდება ავანსად გაღებული თანხის ღირებულება წმინდა მოგებითურთ სარგებლის სახით. ბანკირი, რომელიც ვაჭარს, ვის თამასუქსაც იგი დისკონტს უკეთებს, აძლევს არა ოქროსა და ვერცხლს, არამედ – თავის საკუთარ საკრედიტო ბილეთებს, იმ სარგებლობას პოულობს, რომ შეუძლია მეტი თანხის დისკონტი გააკეთოს, სახელდობრ მისი საკრედიტო ბილეთების მთელი თანხისა, რომლებიც, როგორც მან გამოცდილებით იცის, ჩვეულებრივ იმყოფება მიმოქცევაში. ეს მას შესაძლებლობას აძლევს ამდენადვე უფრო დიდ თანხაზე მიიღოს წმინდა მოგება სარგებლის სახით.

შოტლანდიის ვაჭრობა, რომელიც ამჟამადაც არაა ძალიან დიდი, კიდევ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო მაშინ, როდესაც ორი საბანკო კომპანია დაარსდა; და ამ კომპანიებს ძალიან მცირე აღებმიცემობა ექნებოდათ, თავიანთი მოსაქმეობა რომ მარტო თამასუქების დისკონტით შემოეფარგლათ. ამიტომ მათ გამოიგონეს სხვა წესი თავიანთი საკრედიტო ბილეთების გამოსაშვებად, სახელდობრ ეგრეთწოდებული მიმდინარე ანგარიშების გახსნა, ე. ი. განსაზღვრული თანხის (მაგალითად, ორი ან სამი ათასი გირვ. სტერლინგის) კრედიტის მიცემა ყოველი პირისათვის, რომელსაც შეეძლო წარედგინა უეჭველი კრედიტისა და კარგი მამულის მქონე ორი ადამიანი თავდებად იმისა, რომ მთელი ის ფული, რომელიც იმ პირს მიეცემოდა გახსნილი

¹ იხ. Ruddiman-ის წინასიტყვაობა Anderson-ის "Diplomata etc. Scotiae"-სთვის.

კრედიტის ფარგალში, მოთხოვნისამებრ გადახდილი იქნებოდა კანონიერი სარგებლითურთ. ამგვარ კრედიტებს, მგონია, ჩვეულებრივ იძლევიან ბანკები და ბანკირები მსოფლიოს ყველა ნაწილში. მაგრამ ის შეღავათიანი პირობები, რომლებიც შოტლანდიის საბანკო კომპანიებს აქვთ შემორებული კრედიტების გადასახდელად, წარმოადგენს, რამდენადაც ვიცი, მათ თავისებურობას, და ეს იყო, ალბათ, მთავარი მიზეზი როგორც ამ კომპანიების ფართო საქმიანობის, ისე იმ სარგებლობისა, რომელიც ქვეყანამ მიიღო აქედან.

ყოველ ადამიანს, რომელსაც აქვს კრედიტი ერთ-ერთ ამ კომპანიასთან და სესხულობს მისგან, მაგალითად, ათას გირვანქას, შეუძლია ეს თანხა გადაიხადოს ნაწილ-ნაწილ, ოცი ან ოცდაათი გირვანქა ყოველჯერ, და ამასთან კომპანია მთელი თანხის სარგებელს მოაკლებს ხოლმე სათანადო ნაწილს იმ დღიდან დაწყებული, როდესაც ეს პატარა თანხა იყო შეტანილი, და ასე ბოლომდე, ვიდრე მთელი ვალი არ იქნება ამგვარად გადახდილი. ამიტომ ყველა ვაჭარს და თითქმის ყველა საქმის კაცს თავისთვის მოხერხებულად მიაჩნიათ ასეთი მიმდინარე ანგარიშები ჰქონდეთ ბანკებში და, მაშასადამე, დაინტერესებული არიან ხელი შეუწყონ ამ კომპანიების საქმიანობის ზრდას, და ამისთვის ხალისით იღებენ გადასახდელში იმათ საკრედიტო ბილეთებს და ამასვე ურჩევენ სხვებსაც, ვისზედაც მათ აქვთ გავლენა. ბანკები, როდესაც მათი კლიენტები მიმართავენ ფულისათვის, ჩვეულებრივ ამ ფულს აძლევენ თავიანთი საკუთარი საკრედიტო ბილეთებით. ვაჭრები ამ ბილეთებს აძლევენ მემანუფაქტურებს საქონელში, მემანუფაქტურები – ფერმერებს მასალასა და სურსათში, ფერმერები – მემამულეებს სარენტო გადასახდელში, მემამულეები, თავის მხრივ, აძლევენ ვაჭრებს კომფორტისა და ფუფუნების საგნებში, რომლებსაც ეს უკანასკნელი მათ მიაწოდებენ, და ვაჭრები კი მათ ისევ ბანკებს უბრუნებენ თავიანთი მიმდინარე ანგარიშების გასასწორებლად ანუ მათგან სესხად აღებული დასაფარავად. ამრიგად, ქვეყნის თითქმის მთელი ფულადი მიმოქცევა ამ საკრედიტო ბილეთების საშუალებით სრულდება. ამაზეა დამყარებული იმ კომპანიების დიდი ოპერაციები.

ამ მიმდინარე ანგარიშების მეოხებით ყოველ ვაჭარს შეუძლია, გონიერების დაცვით, უფრო დიდი საქმე აწარმოოს, ვიდრე შესძლებდა უიმისოდ. თუ ავიღებთ ორ ვაჭარს, ერთს ლონდონში და მეორეს ედინბურგში, რომელთაც თანატოლი კაპიტალები აქვთ ერთსა და იმავე დარგში მოთავსებული, ედინბურგელ ვაჭარს შეუძლია, წინდაუხედაობის ჩაუდენლად, უფრო დიდი საქმე წარმართოს და მეტი ხალხი ჰყავდეს საქმეში ჩაბმული, ვიდრე ლონდონელ კომერსანტს. უკანასკნელს ყოველთვის მზად უნდა ჰქონდეს ფულის მნიშვნელოვანი თანხა ან თავის საკუთარ საფულე კარადაში, ანდა ასეთშივე ბანკირისა, – რომელიც მას ამისთვის სარგებელს არ აძლევს, – რათა შეეძლოს პასუხი გასცეს მის მიერ ნისიად ნაყიდი საქონლისთვის ფულის გადახდის მოთხოვნას, რომლითაც მუდამ მიმართავენ მას. ვიგულისხმობთ, რომ ამისათვის ჩვეულებრივ საჭიროა 500 გირვ. სტერლინგის თანხა. იმ საქონლის ღირებულება, რომელიც მას საწყობში უწყვია, ყოველთვის უნდა იყოს 500 გირვ. სტერლინგით ნაკლები იმასთან შედარებით, რაც იქნებოდა, იგი რომ იძულებული არ ყოფილიყო თავისთან ჰქონებოდა ეს თანხა უქმად გაჩერებული. ვიგულისხმობთ აგრეთვე, რომ მთელი მისი კაპიტალი ანუ საქონელი, რომელიც ღირებულებით მის კაპიტალს უდრის, ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში. იმის გამო, რომ იგი იძულებულია უქმად ჰქონდეს გაჩერებული ესოდენ დიდი თანხა, მან 500 გირვ. სტერლინგით ნაკლები საქონელი უნდა გაჰყიდოს წელიწადში, ვიდრე შესაძლებელი იქნებოდა სხვაფრივ. მისი წლიური მოგება ნაკლები უნდა იყოს მთელი იმ მოგებით,

რასაც იგი მიიღებდა 500 გირვ. სტერლინგის მეტი საქონლის გაყიდვისას; ხოლო მუშების რიცხვი, რომელნიც ამ საქონლის დამზადებაზე მუშაობენ, ნაკლები უნდა იყოს სწორედ იმდენი ადამიანით, რამდენსაც შეეძლო სამუშაო ჰქონებოდა 500 გირვ. სტერლ. დამატებითი კაპიტალის დახარჯვისას. ედინბურგელ ვაჭარს, პირიქით, თავისთან არა აქვს ფული უქმად გაჩერებული მისაღებ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. როდესაც ასეთ მოთხოვნას წარუდგენენ, იგი მას იხდის თავისი მიმდინარე ანგარიშიდან ბანკში, ხოლო ბანკისგან ნასესხებ თანხას თანდათან იხდის იმ ფულით ან საკრედიტო ბილეთებით, რაც მას შემოუვა საქონლის გაყიდვით. მას შეუძლია, მაშასადამე, გაუფრთხილებლობის ჩაუდენლად, თანატოლი კაპიტალის გამოყენებისას მუდამ ჰქონდეს თავის საწყობში საქონლის მეტი რაოდენობა, ვიდრე ლონდონელ ვაჭარს; ამიტომაც მას შეუძლია უფრო მნიშვნელოვანი მოგების მიღება და მუდმივი სამუშაოს მიცემა შრომისმოყვარე ადამიანთა უფრო დიდი რიცხვისათვის, რომელნიც ამ საქონელს ამზადებენ ბაზრისთვის. აქედან – ის დიდი სარგებლობა, რომელსაც ქვეყანა იღებს მისი ვაჭრობიდან.

შეიძლება, მართალია, ადამიანს ეფიქრა, რომ თამასუქების დისკონტის სიადვილე ინგლისელ ვაჭრებს ისეთსავე სარგებლობას აძლევს, როგორც მიმდინარე ანგარიშები – შოტლანდიის ვაჭრებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შოტლანდიელ ვაჭრებს ისევე ადვილად შეუძლიათ თავიანთი თამასუქების დისკონტის წარმოება, როგორც ინგლისელებს, და გარდა ამისა, კიდევ დამატებითი სარგებლობა აქვთ თავიანთი მიმდინარე ანგარიშებისგან.

ყოველგვარი ქალაქის ფულის საერთო რაოდენობა, რომელიც შეიძლება ადვილად მიმოიქცევოდეს ამა თუ იმ ქვეყანაში, არასოდეს არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას, რომლის მაგიერობასაც იგი ეწევა ან რომელიც (აღებმიცემობის იმავე მოცულობისას) მიმოიქცევაში იქნებოდა, ქალაქის ფულს რომ ადგილი არ ჰქონებოდა. თუ, მაგალითად, ოცწილინგის ბანკნოტა შეადგენს იმ უმცირეს ქალაქის ფულს, რომელიც შოტლანდიაში მიმოიქცევა, იმ შემთხვევაში ამ სამომოქცევეო საშუალების მთელი რაოდენობა, რომელიც შეიძლება აქ ადვილად მიმოიქცევოდეს, არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ოქროს და ვერცხლის რაოდენობას, რომელიც საჭირო იქნებოდა ყველა – 20 შილ. და მეტი ღირებულების – საგაცვლა-გამოცვლო აქტის შესასრულებლად, რაც ჩვეულებრივ წლის განმავლობაში სრულდება ამ ქვეყანაში. თუ მიმოიქცევაში მყოფი ქალაქის ფულის რაოდენობამ რომელსამე მომენტში გადააჭარბა ამ თანხას, მისი გარდამეტი, რამდენადაც იგი არ შეიძლება გაგზავნილ იქნეს საზღვარგარეთ, არც გამოყენებულ იქნეს მიმოიქცევაში ქვეყნის შიგნით, აუცილებლად უკან დაუბრუნდება დაუყოვნებლივ ბანკებს ოქროსა და ვერცხლზე გადასაცვლელად. ბევრი ადამიანი მაშინვე შეამჩნევს, რომ მათ ხელში მეტი ქალაქის ფული აქვთ, ვიდრე საჭიროა მათი საქმეების წარსამართავად ქვეყნის შიგნით, ხოლო რადგან მათ არ შეუძლიათ მისი გაგზავნა საზღვარგარეთ, ისინი დაუყოვნებლივ მოითხოვენ მის განაღდებას ბანკების მიერ. მას შემდეგ, რაც ზედმეტი ქალაქის ფული განაღდებულია ოქრო-ვერცხლზე, იმ ადამიანებს ადვილად შეუძლიათ გამოყენება ჰპოვონ ამისათვის, ვინაიდან გაგზავნიან საზღვარგარეთ; მაგრამ ისინი გამოყენებას ვერ იპოვიდნენ, თუ ეს დარჩენილი იქნებოდა ქალაქის ფულის სახით. ამიტომ მიტანილი იქნება იერიში ბანკზე ამ ზედმეტი ქალაქის ფულის მთელი თანხის გასანაღდებლად, და მეტი თანხის გასანაღდებლადაც, თუ ბანკებს გადახდაში რაიმე დაბრკოლება ან

ზოზინი დაეტყობთ, ვინაიდან ამ გარემოებით წარმომდგარი აურზაური კიდევ უფრო გააძლიერებს იერიშს ბანკების მიმართ.

იმ ხარჯებს გარდა, რომლებიც ჩვეულებრივია საკომერციო საქმიანობის ყოველ დარგში, როგორცაა, მაგალითად, ხარჯები სახლების იჯარისათვის, მუშების, კანტორის მომსახურების, მოანგარიშებისა და სხვათა ხელფასისათვის, ბანკის განსაკუთრებული ხარჯები შესდგება უმთავრესად ორი რამისაგან: ჯერ ერთი, იმ ხარჯებისაგან, რასაც ის გარემოება იწვევს, რომ ბანკს მუდამ უნდა ჰქონდეს თავის საფულე კარადებში, მისი საკრედიტო ბილეთების ხელთმქონებელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ფულის მნიშვნელოვანი თანხა, რომლის სარგებელი მას ეკარგება, და მეორე, იმ ხარჯებისაგან, რაც, მოთხოვნათა დაკმაყოფილების გამო, შეცარიელებული კარადების შევსებას სჭირდება.

საბანკო კომპანიამ, რომელიც ქალაქის ფულს იმაზე მეტს გამოუშვებს, რაც შეიძლება გამოიყენოს ქვეყნის მიმოქცევამ და რის გარდამეტი ყოველთვის უბრუნდება მას გასანაღდებლად, უნდა გაადიდოს ხოლმე თავის სალაროებში ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა არა თუ ამ, მიმოქცევის საჭიროებასთან შედარებით, გარდამეტის პროპორციულად, არამედ ბევრად უფრო დიდი პროპორციითაც, ვინაიდან მისი საკრედიტო ბილეთები უბრუნდება მას გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ეს შეესაბამება მათი რაოდენობის სიჭარბეს. ამიტომ ასეთმა კომპანიამ უნდა გაადიდოს ხოლმე თავისი პირველგვარი ხარჯები არათუ მისი ოპერაციების ამ ნაძალადევი გადიდების პროპორციულად, არამედ ბევრად უფრო დიდი პროპორციითაც.

ასევე ამგვარი კომპანიის სალაროები, თუმცა მათ უფრო მეტად სჭირდება შევსება, გაცილებით უფრო სწრაფად იცლება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის მოსაქმეობა უფრო გონივრულ ფარგალშია მომწყვდეული; ამ სალაროებს სჭირდება არა თუ უფრო ღონივრად შევსება, არამედ უფრო მუდმივი და შეუწყვეტელი ხარჯებიც. გარდა ამისა, მონეტა, რომელიც მუდამ გამოიტანება ამგვარად ესოდენ დიდი რაოდენობით მისი სალაროებიდან, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის მიმოქცევაში. იგი იჭრეს ქალაქის ფულის ადგილს, და ქალაქის ფული კი აღემატება მიმოქცევის მოთხოვნილებას, და ამიტომ ეს მონეტაც იმაზე მეტი არის, რისი მიღებაც შეუძლია მიმოქცევას. მაგრამ რადგან არავის სურს ეს ფული უქმად ჰქონდეს გაჩერებული, ამიტომ იგი ამა თუ იმ სახით უნდა გაგზავნილ იქნეს საზღვარგარეთ, რათა ჰპოვოს ის ხელსაყრელი გამოყენება, რასაც ვერ პოულობს ქვეყნის შიგნით. და ოქროს და ვერცხლის ასეთმა მუდმივმა გაზიდვამ, უქმნის რა ბანკს გადიდებულ სიმწიფეებს, უნდა გაადიდოს აგრეთვე მისი ხარჯები ოქროს და ვერცხლის შესასყიდად, რაც მას სჭირდება თავისი სალაროს შესავსებად, რომელიც ესოდენ სწრაფად იცლება. მაშასადამე, ასეთმა კომპანიამ თავისი მოსაქმეობის ამ ნაძალადევი გადიდების პროპორციულად პირველგვარ ხარჯებზე მეტად უნდა გაადიდოს თავისი მეორეგვარი ხარჯები.

ვიგულისხმობთ, რომ რომელიმე ბანკის მთელი ქალაქის ფული, რომელიც ადვილად შეუძლია სეითვისოს და გამოიყენოს ქვეყნის მიმოქცევამ, შეადგენს სწორედ 40 000 გირვ. სტერლინგს და რომ ქარდგენილ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ბანკს სჭირდება მუდამ ჰქონდეს სალაროში 10 000 გირვ. სტერლინგი ოქროთი და ვერცხლით. თუ ამ ბანკმა სცადა 44 000 გირვ. სტერლინგის გაშვება მიმოქცევაში, 4 000 გირვ. სტერლინგი, რომელიც იმაზე მეტია, რაც მიმოქცევას შეუძლია ადვილად შეითვისოს და მოიხმაროს, დაუბრუნდება ბანკსა თითქმის დაუყოვნებლივ მისი გამოშვების შემდეგ. და ამიტომ მისდამი წარდგენილ

მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ეს ბანკი ახლა იძულებული იქნება მუდამ იქონიოს თავის სალაროში არა მხოლოდ 11 000 გირვანქა, არამედ – 14 000. ამრიგად, იგი არავითარ სარგებელს არ მიიღებს მიმოქცევაში გაშვებულ ზედმეტ 4 000 გირვანქაზე, და ამასთან ერთად განიცდის ზარალს მთელი იმ ხარჯის სახით, რაც სჭირდება ყოველთვის 4 000 გირვანქის მოპოვებას ოქროთი და ვერცხლით, რომელიც შესვლის უმაღვე ისევ წავა მუდამ მისი სალაროებიდან.

თითოეულ ცალკე საბანკო კომპანიას რომ ყოველთვის გაეგებოდეს თავისი საკუთარი ინტერესი და მისდევდეს მას, მიმოქცევა არასოდეს არ იქნებოდა ზომაზე მეტად გავსებული ქაღალდის ფულით. მაგრამ ცალკეულ ბანკებს ყოველთვის როდი ესმოდათ თავისი ინტერესი ან როდი მიჰყვებოდნენ მას, და ამიტომ მიმოქცევა ხშირად ზომაზე მეტად იყო ქაღალდის ფულით გავსებული.

იმის გამო, რომ ქაღალდის ფულის ნამეტნავად დიდი რაოდენობა იყო გამოშვებული, რომლის გარდამეტი მუდამ უკან ბრუნდებოდა ოქროზე და ვერცხლზე გადასაცვლელად, ინგლისის ბანკი, მთელი რიგირ წლების განმავლობაში, იძულებული იყო ოქროს ფული მოექტრა ყოველწლიურად 800 000-1 000 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, ანუ საშუალოდ 850 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. რათა მიეღო ოქრო, რომელიც საჭირო იყო მონეტის ესოდენ დიდი რაოდენობის მოსაჭრელად, ინგლისის ბანკი (იმ გაფუჭებისა და ცუდი მდგომარეობის გამო, რომელშიაც ოქროს მონეტა ჩავარდა რამდენიმე წლით ადრე) ხშირად იძულებული იყო მაღალ ფასში – 4 გირვ. სტერლინგად უნცი – ეყიდა ოქროს ზოდი, რომელსაც იგი შემდეგ მონეტად სჭრიდა 3 გირვ. სტერლ. 17 შილ. 10 1/2 პენსის ღირებულებით უნცს და, ამგვარად, ესოდენ დიდი თანხის მონეტის მოჭრაზე ჰკარგავდა დაახლოებით 2 1/2 თუ 3%-ს. თუმცა ბანკი საფასურს არ იხდიდა მონეტის მოჭრაში, თუმცა მოჭრის ხარჯს ნამდვილად მთავრობა ეწევოდა, მაგრამ მთავრობის ეს გულუხვობა ბანკს მაინც არ იფარავდა მთლად ხარჯებისაგან.

ამგვარივე გადაჭარბების გამო შოტლანდიის ბანკები, ყველანი გამოუკლებლივ, იძულებული იყვნენ ლონდონში ჰყოლოდათ მუდამ აგენტები მონეტის შესასყიდად, და საამისო ხარჯები იშვიათად შეადგენდა 1 1/2 თუ 2%-ზე ნაკლებს. ამგვარად მოგროვილი ფული იგზავნებოდა ფურგონებით, და მის დაზღვევას გადამზიდველების მიერ სჭირდებოდა კიდევ დამატებითი ხარჯი 3/4% ანუ 15 შილინგი 100 გირვ. სტერლინგზე. ეს აგენტები ყოველთვის ვერც კი ახერხებდნენ ისევე სწრაფად აეცსოთ თავიანთ მრწმუნებელთა სალაროები, როგორც ისინი ცარიელდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ბანკები ამ საშუალებას მიმართავდნენ: მათთვის საჭირო თანხის თამასუქებს გასცემდნენ მათ კორესპონდენტებზე ლონდონში. და როდესაც ეს კორესპონდენტები შემდეგში თამასუქებს გასცემდნენ მათზე ამ თანხის გადასახდელად, სარგებლისა და საკომისიო გასამრჯელოს ჩართვით, იმ ბანკებიდან ზოგნი, იმ გაჭირვების გამო, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ მიმოქცევაში მათი ბანკნოტების ზომას გადაჭარბებით გაშვების გამო, ზოგჯერ სხვა საშუალებას პოულობდნენ ამ თამასუქების გადასახდელად, თუ არ იმას, რომ ახალ თამასუქებს გასცემდნენ იმავე კორესპონდენტებზე ან სხვებზე ლონდონში. ამგვარად, ერთი და იგივე თანხა ანუ, უფრო სწორად, ერთი და იმავე თანხის თამასუქი არა იშვიათად ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც ეწევოდა მგზავრობას, და ამ დროს მოვალე ბანკი თითოეულჯერ იხდიდა სარგებელს და საკომისიო გასამრჯელოს მთელ დაგროვილ თანხაზე. შოტლანდიის ისეთი ბანკებიც კი, რომელნიც არასოდეს არ გამორჩეულან განსაკუთრებული წინდაუხედავობით, ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ მიემართათ ამ საზარალო მეთოდისათვის.

ოქროს მონეტა, რომელსაც ინგლისის ბანკი ან შოტლანდიის ბანკები იძლეოდნენ მათი ბანკნოტების იმ ნაწილის სამაგიეროდ, რაც მეტი იყო იმაზე, რისი მოხმარებაც ქვეყნის მიმოქცევას შეეძლო, და რომელიც აგრეთვე აღემატებოდა მიმოქცევის საჭიროებას, ზოგჯერ იგზავნებოდა საზღვარგარეთ მონეტის სახით, ზოგჯერაც გადაადნობდნენ და ზოდებად გაგზავნიდნენ საზღვარგარეთ, ზოგჯერ კიდევ გადაადნობდნენ და მიჰყიდდნენ ინგლისის ბანკს მაღალ ფასში, _ 4 გირვანქად უნცს. მონეტების მთელი მასიდან გულდასმით აარჩევდნენ მხოლოდ ყველაზე უფრო ახალ, სრულწონიან და კარგად შენახულ მონეტებს და მათ გაგზავნიდნენ საზღვარგარეთ ან გადაადნობდნენ ზოდებად. ქვეყნის შიგნით და სანამ მათ მონეტის სახე ჰქონდათ, სრულწონიანი მონეტები მსუბუქებზე უფრო ძვირად არ ღირდა, მაგრამ საზღვარგარეთ, ანდა ქვეყნის შიგნით, მხოლოდ ზოდად გადაქცეული, უფრო დიდ ღირებულებას წარმოადგენდა. ინგლისის ბანკი ხედავდა გაცემული, რომ, თუმცა იგი ახალი მონეტის დიდ რაოდენობას სჭრიდა ყოველწლიურად, მაინც ყოველ წელს იგივე ნაკლებობა იყო მონეტისა, როგორც წარსულ წელში, და რომ, მიუხედავად ყოველ წელს მის მიერ ახალი და კარგი მონეტის დიდი რაოდენობის გამოშვებისა, მონეტების ხარისხი უფრო და უფრო უკეთესი კი არ ხდებოდა, არამედ ყოველ წელს სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ყოველწლიურად მონეტის თითქმის იმავე რაოდენობის მოჭრა იყო საჭირო, რაც წინა წელში, და ოქროს ზოდების ფასის შეუწყვეტელი ზრდის გამო, მონეტის შეუწყვეტელი გაცვეთისა და ჩამოჭრის შედეგად, ასე ყოველწლიურად ახალმოჭრილი მონეტის გამოშვების ხარჯი წლიდან-წლამდე სულ უფრო და უფრო დიდი ხდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ბანკი, ავსებს რა თავის სალაროებს ლითონის მონეტით, არაპირდაპირ იძულებული ხდება ეს მონეტა მიაწოდოს ყველგან მთელს სამეფოში, საითაც მონეტა მრავალგვარი გზით მიედინება მისი სალაროებიდან. ამიტომ ინგლისის ბანკი იძულებული იყო გაეცა ხოლმე მთელი ის ლითონის მონეტა, რომელიც საჭირო იყო შოტლანდიის და ინგლისის ქალაქის ფულის ზომასგადაჭარბებული მიმოქცევის დასაცავად და იმ დანაკლისის შესავსებად სამეფოსთვის საჭირო ლითონური ფულის რაოდენობაში, რომელიც აღნიშნული ზომასგადაჭარბებული მიმოქცევით იყო გამოწვეული. შოტლანდიის ბანკებმა, უეჭველია, ძვირად გადაიხადეს თავისი უგუნურობისა და დაუფიქრებლობისათვის; მაგრამ ინგლისის ბანკს ძალიან ძვირად გადახდა დასჭირდა არა მარტო თავისი საკუთარი უგუნურობისათვის, არამედ შოტლანდიის თითქმის ყველა ბანკის კიდევ უფრო დიდი უგუნურობისთვისაც.

ქალაქის ფულის ამ ზომასგადაჭარბებული მიმოქცევის თავდაპირველი მიზეზი იყო ზოგ გაბედულ პროექტმკეთებელთა სპეკულაციური საქმიანობა შეერთებული სამეფოს ორსავე ნაწილში.

თანხა, რომელიც ბანკს შეუძლია, თუ სიფრთხილეს იცავს, ასესხოს რომელსამე ვაჭარს ან მესარეწეს, უდრის არა იმ კაპიტალის მთელ თანხას, რომლითაც ეს უკანასკნელი თავის საქმეს აწარმოებს, არც ამ კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს, არამედ მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც ამ ვაჭარს ან მესარეწეს სხვებზე უქმად უნდა ჰქონებოდა ნაღდი ფულის სახით დადებული იმისათვის, რომ გაესტუმრებია მიმდინარე გადასახდელები. ვიდრე რაოდენობა ქალაქის ფულისა, რომელსაც სესხად იძლევა ბანკი, ამ ღირებულებას არ აღემატება, მან არასოდეს არ შეიძლება გადააჭარბოს იმ ოქროს და ვერცხლის ღირებულებას, რომელიც ქვეყნის მიმოქცევაში იქნებოდა აუცილებლად ქალაქის ფულის არარსებობისას, ე. ი. არასოდეს არ შეიძლება გადააჭარბოს იმ რაოდენობას, რომლის ადვილად შეწოვა და გამოყენება ძალუძს ქვეყნის მიმოქცევას.

როდესაც ბანკი დისკონტს უკეთებს ვაჭრის თამასუქს, რომელიც ნამდვილი მევალის მიერ არის გაცემული ნამდვილ მოვალეზე და რომელსაც, როდესაც ვადა დადგება, ნამდვილად გადაიხდის ეს უკანასკნელი, იგი სესხად აძლევს ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც ვაჭარს სხვებზე უქმად და ფულის სახით უნდა ჰქონებოდა თავისთან დადებული მიმდინარე გადასახდელთა დასაფარავად. თამასუქის განაღდება, როდესაც მისი ვადა დადგება, აუნაზღაურებს ბანკს, სარგებლითურთ, იმ ღირებულებას, რომელიც მან სესხად გასცა. ბანკის სალარო, რამდენადაც ბანკის ოპერაციები ამგვარი კლიენტებითაა შემოფარგლული, შეიძლება შევადაროთ აუზს, საიდანაც მუდამ გამოდის ერთი ნაკადი, მაგრამ რომელსაც მუდამვე ჩაუდის მეორე, რომელიც სავსებით თანატოლია პირველის, ასე რომ, განსაკუთრებული ზრუნვისა და მცდელობის გარეშე, წყალი აუზში ერთსა და იმავე ან თითქმის ერთსა და იმავე დონეზე რჩება მუდამ. ასეთი ბანკის სალაროს შევსებას ძალიან ცოტა ხარჯი სჭირდება ან სრულიად არ სჭირდება.

მაგრამ ვაჭარს, თუნდაც რომ იგი მეტისმეტად არ აფართოვდეს თავის საქმეს, შეიძლება ხშირად ესაჭიროებოდეს ნაღდი ფული, მაშინაც კი, როდესაც ხელთ არა აქვს თამასუქი სადისკონტოდ. თუ ბანკი, წარმოდგენილი თამასუქების დისკონტს გარდა, სესხად აძლევს მას ასეთ შემთხვევაში საჭირო თანხას მიმდინარე ანგარიშის გახსნის გზით და შოტლანდიის საბანკო კომპანიებისებური შეღავათიანი პირობებით, რომ მან ეს სესხი გადაიხადოს ნაწილ-ნაწილ, რამდენადაც მას ფული შემოუვა მისი საქონლის გაყიდვის გზით, – ამით ბანკი სრულიად ანთავისუფლებს ვაჭარს იმ აუცილებლობისაგან, რომ თავისი კაპიტალის რაიმე ნაწილი უქმად და ფულის სახით ჰქონდეს გაჩერებული მიმდინარე გადასახდელთა გასასტუმრებლად. როდესაც მას წარუდგენენ ხოლმე გადასახდელის ასეთ მოთხოვნას, მას შეუძლია იგი გაისტუმროს თავისი მიმდინარე ანგარიშიდან. მხოლოდ ბანკმა, რომელიც ოპერაციებს აწარმოებს ასეთ კლიენტებთან, ძალიან უნდა ადევნოს თვალყური, – მთლად უდრის თუ არა განსაზღვრული მოკლე პერიოდის (მაგალითად, 4, 5, 6 ან 8 თვის) განმავლობაში ის გადახდილი თანხა, რომელიც მას ჩვეულებრივ შემოსადის მათგან, იმ თანხას, რომელსაც იგი მათ სესხად აძლევს ხოლმე. თუ ასეთი მოკლე პერიოდების განმავლობაში ცალკეულ კლიენტთა მიერ გადახდილი თანხა მეტწილად უდრის სავსებით მის მიერ გაცემულ კრედიტებს, ბანკს თამამად შეუძლია განაგრძოს ამ კლიენტებთან ოპერაციები. თუმცა ის ნაკადი, რომელიც ამ შემთხვევაში განუწყვეტლივ გამოდის ბანკის სალაროდან, შეიძლება ფრიად ძლიერი იყოს, მაგრამ მეორე ნაკადი, რომელიც მასში შედის, არა ნაკლებ ძლიერი არის, ასე რომ ბანკის სალარო, განსაკუთრებული ზრუნვისა და მცდელობის გარეშე, ყოველთვის სავსე ან თითქმის სავსე რჩება და არავითარი უჩვეულო ხარჯები არაა საჭირო მის გასავსებად. თუ, პირიქით, სხვა კლიენტების მიერ გადახდილი თანხა მნიშვნელოვნად ნაკლებია ბანკის მიერ მათთვის მიცემულ კრედიტებზე, ბანკს არ შეუძლია ურისკოდ განაგრძოს მათთან საქმე, ყოველ შემთხვევაში არ შეუძლია, თუ მათ არ შეიცვალეს თავიანთი წესი საქმიანობისა. ნაკადი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდის ბანკის სალაროდან, გაცილებით ძლიერი იქნება აუცილებლად იმაზე, რომელიც მასში შედის, ასე რომ იგი მალე სრულიად უნდა დაიცალოს, თუ მნიშვნელოვანი და მუდმივი ხარჯები არ იქნა მის გასავსებად გაწეული.

ამიტომ შოტლანდიის საბანკო კომპანიები დიდი ხნის განმავლობაში საჭიროდ სთვლიდნენ ყველა თავის კლიენტთაგან მოეთხოვათ ხშირი და რეგულარული გადახდა ვალდებულებისა, და უარს ამბობდნენ საქმეზე ისეთ ადამიანთან, რაგინდ დიდი ყოფილიყო მისი ქონება ან კრედიტი, რომელიც, როგორც ისინი ამბობდნენ,

ხშირ და რეგულარულ ოპერაციებს არ ეწევოდა მათთან. ასეთი წინდახედული საქმიანობის მეოხებით, გარდა იმისა, რომ მათ ეზოგებოდათ თითქმის მთლად არაჩვეულებრივი ხარჯები მათი სალაროების შესავსებად, ისინი იღებდნენ კიდევ ორ სხვა მნიშვნელოვან სარგებლობას.

უწინარეს ყოვლისა, ასეთი წინდახედულობის წყალობით მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ მეტნაკლებ სწორი აზრი შეედგინათ თავიანთი კლიენტების კარგი თუ ცუდი მდგომარეობის შესახებ ისე, რომ არ სჭირდებოდათ სხვა ცნობების ძებნა გარდა იმ ცნობებისა, რომლებსაც მათ მათი საკუთარი დავთრები აძლევდა: ადამიანთა წესრიგიანობა თუ უწესრიგიანობა ვალდებულებათა გადახდის საქმეში ხომ მეტწილად მათი საქმეების კარგ თუ ცუდ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. კერძო პირს, რომელიც ფულს სესხად აძლევს ხუთ ან ათ მოვალეს, თვითონ პირადად ან თავისი აგენტების დახმარებით შეუძლია მუდამ და გულდასმით თვალყური ადევნოს მათ და გაიგოს თითოეული მოქმედება და მდგომარეობა. მაგრამ საბანკო კომპანიას, რომელიც იქნებ ხუთას სხვადასხვა ადამიანს აძლევს სესხად ფულს, _ და ამასთან მისი გულისყური ფრიად სხვადასხვა საქმეებზეა მუდამ მიპყრობილი, _ არ შეუძლია მეტწილ თავის მოვალეთა მოქმედებისა და გარემოების შესახებ სხვა ცნობები ჰქონდეს, გარდა იმისა, რასაც მისი საკუთარი დავთრები აძლევს. ეს უპირატესობა ჰქონდათ, ალბათ, შოტლანდიის საბანკო კომპანიებს მხედველობაში, როდესაც ისინი ხშირ და რეგულარულ გადახდას მოითხოვდნენ თავიანთი კლიენტებისგან.

მეორე, _ ასეთი წინდახედულობის მეოხებით ისინი უზრუნველჰყოფდნენ თავიანთ თავს იმ შესაძლებლობისაგან, რომ მათ მეტი ქაღალდის ფული ჰქონებოდათ გამოშვებული, ვიდრე რამდენის შეთვისება და გამოყენება შეეძლო ქვეყნის მიმოქცევას. როდესაც ისინი ამჩნევდნენ, რომ რომელიმე კლიენტის მიერ გადახდილი თანხა მოკლე პერიოდების მანძილზე სავსებით უდრიდა მათ მიერ მისთვის მიცემულ კრედიტებს, მათ შეეძლოთ დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ ქაღალდის ფული, რომელიც მათ სესხად მისცეს მას, არასოდეს არ აღემატებოდა ოქროს და ვერცხლის იმ რაოდენობას, რომელიც მოვალეს სხვებზე ნაღდად უნდა ჰქონებოდა მიმდინარე გადასახდელთა გასასტუმრებლად, და რომ, მაშასადამე, ქაღალდის ფული, რომელიც მათ მისი მოსაშუალებობით გაუშვეს მიმოქცევაში, არასოდეს არ აღემატებოდა ოქროსა და ვერცხლის იმ რაოდენობას, რომელიც იქნებოდა ქვეყნის მიმოქცევაში, ქაღალდის ფული რომ სრულიად არ არსებულებოდა. ხშირად შემოსვლა ამ კლიენტისგან მის გადასახდელთა, მათი რეგულარობა და სიდიდე საკმაოდ მაჩვენებელი იყო იმის, რომ მისთვის გახსნილი კრედიტების ჯამი არასოდეს არ აღემატებოდა მისი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მას ასეთი კრედიტის უქონლობისას უქმად და ფულის სახით უნდა ჰქონებოდა გაჩერებული მიმდინარე გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად, ე. ი. იმისათვის, რომ მისი კაპიტალის დანარჩენი ნაწილი ყოფილიყო მუდამ პროდუქტიულად მომქმედი. კაპიტალის მხოლოდ ეს ნაწილი უზრუნდება მუდამ ყოველ ვაჭარს მოკლე-მოკლე პერიოდებში ქაღალდის ფულის ან მონეტის სახით და იმავე სახით მიდის მისგან განუწყვეტლივ. ბანკის მიერ მიცემულ სესხს რომ გადაეჭარბებია ჩვეულებრივ კაპიტალის ამ ნაწილისათვის, ვაჭრის მიერ გადახდილ თანხის ჯამი ვერ დაჰფარავდა მოკლე პერიოდის მანძილზე მის მიერ მიღებული სესხის ჯამს. ფულის ნაკადი, რომელიც მასთან ოპერაციების წარმოების შედეგად მოედინება ბანკის სალაროებში, ვერ იქნებოდა იმ ნაკადის თანატოლი, რომელიც განუწყვეტლივ მიედინებოდა იქიდან ამ ოპერაციებთან დაკავშირებით. ქაღალდის ფულით გაცემული კრედიტები,

გადააჭარბებდა რა ოქროს და ვერცხლის იმ რაოდენობას, რომელიც ვაჭარს, ამ კრედიტების არარსებობისას, უნდა ჰქონებოდა თავისთან მიმდინარე გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად, მალე გადააჭარბებდა ოქროს და ვერცხლის მთელ იმ რაოდენობას, რომელიც (აღებმიცემობის მოცულობის უცვლელობისას) იქნებოდა ქვეყნის მიმოქცევაში ქალაღდის ფულის არარსებობისას და, მაშასადამე, გადააჭარბებდა იმ რაოდენობასაც, რომელიც ქვეყნის მიმოქცევას შეეძლო ადვილად შეეთვისებია და მოეხმარა; ქალაღდის ფულის გარდამეტი ასეთ პირობებში დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებოდა ბანკს ოქროსა და ვერცხლზე გადასაცვლელად. ეს მეორე სარგებლობა, თუმცა იგი იმდენადვე რეალური არის, იქნებ ისე კარგად არ გაეგებოდათ შოტლანდიის სხვადასხვა საბანკო კომპანიებს, როგორც პირველი.

თუ რომელიმე ქვეყნის კრედიტუნარიან ვაჭრებს ნაწილბრიმ იმ მოხერხებულობის გამო, რასაც მათ უქმნის თამასუქების დისკონტი, და ნაწილობრივაც იმის მეოხებით, რომ შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ მიმდინარე ანგარიშების გახსნით, თავიდან აშორებული აქვთ ის აუცილებლობა, რომ თავისი კაპიტალის ნაწილი უქმად და ფულის სახით ჰქონდეთ თავისთან დადებული მიმდინარე გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად, – მათ აღარ შეუძლიათ, თუ გონიერნი არიან, ჰქონდეთ იმედი კიდევ მეტი დახმარებისა ბანკების და ბანკირების მხრივ, ვინაიდან ამათ, თავიანთი საკუთარი ინტერესისა და უზრუნველყოფის გამოსობით, არ ძალუძთ ამ ფარგლის გადაცილება. ბანკს, რომელიც თავის ინტერესს იცავს, არ შეუძლია სესხად მისცეს ვაჭარს მთელი საბრუნავი კაპიტალი ან თუნდ მისი დიდი ნაწილი, რითაც იგი მუშაობს. მართალია, ეს კაპიტალი განუწყვეტლივ უბრუნდება ვაჭარს ფულის სახით და იმავე სახით მიდის მისგან, მაგრამ მაინც მთელი მისი კაპიტალის უკუდაბრუნება დროით მნიშვნელოვნად დაშორებულია მისი დახარჯვის მომენტს, და ვაჭრის მიერ ბანკისათვის გადახდილი თანხის ჯამი ვერ გაუთანასწორდება მის მიერ ბანკისაგან მიღებული კრედიტების ჯამს ისე მოკლე პერიოდების განმავლობაში, როგორც ეს შეეფერება ბანკის ინტერესს. კიდევ უფრო ნაკლებ შეუძლია ბანკს სესხად მისცეს მას რაოდენადმე მნიშვნელოვანი ნაწილი მისი ძირითადი კაპიტალისა, მაგალითად, იმ კაპიტალის, რომელსაც რკინის მექარხნე ხარჯავს თავისი სადნობი ღუმელების აგებაზე, სამსხმელოზე, სახელოსნოებსა და საწყობებზე, თავისი მუშების საცხოვრებელ სახლებზე და სხვ., ან იმ კაპიტალის, რომელსაც ხარჯავს სამთომადნო მოსარეწე გვირაბების გამართვაზე, მანქანების გამართვაზე წყლის ამოსატუმბავად, ბილიკების და საურმე გზების გაყვანაზე, ანდა იმ კაპიტალის, რასაც ხარჯავს ის პირი, რომელიც შეუდგება მიწის გაუმჯობესებას და ხმარობს მას ცარიელი და დაუმუშავებელი მიწების გაწმენდაზე, გამრობაზე, შეღობვაზე, პატივებასა და მოხვნაზე, სამეურნეო შენობებზე მათი ნაწილებითურთ, – ბოსლებითურთ, ბელლებითურთ და სხვ. ძირითადი კაპიტალის უკუდაბრუნება თითქმის ყველა შემთხვევაში გაცილებით უფრო ნელა სწარმოებს, ვიდრე საბრუნავი კაპიტალისა, და ამგვარი დანახარჯი, თუნდაც რომ უდიდესი წინდახედულობით და ანგარიშიანობით იყოს იგი მოხდენილი, ძალიან იშვიათად დაუბრუნდება მესარეწეს რამდენსამე წელზე ადრე, და ეს კი მეტად ხანგრძლივი პერიოდია საბანკო პრაქტიკისათვის. ვაჭრებს და სხვა მესარეწეებს, უეჭველია, თამამად შეუძლიათ თავიანთი პროექტების ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება ნასესხები ფულით. მაგრამ მათი კრედიტორების ინტერესებისათვის საჭიროა მათი საკუთარი კაპიტალი ამ შემთხვევაში იყოს საკმარისი, რათა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უზრუნველყოფდეს ამ კრედიტორების კაპიტალს ანუ შეუძლებელს ხდიდეს იმას, რომ ამ კრედიტორებმა ზარალი ნახონ, მაშინაც კი, თუ პროექტის ნამდვილი

წარმატება ძალიან უკან ჩამორჩა მის ავტორთა მოლოდინს. მხოლოდ, ასეთი სიფრთხილის დაცვის შემთხვევაშიც კი, ფული, რომლის უკან დაბრუნება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგაა მოსალოდნელი, მათ არ უნდა ისესხონ ბანკებისაგან; ის უნდა ისესხონ ობლიგაციებით ანუ გირავნობის ქვეშ ისეთ კერძო პირთაგან, რომელთაც აზრად აქვს იცხოვრონ თავიანთი კაპიტალის სარგებლით, არ სურთ თვითონ გაისარჯონ ამ კაპიტალის გამოსაყენებლად საქმეში და რომელნიც ამიტომ მზად არიან ასესხონ იგი კრედიტუნარიან ადამიანებს, რომელთაც სურთ მით სარგებლობა რამდენიმე წლის განმავლობაში. რასაკვირველია, ბანკი, რომელიც ფულს სესხად იძლევა ხარჯების გაუწევლად საღებო ქაღალდზე ან ნოტარიუსის გასამრჯელოზე სასესხო ობლიგაციების ანუ საგირავნო ვალდებულებათა შედგენისას და რომელიც შოტლანდიის ბანკებისებური შეღავათიანი პირობებით იღებს სესხის გადახდას, რა თქმა უნდა, ძალიან შესაფერი კრედიტორი იქნებოდა ამგვარი ვაჭრებისა და მესარეწეებისათვის. მაგრამ ესაა, რომ ასეთი ვაჭრები და მესარეწეები, უეჭველად, ფრიად შეუფერებელი მოვალეები იქნებოდნენ ასეთი ბანკისათვის.

ოცდახუთ წელიწადზე მეტმა ხანმა განვლო უკვე მას შემდეგ, რაც შოტლანდიის სხვადასხვა საბანკო კომპანიების მიერ გამოშვებულმა ქაღალდის ფულმა სავსებით მიაღწია ანდა, იქნებ, რაოდენადმე გადააჭარბა კიდევ იმ რაოდენობას, რომლის ადვილად შეთვისება და გამოყენება შეეძლო ქვეყნის მიმოქცევას. ეს კომპანიები, ამრიგად, უკვე დიდხანს უწევდნენ შოტლანდიის ვაჭრებსა და სხვა მესარეწეებს მთელ იმ დახმარებას, რისი გაწევაც ბანკებსა და ბანკირებს შეუძლიათ, თავიანთი ინტერესის შეუღლებად. ისინი რაოდენადმე ამაზე მეტსაც აკეთებდნენ. ისინი ცოტათი გადასცდნენ თავიანთი ოპერაციების ნორმალურ ზომას და განიცადეს ის ზარალი ან, ყოველ შემთხვევაში, ის შემცირება მოგებისა, რაც ამ სპეციალურ დარგში ყოველთვის თანსდევს ნორმალური საქმიანობის სულ მცირეოდენ გადაჭარბებას. ვაჭრებსა და სხვა მესარეწეებს კი, რომელნიც ესოდენ დიდ დახმარებას იღებდნენ ბანკებისა და ბანკირებისაგან, კიდევ მეტის მიღება სურდათ. ბანკებს, _ ასე, როგორც ეტყობა, ფიქრობდნენ ისინი, _ შეუძლიათ ყოველ სასურველ თანხამდე გაადიდონ თავიანთი კრედიტი, ამისათვის ისინი არას ხარჯავენ, გარდა რამდენიმე ზომა ქაღალდისაო. ისინი სჩიოდნენ ამ ბანკების დირექტორების შეზღუდულ შეხედულებასა და სიმხდალეზე, რომელნიც, მათი სიტყვით, არ აფართოებდნენ თავიანთ კრედიტებს ქვეყნის ვაჭრობისა და მრეწველობის გაფართოების შესაბამისად; ამასთან, უეჭველია, ვაჭრობის ასეთ გაფართოებად ისინი გულისხმობდნენ თავიანთი საკუთარი პროექტების გაფართოებას იმ ზომაზე მეტად, რისი შესრულებაც შეეძლოთ თვითონ თავისი საკუთარი კაპიტალით ან იმ კაპიტალით, რომლის სესხად აღებას შესძლებდნენ კერძო პირებისაგან სესხების გზით, ე. ი. ობლიგაციებისა ანუ გირავნობის წესით. ბანკებს, _ ასე, ეტყობა, ფიქრობდნენ ისინი, _ მათივე სახელი აიძულებდა შეეცნოთ დანაკლისი თანხები და მიეცათ მათთვის მთელი ის კაპიტალი, რომლის მიღება მათ სურდათ თავიანთი ოპერაციებისათვის. მაგრამ ბანკები სხვა აზრისა იყვნენ, და რადგან ისინი უარს ამბობდნენ კრედიტების ასე გაფართოებაზე, ზოგიერთებმა იმ ვაჭარ-მრეწველთაგან მიმართეს იმ საშუალებას, რომელიც ერთხანად ემსახურებოდა მათ მიზანს, თუმცა ბევრად უფრო დიდი ხარჯებით, მაგრამ მაინც არა ნაკლებ ეფექტიურად, ვიდრე ამის შესრულებას შესძლებდა საბანკო კრედიტების უდიდესი გაფართოება. ეს საშუალება სხვა არა იყო რა, თუ არ კარგად ცნობილი გაცემა და გადაწერა თამასუქებისა, _ გაჭირვების საშუალება, რომელსაც ზოგჯერ მიმართავენ უბედო ვაჭრები, როდესაც გაკოტრების პირას არიან მისულნი. ფულის მოპოვების ეს პრექტიკა დიდი ხნიდან

იყო ინგლისში ცნობილი, და უკანასკნელი ომის დროს, როდესაც დიდი მოგება მეტად მაცთუნებელი იყო საქმიანობის უზომო გაფართოებისათვის, ეს საშუალება, როგორც ამბობენ, დიდის ზომით იყო გამოყენებული. ინგლისიდან ეს პრაქტიკა გადატანილ იქნა შოტლანდიაში, სადაც მან, ქვეყნის ძალიან შეზღუდულ აღებმიცემობასა და ფრიად ზომიერ კაპიტალთან შედარებით, გაცილებით უფრო დიდი გავრცელება მიიღო, ვიდრე ჰქონდა ოდესმე ინგლისში.

პრაქტიკა თამასუქების გაცემის და მათი გადაწერისა ისე კარგად უწყის ყველა საქმისკაცმა, რომ, იქნებ, ზედმეტიც კი იყოს მისი განმარტება. მაგრამ რადგან ეს წიგნი ზოგ ისეთ ადამიანს შეიძლება ჩაუვარდეს ხელში, რომელიც საქმისკაცთა წრეს არ ეკუთვნის, და რადგან ამ პრაქტიკის გავლენა საბანკო საქმეზე, იქნებ, თვით საქმისკაცებსაც არ ესმოდეთ ყოველთვის, ამიტომ მე შევეცდები განვმარტო ეს ისე გარკვევით, როგორც კი შემიძლია.

ვაჭრების ადათმა, რომელიც იმ დროს დამყარდა, როდესაც ევროპის ბარბაროსული კანონები ჯერ კიდევ აიძულებდნენ ვაჭრებს თავიანთ ხელშეკრულებათა შესრულებას, და რომელიც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ევროპის ყველა ხალხთა კანონებში იქნა მიღებული, ისეთი არაჩვეულებრივი პრივილეგიები მიანიჭა თამასუქებს, რომ თამასუქით უფრო ადვილად იძლევიან ფულს სესხად, ვიდრე ვალდებულების რაიმე სხვა ხელწერილზე, განსაკუთრებით თუ თამასუქი ისე მოკლე პერიოდის განმავლობაშია გადასახდელი, როგორცაა ორი ან სამი თვე დღიდან მისი გაცემისა. თუ ვადის დღეს მეაქცეპტემ თამასუქი არ გადაიხადა წარდგენისთანავე, იგი იმ მომენტიდან კოტრი ხდება. თამასუქი პროტესტში მიდის და წარედგინება გამცემს, რომელიც, თუ დაუყოვნებლივ არ გადაიხადა, იმგვარადვე კოტრი ხდება. თუ მანამდე, ვიდრე თამასუქი იმ პირის ხელში მივიდოდეს, რომელმაც მეაქცეპტეს წარუდგინა გადასახდელად, თამასუქმა რამდენიმე სხვა ადამიანის ხელში გაიარა, რომელთაც რიგ-რიგობით ასესხეს ერთი მეორეს თამასუქის თანხა ფულით ან საქონლით, და იმის აღსანიშნავად, რომ თითოეულმა მათგანმა თავის მხრივ მიიღო ეს თანხა, რიგ-რიგობით ინდოსამენტი გაუკეთეს თამასუქს, ე. ი. თავიანთი სახელი და გვარი წააწერეს თამასუქის ზურგზე, იმ შემთხვევაში თითოეული წამწერელი (ინდოსანტი) პასუხისმგებელია თამასუქის მფლობელის წინაშე მისი თანხისათვის და, თუ არ გადაიხადა, ასევე კოტრი გახდება ამ მომენტიდან. და თუნდა რომ თამასუქის გამცემი (ტრასანტი), მეაქცეპტე და ინდოსანტი – ყველანი გამოუკლებლივ – საეჭვო კრედიტუნარიანობის მქონენიც იყვნენ, მაინც ვადის სიმოკლე განსაზღვრულ უზრუნველყოფას უქმნის თამასუქის მფლობელს. თუმცა ძალიან შესაძლებელია ყველა იმათი გაკოტრება, მაგრამ სწორედ შემთხვევითობა იქნება, თუ ყველა ისინი ესოდენ მოკლე დროში გაკოტრდნენ. სახლი ძველია, – ამბობს თავის გულში დაღლილი მგზავრი, – დიდხანს ვერ გასძლებს; მაგრამ შემთხვევითობა იქნება, თუ იგი სწორედ ამაღამ დაიქცა, და მე გავბედავ ამიტომ ეს ღამე შიგ გავათიოო.

ვთქვათ, ედინბურგელმა ვაჭარმა A-მა თამასუქი გასცა ორი თვის ვადისა ლონდონელ B-ზე. სინამდვილეში B-ს არა მართებს რა ედინბურგელი A-ისა, მაგრამ თანხმდება აქცეპტი გაუკეთოს A-ის თამასუქს იმ პირობით, რომ გადახდის ვადის დადგომამდე იგი გასცემს ედინბურგელ A-ზე სხვა თამასუქს იმავე თანხისას, სარგებლითა და საკომისიო გადასახდელთურთ, ასევე ორი თვის ვადით დღიდან დაწერისა. ამ პირობის თანახმად, B, პირველი ორი თვის გასვლამდე, გასცემს ასეთ თამასუქს ედინბურგელ A-ზე, რომელიც, თავის მხრივ, შემდეგი ორი თვის გასვლამდე, გასცემს ახალ თამასუქს B-ზე ლონდონში, აგრეთვე ორი თვის ვადით,

ხოლო, შემდეგი ორი თვის გასვლამდე, ლონდონელი B გაცემს A-ზე ედინბურგში კიდევ ერთ თამასუქს ასევე ორი თვის ვადით. ასეთი პროცედურა ზოგჯერ გრძელდებოდა არა თუ რამდენსამე თვეს, არამედ რამდენსამე წელსაც, და ამასთან თამასუქი ყოველთვის უბრუნდებოდა A-ს ედინბურგში დაგროვილი სარგებლითა და საკომისიო გადასახდელითურთ ყველა წინანდელი თამასუქისათვის. სარგებელი შეადგენდა ხუთ პროცენტს წელიწადში, ხოლო საკომისიო სასყიდელი იყო ყოველთვის არა ნაკლებ ნახევარი პროცენტისა თითოეული თამასუქისათვის. რადგან ეს საკომისიო სასყიდელი ექვსზე მეტჯერ მეორდებოდა წელიწადში, – ფული, რომელიც A-ს შეეძლო მიეღო ამ გზით, უნდა დასჯდომოდა მას აუცილებლად 8 პროცენტზე ცოტათი უფრო ძვირად წელიწადში, და ზოგჯერ გაცილებით უფრო ძვირადაც, – სახელდობრ, როდესაც საკომისიო გადასახდელის ზომა აიწევდა ან როდესაც მას უხდებოდა სარგებელზე სარგებლის და საკომისიოს გადახდა წინანდელი თამასუქებისათვის. ამ პრაქტიკას ეწოდებოდა: ფულის შოვნა მიმოქცევის გზით.

იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალს ჩვეულებრივი მოგება მეტწილ საკომერციო სარეწაოებში ექვსიდან ათ პროცენტამდე ითვლება, მხოლოდ განსაკუთრებით იღბლიან სპეკულაციას შეუძლია მოიტანოს ისეთი შედეგი, რაც არა თუ დაფარავს იმ დიდ ხარჯებს, რომლებიც მისთვის აღებულ სესხთან არის დაკავშირებული, არამედ კარგ გარდამეტ მოგებასაც მისცემს სპეკულანტს. და მაინც მრავალი დიდი და ფართო პროექტი-სპეკულაცია იყო დაწყებული და წარმოებული რამდენიმე წლის განმავლობაში ისე, რომ მათ არავითარი სხვა ფონდი არ ჰქონდათ საფუძვლად, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც ესოდენ არაჩვეულებრივად დიდი ხარჯებით იყო მოპოვებული. მეპროექტენი, უეჭველია, თავიანთ ოქროს ზმანებაში ნათლად ხედავდნენ ამ დიდ მოგებას. მაგრამ გამოფხიზლებისას, თავიანთი ოპერაციების დასასრულს, ან როდესაც აღარ შეეძლოთ ამ ოპერაციების განგრძობა, მე მგონია, მათ იშვიათად უხდებოდათ ამ იმედების განხორციელების ხილვა¹.

¹ ტექსტში აწერილი წესი არ წარმოადგენდა არც ყველაზე უფრო ჩვეულებრივს და არც ყველაზე უფრო ძვირ საშუალებას, რომლის საფუძველზე ის მეპროექტენი ზოგჯერ ფულს შოულობდნენ მიმოქცევის გზით. ხშირად მოხდებოდა, რომ ედინბურგელი A, რათა პირველი თამასუქის გადახდის საშუალება მიეცა ლონდონელი B-ისთვის, რამდენიმე დღით ადრე იმ თამასუქის ვადის გასვლამდე ახალ თამასუქს გაცემდა მასზე სამი თვის ვადით. ამ – მისი საკუთარი ბრძანებისამებრ გადასახდელ – თამასუქს A ყიდდა ედინბურგში al pari. ხოლო აღებული თანხით ყიდულობდა ლონდონზე თამასუქს, რომელიც B-ის ბრძანებისამებრ გადასახდელი იყო წარდგენისთანავე, და ფოსტით უგზავნიდა ლონდონში B-ს უკანასკნელი ომის ბოლოს სათამასუქო კურსი ედინბურგსა და ლონდონს შორის სამი პროცენტით იყო ედინბურგის წინააღმდეგ, ასე რომ A-ს ხშირად ასეთი პრემია უნდა ეხადა ამგვარი, წარდგენისთანავე გადასახდელი თამასუქების ყიდვისას. ამიტომ ასეთი ოპერაცია, წელიწადში ოთხჯერ განმეორებული, რასაც თითოეული განმეორებისათვის 1/2% საკომისიო გადასახდელი ემატებოდა, A-ს უჯდებოდა იმ დროში, სულ ცოტა, 14 პროცენტად წელიწადში. ზოგჯერ კიდევ საშუალება, რომელსაც A მიმართავდა, რათა პირველი თამასუქის გადახდის შესაძლებლობა მიეცა B-ისთვის, იმაში მდგომარეობდა, რომ რამდენიმე დღით ადრე ამ თამასუქის ვადის გასვლამდე იგი გაცემდა მეორე ორთვიან თამასუქს, მაგრამ არა B-ზე, არამედ – მესამე პირზე, მაგალითად, ლონდონელ C-ზე. ეს მეორე თამასუქი გადასახდელი იყო B-ის ბრძანებისამებრ, რომელიც, რადგან თამასუქს აქცეპტი ჰქონდა C-ისაგან, მას დისკონტს გაუკეთებდა რომელსამე ბანკირთან ლონდონში, ხოლო A ამ თამასუქის გადახდის შესაძლებლობას აძლევდა C-ს მით, რომ რამდენიმე დღით ადრე ვადად მეცამე ორთვიან თამასუქს გაცემდა პირველ კორესპონდენტ B-ზე ანდა მეოთხე ან მეხუთე პირზე, მაგალითად, D-ზე ან E-ზე. ეს მესამე თამასუქი გადასახდელი იყო B-ის ბრძანებისამებრ, რომელიც როგორც კი თამასუქს აქცეპტი ჰქონდა მიცემული, დისკონტს გაუკეთებდა მას რომელსამე ბანკირთან ლონდონში. რადგან ასეთ ოპერაციებს, რომლებიც ყოველ შემთხვევაში ექვსჯერ მაინც მეორდებოდა წელიწადში, თანახლდა თითოეული განმეორებისათვის 1/2% საკომისიო გადასახდელის

იმ თამასუქებს, რომლებსაც ედინბურგელი A გასცემდა ხოლმე ლონდონელ B-ზე, ის რეგულარულად დისკონტს უკეთებდა ორი თვით ადრე ვადამდე ედინბურგის რომელსამე ბანკში ან ბანკირთან, ხოლო იმ თამასუქებს, რომლებსაც ლონდონელი B გასცემდა ხოლმე ამ ედინბურგელ A-ზე, B დისკონტს უკეთებდა ასევე რეგულარულად ან ინგლისის ბანკში, ან სხვა ლონდონელ ბანკირებთან. ყველა ის თანხები, რომლებიც თამასუქების საფუძველზე გაიცემოდა, გაიცემოდა ედინბურგში შოტლანდიის ბანკების ქალაქის ფულით, ხოლო ლონდონში, როდესაც თამასუქებს დისკონტი უკეთდებოდა ინგლისის ბანკში, – ამ ბანკის ქალაქის ფულით. თუმცა თამასუქები, რომელთა საფუძველზე ეს ქალაქის ფული გაიცემოდა, ყოველთვის გადაიხდებოდა რიგ-რიგობით, როდესაც მათი ვადა დადგებოდა, მაგრამ ის ღირებულება, რომელიც პირველ თამასუქში იყო გაცემული, სინამდვილეში არ უზრუნდებოდა მის გამცემ ბანკს, ვინაიდან თითოეული თამასუქის ვადის დადგომამდე ყოველთვის სდგებოდა ახალი თამასუქი რაოდენადმე უფრო დიდი თანხისა, ვიდრე ის თამასუქი იყო, რომელიც მალე უნდა ყოფილიყო გადახდილი, და ამასთან ამ ახალი თამასუქის დისკონტი აუცილებლად საჭირო იყო ვადამოახლოებული თამასუქის გადასახდელად. ამიტომ ამისი გადახდა სრულიად ფიქციური იყო. ფულის ნაკადი, რომელიც ამ მიმოქცეული თამასუქების მეოხებით გადიოდა ბანკის სალაროებიდან, არასოდეს არ ნაზღაურდებოდა მეორე ნაკადით, რომელიც იქ ნამდვილად შედიოდა.

ამ მიმოქცეული თამასუქების საფუძველზე გამოშვებული ქალაქის ფული ბევრ შემთხვევაში შეადგენდა მთელ ფონდს, რომელიც დანიშნული იყო რაიმე ფართო და ძვირად ღირებული სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო ან სამრეწველო სარეწაოს წარსამართავად, და არა მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც მესარეწეს, ქალაქის ფული რომ არ არსებულებოდა, უნდა ჰქონებოდა თავისთან უქმად და ნაღდ ფულად მიმდინარე გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად. ამის გამო ამ ქალაქის ფულის უდიდესი ნაწილი აღემატებოდა ღირებულებას ოქრო-ვერცხლისას, რომელიც იქნებოდა ქვეყნის მიმოქცევაში, ქალაქის ფულს რომ ადგილი არ ჰქონებოდა სრულიად. იგი, მაშასადამე, უფრო დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა, ვიდრე რამდენის შეთვისება და გამოყენება შეეძლო ქვეყნის მიმოქცევას; ამიტომ იგი დაუყოვნებლივ უკუმოედინებოდა ბანკებში ოქროსა და ვერცხლზე გადასაცვლელად, რომლებიც ბანკებს, როგორც და საცა უნდა ყოფილიყო, უნდა ეშოვნათ. აი ეს კაპიტალი მიჰქონდათ ფრიად ეშმაკურად იმ მეპროექტე ხალხს ბანკებიდან არა თუ ამ უკანასკნელთა ცოდნისა და მოსაზრებული თანხმობის გარეშე, არამედ რამდენიმე ხნის განმავლობაში, იქნებ, ისეც, რომ ამ ბანკებს გუმანიც კი არ ჰქონდათ იმისა, რომ ისინი იყვნენ ფაქტიურად ამ კაპიტალის სესხად გამცემნი.

თუ ორი ადამიანი, რომელნიც მუდამ ერთი მეორეზე გასცემენ და უკუგასცემენ ხოლმე თამასუქებს, თავიანთ თამასუქებს ყოველთვის ერთსა და იმავე ბანკირთან უკეთებს დისკონტს, – ამ უკანასკნელმა მაშინვე უნდა აღმოაჩინოს, რაშიაგ არის საქმე, და დაინახოს, რომ ეს პირნი თავიანთ ოპერაციებს აწარმოებენ არა თავისი კაპიტალით, არამედ იმ კაპიტალით, რომელსაც მათ ბანკირი აძლევს სესხად. მაგრამ

გაღება, აგრეთვე კანონიერი 5% ხარჯების გაწევა, ამიტომ ამ წესით ფულის მოპოვება, მსგავსად ტექსტში აწერილისა, A-ს უნდა დასჯდომოდა 8%-ზე მეტად. მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში დაიზოგებოდა სათამასუქო კურსი ედინბურგსა და ლონდონს შორის, ამიტომ ეს წესი ნაკლებ საზარალო იყო, ვიდრე ის, რომელიც ამ შენიშვნის პირველ ნაწილშია აწერილი; მხოლოდ იგი მოითხოვდა მტკიცე კრედიტის მქონებლობას მრავალ სავაჭრო სახლთან ლონდონში, რისი მოპოვებაც ბევრ ასეთ სპეკულაციის გამწევ ადამიანს ადვილად არ შეეძლო.

ამის გამოაშკარავება ასე ადვილი არაა, როდესაც ისინი თავიანთ თამასუქებს დისკონტს ხან ერთ ბანკირთან უკეთებენ და ხან მეორესთან, და როდესაც ეს პირნი ყოველთვის ერთმანეთზე როდი გასცემენ თამასუქებს, არამედ ზოგჯერ ამ საქმეში შემოჰყავთ ფართო წრე სპეკულანტებისა, რომელთა ინტერესი მოითხოვს დაეხმარონ ერთმანეთს ამ საშუალების გამოყენებაში ფულის საშოვნელად და ამ მიზნით გააძნელონ, რაც კი შეიძლება გარჩევა ნამდვილსა და ფიქციურ თამასუქებს შორის, ნამდვილი კრედიტორის მიერ ნამდვილ მოვალეზე გაცემულ თამასუქსა და იმ თამასუქს შორის, რომლის უკან, საკუთრივ, ნამდვილი კრედიტორი არავინ დგას სხვა, გარდა ბანკისა, რომელმაც თამასუქს დისკონტი გაუკეთა, და არავინ ნამდვილი მოვალე სხვა, გარდა სპეკულანტისა, რომელმაც ფულით ისარგებლა. და თუ ბანკირმა ეს აღმოაჩინა კიდეც, ეს აღმოჩენა ხდება ძალიან დაგვიანებით, და იგი რწმუნდება, რომ მან სპეკულანტების ისე დიდი თანხის თამასუქებს გაუკეთა დისკონტი, რომ შემდგომ დისკონტზე თავისი უარისთქმით იგი ყველა იმ სპეკულანტებს გააკოტრებს და, დალუპავს რა მათ, იქნებ, თავისთავიც დალუპოს. ამიტომ თავისი საკუთარი ინტერესისა და საკუთარი უზრუნველყოფის გულისთვის მან შეიძლება აუცილებლად მიიჩნიოს ასეთ სახიფათო მდგომარეობაში კიდეც გააგრძელოს რამდენსამე ხანს მათი თამასუქების დისკონტი და ამასთანავე ეცადოს თანდათან თავი დააღწიოს ამ საქმეს და ამ მიზნით ყოველდღე უფრო და უფრო გააძნელოს დისკონტი, რათა ეს სპეკულანტები თანდათან აიძულოს ან სხვა ბანკირებს მიმართონ ან სხვა წესს ფულის შოვნისა, და თვითონ კი რაც შეიძლება მალე გამოვიდეს ამ წრიდან. ამიტომ თამასუქების დისკონტის გაძნელებამ, რაც დაიწყო ინგლისის ბანკმა, ლონდონის მთავარმა ბანკირებმა და უფრო ფრთხილმა შოტლანდიის ბანკებმაც კი, რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც მათ უკვე შორს შესტოპეს, არა თუ შეაფუცხუნა ეს სპეკულანტები, არამედ გააშმაგა კიდეც. თავიანთი საკუთარი გაჭირვება, რომელიც, უეჭველია, ბანკების ამ გონივრული და საჭირო თავდაჭერილობის შედეგად წარმოსდგა, მათ გამოაცხადეს ქვეყნის გაჭირვებად; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქვეყნის ეს გაჭირვება გამოწვეულია უვიცობით, სიმხდალით და ცუდი მმართველობით ბანკებისა, რომელთაც საკმაოდ უხვი დახმარება არ გაუწიეს იმათ გაბედულ სარეწაოებს, ვინც დამაშვრალი იყვნენ იმისათვის, რომ ქვეყანა გაემშვენებიათ, წინ წაეწიათ და გაემდიდრებიათ. ისინი, ეტყობა, ფიქრობდნენ, რომ ბანკების მოვალეობაა სესხის გაცემა ისე გრძელი ვადით და იმ ზომით, რა ვადით და რამდენის აღებასაც ისინი ისურვებდნენ. მაგრამ ბანკებმა, რომელთაც უარი სთქვეს იმათთვის კრედიტის მიცემაზე, ვისაც უკვე მისცეს სესხად ბევრი ფული, აირჩიეს ის ერთადერთი გზა, რომლითაც ახლა შესაძლებელი იყო მათი საკუთარი კრედიტის ან ქვეყნის საჯარო კრედიტის ხსნა.

ამ გოდებისა და გაჭირვების დროს შოტლანდიაში დაარსებულ იქნა ახალი ბანკი იმ სპეციალური მიზნით, რომ შეემსუბუქებიათ ქვეყნის ეს შეჭირვებული მდგომარეობა. განზრახვა კეთილშობილური იყო, მაგრამ მისი შესრულება არ იყო გონივრული, და იმ შეჭირვებული მდგომარეობის ხასიათი და მიზეზები, რომლის შემსუბუქება სურდათ, არ იყო სისწორით გაგებულნი. ეს ბანკი განირჩევიდა უფრო ხელგაშლილობით, ვიდრე სხვა რომელიმე ბანკი ოდესმე, როგორც მიმდინარე ანგარიშების გახსნის მხრივ, ისე თამასუქების დისკონტის მხრივაც. რაც შეეხება უკანასკნელთ, იგი თითქოს არავითარ განსხვავებას არ სცნობდა ნამდვილსა და ფიქციურ თამასუქებს შორის, – და ორთავეს თანაბრად უკეთებდა დისკონტს. ამ ბანკმა ცხად წესად მიიღო რაოდენადმე გონივრული უზრუნველყოფის საფუძველზე სესხად გაცემა მთელი კაპიტალისა ისეთი სარეწაოებისთვის, სადაც მისი დაბრუნება

ხდება ნელა და ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, მაგალითად, სასოფლო-საღებურნეო სარეწაოებისთვის. აცხადებდნენ კიდევ, რომ ამგვარ სარეწაოთა დახმარება შეადგენს მთავარ მიზანს იმ საზოგადოებრივ-სასარგებლო მიზნებში, რომელთა გულისთვის ბანკი არის დაარსებული. თავისი ხელგაშლილობის გამო მიმდინარე ანგარიშების გახსნისა და თამასუქების დისკონტის საქმეში ბანკი, უეჭველია, მიმოქცევაში უშვებდა თავისი ბანკნოტების დიდ რაოდენობას. მაგრამ ეს ბანკნოტები, რამდენადაც მათი უდიდესი ნაწილის ადვილად შეთვისება და გამოყენება არ შეეძლო ქვეყნის მიმოქცევას, თითქმის გამოშვების უმაღლეს უკან უბრუნდებოდა ბანკს ოქროსა და ვერცხლზე გადასაცვლელად. ბანკის სალაროები არასოდეს არ იყო საკმაოდ გავსებული. ბანკის კაპიტალი, რომელიც აქციების ორი გამოცემით შესდგა, აღწევდა 160 000 გირვ. სტერლინგს, რომლიდანაც მხოლოდ 80% იყო გადახდილი. მთელი თანხა გადახდილი უნდა ყოფილიყო რამდენსამე ვადაში. აქციონერების დიდმა ნაწილმა, შეიტანა რა პირველი შენატანი, გაიხსნა ბანკში მიმდინარე ანგარიში, ხოლო ბანკის დირექტორები, რომელნიც თავიანთ თავს ვალდებულად სთვლიდნენ ისევე ხელგაშლილი ყოფილიყვნენ თავიანთ საკუთარ აქციონერთა მიმართ, როგორც ყველა სხვა კლიენტის მიმართ, ნებას აძლევდნენ ბევრ მათგანს ამ მიმდინარე ანგარიშით ესესხნათ ის თანხები, რომლებიც შემდეგ მათ შეჰქონდათ შემდგომი სააქციო შენატანის სახით. ამ შენატანით ბანკს ერთ სალაროში უბრუნდებოდა ის თანხა, რომელიც ეს არის მეორიდან იყო გატანილი. მაგრამ რაგინდ სავსე ყოფილიყო ფულით ბანკის სალაროები, მის მეტად ფართო ოპერაციებს უნდა დაეცარიელებია ისინი უფრო სწრაფად, ვიდრე მათი გავსება შეიძლებოდა რაიმე სხვა გზით, თუ არ გამნადგურებელი წესით თამასუქების გაცემისა ლონდონზე და მათი გადახდისა, როცა ვადა დადგებოდა, სარგებლით და საკომისიო სასყიდლითურთ, ლონდონზე ახალი თამასუქების გაცემის საშუალებით. და რადგან ბანკის სალაროები იმთავითვე ძალიან ნაკლები იყო, ბანკი იძულებული შეიქნა, როგორც ამბობენ, თავისი ოპერაციების დაწყებიდან უკვე რამდენიმე თვის შემდეგ მიემართა იმ საშუალებისათვის. ამ ბანკის პატრონების მამულები რამდენიმე მილიონი ღირდა და, რამდენადაც მათ ბანკის დაფუძნების აქტზე ხელი ჰქონდათ მოწერილი, ისინი ფაქტიურად პასუხს აგებდნენ ამ მამულებით ბანკის ყველა ვალდებულებისათვის. იმ დიდი კრედიტის გამო, რომელიც ბანკს ჰქონდა ესოდენ დიდი უზრუნველყოფის მეოხებით, მას შეეძლო, მეტისმეტად ხელგაშლით მოქმედების მიუხედავად, განეგრძო თავისი ოპერაციები რამდენიმე წლის განმავლობაში. როდესაც ბანკი იძულებული გახდა ეს ოპერაციები შეეწყვიტა, მას მიმოქცევაში ჰქონდა დაახლოებით 200 000 გირვ. სტერლინგის ბანკნოტები. ამ ბანკნოტების მიმოქცევის უზრუნველსაყოფად, რომელნიც მას განუწყვეტლივ უბრუნდებოდნენ გამოშვებისთანავე, მას მუდამ უნდა ეწარმოებია თამასუქების გაცემა ლონდონზე, რომელთა რაოდენობა და ღირებულება განუწყვეტლივ იზრდებოდა, ასე რომ ბანკის ოპერაციების შეწყვეტის მომენტისთვის მათი თანხა აღემატებოდა 600 000 გირვ. სტერლინგს. ამგვარად, ცოტათი ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ ბანკმა სესხად გასცა სხვადასხვა პირებზე 800 000 გირვანქაზე მეტი თანხა 5%-ში. რაც სეხება იმ 200 000 გირვანქას, რომელიც ბანკნოტების სახით მიმოიქცევოდა, ეს ხუთი პროცენტი შეიძლება, ვთქვათ, ჩაითვალოს წმინდა მოგებად. საიდანაც გამოსაკლებია მხოლოდ საგამგებლო ხარჯები. მაგრამ 600 000 გირვანქისთვის, რომლის მისაღებად ბანკს ყოველთვის თამასუქები უნდა გაეცა ლონდონზე, ბანკი იხდიდა სარგებლისა და საკომოსიო სასყიდლის სახით 8

პროცენტზე მეტს და, მაშასადამე, 2 პროცენტზე მეტს კარგავდა იმ თანხაზე, რომელიც აღემატებოდა მისი ოპერაციების სამ მეოთხედს.

ამ ბანკის ოპერაციებს, როგორც ეტყობა, პირდაპირ წინააღმდეგი შედეგი მოჰყვა იმასთან შედარებით, რაც იმის ინიციატორებსა და ხელმძღვანელებს ჰქონდათ მხედველობაში. ამათ, ეტყობა, აზრად ჰქონდათ, რომ დახმარება გაეწიათ ფართოდ განზრახული სარეწაოებისათვის, და ასეთებად ისინი სთვლიდნენ იმ სარეწაოებს, რომლებიც იმ ხანად ფუნდებოდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში, და ამავე დროს მიზნად ჰქონდათ, თავიანთ ხელში მთელი საბანკო საქმის მოქცევის გზით, შოტლანდიის ყველა სხვა ბანკთა ადგილი დაეჭირათ, განსაკუთრებით ედინბურგის ბანკებისა, რომელთა ჩამორჩენილობა თამასუქების დისკონტის საქმეში ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევდა. ახალმა ბანკმა, უეჭველია, ერთგვარი დროებითი დახმარება გაუწია იმ სპეკულანტებს და შესაძლებლობა მისცა მათ თავიანთი პროექტები ეცადნათ დაახლოებით ორი წლის განმავლობაში. მაგრამ ამით მან მხოლოდ იმის შესაძლებლობა მისცა მათ, რომ უფრო ღრმად ჩაფლულიყვნენ ვალებში, ასე რომ, როდესაც კრახი წარმოსდგა, ამას მით უფრო სამძიმო შედეგები დაურჩა როგორც მათთვის, ისე კრედიტორებისათვის. ამგვარად, ბანკის ოპერაციებმა, შემსუბუქების ნაცვლად, სინამდვილეში მხოლოდ გააძლიერა ბოლოს და ბოლოს ის შეჭირვება, რომელიც იმ სპეკულანტებმა შეუქმნეს თავიანთ თავს და თავიანთ ქვეყანას. უკეთესი იქნებოდა თვით მათთვის, მათი კრედიტორებისთვის და ქვეყნისთვისაც, მათი უმრავლესობა რომ იძულებული ყოფილიყო ორი წლით ადრე შეეწყვიტა თავისი საქმეები. და მაინც იმ დროებითმა დახმარებამ, რომელიც ბანკმა გაუწია იმ სპეკულანტებს, ნამდვილი და ხანგრძლივი შველა მისცა შოტლანდიის სხვა ბანკებს. ყველა ისინი, ვინ, თამასუქების მიმოქცევის ოპერაციებს ეწეოდნენ და რომელთაც ეს ბანკები ასეთი თამასუქების დისკონტს უძნელებდნენ, გადაბარგდნენ ამ ახალ ბანკთან, სადაც მათ სიხარულით ხვდებოდნენ. ამის გამო დანარჩენ ბანკებს ადვილად შეეძლოთ ამ საბედისწერო წრიდან თავისდაღწევა, საიდანაც გამოსვლად ისინი სხვა პირობებში ვერ შესძლებდნენ მნიშვნელოვანი ზარალის უნახავად და თავიანთი კრედიტის რაოდენადმე შეურყევლად.

მაშასადამე, ამ ბანკის ოპერაციებმა ბოლოს და ბოლოს გააძლიერა ქვეყნის გაჭირვება, რომლის შემსუბუქება მას სწადდა, და ნამდვილად იხსნა ფრიად დიდი გაჭირვებისაგან ის მეტოქენი, რომელთა წაქცევას იგი ლამობდა.

ამ ბანკის გახსნისას ზოგნი ფიქრობდნენ, რომ ბანკს ადვილად შეეძლება თავისი სალაროების გავსება ყოველთვის, როდესაც ისინი დაიცლებიან, იმ პირთა უზრუნველყოფის რეალიზაციის გზით, რომელთაც მან თავისი ბანკნოტები მისცა სესხად. გამოცდილებამ, მგონია, მალე დაარწმუნა ისინი, რომ ასეთი მეთოდი ფულის მოპოვებისა მეტისმეტად ნელი იყო ამ მიზნის სასამსახუროდ და რომ სალაროების გავსება ფულით, სადაც იმთავითვე ისე ცოტა იყო ფული და საიდანაც ფული ისე სწრაფად მიდიოდა, სხვაგვარად არ შეიძლებოდა, თუ არა იმ გამანადგურებელი წესით, რომ თამასუქები გაცემულიყო ლონდონზე და მათი ვადის დადგომისას – გადახდილიყო, დაგროვილი სარგებლითა და საკომისიო სასყიდლითურთ, ახალი თამასუქების გაცემის გზით იმავე ლონდონზე. თუნდაც რომ იმ მეთოდით ბანკს შესძლებოდა ფულის მოპოვება ისე სწრაფად, როგორც დასჭირდებოდა, მას მაინც, მოგების ნაცვლად, ზარალი უნდა განეცადა ყოველ ასეთ ოპერაციაზე, ასე რომ იგი, როგორც კომერციული სარეწაო, ბოლოს და ბოლოს უნდა განადგურებულიყო, თუმცა, იქნებ, არა ისე სწრაფად, როგორც თამასუქები გაცემისა და გადაწერის უფრო ხარჯიანი სისტემის შემთხვევაში. ბანკი ვერას მოიგებდა

სარგებლის სახით ქალაქის ფულისათვის, რადგან ეს უკანასკნელი იმაზე მეტი იყო, რისი შეთვისება და გამოყენება შეეძლო ქვეყნის მიმოქცევას, და გამოშვების უმაღლესე ბანკს უბრუნდებოდა ოქროსა და ვერცხლზე გადასაცვლელად და მის გასანაღდებლად ყოველთვის ფული უნდა აედო სესხად. პირიქით, მთელი ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იყო ასეთ სესხთან, იმ აგენტების შენახვასთან, რომელთაც ფულის გასესხების მსურველები უნდა გამოენახათ, მათთან მოლაპარაკების გამართვასთან, ობლიგაციების ანუ საგირავნო ვალდებულებათა შედგენასთან, უნდა დაჰკისრებოდა ბანკს და შეადგენდა წმინდა ზარალს მისი ანგარიშების ბალანსში. ბანკის სალაროების ამგვარად გავსების პროექტი შეიძლება შევადაროთ იმ ადამიანის პროექტს, რომელსაც აქვს აუზი, საიდანაც განუწყვეტლივ გამოდის წყალი, მაგრამ სადაც წყალი არსაიდან შედის, და რომელიც ფიქრობს მასში წყლის უცვლელი დონე მით შეინარჩუნოს, რომ მრავალ ადამიანს ქირობს, და ამათ განუწყვეტლივ უნდა ირბინონ ვედროებით რამდენიმე მილის მანძილზე დაშორებულ ჭასთან, რათა იქიდან წყალი მიზიდონ იმ აუზის გასავსებად.

მაგრამ ეს ოპერაცია რომ კიდევ გამომდგარიყო არა თუ შესასრულებლად შესაძლებელი, არამედ ხელსაყრელიც ბანკისათვის, როგორც კომერციული კომპანიისათვის, მაინც ქვეყანა აქედან ვერ მიიღებდა ვერავითარ სარგებლობას, არამედ, პირიქით, დიდ ზარალს განიცდიდა. ეს ოპერაცია ოდნავადაც ვერ გაადიდებდა გასესხებული ფულის რაოდენობას. მას შეეძლო მხოლოდ ეს ბანკი ექცია ერთგვარ ცენტრალურ გამსესხებელ დაწესებულებად მთელი ქვეყნისათვის. ვისაც ფულის სესხად აღება დასჭირდებოდა, ამ ბანკისთვის უნდა მიემართა, ნაცვლად კერძო პირებისა, რომელთაც ბანკს ასესხეს თავიანთი ფული. მაგრამ ბანკს, რომელიც ფულს სესხად აძლევს, იქნებ, ხუთას სხვადასხვა ადამიანს, რომელთა უმრავლესობის შესახებ მის ღირექტორებს ძალიან ცოტა რამ შეუძლიათ იცოდნენ, არ ძალუძს უფრო სწრაფად შეარჩიოს თავისი მოვალეები, ვიდრე კერძო პირს, რომელიც თავის ფულს ასესხებს მცირეოდენ ადამიანთ, ვისაც იგი პირადად იცნობს და ჰგონია საკმაო საფუძველი აქვს ენდოს მათ სიფრთხილესა და დამზოგველობას. ასეთი ბანკის მოვალეები, რომლის საქმიანობის შესახებ მე აქ მოგახსენეთ, მეტწილად იყვნენ მეოცნებე სპეკულანტები, სამიმოქცევო თამასუქების გამცემნი და გადამწერნი, მიღებულ ფულს რომ ხარჯავდნენ უცნაურ სარეწაოებზე, რომლებსაც მთელი იმ დახმარებით, რაც მათთვის შეიძლება გაეწიათ, ისინი მაინც, ალბათ, ვერ განახორციელებდნენ და რომლებიც, თუნდაც რომ განხორციელებულიყო, ვერასოდეს ვერ დაჰფარავდა ნამდვილ მათზე გაწეულ ხარჯებს და ვერასოდეს ვერ მისცემდა ფონდს შრომის იმავე რაოდენობის შესანახად, რაც მათზე იყო დახარჯული. პირიქით, კერძო პირთა ფრთხილი და დამზოგველი მოვალეები, ალბათ, უფრო დახარჯავდნენ ნასესხებ ფულს საიმედო, მათი კაპიტალის შესაბამის სარეწაოებზე, – იქნებ, ნაკლებ დიადსა და წარმტაცზე, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მკვიდრზე და მოგებიანზე, რომელნის მათ დანაზარჯს აანაზღაურებდნენ დიდი მოგებითურთ და ამგვარად შექმნიდნენ ფონდს, რითაც შრომის უფრო დიდი რაოდენობის შენახვა იქნებოდა შესაძლებელი, ვიდრე მათზე იყო დახარჯული. ამრიგად, აწერილი ოპერიციის წარმატება, რაც ოდნავ არ გაადიდებდა ქვეყნის კაპიტალს, მარტოოდენ გადაიტანდა მის დიდ ნაწილს გონივრული და მოგებიანი სარეწაოებიდან უგუნურსა და არახელსაყრელში.

განთქმული ლოჟ იმ აზრისა იყო, რომ შოტლანდიის მრეწველობა არ ვითარდებოდა ფულის ნაკლებობის გამო. იგი ფიქრობდა ეს ფულის ნაკლებობა მოესპო განსაკუთრებული სახის ბანკის დაარსებით, რომელსაც – ასე, ეტყობა, ჰქონდა

მას წარმოდგენილი, – უნდა გამოეშვა ქალაქის ფული, ქვეყნის ყველა მამულთა საერთო ღირებულების თანატოლი. შოტლანდიის პარლამენტმა, როდესაც მან პირველად წარადგინა თავისი პროექტი, შესაძლებლად ვერ სცნო მისი მიღება. იგი მიღებულ იქნა შემდეგში, ზოგი ცვლილებებით, ჰერცოგ ორლენელის მიერ, რომელიც მაშინ საფრანგეთის რეგენტი იყო. ეს იდეა, რომ ქალაქის ფულის გამრავლება შეიძლება თითქმის შეუზღუდავად, ნამდვილ საფუძვლად ედვა ეგრეთწოდებულ მისისიპის კომპანიას, ამ ყველაზე უფრო უგუნურ საბანკო და საბირჟო სარეწაოს, რომელიც კი ოდესმე უხილავს ქვეყნიერობას. ამ სარეწალო სხვადასხვა ოპერაციები ისე სრულად, ისე ნათლად, ისე სისტემატურად და სწრაფად აქვს გარკვეული დიუვერნეს თავის ანალიზში დიუტოს “პოლიტიკური ფიქრებისა ვაჭრობის და ფინანსების შესახებ”, რომ მე მათზე აღარ შევჩერდები. ის პრონციპები, რომლებზედაც იგი დაფუძნებული იყო, თვითონ ლოუს აქვს გადმოცემული თავის ნაწერში “ფულისა და ვაჭრობის შესახებ”, რომელიც მან გამოაქვეყნა შოტლანდიაში, როდესაც პირველად წარადგინა თავისი პროექტი. ბრწყინვალე, მაგრამ ფანტასტიკური იდეები, რომლებიც განვითარებულია ამ ნაწარმოებში და ზოგ სხვა ნაწერებშიც იმავე პრონციპების შესახებ, კიდევ ახდენს შთაბეჭდილებას ბევრ ადამიანზე და, შესაძლებელი, რაოდენადმე ხელშემწყობი იყო საბანკო ოპერაციების იმ უზომო გაფართოებისათვის, რომლის გამო უკანასკნელ დროს ჩივილი ისმოდა როგორც შოტლანდიაში, ისე სხვა ადგილებშიც.

ინგლისის ბანკი მიმოქცევის უდიდესი ბანკია ევროპაში. იგი დაფუძნებული იქნა კორპორაციის სახით საპარლამენტო აქტის საფუძველზე დიდბეჭდიანი ქარტიით, 1694 წლის 27 ივლისით დათარიღებულით. იმ დროს მან ასესხა მთავრობას 1 200 000 გირვანქა იმ პირობით, რომ უკანასკნელისაგან მიეღო ყოველწლიურად 100 000 გირვანქა ანუ 96 000 გირვანქა როგორც სარგებელი, რვა პროცენტის ანგარიშით, და 4 000 გირვანქა – საგამგებლო ხარჯებისათვის. რევოლუციის მიერ დამყარებული მთავრობის კრედიტი, შეიძლება ვიფიქროთ, ძალიან მცირე ყოფილა, თუ ეს მთავრობა იძულებული იყო ასე მაღალი სარგებლით აეღო სესხად ფული.

1697 წელს ბანკს ნება დართეს თავისი ძირითადი კაპიტალი გაედიდებია 1 001 171 გირვ. და 10 შილინგით, ასე რომ მთელი მისი ძირითადი კაპიტალი ამ დროისთვის შეადგენდა 2 201 171 გირვ. და 10 შილინგს. კაპიტალის ეს გადიდება, როგორც ამტკიცებენ, მოხვდა სახელმწიფო კრედიტის გასამაგრებლად. 1696 წელს ბანკის ობლიგაციები დაეცა 40, 50 და 60 პროცენტით, ხოლო მისი ბანკნოტები – 20 პროცენტით¹. ვერცხლის ფულის ხელახლა მოჭრის დროს, რაც იმ პერიოდში სწარმოებდა, ბანკმა საჭიროდ ჩასთვალა თავისი ბანკნოტების განადღება შეეწყვიტა, რამაც აუცილებლობის გზით გამოიწვია მათი სახელის გატეხა.

დედოფალი ანას მეფობის მე-7 წელს გამოცემული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ბანკმა ასესხა და გადაუხადა ხაზინას 400 000 გირვ. სტერლ., ამსე რომ ის თანხა, რომელიც მან თავდაპირველად გასცა სესხად წლიური 96 000 გირვ. სარგებლით და 4 000 გირვ. გადასახდელით საგამგებლო ხარჯებისათვის, ახლა შეადგენდა სულ 1 600 000 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, 1708 წელს მთავრობის კრედიტი უარესი არ იყო კერძო პირებისაზე, ვინაიდან მას შეეძლო სესხად აეღო ფული 6% სარგებლით, ე. ი. იმ დროს ჩვეულებრივი, კანონიერი და საბაზრო ნორმით. აღნიშნული კანონის თანახმად, ბანკმა გააუქმა ექვსპროცენტაანი სახაზინო ბილეთები 1 775 027 გირვ. სტერლ. 17 შილ. და 10 1/2 პენსის თანხისა და

¹ James Postlethwaite's History of the Public Revenue, p. 301.

იმავდროულად ნებართვა მიიღო ხელის მოწერა გაემართა თავისი კაპიტალის გასაორკეცებლად. ამრიგად, 1708 წელს ბანკის კაპიტალი შეადგენდა 4 402 343 გირვ. სტერლინგს, რომლიდანაც მას მთავრობისათვის ჰქონდა სესხად მიცემული 3 375 027 გირვ. სტერლ. 17 შილ. და 10 1/2 პენსი.

შედეგად განცხადებისა აქციებზე დამატებითი თხუთმეტპროცენტისანი შესატანის შესახებ 1709 წელს გადახდილ იქნა და კაპიტალად იქცა 656 204 გირვ. სტერლ. 1 შილ. და 9 პენსი, ხოლო შედეგად მეორე განცხადებისა დამატებითი ათპროცენტისანი შესატანის შესახებ 1710 წელს _ 501 648 გირვ. სტერლ. 12 შილ. და 11 პენსი. მასმასადამე, ამ ორი შესატანის შემდეგ ბანკის კაპიტალი ავიდა 5 559 995 გირვ. სტერლ. 14 შილ. და 8 პენსზე.

გეორგ I-ის მეფობის მე-3 წელს გამოცემული კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ბანკმა გააუქმა სახაზინო ბილეთები 2 000 000-ის თანხისა. ამრიგად, ამ დროს მას ჰქონდა მთავრობისთვის მისესხებული უკვე 5 375 027 გირვ. სტერლ. 17 შილ. და 10 1/2 პენსი. გეორგ I-ის მეფობის მე-8 წელს გამოცემული კანონის მე-21 მუხლის თანახმად, ბანკმა იყიდა სამხრეთ ოკეანის კომპანიის აქციები 4 000 000 გირვ. სტერლ. თანხისა, და 1722 წელს, როდესაც მან ახალი აქციები გამოუშვა ამ ყიდვისთვის სახსრების მოსაპოვებლად, მისი კაპიტალი გადიდა 3 400 000 გირვ. სტერლინგით. ამრიგად, ამ დროისათვის ბანკს სახელმწიფოსათვის ჰქონდა სესხად მიცემული 9 375 027 გირვ. სტერლ. 17 შილ. და 10 1/2 პენსი, ხოლო მისი კაპიტალი შეადგენდა მხოლოდ 8 959 995 გირვ. სტერლ. 14 შილ. და 8 პენსს. ამ დროს ის თანხა, რომელიც მას სახელმწიფოზე ჰქონდა გასესხებული და რომელზედაც იგი სარგებელს იღებდა, პირველად აღემატებოდა მის ძირითად კაპიტალს, ე. ი. იმ თანხას, რომელზედაც იგი დივიდენდს უხდიდა საბანკო კაპიტალის შესაკუთრებებს; ანუ სხვა სიტყვებით, ამ დროიდან იგი მქონებელი გახდა, განაწილებული (სააქციო) კაპიტალი გარდა, კიდევ გაუნაწილებელი კაპიტალისა. მას შემდეგ ბანკს ყოველთვის ჰქონდა ამგვარი გაუნაწილებელი კაპიტალი შენარჩუნებული. ბანკის მიერ სხვადასხვა დროს სახელმწიფოსათვის მიცემული სესხი შეადგენდა 1746 წელს 11 686 800 გირვ. სტერლინგს, ხოლო მისი განაწილებული (სააქციო) კაპიტალი, შედეგად ახალი აქციების გამოშვებისა და დამატებით შესატანთა დაწესებისა, ავიდა 10 780 000 გირვ. სტერლინგამდე. შეფარდება ამ ორ თანხას შორის მას შემდეგ უცვლელად არის დარჩენილი. გეორგ III-ის მეფობის მე-4 წელს გამოცემული კანონის მე-25 მუხლისამებრ, ბანკი დათანხმდა მთავრობისათვის მიეცა მისი პრივილეგიის განგრძობისათვის 110 000 გირვ. სტერლინგი დაუბრუნებლად და სარგებლის გადაუხდელად. ამგვარად, ამ თანხას არ გაუდიდება არც ერთი იმ აღნიშნულ ორ თანხაში.

ბანკის დივიდენდი იცვლებოდა იმ სარგებლის ნორმის შესაბამისად, რომელსაც ბანკი სხვადასხვა პერიოდებში იღებდა სახელმწიფოსათვის მისესხებულ ფულში, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესაბამისად. სარგებლის ამ ნორმამ თანდათან დაიწია რვა პროცენტიდან სამამდე. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკის დივიდენდი უდრიდა 5 1/2 პროცენტს.

ინგლისის ბანკის სიმტკიცე უდრის ბრიტანეთის მთავრობის სიმტკიცეს. ყველაფერი, რაც მას სახელმწიფოსთვის მიუცია სესხად, უნდა დაიკარგოს ჯერ, ვიდრე მისი კრედიტორები რაიმეს დაჰკარგავდნენ. სხვა საბანკო კომპანია არ შეიძლება დაარსებულ იქნეს ინგლისში პარლამენტის აქტით ან შესდგებოდეს ექვსზე მეტი წევრისაგან. იგი აწარმოებს ოპერაციებს არა თუ როგორც ჩვეულებრივი ბანკი, არამედ აგრეთვე როგორც დიდი სახელმწიფოებრივი მექანიზმი. იგი იღებს და იხდის

უდიდეს ნაწილს წლიურ გადასახდელთა, რომლებიც სახელმწიფოს კრედიტორებს ერგებათ, უშვებს მიმოქცევაში ხაზინის ბილეთებს და ავანსად აძლევს მთავრობას წლიურ თანხას საადგილმამულო და ალაოს ხარკისას, რომელიც ხშირად მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გადაიხდება. ამ სხვადასხვა ოპერაციების შესრულებისას ბანკი ზოგჯერ, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულების გამო, იქნებ იძულებულიც იყოს, არა მისი დირექტორების ბრალით, ჭარბად მიაწოდოს მიმოქცევას ქალაქის ფული. ბანკი აგრეთვე დისკონტს უკეთებს კომერციულ თამასუქებს, და მთელ რიგ შემთხვევებში მას დაუცავს მთავარი სავაჭრო სახლების კრედიტი არა თუ ინგლისში, არამედ აგრეთვე ჰამბურგში და ჰოლანდიაში. ერთ შემთხვევაში, სახელდობრ 1763 წელს, მან, ამბობენ, გასცა ამ მიზნით ერთ კვირაში 1 600 000 გირვ. სტერლ., უმთავრესად ზოდების სახით. მხოლოდ მე თავდებობას ვერ გავწევ ვერც თანხის აღნიშნული სიდიდისათვის და ვერც ვადის სიმოკლისათვის. სხვა შემთხვევებში ეს დიდი კომპანია იძულებული გამხდარა ექვსპენსიანი მონეტით ეწარმოებია გადახდა.

გონივრულ საბანკო ოპერაციებს შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის პროდუქტიული საქმიანობის განვითარებას არა მისი კაპიტალის გადიდებით, არამედ არსებული კაპიტალის დიდი ნაწილის აქტიურ და პროდუქტიულ კაპიტალად გადაქცევით, რასაც ადგილი არ ექნებოდა, ბანკი რომ არ არსებულებო. კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც კომერსანტს უქმად და ნაღდი ფულის სახით უნდა ედოს თავისთან მიმდინარე გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად, წარმოადგენს მკვდარ კაპიტალს, რომელიც არას აწარმოებს არც თვით მისთვის, არც ქვეყნისათვის, სანამ ამ მდგომარეობაშია დარჩენილი. გონივრული საბანკო ოპერაციები შესაძლებლობას აძლევს კომერსანტს ეს მკვდარი კაპიტალი აქტიურ და პროდუქტიულ კაპიტალად აქციოს: გარდაჰქმნას იგი მასალებად, რომლებიც გადამუშავდება, იარაღებად, რომლებითაც მუშაობა იწარმოება, სურსათად, საარსებო საშუალებებად, რომელთა გულისთვის ადამიანები იმუშავებენ, ე. ი. კაპიტალად, რომელიც რაიმეს აწარმოებს როგორც თვით მისთვის, ისე მისი ქვეყნისთვისაც. ოქროსა და ვერცხლის ფული, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის მიმოქცევაში იმყოფება და რომლის საშუალებით სწარმოებს ყოველწლიურად იმ ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტის მიმოქცევა და სათანადო მომხმარებლებს შორის განაწილება, წარმოადგენს, ისე როგორც კომერსანტის ნაღდი ფული, მკვდარ კაპიტალს. ეს არის ქვეყნის კაპიტალის ფრიად ფასეული ნაწილი, რომელიც ქვეყნისთვის არას აწარმოებს. გონივრული საბანკო ოპერაციები, როდესაც ქალაქის ფულით შეანაცვლებს ამ ოქროსა და ვერცხლის დიდ ნაწილს, შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას ამ მკვდარი კაპიტალის უდიდესი ნაწილი აქციოს აქტიურ და პროდუქტიულ კაპიტალად; ე. ი. ისეთ კაპიტალად, რომელიც რაიმეს აწარმოებს ქვეყნისთვის. ოქროსა და ვერცხლის ფული, რომელიც მიმოქცევაში იმყოფება, შეიძლება სრულიად შეუფერებლად შევადაროთ შარაგზას, რომელიც, უწყობს რა ხელს ქვეყნის მთელი თივისა და პურის მიმოქცევას და მიზიდვას ბაზარზე, თვითონ არც ერთ ბულულს ან ძნას არ აწარმოებს. გონივრული საბანკო ოპერაციები, ჰქმნის რა, თუ შეიძლება ასეთი თამამი მეტაფორა ვიხმარო, საჭაერო გზას, შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას, ასე ვთქვათ, თავისი გზების უდიდესი ნაწილი აქციოს კარგ სამოვრებად და ყანებად და, ამრიგად, ძალიან მნიშვნელოვნად გაადიდოს თავისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი. მხოლოდ უნდა აღვიაროთ კი, რომ ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობას, თუმცა კი შეუძლია რაოდენადმე გაფართოება, მაინც არ შეიძლება ისეთი სიმყარე ჰქონდეს, როდესაც იგი, ასე ვთქვათ, ქალაქის ფულის დედალისებურ ფრთებს ეყრდნობა, როგორც მაშინ აქვს, როდესაც ოქროს და ვერცხლის მტკიცე ნიადაგზე

ვითარდება. გარდა იმ შემთხვევითობისა, რომელსაც იგი ექვემდებარება ქალაქის ფულის საქმის ხელმძღვანელთა დაუხელოვნებლობის მიზეზით, ექვემდებარება აგრეთვე ხიფათს ბევრი სხვა შემთხვევითობისას, რომლისგანაც მას ვერ დაიცავს იმ ხელმძღვანელთა სიფრთხილე ან დახელოვნება.

წაგებული ომი, მაგალითად, რომლის დროს მტერი დედაქალაქს დაიჭერდა და, მაშასადამე, ხელთიგდებდა იმ განძეულობას, რომელზედაც ქალაქის ფულის კრედიტი დამყარებული არის, გაცილებით უფრო დიდ არევდარევას გამოიწვევდა ისეთ ქვეყანაში, სადაც მთელი მიმოქცევა ქალაქის ფულის საშუალებით სწარმოებს, ვიდრე იმ ქვეყანაში, სადაც მიმოქცევა მეტწილად ოქროსა და ვერცხლზეა დამყარებული. რადგან გაცვლა-გამოცვლის ჩვეულებრივი იარაღი დაჰკარგავდა თავის ღირებულებას, ვერავითარი სააღებმიცემო გარიგება ვერ იწარმოებდა სხვაგვარად, თუ არ ნატურალური გაცვლა-გამოცვლის ან კრედიტის საშუალებით. რამდენადაც ხარკები გადაიხდებოდა ჩვეულებრივ ქალაქის ფულით, მეფე მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას მიეცა სასყიდელი თავისი ლაშქრისათვის ან გაეცხო თავისი სამხედრო საწყობები; ქვეყანა უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ვიდრე რომ მისი მიმოქცევის უდიდესი ნაწილი ოქროსა და ვერცხლისგან ყოფილიყო შემდგარი. ხელმწიფე, რომელსაც სურს თავისი სამფლობელო ისეთ მდგომარეობაში ჰქონდეს შენარჩუნებული, რომ მისი დაცვა, რაც კი შეიძლება, უფრო ადვილად იყოს შესაძლებელი, უნდა ერიდებოდეს, ამიტომ, არათუ ქალაქის ფულის მეტისმეტად გამრავლებას, რაც თვით იმ ბანკებს გაანადგურებს, რომელნიც მას გამოუშვებენ, არამედ მისი რაოდენობის ისეთ გადიდებასაც, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ ქალაქის ფულით გაივსოს ქვეყნის მიმოქცევის უდიდესი ნაწილი.

ყოველი ქვეყნის მიმოქცევა შეიძლება განვიხილოთ როგორც განაწილებული ორ დარგად: მიმოქცევად ვაჭრებს შორის და მომხმარებლებს შორის. თუმცა ფულის ერთი და იგივე ნიშნები, ქალაქის ფულისა თუ ლითონურის, შეიძლება მიმოქცევის ხან ერთ დარგში იხმარებოდეს და ხან მეორეში, მაგრამ მაინც, რამდენადაც ორივე ეს პროცესი ერთსა და იმავე დროს სწარმოებს, თითოეული მათგანი მოითხოვს თავის შესასრულებლად ამა თუ იმ სახის ფულის განსაზღვრულ რაოდენობას. ღირებულება საქონელთა, რომელნიც მიმოქცევიან სხვადასხვა ვაჭრებს შორის, არასოდეს არ შეიძლება აღემატებოდეს იმ საქონელთა ღირებულებას, რომელნიც მიმოქცევიან ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის, ვინაიდან ყველაფერი, რასაც ვაჭრები ყიდულობენ, ბოლოს და ბოლოს მომხმარებლებზე გასაყიდად დანიშნული. მიმოქცევას ვაჭრებს შორის, რომელიც საბითუმო ხასიათისაა, ჩვეულებრივ მოითხოვს მნიშვნელოვან თანხას თითოეული ცალკე გარიგებისათვის. მიმოქცევა ვაჭრებს და მომხმარებლებს შორის კი, პირიქით, რადგან მას განსაკუთრებით წვრილ-წვრილად აღებმიცემის ხასიათი აქვს, ხშირად მოითხოვს ძალიან მცირე თანხებს, – არაიშვიათად საკმარისია ხოლმე შილინგი ან ნახევარი პენიც კი. მაგრამ წვრილი თანხები მსხვილებზე ბევრად უფრო სწრაფად მიმოქცევა. შილინგი გაცილებით უფრო ხშირად იცვლის მფლობელებს, ვიდრე გინეა, ხოლო ნახევარი პენი უფრო ხშირად, ვიდრე შილინგი. ამიტომ, თუმცა ყველა მომხმარებელთა წლიური ნასყიდობა, სულ ცოტა, ყველა ვაჭართა წლიურ ნასყიდობას უდრის, იგი მაინც, როგორც საერთო წესი, ფულის ბევრად ნაკლები რაოდენობით შეიძლება იქნეს წარმოებული, ვინაიდან ერთი და იგივე მონეტები, უფრო სწრაფი მიმოქცევის გამო, ყიდვის აქტების ბევრად უფრო დიდი რაოდენობის შესრულების იარაღად გამოიყენება პირველ შემთხვევაში, ვიდრე მეორე შემთხვევაში.

ქალაქის ფულის გამოშვება შეიძლება იმგვარად იყოს მოწყობილი, რომ მისი მიმოქცევა შემოფარგლული იყოს უმთავრესად გარიგებებით ვაჭართა შორის, ანდა ისე, რომ იგი ვრცელდებოდეს აგრეთვე დიდ ნაწილზე გარიგებათა ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის. იქ, სადაც მიმოქცევაში არ მოიპოვება ათ გირვანქაზე ნაკლები ღირებულების ბანკნოტები, როგორც ამას ადგილი აქვს ლონდონში, – ქალაქის ფულის მიმოქცევა თავისთავად შემოფარგლულია უმთავრესად გარიგებებით ვაჭრებს შორის. როდესაც ათგირვანქიანი ბანკნოტა ჩავარდება მომხმარებლის ხელში, ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ იძულებულია იგი პირველსავე დუქანში დაახურდავოს, როდესაც მას 5 შილინგის საქონლის ყიდვა სჭირდება, ასე რომ ეს ბანკნოტა ხშირად ისევ ვაჭრის ხელში ბრუნდება ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მომხმარებელი ფულის მეორმოცედ ნაწილს დახარჯავდეს. იქ, სადაც ისე პატარა თანხის ბანკნოტებია გამოშვებული, როგორც არის 20 შილინგი, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი აქვს შოტლანდიაში, – ქალაქის ფული თავისთავად ვრცელდება დიდ ნაწილზე მიმოქცევისა ვაჭართა და მომხმარებელთა შორის. ვიდრე საპარლამენტო აქტი გამოიცემოდა, რომელმაც შესწყვიტა 10 და 5-შილინგიანი ბანკნოტების მიმოქცევა, ასეთი ბანკნოტებით იყო სავსე მიმოქცევის უდიდესი ნაწილი. ჩრდილო-ამერიკაში ისე წვრილი თანხის ქალაქის ფულს უშვებდნენ, როგორცაა ერთი შილინგი, და იმით გავსებული იყო თითქმის მთელი მიმოქცევა. იორკშირში იგი ისეთი პატარა თანხისადაც კი იყო გამოშვებული, როგორცაა ექვსი პენსი.

იქ, სადაც ასეთი პატარა თანხის ბანკნოტების გამოშვება ნებადართული არის და ჩვეულებრივ სწარმოებს, – ბევრ მცირე ქონების პატრონ ადამიანთ შესაძლებლობა ეძლევათ და სტიმულიც გახდნენ ბანკირები. ადამიანი, რომლის 5 გირვანქის თანხის ობლიგაციას, და 20 შილინგისასაც კი, არავინ აიღებდა, მოახერხებს ამ ობლიგაციის აღებინებას, თუ იგი ისე მცირე თანხისაა, როგორც ექვსი პენსი. მაგრამ ხშირმა გაკოტრებამ, რასაც ექვემდებარებიან ასეთი ღატაკი ბანკირები, შეიძლება გამოიწვიოს ფრიად მნიშვნელოვანი ზარალი, და ზოგჯერ ძალიან დიდი უბედურებაც, იმ მრავალ ღარიბ ადამიანთათვის, რომლებმაც იმათი ბანკნოტები მიიღეს გადასახდელში.

შესაძლებელია, უკეთესი იქნებოდა, რომ სამეფოს არც ერთ ნაწილში არ იყოს ხუთგირვანქიანზე ნაკლები თანხის ბანკნოტები გამოშვებული. მაშინ ქალაქის ფული ყველგან, მთელ სამეფოში, ალბათ, შემოფარგლული იქნებოდა მიმოქცევით ვაჭრებს შორის, როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად ლონდონში, სადაც ათგირვანქიანზე ნაკლები თანხის ბანკნოტები გამოშვებული არ არის, ვინაიდან სამეფოს მეტწილ ადგილებში ხუთი გირვანქა ისეთ თანხას წარმოადგენს, რომლითაც თუმცა, იქნებ, კი შეიძლება ნახევარზე ცოტათი მეტი საქონელთ რაოდენობის ყიდვა, მაგრამ რომელსაც ისე მნიშვნელოვნად სთვლიან და ისე იშვიათად დახარჯავენ ერთბაშად, როგორც 10 გირვანქას – მფლანგველ ლონდონში.

სადაც ქალაქის ფული – და ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ – შემოფარგლულია, უმთავრესად, მიმოქცევით ვაჭრებს შორის, როგორც ლონდონში, იქ ჩვენ ყოველთვის ვამჩნევთ, რომ უხვად მოიპოვება ოქრო და ვერცხლი. ხოლო სადაც ქალაქის ფულს უჭირავს უდიდესი ნაწილი მიმოქცევისა ვაჭართა და მომხმარებელთა შორის, როგორც ამას ადგილი აქვს შოტლანდიაში და კიდევ უფრო ჩრდილო-ამერიკაში, იქ იგი თითქმის მთლად განდევნის ქვეყნიდან ოქროსა და ვერცხლს; იმ ქვეყნის თითქმის ყველა ჩვეულებრივი შინაგანი სააღებმიცემო გარიგება სრულდება ქალაქის ფულის საშუალებით. ათშილინგიანი და ხუთშილინგიანი ბანკნოტების მოსპობამ რაოდენადმე შეამცირა ოქროსა და ვერცხლის ნაკლებობა

შოტლანდიაში, და ოცშილინგიანი ბანკნოტების მოსპობა, ალბათ, კიდევ უფრო შეამცირებდა მას. ეს ლითონები ამერიკაში, როგორც ამბობენ, უფრო უხვად მოიპოვება, მას შემდეგ რაც ზოგი იქაური სამიმოქცევო ქაღალდის ფული გაუქმებულ იქნა. ასევე, როგორც ამბობენ, ეს ლითონები უფრო უხვად უნდა ყოფილიყოს იმ სამიმოქცევო ქაღალდის ფულის შემოღებამდე.

ქაღალდის ფული თუგინდ შემოფარგლული იყოს უმთავრესად მიმოქცევით ვაჭრებს შორის, მაინც ბანკებსა და ბანკირებს შეეძლებოდათ თითქმის ისეთივე დახმარება გაეწიათ ქვეყნის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის, როგორც მაშინ, როდესაც ქაღალდის ფული ავსებს თითქმის მთელ მიმოქცევას. ნაღდი ფული, რომელიც ვაჭარს თავისთან უნდა ჰქონდეს მიმდინარე გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად, დანიშნული საერთოდ მიმოქცევისათვის მასა და სხვა ვაჭრებს შორის, რომლებისგანაც იგი საქონელს ყიდულობს. მას არ სჭირდება თავისთან ფულის დაჭერა მიმოქცევისათვის მასა და მომხმარებლებს შორის, რომელნიც მისი მუშტრები არიან და რომელთაც ნაღდი ფული მოაქვთ მასთან და არა მიაქვთ მისგან. ამიტომ, ქაღალდის ფული რომ კიდევ მხოლოდ იმ თანხისა გამოიშვებოდეს, რომელიც შემოფარგლულია მიმოქცევით ვაჭრებს შორის, მაინც ბანკები და ბანკირები შესძლებდნენ, ნაწილობრივ რეალური თამასუქების დისკონტის გზით, ნაწილობრივაც საკონტოკორენტო კრედიტის გახსნით, აეშორებიათ ამ ვაჭრებისათვის აუცილებლობა თავიანთი კაპიტალის რაოდენადმე მნიშვნელოვანი ნაწილის უქმად გაჩერებისა ნაღდი ფულის სახით მომდინარე გადასახდელთა გასასტუმრებლად. მათ შესაძლებლობა ექნებოდათ გაეწიათ უდიდესი დახმარება, როგორც კი, გონიერობის ფარგალში, ბანკებსა და ბანკირებს ძალუბთ საერთოდ აღმოუჩინონ ყოველგვარ ვაჭრებს.

შეიძლება თქვან, რომ კერძო პირთათვის დაბრკოლების შექმნა, რათა მათ მიიღონ გადასახდელში ამა თუ იმ ბანკირის საკრედიტო ბილეთები, დიდი თუ პატარა თანხისა, უკეთუ თვითონ ისინი თანახმანი არიან აიღონ ის ბილეთები, ანდა ბანკირის შეზღუდვა ასეთი ბილეთების გამოშვებაში, უკეთუ ყველა მისი მეზობელი თანახმაა მიიღოს ისინი, – რომ ასეთი ღონისძიება მოასწავებს იმ ბუნებრივი თავისუფლების შელახვას, რომელსაც კანონი უნდა იცავდეს და როდი არღვევდესო. უეჭველია, ასეთი ღონისძიება შეიძლება მიჩნეულ იქნეს რაოდენადმე ბუნებრივი თავისუფლების შელახვად. მაგრამ ბუნებრივი თავისუფლების გამოყენებას მცირეოდენ ცალკეულ პირთა მხრივ, რომელთაც შეუძლიათ ხიფათი მიაყენონ მთელ საზოგადოებას, ზღუდავს, და უნდა ზღუდავდეს კიდევ, ყველა მთავრობის კანონები; ეს შეეხება როგორც უაღრესად თავისუფალ, ისე უაღრესად დესპოტურ მთავრობებს. ვალდებულება ცეცხლამრიდი კედლის აგებისა სახლებს შუა ბუნებრივი თავისუფლების ისეთსავე შელახვას წარმოადგენს, როგორსაც საბანკო ოპერაციების ის მოწესრიგება, რომლის წინადადება აქ არის მოცემული.

ქაღალდის ფული, რომელიც უმწიკვლო კრედიტის მქონე პირების მიერ გამოშვებული ბანკნოტებისგან შესდგება და გასანაღდებელია პირველი მოთხოვნისთანავე ყოველი პირობის გარეშე და ფაქტიურადაც განაღდება წარდგენისთანავე დაუყოვნებლივ, ყოველ მხრივ ოქროსა და ვერცხლის თანასწორია მიღება ღირებულებით, ვინაიდან მარადჟამს შეიძლება ოქროს და ვერცხლის მიღება მის სამაგიეროდ. ყველაფერი, რაც ასეთ ქაღალდის ფულზე იყიდება ან გაიყიდება, აუცილებლად ისევე იაფად უნდა იყიდებოდეს და გაიყიდებოდეს, როგორც რომ ოქრო-ვერცხლზე სწარმოებდეს ყიდვა-გაყიდვა.

ნათქვამია, ქალაქის ფულის რაოდენობის გადიდება, ადიდებას რა საერთოდ მიმოქცეული ფულის რაოდენობას და, მაშასადამე, ამცირებს რა მის ღირებულებას, აუცილებლად ადიდებას საქონელთა ფასს. მაგრამ, რადგან ოქრო-ვერცხლის რაოდენობა, რაც მიმოქცევიდან ამოიღება, ყოველთვის უდრის მისდამი მიმატებულ ქალაქის ფულის რაოდენობას, ამიტომ ქალაქის ფული არ ადიდებას აუცილებლად მიმოქცეული ფულის საერთო რაოდენობას. წარსული საუკუნის დასაწყისიდან დღევანდლამდე სურსათი არასოდეს არ ყოყფილა შოტლანდიაში უფრო იაფი, ვიდრე იყო 1759 წელს, თუმცა მაშინ, ათწილინგისანი და ხუთწილინგისანი ბანკნოტების მიმოქცევის გამო, ქვეყანაში ქალაქის ფული მეტი იყო, ვიდრე ამჟამად არის. შეფარდება სურსათის ფასისა ინგლისსა და შოტლანდიაში ამჟამად იგივე იყო, რაც იყო საბანკო კომპანიების დიდად გამრავლებამდე შოტლანდიაში. პური ინგლისში მეტწილად ისევე იაფია, როგორც საფრანგეთში, თუმცა ინგლისში ქალაქის ფული ბლომადაა, ხოლო საფრანგეთში თითქმის არ მოიპოვება. 1751 და 1752 წლებში, როდესაც იუმმა თავისი „პოლიტიკური ქადაგებანი“ გამოაქვეყნა, და მალე შოტლანდიაში ქალაქის ფულის დიდად გამრავლების შემდეგ, ადგილი ჰქონდა სურსათის ფასის ძალიან საგრძნობ გადიდებას, რისი მიზეზი იყო, ალბათ, მოუსავლობა, და არა ქალაქის ფულის გამრავლება.

რასაკვირველია, სხვაგვარად იქნებოდა საქმე ისეთ ვალდებულებათაგან შემდგარი ქალაქის ფულის შესახებ, რომელთა დაუყოვნებლივი განაღდება დამოკიდებული იქნებოდა, ყოველ მხრივ, მათ გამომშვებთა სურვილზე, ან ისეთ პირობაზე, რომლის ასრულება ამ ვალდებულებათა ხელთმქონებელს ყოველთვის არ შეეძლებოდა, ანდა თუ ამ ვალდებულებათა განაღდების მოთხოვნა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის წელთა გასვლის შემდეგ, ხოლო მანამდე მათში არავითარი სარგებელი არ იქნებოდა გადახდილი. ასეთი ქალაქის ფული, უეჭველია, დაიწვედა მეტნაკლებ ოქროსა და ვერცხლის ღირებულებაზე დაბლა, – იმის მიხედვით, თუ რაოდენ დიდი ან მცირე იქნებოდა მისი განაღდების სიძნელე ან საიმედოობა, ანდა რამდენ გრძელი ან მოკლე იქნებოდა ვადა მისი განაღდების მოსათხოვნად.

რამდენიმე წლის წინათ შოტლანდიის ზოგ საბანკო კომპანიებს ეს ჩვეულება ჰქონდათ: თავიანთ ბანკნოტებზე ბეჭდავდნენ – როგორც ისინი უწოდებდნენ – არჩევნის პირობას, რომლის თანახმად ისინი ჰპირდებოდნენ ბანკნოტის მქონებელს მის განაღდებას ან დაუყოვნებლივ წარდგენისთანავე, ანდა, დირექტორების შეხედულებისამებრ, ექვსი თვის შემდეგ დღიდან წარდგენისა, კანონიერი სარგებლის გადახდით ამ ექვსი თვისათვის. ზოგ ამ ბანკთა დირექტორები სარგებლობდნენ ამ არჩევნის პირობით და ემუქრებოდნენ იმათ, ვინც მათი ბანკნოტების მნიშვნელოვანი რაოდენობის სამაგიეროდ მოითხოვდა ოქროსა და ვერცხლს, რომ ისინი ისარგებლებდნენ აღნიშნული პირობით, უკეთეს ეს პირნი არ დასჯერდებოდნენ იმის ნაწილს, რასაც მოითხოვდნენ. ამ საბანკო კომპანიების საკრედიტო ბილეთებს იმ ხანად ეჭირა მიმოქცევის უდიდესი ნაწილი შოტლანდიაში, და მათი განაღდების ასეთი არასაიმედოობის გამო მათმა ღირებულებამ აუცილებლობის გზით დაიწია ოქროსა და ვერცხლის ფულის ღირებულებაზე დაბლა. ვიდრე ასეთი ავწესობა არსებობდა (რასაც, უმთავრესად, 1762, 1763 და 1764 წლებში ჰქონდა ადგილი), მაშინ როდესაც სათამაშუჟო კურსი ლონდონსა და კარლაილს შორის პარიტეტის დონეზე იდგა, კურსი ლონდონსა და დეფრის შორის ზოგჯერ ოთხი პროცენტით იყო დეფრის წინააღმდეგ, თუმცა ეს ქალაქი 30 მილზე მეტით არაა კარლაილს დაშორებული.

მაგრამ კარლაილში თამასუქებს იხდიდნენ ოქროთი და ვერცხლით, მაშინ როდესაც დეფრიში მათ ანაღდებდნენ შოტლანდიის ბანკნოტებით, და დაურწმუნებლობა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ამ ბანკნოტების გადაცვლა ოქროსა და ვერცხლის მონეტაზე, 4 პროცენტით დაბლა სწევდა მათ ღირებულებას ამ მონეტასთან შედარებით. იმავე საპარლამენტო აქტმა, რომელმაც აკრძალა 10-მილიონიანი და 5-მილიონიანი ბანკნოტების გამოშვება, აკრძალა ეს არჩევნების პირობაც და მით სათამასუქო კურსი ინგლისსა და შოტლანდიას შორის დაუბრუნა მის ბუნებრივ ნორმას, ე. ი. იმ ნორმას, რომელიც მყარდება ვაჭრობის მსვლელობასა და სათამასუქო მიმოქცევასთან დაკავშირებით.

იორკშირში განაღდება ესოდენ მცირედი თანხისა, როგორცაა 8 პენსი, არაიშვიათად დამოკიდებული იყო ასეთ პირობაზე: რომ საკრედიტო ბილეთის წარმდგენელი ხურდა უნდა მიეცა გინეიდან იმისათვის, ვის მიერაც ეს ბილეთი იყო გამოშვებული; ეს პირობა ხშირად ძალიან ძნელად შესასრულებელი იყო ასეთი საკრედიტო ბილეთების მქონებელთა მიერ, და ამას დაბლა უნდა დაეწია ამ ფულის კურსი ოქროსა და ვერცხლის ფულთან შედარებით. ამიტომ საპარლამენტო აქტით ყველა ასეთი პირობა უკანონოდ იქნა აღიარებული, და სწორედ ისე, როგორც შოტლანდიაში, აიკრძალა, 20 მილიონზე ნაკლები ღირებულების, ყოველგვარი უსახელო საკრედიტო ბილეთების გამოშვება.

ჩრდილო-ამერიკის ქალაქის ფული შესდგებოდა არა _ წარდგენისთანავე გასანაღდებელი _ ბანკნოტებისაგან, არამედ სახელმწიფოს ბილეთებისაგან, რომელთა განაღდების მოთხოვნა შეიძლებოდა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დღიდან მათი გამოშვებისა; და თუმცა კოლონიის მთავრობები სარგებელს არას უხდიდნენ ამ ბილეთების მქონებელთ, მათ მაინც გამოაცხადეს და ფაქტიურად აქციეს ისინი გადახდის კანონიერ საშუალებად მთელი იმ თანხისათვის, რაც მათზე იყო აღნიშნული. მაგრამ რომ კიდევ სრულიად მყარად ჩავთვალოთ კოლონიის მდგომარეობა, მაინც იმ ქვეყანაში, სადაც ნორმალური სარგებელი ექვს პროცენტს აღწევს, 15 წლის შემდეგ გადასახდელი 100 გირვანქა ამჟამად 40 გირვანქაზე ცოტათი მეტად ეღირება ნაღდ ფულზე. ამიტომ იძულება კრედიტორისა, რომ მას მიეღოს ასეთი ქალაქი 100 გირვანქა ვალში, რომელიც მან ფაქტიურად ნაღდი ფულით გასცა, წარმოადგენდა ისეთი დიდი უსამართლობის აქტს, როგორც, იქნებ, არ ჩაუდენია მთავრობას არც ერთი სხვა ქვეყნისას, რომელიც კი თავისუფალ ქვეყნად სთვლის თავის თავს. ამ ღონისძიებას ცხადად ემჩნევა კვალი მისი წარმოშობისა: იგი, როგორც პატიოსანი და გულწრფელი დოქტორი დუგლასი გვარწმუნებს, გამოგონილი იყო არაკეთილსინდისიერი მოვალეების მიერ თავიანთი კრედიტორების მოსატყუებლად. პენსილვანიის მთავრობამ, გამოუშვა რა პირველად 1722 წელს ქალაქის ფული, მოინდომა მისთვის პოქროსა და ვერცხლის თანაბარი ღირებულება მიეცა მით, რომ დააწესა ჯარიმა ყველა იმათთვის, ვინც თავისი საქონლისთვის სხვადასხვა ფასს დანიშნავდა იმის მიხედვით, კოლონიის ქალაქის ფულით იქნებოდა გადახდილი თუ ოქროთი და ვერცხლით, _ ღონისძიება, რომელიც იმდენადვე მტარვალური იყო, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებ ეფექტიური, ვიდრე ის, რის უზრუნველსაყოფადაც იგი იყო დანიშნული. პოზიტიურ კანონს შეუძლია შილინგი გამოაცხადოს გადახდის კანონიერ საშუალებად გინეისათვის, ვინაიდან შეუძლია სასამართლოს გამოაცხადებინოს ვალდებულებისაგან განთავისუფლებულად ყოველი მოვალე, რომელმაც ეს ეკვივალენტი გადაიხადა. მაგრამ არავითარ პოზიტიურ კანონს არ ძალუძს აიძულოს ადამიანი, რომელიც საქონელს ჰყიდის და რომელსაც შეუძლია თავისი სურვილისამებრ გაჰყიდოს თუ არ

გაჰყიდოს ეს საქონელი, მის ფასში შილინგი მიიღოს გინეის სამაგიეროდ. ყველა ამგვარ დადგენილებათა მიუხედავად, დიდ ბრიტანეთთან აღებმცემაში გამოირკვა, რომ 100 გირვ. სტერლინგი ზოგ კოლონიაში 130 გირვანქას უდრიდა ქალაღდის ფულით, სხვა კოლონიებში კიდეე _ ისე დიდ თანხას, როგორიცაა 1 100 გირვანქა; ღირებულების ეს განსხვავება დამოკიდებული იყო ქალაღდის ფულის სხვადასხვა რაოდენობაზე, რომელიც გამოშვებული იყო სხვადასხვა კოლონიებში, და მისი საბოლოო განაღდებისა და გადახდის მეტნაკლებ ხანგრძლივ ვაღასა და საიმედობაზე.

ამიტომაც არც ერთი კანონი არ შეიღლება იყოს უფრო სამართლიანი იმაზე, როგორიც იყო ის, რომელიც გამოსცა პარლამენტმა, რაზედაც ესოდენ უსაფუძვლოდ სწიოდნენ კოლონიებში, და რომელმაც დააწესა, რომ არავითარი ქალაღდის ფული, რაც შემდეგში იქნება იქ გამოშვებული, არ შეიღლება გამოცხადებულ იქნეს გადახდის კანონიერ საშუალებად.

პენსიღვანია ყოველთვის უფრო იცავდა ზომიერებას ქალაღდის ფულის გამოშვებაში, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვენი კოლონია. ამიტომ მისი ქალაღდის ფული არასოდეს არ უნდა დაცემულიყოს იმ ოქროსა და ვერცხლის ღირებულებაზე დაბლა, რომელიც ამ კოლონიის მიმოქცევაში მოიპოვებოდა იქ პირველად ქალაღდის ფულის გამოშვებამდე. ჯერ კიდეე იმ ემისიამდე ამ კოლონიამ მაღლა ასწია თავისი მონეტის ნომინალური ღირებულება და თავისი სახალხო წარმომადგენლობის აქტით დააღდინა, რომ 5-შილინგიანი მონეტები უნდა მიღებულიყო 6 შილინგად და 3 პენსად, ხოლო შემდეგში _ 6 შილინგად და 8 პენსად. ამიტომ ერთი გირვანქა, კოლონიის ფულით, მაშინაც კი, როცა მისი მიმოქცევა ოქროსი და ვერცხლისა იყო, 30 პროცენტზე მეტით იყო ერთი გირვ. სტერლინგის ღირებულებაზე დაბლა, და როცა კოლონია ქალაღდის ფულის მიმოქცევაზე გადავიდა, ეს ფული არასოდეს არ დაწეულა 30 პროცენტზე ბევრით მეტად ამ ღირებულებასთან შეღარებით. მონეტის ნომინალური ღირებულების აწევა იმ საბაბით მოახღინეს, რომ თავიდან აეცილებიათ ოქროსა და ვერცხლის გაზიდვა, ვინაიდან იმის შედეგად ერთნაირი რაოდენობა ამ ლითონებისა კოლონიაში მეტ თანხას შეაღდგენდა, ვიდრე მეტროპოლიაში. მაგრამ გამოაშვარავდა, რომ მეტროპოლიიდან მიღებული ყველა საქონლის ფასმა აიწია კოლონიის მონეტის ნომინალური ღირებულების აწევის პროპორციულად, ასე რომ ოქრო და ვერცხლი ისევე სწრაფად იზიდებოდა იქიდან, როგორც წინათ.

რამდენაღაც თითოეული კოლონიის ქალაღდის ფული პროვინციული ხარკების გადასახდელად მიიღებოდა სრული იმ ღიებულებით, რომლითაც გამოცემული იყო, იმდენაღვე ეს აუცილებლად აძლევადა მას რაოდენაღმე დამატებით ღირებულებას იმასთან შეღარებით, რაც მას ექნებოდა მისი საბოლოო განაღდებისა და გადახდის ვაღის ნამღვილი თუ სავარაუდო სიშორის საფუძველზე. ეს დამატებითი ღირებულება მეტი ან ნაკლები იყო იმის მიხედვით, თუ რამდენად მეტნაკლებ აღემატებოდა გამოშვებული ქალაღდის ფულის რაოდენობა იმ თანხას, რომელიც შეიღლება გამოყენებული ყოფილიყო ამ ფულის გამომშვები კოლონიის ხარკების გადასახდელად. ყველა კოლონიაში ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამგვარ გამოსაყენებელ თანხას.

ხელმწიფე, რომელიც ბრძანებას გასცემდა, რომ ხარკების ესა თუ ის ნაწილი განსაზღვრული სახის ქალაღდის ფულით ყოფილიყო გადახდილი, შესძლებდა ამ გზით განსაზღვრული ღირებულება მიეცა ამ ქალაღდის ფულისათვის, თუნდაც რომ ამისი განაღდებისა და გადახდის ვაღა მის სურვილზე ყოფილიყო დამოკიდებული. თუ ბანკი, რომელმაც ეს ქალაღდის ფული გამოუშვა, ეცდებოდა მუღამ თვალყური

დაეჭირა, რათა მისი რაოდენობა ყოველთვის რაოდენადმე ნაკლები ყოფილიყო იმაზე, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ამ მიზნით, _ იმ შემთხვევაში ამ ფულის მოთხოვნა შესაძლებელია იმდენად გაძლიერებულიყო, რომ მასში განსაზღვრული პრემია იქნებოდა გაცემული ანუ ბაზარზე იგი რაოდენადმე უფრო მაღალ ფასში გაიყიდებოდა, ვიდრე ოქრო-ვერცხლის ის რაოდენობა, რომლის სამაგიეროდ იგი იყო გამოშვებული. ზოგიერთები სწორედ ამგვარად ხსნიან ამსტერდამის ბანკის ეგრეთწოდებულ აჟიოს, ე. ი. იმ უპირატესობას, რომელიც ამ საბანკო ფულს აქვს ლითონურ ფულთან შედარებით, თუმცა ეს საბანკო ფული, როგორც ისინი აცხადებენ, არ შეუძლება გატანილ იქნეს ბანკიდან მისი მფლობელების სურვილისამებრ. უცხო თამასუქების მეტი წილი უნდა გადახდილ იქნეს ამ საბანკო ფულით, ე. ი. გადაწერით ბანკის დავთრებში, და ბანკის დირექტორები, როგორც ამტკიცებენ, ცდილობენ საბანკო ფულის საერთო რაოდენობა ყოველთვის შეაჩერონ ცოტათი უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე ეს შეეფერება მოთხოვნას. სწორედ ამიტომაც, ზოგიერთ პირთა აზრით, რომ პრემიით სწარმოებს ამ საბანკო ფულის გაყიდვა ანუ მას 4 თუ 5 პროცენტის აჟიო აქვს ქვეყნის ოქროსა და ვერცხლის ფულის ასეთსავე ნომინალურ თანხასთან შედარებით. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ეს ცნობა ამსტერდამის ბანკის შესახებ მეტწილად ქიმერული არის.

ქალაქის ფულის კურსის დაცემა ოქროსა და ვერცხლის მონეტის ღირებულებაზე დაბლა სრულიადაც არ იწვევს ამ ლითონთა ღირებულების დაცემას, ე. ი. იმას, რომ მათი თანაბარი რაოდენობა ყოველგვარი სხვა საქონლის ნაკლებ რაოდენობაზე იცვლებოდეს. შეფარდება ოქრო-ვერცხლის ღირებულებასა და ყოველგვარი სხვა საქონლის ღირებულებას შორის დამოკიდებულია ყველა შემთხვევაში არა ამა თუ იმ ქალაქის ფულის ხასიათსა ან რაოდენობაზე, რომელიც მიმოიქცევა განსაზღვრულ ქვეყანაში, არამედ სიუხვესა ან სიღარიბეზე იმ სამადნეთა, რომელნიც ვაჭრობის მაწარმოებელი მსოფლიოს დიდ ბაზარს ამარაგებენ ამ ლითონებით განსაზღვრულ მომენტში. ეს დამოკიდებულია შეფარდებაზე ბაზრად ოქროსა და ვერცხლის განსაზღვრული რაოდენობის გასატანად საჭირო შრომის რაოდენობასა და შრომის იმ რაოდენობას შორის, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ სახის საქონლის განსაზღვრული რაოდენობის გასატანად იქვე.

თუ ბანკირებს აკრძალული აქვთ გამოუშვან სამიმოქცევო ბანკნოტები ანუ წარმდგენელისთვის გასანადღებელი საკრედიტო ბილეთები განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები ოდენობისა და თუ ისინი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობის გარეშე გაანადღონ მათდამი გადასახდელად წარდგენილი ბანკნოტები, იმ შემთხვევაში მათ ოპერაციებს შეიძლება ყველა სხვა მხრივ, საზოგადოებისათვის სავსებით უხიფათოდ, სრული თავისუფლება ჰქონდეს დატოვებული. საბანკო კომპანიების რიცხვის მნიშვნელოვანი გადიდება, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დროს შეერთებული სამეფოს ორსავე ნაწილში და რამაც ძალიან შეაშფოთა ბევრი ადამიანი, როდი ამცირებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს საზოგადოების ინტერესების უზრუნველყოფას. იგი აიძულებს ყველა საბანკო კომპანიას უფრო წინდახედულად ეწეოდეს თავის ოპერაციებს, დაიცვას ჯეროვანი პროპორცია მის მიერ გამოშვებულ ქალაქის ფულსა და თავის ნაღდ ფულს შორის და მით თავიდან აიცილოს იმ ბოროტული პანიკის შედეგები, რომლის გაწევას მის წინააღმდეგ ყოველთვის ლამობს ესოდენ მრავალ კონკურენტთა მეტოქეობა. იგი ზღუდავს თითოეული კომპანიის ბილეთების მიმოქცევას უფრო ვიქრო ფარგლით და ამცირებს მათ რაოდენობას. როდესაც ასე მრავალ ნაწილადაა მთელი მიმოქცევა

დაყოფილი, ერთი რომელიმე კომპანიის გაკოტრებას, – მოვლენას, რომელსაც საგანთა ბუნებრივი მსვლელობისას ზოგჯერ უნდა ექნეს ადგილი, – ნაკლებ სამძიმო შედეგები ექნებოდა საზოგადოებისათვის. აგრეთვე ეს თავისუფალი კონკურენცია აიძულებს ყველა ბანკირს უფრო ხელგაშლით მოეპყრას თავის კლიენტებს, რათა ისინი მეტოქეებმა არ გადაიბირონ თავისკენ. საერთოდ, თუ ვაჭრობა-მრეწველობის ან შრომის დანაწილების რაიმე დარგი ხელსაყრელია საზოგადოებისათვის – რაც უფრო თავისუფალი და ფართოა კონკურენცია, მით უფრო ხელსაყრელი იქნება იგი მისთვის.

თ ა ვ ი III

კაპიტალის დაგროვება, ანუ პროდუქტიული და არაპროდუქტიული შრომა

ერთი სახის შრომა ადიდება იმ საგნის ღირებულებას, რომელზედაც გამოიყენება, და მეორე სახის შრომას არა აქვს ასეთი მოქმედება. პირველს, რადგან იგი განსაზღვრულ ღირებულებას აწარმოებს, შეიძლება ეწოდოს პროდუქტიული შრომა, ხოლო მეორეს – არაპროდუქტიული¹ შრომა. ასე, სამანუფაქტურო მუშის შრომა ადიდება ჩვეულებრივ იმ მასალების ღირებულებას, რომლებზედაც იგი მუშაობს, სახელდობრ ადიდება თავისი შენახვის ხარჯისა და მისი დამქირავებლის მოგების ოდენობით. შინამსახურის შრომა, პირიქით, არას ჰმატებს ღირებულებას. თუმცა დამქირავებელი სამანუფაქტურო მუშას აძლევს ავანსად მის ხელფასს, მაგრამ მუშა ნამდვილად არ უხდის მას არავითარ ხარჯს, რადგან ამ ხელფასის ღირებულება ჩვეულებრივ უბრუნდება მას მოგებითურთ იმ საგნის გადიდებულ ღირებულებაში, რომელზედაც მუშის შრომა იყო გამოყენებული. პირიქით, შინამსახურის შენახვის ხარჯი არასოდეს არ ნაზღაურდება. ადამიანი მდიდრდება, როდესაც სამანუფაქტურო მუშათა დიდ რიცხვს ამუშავებს; იგი ღარიბდება, როდესაც შინამსახურთა დიდი რიცხვი ჰყავს სამუშაოდ აყვანილი. მიუხედავად ამისა, უკანასკნელთა შრომას აქვს თავისი ღირებულება და მას ისევე ეკუთვნის ხელფასი, როგორც პირველთა შრომას. მაგრამ სამანუფაქტურო მუშის შრომა ფიქსაციას და რეალიზაციას ღებულობს რაიმე ცალკეულ საგანში ანუ გასაყიდ საქონელში, რომელიც არსებობს, ყოველ შემთხვევაში, რამდენსამე ხანს მას შემდეგ, რაც შრომა დასრულებული არის. ეს არის თითქოს, განსაზღვრული რაოდენობა დაგროვილი და შემონახული შრომისა, რომელიც შეიძლება, თუ საჭირო იქნა, გამოყენებულ იქნეს რაიმე სხვა შემთხვევაში. ამ საგანს ანუ, რაც იგივეა, ამ საგნის ფასს შეუძლია შემდეგში, თუ საჭირო იქნა, მოძრაობაში მოიყვანოს შრომის რაოდენობა, თანატოლი იმისა, რომელმაც იგი თავდაპირველად წარმოშვა. შინამსახურის შრომას, პირიქით, ფიქსაცია და რეალიზაცია არ ეძლევა რაიმე ცალკეულ საგანში ან გასაყიდ საქონელში. მისი სამსახური ჩვეულებრივ ჰქრება იმავე მომენტში, როდესაც იგი შესრულდება, და იშვიათად სტოვებს თავის შემდეგ რაიმე კვალს ან რაიმე ღირებულებას, რომლითაც შეიძლებოდა შემდეგში თანატოლი ზომის სამსახურის მიღება.

¹ ზოგი ფრანგი ავტორები, დიდად განსწავლულნი და გონებამახვილნი, სხვა აზრით ხმარობდნენ ამ სიტყვებს. მეოთხე წიგნის უკანასკნელ თავში მე შევეცდები დავამტკიცო, რომ მათი აზრი არ არის სწორი.

საზოგადოების ზოგ ფრიად პატივცემულ წოდებათა შრომა, შინამსახურთა შრომასავით, არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას და არ ღებულობს ფიქსაციას და რეალიზაციას რაიმე ხანგრძლივად არსებულ საგანში ან გასაყიდ საქონელში, რომელიც განაგრძობდეს შრომის შესრულების შემდეგ არსებობას და რომელშიაც შეიძლებოდეს შემდგომში მიღებულ იქნეს თანატოლი შრომის რაოდენობა. ხელმწიფე, მაგალითად, ყველა მისი მოსამართლე მოხელეებით და სამხედრო ოფიცრებითურთ, მთელი არმია და ფლოტი არაპროდუქტიულ მშრომელს წარმოადგენენ. ისინი მსახურნი არიან საზოგადოებისა და შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის წლიური პროდუქტის ნაწილით. მათი სამსახური, რაგინდ საპატიო, სასარგებლო ან აუცილებლად საჭირო იყოს იგი, არ აწარმოებს არაფერს ისეთს, რითაც შეიძლებოდეს თანატოლი ზომის სამსახურის მიღება შემდეგში. სახელმწიფოს დაცვა, უშიშროება და დაფარვა, რაც შედეგი არის შრომისა ამ წელში, ვერ იყიდის მის დაცვას, უშიშროებას და დაფარვას მომავალ წელში. ერთსა და იმავე კლასს უნდა მიეკუთვნოს როგორც ზოგი ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი პროფესია, ისე ზოგი ფრიად ფუქსავატიც: მღვდლები, იურისტები, ექიმები, ყოველგვარი მწერლები, მსახიობები, ჯამბაზები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, მოცეკვავენი და სხვ. ამათში სულ უმცირესი ადამიანის შრომასაც აქვს განსაზღვრული ღირებულება, რომელიც იმ პრინციპებით წესრიგდება, რომელნიც განსაზღვრავენ ყოველი სხვა სახის შრომის ღირებულებას; მაგრამ ამათში უადრეს კეთილშობილი და სასარგებლო პროფესიის შრომაც კი არ აწარმოებს არაფერ ისეთს, რითაც შემდეგში შეიძლებოდეს თანატოლი შრომის რაოდენობის ყიდვა ან მოპოვება. მსგავსად მსახიობის დეკლამაციისა, ორატორის სიტყვისა ან მუსიკის მელოდიისა, ყველა იმათი შრომა ჰქრება მისი შესრულების მომენტშივე.

როგორც პროდუქტიული, ისე არაპროდუქტიული მშრომელები და ისინი, რომელნიც სრულიად არ შრომობენ, – თანაბრად ყველანი იღებენ თავიანთ შესანახს ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტიდან. ეს პროდუქტი, რაგინდ დიდი იყოს იგი, არასოდეს არ შეიძლება იყოს უსაზღვრო, მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ფარგალი. ამიტომ, იმის მიხედვით, მისი ნაკლები თუ უფრო დიდი ნაწილი დაიხარჯება წლის განმავლობაში არაპროდუქტიულ ადამიანთა შესანახად, პროდუქტიული ადამიანებისათვის დარჩება ერთ შემთხვევაში მეტი და მეორე შემთხვევაში ნაკლები, და ამის შესაბამისად შემდეგი წლის პროდუქტი იქნება უფრო დიდი ან უფრო მცირე, ვინაიდან მთელი წლიური პროდუქტი, თუ მიწის ბუნებრივ პროდუქტებს არ მივიღებთ მხედველობაში, პროდუქტიული შრომის შედეგს წარმოადგენს.

თუმცა ყოველი ქვეყნის მიწისა და შრომის მთელი წლიური პროდუქტი, უეჭველად, ბოლოს და ბოლოს მის მცხოვრებთა მოხმარების დასაკმაყოფილებლად და მათთვის შემოსავლის მისაცემდაა დანიშნული, მაგრამ, მას შემდეგ რაც იგი მიწისგან მიიღება ან პროდუქტიულ მშრომელთა ხელიდან გამოვა, ბუნებრივად იყოფა ორ ნაწილად. ამათში ერთი ნაწილი – და ხშირად უდიდესი – დანიშნულია, უწინარეს ყოვლისა, იმისათვის, რომ აანაზღაუროს კაპიტალი ანუ აღადგინოს სურსათი, მასალები და მზა პროდუქტები, რომლებიც კაპიტალიდან იყო აღებული; მეორე ნაწილი დანიშნულია იმისათვის, რომ შემოსავლად მიეცეს კაპიტალის პატრონს მისი კაპიტალის მოგების სახით ან რომელსამე სხვა პირს მისი მიწის რენტის სახით. ასე, მიწის პროდუქტის ერთი ნაწილი ანაზღაურებს ფერმერის კაპიტალს, მეორე ნაწილი იხდის მის მოგებას და მემამულის რენტას და შეადგენს, ამგვარად, ამ კაპიტალის მეპატრონის შემოსავალს მისი კაპიტალის მოგების სახით და

რომელიმე სხვა პირის შემოსავალს მისი მიწის რენტის სახით. ამგვარადვე დიდი მანუფაქტურის პროდუქტიდან ერთი ნაწილი – და ამასთან უდიდესი – ანაზღაურებს მესარეწის კაპიტალს, ხოლო მეორე ნაწილი იხდის მის მოგებას და, ამრიგად, შეადგენს ამ კაპიტალის მესაკუთრის შემოსავალს.

ყოველი ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც კაპიტალს ანაზღაურებს, ყოველთვის უშუალოდ გამოიყენება მხოლოდ პროდუქტიული მუშა-ხელის შესანახად. იგი იხდის მხოლოდ პროდუქტიული შრომის ხელფასს. ის ნაწილი კი, რომელიც უშუალოდ დანიშნულია შემოსავლის შესადგენად მოგების ან რენტის სახით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პროდუქტიული, ისე არაპროდუქტიული მუშა-ხელის შესანახად.

თავისი მარაგის რა ნაწილსაც უნდა ხარჯავდეს ადამიანი კაპიტალის სახით, იგი ყოველთვის მოელის, რომ ის მას აუნაზღაურდება მოგებითურთ. ამიტომ იგი მას გამოიყენებს მხოლოდ პროდუქტიული მუშა-ხელის შესანახად; და შეუსრულებს რა კაპიტალის ფუნქციას, ის მას შეუდგენს შემოსავალს. როგორც კი მარაგის რომელიმე ნაწილი გამოიყენება რაიმეგვარი არაპროდუქტიული მუშა-ხელის შესანახად, იმ მომენტიდან ის გამოირიცხება კაპიტალიდან და გადადის უშუალო მოხმარებისათვის დანიშნულ მარაგში.

არაპროდუქტიული მშრომელები და ისინი, რომელნიც სრულიად არ მუშაობენ, ყველანი შეინახებიან შემოსავლით: ან, ჯერ ერთი, წლიური პროდუქტის იმ ნაწილით, რომელიც თავდაპირველად დანიშნულია იმისათვის, რომ განსაზღვრულ პირთა შემოსავალს შეადგენდეს, მიწის რენტის სახით თუ კაპიტალის მოგების სახით, ანდა, მეორე, იმ ნაწილით, რომელიც თუმცა თავდაპირველად იმისთვისაა დანიშნული, რომ კაპიტალი ანაზღაუროს და მხოლოდ პროდუქტიულ მშრომელთა შესანახს შეადგენდეს, მაგრამ, როცა მათ ხელში გადავა, შეიძლება, რამდენადაც მათი არსებობისათვის აუცილებლად საჭიროს აღემატება, დახარჯულ იქნეს როგორც პროდუქტიული, ისე ყოველგვარი არაპროდუქტიული მუშა-ხელის შესანახად. ასე, არა თუ მსხვილ მემამულეს ან მდიდარ ვაჭარს, არამედ უბრალო მუშასაც, თუ მისი ხელფასი საკმარისი არის, შეუძლია იყოლოს შინამსახური ან წავიდეს ზოგჯერ თეატრში ან ცირკში და ამრიგად თავისი წვლილი შეიტანოს არაპროდუქტიულ მშრომელთა განსაზღვრული ჯგუფის შესანახად; ასევე მას შეუძლია გადაიხადოს ზოგი ხარკიც და ამგვარად თავისი წვლილით ხელი შეუწყოს სხვა ჯგუფის შენახვას, – უფრო საპატიოსი და სასარგებლოსი, მართალი, მაგრამ მაინც ისევე არაპროდუქტიულისა. მხოლოდ წლიური პროდუქტის არც ერთი ნაწილი, რომელიც თავდაპირველად კაპიტალის ასანაზღაურებლად არის დანიშნული, არასოდეს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაპროდუქტიული მუშა-ხელის შესანახად მანამდე, ვიდრე იგი მოძრაობაში არ მოიყვანს თავის მთელ ნორმას პროდუქტიული შრომისა ანუ მთელ იმ რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია მოძრაობაში მოიყვანოს იმ გზით, რა გზითაც იგი გამოიყენება. მუშამ ჯერ უნდა მოიმკოს თავისი ხელფასი თავისი სამუშაოს შესრულების გზით, ვიდრე იგი შესძლებდეს აღნიშნული წესით დახარჯოს მისი ნაწილი. მასთან ეს ნაწილი ჩვეულებრივ ძალიან მცირე არის. იგი წარმოადგენს მარტოოდენ დანაზოგს მისი შემოსავლიდან, და ასეთი დანაზოგი პროდუქტიულ მუშებს იშვიათად აქვთ ბევრი. მაგრამ მაინც რაოდენიმე დანაზოგი ჩვეულებრივ მათ აქვთ; და ხარკების გადახდისას ასეთ მუშათა სიმრავლეს შეუძლია რაოდენადმე გააწონასწოროს სიმცირე თითოეული მათგანის შენატანისა. ამიტომ მიწის რენტა და კაპიტალის მოგება შეადგენს ყველგან მთავარ წყაროს, საიდანაც არაპროდუქტიული ელემენტები იღებენ

თავიანთ შესანახს. ეს არის ის ორი სახის შემოსავალი, რომლის მფლობელთ ჩვეულებრივ ძალუმთ ყველაზე უფრო დაზოგვა. მათ შეუძლიათ როგორც პროდუქტიული, ისე არაპროდუქტიული მუშების შენახვა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ისინი ერთგვარ უპირატესობას აძლევენ უკანასკნელთ. მსხვილი მემამულის ხარჯი ჰკვებავს ჩვეულებრივ უფრო უსაქმურებს, ვიდრე შრომისმოყვარე ხალხს. მდიდარი ვაჭარი, თუმცა იგი მხოლოდ პროდუქტიულ ელემენტებს ინახავს თავისი კაპიტალით, მაინც თავისი ხარჯებით, ე. ი. თავისი შემოსავლის მოხმარებისას, ისეთსავე ხალხს ჰკვებავს, როგორც მსხვილი მემამულე.

ამიტომ შეფარდება პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ მშრომელთა რაოდენობას შორის თითოეულ ქვეყანაში დამოკიდებულია ძალიან იმ შეფარდებაზე, რომელიც არსებობს წლიური პროდუქტის იმ ნაწილსა, რომელიც, რაკი ერთხელ მიწისგან ან პროდუქტიული მუშების ხელიდან მიიღება, დანიშნულია კაპიტალის ასანაზღაურებლად, და მის იმ ნაწილს შორის, რომელიც დანიშნულია შემოსავლის შესადგენად რენტის ან მოგების სახით. ეს შეფარდება ფრიად სხვადასხვაა მდიდარსა და ღარიბ ქვეყნებში.

ასე, ამჟამად ევროპის მდიდარ ქვეყნებში მიწის პროდუქტის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, – ხშირად უდიდესი ნაწილი, – დანიშნულია მდიდარი და დამოუკიდებელი ფერმერის კაპიტალის ასანაზღაურებლად; დანარჩენი ნაწილი ხმარდება მისი მოგებისა და მემამულის რენტის გადახდას. მაგრამ წინანდელ დროში, ფეოდალურ წყობილებაში, პროდუქტის ძალიან მცირე ნაწილი იყო საკმარისი მიწის დამუშავებაზე დახარჯული კაპიტალის ასანაზღაურებლად. ეს კაპიტალი შესდგებოდა ჩვეულებრივ რამდენიმე სული გამვალტყავებული პირუტყვისაგან, რომელიც დაუმუშავებელი მიწის ბუნებრივი პროდუქტით იკვებებოდა, ასე რომ ამ ბუნებრივი პროდუქტის ნაწილად შეიძლებოდა მისი ჩათვლა. ამასთან ეს პირუტყვი ჩვეულებრივ ეკუთვნოდა მემამულეს, რომელიც მას გადასცემდა ხოლმე სასარგებლოდ მიწათმოქმედს. მას ეკუთვნოდა აგრეთვე მთელი დანარჩენი პროდუქტიც მისი მიწის რენტის სახით ან იმ მცირე კაპიტალის მოგების სახით. მიწათმოქმედნი, რომელნიც მისი მიწის დამუშავებას ეწეოდნენ, ჩვეულებრივ იყვნენ ყმები, რომელთა პიროვნება და ქონებაც მის საკუთრებას შეადგენდა. ხოლო ვინც ყმები არ იყვნენ, იმათ მიწა ეჭირათ მისი ნებართვით, და თუმცა რენტა, რომელსაც ისინი იხდიდნენ, ნომინალურად მარტოდენ მცირედით აღემატებოდა საღალო გადასახადს, მაგრამ მაინც ფაქტიურად იგი მიწის მთელ პროდუქტს შეადგენდა. მათი ბატონის განკარგულებაში იყო მარადჟამს მათი შრომა მშვიდობიანობის დროს და მათი სამსახური ომის დროს. თუმცა ისინი მებატონის სასახლიდან რაოდენადმე დაშორებით ცხოვრობდნენ, მაინც ისევე დამოკიდებულნი იყვნენ მასზე, როგორც მისი შინაყმები. და მიწის მთელი პროდუქტი ხომ, უეჭველია, იმას ეკუთვნის, ვის განკარგულებაშია არის ყველა იმათი შრომა, რომელნიც ამ პროდუქტით ცხოვრობენ. თანამედროვე ევროპაში მემამულის წილი იშვიათად აღემატება მიწის მთელი პროდუქტის მესამედს, და ზოგჯერ არ აღემატება მეოთხედსაც. მიწის რენტა კი ქვეყნის იმ ნაწილებში, სადაც მიწა გაუმჯობესებულ იქნა, იმ ძველი დროის შემდეგ გაიზარდა სამჯერ და ოთხჯერ; და წლიური პროდუქტის ეს მესამედი ან მეოთხედი, როგორც ეტყობა, სამჯერ და ოთხჯერ უფრო დიდია იმაზე, რასაც მთელი პროდუქტი უდრიდა უწინ. გაუმჯობესებული კულტურის განვითარებასთან ერთად რენტა თუმცა იზრდება აბსოლუტურად, მაგრამ მცირდება მთელ პროდუქტთან შედარებით.

ევროპის მდიდარ ქვეყნებში დიდი კაპიტალებია ამჟამად ვაჭრობისა და მრეწველობაში დაბანდებული. წინანდელ დროში კი ის მცირედი ვაჭრობა, რომელიც არსებობდა და მცირეოდენი მარტივი და უხეში მანუფაქტურები, რომელნიც მოქმედებდნენ, ძალიან პატარა კაპიტალებს საჭიროებდნენ. მაგრამ ეს კაპიტალები დიდი მოგების მომცემი კი უნდა ყოფილიყოს; სარგებლის ნორმა არსად არ ჩამოდიოდა ათ პროცენტზე დაბლა, და კაპიტალის მოგება საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, რათა მოეცეს ეს დიდი სარგებელი. ამჟამად ევროპის განვითარებულ ნაწილებში სარგებელი არსად არ აღემატება ექვს პროცენტს, და ზოგ უაღრეს განვითარებულ ქვეყნებში იგი ჩამოდის ოთხამდე, სამამდე და ორ პროცენტამდეც კი. თუმცა მოსახლეობის შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც კაპიტალის მოგებიდან მომდინარეობს, ყოველთვის გაცილებით უფრო დიდია მდიდარ ქვეყნებში, ვიდრე ღარიბში, მაგრამ ეს გარემოება აიხსნება მით, რომ კაპიტალი იქ ბევრად უფრო დიდია; კაპიტალთან შედარებით კი მოგება ჩვეულებრივ გაცილებით ნაკლებია.

მაშასადამე, წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც, მიწისგან მიღებისა ან პროდუქტიულ მშრომელთა ხელიდან გამოსვლის შემდეგ, დანიშნული არის კაპიტალის ასანაზღაურებლად, არა თუ მნიშვნელოვნად უფრო დიდია მდიდარ ქვეყნებში, ვიდრე ღარიბში, არამედ გაცილებით უფრო დიდ ნაწილსაც წარმოადგენს იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც უშუალოდ დანიშნულია შემოსავლის შესადგენად რენტის ან მოგების სახით. ფონდები, რომლებიც პროდუქტიული შრომის შესანახად დანიშნული, არა თუ მნიშვნელოვნად უფრო დიდია მდიდარ ქვეყნებში, ვიდრე ღარიბში, არამედ უფრო დიდი პროპორციისაც არის იმ ფონდებთან შედარებით, რომლებიც თუმცა როგორც პროდუქტიულის, ისე არაპროდუქტიული შრომის შენახვას შეიძლება ემსახურებოდეს, მაგრამ ჩვეულებრივ მაინც უპირატესად ამ უკანასკნელის შენახვას ემსახურება.

შეფარდება ამ სხვადასხვა ფონდებს შორის თითოეულ ქვეყანაში აუცილებლობის გზით განსაზღვრავს მისი მოსახლეობის ხასიათს შრომის მოყვარეობისა და უსაქმურობის მხრივ. ჩვენ უფრო შრომისმოყვარენი ვართ, ვიდრე ჩვენი წინაპრები იყვნენ, იმიტომ რომ ჩვენს დროში პროდუქტიული საქმიანობის შესანახად დანიშნული ფონდები შეფარდებით ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ორასი ან სამასი წლის წინათ იყო, იმ ფონდებთან შედარებით, რომლებიც გამოიყენება უსაქმურთა შესანახად. ჩვენი წინაპრები უსაქმური იყვნენ იმის გამო, რომ არ ჰქონდათ საკმაო სტიმული პროდუქტიული შრომისათვის. მუქთად მუშაობას მუქთად თამაში სჯობიაო, ამბობს ანდაზა. სავაჭრო და სამრეწველო ქალაქებში, სადაც ხალხის დაბალი ფენები კაპიტალის გამოყენებას შოულობენ თავის შესანახს, ისინი ჩვეულებრივ არიან შრომისმოყვარენი, ფხიზელნი და დამზოგველნი, როგორც ამას ვხედავთ ბევრ ინგლისისა და მეტწილ შოტლანდიის ქალაქებში. ისეთ ქალაქებში კი, რომელთა არსებობის წყაროს უმთავრესად იქ მეფის კარის მუდმივი ან დროებითი ყოფნა შეადგენს და სადაც ხალხის დაბალი ფენები შემოსავლის ხარჯვის შედეგად პოულობენ თავის შენახვას, ისინი ჩვეულებრივ ზარმაცნი, გათახსირებულნი და ღარიბნი არიან, როგორც ამას ადგილი აქვს რომში, ვერსალში, კომპიენში და ფონტენებლოში. თუ რუანსა და ბორდოს არ ჩავთვლით, საფრანგეთის არც ერთ საპარლამენტო ქალაქში არ არსებობს მნიშვნელოვანი ვაჭრობა და მრეწველობა, და ამ ქალაქების მოსახლეობის დაბალი ფენები, რომელნიც უმთავრესად იმ ხარჯის შედეგად მოიპოვებენ თავის შესანახს, რასაც სასამართლოს წევრები და ის პირნი ეწევიან, რომელნიც იქ სამართლისათვის მიდიან, განირჩევიან უსაქმურობითა და სიზარმაცით. რუანის და ბორდოს დიდი ვაჭრობა, როგორც

ეტყობა, მხოლოდ და მხოლოდ მათი ადგილმდებარეობის შედეგი არის. რუანი წარმოადგენს ბუნებრივ საწყობს თითქმის ყველა იმ საქონლისათვის, რომელიც მოაქვთ დიდ ქალაქ პარიზში მოსახმარებლად ან საზღვარგარეთიდან, ანდა საფრანგეთის ზღვის სანაპირო პროვინციებიდან. ასევე ბორდოც საწყობი ადგილია ღვინისათვის, რომელიც გარონისა და მასში შემავალი მდინარეების ნაპირებზე მოჰყავთ; ეს მიდამო მეურნეობის ერთ-ერთი უმდიდრესი ადგილია მთელს მსოფლიოში, და იქაური ღვინო უაღრესად გამოსადეგია საექსპორტოდ და ყველაზე მეტად აკმაყოფილებს უცხო ერების გემოვნებას. ამ ქალაქების ასეთი ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აუცილებლად იზიდავს მათკენ დიდ კაპიტალებს, ვინაიდან უზრუნველყოფს მათთვის ფართო გამოყენებას; და კაპიტალის ეს გამოყენებაა მიზეზი ამ ქალაქების ვაჭრობა-მრეწველობისა. საფრანგეთის სხვა საპარლამენტო ქალაქებში, როგორც ეტყობა, საქმეებში დაბანდებულია არა ბევრით იმაზე მეტი კაპიტალი, რაც საჭიროა მათი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ე. ი. ცოტათი მეტი იმ მინიმალურ კაპიტალზე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს იქ გამოყენება. იგივე შეიძლება ითქვას პარიზსა, მადრიდსა და ვენაზე. ამ სამი ქალაქიდან პარიზი ყველაზე უფრო სამრეწველო ქალაქია; მაგრამ პარიზი თვითონ წარმოადგენს მთავარ ბაზარს ყველა იქ არსებული მანუფაქტურისათვის, და მისი საკუთარი მოხმარების საჭიროება შეადგენს მთავარ საფუძველს მთელი იმ ვაჭრობისას, რომელსაც იგი ეწევა. ლონდონი, ლისაბონი და კოპენჰაგენი წარმოადგენენ, იქნებ, მარტოდენ იმ სამ ევროპულ ქალაქს, რომელნიც სამეფო კარის მუდმივი რეზიდენციები არიან და იმავე დროს შეიძლება მიჩნეულ იქნენ სავაჭრო ქალაქებად, ე. ი. ისეთ ქალაქებად, რომელნიც ვაჭრობას ეწევიან არა მარტო საკუთარი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, არამედ სხვა ქალაქებისა და ქვეყნების საჭიროებისთვისაც. სამივე ამ ქალაქის ადგილმდებარეობა უაღრესად ხელსაყრელი არის, და ეს მათ ბუნებრივად ხდის საწყობ ადგილად მეტწილ საქონელთათვის, რომლებიც შორეული ქვეყნების მოხმარებისთვისაა დანიშნული. იმ ქალაქში, სადაც ბევრი დიდი შემოსავალი იხარჯება, ხელსაყრელად კაპიტალის მოთავსება სხვა საქმეში, გარდა ამ ქალაქის საკუთარი მოთხოვნილების დამკმაყოფილებლისა, ალბათ, უფრო ძნელია, ვიდრე ისეთ ქალაქში, სადაც ხალხის დაბალ ფენებს სხვა საშუალება არა აქვთ არსებობისათვის გარდა იმისა, რომელსაც ისინი იღებენ ასეთი კაპიტალის პროდუქტიულად გამოყენების შედეგად. სარწმუნოდ არის მისაჩნვეი, რომ უსაქმურობა მეტწილ იმ ადამიანთა, რომელნიც შემოსავლის ხარჯვის წყალობით ცხოვრობენ, ასუსტებს იმათ შრომისმოყვარეობას, რომელთაც კაპიტალის გამოყენების შედეგად უნდა მიიღონ თავისი შესანახი, და კაპიტალის დაბანდებას ასეთ ადგილებში ნაკლებ ხელსაყრელად ხდის, ვიდრე სხვა ადგილებში. ედინბურგში, ინგლისთან შეერთებამდე, ვაჭრობა და მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. როდესაც აქ მოისპო შოტლანდიის პარლამენტის სესიები, როდესაც ქალაქი აღარ იყო რეზიდენცია შოტლანდიის დიდებულთა და მემამულეთა, იგი იქცა მცირეოდენი ვაჭრობისა და მრეწველობის მქონე ქალაქად. მაგრამ იგი მაინც ადგილია შოტლანდიის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებათა, საბაჟო და სააქციზო მმართველობათა და სხვ. ამიტომ აქ წინანდებურად აქვს ადგილი მნიშვნელოვან შემოსავალთა ხარჯვას. ვაჭრობისა და მრეწველობის მხრივ ბევრით უკან ჩამორჩება გლაზგოს, რომლის მცხოვრებნი უმთავრესად კაპიტალის გამოყენების შედეგად მოიპოვებენ თავის შესანახს. რომელიმე დიდი სოფლის მოსახლეობა, რომელსაც მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონებია მრეწველობაში,

როგორც ეს ზოგჯერ ყოფილა შემჩნეული, უსაქმური და ღარიბი გამხდარა იმის გამო, რომ რომელიმე მდიდარი მემამულე დასახლებულა მის ახლოს.

ამრიგად, შეფარდება კაპიტალსა და შემოსავალს შორის, როგორც ეტყობა, განსაზღვრავს ყველგან შეფარდებას შრომისმოყვარეობასა და უსაქმურობას შორის. იქ, სადაც კაპიტალი სჭარბობს, ადგილი აქვს უპირატესად შრომისმოყვარეობას, ხოლო სადაც სჭარბობს შემოსავალი, იქ უპირატესი ადგილი უსაქმურობას უჭირავს. ამიტომ კაპიტალის ყოველ გადიდებას ან შემცირებას მისწრაფება აქვს – ბუნებრივად – გაადიდოს ან შეამციროს სამრეწველო საქმიანობა, პროდუქტიული მუშების რაოდენობა და, მაშასადამე, ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის საცვლელი ღირებულება, ქვეყნის ყველა მცხოვრებთა რეალური სიმდიდრე და შემოსავალი.

კაპიტალი იზრდება დამზოგველობით და მცირდება მფლანგველობით და უგუნური ქცევით.

ყველაფერს, რასაც რომელიმე პირი დაზოგავს თავისი შემოსავლიდან, იგი უმატებს თავის კაპიტალს; იგი ან თვითონ გამოიყენებს ამ დანაზოგს პროდუქტიული მუშების დამატებითი რაოდენობის შესანახად, ანდა სხვა ვინმეს აძლევს ამის გაკეთების შესაძლებლობას მით, რომ ამ დანაზოგს ასესხებს მას სარგებლით, ე. ი. მოგების წილისათვის. როგორც ცალკეული პირის კაპიტალი შეიძლება გადიდებულ იქნეს მხოლოდ იმ თანხით, რომელსაც ეს პირი დაზოგავს თავისი წლიური შემოსავლიდან ან მოგებიდან, ისევე მთელი საზოგადოების კაპიტალიც, რომელიც ამ საზოგადოების ყველა ცალკეულ პირთა კაპიტალს უდრის, შეიძლება გადიდებულ იქნას მხოლოდ ასეთივე გზით.

დამზოგველობა და არა შრომისმოყვარეობა არის უშუალო მიზეზი კაპიტალის ზრდისა. მართალია, შრომის მოყვარეობა ჰქმნის იმას, რასაც დამზოგველობა დააგროვებს; მაგრამ რაგინდ ბევრი მოინაგროს შრომისმოყვარეობამ, კაპიტალი მაინც ვერასოდეს ვერ გაიზრდებოდა, თუ მომჭირნეობა არ დაზოგავდა და არ დააგროვებდა.

დამზოგველობა, ადიდებას რა პროდუქტიულ მშრომელთა შესანახად დანიშნულ ფონდს, იწვევს იმ მუშების რაოდენობის გადიდებას, რომელთა შრომა ადიდებას მათ მიერ დამუშავებული საგნების ღირებულებას. ამიტომ იგი იწვევს მოცემული ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის საცვლელი ღირებულების გადიდებას. მას მოძრაობაში მოჰყავს შრომის დამატებითი რაოდენობა, რომელიც დამატებით ღირებულებას აძლევს წლიურ პროდუქტს.

ის, რაც წლის განმავლობაში დაიზოგება, ისევე რეგულარულად მოიხმარება, როგორც ის, რაც ყოველწლიურად იხარჯება, და ამასთან – თითქმის იმავე დროის განმავლობაში; მაგრამ მოიხმარება იგი სულ სხვაგვარ ადამიანთა მიერ. მდიდარი კაცის შემოსავლის ნაწილი, რომელსაც იგი წლის განმავლობაში ხარჯავს, მეტწილად სემთხვევაში მოიხმარება უქმი სტუმრებისა და შინამსახურების მიერ, რომელნიც არას იძლევიან თავიანთი მოხმარების სამაგიეროდ; მისი შემოსავლის ის ნაწილი, რომელსაც იგი დაზოგავს ყოველწლიურად, რამდენადაც ეს მოგების მიღების მიზნით დაუყოვნებლივ გამოიყენება საქმეში კაპიტალის სახით, მოიხმარება იმგვარადვე და თითქმის იმავე დროს, მაგრამ მოიხმარება სხვაგვარ ადამიანთა მიერ, – სასოფლო-სამეურნეო მუშების, სამრეწველო მუშებისა და ხელოსნების მიერ, რომელნიც თავიანთი წლიური მოხმარების ღირებულების რეპროდუქციას ახდენენ მოგებითურთ. ვთქვათ, რომ მას ფულად ეძლევა მისი შემოსავალი. თუ იგი მთელ შემოსავალს დახარჯავდა, იმ შემთხვევაში საზრდო, ტანსაცმელი და ბინა, რაც მთელი

ამ თანხით შეიძლება შექმნილი ყოფილიყო, განაწილდებოდა პირველი ჯგუფის ადამიანთა შორის. თუ იგი, პირიქით, ამ შემოსავალს ნაწილს დაზოგავდა, იმ შემთხვევაში, რადგან ეს ნაწილი მაშინვე თვით მის მიერ ან სხვა ვინმეს მიერ კაპიტალის სახით იქნებოდა გამოყენებული, საზრდო, ტანსაცმელი და ბინა, რაც მით შეიძლება შექმნილი ყოფილიყო, აუცილებლად ხვდებოდა მეორე ჯგუფის ადამიანთ. მოხმარება იგივე არის, მაგრამ მომხმარებლები არიან სხვანი.

დამზოგველი ადამიანი თავისი წლიური დანაზოგით არა თუ შესანახს აძლევს პროდუქტიული მუშების დამატებით რაოდენობას მიმდინარე ან შემდეგი წლისათვის, არამედ, საზოგადოებრივ სახელოსმოს დამაარსებლის მსგავსად, აწესებს, ასე ვთქვათ, სამუდამო ფონდს ასეთივე რაოდენობის შესანახად ყველა შემდგომ დროში. ამ ფონდის სამუდამო გამოყენება აღნიშნული მიზნისათვის, რასაკვირველია, ყოველთვის არაა უზრუნველყოფილი რაიმე პოზიტიური კანონით, საანდერძო უფლებით და სხვ. მაგრამ ასეთი გამოყენება უზრუნველყოფილია ყოველთვის ფრიად ძალოვანი პრინციპით, ცხადი და ნათელი ინტერესით თითოეული ცალკე ადამიანისა, რომელსაც ოდესმე უნდა ეკუთვნოდეს ამ ფონდის რაიმე ნაწილი. ამ ფონდის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება არასოდეს შემდეგში დახარჯულ იქნეს სხვა რამეზე, თუ არ პროდუქტიული მუშების შენახვაზე, უიმისოდ, რომ ცხადი ზარალი არ განიცადოს იმ პირმა, რომელიც ამგვარად გზას ააქცევინებს მას მისი დანიშნულებისათვის.

მხოლოდ მფლანგველი ააქცევინებს მას ასე გზას; მით, რომ მას თავისი ხარჯი შემოფარგლული არა აქვს თავისი შემოსავლით, იგი ხარჯავს თავის კაპიტალს. მსგავსად იმ ადამიანისა, რომელიც რაიმე საქველმოქმედო დაწესებულების შემოსავალს ამაო მიზნებზე ხარჯავს, იგი სასყიდელს აძლევს უსაქმურობას იმ ფონდიდან, რომელსაც, ასე ვთქვათ, მისი წინაპრების დამზოგველობამ ანდერძით დაუდო დანიშნულებად შრომისმოყვარეობის შენახვა. პროდუქტიული შრომის გამოსაყენებლად დანიშნული ფონდის შემცირებით ასეთი ადამიანი აუცილებლად ამცირებს, რამდენადაც ეს მასზეა დამოკიდებული, შრომის რაოდენობას, რომელიც ადიდებს იმ საგნის ღირებულებას, რაზედაც იგი იხარჯება, და მაშასადამე, ამცირებს მთელი ქვეყნის მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს, მის მცხოვრებთა ნამდვილ სიმდიდრესა და შემოსავალს. ზოგთა მფლანგველობა რომ არ წონასწორდებოდა სხვების დამზოგველობით, – საქციელი ყოველი მფლანგველისა, რომელიც მუქთახორას აჭმევს მუყაითი მშრომელის პურს, გამოიწვევდა არა მარტო მის საკუთარ გადატაკებას, არამედ მისი ქვეყნის გაღარიბებასაც.

ბედოვლათი ადამიანები რომ კიდევ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის შიგნით ნაწარმოები საქონლისათვის ეწევოდნენ ხარჯვას და არა უცხო საქონლისათვის, ამ ხარჯვის გავლენა საზოგადოების პროდუქტიულ ფონდზე მაინც იგივე იქნებოდა. ყოველწლიურად საზრდოს და ტანსაცმელის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც პროდუქტიული მუშების შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაინც არაპროდუქტიული ელემენტების შესანახად იქნებოდა დახარჯული. და ამიტომ ყოველწლიურად ადგილი ექნებოდა ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ღირებულების რაოდენადმე შემცირებას იმასთან შედარებით, რაც სხვა შემთხვევაში იქნებოდა.

რასაკვირველია, შეიძლება ითქვას, რომ, რამდენადაც ეს ხარჯვა გაიწევა არა უცხო პროდუქტებისათვის და ოქროსა და ვერცხლის გაზიდვას არ იწვევს, ფულის წინანდელი რაოდენობა დარჩება ქვეყნის შიგნით. მაგრამ საზრდოს და ტანსაცმელის ის რაოდენობა, რომელიც, ამგვარად, არაპროდუქტიული ელემენტების მიერ იქნა

მოხმარებული, პროდუქტიულ მშრომელებს შორის რომ ყოფილიყო განაწილებული, უკანასკნელნი მოგებითურთ აღადგენდნენ მათ მიერ მოხმარებულის მთელ ღირებულებას. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც ფულის რაოდენობა იგივე დარჩებოდა ქვეყანაში, მაგრამ ამასთან ერთად მოხდებოდა რეპრედუქცია იმავე ღირებულების სახმარი პროდუქტებისა; წინ გვექნებოდა, ერთის ნაცვლად, ორი ღირებულება.

გარდა ამისა, იმ ქვეყანაში, რომლის წლიური პროდუქტის ღირებულება მცირდება, ვერ დარჩება დიდხანს ფულის ერთი და იგივე რაოდენობა. ფულის ერთადერთი დანიშნულება ისაა, რომ მიმოაქციოს მოხმარების საგნები. ფულის საშუალებით ყიდვა-გაყიდვა და სათანადო მომხმარებლებს შორის განაწილება სურსათის, მასალების და მზა პროდუქტებისა. ამიტომ ფულის რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად შეიძლება ხმარებაში იყოს რომელსამე ქვეყანაში, უნდა განისაზღვრებოდეს იმ სახმარ დოვლათთა ღირებულებით, რომელნიც მასში მიმოიქცევიან წლის განმავლობაში. ეს უკანასკნელნი უნდა შესდგებოდნენ ან თვით იმ ქვეყნის მიწისა და შრომის უშუალო პროდუქტისაგან, ანდა იმ საგნებისაგან, რომლებიც იმ პროდუქტის განსაზღვრული ნაწილით არის ნაყიდი. ამიტომ მათი ღირებულება უნდა შემცირდეს, როდესაც იმ პროდუქტის ღირებულება მცირდება, და მასთან ერთად უნდა შემცირდეს ფულის რაოდენობაც, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მათი მიმოქცევისათვის. მაგრამ ფული, რომელიც განიდევენება ამგვარად შინაგანი მიმოქცევიდან ყოველწლიურად პროდუქტის შემცირების გამო, არ შეიძლება დატოვებულ იქნეს გამოყენებლად. მისი მფლობელის ინტერესი მოითხოვს, რომ იგი საქმეში იყოს შეტანილი. და რამდენადაც გამოყენებას მისთვის ადგილი არ ექნება ქვეყნის შიგნით, ფული, ყველა კანონისა და აკრძალვის მიუხედავად, გაიგზავნება საზღვარგარეთ და იქ დაიხარჯება სახმარ დოვლათთა საყიდლად, რომლებიც შესაძლებელია განსაზღვრული სარგებლობით გამოყენებული იქნეს ქვეყნის შიგნით. ამგვარად, ფულის ასეთი ყოველწლიური გაზიდვა ერთხანს გაადიდებს ქვეყნის წლიურ მოხმარებას მისი საკუთარი წლიური პროდუქტის ღირებულებაზე მეტად. ის თანხები, რომლებიც, ქვეყნის წარმატების დროს, დაიზოგებოდა მისი წლიური პროდუქტიდან და ოქროსა და ვერცხლის საყიდლად გამოიყენებოდა, ახლა, გაჭირვების დროს, მცირე ხნით ხელს შეუწყობს მისი მოხმარების შემაგრებას წინანდელ დონეზე. ოქროსა და ვერცხლის გაზიდვა ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა მიზეზს, არამედ შედეგს ქვეყნის დაცემისას, და მას შეუძლია კიდევ ცოტა ხნით ამ დაცემის სავალალო შედეგების შერბილება.

პირიქით, ფულის რაოდენობამ ყოველ ქვეყანაში, რასაკვირველია, უნდა იმატოს, თუ მისი წლიური პროდუქტის ღირებულება მატულობს. თუ საზოგადოებაში ყოველწლიურად მიმოქცეულ სახმარ დოვლათთა ღირებულება იზრდება, ფულის მეტი რაოდენობა იქნება აგრეთვე საჭირო მათი მიმოქცევისათვის. ამიტომ ამ გადიდებული პროდუქტის ნაწილი – ბუნებრივია – დახარჯული იქნება ოქროსა და ვერცხლის დამატებითი რაოდენობის საყიდლად, რომელიც პროდუქტის დანარჩენი ნაწილის სამიმოქცეოდ არის საჭირო. ამ შემთხვევაში ამ ლითონების რაოდენობის გადიდება შედეგი იქნება, და არა მიზეზი, საზოგადოების კეთილდღეობისა. ოქროსა და ვერცხლს ყიდულობენ ყველგან ერთი და იმავე წესით. საზრდო, ტანსაცმელი და ბინა, შემოსავალი და შესანახი ყველა იმ პირთა, რომელთა შრომა ან კაპიტალი გამოიყენება ოაროსა და ვერცხლის გამოსატანად სამადნეებიდან ბაზარზე, წარმოადგენს იმ ფასს, რომელსაც იხდიან ამ ლითონებისათვის პერუსა ან ინგლისში. ქვეყანა, რომელსაც ძალუძს ამ ფასის გადახდა, არასოდეს არ დარჩება დიდხანს ამ ლითონთა იმ რაოდენობის უქონლად, რაც მას ესაჭიროება, და არც ერთი

ქვეყანა არ დაინარჩუნებს დიდხანს მათ იმ რაოდენობას, რომელიც მის საჭიროებას აღემატება.

ამიტომ, რაც უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ თითოეული ქვეყნის რეალურ სიმდიდრედ და შემოსავლად: მისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ღირებულება, როგორც ამას, თითქოს, გვიკარნახებს სალი გონება, თუ მასში მიმოქცეულ ძვირფას ლითონთა რაოდენობა, როგორც ეს დაბიურ ცრურწმენას ჰგონია, – ორივე თვალსაზრისის მიხედვით ყოველი მფლანგველი ადამიანი გვევლინება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის მტერი, და ყოველი დამზოგველი ადამიანი, – როგორც საზოგადოების კეთილისმყოფელი.

უფუნური მოქმედების შედეგები ხშირად ისეთივეა, როგორიც მფლანგველობისა. ყოველი უსწორო და მარცხით დამთავრებული პროექტი სასოფლო მეურნეობაში, სამთომადნო საქმეში, მეთევზეობაში, ვაჭრობასა ან მრეწველობაში იწვევს სწორედ იმგვარადვე იმ ფონდის შემცირებას, რომელიც პროდუქტიული შრომის შესანახადაა დანიშნული. ყოველი ასეთი პროექტის შემთხვევაში, თუმცა კაპიტალი პროდუქტიული ელემენტების მიერ მოიხმარება, ადგილი აქვს მაინც საზოგადოების პროდუქტიული ფონდის შემცირებას რაოდენადმე, ვინაიდან ეს პროდუქტიული ელემენტები, იმის გამო, რომ გონივრულად არ იყვნენ გამოყენებულნი, არ ახდენენ მათ მიერ მოხმარებულის სრული ღირებულების რეპროდუქციას.

სინამდვილეში იშვიათად მოხდება, რომ დიდი ერის მდგომარეობაზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ცალკეულ პირთა მფლანგველობამ და წინდაუხედაობამ; ბედოვლათობა და წინდაუხედაობა ერთთა მუდამ გაწონასწორდება ჭარბად სხვების მომჭირნეობით და გონივრული საქმიანობით.

რაც შეეხება მფლანგველობას, მხარჯველობის სტიმულს შეადგენს აწინდელი სიამოვნებისადმი მისწრაფება, რომელიც, რაგინდ ძლიერი და უძლეველი იყოს ზოგჯერ, მაინც ჩვეულებრივ მოკლე ხანგრძლივობისაა და შემთხვევითი არის. პირიქით, დამზოგველობას ჩვენ გვაიძულებს სურვილი ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, – სურვილი, რომელიც ჩვეულებრივ მოკლებულია ვნებიანობას და წყნარი არის, მაგრამ მოგვეყვება აკვნიდან და თავს არ გვანებებს საფლავში ჩასვლამდე. მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე იქნებ ერთი მომენტიც კი არ იყოს ისეთი, როდესაც ადამიანი ისე კმაყოფილი იყოს თავისი მდგომარეობით, რომ მას არ ჰქონდეს მისი ასე თუ ისე შეცვლის ან გაუმჯობესების სურვილი. საშუალებას, რომლითაც ადამიანთა უმრავლესობა ცდილობს და ფიქრობს გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა შეადგენს თავისი ქონების გადიდება. ეს არის უჩვეულებრივესი და უმარტივესი საშუალება; ხოლო ყველაზე უფრო საიმედო წესი თავისი ქონების გადიდებისა არის იმის რამოდენიმე ნაწილის დაზოგვა და დაგროვება, რასაც ადამიანი სეიძლენს ხოლმე რეგულარულად ან ყოველწლიურად ანდა რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში. ამიტომ, თუმცა მიდრეკილება ხარჯვისადმი ყველა ადამიანში დასძლევს ზოგჯერ და ზოგ ადამიანში დასძლევს თითქმის ყოველთვის, მაგრამ მაინც ადამიანთა უმრავლესობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ მათ ცხოვრებას, დაზოგვისადმი მიდრეკილება, როგორც ეტყობა, არა თუ სჭარბობს მხოლოდ, არამედ სჭარბობს მნიშვნელოვნადაც.

რაც შეეხება წინდაუხედაობას, როცხვი გონივრულ და წარმატებულ სარეწაოთა ყველგან გაცილებით მეტია არაგონივრულ და წარუმატებელ სარეწაოთა რიცხვზე. მიუხედავად ჩვენი ჩივილისა გაკოტრების სიხშირის გამო, მაინც რიცხვი იმ უბედოთა, რომელთაც ასეთი მარცხი მოუდით, სულ მცირე ნაწილს შეადგენს იმ

ადამიანთა საერთო რიცხვისას, რომელნიც ვაჭრობას და ყოველგვარ საქმეებს ეწევიან; მათი რიცხვი ალბათ, მეტი არ იქნება, ვიდრე ერთი ათასზე გაკოტრება, იქნებ, უდიდესი და ყველაზე უფრო დამამცირებელი უბედურება იყოს, რომელიც კი შეიძლება ალალმართალ ადამიანს შეემთხვეს. ამიტომ ადამიანთა უმრავლესობა საკმაო სიფრთხილეს ეწევა, რათა თავიდან აიცილოს იგი. რასაკვირველია, ზოგნი მას ვერ აიცდენენ, მაგრამ ზოგნი ხომ სახრჩობელასაც ვერ აიცდენენ.

დიდი ერები არასოდეს არ ღარიბდებიან კერძო პირთა ბედოვლათობისა და წინდაუხედაობის მიზეზით, მაგრამ არაიშვიათად ღარიბდებიან სახელმწიფო მფლანგველობისა და წინდაუხედავი საქმიანობის გამო. მთელი ან თითქმის მთელი სახელმწიფო შემოსავალი მეტწილ ქვეყნებში იხარჯება არაპროდუქტიული ელემენტების შესანახად. უკანასკნელთ უნდა მივაკუთვნოთ ყველა ისინი, ვინც შეადგენენ სამეფო კარის მრავალრიცხოვან და ბრწყინვალე ამალას, ფართო საეკლესიო ორგანიზაციას, დიდ ფლოტსა და არმიას, რომელნიც არას აწარმოებენ მშვიდობიანობის დროს, ხოლო ომის დროს არას იძენენ ისეთს, რითაც შეიძლებოდა დაფარულ იქნეს მათი შენახვის ხარჯები თინდაც ომის განმავლობაში. ვინაიდან ასეთი ელემენტები თვითონ არას ჰქმნიან, ისინი შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტით. და, ამიტომ, როდესაც მათი რიცხვი საჭიროზე მეტად იზრდება, მათ შეიძლება ამ პროდუქტის ისე დიდი ნაწილი მოიხმარონ წლის განმავლობაში, რომ იქიდან აღარ დარჩება საკმარისი შესანახი პროდუქტიული მშრომელებისათვის, რომელთაც უნდა მოახდინონ მისი რეპროდუქცია შემდეგ წელში. ამის გამო შემდეგი წლის პროდუქტი შემცირდება წინა წლის პროდუქტთან შედარებით; და თუ ეს არანორმალური წესი შემდგომაც განგრძობილ იქნა, მესამე წლის პროდუქტი კიდევ უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე იყო მეორე წლისა. ამ არაპროდუქტიულმა ელემენტებმა, რომელთა შენახვას უნდა მოხმარებოდა მხოლოდ დაზოგვილი შემოსავლის ნაწილი, შეიძლება მოიხმარონ მთელი სახალხო შემოსავლის ისე დიდი ნაწილი და მით ისე ბავრი ადამიანი აიძულონ ხელი ახლონ დასახარჯად თავიანთ კაპიტალებს, ფონდებს, რომლებიც პროდუქტიული შრომის შესანახად იყო დანიშნული, რომ ცალკეულ პირთა მთელმა მომჭირნეობამ და გონივრულმა საქმიანობამ, იქნებ, ვერც კი გააწონასწოროს პროდუქტების ის განიავება და წარმოების დაცემა, რასაც გამოიწვევს კაპიტალების ეს ძლიერი და იძულებითი ხელისხლება.

მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ეს მომჭირნეობა და კეთილგონივრობა მეტწილს შემთხვევაში საკმარისია იმისათვის, რომ გააწონასწოროს არა თუ კერძო მფლანგველობა და ცალკეულ პირთა წინდაუხედაობა, არამედ მთავრობის წრეს გადასული მხარჯველობაც. თანაბარი, მუდმივი და განუწყვეტელი მისწრაფება ყოველი ადამიანისა, რომ გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, ის პრინციპი, საიდანაც თავდაპირველად გამომდინარეობს როგორც საზოგადოებრივი და ნაციონალური, ისე კერძო სიმდიდრე, ხშირად საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს მდგომარეობის ბუნებრივი განვითარება გაუმჯობესების მიმართულებით, მიუხედავად მთავრობის უზომო ხარჯებისა და ადმინისტრაციის უდიდესი შეცდომებისა. ჩვენთვის უცნობ სასიცოცხლო ძალასავით ორგანიზმისა, იგი ხშირად კვლავ აღადგენს აგებულების ჯანმთელობას და ძალას, მიუხედავად არა თუ დაავადებისა, არამედ ექიმის ბრყვეული რჩევებისაც.

რომელიმე ერის მიწისა და შრომის პროდუქტი მისი ღირებულების მხრივ შეიძლება გადიდებულ იქნეს მხოლოდ ან მისი პროდუქტიული მშრომელების რიცხვის გადიდების გზით ანდა წინათ მოსაქმე მუშების პროდუქტიული ძალის

გადიდების გზით. მისი პროდუქტიული მშრომელების რიცხვი, თავისთავად ცხადია, შეიძლება მნიშვნელოვნად გადიდებულ იქნეს მხოლოდ კაპიტალის ანუ იმ ფონდების გადიდების შედეგად, რომლებიც მათ შესანახადაა დანიშნული. ერთი და იმავე რაოდენობის მუშათა პროდუქტიული ძალა შეიძლება გადიდდეს მხოლოდ შედეგად მანქანების და იარაღების გამრავლების ან გაუმჯობესებისა, რომელნიც შრომას აადვილებენ ან ამოკლებენ, ანდა შედეგად შრომის უფრო მიზანშეწონილი დანაწილების და განაწილებისა. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც თითქმის ყოველთვის საჭიროა დამატებითი კაპიტალი. მხოლოდ დამატებითი კაპიტალის საშუალებით შეუძლია მესარეწეს ხელთ მისცეს თავის მუშებს უკეთესი მანქანები ან გაატაროს მათში უფრო მიზანშეწონილი განაწილება სამუშაოს. როდესაც შესასრულებელი სამუშაო რამდენიმე რამდენიმე ოპერაციისაგან შესდგება, გაცილებით უფრო დიდი კაპიტალია საჭირო იმისათვის, რომ თითოეული მუშა მხოლოდ ერთ-ერთი ამ ოპერაციის შესრულებაზე იყოს დაყენებული, ვიდრე მაშინ, როდესაც ყოველი მუშა ერთი ოპერაციიდან მეორეზე გადადის. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვადარებთ რომელიმე ხალხის მდგომარეობას ორ სხვადასხვა პერიოდში და ვპოვებთ, რომ მისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი შესამჩნევად უფრო დიდია მეორე პერიოდში, ვიდრე პირველში, რომ მისი მიწები უკეთ არის დამუშავებული, მისი მანუფაქტურები უფრო მრავალრიცხოვანია და უფრო წარმატებული და მისი ვაჭრობა უფრო გაფართოებული, – ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ მისი კაპიტალი გაზრდილა ამ ორ პერიოდს შორის და რომ მას მეტი უნდა შეჰმატებოდა ერთთა გონივრული საქმიანობის გამო, ვიდრე მოჰკლებოდა სხვათა უწესრიგო მოქმედებით ანდა მთავრობის ბედოვლათობის მიზეზით. მაგრამ ჩვენ ვპოვებთ, რომ ამასვე ჰქონდა ადგილი თითქმის ყველა ხალხში რაოდენადმე წყნარ და მშვიდობიან ეპოქებში, – იმათშიც კი, რომელთაც არ ჰყავდათ ფრიად გონიერი და დამზოგველი მთავრობები. მხოლოდ, რათა სწორი მსჯავრი შევადგინოთ რომელიმე ხალხის განვითარების შესახებ, უნდა შევადაროთ მისი მდგომარეობა იმ პერიოდებში, რომლებიც რაოდენადმე დაშორებულია ერთი მეორეს. პროგრესი ხშირად სწარმოებს ისე ნელა და თანდათანობით, რომ ერთი მეორის ახლობელ პერიოდებში არა თუ არ სჩანს რაიმე გაუმჯობესება, არამედ ხშირად ეჭვიც კი დაიბადება, ქვეყნის სიმდიდრე და მისი მრეწველობა ეცემაო, თუ ვამჩნევთ მრეწველობის ზოგი დარგების ან ზოგი რაიონების დაცემას, რასაც ზოგჯერ აქვს ადგილი, თუმცა ქვეყანა, საერთოდ, მეტად აყვავებული არის.

ინგლისის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი, მაგალითად, უეჭველად გაცილებით დიდია იმაზე, რაც იყო ამ ასი წლის წინათ, კარლოს II-ის რესტავრაციის დროს. თუმცა ამჟამად, მგონია მცირეოდენი იქნებიან ამაში დაეჭვებული, მაგრამ იმ პერიოდის განმავლობაში იშვიათად გაივლიდა ხუთი წელიწადი ისე, რომ არ გამოსულიყო რაიმე წიგნი ან პამფლეტი, რომელიც, რახან ნიჭიერად იყო დაწერილი, განსაზღვრულ ავტორიტეტს იპყრობდა საზოგადოებაში და რომელიც იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ერის სიმდიდრე სწრაფად მცირდება, რომ ქვეყნის მოსახლეობა კლებულობს, მიწათმოქმედება თავმინებებულია, მრეწველობა ეცემა და ვაჭრობა სულს ჰდაფავს. ამასთან ეს ნაწერები ყველა არ წარმოადგენდა პარტიულ პამფლეტებს, სიყალბისა და მოსყიდულობის პროდუქტს, – ბევრი მათში ფრიად გულწრფელი და ჩახედული ადამიანების მიერ იყო დაწერილი, რომელნიც სწარდნენ მხოლოდ იმას, რაშიაც იყვნენ დარწმუნებული, და მხოლოდ იმიტომ, რომ ამაში დარწმუნებული იყვნენ.

ინგლისის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი რესტავრაციის დროს, კვლავ, უეჭველად გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე, როგორც ეს შეიძლება ვიფიქროთ, იყო ასი წლის წინათ მანამდე, ელისაბედის ტახტზე ასვლის დროს. და იმ უკანასკნელ პერიოდში, როგორც ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ქვეყანა ასევე გაცილებით უფრო წინწაწეული იყო განვითარებაში, ვიდრე ასი წლის წინათ მანამდე, _ იმ დროს, როდესაც თავდებოდა ბრძოლა იორკისა და ლანკასტერის გვარს შორის. და იმ ხანაშიც ქვეყანა, ალბათ, უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ნორმანული დაპყრობის დროს, ხოლო ნორმანული დაპყრობის დროს _ უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე არეულობის დროს საქსონური შვიდბატონობის პერიოდში. და ამ შორეულ დროშიც კი ქვეყანა, უეჭველად, უფრო მდიდარი იყო, ვიდრე იულიუს კეისარის შესევის დროს, როდესაც მისი მცხოვრებლები თითქმის ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომელშიაც იმყოფებიან დღეს ჩრდილო-ამერიკის ველურები.

მაგრამ ყველა ამ ეპოქაში ადგილი ჰქონდა არა თუ კერძო პირთა და სახელმწიფოს დიდ მფლანგველობას, მრავალ ხარჯიან და არასაჭირო ომს, ავწესობას წლიური პროდუქტის გამოყენებაში, რომლის დიდი ნაწილი, პროდუქტიული მშრომელების შენახვის ნაცვლად, არაპროდუქტიული ელემენტების შენახვას ხმარდებოდა, არამედ ზოგჯერ სამოქალაქო ბრძოლით გამოწვეული არევდარევის დროს ადგილი ჰქონდა აგრეთვე კაპიტალის ისე აბსოლუტურ განიავებას და გაჩანაგებას, რომ, _ შეძლებოდა ადამიანს ეფიქრა, _ ეს არა თუ აფერხებდა სიმდიდრის ბუნებრივ დაგროვებას, _ რაც, უეჭველია, ხდებოდა კიდეც, _ არამედ ქვეყანასაც უფრო ღარიბს ხდიდა მოცემული პერიოდის დასასრულს, ვიდრე იყო იგი მის დასაწყისში. აბა რა ერთ არეულობას და უბედურობას არ ჰქონდა ადგილი უბედნიერეს ხანაშიც კი ყველა ამ ეპოქათაგან, _ რესტავრაციის შემდგომ ხანაში, _ უბედურობას, რომლისგანაც ადამიანები, მისი წინასწარ დანახვა რომ შესძლებოდათ, მომლოდინე იქნებოდნენ არა თუ ქვეყნის გაღარიბების, არამედ მისი სრული განადგურებისაც? ხამძარი და ჟამი ლონდონში, ორი ომი ჰოლანდიასთან, რევოლუციური არეულობა, ომი ირლანდიაში, ოთხი გამნადგურებელი ომი საფრანგეთთან 1688, 1701, 1742 და 1756 წლებში ორი აჯანყებითურთ 1715 და 1745 წლებში. საფრანგეთთან ოთხი ომის განმავლობაში ნაციამ ვალი დაიდვა 145 მილიონ გირვანქაზე მეტი, სხვა არაჩვეულებრივი წლიური ხარჯების ჩაუთვლელად, რომლებიც იმ ომებით იყო გამოწვეული, ასე რომ მთელი თანხა 200 მილიონზე ნაკლებ არ უნდა ვიანგარიშოთ. ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ასე დიდი ნაწილი იყო სხვადასხვა შემთხვევებში რევოლუციის შემდეგ არაპროდუქტიული ელემენტების არაჩვეულებრივად დიდი რაოდენობის შესანახად დანიშნული. იმ ომებს ასეთი განსაკუთრებული დანიშნულება რომ არ მიეცა ესოდენ დიდი კაპიტალისათვის, ამ კაპიტალის უდიდესი ნაწილი, რასაკვირველია, პროდუქტიული მშრომელების შესანახად იქნებოდა გამოყენებული, რომელთა შრომა მათი მოხმარების მთელ ღირებულებას უკანვე დააბრუნებდა მოგებითურთ. ამის გამო ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდებოდა ყოველ წელს, ხოლო მისი ყოველ წელს გადიდება გამოიწვევდა კიდეც უფრო მეტ გადიდებას შემდეგ წელში. აშენდებოდა მეტი სახლები, გაუმჯობესდებოდა მეტი მიწა, ხოლო ის მიწები, რომლებიც წინათ იყო გაუმჯობესებული, უკეთ დამუშავდებოდა, დაარსდებოდა მეტი მანუფაქტურები, ხოლო ძველი მანუფაქტურები გაფართოვდებოდა, ასე რომ ძნელიც კია იმის

წარმოდგენა, თუ რა სიმაღლეზე უნდა ასულიყო ამ დროში ქვეყნის რეალური სიმდიდრე და შემოსავალი.

თუმცა მთავრობის მფლანგველობას, უეჭველია, უნდა დაეყოვნებია ინგლისის სიმდიდრისა და კულტურის ბუნებრივი ზრდა, მაგრამ მას მაინც არ შეეძლო მისი სრულიად შეჩერება მისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი ამჟამად, უეჭველია, გაცილებით უფრო დიდი არის, ვიდრე იყო რესტავრაციის ან რევოლუციის დროს. ამიტომ ამ მიწის დასამუშავებლად და ამ შრომის შესანახად ყოველ წელს გამოყენებული კაპიტალი უნდა იყო აგრეთვე გაცილებით უფრო დიდი. მიუხედავად მთავრობის მხრივ წარმოებული წამგლეჯელობისა, ეს კაპიტალი ნელნელა და თანდათან გროვდებოდა კერძო დამზოგველობისა და ცალკეულ პირთა წინდახედულობის წყალობით, მათი საერთო, მუდმივი და განუწყვეტელი მცდელობით საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სწორედ ეს მცდელობა, რომელსაც მფარველობდა კანონი და რომელიც შესაძლებელი გახადა თავისუფლებამ იმ წესით საქმიანობისა, რაიც უფრო ხელსაყრელად მიაჩნია თავისთვის ადამიანს, უზრუნველჰყოფდა ინგლისში სიმდიდრისა და კულტურის განვითარებას თითქმის ყოველთვის წინანდელ დროში და, უნდა ვიმედოვნოთ, უზრუნველჰყოფს შემდეგშიაც. მხოლოდ, რადგან ინგლისს არასოდეს არ ჰქონებია ბედნიერება ჰყოლოდა ძალიან დამზოგველი მთავრობა, დამზოგველობა არც შეადგენს მის მცხოვრებთა დამახასიათებელ სათნოებას. ამიტომ უაღრესი უტიფრობა და კადნიერებაა მეფეებისა და მინისტრების მხრივ ეს, რომ ისინი ლამობენ კერძო პირთა დამზოგველობის მეთვალყურეობას და მათი ხარჯების შეზღუდვას ფუფუნების საწინააღმდეგო კანონების გზით ან უცხოეთიდან ფუფუნების საგნების იმპორტის აკრძალვით. თვითონ ისინი იყვნენ ყოველთვის და გამოუკლებლივ უდიდესი მფლანგველები საზოგადოებაში. დეე მათ თავიანთ ხარჯებს ადევნონ თვალყური და კერძო პირთ დაანებონ თვითონ იზრუნონ თავის თავზე, თუ მათი საკუთარი ბედოვლათობა არ ანადგურებს სახელმწიფოს, მათი ქვემეგრდომების დაუზოგველობა, ყოველ შემთხვევაში, არ გამოიწვევს ამას.

თუ ერთი მხრივ, მომჭირნეობა ადიდებს და ბედოვლათობა ამცირებს საზოგადოების კაპიტალს, მეორე მხრივ, ამ კაპიტალს არც ადიდებს და არც ამცირებს ცხოვრების წესი იმ ადამიანთა, რომელთა ხარჯი სწორედ უდრის მათ შემოსავალს, ასე რომ ისინი არც უმატებენ და არც აკლებენ თავიანთ კაპიტალს. მხოლოდ ზოგი ხარჯის ხარჯვა, როგორც ეტყობა, უფრო უწყობს ხელს საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას, ვიდრე სხვა სახისა.

ცალკეული პირის შემოსავალი შეიძლება ისეთ საგნებზე იქნეს დახარჯული, რომლებიც დაუყოვნებლივ მოიხმარება და რომლებზედაც დღეს გაწეული ხარჯი ვერც შეამსუბუქებს და ვერც დახმარებას გაუწევს ხვალინდელ ხარჯს; ანდა ეს შემოსავალი შეიძლება უფრო გამძლე საგნებზე დაიხარჯოს, რომლებიც, ამიტომ, შეიძლება დაგროვილ იქნეს და რომლებზედაც დღეს გაწეულ ხარჯს, მფლობელის სურვილისამებრ, შეუძლია შეამსუბუქოს ხვალინდელი ხარჯი, დახმარება გაუწიოს მას და გააძლიეროს მისი მოქმედება. მდიდარ კაცს, მაგალითად, შეუძლია თავისი შემოსავალი ხარჯოს უხვ და მდიდარ სუფრაზე, ბევრი შინამსახურისა და მრავალთმრავალი ძაღლებისა და ცხენების შენახვაზე, ანდა, პირიქით, დაკმაყოფილდება რა ზომიერი ჭამა-სმით და მცირეოდენი შინამსახურით, მას შეუძლია თავისი შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხარჯოს თავისი სახლის ან კარმიდამოს გამშვენიერებაზე, სასარგებლო და მშვენიერ შენობებზე, სასარგებლო ან ლამაზ ავეჯეულობაზე, წიგნების შეკრებაზე, ქანდაკებებზე, სურათებზე, ანდა უფრო

ფუჰ ნივთებზე: ძვირფას თვლებზე, სათამაშოებსა და სხვადასხვა სახის ცუდმადზე, ან კიდევ – რაც სულ ამაო საქმეს წარმოადგენს – მდიდრული ტანსაცმლებისაგან შემდგარ გარდერობზე მსგავსად ერთი დიდი მეფის ფავორიტ-მინისტრისა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. თუ ვიგულისხმებთ, რომ ორ ადამიანში, რომელნიც თანატოლი ქონების პატრონები არიან, ერთი თავის შემოსავალს ხარჯავს პირველი წესით, ხოლო მეორე – მეორე წესით, მორჭმულობა იმისი, რომელიც უმთავრესად გამძლე საგნებისათვის ეწევა ხარჯვას, განუწყვეტლივ ზრდაში იქნება: ყოველდღიური ხარჯი რაოდენადმე გამაუმჯობესებელი და გამამდიერებელი იქნება შემდგომი დღის ხარჯის მოქმედებისა. მეორის მორჭმულობა, პირიქით, უფრო დიდი არ იქნება ამ პერიოდის ბოლოს, ვიდრე იყო მის დასაწყისში. პერიოდის დასასრულს პირველი იქნება უფრო მდიდარიც, მის მფლობელობაში იქნება მარაგი ამა თუ იმ სახის საგნებისა, რომლებიც შეიძლება არც ღირდეს იმად, რაც მათთვის იყო დახარჯული, მაგრამ მათ მაინც ექნებათ ყოველთვის განსაზღვრული ღირებულება, მეორის დანახარჯისგან კი არავითარი კვალი არ დარჩება, და ნაყოფი მხარჯველობისა, რომელიც ათ ან ოც წელიწადს გრძელდებოდა, ისე გამქრალი იქნება სავსებით, როგორც რომ არც კი არსებულებოდა ოდესმე.

როგორც კერძო ადამიანის სიმდიდრისათვის უფრო ხელშემწყობია ერთი სახის ხარჯვა, ვიდრე მეორე სახისა, ისევე არის ეს ერის სიმდიდრისთვისაც. მდიდრების სახლებით, ავეჯეულობით და ტანსაცმელით მოკლე ხნის შემდეგ ისარგებლებენ ხალხის დაბალი და საშუალო ფენები. ამათ შეუძლიათ იყიდონ ისინი, როცა უმაღლეს კლასებს ეს საგნები მობეზრდებათ; და ამგვარად თანდათან იზრდება მთელი ხალხის კომფორტი, როდესაც ასეთი წესით ხარჯვა საყოველთაოდ ვრცელდება მდიდარ ადამიანებში. იმ ქვეყნებში, რომელნიც დიდხანს მდიდარი ქვეყნები იყვნენ, ხშირად ვამჩნევთ, რომ ხალხის დაბალი ფენები მფლობელნი არიან სრულიად კარგი და ვარგისი სახლების და ავეჯეულობისა, რომლებიც, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა აგებული ან დამზადებული მათ მიერ მოსახმარებლად. შენობა, რომელიც წინათ სეიმურის გვარის რეზიდენცია იყო, ახლა სასტუმროა ბასისკენ მიმავალ გზაზე. ინგლისის მეფის იაკობ I-ის საკორწილო ლოჯინი, რომელიც დანიიდან თან მოიტანა დედოფალმა, როგორც ღირსეული სამეფო საჩუქარი, რამდენიმე წლის წინათ შეადგენდა ერთი ლუდხანის მორთულობას დემფერლაინში. იმ ქალაქებში, რომელთა განვითარება დიდხანს შეფერხებული იყო ან რომელთაც ერთგვარი დაცემა განიცადეს, ზოგჯერ ადამიანმა ჰპოვოს ერთი სახლიც კი, რომელიც მისი ახლანდელი მცხოვრებლებისათვის იყოს აგებული. როდესაც ასეთ სახლებში შედიხართ, თქვენ ხედავთ მრავალ ჩინებულ, თუმცა დაძველებულ, მაგრამ მოსახმარად მაინც სავსებით ვარგის ავეჯეულობას, რომელიც ასევე ახლანდელი მფლობელებისათვის ვერ იქნებოდა დამზადებული. საუცხოო სასახლეები, მდიდრული ვილები, დიდი კოლექციები წიგნების, ქანდაკებების, სურათების და სხვა იშვიათი საგნებისა შეადგენენ ხშირად სამკაულს და სიამაყეს არა მარტო ახლობელი არემარის, არამედ მთელი იმ ქვეყნისაც, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ვერსალი შეადგენს სამკაულს და სიამაყეს საფრანგეთისა, სტოვი და უილტონი – ინგლისისა, იტალია დღესაც იწვევს თავისადმი ერთგვარ პატივისცემას ასეთი ძეგლების სიმრავლის გამო, რომელთაც იგი ფლობს, თუმცა სიმდიდრე, რომელმაც ისინი შეჰქმნა, გაჰქრა და გენიალობა, რომელმაც ისინი წარმოშვა, თითქოს მოკვდა, – იქნებ იმიტომ, რომ ვერ ჰპოვებდა წინანდებურ გამოყენებას.

ამასთან გამძლე საგნებისათვის წარმოებული ხარჯვა ხელს უწყობს არა მარტო დაგროვებას, არამედ დამზოგველობასაც. თუ ვინმეს ოდესმე ნამეტანი მოუვიდა ასეთ ხარჯვაში, მას შეუძლია შეზღუდოს იგი, და ამისათვის ძაგებას არ გამოიწვევს საზოგადოების მხრივ, მაგრამ მის შინამსახურთა რიცხვის დიდად შემცირება, უხვი სუფრიდან ფრიად ზომიერზე გადასვლა, ხელის აღება ეტლზე, რომელიც მას უკვე ჰქონდა, – ყველა ეს ისეთი ცვლილებაა, რომ მისი მეზობლების თვალს ვერ გამოეპარება, და მაჩვენებელია, თითქოს, იმისა, რომ მანვე დასაძრახად ჩასთვალა თავისი წარსული საქციელი. ამიტომაც, რომელიც ჰქონდათ უბედურება ნამეტნავად შეეტოპათ ასეთ ხარჯვაში, მცირეოდენთ აქვთ გამბედაობა, რომ გასწორდნენ, ვიდრე მათ ამას არ აიძულებს გადარიბება ან გაკოტრება. მაგრამ თუ რომელიმე ადამიანი ოდესმე ბევრს ხარჯავდა შენობებზე, ავეჯეულობაზე, წიგნებსა ან სურათებზე, მისი საქციელის შეცვლა არ გამოიწვევს ლაპარაკს მისი წინდაუხედაობის შესახებ. ყველა ეს ხომ ისეთი საგნებია, რომლებისთვისაც შემდეგში ხარჯის გაწევა ხშირად ზედმეტი არის წინათ გაწეული ხარჯების გამო; და როდესაც ასეთი ადამიანი ხელს აიღებს ასეთ ხარჯებზე, ყველას ისე ეჩვენება, რომ იგი ამას სჩადის არა იმიტომ, რომ თავისი ქონების ფარგალს გადასცილდა, არამედ იმიტომ, რომ თავისი მისწრაფება დაიკმაყოფილა.

გარდა ამისა, გამძლე საგნებისათვის გაწეული ხარჯვა ჩვეულებრივად ადამიანთა უფრო დიდ რაოდენობას აძლევს შესანახს, ვიდრე ბედოვლათური სტუმართმოყვარეობისათვის გაწეული ხარჯვა. იმ ორასი თუ სამასი გირვანქა სურსათ-სანოვაგიდან, რომელიც ზოგჯერ იხარჯება დიდი ნადიმობის დროს გასამასპინძლებლად, ნახევარი – შეიძლება ითქვას – სანაგვეში გადაიყრება და, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი ნადგურდება ან ფუჭდება. მაგრამ ამ ნადიმობის ხარჯი რომ მოხმარებული ყოფილიყო სამუშაოს მისაცემად კალატოზებისათვის, დურგლებისათვის, ხუროებისთვის, ზეინკლებისათვისა და სხვათათვის, სურსათ-სანოვაგის რაოდენობა იმავე ღირებულებისა განაწილდებოდა ადამიანთა კიდევ უფრო დიდ რიცხვს შორის, რომელნიც ამ სანოვაგეს წვრილ-წვრილად იყიდდნენ და მის ერთ უნცსაც კი არ დაჰკარგავდნენ ან გადააგდებდნენ. გარდა ამისა, ერთ შემთხვევაში ასეთი ხარჯვა შესანახს აძლევს პროდუქტიულ ელემენტებს, მეორეში კი – არაპროდუქტიულს; ერთ შემთხვევაში, მამასადამე, იგი ადიდებს და მეორე შემთხვევაში არ ადიდებს ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის საცვლელ ღირებულებას.

მხოლოდ ნათქვამი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, ვითომ ერთო სახის ხარჯვა ყოველთვის მოწმობდეს უფრო ადამიანის გულუხვობას და გულკეთილობას, ვიდრე მეორე სახის ხარჯვა. როდესაც მდიდარი კაცი თავის შემოსავალს ხარჯავს უმთავრესად სტუმრიანობაზე, იგი მის დიდ ნაწილს უყოფს თავის მეგობრებსა და ნაცნობებს; მაგრამ როდესაც იგი ხარჯავს მას აღნიშნული გამძლე საგნების საყიდლად, იგი ხშირად მხოლოდ თავის თავზე ხარჯავს მთელ თავის შემოსავალს და არავის არას აძლევს სათანადო ეკვივალენტის მიუღებლად. ამიტომ უკანასკნელი სახის ხარჯვა, განსაკუთრებით, თუ იგი იწარმოება ამო და უსარგებლო საგნებისათვის, როგორცაა სხვადასხვა მორთულობა ტანისამოსის და ავეჯეულობისა, ძვირფასი თვლები, სათამაშოები და სხვა ფუჭი ნივთები, ხშირად მაჩვენებელია არა მარტო ქარაფშუტული, არამედ აგრეთვე დაბალი და ეგოისტური მიდრეკილებისა. ყველაფერი, რისი თქმაც მე მინდა, არის ის, რომ ერთი სახის ხარჯვა უფრო ხელს უწყობს, ვიდრე მეორე სახისა, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას, ვინაიდან ხელს უწყობს ფასეულ საგანთა დაგროვებას, ხელს უწყობს კერძო

დამზოგველობას და, მაშასადამე, საზოგადოებრივი კაპიტალის ზრდას და აძლევს შესაძლებლობას უფრო პროდუქტიულ ელემენტებს, ვიდრე არაპროდუქტიულს.

თ ა ვ ი IV

სარგებლით გასესხებული მარაგი

იმ მარაგს, რომელიც სარგებლით გაიცემა სესხად, გამსესხებელი ყოველთვის უცქერის როგორც კაპიტალს. იგი მოელოდება, რომ დანიშნულ ვადაზე ის მას დაუბრუნდება და რომ სესხის აძლები მას მთელი ამ ხნის განმავლობაში გადუხდის განსაზღვრულ წლიურ რენტას. მსესხებელს შეუძლია ის გამოიყენოს ან როგორც კაპიტალი ან როგორც უშუალო მოხმარებისათვის დანიშნული მარაგი. თუ მან ის კაპიტალის სახით გამოიყენა, იგი მას მოიხმარს პროდუქტიული მუშების შესანახად, რომელნიც მის ღირებულებას აღადგენენ განსაზღვრული მოგებითურთ. ამ შემთხვევაში მას შეუძლია კაპიტალის დაბრუნება და სარგებლის გადახდა, შემოსავლის სხვა წყაროს გაუსხვისებლად ან მისთვის ხელის უხლებლად. თუ მან ის უშუალო მოხმარებისათვის გამოიყენა, მაშინ იგი იქცევა როგორც მფლანგველი და უსაქმურთა შენახვაზე ხარჯავს იმას, რაც მშრომელთა შესანახად იყო დანიშნული. ამ შემთხვევაში მას უკვე აღარ ძალუძს არც კაპიტალის დაბრუნება და არც სარგებლის გადახდა, შემოსავლის რაიმე სხვა წყაროს, მაგალითად, მამულის ან მიწის რენტის გაუსხვისებლად ანუ ხელის უხლებლად.

სარგებლით სესხად გაცემული მარაგი, უეჭველია, გამოიყენება ორივე აღნიშნული წესის მიხედვით, მაგრამ პირველი წესით გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე მეორე წესით. ადამიანი, რომელიც იმისათვის სესხულობს, რომ დახარჯოს, მალე განადგურდება, ხოლო მას, ვინც ასესხა, შემთხვევა მიეცემა მალე ინანოს თავისი სიბრიყვე. ასეთი მიზნით სესხის აღება ან გაცემა ყველა შემთხვევაში, თუ წმინდა მევახშეობას არა აქვს ადგილი, ორივე მხარის ინტერესს ეწინააღმდეგება; და თუმცა უეჭველია, რომ ადამიანები ზოგჯერ სჩადიან ამას, მაგრამ მაინც რამდენადაც ყველა ადამიანი ცდილობს თავისი ინტერესის დაცვას, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს არც ისე ხშირად ხდება, როგორც ამას ჩვენ შეიძლება ზოგჯერ ვფიქრობდეთ. ჰკითხეთ ამა თუ იმ მდიდარ ადამიანს, ჩვეულებრივი გონიერობის მქონეს, ვის ასესხა მან თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი, _ იმათ, რომელნიც, მისი აზრით, მას მოგებიანად გამოიყენებენ, თუ იმათ, რომელნიც მას ცუდად დახარჯავენ, _ და ის გაიცინებს ასეთ შეკითხვაზე. იმ ადამიანებშიც კი, რომელნიც სესხს იღებენ, _ და ამ ჯურის ხალხი მაინცა და მაინც არ განირჩევა დამზოგველობით, _ მომჭირნეთა და შრომისმოყვარეთა რიცხვი გაცილებით აღემატება მფლანგველთა და მცონართა რიცხვს.

ერთადერთ კატეგორიას ადამიანთა, რომელთაც ფულს ასესხებენ და თან არ მოელოდებიან, რომ ისინი მას მოგებიანად გამოიყენებენ, შეადგენენ მემამულენი, რომელნიც თავიანთი მამულების დაგირავების გზით იღებენ სესხს. მაგრამ ისინიც _ საეჭვოა _ ოდესმე იმისთვის სესხულობდნენ მხოლოდ და მხოლოდ, რომ დახარჯონ. შეიძლება ითქვას, რომ თანხა, რომელსაც ისინი სესხულობენ, ჩვეულებრივ დახარჯული იყო მათ მიერ ჯერ კიდევ სესხის აღებამდე. იმათ, საერთო წესით, ისე ბევრი სხვადასხვა საქონელი აქვთ დახარჯული, მედუქნეებისაგან და ვაჭრებისაგან ნისიად აღებული, რომ იძულებული არიან სარგებლით აიღონ სესხი ამ ვალის

გადასახდელად. სესხად აღებული კაპიტალი ანაზღაურებს იმ მედუქნეებისა და ვაჭრების კაპიტალს, რომელიც მემამულეებმა ვერ აანაზღაურეს მათი მამულების რენტიდან. ეს სესხი არსებითად აიღება არა დასახარჯავად, არამედ უკვე დახარჯული კაპიტალის ასანაზღაურებლად.

თითქმის ყველა სარგებლიანი სესხი აიღება ფულით, ქალაქის ან ოქრო-ვერცხლის ფულით. მაგრამ რაც სესხის ამღებს ესაჭიროება ნამდვილად და რასაც სინამდვილეში სესხის გამცემი აძლევს მას, არის არა ფული, არამედ ღირებულება ფულის ანუ იმ პროდუქტებისა, რომელთა ყიდვა შეიძლება იმ ფულით. თუ მას ფული უშუალო მოხმარებისთვის დანიშნული ფონდისთვის ესაჭიროება, მას მხოლოდ ამ პროდუქტებით შეუძლია იმ ფონდის შედგენა. თუ მას იგი მრეწველობაში გამოსაყენებელ კაპიტალად ესაჭიროება, მას მხოლოდ ამ პროდუქტებიდან შეუძლია მისცეს მუშებს სამუშაო იარაღები, მასალები და საარსებო საშუალებები, რომლებიც საჭიროა სამუშაოს შესასრულებლად. სესხის საშუალებით გამსესხებელი, ასე ვთქვათ, გადასცემს მსესხებელს თავის უფლებას ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტის განსაზღვრულ ნაწილზე, რომელიც მსესხებელს შეუძლია მოიხმაროს თავისი სურვილისამებრ.

ამიტომ მარაგის რაოდენობა ანუ, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, ფულის რაოდენობა, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანაში გაცემულ იქნეს სესხად სარგებლით, განისაზღვრება არა ფულის ღირებულებით, – ქალაქის ან ლითონული ფულისა, რომელიც საშუალებას შეადგენს იმ ქვეყანაში სხვადასხვა სესხის გასაცემად, არამედ წლიური პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულებით, რომელიც, როგორც კი იგი მიიღება მიწისგან ან პროდუქტიულ მშრომელთა ხელიდან, დანიშნული არის არა საერთოდ კაპიტალის ასანაზღაურებლად, არამედ ისეთი კაპიტალის ასანაზღაურებლად, არამედ ისეთი კაპიტალის ასანაზღაურებლად, რომლის მესაკუთრეს არ სურს თვითონ გაიხარჯოს საქმეში მის გამოსაყენებლად. რადგან ასეთი კაპიტალები ჩვეულებრივ ფულის სახით გაიცემა სესხად და ფულითვე გადაიხდება, ამიტომ ისინი შეადგენენ იმას, რასაც ფულად კაპიტალს (the monied interest) უწოდებენ. ეს კაპიტალი განსხვავდება არა თუ საადგილმამულო კაპიტალისაგან, არამედ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალებისგანაც, რამდენადაც უკანასკნელთა მეპატრონენი თვითონ გამოიყენებენ საქმეში თავიანთ კაპიტალებს, მაგრამ მაინც ფულად კაპიტალშიც კი ფული წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ასიგნობას, რაიც ერთი ხელიდან სხვა ხელში გადასცემს იმ კაპიტალებს, რომელთა პატრონებს არ სურთ თვითონ გამოიყენონ ისინი საქმეში. ეს კაპიტალები უსასრულოდ შეიძლება აღემატებოდეს ფულის იმ თანხას, რომელიც იარაღობას ეწევა მის გადასაცემად ხელიდან ხელში, ვინაიდან ერთი და იგივე ფულადი ნიშნები თანმიმდევრობით ემსახურება მრავალ სხვადასხვა სესხის და მრავალ სხვადასხვა ყიდვის ოპერაციას. ასე, მაგალითად, A სესხად აძლევს W-ს 1000 გირვანქას, რომლითაც W მაშინვე ყიდულობს B-ისგან 1000 გირვანქის ღირებულების პროდუქტებს. B, რადგან ფულის არ ესაჭიროება, იმავე მონეტებს სესხად აძლევს X-ს, ხოლო X მაშინვე ყიდულობს მით C-ისგან 1000 გირვანქის ღირებულების სხვა პროდუქტებს. C-იც იმ მონეტებს იმავე მიზეზით სესხად აძლევს Y-ს, რომელიც, თავის მხრივ, პროდუქტებს ყიდულობს D-ისგან. ამგვარად, ერთი და იგივე ფულადი ნიშნები, ქალაქისა ან ლითონური, შეიძლება რამდენიმე დღის განმავლობაში სამი სხვადასხვა სესხის და სამი სხვადასხვა ყიდვის ოპერაციის საშუალებას შეადგენდეს, და ამასთან თითოეულ ცალკე შემთხვევაში ოპერაცია ღირებულებით ამ ფულადი ნიშნების მთელ თანხას უდრის. ის, რასაც სამი ფულიანი კაცი – A, B და C – გადასცემს სამ მსესხებელს – W-ს,

X-ს და Y-ს, _ მოასწავებს იმის შესაძლებლობის გადაცემას, რომ ამათ ეს ყიდვის ოპერაციები შეასრულონ. ამ შესაძლებლობაში მდგომარეობს მნიშვნელობა და სარგებლობაც სესხისა. სამი ფულიანი კაცის მიერ გასესხებული მარაგი უდრის იმ პროდუქტების ღირებულებას, რომლების ყიდვა შეიძლება მით, და სამჯერ მეტია იმ ფულის ღირებულებაზე, რომლითაც ყიდვა იყო შესრულებული. მიუხედავად ამისა, ყველა ეს სესხი შეიძლება სრულიად უზრუნველყოფილი იყოს, უკეთუ მოვალეების მიერ ნატიდი პროდუქტები ისე გამოიყენება, რომ სათანადო ვადაზე მათ ისეთივე ღირებულება მისცენ განსაზღვრული მოგებითურთ ლითონური ან ქაღალდის ფულის სახით. და როგორც ერთი და იგივე ფულადი ნიშნები შეიძლება იყოს იარაღი სხვადასხვა სესხის შესასრულებლად, რომლის თანხა სამჯერ და, იმავე საფუძვლით, იქნებ ოცდაათჯერაც აღემატება მათ ღირებულებას, ისევე ისინი შეიძლება იმდენჯერვე ერთი მეორის შემდეგ შეადგენდეს ვალის გადახდის იარაღს.

ამგვარად, სარგებლით გასესხებული კაპიტალი შეიძლება განვიხილოთ როგორც გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის მიცემული ასიგნობა წლიური პროდუქტის განსაზღვრულ მნიშვნელოვან ნაწილზე იმ პირობით, რომ მსესხებელმა, თავის მხრივ, მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ის სესხით სარგებლობს, აძლიოს გამსესხებელს ყოველწლიურად პატარა ნაწილი, სარგებლად წოდებული, ხოლო სესხის ვადის გასვლისას დაუბრუნოს მას იმოდენა ნაწილი, რამოდენაც იყო მის მიერ თავდაპირველად მიღებული ასიგნობა, და რასაც ვალის გადახდა ეწოდება. თუმცა ფული, _ ქაღალდის თუ ლითონური ფული, _ ჩვეულებრივ წარმოადგენს ასიგნობას როგორც პატარა, ისე უფრო მნიშვნელოვან ნაწილზეც, მაგრამ თვითონ ის თავისთავად სრულიად განსხვავდება იმისაგან, რომ ასიგნობასაც შეადგენს.

იმის შესაბამისად, როგორც იზრდება ამა თუ იმ ქვეყნის წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც, როგორც კი მიიღება მიწისაგან ან პროდუქტიული მუშების ხელიდან, დანიშნული არის კაპიტალის ასანაზღაურებლად, ბუნებრივად იზრდება მასთან ერთად ისიც, რასაც ფულადი კაპიტალი (the monied interest) ეწოდება. იმ განსაკუთრებული კაპიტალების ზრდა, რომელთა პატრონებს სურთ მით შემოსავალი მიიღონ, საქმეში მათი გამოყენებისათვის პირადად ჯაფის გაუწევლად, ბუნებრივად თან ახლავს კაპიტალების საერთო გადიდებას. ანუ, სხვა სიტყვებით, თუ ქვეყნის მარაგი იზრდება, იმ მარაგის რაოდენობაც, რომელიც სარგებლით სესხად გაიცემა, თანდათან უფრო და უფრო დიდი ხდება.

რამდენადაც სარგებლით გასასხებელი მარაგის რაოდენობა იზრდება, აუცილებლად კლებულობს სარგებელი ანუ ის ფასი, რომელიც ამ მარაგით სარგებლობისათვის უნდა იქნეს გადახდილი, ეს შემცირება წარმოსდგება არა მარტო იმ საერთო მიზეზების გამო, რომელნიც ჩვეულებრივ ამცირებენ საგანთა საბაზრო ფასს, როდესაც მათი რაოდენობა მატულობს, არამედ სხვა მიზეზების გამოც, რომელნიც მხოლოდ ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქმედებენ. ქვეყანაში კაპიტალების გადინების შესაბამისად კლებულობს აუცილებლად მოგება, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს მათი საქმეში გამოყენებით. თანდათან უფრო და უფრო მწელი ხდება ახალი კაპიტალის გამოსაყენებლად მოგებიანი წესის გამონახვა ქვეყნის ფარგალში. შედეგად ამისა წარმოსდგება კონკურენცია სხვადასხვა კაპიტალებს შორის, და აქ ერთის მესაკუთრე ცდილობს დაეუფლოს იმ დარგს, რომელიც დაჭერილია მეორის მიერ. მაგრამ მეტწილ შემთხვევაში მას შეუძლია იმ დარგიდან ამ მეორე კაპიტალის გამოდევნის იმედი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი უფრო ხელსაყრელი პირობების წარმომდგენი არის. მან არა თუ რაოდენადმე უფრო იაფად უნდა გაჰყიდოს ის, რითაც ვაჭრობს, არამედ იგი, რათა გასაყიდად მიიღოს, ზოგჯერ

უფრო ძვირად უნდა შეისყიდოს. პროდუქტიული შრომის მოთხოვნა, მის შესაძლებლობად დანიშნული ფონდების გადიდების გამო, დღით-დღე იზრდება. მუშები ადვილად პოულობენ სამუშაოს, ხოლო კაპიტალების მესაკუთრეებს უძნელდებათ მუშების შოვნა სამუშაოზე დასაყენებლად. მათი კონკურენცია მაღლა სწევს შრომის ხელფასს და დაბლა სწევს კაპიტალის მოგებას. ხოლო თუ კაპიტალის გამოყენებით მისაღები მოგება მცირდება ამგვარად, ასე ვთქვათ, ორივე ბოლოდან, მაშ ფასიც, რომელიც შეიძლება გადახდილი იქნეს მით სარგებლობისათვის, ე. ი. სარგებლის ნორმა, აუცილებლად უნდა შემცირდეს.

ლოკი, ლოუ და მონტესკიე, ისე როგორც ბევრი სხვა მწერალი, ფიქრობდნენ, როგორც ეტყობა, რომ ოქრო-ვერცხლის რაოდენობის გადიდება, ესპანური ვესტ-ინდოეთის აღმოჩენის შედეგად წარმომდგარი, იყო ნამდვილი მიზეზი სარგებლის ნორმის დაწვევისა ევროპის უდიდეს ნაწილში, რადგან ეს ლოთონები _ ამბობდნენ ისინი _ ნაკლები ღირებულებისა გახდა. ამიტომ მათი ამა თუ იმ ნაწილით სარგებლობაც აუცილებლად ნაკლები ღირებულებისა შეიქნა და, მაშასადამე, უნდა შემცირებულიყო ფასიც, რომელიც შეიძლებოდა გადახდილიყო მასში. ეს აზრი, რომელიც ერთი შეხედვით ესოდენ დამარწმუნებლად მოსჩანს, ისე სრულად არის იუმის მიერ განხილული, რომ საჭირო არც კია კიდევ ითქვას რაიმე მის შესახებ. მაგრამ შემდეგ მოკლე და მარტივ არგუმენტს შეუძლია ხელი შეუწყოს იმ შეცდომის უფრო ნათლად გარკვევას, რომელმაც, როგორც ეტყობა, გზა აურია იმ მწერლებს.

ესპანური ვესტ-ინდოეთის აღმოჩენამდე სარგებლის ჩვეულებრივი ნორმა მეტწილად ევროპაში შეადგენდა, როგორც სჩანს, 10 პროცენტს. მას შემდეგ მან დაიწია სხვადასხვა ქვეყნებში 6, 5, 4 და 3 პროცენტამდე. ვიგულისხმობ, რომ ყველა ქვეყანაში ვერცხლის ღირებულება შემცირდა იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც დაიწია მათში სარგებლის ნორმამ, და რომ იმ ქვეყნებში, მაგალითად, სადაც სარგებელმა დაიწია ათი პროცენტიდან ხუთამდე, ვერცხლის იმავე რაოდენობით ახლა ორჯერ ნაკლები საქონლის ყიდვა შეიძლება, ვიდრე წინათ შეიძლებოდა. ასეთი ნაგულისხმევი, მე მგონია, არსად არ აღმოჩნდება სინამდვილის შესაბამისი, მაგრამ იგი უაღრესად ხელსაყრელია იმ შეხედულებისათვის, რომლის განხილვა ჩვენ გვწადია; და ამ ნაგულისხმევის საფუძველზეაც შეუძლებელია, რომ ვერცხლის ღირებულების დაწვევას გამოეწვია ოდნავი დაწვევაც კი სარგებლის ნორმისა. თუ 100 გირვანქას იმ ქვეყნებში ახლა მეტი ღირებულება არა აქვს, ვიდრე მაშინ 50 გირვანქას ჰქონდა, მაშ 10 გირვანქასაც ახლა იმაზე მეტი ღირებულება არ უნდა ჰქონდეს, რაც მაშინ ჰქონდა 5 გირვანქას. როგორც უნდა ყოფილიყოს ის მიზეზები, რომლებმაც დასწია კაპიტალის ღირებულება, იმავე მიზეზებს უნდა დაეწია აუცილებლად სარგებლის ღირებულებაც, და ამასთან _ სწორედ იმავე პროპორციით. შეფარდება კაპიტალის ღირებულებასა და სარგებლის ღირებულებას შორის იგივე უნდა დარჩენილიყო, თუ სარგებლის ნორმა არ შეცვლილა. პირიქით, თუ სარგებლის ნორმა შეიხვალა, შეფარდება ამ ორ ღირებულებას შორის აუცილებლად შეიცვლება. თუ ახლანდელი 100 გირვანქა მაშინდელ 50 გირვანქაზე მეტი ღირებულების არაა, მაშ ახლანდელი 5 გირვანქაც არ შეიძლება მაშინდელ 2 გირვანქასა და 10 შილინგზე მეტი ღირებულებისა იყოს. მაშასადამე, თუ სარგებლის ნორმა 10 პროცენტიდან 5-მდეა დაწეული, ჩვენ იმ კაპიტალით სარგებლობისათვის, რომელიც, ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, მისი წინანდელი ღირებულების მხოლოდ ნახევარს უდრის, ვაძლევთ სარგებელს, რაც წინანდელი სარგებლის ღირებულების მეოთხედს ეთანასწორება მხოლოდ.

ვერცხლის რაოდენობის გადიდებას, მით მიმოქცეულ საქონელთა რაოდენობის უცვლელობისას, სხვა შედეგი ვერა ექნებოდა რა, გარდა ამ ლითონის ღირებულების შემცირებისა. ყოველგვარ საგანთა ნომინალური ღირებულება გადიდდებოდა, მაგრამ მათი ნამდვილი ღირებულება სავსებით წინანდელი დარჩებოდა. ისინი ახლა ვერცხლის მონეტების მეტ რაოდენობაზე გაიცვლებოდნენ, მაგრამ შრომის რაოდენობა, რომელიც შეიძლება მით მოპოვებულ იქნეს, რიცხვი ადამიანთა, რომელთაც მით შეიძლება შესანახი და სამუშაო მიეცეს, სავსებით იგივე იქნებოდა. ქვეყნის კაპიტალი იგივე დარჩებოდა, თუმცა ახლა მონეტების უფრო დიდი რაოდენობა იქნებოდა საჭირო რაიმე მისი ნაწილის გადასასვლელად ერთი ხელიდან სხვა ხელში. ასეთი გადასვლის ასიგნობა, სიტყვამრავალი ნოტარიუსის მსგავსად, უფრო მძიმე იქნებოდა, მაგრამ მით ხელიდან ხელში გადასული საგანი არ შეიცვლებოდა წინანდელთან შედარებით და იგი მხოლოდ წინანდებურ შედეგს წარმოშობდა. რამდენადაც უცვლელი დარჩებოდა ის ფონდი, რომელიც პროდუქტიული შრომის შესანახად და დანიშნული, არ შეიცვლებოდა მოთხოვნაც ამ უკანასკნელის მიმართ. ამიტომ ამ შრომის ფასიც ანუ ხელფასი უცვლელი დარჩებოდა ფაქტიურად, თუმცა უფრო დიდი გახდებოდა ნომინალურად. ეს ხელფასი ვერცხლის მონეტების უფრო დიდი რაოდენობით იქნებოდა გადახდილი, მაგრამ ამ მონეტებით პროდუქტების მხოლოდ წინანდელი რაოდენობის ყიდვა იქნებოდა შესაძლებელი. კაპიტალის მოგება, ნომინალური და რეალური, უცვლელი დარჩებოდა. შრომის ხელფასს ჩვეულებრივ ანგარიშობენ ვერცხლის რაოდენობით, რომელიც ეძლევა მუშას. ამიტომ, როდესაც ეს რაოდენობა მატულობს, ისე გვეჩვენება, რომ ხელფასმა აიწია, თუმცა შეიძლება ზოგჯერ წინანდელზე დიდი არც იყოს იგი. მაგრამ კაპიტალის მოგება იანგარიშება არა ვერცხლის მონეტების რაოდენობით, რომლითაც იგი გადაიხდება, არამედ შეფარდებით ამ მონეტების თანხასა და მთელ დახარჯულ კაპიტალს შორის. ამრიგად, ამბობენ: ამა და ამ ქვეყანაში 5 მილიონი ჩვეულებრივი ხელფასია შრომისა და 10 პროცენტი ჩვეულებრივი მოგებაა კაპიტალისო. მაგრამ თუ ქვეყნის მთელი კაპიტალი უცვლელი რჩება, არ გაძლიერდება კონკურენცია კერძო პირთა სხვადასხვა კაპიტალებს შორის, რომლებისგანაც შესდგება მთელი კაპიტალი. ყველა ისინი წინანდებურად წარმატებით თუ წარუმატებლად იქნებიან მოსაქმენი. ამიტომ არ შეიცვლება ჩვეულებრივ შეფარდება კაპიტალსა და მოგებას შორის და, მაშასადამე, არ შეიცვლება ჩვეულებრივი ფულადი სარგებელიც, ვინაიდან იმას, რასაც იძლევიან ფულით სარგებლობისათვის, აუცილებლად განსაზღვრავს ის, რისი მოგებაც შეიძლება ფულის გამოყენებით.

პირიქით, ყოველწლიურად ქვეყნის შიგნით მიმოქცეულ საქონელთა რაოდენობის გადიდება, მათი მიმოქცეველი ფულის რაოდენობის უცვლელობისას, გამოიწვევდა, ფულის ღირებულების აწევის გარდა, ბევრ სხვა მნიშვნელოვან შედეგსაც. ქვეყნის კაპიტალი, თუმცა იგი ნომინალურად შეიძლება უცვლელი დარჩენილიყო, რეალურად გადიდდებოდა. იგი იქნებ ფულის ისევ წინანდელი რაოდენობით ყოფილიყო გამოსახული, მაგრამ მას შეეძლებოდა შრომის უფრო დიდი რაოდენობის მიღება თავის განკარგულებაში. გადიდდებოდა პროდუქტიული შრომის რაოდენობა, რომელიც მას შეუძლია შეინახოს და საქმიანობაში ჩააბას, და, მაშასადამე, გადიდდებოდა მოთხოვნაც ამ შრომის მიმართ. ხელფასი, რასაკვირველია, აიწევდა მოთხოვნასთან ერთად, და მაინც შეიძლება ისე გვეჩვენებოდა, რომ მან დაიწია; იგი შეიძლებოდა ფულის უფრო პატარა რაოდენობით ყოფილიყო გადახდილი, მაგრამ ამ ნაკლებ რაოდენობას შეეძლებოდა მეტი

პროდუქტების ყიდვა, ვიდრე წინათ ფულის უფრო დიდ რაოდენობას. კაპიტალის მოგება შემცირდებოდა როგორც რეალურად, ისე შესახედადაც. ქვეყნის მთელი კაპიტალის გადიდებასთან ერთად, ბუნებრივია, გაძლიერდებოდა კონკურენციაც სხვადასხვა კაპიტალებს შორის, რომლებსგანაც იგი შესდგება. ამ კაპიტალების მესაკუთრენი იძულებული იქნებოდნენ ნაკლებ წილს დასჯერებოდნენ იმ შრომის პროდუქტში, რომელიც სათანადო მათ კაპიტალებს ეყოლებოდათ მოსაქმეობაში ჩაბმული. და ამგვარად, ფულადი სარგებელი, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება ყოველთვის კაპიტალის მოგებას, შეიძლება დიდად შემცირებულიყო, თუმცა ფულის ღირებულება, ანუ პროდუქტების რაოდენობა, რომლის ყიდვა შეიძლებოდა ფულის განსაზღვრული თანხით, მნიშვნელოვნად გადიდებულიყო.

ზოგ ქვეყნებში კანონით აკრძალული იყო ფულადი სარგებელი, მაგრამ რადგან ფულით სარგებლობას ყველგან რისამე მოგებინება შეუძლია, ამიტომ მით სარგებლობისათვის ყველგან რაიმე უნდა ყოფილიყო გადახდილი. ამ აკრძალვამ, როგორც გამოცდილებამ გამოაშკარავა, მევახშეობის ბოროტების მოსპობის ნაცვლად, უფრო გააძლიერა მევახშეობა. ვინაიდან მოვალემ უნდა გადაიხადოს სასყიდელი არა მარტო ფულით სარგებლობისათვის, არამედ იმ რისკისთვისაც, რომელსაც მისი კრედიტორი განიცდის, როდესაც ამ სარგებლობისათვის სასყიდელს იღებს. იგი იძულებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, დააზღვიოს თავისი კრედიტორი მევახშეობისთვის დასჯის შემთხვევისათვის.

იმ ქვეყნებში, სადაც სარგებლის აღება ნაბადართულია, კანონი, რათა ადგილი არ ექნეს მევახშის მხრივ გაყვლეფას, აწესებს სარგებლის მაქსიმალურ ნორმას, რომლის აღება შეიძლება დაუსჯელად. ეს ნორმა ყოველთვის ცოტათი უნდა აღემატებოდეს უდაბლეს საბაზრო ფასს ანუ იმ ფასს, რომელსაც ჩვეულებრივ იხდიან ფულით სარგებლობისათვის ის პირნი, რომელთაც შეუძლიათ უაღრესი უზრუნველყოფის წარდგენა. თუ ეს კანონით დაწესებული ნორმა უდაბლეს საბაზრო ნორმაზე დაბალი არის, ამის შედეგები თითქმის ისეთივე იქნება, როგორიცაა სარგებლის სრული აკრძალვის შემთხვევაში. კრედიტორი თავის ფულს არ გაასესხებს იმ ღირებულებაზე ნაკლებ, რაც მით სარგებლობას აქვს, და მოვალე იძულებული იქნება სასყიდელი მისცეს მას იმ რისკისათვის, რომელსაც ის ექვემდებარება, როდესაც ასეთი სარგებლობის სრულ ღირებულებას იღებს ამისგან. თუ ეს კანონით დაწესებული ნორმა სწორედ უდაბლესი საბაზრო ფასის ზომისა არის, მაშინ ეს გამოიწვევს იმას, რომ პატიოსანი ადამიანები, რომელნიც თავისი ქვეყნის კანონს პატივს სცემენ, კრედიტს მოუსპობენ ყველა იმათ, რომელთაც არ ძალუძთ საუკეთესო უზრუნველყოფის წარდგენა, და ამ უკანასკნელთ აიძულებს უმოწყალო მევახშეებს მიმართონ. ისეთ ქვეყანაში, როგორიც დიდი ბრიტანეთია, სადაც ფულს სესხად აძლევენ მთავრობას 3 პროცენტად, ხოლო კერძო პირთ, კარგი უზრუნველყოფის მქონეთ, 4 და 4 1/2 პროცენტად, ის ნორმა სარგებლისა, რომელიც ამჟამად დაწესებულია კანონით, 5 პროცენტი, – იქნებ ყველაზე უფრო შესაფერისი არის.

მაგრამ აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სარგებლის კანონიერი ნორმა თუმცა კი უნდა აღემატებოდეს რაოდენადმე უდაბლეს საბაზრო ნორმას, მაგრამ მაინც არ უნდა აღემატებოდეს ძალიან. თუ სარგებლის კანონიერი ნორმა, მაგალითად, ინგლისში დაწესებული იქნებოდა ისეთ მაღალ დონეზე, როგორიცაა 8 ან 10 პროცენტი, იმ შემთხვევაში გასესხებული ფულის უდიდესი ნაწილი სესხად მიეცემოდა მხოლოდ მფლანგველებსა და სპეკულანტებს, ვინაიდან მხოლოდ ესენი იქნებოდნენ თანახმა გადაეხადათ ასეთი მაღალი სარგებელი. გონიერი ადამიანები, რომელთაც სურთ

ფულით სარგებლობისათვის გაიღონ მხოლოდ ნაწილი იმისა, რისი მიღებაც მათ შეუძლიათ იმ სარგებლობის შედეგად, ვერ გაბედავდნენ მათთვის მეტოქეობის გაწევას. ამრიგად, ქვეყნის კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდოდა არა იმ ადამიანთა ხელში, რომელნიც მას მოგებიან და ხელსაყრელ გამოყენებას მისცემდნენ, არამედ იმათ ხელში, რომელნიც, – უაღრესად მოსალოდნელია, – გაფლანგავდნენ და გაანიავებდნენ მას. პირიქით, სადაც კანონით დაწესებული ნორმა სარგებლისა ცოტათი არის უდაბლეს საბაზრო ნორმაზე მაღალი, იქ ჩვეულებრივ უმჯობესად რაცხენ მოვალეებად ჰყავდეთ გონიერი და წინდახედული ადამიანები, ვიდრე მფლანგველები და სპეკულანტები. გამსესხებელი პირი თითქმის იმდენსავე სარგებელს იღებს პირველთაგან, რამდენიც მას ნებადართული აქვს აიღოს უკანასკნელთაგან, მაშინ როდესაც მისი ფული გაცილებით უფრო უზრუნველყოფილია პირველთა ხელში, ვიდრე უკანასკნელთა ხელში. ქვეყნის კაპიტალის უდიდესი ნაწილი, ამრიგად, გადადის ისეთ ხელში, სადაც იგი – ყველაზე უფრო მოსალოდნელია – ხელსაყრელად იქნება გამოყენებული.

არავითარ კანონს არ შეუძლია სარგებლის ჩვეულებრივი ნორმა დასწიოს იმ უდაბლეს საბაზრო ნორმაზე დაბლა, რომელიც არსებობს კანონის გამოცემის მომენტში. მიუხედავად 1766 წლის ედიქტისა, რომლითაც საფრანგეთის მეფე ცდილობდა სარგებლის ნორმა დაეწია 5 პროცენტიდან 4-ამდე, ფულს საფრანგეთში კვლავაც 5 პროცენტად აძლევდნენ სესხად, კანონს კი გვერდს უვლიდნენ სხვადასხვა გზით.

მიწის ჩვეულებრივი საბაზრო ფასი – და ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ – ყველგან სარგებლის ჩვეულებრივ საბაზრო ნორმაზეა დამოკიდებული. კაპიტალის მქონებელ პირს, რომელსაც სურს შემოსავლის მიღება ამ კაპიტალიდან ისე, რომ თვითონ არ გაისარჯოს საქმეში მის გამოსაყენებლად, ასეთი არჩევანი აქვს: იყიდოს მით მიწა ანდა იგი სესხად გასცეს სარგებლით. მეტი უზრუნველყოფა მამულში კაპიტალის მოთავსებისა, აგრეთვე ზოგი სხვა უპირატესობაც, რომელიც თითქმის ყველგან დაკავშირებულია ამ სახის საკუთრებასთან, უმრავლეს შემთხვევაში აიძულებს კაპიტალის მეპატრონეს ნაკლებ შემოსავალს დასჯერდეს მამულიდან, ვიდრე ის შემოსავალი არის, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი ფულის სარგებლით სესხად გაცემის გზით. ეს უპირატესობანი საკმარისია შემოსავლის განსაზღვრული სხვაობის ასანაზღაურებლად; მხოლოდ ისინი აანაზღაურებენ მარტოდან განსაზღვრულ სხვაობას, და თუ მიწის რენტამ დაიწია ფულის ჩვეულებრივ სარგებელზე გაცილებით დაბლა, – მიწას აღარავინ იყიდის, და ეს გარემოება მალე დასწევს დაბლა მიწის ჩვეულებრივ ფასს. პირიქით, თუ ის უპირატესობანი ჭარბად აწონასწორებენ ამ სხვაობას, იმ შემთხვევაში მიწას იყიდის ყველა, და ეს გარემოება, თავის მხრივ, მალე ასწევს მაღლა მიწის ჩვეულებრივ ფასს. როდესაც სარგებელი 10 პროცენტი იყო, მიწა იყიდებოდა 10-კეცი და 12-კეცი წლიური გამოსავლიანობის ანგარიშით. როდესაც სარგებლის ნორმამ დაიწია 6, 5 და 4 პროცენტამდე, მიწის ფასმა აიწია 20, 25 და 30-კეცი წლიური გამოსავლიანობის ანგარიშის დონემდე. სარგებლის საბაზრო ნორმა საფრანგეთში უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისში, ხოლო მიწის ჩვეულებრივი ფასი უფრო დაბალი არის. ინგლისში მიწას ყიდიან 30-კეცი წლიური გამოსავლიანობის ანგარიშით, ხოლო საფრანგეთში – 20-კეცი წლიური გამოსავლიანობის ანგარიშით.

კაპიტალის სხვადასხვა გამოყენება

თუმცა ყველა კაპიტალი მხოლოდ პროდუქტიული შრომის შესანახადაა დანიშნული, მაგრამ შრომის რაოდენობა, რომელიც თანატოლ კაპიტალებს შეუძლიათ მოძრაობაში მოიყვანონ, ფრიად ცვალებადი არის მათი გამოყენების სხვადასხვაობის მიხედვით, ისე როგორც სხვადასხვა არის ის ღირებულება, რომელსაც მათი გამოყენება ჰმატებს ქვეყნის მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს.

კაპიტალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოთხ სხვადასხვა გვარად: იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ან, ჯერ ერთი, ნედლი პროდუქტების მოსაპოვებლად, რომელთაც ყოველწლიურად მოითხოვს საზოგადოების მოხმარება და საჭიროება; ან, მეორე, გამოყენებულ იქნეს ამ ნედლი პროდუქტების გადასამუშავებლად და მოსამზადებლად უშუალო გამოყენებისა და მოხმარებისათვის; ან, მესამე, გამოყენებულ იქნეს ნედლი თუ მზა პროდუქტების გადასაზიდად იმ ადგილებიდან, სადაც ისინი ჭარბად მოიპოვებიან, იმ ადგილებში, სადაც მათი ნაკლებობაა; ანდა, დაბოლოს, მეოთხე, გამოყენებულ იქნეს იმ პროდუქტების დასაყოფად ისე პატარ-პატარა ნაწილებად, როგორც შეესაბამება მათ მოხმარებელთა საჭიროებას. პირველი წესით გამოიყენება ყველა იმათი კაპიტალები, რომელიც ეწევიან მიწის გაუმჯობესებას ან დამუშავებას, სამადნეების დამუშავებას და მეთევზეობას; მეორე წესით გამოიყენება კაპიტალები ყველა მემანუფაქტურე მესარეწეთა, მესამე წესით – ყველა ბითუმად მოვაჭრეთა და მეოთხე წესით – ყველა წვრილ ვაჭართა. ძნელად წარმოსადგენია კაპიტალის გამოყენება რაიმე ისეთი წესით, რომელიც არ შეიძლებოდეს მივაკუთვნოთ ერთ-ერთს ზემოაღნიშნულ ოთხში.

თითოეული ამ ოთხი სახის გამოყენება კაპიტალისა არსებითად საჭიროა როგორც დანარჩენი სამის არსებობისა და გაფართოებისათვის, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

კაპიტალი რომ არ გამოიყენებოდეს ნედლეულის მოსაპოვებლად რაოდენადმე საკმარისი რაოდენობით, ვერ იარსებებდა ვერავითარი მანუფაქტურა, ვერც ვაჭრობა.

კაპიტალი რომ არ გამოიყენებოდეს ნედლი პროდუქტების იმ ნაწილის მანუფაქტურულ დასამუშავებლად, რომელიც ბევრს გადამამუშავებს საჭიროებს, ვიდრე გამოსადეგი გახდებოდეს სახმარად და მოსახმარებლად, აღნიშნული ნაწილი ან სრულიად არ იქნებოდა წარმოებული, ვინაიდან მისთვის არ იქნებოდა მოთხოვნა, ანდა, თუ მაინც წარმოებული იქნებოდა, მას არ ექნებოდა არავითარი საცვლელი ღირებულება და საზოგადოების სიმდიდრეს არას შეჰმატებდა.

კაპიტალი რომ არ გამოიყენებოდეს ნედლი ან მზა პროდუქტების გადასაზიდად იმ ადგილებიდან, სადაც ისინი ჭარბად მოიპოვებიან, იმ ადგილებში, სადაც მათი საჭიროება არის, იმ შემთხვევაში მათ აღარ აწარმოებდნენ იმაზე მეტს, რაც საჭიროა წარმოების ადგილების არამარტო მოხმარების დასაკმაყოფილებლად. ვაჭრის კაპიტალი სცვლის ერთი ადგილის გარდამეტ პროდუქტს მეორე ადგილის გარდამეტ პროდუქტზე და მით სტიმულს აძლევს ორივე ადგილის მრეწველობას და ადიდებს მათი მოხმარების ფარგალს.

კაპიტალი რომ არ გამოიყენებოდეს ნედლი ან მანუფაქტურული პროდუქტების ისე პატარ-პატარა ნაწილებად დაყოფისათვის, როგორც მათ მოხმარებელთა ჩვეულებრივ მოთხოვნას შეესაბამება, – ყველა ადამიანი იძულებული იქნებოდა მისთვის საჭირო პროდუქტები უფრო დიდი რაოდენობით ეყიდა, ვიდრე მისთვის საჭირო არის თითოეულ კერძო შემთხვევაში. რომ არ

არსებობდეს, მაგალითად, ყასაბის მოსაქმეობა, ყოველი ადამიანი იძულებული იქნებოდა ერთბაშად მთელი ხარი ან ცხვარი ეყიდა. ეს საერთოდ მოუხერხებელი საქმე იქნებოდა მდიდრისათვის და კიდევ ბევრად უფრო მოუხერხებელი – ღარიბისათვის. ღარიბ ხელოსანს რომ სჭირდებოდა სურსათის ერთბაშად ყიდვა ერთი თვისთვის ან ექვსი თვისთვის, იგი იძულებული იქნებოდა თავისი მარაგის დიდი ნაწილი, რომელსაც იგი კაპიტალის სახით ხმარობს სამუშაო იარაღების შესაძენად ან სახელოსნოს მოსაწყობად და რომელიც მას შემოსავალს აძლევს, გადაერიცხა მარაგის იმ ნაწილში, რომელიც უშუალო მოხმარებისთვისაა დანიშნული და მას არავითარ შემოსავალს არ აძლევს. ასეთი ადამიანისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ის არის, რომ მას შეეძლოს თავისთვის სასარგებლო საგნები იყიდოს დღითი-დღე, ყოველ საათშიც კი, რამდენადაც მას ამის საჭიროება ექნება. ეს მას შესაძლებლობას აძლევს თითქმის მთელი თავისი მარაგი კაპიტალის სახით გამოიყენოს. ეს მას შესაძლებლობას აძლევს უფრო დიდი ღირებულების სამუშაო შეასრულოს, და მოგება, რომელსაც იგი იღებს ამის მეოხებით, ჭარბად ჰფარავს ფასის იმ წანამატს, რომელსაც წვრილი ვაჭარი ადებს საქონელს თავისი მოგების მისაღებად. ის უარყოფითი განწყობილება, რომელიც ზოგ პოლიტიკურ მწერლებს აქვთ მედუქნეებისა და ვაჭრების მიმართ, მოკლებულია სრულიად საფუძველს. ასევე ნაკლებ არის საჭირო მედუქნეებისა და ვაჭრების განსაკუთრებით დაბეგვრა ან მათი რიცხვის შეზღუდვა, ვინაიდან ისინი ვერასოდეს ვერ იქნებიან ისე ბევრი, რომ საზოგადოებას ზიანი მიაყენონ, თუმცა მათ შეუძლიათ ერთმანეთს ავნონ. კოლონიურ საქონელთა რაოდენობა, მაგალითად, რომელიც შეიძლება გაყიდულ იქნეს რომელსამე ქალაქში, ზღვარდებულია ამ ქალაქისა და მისი მიდამოების მოთხოვნით. ამიტომ კაპიტალი, რომელიც შეიძლება კოლონიური საქონლით ვაჭრობაში იქნეს მოთავსებული, ვერ იქნება იმაზე მეტი, რაც ამ რაოდენობის საყიდლადაა საკმარისი. თუ ეს კაპიტალი ორ სხვადასხვა ვაჭარს შორის არის გაყოფილი, მათი კონკურენცია მათ უფრო იაფად გააყიდვინებს საქონელს, ვიდრე რომ ეს კაპიტალი მარტო ერთის ხელში ყოფილიყო მოქცეული; და თუ მთელი კაპიტალი ოც ვაჭარს შორისაა განაწილებული, მათი კონკურენცია იმდენადვე უფრო ძლიერი იქნება, და იმდენადვე ნაკლები იქნება მოსალოდნელობა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს შეუთანხმდებიან ფასების ასაწევად. მათ შორის არსებულ კონკურენციამ, შესაძლებელია, ზოგი მათგანი გაანადგუროს, მაგრამ ამაზე ზრუნვა თვით დაინტერესებული მხარეების საქმეა და სავსებით გულმშვიდად შეიძლება მათ უნარიანობაზე მივაგდოთ. კონკურენციის ასეთი გაძლიერება ვერასოდეს ვერ შელახავს მომხმარებლის ან მწარმოებლის ინტერესს; პირიქით, ამან უნდა აიძულოს წვრილი ვაჭრები უფრო იაფად გაჰყიდონ და უფრო ძვირად იყიდონ, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, ვაჭრობის მთელი დარგი რომ ერთ ან ორ პირს ჰქონებოდა მონოპოლიურად ხელში. მართალია, ზოგმა მათგანმა, შეიძლება, აცთუნოს დამყოლი მყიდველი ისეთი რამ იყიდოს, რაც მას არ ესაჭიროება. მაგრამ ეს უარყოფითი მოვლენა მეტად უმნიშვნელოა, რომ ღირდეს მასზე საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევა, და ამასთან იგი უეჭველად ვერც აიცილება ვაჭრების რიცხვის შეზღუდვით. არა ლუდხანების სიმრავლე, – თუ ყველაზე უფრო საეჭვარ მაგალითს ავიღებთ, – წარმოშობს საყოველთაოდ დაბიო ხალხში გავრცელებულ მიდრეკილებას ლოთობისადმი; პირიქით, ეს მიდრეკილება, სხვა მიზეზებით წარმოშობილი, მომხმარებლებს უჩენს იმ მრავალრიცხოვან ლუდხანებს.

ის პირნი, რომელთა კაპიტალები ერთ-ერთი ამ ოთხი აღნიშნული წესით გამოიყენება, წარმოადგენენ თვითონ პროდუქტიულ მშრომელებს. მათი შრომა, თუ

იგი სათანოდ არის წარმართული, ფიქსაციას და რეალიზაციას იღებს რაიმე საგანში ან გასაყიდ ნივთში, რომელზედაც გამოიყენება, და, სულ ცოტა, თავის შენახვისა და მოხმარების ღირებულებას მაინც ჰმატებს, ჩვეულებრივ, საგნის ფასს. ყველა მოგება ფერმერის, მემანუფაქტურის, მსხვილი და წვრილი ვაჭრისა მიიღება საქონელთა ფასიდან, რომელთაც პირველი ორნი აწარმოებენ და ორი უკანასკნელნი ყიდულობენ და ჰყიდიან. მაგრამ თანატოლი კაპიტალები, თითოეული იმ აღნიშნული ოთხი წესით გამოყენებული, პროდუქტიული შრომის ფრიად სხვადასხვა რაოდენობას მოიყვანენ ხოლმე მოძრაობაში და ასევე ფრიად სხვადასხვა ზომით ადიდებენ იმ საზოგადოების მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ღირებულებას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

წვრილი ვაჭრის კაპიტალი უკუაბრუნებს იმ ვაჭრის კაპიტალს, მოგებითურთ, რომლისგანაც პირველი საქონელს ყიდულობს, და მით აძლევს მას შესაძლებლობას განაგრძოს თავისი ვაჭრობა. წვრილ სავაჭრო სარეწაოში მისი მფლობელი წარმოადგენს ერთადერთ პროდუქტიულ მშრომელს, რომელსაც ის კაპიტალი უშუალოდ ამოსაქმებს. მის მოგებაში მოქცეულია მთელი ის ღირებულება, რომელსაც მისი მოსაქმეობა ჰმატებს საზოგადოების მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს.

მსხვილი ვაჭრის კაპიტალი უკუაბრუნებს, მოგებითურთ, ფერმერებისა და მემანუფაქტურების კაპიტალს, რომელთაგანაც პირველი ყიდულობს ნედლ და მანუფაქტურულ პროდუქტებს, რაც მისი ვაჭრობის საგანს შეადგენს, და მით შესაძლებლობას აძლევს მათ განაგრძონ თავიანთი საქმე. უმთავრესად ამ სამსახურის გზითაა, რომ მსხვილი ვაჭარი არაპირდაპირ ხელს უწყობს საზოგადოების პროდუქტიულ შრომას და მისი წლიური პროდუქტის ღირებულების გადიდებას. მისი კაპიტალი ამოსაქმევებს აგრეთვე მეზღვაურებსა და გადამზიდავეებს, რომელთაც ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადააქვთ მისი საქონელი, და ადიდებს ამ საქონლის ფასს არა მარტო ვაჭრის მოგების ღირებულების ოდენობით, არამედ მათი ხელფასის ოდენობითაც. ესაა მთელი ის პროდუქტიული შრომა, რომელიც ამ კაპიტალს მოჰყავს უშუალოდ მოძრაობაში, და მთელი ის ღირებულება, რომელსაც იგი უშუალოდ ჰმატებს წლიურ პროდუქტს. მისი მოქმედება ორივე ამ მხრივ გაცილებით მაღლა დგას წვრილ ვაჭრის კაპიტალის მოქმედებაზე.

მემანუფაქტურე-მესარეწის კაპიტალის ნაწილი თავსდება ძირითადი კაპიტალის სახით მისი წარმოების იარაღებში და უკუაბრუნებს, სათანადო მოგებითურთ, კაპიტალს რომელიმე სხვა მრეწველისა, რომლისაგანაც იგი იმ იარაღებს ყიდულობს. მისი საბრუნავი კაპიტალის ნაწილი იხარჯება მასალების საყიდლად და უკუაბრუნებს, სათანადო მოგებითურთ, ფერმერებისა და სამთამადნო მრეწველების კაპიტალს, რომელთაგანაც ის იმ მასალებს ყიდულობს. მაგრამ ამ კაპიტალის დიდი ნაწილი, ყოველწლიურად ან უფრო მოკლე პერიოდებშიც, ყოველთვის განაწილდება სხვადასხვა მშრომელებს შორის, რომელნიც მასთან მუშაობენ. მრეწველის კაპიტალი ადიდებს მასალების ღირებულებას ამ მუშების ხელფასის ოდენობით და იმ მოგების ოდენობით, რომელსაც მესარეწე იღებს მთელ იმ კაპიტალზე, რაც დახარჯულია სარეწაოში ხელფასისათვის, მასალებისათვის და საწარმოო იარაღებისათვის. ამგვარად, ეს კაპიტალი პროდუქტიული შრომის გაცილებით უფრო დიდ რაოდენობას მოიყვანს უშუალოდ მოძრაობაში და გაცილებით მეტ ღირებულებას ჰმატებს საზოგადოების მიწისა და შრომის პროდუქტს, ვიდრე ასეთივე ზომის კაპიტალი რომელიმე მსხვილი ვაჭრის ხელში.

არავითარ თანატოლ კაპიტალს არ მოჰყავს მოძრაობაში პროდუქტიული შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე ფერმერის კაპიტალს. ფერმერის არა თუ

მუშა-მოჯამაგირეები, არამედ მისი მუშა-პირუტყვიც პროდუქტიული მშრომელები არიან. მიწათმოქმედებაში ადამიანთან ერთად მუშაობს აგრეთვე ბუნება, და თუმცა მისი მუშაობა არავითარ ხარჯებს არ იწვევს, მის პროდუქტს მაინც თავისი ღირებულება აქვს უძვირესი მუშის შრომის პროდუქტის თანაბრად. უდიდესად მნიშვნელოვან ოპერაციებს მიწათმოქმედებაში, როგორც ეტყობა, მიზნად აქვს არა იმდენად ბუნებრივი ნაყოფიერობის გადიდება, _ თუმცა ისინი ამასაც ასრულებენ, _ რამდენადაც მისი მიმართვა ადამიანისთვის უაღრესად სასარგებლო მცენარეების წარმოსაშობად. მინდორს, რომელიც ძეძვით და ბუჩქნარითაა მოდებული, შეუძლია ხშირად არა ნაკლები მცენარეულობა აღმოაცენოს, ვიდრე უაღრესი გულმოდგინებით დამუშავებულ ვენახს ან საპურე მინდორს. დარგვა და დამუშავება არა იმდენად ალვივებს, რამდენადაც წარმართავს ბუნების მომქმედ ნაყოფიერებას, და მიწათმოქმედის ყველა შრომის შემდეგ სამუშაოს დიდი ნაწილი მაინც ყოველთვის ბუნების მიერაა შესასრულებელი. ამიტომ მუშები და მუშა-პირუტყვი, რომელნიც მიწათმოქმედებაში გამოიყენებიან, მანუფაქტურაში მომქმედ მუშებსავით როდი ახდენენ მარტო რეპროდუქციას ღირებულებისას, რომელიც უდრის მათ საკუთარ მოხმარებას ანუ მათ გამომყენებელ კაპიტალს მისი მესაკუთრის მოგებითურთ, არამედ ანხორციელებენ უფრო დიდი ღირებულების რეპროდუქციას. ფერმერის კაპიტალისა და მთელი მისი მოგების ზედმეტად ისინი რეგულარულად იწვევენ მემულის რენტის რეპროდუქციას. ის რენტა შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნების იმ ძალების პროდუქტი, რომლებითაც სარგებლობას მემამულე ასესხებს ფერმერს. იგი მეტია ან ნაკლებია ამ ძალების ნაგულები მოცულობის მიხედვით ანუ, სხვა სიტყვებით, მიწის ნაგულები ბუნებრივი ან ხელოვნური ნაყოფიერობის მიხედვით. იგი ბუნების ნამოქმედარია, რომელიც რჩება ყველა იმის გამოკლების ან გადახდის შემდეგ, რაც ადამიანის ნამოქმედარად შეიძლება ჩაითვალოს. იგი იშვიათად არის მთელი პროდუქტის ერთ მეოთხედზე ნაკლებზე და ხშირად მესამედზე მეტი არის. ვერასოდეს თანატოლი რაოდენობა მანუფაქტურაში გამოყენებული შრომისა ვერ მოიღებს ასე დიდ რეპროდუქციას. მანუფაქტურაში ბუნება არას აკეთებს, ადამიანი _ ყველაფერს, და რეპროდუქცია ყოველთვის პროპორციული უნდა იყოს მისი გამომწვევი ძალებისა. მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალი, ამიტომ, არა თუ მოძრაობაში მოიყვანს ხოლმე პროდუქტიული შრომის მეტ რაოდენობას, ვიდრე რომელიმე მისი თანასწორი კაპიტალი, რომელიც მანუფაქტურაში გამოიყენება, არამედ, მის მიერ მოხმარებული პროდუქტიული შრომის რაოდენობის პროპორციულად, გაცილებით მეტ ღირებულებასაც ჰმატებს ქვეყნის მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს, მის მცხოვრებთა ნამდვილ სიმდიდრესა და შემოსავალს. ყველა იმ წესში, რომლითაც კაპიტალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ეს უაღრესად სასარგებლოა საზოგადოებისათვის.

ამა თუ იმ საზოგადოების მიწათმოქმედებასა და წვრილ ვაჭრობაში მოთავსებული კაპიტალები ყოველთვის ამ საზოგადოების შიგნით რჩება. მათი გამოყენება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია განსაზღვრულ ადგილთან, _ ფერმასთან ან წვრილი ვაჭრის დუქანთან. როგორც საერთო წესი, თუმცა აქედან ზოგ გამონაკლისს აქვს ადგილი, ეს კაპიტალები მოცემული ქვეყნის ბინადარ მცხოვრებთ ეკუთვნის.

პირიქით, მსხვილი ვაჭრის კაპიტალს, როგორც ეტყობა, არსად არა აქვს მტკიცე და აუცილებელი სამყოფელი, მას შეუძლია ადგილიდან ადგილას გადასვლა იმის მიხედვით, თუ სად ძალუმს იაფად ყიდვა ან ძვირად გაყიდვა.

მემანუფაქტურის კაპიტალი, უეჭველად, იქ უნდა იმყოფებოდეს, სადაც მანუფაქტურაა გამართული; მხოლოდ ეს არაა აუცილებლად განსაზღვრული, თუ სად უნდა იმყოფებოდეს ეს უკანასკნელი. იგი შეიძლება ხშირად ძალიან დაშორებით იყოს როგორც იმ ადგილიდან, სადაც ნედლეული იზრდება, ისე იმ ადგილიდანაც, სადაც მზა მანუფაქტურული პროდუქტი მოიხმარება. ლიონი ძალიან დაშორებულია როგორც იმ ადგილებს, რომელნიც მას ნედლეულს აწვდიან მისი ფაბრიკატებისათვის, ისე იმ პუნქტებსაც, რომელნიც ამ უკანასკნელთ მოიხმარებენ. სიცილიის წარჩინებულნი იმოსებიან აბრეშუმეულით, რომელიც სხვა ქვეყნებშია დამზადებული იმ ნედლეულიდან, რასაც მათი საკუთარი ქვეყანა აწარმოებს. ესპანეთის მატყლის ნაწილი დიდ ბრიტანეთში გადამუშავდება და ამის განსაზღვრული ნაწილი მაუდის სახით შემდეგ ისევ ესპანეთში შეიტანება.

ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს ამას: ადგილობრივი მცხოვრებია თუ უცხოელია ვაჭარი, რომლის კაპიტალს საზღვარგარეთ გააქვს ქვეყნის გარდამეტი პროდუქტი. თუ იგი უცხოელი არის, ქვეყნის პროდუქტიულ მშრომელთა რიცხვი აუცილებლად მხოლოდ ერთი ადამიანით იქნება ნაკლები, ვიდრე იქნებოდა, ის რომ ადგილობრივი მცხოვრები ყოფილიყო, და ასევე ქვეყნის წლიური პროდუქტი ნაკლები იქნება მხოლოდ ამ ერთი ადამიანის მოგების ოდენობით. მეზღვაურები და გადამზიდავები, რომლებსაც ის ამოსაქმებს, შეიძლება ასევე განურჩევლად ქვეშევრდომნი იყვნენ ან იმავე ქვეყნის, ან ვაჭრის სამშობლო ქვეყნის, ან რომელიმე მესამე ქვეყნისა, ისე როგორც იმ შემთხვევაში, ვაჭარი რომ ადგილობრივი მცხოვრები ყოფილიყო. უცხოელის კაპიტალიც ისეთსავე ღირებულებას აძლევს მოცემული ქვეყნის გარდამეტ პროდუქტს, როგორც ადგილობრივი მცხოვრების კაპიტალი, სცვლის რა ამ პროდუქტს ისეთ საგნებზე, რომლებისთვისაც მოთხოვნა არსებობს ქვეყნის შიგნით. ისიც ისევე წარმატებით უკუაბრუნებს იმ პირის კაპიტალს, ვისი ნაწარმიც ეს გარდამეტი არის, და ისევე ეფექტიურად აძლევს სათანადო პირს შესაძლებლობას განაგრძოს თავისი საქმე; და მსხვილი ვაჭრის კაპიტალის სამსახურიც უმთავრესად ხომ ესაა, რომ ხელს უწყობს პროდუქტიულ შრომას და იმ საზოგადოების წლიური პროდუქტის ღირებულების გადიდებას, რომელსაც ვაჭარი ეკუთვნის.

უფრო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მემანუფაქტურის კაპიტალი ქვეყნის შიგნითვე დარჩეს. მაშინ მას აუცილებლად პროდუქტიული შრომის უფრო დიდი რაოდენობა მოჰყავს მოძრაობაში და მეტ ღირებულებას ჰმატებს საზოგადოების მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს. მაგრამ მაინც მაშინაც შეიძლება იგი ძალიან სასარგებლო იყოს ქვეყნისათვის, როდესაც მის ფარგალს გარეშე იმყოფება. კაპიტალები ბრიტანელ მემანუფაქტურეთა, რომელნიც ყოველწლიურად ბალტიის ზღვის ნაპირებიდან შემოტანილი სელისა და ქერელის გადამუშავებას ეწევიან, უეჭველად ძალიან სასარგებლოა ამ მასალების მწარმოებელი ქვეყნებისათვის. ეს მასალები შეადგენს იმ ქვეყნების გარდამეტი პროდუქტის ნაწილს, რომელსაც, იგი რომ ყოველწლიურად არ გაცვლილიყო იმ ქვეყნებისთვის საჭირო საგნებზე, არავითარი ღირებულება აღარ ექნებოდა, და მალე ხელსაც აიღებდნენ მის წარმოებაზე. ამ მასალების გამომზიდველი ვაჭრები უკუაბრუნებენ მათ მწარმოებელთა კაპიტალებს და მით ხელს უწყობენ მათი წარმოების განგრძობას, ხოლო ბრიტანელი მემანუფაქტურეები უკუაბრუნებენ ამ ვაჭრების კაპიტალს.

ცალკეულ ქვეყანას, ისე როგორც სალკეულ პირს, შეიძლება ხშირად არ ჰქონდეს თავის განკარგულებაში საკმარისი კაპიტალი, რათა დაამუშაოს მთელი თავისი ნედლეული უშუალო გამოყენებისა და მოხმარებისათვის და გადაზიდოს

გარდამეტი ნედლეული ან მზა პროდუქტები იმ შორეულ ბაზრებზე, სადაც ისინი შეიძლება გაცვლილ იქნენ სხვა საგნებზე, რომლებისთვის მოთხოვნა არსებობს ქვეყნის შიგნით. დიდი ბრიტანეთის ბევრი ადგილის მცხოვრებთ არა აქვთ საკმარისი კაპიტალი ყველა მათი მიწის გასაუმჯობესებლად და დასამუშავებლად. შოტლანდიის სამხრეთ საგრაფოების მატყლი, ძალიან ცუდი გზებით ფრიად დიდ მანძილზე გადაზიდვის შემდეგ, მეტწილად დამუშავდება იორკშირში, ვინაიდან ადგილობრივ არ მოიპოვება საკმარისი კაპიტალის მის დასამუშავებლად. დიდ ბრიტანეთში არის ბევრი პატარა სამრეწველო ქალაქი, რომელთა მცხოვრებთ არა აქვთ საკმარისი კაპიტალი მათი სამრეწველო პროდუქტების გადასაზიდად იმ შორეულ ბაზრებზე, სადაც მათთვის მოთხოვნა მოიპოვება და შესაძლებელი არის ისინი მოხმარებულ იქნენ. თუ იქ მათ შორის მოიპოვებიან ზოგი ვაჭრებიც, ესენი არიან, თუ ნამდვილად ვიტყვით, აგენტები უფრო მდიდარი ვაჭრებისა, რომლებიც სადმე დიდ სავაჭრო ქალაქში ცხოვრობენ.

როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალი საკმარისი არაა ყველა იმ სამი მიზნისათვის, _ მისი რაც უფრო დიდი ნაწილი გამოიყენება მიწათმოქმედებაში, მით უფრო დიდი იქნება პროდუქტიული შრომის რაოდენობა, რომელიც ამ კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს ქვეყნის შიგნით, და ასევე ღირებულებაც, რომელსაც კაპიტალის გამოყენება ჰმატებს საზოგადოების მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს. მიწათმოქმედების შემდეგ, შრომის უდიდეს რაოდენობას მოიყვანს მოძრაობაში და უდიდეს ღირებულებას ჰმატებს წლიურ პროდუქტს ის კაპიტალი, რომელიც მანუფაქტურაშია გამოყენებული. უმცირესი მოქმედება აქვს საექსპორტო ვაჭრობაში გამოყენებულ კაპიტალს.

ქვეყანას, რომელსაც არ მოეპოვება საკმარისი კაპიტალი ყველა იმ სამი აღნიშნული მიზნისათვის, ჯერ კიდევ არ მიუღწევია განვითარებისა და სიმდიდრის იმ საფეხურისათვის, რომელიც მას, თითქოს, ბუნებით აქვს დანიშნული. მაგრამ ცდა ყველა იმ სამი მიზნის შესრულებისა ადრეულად და არასაკმარისი კაპიტალით უეჭველად იქნება არა უმოკლესი გზა საზოგადოებისათვის, ისე როგორც ცალკეული პირისათვის, საკმარისი კაპიტალის მოსაპოვებლად. ერის ყველა წევრთა მთელ კაპიტალს, ისე როგორც ცალკეული პირის კაპიტალს, თავისი საზღვარი აქვს და ძალუმს მხოლოდ განსაზღვრული მიზნების შესრულება. ერის ყველა წევრთა მთელი კაპიტალი, ისე როგორც ცალკეული პირის კაპიტალი, იზრდება იმ გზით, რომ ისინი მას აგროვებენ მუდამ და მას უმატებენ იმას, რასაც თავისი შემოსავლიდან მოინარჩუნებენ. ამიტომ მისი უსწრაფესად ზრდა მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იმგვარად გამოიყენება, რომ უდიდეს შემოსავალს აძლევს ყველა მცხოვრებთ, ვინაიდან მაშინ მათ შეუძლიათ უდიდესი დანაზოგი ჰქონდეთ. მაგრამ ქვეყნის ყველა მცხოვრებთა შემოსავალი მისი მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ღირებულებასთანაა აუცილებლად შეფარდებული.

ჩვენი ამერიკული კოლონიების სიმდიდრის სწრაფი განვითარებისა და ძლიერების ზრდის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ თითქმის ყველა მათი კაპიტალი დღემდე მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა. ამ კოლონიებს არა აქვთ მანუფაქტურები, თუ არ ჩავთვლით იმ საოჯახო და მარტივ მანუფაქტურას, რომელიც აუცილებლად თანახლავს მიწათმოქმედების განვითარებას და რომელსაც ეწევიან თითოეულ ოჯახში ქალები და ბავშვები. ამერიკის საექსპორტო და სანაპირო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი იმ ვაჭრების კაპიტალებით იწარმოება, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობენ. მეტი წილი მაღაზიებიც და საქონელთა საწყობებიც, საიდანაც პროდუქტები იყიდება ზოგ პროვინციებში, განსაკუთრებით ვირჯინიასა და

მერილენდში, ეკუთვნის ვაჭრებს, რომელნიც მეტროპოლიაში ცხოვრობენ, და წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ მაგალითს საზოგადოებაში საცალო ვაჭრობის არსებობისას, რაიც ისეთ ადამიანთა კაპიტალებით იწარმოება, რომელნიც იმ ქვეყნის ბინადარი მცხოვრებნი არ არიან. ამერიკელებმა რომ შეთანხმების გზით ან რაიმე იძულებითი ღონისძიებების საშუალებით შესწყვიტონ ევროპული სამრეწველო პროდუქტების შეზიდვა და, – შეუქმნიან რა ამგვარად მონოპოლიას თავიანთ თანამემამულეებს, რომელთაც ძალუბთ ასეთივე პროდუქტების წარმოება, – ამ საქმეში რომ მოაქციონ თავიანთი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი, ისინი მხოლოდ დააყოვნებდნენ და კი არ დააჩქარებდნენ თავიანთი წლიური პროდუქტის ღირებულების შემდგომ ზრდას და, ნაცვლად ხელის შეწყობისა, შეაფერხებდნენ თავიანთი ქვეყნის განვითარებას სიმდიდრისა და ძლიერებისაკენ. ამას კიდევ უფრო დიდი ზომით ექნებოდა ადგილი, თუ ისინი შეეცდებოდნენ თავისთვის მონოპოლიად ექციათ მთელი მათი საექსპორტო ვაჭრობა.

საერთოდ კაცობრიობის კეთილდღეობის მსვლელობა, როგორც ეტყობა, თითქმის არასოდეს არ ყოფილა ისეთი ხანგრძლივობისა, რომ რომელსამე დიდ ქვეყანას შესაძლებლობა მისცემოდა მოეპოვებია ყველა იმ აღნიშნული სამი მიზნისათვის საკმარისი კაპიტალი, – რასაკვირველია, თუ არ ვირწმუნებთ საკვირველ მოთხრობებს ჩინეთის, ძველი ეგვიპტის და ძველი ინდოსტანის სახელმწიფოს სიმდიდრისა და კულტურის შესახებ. ეს სამი ქვეყანაც კი, – იმ მოთხრობების მიხედვით ყველაზე უფრო მდიდარი, როგორიც კი ოდესმე ყოფილა მსოფლიოში, – განთქმულია უმთავრესად თავისი უპირატესობით მიწათმოქმედებასა და მანუფაქტურაში. მათ თავი არ უსახელებიათ, როგორც სჩანს, საგარეო ვაჭრობაში. ძველ ეგვიპტელებს ცრუმორწმუნეულად სძაგდათ ზღვა; თითქმის ასეთივე ცრურწმენაა გაბატონებული ინდოელებშიც; ჩინელებს არაფრით არ უჩენიათ თავი საგარეო ვაჭრობაში. ამ ქვეყნების გარდამეტი პროდუქტის დიდი ნაწილი ყოველთვის, როგორც ეტყობა, გაიზიდებოდა უცხოელების მიერ, რომელნიც სამაგიეროდ მათ აძლევდნენ სხვა რაიმეს, რისთვისაც იქ მოთხოვნა არსებობდა, – ხშირად ოქროსა და ვერცხლს.

ამრიგად, ერთსა და იმავე კაპიტალს რომელსამე ქვეყანაში პროდუქტიული შრომის მეტი ან ნაკლები რაოდენობა მოჰყავს მოძრაობაში და მეტ ან ნაკლებ ღირებულებას ჰმატებს ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტს იმ პროპორციის მიხედვით, რა პროპორციითაც იგი გამოიყენება მიწათმოქმედებაში, მანუფაქტურაში და საბითუმო ვაჭრობაში. ამასთან შედეგის მნიშვნელოვან განსხვავებას აქვს ადგილი აგრეთვე საბითუმო ვაჭრობის სხვადასხვაობის მიხედვით, რომელშიაც გამოიყენება მისი ესა თუ ის ნაწილი.

ყოველი საბითუმო ვაჭრობა, ყოველი ყიდვა ბითუმად გაყიდვისათვის შეიძლება მიეკუთვნოს ერთ-ერთს ამ სამ სახეში: საშინაო ვაჭრობას, საგარეო ვაჭრობას მოხმარებისათვის და სამიმოზიდვო ვაჭრობას. საშინაო ვაჭრობას საგნად აქვს ქვეყნის მრეწველობის პროდუქტების ყიდვა მის ერთ ნაწილში და გაყიდვა სხვა ნაწილში; იგი მოიცავს როგორც ვაჭრობას ქვეყნის შიგნით, ისე აგრეთვე სანაპირო ვაჭრობასაც. სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობას საგნად აქვს უცხო პროდუქტების ყიდვა ქვეყნის შიგნით მოსახმარებლად. სამიმოზიდვო ვაჭრობა აწარმოებს სავაჭრო დამოკიდებულებას უცხო ქვეყნებთან, ე. ი. გადააქვს ერთი ქვეყნის გარდამეტი სხვა ქვეყანაში.

კაპიტალი, რომელიც გამოიყენება ქვეყნის მრეწველობის პროდუქტების ყიდვისათვის მის ერთ ნაწილში მათ გასაყიდად სხვა ნაწილში, ჩვეულებრივ

თითოეული ასეთი ოპერაციის შესრულებისას უკუაბრუნებს ორ სხვადასხვა კაპიტალს, რომელნიც, ორნივე, გამოყენებული იყვნენ იმ ქვეყნის მიწათმოქმედებაში ან მანუფაქტურაში, და მით აძლევს მათ შესაძლებლობას ჰქონდეთ კვლავ იგივე გამოყენება. როდესაც ეს კაპიტალი ვაჭრის საცხოვრებელი ადგილიდან გაგზავნის განსაზღვრული ღირებულების საქონელს, მას ჩვეულებრივ უკანვე მოაქვს სამაგიეროდ, სულ ცოტა, იმავე ღირებულების სხვა საქონელი. თუ ორივე ეს საქონელი საკუთარი ქვეყნის პროდუქტს წარმოადგენს, იმ შემთხვევაში კაპიტალი თითოეული ასეთი ოპერაციის შესრულებისას აუცილებლად უკუაბრუნებს ორ სხვადასხვა კაპიტალს, რომელთაგან თითოეული გამოყენებული იყო პროდუქტიული შრომის შესანახად, და მით აძლევს მათ შესაძლებლობას კვლავაც ემსახუროს ამ შრომის შენახვას. კაპიტალი, რომელიც ლონდონში გზავნის შოტლანდიის მანუფაქტურულ პროდუქტებს და რომელსაც უკან ედინბურგში მოაქვს ინგლისის პური და მანუფაქტურული პროდუქტები, თითოეული ასეთი ოპერაციის შესრულებისას უკუაბრუნებს აუცილებლად ორ ბრიტანულ კაპიტალს, რომელნიც, ორნივე, გამოყენებული იყვნენ დიდი ბრიტანეთის მიწათმოქმედებაში ან მანუფაქტურაში.

კაპიტალი, რომელიც გამოიყენება უცხო პროდუქტების საყიდლად საშინაო მოხმარებისათვის, უკეთეს ეს ყიდვა შინ წარმოებული პროდუქტების საშუალებით სრულდება, თითოეული ასეთი ოპერაციის შესრულებისას უკუაბრუნებს ორ სხვადასხვა კაპიტალს, მაგრამ იმათგან მხოლოდ ერთი ეხმარება შინაურ მრეწველობას. კაპიტალი, რომელიც ბრიტანეთის პროდუქტს პორტუგალიაში გზავნის და რომელსაც უკან დიდ ბრიტანეთში პორტუგალიის პროდუქტი მოაქვს, ყოველი ასეთი ოპერაციის შემთხვევაში უკუაბრუნებს მხოლოდ ერთ ბრიტანეთის კაპიტალს, მეორე კაპიტალი კი პორტუგალიისა არის. მაშასადამე, სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობაში ბრუნვა თუმცა რომ ისევე სწრაფად ხდებოდეს, როგორც საშინაო ვაჭრობაში, მაინც მასში გამოყენებული კაპიტალი მხოლოდ სანახევროდ იქნება სტიმულის მიმცემი ქვეყნის მრეწველობისა ანუ პროდუქტიული შრომის განვითარებისათვის.

მაგრამ ბრუნვა სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობაში იშვიათადაა ისე სწრაფი, როგორც ბრუნვა საშინაო ვაჭრობაში. საშინაო ვაჭრობაში კაპიტალი გადაბრუნდება ჩვეულებრივ ერთ წელიწადზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში, არაიშვიათად ორჯერ და სამჯერაც წელიწადში. ხოლო სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობაში კაპიტალი იშვიათად გადაბრუნდება ერთ წელიწადში, ზოგჯერ კი არა უადრეს ორი ან სამი წლისა. ამიტომ საშინაო ვაჭრობაში მოთავსებული კაპიტალი ასწრებს ზოგჯერ ოპერაციების თორმეტჯერ შესრულებას ანუ საქონლის თორმეტჯერ გაგზავნას და მიღებას მანამდე, ვიდრე საგარეო ვაჭრობაში მოთავსებული კაპიტალი ერთი ოპერაციის შესრულებას მოასწრებდეს. ამის გამო, თუ ეს კაპიტალები თანატოლია, პირველი მათგანი ოცდაოთხჯერ უფრო შეუწყობს ხელს და სტიმულს მისცემს ქვეყნის მრეწველობას, ვიდრე მეორე.

უცხო პროდუქტები საშინაო მოხმარებისათვის შესაძლებელია ზოგჯერ შეიძინებოდეს არა შინაური მრეწველობის პროდუქტებით, არამედ – რაიმე სხვა უცხო პროდუქტებით. მაგრამ ეს უკანასკნელები ნაყიდი უნდა ყოფილიყო ან უშუალოდ შინაური მრეწველობის პროდუქტებით ანდა სხვა რამით, რაც ასეთი პროდუქტებით იყო ნაყიდი, ვინაიდან უცხო პროდუქტები არასოდეს არ შეიძლება – თუ ომისა და დაპყრობის შემთხვევას გამოვრიცხავთ – შეძენილ იქნეს სხვაგვარად, თუ არ იმ გზით, რომ მათზე გასცვლიან საკუთარი ქვეყნის რაიმე ნაწარმს ან

დაუყოვნებლივ, ანდა ორი ან მეტი საგაცვლა-გამოცვლო ოპერაციის შემდეგ. ამრიგად, ასე მიხვეული გზით წარმოებულ სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობაში მოთავსებულ კაპიტალს ყოველმხრივ ისეთივე მოქმედება აქვს, როგორც უაღრესად უშუალო ვაჭრობას იმავე სახისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ის კაპიტალი უფრო ნელა გადაბრუნდება, რადგან მისი რეალიზაცია საგარეო ვაჭრობის ორი ან სამი სხვადასხვა ოპერაციის რეალიზაციაზეა დამოკიდებული. თუ რიგის სელისა და ქერელის ყიდვა სწარმოებს ვირგინიის თამბაქოთი, რომელიც ბრიტანეთის მრეწველობის პროდუქტებითაა ნაყიდი, ვაჭარმა უნდა დაუცადოს საგარეო ვაჭრობის ორი სხვადასხვა ოპერაციის რეალიზაციას, ვიდრე იგი შესძლებდეს იმავე კაპიტალით იყიდოს კვლავ ბრიტანეთის სამრეწველო საქონლის ისეთივე რაოდენობა. თუ ვირგინიის თამბაქო ნაყიდი იყო არა ბრიტანეთის სამრეწველო პროდუქტებით, არამედ იამაიკის შაქრით და რომით, რომლებიც იმ პროდუქტებით იყო ნაყიდი, ვაჭარმა სამი სხვადასხვა ოპერაციის რეალიზაციას უნდა დაუცადოს. თუ საგარეო ვაჭრობის ეს ორი თუ სამი სხვადასხვა ოპერაცია სრულდება ორი ან სამი სხვადასხვა ვაჭრის მიერ, რომელთაგან მეორე პირველის მიერ შემოზიდულ საქონელს ყიდულობს, ხოლო მესამე – მეორის მიერ შემოზიდულს, რათა, თავის მხრივ, ისევ გაზიდოს იგი, იმ შემთხვევაში თითოეული ვაჭარი, მართალია, უფრო სწრაფად გადააბრუნებს თავის კაპიტალს, მაგრამ ამ ვაჭრობაში მოთავსებული მთელი კაპიტალის გადაბრუნება საერთოდ ისევე ნელი იქნება, როგორც წინათ. ქვეყნისათვის განსხვავებას არ შეადგენს, ეკუთვნის ასეთ გზამიხვეულ ვაჭრობაში მოთავსებული კაპიტალი ერთ თუ სამ ვაჭარს, თუმცა ამას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ცალკეული ვაჭრებისათვის. ორსავე შემთხვევაში სამჯერ უფრო დიდი კაპიტალი უნდა იქნეს გამოყენებული განსაზღვრული ღირებულების ბრიტანული სამრეწველო პროდუქტების გასაცვლელად განსაზღვრული ღირებულების სელისა და ქერელის განსაზღვრულ ღირებულებაზე, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა, ის პროდუქტები და სელი და ქერელი რომ უშუალოდ იცვლებოდეს ერთმანეთზე. მაშასადამე, ასეთ გზამიხვეულ სამომხმარებლო ვაჭრობაში მოთავსებული კაპიტალი ნაკლებად მისცემს სტიმულს და შეუწყობს ხელს ქვეყნის პროდუქტიულ შრომას, ვიდრე მისი თანატოლი კაპიტალი, რომელიც ამავე სახის უფრო უშუალო ვაჭრობაშია მოთავსებული.

როგორც უნდა იყოს უცხო საქონელი, რომლითაც სწარმოებს უცხო პროდუქტების ყიდვა საშინაო მოხმარებისათვის, ამას არ შეუძლია გამოიწვიოს რაიმე არსებითი განსხვავება არც ვაჭრობის რაობაში და არც იმ სტიმულისა და დახმარების ზომასში, რომელსაც ეს ვაჭრობა უწევს ამისი მაწარმოებელი ქვეყნის პროდუქტიულ შრომას. თუ, მაგალითად, პროდუქტებს ყიდულობენ ბრაზილიის ოქროთი ან პერუს ვერცხლით, – ეს ოქრო და ვერცხლი, ვირგინიის თამბაქოს მსგავსად, ნაყიდი უნდა იყოს ქვეყნის სამრეწველო პროდუქტით ან სხვა რამით, რაც ასეთი პროდუქტით იყო ნაყიდი. მაშასადამე, რამდენადაც საქმე ქვეყნის პროდუქტიულ შრომას შეეხება, სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობას, ოქროსა და ვერცხლის საშუალებით წარმოებულს, იგივე დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რაც სხვაგვარ გზამიხვეულ საგარეო ვაჭრობას, და მასში ისევე სწრაფად თუ ნელა უკუბრუნდება კაპიტალი, რომელიც უშუალოდ პროდუქტიული შრომის დასახმარებლად იყო გამოყენებული. ამგვარ ვაჭრობას თითქოს ერთი უპირატესობაც კი აქვს ყოველ სხვა სახის ასევე გზამიხვეულ საგარეო ვაჭრობასთან შედარებით. ამ ლითონების გადაზიდვა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, მათი პატარა მოცულობისა და დიდი ღირებულების გამო, უფრო იაფად ჯდება, ვიდრე იმავე ღირებულების თითქმის

ყველა უცხო პროდუქტების გადაზიდვა; მათი სატრანსპორტო ფრახტი გაცილებით ნაკლებია, და მათი სადაზღვევო არაა უფრო დიდი; გარდა ამისა, ოქრო და ვერცხლი ნაკლებ ფუჭდება გადაზიდვის დროს, ვიდრე რომელიმე სხვა პროდუქტი. ამიტომ უცხო პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობა შეიძლება ხშირად საკუთარი ქვეყნის ნაწარმთა ნაკლები რაოდენობით იქნეს შეძენილი, როდესაც ვაჭრობაში ოქრო-ვერცხლი ეწევა მოსაშუალებას, ვიდრე მაშინ, როდესაც ამ როლს რაიმე სხვა უცხო პროდუქტი ასრულებს. ქვეყნის მოთხოვნა, ამ გზით, შეიძლება ხშირად დაკმაყოფილებულ იქნეს უფრო სრულად და ნაკლებ ხარჯიანად, ვიდრე რომელიმე სხვა გზით. შემდგომ ქვემოთ მე ძალიან დაწვრილებით განვიხილავ ამ საკითხს: ხომ არ იწვევს ამგვარი ვაჭრობა რაიმე სხვა მხრივ, ამ ლითონების შეუწყვეტელი გაზიდვის გამო, იმ ქვეყნის გაღარიბებას, საიდანაც ისინი გაიზიდებიან.

ქვეყნის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამიმოზიდვო ვაჭრობაში გამოიყენება, საერთოდ სცილდება ამ ქვეყნის პროდუქტიული შრომის დახმარების სამსახურს, რათა დაეხმაროს სხვა ქვეყნების პროდუქტიულ შრომას. თუმცა იგი თითოეული ოპერაციის შესრულებისას ორ სხვადასხვა კაპიტალს უკუაბრუნებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ეკუთვნის იმ ქვეყანას. კაპიტალი ჰოლანდიელი ვაჭრისა, რომელსაც პური გააქვს პოლონეთიდან პორტუგალიაში და უკან პოლონეთში პორტუგალიის ხილი და ღვინო შეაქვს, თითოეული ასეთი ოპერაციის შესრულებისას უკუაბრუნებს ორ სხვადასხვა კაპიტალს, რომელთაგან არც ერთი არ ყოფილა ჰოლანდიის პროდუქტიული შრომის დასახმარებლად გამოყენებული: ერთი ეხმარებოდა პოლონეთის პროდუქტიულ შრომას, მეორე – პორტუგალიისას. მართლ მოგება მიდის რეგულარულად ჰოლანდიაში და შეადგენს ამ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის მთელ იმ ნამატს, რაც ამ ვაჭრობის აუცილებელი შედეგი არის. მხოლოდ ეს კია, რომ, როდესაც რომელიმე ქვეყნის სამიმოზიდვო ვაჭრობა იმავე ქვეყნის გემებით და მეზღვაურებით იწარმოება, მაშინ ამ ვაჭრობაში მოთავსებული კაპიტალის ნაწილი, რომელმაც საფრახტო ხარჯები უნდა დაჰფაროს, გაუნაწილდება ამ ქვეყნის პროდუქტიულ მუშაკთა განსაზღვრულ რიცხვს და მოძრაობაში მოიყვანს მათ შრომას. თითქმის ყველა ერი, რომელსაც რაოდენადმე მნიშვნელოვანი მონაწილეობა ჰქონდა სამიმოზიდვო ვაჭრობაში, მართლაც ასეთი წესით ეწეოდა ამ ვაჭრობას. ალბათ თვით ვაჭრობამაც, რომელსაც ინგლისურად გადამზიდველი ვაჭრობა ეწოდება, თავისი სახელი იქიდან მიიღო, რომ ასეთი ქვეყნების მცხოვრებნი გადამზიდველნი იყვნენ სხვა ქვეყნებისათვის. მაგრამ მაინც ამ ვაჭრობისათვის არსებითი არაა, რომ ეს ასე იყოს. ჰოლანდიელ ვაჭარს, მაგალითად, შეუძლია თავისი კაპიტალი იმგვარად ჰქონდეს ვაჭრობაში პოლონეთსა და პორტუგალიას შორის მოთავსებული, რომ პირველის გარდამეტი პროდუქტის ნაწილი გადაჰქონდეს მეორეში არა ჰოლანდიის, არამედ ბრიტანეთის გემებით. და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოგ განსაკუთრებულ შემთხვევაში ასეც ხდება ნამდვილად. ამ საფუძველით ფიქრობდნენ, რომ ისეთი ქვეყნისათვის, როგორც დიდი ბრიტანეთია, რომლის თავდაცვა და უშიშროება მისი მეზღვაურებისა და გემების რიცხვზეა დამოკიდებული, სამიმოზიდვო ვაჭრობა განსაკუთრებით ხელსაყრელი არის. მაგრამ იმავე კაპიტალს შეუძლია მაშინაც, როდესაც იგი მოთავსებულია სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობაში, და სანაპირო ვაჭრობაშიაც კი, თუ ეს უკანასკნელი სანაპირო გემებით იწარმოება, იმდენსავე მეზღვაურებსა და გემებს მისცეს სამუშაო. რამდენსაც აძლევს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სამიმოზიდვო ვაჭრობაშია გამოყენებული. რიცხვი მეზღვაურების და გემებისა, რომლებიც ძალუძს საქმეში ჰყავდეს ჩაბმული განსაზღვრულ კაპიტალს,

დანაკვიდებულია არა ვაჭრობის ხასიათზე, არამედ ნაწილობრივ პროდუქტების დიდ მოცულობაზე მათ ღირებულებასთან შედარებით და ნაწილობრივ იმაზე, თუ რა მანძილზეა ერთი მეორისაგან ნავთსადგურები დაშორებული, რომელთა შორის პროდუქტების გადაზიდვა სწარმოებს, – უმთავრესად დამოკიდებულია პირველ გარემოებაზე ამ ორში. ასე, მაგალითად, ნახშირით ვაჭრობა ნიუკესტლიდან ლონდონამდე გემების უფრო დიდ რაოდენობას აძლევს სამუშაოს, ვიდრე ინგლისის მთელი სამიმოზიდვო ვაჭრობა, თუმცა ეს ნავთსადგურები სრულიად არაა დიდ მანძილზე ერთმანეთისაგან. ამიტომ შემოდება განსაკუთრებულ წამხალისებელ ღონისძიებათა სამიმოზიდვო ვაჭრობაში კაპიტალის უფრო დიდი ნაწილის მისაზიდად, ვიდრე შევიდოდა მასში ბუნებრივად, არა ყოველთვის იწვევს აუცილებლად სათანადო ქვეყნის ნაოსნობის გაძლიერებას.

ამგვარად, ქვეყნის საშინაო ვაჭრობაში გამოყენებული კაპიტალი ჩვეულებრივ სტიმულს აძლევს და ხელს უწყობს პროდუქტიულ შრომას იმ ქვეყანაში და ადიდებს მისი წლიური პროდუქტის ღირებულებას უფრო მეტად, ვიდრე იმავე ზომის კაპიტალი, რომელიც სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობაშია მოქცეული, ხოლო ამ უკანასკნელში გამოყენებულ კაპიტალს კიდევ უფრო დიდი უპირატესობა აქვს იმავე სიდიდის კაპიტალთან შედარებით, რომელიც სამიმოზიდვო ვაჭრობაშია მოქცეული. სიმდიდრე და, რამდენადაც ძლიერება სიმდიდრეზეა დამოკიდებული, ძლიერება ყოველი ქვეყნისა ყოველთვის შეფარდებულია მისი წლიური პროდუქტის ღირებულებასთან, ე. ი. იმ ფონდის ღირებულებასთან, საიდანაც, საბოლოო ანგარიშით, გადახდილი უნდა იქნეს ყველა ხარკი. და ყოველი ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიის მთავარ ამოცანას შეადგენს ქვეყნის სიმდიდრისა და ძლიერების გადიდება; ამიტომ იგი უპირატესობას ან განსაკუთრებულ იმპულსს არ უნდა აძლევდეს სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობას საშინაო ვაჭრობის წინაშე ან სამიმოზიდვო ვაჭრობას პირველისა და მეორის წინაშე. მან არ უნდა მიმართოს ძალით, არც ჩაიტყუოს არც ერთ ამ ორ არხში ქვეყნის კაპიტალის იმაზე დიდი ნაწილი, რაც მათში შევიდოდა ბუნებრივად.

მაგრამ თითოეული ამ სხვადასხვა სახის ვაჭრობა არა თუ ხელსაყრელია, არამედ საჭირო და აუცილებელიც, როდესაც იგი წარმოიშობა საგანთა ბუნებრივი მსვლელობით, გარეშე ყოველგვარი იძულებითი და ძალადობითი ღონისძიებებისა.

როდესაც მრეწველობის რომელიმე ცალკეული დარგის პროდუქტი აღემატება იმას, რასაც ქვეყნის მოთხოვნა საჭიროებს, – გარდამეტი უნდა გაიგზავნოს საზღვარგარეთ და გაცვლილ იქნეს რაიმეზე, რის მიმართ შინ მოთხოვნა არსებობს. ასეთი ექსპორტის გარეშე ქვეყნის პროდუქტიული შრომის ნაწილი უნდა შესწყდეს, და მისი წლიური პროდუქტის ღირებულება შემცირდეს. დიდი ბრიტანეთის მიწა და შრომა ჩვეულებრივ მეტ პურს, შალეულს და ლითონურ პროდუქტს იძლევა, ვიდრე მოითხოვს შინაური ბაზარი. მაშასადამე, მათი გარდამეტი ნაწილი საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს და იქ გაცვლილ იქნეს რაიმეზე, რომლისათვის მოთხოვნა არსებობს შინ. მხოლოდ ასეთი ექსპორტის გზით შეუძლია გარდამეტს მიიღოს ღირებულება, რომელიც საკმარისია მის წარმოებაზე გაწეული შრომისა და ხარჯების ასანაზღაურებლად. ზღვის სანაპირო ადგილები და ყველა სანაოსნო მდინარეთა ნაპირები მხოლოდ იმიტომ წარმოადგენენ მრეწველობისათვის ხელსაყრელ ადგილმდებარეობას, რომ აადვილებენ ასეთი გარდამეტი პროდუქტის გაზიდვას და გაცვლას სხვა რაიმეზე, რისთვისაც იქ მეტი მოთხოვნა არსებობს.

თუ უცხო პროდუქტები, რომლებიც ამგვარად შინაური მრეწველობის გარდამეტი პროდუქტითაა ნაყიდი, აღემატება საშინაო ბაზრის მოთხოვნას, მისი

გარდამეტი ნაწილი ისევ გატანილი უნდა იქნეს საზღვარგარეთ და გაიყიდოს რაიმეზე, რისთვისაც მეტი მოთხოვნაა შინ. დაახლოებით 96 000 კასრ თამბაქოს ვყიდულობთ ჩვენ ყოველწლიურად ვირგინიასა და მერილენდში ბრიტანეთის სამრეწველო გარდამეტი პროდუქტის ერთი ნაწილით. მაგრამ დიდი ბრიტანეთის მოთხოვნა საჭიროებს, იქნებ, არა უმეტეს 14 000-ისა. მაშასადამე, თუ დანარჩენი 82 000 ვერ გაიგზავნებოდა საზღვარგარეთ სხვა რაიმეზე, რის მიმართ ქვეყნის შიგნით მეტი მოთხოვნა არსებობს, იმ შემთხვევაში თამბაქოს იმპორტი ხელად შესწყდებოდა და მასთან ერთად შესწყდებოდა პროდუქტიული შრომა დიდი ბრიტანეთის ყველა იმ მცხოვრებთა, რომელნიც ამჟამად იმ პროდუქტების წარმოებაში მოსაქმეობენ, რითაც ჩვენ ყოველწლიურად იმ 82 000 კასრ თამბაქოს ვყიდულობთ. ამ პროდუქტებს, რომლებიც დიდი ბრიტანეთის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ნაწილს შეადგენს, ბაზარი არა აქვს შინ, და მათი წარმოება უნდა შეწყვეტილიყო, თუ მათ საზღვარგარეთ ბაზარი მოესპობოდა. ამიტომ მეტად გზამიხვეული სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობა შეიძლება ზოგ შემთხვევაში ისევე საჭირო იყოს ქვეყნის პროდუქტიული შრომის დასახმარებლად და მისი წლიური პროდუქტის ღირებულების განსაზღვრულ დონეზე შესანარჩუნებლად, როგორც სრულიად უშუალო საგარეო ვაჭრობაც.

როდესაც რომელიმე ქვეყნის კაპიტალი იმ ზომამდეა გაზრდილი, რომ იგი აღარ შეიძლება მთლად გამოყენებულ იქნეს მოხმარების საგნების საწარმოებლად და იმ ცალკეული ქვეყნის პროდუქტიული შრომის დასახმარებლად, მაშინ ამ კაპიტალის გარდამეტი თავისთავად გადაეშვება სამიმოზიდვო ვაჭრობაში იმისათვის, რომ იგივე ფუნქციები შეასრულოს სხვა ქვეყნებისათვის. სამიმოზიდვო ვაჭრობა წარმოადგენს დიდი ეროვნული სიმდიდრის ბუნებრივ შედეგსა და ნიშანს, მაგრამ იგი, როგორც ეტყობა, არ შეადგენს მის ბუნებრივ მიზეზს. ის სახელწიფო მოღვაწენი, რომელთაც მიდრეკილება ჰქონდათ ხელი შეეწყობთ მისი განვითარებისათვის განსაკუთრებული წამხალისებელი ღონისძიებების გზით, ეტყობა, შედეგსა და ნიშანს ურევდნენ მიზეზში. ჰოლანდიას, რომელიც, თუ მხედველობაში მივირებთ მისი ტერიტორიის სიდიდეს და მცხოვრებთა რიცხვს, უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენს ევროპაში, ხელში უჭირავს ამიტომ, როგორც საყოველთაოდ აღიარებენ, ევროპის სამიმოზიდვო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი. ინგლისი, რომელსაც სიმდიდრით, ალბათ, მეორე ადგილი უკავია ევროპაში, ითვლება აგრეთვე ისეთ ქვეყნად, რომელსაც ამ ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს, თუმცა ის, რასაც ჩვეულებრივ ინგლისის სამიმოზიდვო ვაჭრობად სთვლიან, ხშირად სხვა არა არის რა, თუ არ გზამიხვეული სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობა. ამგვარია მეტწილად ის ვაჭრობა, რომელსაც ოსტ-იდოეთის ვესტ-ინდოეთის და ამერიკის პროდუქტები მოაქვს ევროპის ბაზარზე. ამ პროდუქტებს ყიდულობენ ან უშუალოდ ბრიტანული მრეწველობის პროდუქტით, ანდა სხვა რამით, რაც ამ პროდუქტით იყო ნაყიდი, და ის, რაც ამ ვაჭრობის საბოლოო შედეგად მიიღება, ჩვეულებრივ გამოიყენება ანუ მოიხმარება დიდ ბრიტანეთში. ვაჭრობა, რომელიც სწარმოებს ბრიტანეთის გემებით ხმელთაშუა ზღვის სხვადასხვა ნავთსადგურებს შორის, და მცირეოდენი ვაჭრობა ამავე სახისა, რომელსაც ბრიტანეთის ვაჭრები ეწევიან ინდოეთის ნავსადგურებს შორის, შეადგენს, ალბათ, მთავარ დარგებს იმისას, რაც საკუთრივ დიდი ბრიტანეთის სამიმოზიდვო ვაჭრობას წარმოადგენს.

მოცულობა საშინაო ვაჭრობის და კაპიტალისა, რომელიც შეიძლება იმ ვაჭრობაში იქნეს მოთავსებული, ზღვარდებული არის ქვეყნის შიგნით მდებარე ყველა იმ ერთი მეორისაგან დაშორებულ ადგილთა გარდამეტი პროდუქტის

ღირებულებით, რომელნიც თავიანთ პროდუქტებს სცვლიან ერთმანეთს შორის. სამომხმარებლო საგარეო ვაჭრობის მოცულობა ზღვარდებულია მთელი ქვეყნის გარდამეტი პროდუქტის ღირებულებით და იმის ღირებულებით, რის ყიდვაც შესაძლებელია იმით. სამიმოზიდვო ვაჭრობის მოცულობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის გარდამეტი პროდუქტის ღირებულებითაა ზღვარდებული. ამ ვაჭრობის შესაძლებელი მოცულობა, ამიტომ, ერთგვარად უსასრულოა იმ ორი სახის ვაჭრობის მოცულობასთან შედარებით, და მას ძალუმს უდიდესი კაპიტალები შეიწოვოს.

თავის საკუთარ კერძო მოგებაზე ფიქრი შეადგენს ერთადერთ მოტივს, რომელიც ყოველი კაპიტალის მფლობელს ათავსებინებს მის კაპიტალს მიწათმოქმედებაში, მანუფაქტურაში, ან საბითუმო თუ საცალო ვაჭრობის რაიმე განსაკუთრებულ დარგში. იგი არასოდეს არ ფიქრობს იმაზე, თუ პროდუქტიული შრომის რა სხვადასხვა რაოდენობა შეუძლია ამ კაპიტალს მოიყვანოს მოძრაობაში და რა სხვადასხვა ღირებულება ძალუმს მას მიუმატოს საზოგადოების მიწისა და შრომის წლიურ პროდუქტს იმაზე დამოკიდებულებით, თუ ამ სხვადასხვა დარგებიდან რომელში იქნება მისი კაპიტალი გამოყენებული. ამიტომ, იმ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედება წარმოადგენს ყველაზე უფრო მოგებიან საქმეს და მიწის დამუშავება და გაუმჯობესება – უმოკლეს გზას დიდი ქონების მისაღწევად, კერძო პირთა კაპიტალები, ბუნებრივია, მთელი საზოგადოებისათვის უაღრეს ხელსაყრელად იქნება გამოყენებული. მაგრამ, როგორც ემჩნევა, მიწათმოქმედების მიერ მოცემული მოგება არსად ევროპაში არ აღემატება იმ მოგებას, რომელსაც სხვა სახეების მოსაქმეობა იძლევა. პროექტების მთხზველი ადამიანები, მართალია, უკანასკნელ წლებში ევროპის ყოველ კუთხეში ართობდნენ საზოგადოებას ბრწყინვალე ანგარიშებით იმ მოგების შესახებ, რომელიც, ვითომ, მიიღება მიწის დამუშავებითა და გაუმჯობესებით. მათი ანგარიშების დაწვრილებით განუხილველადაც, მარტოოდენ უბრალო დაკვირვებას შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ მათი დასკვნები ყალბი უნდა იყოს. ჩვენ ყოველდღე ვხედავთ მრავალ დიდ ქონებას, რომელიც სულ ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზეა მოპოვებული ვაჭრობითა და სამრეწველო საქმიანობით, და ამასთან აქ ხშირად საქმე დაწყებული ყოფილა ძალიან პატარა კაპიტალით ან სულ უკაპიტალოდ. და, პირიქით, მიმდინარე საუკუნეში, იქნებ, ერთიც კი არ ყოფილა იმის მაგალითი, რომ იმავე ხნის განმავლობაში ასეთივე ქონება მიწათმოქმედებაში მოსაქმეობით ყოფილიყოს შეძენილი. ამავე დროს ევროპის ყველა დიდ ქვეყანაში დღემდე დაუმუშავებელი ძევს ბევრი კარგი მიწა, ხოლო დამუშავებული მიწის დიდი ნაწილი სრულიადაც არაა ჯერ კიდევ იმ ზომით გაუმჯობესებული, როგორც ეს შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ მიწათმოქმედებას ძალუმს თითქმის ყველგან გაცილებით იმაზე მეტი კაპიტალი შეიწოვოს, რაც ოდესმე ყოფილა მასში გამოყენებული. შემდეგ ორ წიგნში მე შევეცდები დაწვრილებით გავარკვიო, თუ ევროპის ეკონომიური პოლიტიკის რა გარემოებებმა აქციეს ქალაქებში წარმოებული სავაჭრო-სამრეწველო მოსაქმეობა ესოდენ უფრო ხელსაყრელად სოფლის მოსაქმეობასთან შედარებით, რომ კერძო პირნი ხშირად უფრო სასარფოდ სთვლიან თავისთვის თავიანთი კაპიტალები სადღაც ძალიან შორს, სამიმოზიდვო ვაჭრობაში აზიასა და ამერიკას შორის, მოათავსონ, ვიდრე სულ მათ ახლოს მდებარე უნაყოფიერესი მიწების გაუმჯობესებასა და დამუშავებას მოახმარონ.

წიგნი მესამე

სიმდიდრის სხვასხვა განვითარება სხვადასხვა ხალხებში

თ ა ვ ი I

სიმდიდრის ბუნებრივი განვითარება

ყოველ ცივილიზებულ საზოგადოებაში მთავარი აღებმიცემობა სწარმოებს ქალაქის მცხოვრებთა და სოფლის მცხოვრებთ შორის. იგი მდგომარეობს ნედლი პროდუქტების გაცვლაში გადამუშავებულ პროდუქტებზე, და ამასთან ეს გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს ან უშუალოდ, ანდა ფულის ან ფულის წარმომადგენელი რაიმე ქალაქის ნიშნების მოსაშუალოებით. სოფელი ქალაქს აძლევს საარსებო საშუალებებს და მანუფაქტურის მასალებს. ქალაქი ამ მინაცემს იხდის მით, რომ სოფლის მცხოვრებთ უკანვე უგზავნის გადამუშავებული პროდუქტების ნაწილს. ქალაქი, სადაც ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მასალების წარმოებას, თუ ნამდვილად ვიტყვით, სოფლიდან იღებს მთელ თავის სიმდიდრეს და საარსებო საშუალებას, მაგრამ ამის გამო არ უნდა დავასკვნათ აქედან, რომ სარგებლობა, რომელსაც ქალაქი იღებს, ზარალს წარმოადგენს სოფლისათვის. მათი სარგებლობა საზიაროა და საურთიერთოა, და შრომის დანაწილება ამ შემთხვევაში, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, სასარგებლოა ყველა პირთათვის, ვინც მოქმედებენ სხვადასხვა საქმიანობაში, რომლებსაც შრომა დაყოფილი. სოფლის მცხოვრებნი ქალაქისაგან ყიდულობენ გადამუშავებული პროდუქტების უფრო დიდ რაოდენობას ბევრად ნაკლები საკუთარი შრომის პროდუქტით, ვიდრე რამდენიც მათ უნდა დაეხარჯათ, თუ თვითონ შეეცდებოდნენ იმ პროდუქტების დამზადებას. ქალაქი წარმოადგენს ბაზარს სოფლის გარდამეტი პროდუქტისათვის ანუ იმისათვის, რაც აღემატება მიწათმოქმედთა მოხმარების საჭიროებას; ქალაქში სოფლის მცხოვრებნი ამ გარდამეტს სცვლიან სხვა რაიმეზე, რაც მათ ესაჭიროებათ, რაც უფრო დიდია ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი და შემოსავალი, მით უფრო ფართოა ბაზარი, რომელსაც ქალაქი უქმნის სოფლის მცხოვრებთ, ხოლო რაც უფრო ფართოა ბაზარი, მით უფრო სასარგებლოა იგი ყოველთვის ადამიანთა უფრო დიდი რიცხვისათვის. პური, რომელიც ქალაქიდან სულ ერთი მილის ფარგალშია აღმოცენებული, იმავე ფასში იყიდება იქ, რა ფასშიაც ოცი მილის სიშორიდან მოტანილი პური, მაგრამ ამ უკანასკნელის ფასმა, ჩვეულებრივ, არა თუ უნდა დაჰფაროს ის ხარჯები, რომლებიც

გაწეულია მის საწარმოებლად და ბაზარზე მოსატანად, არამედ გარდა ამისა კიდევ, მიწათმოქმედებისათვის ჩვეულებრივი მოგება უნდა მისცეს ფერმერს. ამიტომ მიწის მესაკუთრენი და მიწათმოქმედნი, რომელნიც ქალაქის ახლოს ცხოვრობენ, მიწათმოქმედებისათვის ჩვეულებრივი მოგების გარდა იგებენ მათ მიერ გაყიდული პროდუქტის ფასში მსგავსი პროდუქტების ტრანსპორტის ღირებულებას, რომლებიც შორი ადგილებიდანაა მოტანილი, და გარდა ამისა მათ ეზოგებათ ასეთი ტრანსპორტის მთელი ღირებულება ყველაფრის ფასში, რასაც კი იყიდიან. შეადარეთ მიწების დამუშავება რომელიმე ქალაქის ახლოს იმ მიწების დამუშავებას, რომლებიც რაოდენადმე დაშორებულია მისგან, და ადვილად დარწმუნდებით, რა ძალიან მოგებაშია სოფელი იმ ადგილებშიც, რომლებიც მას ქალაქთან აქვს. ყველა იმ უაზრო თეორიებში, რომლებიც სავაჭრო ბალანსის შესახებ იყო გავრცელებული, არც ერთს არ უკისრია იმის მტკიცება, რომ სოფელი ზარალობს მისი ადგილებშიც, რომლებიც ქალაქთან ან რომ ქალაქი ზარალობს მისი ადგილებშიც სოფელთან, რომელიც მას ჰკვებავს.

რადგან, თვით საგნის ბუნებისამებრ, საზრდოს საგნები იმ მოთხოვნილებას წარმოადგენს, რომელსაც პირველი ადგილი უკავია კომფორტისა და ფუფუნების საგნებთან შედარებით, ამიტომ დარგი, რომელიც იძლევა პირველთ, წინ უნდა უძლოდეს იმ დარგებს, რომელნიც აწარმოებენ უკანასკნელთ. ამრიგად, დამუშავება და გაუმჯობესება მიწისა, რომელიც საარსებო საშუალებას იძლევა, აუცილებლად წინ უნდა უძლოდეს ზრდას ქალაქისას, რომელიც იძლევა მხოლოდ კომფორტისა და ფუფუნების საგნებს. სოფლის მხოლოდ გარდამეტი პროდუქტი ანუ ის, რაც მიწათმოქმედის მოხმარებას აღემატება, შეადგენს სარჩოს ქალაქისათვის, რომელსაც, ამიტომ, მხოლოდ ამ გარდამეტი პროდუქტის ზრდასთან ერთად შეუძლია ზრდა. რასაკვირველია, ქალაქი ყოველთვის როდი იღებს ყველა თავის საარსებო საშუალებას მის ახლო მდებარე სოფლებიდან ანდა იმ ტერიტორიიდანაც, რომელსაც იგი ეკუთვნის; მას შეუძლია ის მიიღოს ძალიან შორეული ქვეყნებიდან; და ეს, თუმცა იგი არ შეადგენს გამონაკლისს საერთო წესიდან, სხვადასხვა ეპოქებში და სხვადასხვა ხალხებში მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევდა სიმდიდრის განვითარების მსვლელობაში.

ამ წესს, რომელსაც საერთოდ აუცილებლობა ამყარებს, თუმცა არა ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ, ყოველ ცალკეულ ქვეყანაში ხელს უწყობენ ადამიანთა ბუნებრივი მიდრეკილებანი. ადამიანთა დაწესებულებანი რომ არასოდეს არ მიიმართებოდნენ ამ ბუნებრივ მიდრეკილებათა წინააღმდეგ, ქალაქები ვერსად ვერ გაიზრდებოდნენ იმაზე მეტად, ვიდრე მათ გამოკვებას შესაძლებელს ხდიდა იმ ტერიტორიის მიწების დამუშავება და გაუმჯობესება, სადაც ისინი მდებარეობდნენ, – ყოველ შემთხვევაში მანამდე ვერა, ვიდრე მთელი ის ტერიტორია არ იქნებოდა სავსებით დამუშავებული და გაუმჯობესებული. თანატოლი ანუ თითქმის თანატოლი მოგების არსებობისას მეტი წილი ადამიანები უმჯობესად რაცხენ თავიანთი კაპიტალები მოათავსონ მიწის გაუმჯობესებასა და დამუშავებაში, ვიდრე მანუფაქტურებსა და საგარეო ვაჭრობაში. ადამიანს, რომელიც თავის კაპიტალს მიწათმოქმედებაში ხმარობს, უფრო აქვს ეს კაპიტალი თავის თვალწინ და თავის განკარგულებაში, და მისი ქონება ნაკლებ ექვემდებარება სხვადასხვა შემთხვევითობას, ვიდრე ქონება ვაჭრისა, რომელიც ხშირად იძულებულია ანდოს იგი არა მარტო ქარსა და ტალღებს, არამედ აგრეთვე უფრო არასაიმედო სტიქიებს ადამიანთა უგუნურობის და უსამართლობისას, როდესაც იგი დიდ კრედიტებს აძლევს შორეულ ქვეყნებში ისეთ ადამიანებს, რომელთა ხასიათისა და

მდგომარეობის შესახებ მას იშვიათად შეუძლია ჰქონდეს რიგიანი ინფორმაცია. მემამულის კაპიტალი, პირიქით, რომელიც მისი მიწის გაუმჯობესებაში ჩამაგრებული, უზრუნველყოფილი არის, თითქოს, მაქსიმალურად ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, რამდენადაც ამას შესაძლებელს ხდის საერთოდ ბუნება ადამიანის საქმიანობისა. ბუნების სიტურფე, სოფლად ცხოვრების საამურობა, სულის სიმშვიდე, რასაც ეს ცხოვრება უქადის ადამიანს, და დამოუკიდებლობა, რასაც იგი ნამდვილად იძლევა, უკეთუ მას არ არღვევს ადამიანთა კანონების უსამართლობა, – ყველა ეს ისე მომხიბლავია, რომ მეტნაკლებ მიიზიდავს ყოველ ადამიანს. და რადგან მიწის დამუშავება დასაბამითვე დანიშნულება იყო ადამიანისა, ამიტომ ამ უკანასკნელს თავისი არსებობის ყველა საფეხურზე, ეტყობა, შენარჩუნებული აქვს უპირატესი მიდრეკილება ამ თავდაპირველი მოსაქმეობისადმი.

რასაკვირველია, ხელოსანთა განსაზღვრული რიცხვის დაუხმარებლივ მიწის დამუშავება ძალიან ძნელად მოხერხდება და იგი ხშირ-ხშირად უნდა შეწყვეტილიყო ყოველთვის. მქედლები, ხუროები, გუთნის და თვლების მკეთებლები, მეკასრეები, მეწაღეები და თერძები, – ყველა ესენი ხელოსნებია, რომლებსადმი მიმართვა მათი სამსახურის მისაღებად ხშირად სჭირდება მიწათმომქმედს. ეს ხელოსნებიც, თავის მხრივ, საჭიროებენ ერთმანეთის დახმარებას, და რადგან მათი საცხოვრებელი ადგილი აუცილებლად განსაზღვრულ ადგილთან არაა დაკავშირებული, როგორც მიწათმომქმედისა, ამიტომ ისინი, ბუნებრივია, ერთმანეთის ახლოს სახლდებიან და ამგვარად შეადგენენ პატარა ქალაქს ანუ დაბას. მალე მათ მიემატებიან ყასაბი, ლუდის მხდელი და მეპურე და მათ შემდეგ მთელი რიგი ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, რომელნიც საჭირონი და სასარგებლონი არიან მათ დროდადრო წარმომდგარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომელნიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ ქალაქის შემდგომ ზრდას. ქალაქის მცხოვრებნი და სოფლის მცხოვრებნი ერთმანეთს უწევენ სამსახურს. ქალაქი მუდმივი იარმუკა ანუ ბაზარია, რომელსაც სოფლის მცხოვრებნი მიმართავენ, რათა თავიანთი ნედლი პროდუქტები გასცვალონ გადამუშავებულ პროდუქტებზე. ამ აღებმიცემობის გზით ქალაქის მცხოვრებნი იღებენ როგორც მასალებს მათი სამუშაოსათვის, ისე საარსებო საშუალებებსაც. მზა პროდუქტების რაოდენობა, რომელსაც ისინი სოფლის მცხოვრებლებზე ჰყიდიან, განსაზღვრავს მასალებისა და სურსათის რაოდენობას, რომელსაც ისინი ყიდულობენ. ამიტომ მათი სამუშაო და მათი საარსებო საშუალებები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ იმასთან შეფარდებით, თუ როგორ იზრდება სოფლის მოთხოვნა მზა პროდუქტების მიმართ, და ეს მოთხოვნა კი შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მიწის გაუმჯობესებისა და დამუშავების ზრდის შესაბამისად. მაშასადამე, ადამიანთა დაწესებულებანი რომ არასოდეს არ არღვევდნენ საგანთა ბუნებრივ მსვლელობას, სიმდიდრის განვითარება და ქალაქების ზრდა ყოველ პოლიტიკურ საზოგადოებაში შედეგი და შესაბამისი იქნებოდა მოცემული ტერიტორიის ანუ ქვეყნის მიწების გაუმჯობესების და დამუშავებისა.

ჩვენს ჩრდილო-ამერიკის კოლონიებში, სადაც ჯერ კიდევ ადვილ პირობებში შეიძლება დაუმუშავებელი მიწის მიღება, დღემდე არც ერთ ქალაქში არაა გამართული მანუფაქტურები, რომელნიც შორეულ ბაზარზე ჰყიდდნენ თავიანთ პროდუქტებს. როდესაც ჩრდილო-ამერიკაში რომელიმე ხელოსანი დააგროვებს რაოდენადმე იმაზე მეტ კაპიტალს, რაც საჭიროა მისი საკუთარი სარეწაოს წარსამართავად, რომელიც ახლობელი მიდამოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, ის როდი ცდილობს იმ კაპიტალით მანუფაქტურა გამართოს პროდუქტების გასაყიდად შორეულ ადგილებში, არამედ მას ხმარობს

დაუმუშავებელი მიწის საყიდლად და დასამუშავებლად. ხელოსნიდან იგი იქცევა პლანტატორად, და ვერც მაღალი ხელფასი, ვერც ადვილი თავისრჩენა, რომელსაც ეს ქვეყანა უზრუნველყოფს ხელოსნებს, ვერ აცთუნებს მას იმუშაოს სხვებისათვის და არა თავისათვის. იგი გრძნობს, რომ ხელოსანი თავისი მუშტრების ყმა არის, რომლებსგანაც იღებს სარჩოს, მაშინ როდესაც პლანტატორი, რომელიც თავისი საკუთარი მიწის დამუშავებს ეწევა და საჭირო სარჩოს თავისი საკუთარი ოჯახის შრომით შოულობს, თვითონ არის ნამდვილად თავისთავის ბატონი და მთელი ქვეყნიერობისგან დამოუკიდებელი.

პირიქით, იმ ქვეყნებში, სადაც დაუმუშავებელი მიწა აღარ მოიპოვება ან მისი მიღება ადვილ პირობებში არ შეიძლება, თითოეული ხელოსანი, რომელმაც იმაზე მეტი კაპიტალი დააგროვა, რაც საჭიროა შემთხვევით სამუშაოთა შესარულებლად ახლობელი მიდამოებისათვის, ცდილობს ისეთი პროდუქტები დაამზადოს, რომლებიც გაიყიდება უფრო შორეულ ადგილას. მჭედელი აგებს რაიმე რკინის ქარხანას, ფეიქარი ტილოს ან შალის მანუფაქტურას. ეს სხვადასხვა მანუფაქტურები დროის განმავლობაში თანდათან სპეციალდებიან და, ამრიგად, უმჯობესდებიან და უფრო სრულყოფილნი ხდებიან მრავალგვარად, რაც ყველას ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს და ამიტომ საჭირო აღარაა განვმარტო უფრო დაწვრილებით.

როდესაც კაპიტალისათვის გამოყენებას ეძებენ, თანატოლი ან თითქმის თანატოლი მოგების არსებობისას, მანუფაქტურებს, ბუნებრივია, უპირატესობას აძლევენ საგარეო ვაჭრობის წინაშე იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც მიწათმოქმედებას ბუნებრივად უპირატესობას აძლევენ მანუფაქტურების წინაშე. როგორც მემამულის ან ფერმერის კაპიტალი უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე მემანუფაქტურის კაპიტალი, ისევე მემანუფაქტურის კაპიტალი, რომელიც მის მფლობელს აქვს მუდამ თავის თვალწინ და თავის განკარგულებაში, უფრო უზრუნველყოფილია ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, ვიდრე იმ ვაჭრის კაპიტალი, რომელიც საგარეო ვაჭრობას ეწევა. რასაკვირველია, საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე მისი ნედლი და გადამუშავებული პროდუქტების გარდამეტი ნაწილი, ე. ი. მათი ის ნაწილი, რომლისთვისაც მოთხოვნა არ არსებობს თვით ქვეყნის შიგნით, უნდა გაიგზავნოს საზღვარგარეთ რაიმეზე გასაცვლელად, რისთვისაც მოთხოვნა არის შინ. მაგრამ ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელ კაპიტალს – უცხოს თუ შინაურს – გააქვს ეს გარდამეტი პროდუქტი საზღვარგარეთ. თუ საზოგადოებას დაგროვილი არა აქვს საკმაო კაპიტალი როგორც ყველა მისი მიწის დასამუშავებლად, ისე ყველა მისი ნედლი პროდუქტის სავსებით გადასამუშავებლად, იმ შემთხვევაში ხელსაყრელიც კია ძალიან, რომ ეს ნედლი პროდუქტი უცხო კაპიტალმა გაზიდოს ხოლმე, რათა შესაძლებელი გახდეს საზოგადოების მთელი კაპიტალი უფრო სასარგებლო მიზნებისათვის იქნეს გამოყენებული. ძველი ეგვიპტის, ჩინეთის და ინდოსტანის სიმდიდრე საკმარისად გვიმტკიცებს, რომ ხალხმა შეიზლება მიაღწიოს სიმდიდრის ფრიად მაღალ საფეხურს, თუმცა მისი საექსპორტო ვაჭრობის უდიდეს ნაწილს უცხოელები აწარმოებენ. ჩვენი ჩრდილო-ამერიკის და ვესტ-ინდოეთის კოლონიების განვითარებას გაცილებით ნაკლებ სწრაფი მსვლელობა ექნებოდა, მათი გარდამეტი პროდუქტის საექსპორტოდ რომ მხოლოდ ის კაპიტალები ყოფილიყო გამოყენებული, რომლებიც თვით მათ ეკუთვნით.

ამრიგად, საგანთა ბუნებრივი მსვლელობისას, ყოველი განვითარებაში მყოფი საზოგადოების კაპიტალი პირველყოფლისა მიმართულია მიწათმოქმედებისაკენ, შემდეგ – მანუფაქტურებისაკენ და დაბოლოს – საგარეო ვაჭრობისაკენ. ეს წესი ისე

ბუნებრივია, რომ იგი, მე მგონია, ყოველ საზოგადოებაში, რომელსაც რაიმე შესამჩნევი ტერიტორია ჰქონდა, ყოველთვის სრულდებოდა ამა თუ იმ ზომით. მიწების ნაწილი უნდა დამუშავებულიყო მანამდე, ვიდრე რაოდენადმე მნიშვნელოვანი ქალაქები შეიძლებოდა წარმოშობილიყვნენ; და ამ ქალაქებში უნდა არსებულიყო რაიმე, თუნდ განუვითარებელი, მრეწველობა, ვიდრე მათთვის შესაძლებელი გახდებოდა იმაზე ფიქრი, რომ საგარეო ვაჭრობისათვის მოეკიდნათ ხელი.

თუმცა საგანთა ამ ბუნებრივ წესს ადგილი უნდა ჰქონებოდა რაიმე ზომით ყოველ ასეთ საზოგადოებაში, მაგრამ ყველა თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოში იგი ზოგ მხრივ ყირამალა იქნა დაყენებული. საგარეო ვაჭრობამ ზოგ ქალაქებში გამოიწვია დაფუძნება უფრო სათუთი მანუფაქტურების ანუ ისეთების, რომელთა პროდუქტები უცხო ბაზარზე გასატანადაა გამოსადეგი; ხოლო მანუფაქტურებმა და საგარეო ვაჭრობამ, ერთად, წარმოშვეს უმთავრესი გაუმჯობესებანი მიწათმოქმედებაში. ჩვეულება და ადათი, რომელიც პირვანდელი მთავრობის ბუნებამ შემოიღო ამ სახელმწიფოებში და რომელიც დარჩა მას შემდეგაც, რაც ის მთავრობა მნიშვნელოვნად შეიცვალა, აუცილებლობის გზით ძალად ეწევოდა მათ ამ არაბუნებრივი და რეგრესიული წესისაკენ.

თ ა ვ ი II

დაბრკოლებანი მიწათმოქმედების განვითარებისა ძველ ევროპაში რომის იმპერიის დაცემის შემდეგ

როდესაც გერმანულმა და სკითურმა ტომებმა რომის იმპერიის დასავლეთის პროვინციები წალეკეს, ის არევიდარევა, რომელიც მოჰყვა ესოდენ დიდ რევოლუციას, არ შეწყვეტილა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ძარცვამ და ძალმომრეობამ, რომელსაც ბარბაროსები აყენებდნენ ძველ მცხოვრებთ, შესწყვიტა აღებმიცემობა ქალაქებსა და სოფელს შორის. ქალაქები გაუდაბნოვდნენ, ხოლო მიწები დარჩა დაუმუშავებელი, და ევროპის დასავლეთის პროვინციები, რომელნიც რომაელთა ბატონობის დროს მნიშვნელოვანი ზომის კეთილდღეობაში იყვნენ, უღრმეს სიღატაკესა და ბარბაროსობაში ჩაიფლენ. ამ არევიდარევის ხანაში იმ ბარბაროს ტომთა მეთაურებმა და მთავარმა წინამძღოლებმა შეიძინეს ანუ ხელთიგდეს იმ ადგილების მიწების უდიდესი ნაწილი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელი იყო, მაგრამ დამოუკიდებლად იმისა, დამუშავებული იყო თუ დაუმუშავებელი, მიწის არც ერთი ნაკვეთი არ დარჩენილა, რომ მესაკუთრე არ გასჩენოდეს. ყველა ეს მიწა დასაკუთრებულ იქნა, და ამასთან მისი დიდი ნაწილი – მცირეოდენ მსხვილ მესაკუთრეთა მიერ.

დაუმუშავებელი მიწების ეს თავდაპირველი დასაკუთრება, თუმცა იგი დიდი ბოროტება იყო, შეიძლებოდა მაინც წარმავალი ბოროტება ყოფილიყო. მემკვიდრეობის ან გასხვისების გზით შეიძლებოდა ის მიწები კვლავ პატარ-პატარა ნაჭრებად დანაწილებულიყო. მაგრამ პირშობობის შესახებ კანონი შეუძლებელს ხდიდა მიწების დანაწილებას მემკვიდრეობის გზით, ხოლო ფიდაიკომისების დაწესება ხელს უშლიდა, რომ მიწები პატარ-პატარა ნაჭრებად დაყოფილიყო გასხვისების გზით.

როდესაც მიწა, ისე როგორც მოძრავი ქონება, მიჩნეულია მხოლოდ და მხოლოდ საშუალებად არსებობისა და თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, ბუნებრივი სამემკვიდრეო კანონი მიწას, ისე როგორც მოძრავ ქონებას, ჰყოფს ოჯახის ყველა შვილთ შორის, ვინაიდან, უნდა ვიფიქროთ, მათი – ყველასი – არსებობა თანაბრად ძვირფასია მამისთვის. ამიტომ ასეთი ბუნებრივი სამემკვიდრეო კანონი მოქმედებდა რომაელებში, რომელნიც მემკვიდრეობით მიწების გადაცემისას ისევ ნაკლებ ახდენდნენ განსხვავებას უფროსსა და უმცროს შვილებს შორის, ვაჟებსა და ქალებს შორის, როგორც ჩვენ – მოძრავი ქონების გაყოფისას. მაგრამ როდესაც მიწას დაუწყეს ცქერა არა როგორც მარტოოდენ თავის შენახვის წყაროს, არამედ აგრეთვე როგორც ძალაუფლებისა და გავლენის წყაროს, მაშინ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული, რომ მიწა მარტო ერთ შვილს გადასცემოდა გაუყოფელად. იმ შფოთიან ხანაში ყოველი მსხვილი მემამულე წარმოადგენდა ერთგვარად პაწია მთავარს. ისინი, ვისაც მისი მიწები ეჭირათ, მის ქვეშევრდომებს წარმოადგენდნენ. იგი იყო მათი მოსამართლე და ერთგვარი მათი კანონმდებელიც მშვიდობიანობის დროს და წინამძღოლი ომის დროს. იგი ომს ეწევოდა, როცა ამას საჭიროდ დაინახავდა, ხშირად თავისი მეზობლების წინააღმდეგ და ზოგჯერ თავისი მეფის წინააღმდეგაც. ამიტომ მამულის უშიშროება, მფარველობა, რომლის გაწევა შეეძლო მის მესაკუთრეს იმათთვის, ვინც იმ მამულში ბინადრობდნენ, მამულის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. მისი დაყოფა ნიშნავდა გზის გაკვალვას მის გასანადგურებლად და ყველა მისი ნაწილის დასარბევად და ჩასაყლაპავად მეზობელთა შემოჭრის დროს. ამის გამო დაწესდა – მართალია, არა ერთბაშად, არამედ დროის განმავლობაში – საპირშმოო კანონი მამულების მემკვიდრეობისათვის იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც დაწესდა ასეთი კანონი მონარქიული ხელისუფლებისათვის, თუმცა არა ყოველთვის ამ უკანასკნელის წარმოშობისთანავე. იმისათვის, რომ მონარქიული ხელისუფლების ძლიერება და, მაშასადამე, სიმტკიცე გაყოფით არ შესუსტდეს, იგი მთლიანად უნდა გადაეცეს ერთ-ერთ შვილს. სახელდობრ რომელს უნდა მიეცეს ესოდენ დიდი უპირატესობა, ამას უნდა ამყარებდეს რაიმე საერთო კანონი, რომელიც დაფუძნებულია არა პირადი დამსახურების ან ღირსების საეჭვო ნიშნებზე, არამედ რაიმე ნათელ და ცხად ნიშანზე, რომელიც არ შეიძლება საცილობელ საგანს შეადგენდეს. ერთი და იმავე ოჯახის შვილებს შორის აუცილებელი განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ სქესისა და ასაკის მხრივ. საყოველთაოდ მამრობით სქესს უპირატესობა ეძლევა მდედრობითის წინაშე, და, ყველა სხვა პირობათა თანასწორობისას, უფროსი ყოველთვის უმცროსზე წინ არის. ასე წარმოსდგა უფლება პირმშობისა და ის, რასაც პირდაპირი ხაზით მემკვიდრეობას უწოდებენ.

კანონებს ხშირად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ძალა დიდხანს მას შემდეგ, რაც მოისპო ის გარემოებანი, რომელთაც წარმოშვეს ისინი და რომელთაც მარტოოდენ შეუძლიათ მათი გამართლება. ევროპის ახლანდელ მდგომარეობაში რაღაც ერთი აკრი მიწის მესაკუთრეც ისევე მტკიცედ ფლობს მას, როგორც ასი ათასი აკრის მესაკუთრეც. და მაინც პირმშობის უფლება წინანდებურად დაცული არის და, ალბათ, კიდევ რამდენსამე საუკუნეს იქნება დაცული, ვინაიდან იგი, ყველა სხვა დაწესებულებათა შორის, უფრო შესაბამისია იმისათვის, რომ საზრდო მისცეს გვაროვნული უპირატესობით ამყობას. ყველა სხვა მხრივ არ შეიძლება არსებობდეს სხვა რამ უფრო საწინააღმდეგო ოჯახის ნამდვილი ინტერესისათვის, ვიდრე ის უფლება არის, რომელიც ერთი შვილის გამდიდრების გულისთვის მათხოვრებად აქცევს ყველა დანარჩენთ.

ფიდაიკომისები წარმოადგენენ საპირმშოო კანონის ბუნებრივ შედეგს. ისინი დააწესეს განსაზღვრული, პირდაპირი ხაზით მემკვიდრეობის უზრუნველსაყოფად, რისი აზრი პირველად საპირმშოო კანონმა აღძრა, და იმის ასაცილებლად, რომ თავდაპირველი მამულის რაიმე ნაწილი გასულიყო ძირითადი ხაზის მფლობელობიდან რომელიმე მემკვიდრის მიერ გაჩუქების, ანდერძის ან გასხვისების გზით, ან მისი უგუნურობისა თუ უბედურობის მიზეზით. ფიდაიკომისები სრულიად უცნობი იყო რომაელებისათვის. მათ სუბსტიტუციებსა და ფიდაიკომისებს არავითარი მსგავსება არა აქვთ ახალი დროის ფიდაიკომისებთან, თუმცა ფრანგი იურისტებიდან ზოგიერთებმა შესაბამისად ჩასთვალეს აღნიშნულ ძველ დაწესებულებათა სამოსელსა და ტერმინებში გაეხვიათ ეს თანამედროვე დაწესებულება.

იმ ხანაში, როდესაც დიდი მამულები ერთგვარ სამთავროებს წარმოადგენდა, ფიდაიკომისებს შეიძლებოდა განსაზღვრული აზრი ჰქონებოდათ. ზოგიერთი მონარქიების ეგრეთწოდებული ძირითადი კანონების მსგავსად, მათ შეეძლოთ ხელი შეეშალათ იმისათვის, რომ მრავალ ათას ადამიანთა უშიშროება ერთი ადამიანის უჯიათობითა და მფლანგველობით ხიფათში ყოფილიყო ჩავარდნილი. მაგრამ თანამედროვე ევროპაში, სადაც როგორც წერილ, ისე მსხვილ მამულებს სიმტკიცე სათანადო ქვეყნის კანონებით აქვს უზრუნველყოფილი, ამ ფიდაიკომისებზე უფრო უაზროს ვერას წარმოიდგენს ადამიანი. ისინი დაფუძნებული არიან ყოვლად უგუნურ ნაგულისხმევზე, _ იმაზე, რომ ერთი მეორის მიმდევრო თაობათ ადამიანთა თანასწორი უფლება არა აქვთ მიწასა და ყველა იმაზე, რასაც მიწა შეიცავს, რომ თანამედროვე თაობის საკუთრება იმ ადამიანთა ნება-სურვილის მიხედვით უნდა იყოს შემოფარგლული და მოწესრიკებული, რომელნიც, იქნებ, ხუთასი წლის წინათ გარდაიცვალნენ. მიუხედავად ამისა, მეტწილ ევროპაში ფიდაიკომისები დღემდე შენარჩუნებულია განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც აზნაურული ჩამომავლობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამოქალაქო თუ სამხედრო საპატიო თანამდებობათა დასაჭერად. ფიდაიკომისები საჭიროდ იყო მიჩნეული, რათა დაცული ყოფილიყო აზნაურობის განსაკუთრებული პრივილეგია ქვეყანაში მაღალი ადგილების და საპატიო თანამდებობათა დაჭერისა. და მას შემდეგ, რაც ამ წოდებამ ხელში ჩაიგდო ეს უსამართლო უპირატესობა მის თანამოქალაქეთა მიმართ, საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ მისთვის მიეცათ კიდევ მეორე უპირატესობა, რათა მის სიღარიბეს სასაცილოდ არ გაეხადა ეს პრივილეგია. ინგლისში, მართალია, საყოველთაო სამართალი, როგორც ამბობენ, უარყოფითად განწყობილია სამარადისო საკუთრების მიმართ და ამიტომ ასეთი საკუთრება აქ უფრო შეზღუდულია, ვიდრე რომელსამე სხვა ევროპულ მონარქიაში, თუმცა ინგლისიც არაა უიმისოდ დარჩენილი. რაც შეეხება შოტლანდიას, აქ ვარაუდობენ, რომ ქვეყნის ყველა მიწის ერთ მეხუთედზე მეტი, და იქნებ ერთ მესამედზე მეტიც, ამჟამად ფიდაიკომისების სასტიკ რეჟიმს ექვემდებარება.

ამგვარად, დაუმუშავებელი მიწების დიდ ფართობს არა თუ ყადაღა დაედო ცალკეულ გვარეულობათა მიერ, არამედ აგრეთვე თითქმის სამუდამოდ მოსპობილ იქნა მათი დანაწილების შესაძლებლობა. და ისეთი შემთხვევა კი იშვიათია, რომ დიდი მემამულე იმავე დროს მიწების დიდი გამაუმჯობესებელი იყოს. იმ არეულობის ხანაში, რომელმაც ეს ბარბაროსული დაწესებულება წარმოშვა, მსხვილი მემამულე სავსებით იმას უნდებოდა, რომ დაეცვა თავისი საკუთარი მამულები ან თავისი სამართალი და ხელისუფლება გაევრცელებია თავისი მეზობლების ტერიტორიებზე. მას არ ჰქონდა თავისუფალი დრო იმისათვის, რომ ეზრუნა მიწის

დამუშავებისა და გაუმჯობესებისათვის. ხოლო როდესაც კანონისა და წესრიგის განმტკიცებამ ეს მოცალეობა მისცა, მას არ ჰქონდა ხშირად მიდრეკილება ამისადმი და თითქმის არასოდეს საჭირო უნარი და მოხერხება. თუ თვით მისი და მისი სახლის შენახვის ხარჯს მთლად მიჰქონდა მისი შემოსავალი ან აღემატებოდა მას, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი, მას არ მოეპოვებოდა კაპიტალი მიწის გაუმჯობესებისთვის გამოსაყენებლად. თუ იგი დამზოგველი იყო, უფრო ხელსაყრელად მიაჩნდა თავისი წლიური დანაზოგი ახალი მიწების საყიდლად გამოყენებია, ვიდრე მისდამი კუთვნილი მიწების გასაუმჯობესებლად დაეხარჯა იგი. იმისათვის, რომ ადამიანმა მოგებიანად წარმართოს მიწის გაუმჯობესება, საჭიროა, როგორც ყველა სხვა კომერციულ საქმეში, რომ იგი დაკვირვებით ამჩნევდეს ყველა, თუნდაც სულ მცირე, დანაზოგს და მოგებას, რისი უნარიც იშვიათად აქვს ისეთ ადამიანს, რომელიც დიდი ქონების პატრონია დაბადებიდანვე, თუნდ რომ იგი დამზოგველიც იყოს ბუნებით. ასეთი ადამიანის მდგომარეობა, რასაკვირველია, ხელს უწყობს იმას, რომ მას მიდრეკილება ჰქონდეს უფრო გარეგანი შემკობილობისადმი, რაც მის გემოვნებას აკმაყოფილებს, ვიდრე მოგებისადმი, რასაც იგი ესოდენ ნაკლებ საჭიროებს. ბავშვობიდანვე იგი დაჩვეულია ისეთ საგნებზე ზრუნვას, როგორცაა სილამაზე მისი ტანსაცმელი, მისი ეტლის, სახლისა და ავეჯეულობის. აზრ-მიდრეკილება, რომელსაც ბუნებრივად ჰქმნის ასეთი ჩვეულება, მას ახლავს მაშინაც, როდესაც იგი მამულის გაუმჯობესებაზე ფიქრს შეუდგება. იგი, იქნებ, გაამშვენიერებს 400 ან 500 აკრ მიწას, რომელიც მის სასახლეს აკრავს, და დახარჯავს ამისათვის ათჯერ მეტს იმაზე, რაც მიწა ეღირება გაუმჯობესების შემდეგ, ხოლო ამის შემდეგ დარწმუნდება, რომ თუ მან ასევე გააუმჯობესა – და სხვაგვარად მას არ ეხერხება – დანარჩენი მამული, იგი გაკოტრდება, ვიდრე სამუშაოს მეათედს შეასრულებდეს. შეერთებული სამეფოს ორსავე ნაწილში მოიპოვება რამდენიმე დიდი მამული, რომელიც ფეოდალური მონარქიის შემდეგ ერთი და იმავე გვარის ხელშია განუწყვეტლივ დარჩენილი. საკმარისია შეადაროთ ამ მამულების ახლანდელი მდგომარეობა იქაურ მეზობელ წვრილ მესაკუთრეთა მამულებს და მაშინ სხვა საბუთი არ დაგვჭირდება, რათა დარწმუნდეთ, თუ რაოდენ არახელსაყრელია ესოდენ დიდი ზომის საკუთრება მიწის გაუმჯობესებისათვის.

თუ ასეთი დიდი მესაკუთრეებისგან მიწის ნაკლებად გაუმჯობესება იყო მოსალოდნელი, მით უფრო ნაკლებ შეიძლებოდა ეს მოსალოდნელი ყოფილიყო იმათგან, ვისაც მათი მიწები ეჭირათ. ძველ ევროპაში მიწის დამჭერი გლეხები ყველანი მებატონის ნება-სურვილზე იყვნენ დამოკიდებული. თითქმის ყველა ისინი მონები იყვნენ, თუმცა მათი მონობა უფრო რბილი სახისა იყო, ვიდრე ის მონობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ ბერძნებსა და რომაელებში ან თუნდ ჩვენს ვესტ-ინდოეთის კოლონიებში. იგულისხმებოდა, რომ ისინი უფრო უშუალოდ ეკუთვნოდნენ მიწას, ვიდრე მათ მებატონეს. ამიტომ მათი გაყიდვა შეიძლებოდა მიწასთან ერთად, მაგრამ არა მიწისგან მოცილებულად. ბატონის ნებართვით მათ შეეძლოთ დაქორწინება, და ბატონი შემდეგ ამ ქორწინებას ვერ დაარღვევდა ქმრისა და ცოლის სხვადასხვა პირებზე გაყიდვის გზით. თუ ბატონი დაასახიჩრებდა ან მოჰკლავდა ერთ-ერთ თავის გლეხს, იგი ექვემდებარებოდა განსაზღვრულ სასჯელს, თუმცა ჩვეულებრივ ძალიან მცირეს. გლეხებს კი არ ჰქონდათ საკუთრების შეძენის უფლება. ყველაფერი, რასაც გლეხები შეიძენდნენ, ბატონის შენაძენად ითვლებოდა, და მას შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ წაეღო იმათგან მათი შენაძენი. მიწის ყოველგვარი დამუშავება და გაუმჯობესება, რაც კი ასეთი მონების დახმარებით შეიძლებოდა შესრულებულიყო, სრულდებოდა, ნამდვილად, მათი ბატონის მიერ, და

სრულდებოდა მის ხარჯზე. თესლი, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, – ყველაფერი მას ეკუთვნოდა. და მოგებაც მარტო მისი იყო. ამ მონებს მხოლოდ იმის შეძენა შეეძლოთ, რაც მათი ყოველდღიური არსებობისათვის იყო საჭირო. ამრიგად, ამ შემთხვევაში საკუთრივ თვითონ მემამულე ფლობდა ყველა თავის მიწას და მის დამუშავებას ეწეოდა თავისი ყმების ხელით. ასეთი სახის მონობა დღემდე კიდევ არსებობს რუსეთში, პოლონეთში, უნგრეთში, ბოჰემიაში, მორავიაში და გერმანიის სხვა ნაწილებში. მხოლოდ ევროპის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში იქნა იგი თანდათან სრულიად მოსპობილი.

მაგრამ თუ საერთოდ იშვიათადაა მიწის დიდი გაუმჯობესება მსხვილი მესაკუთრეებისაგან მოსალოდნელი, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია იგი იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მონებს გამოიყენებს მუშებად. ყველა დროისა და ხალხის გამოცდილება, მგონია, იმას გვიდასტურებს, რომ მონების მიერ შესრულებული სამუშაო, თუმცა იგი თითქოს მარტო მათი შენახვის ხარჯს მოითხოვს, ყველაზე უფრო ძვირი სამუშაო არის. კაცი, რომელსაც არავითარი საკუთრების შეძენა არ შეუძლია, დაინტერესებულია მხოლოდ იმაში, რომ რაც შეიძლება ბევრი სჭამოს და რაც შეიძლება ცოტა იმუშაოს. მხოლოდ ძალდატანებით და არა მისი საკუთარი ინტერესით, შეიძლება იგი იძულებულ იქნეს იმაზე მეტი იმუშაოს, რაც საკმარისი არის მისი შენახვის ხარჯის დასაფარავად. როგორც პლინიუსი, ისე კალუმელა აღნიშნავენ, რაგვარად დაეცა ძველ იტალიაში პურის მოწევის საქმე, როგორ არახელსაყრელი გახდა იგი მას შემდეგ, რაც მონების ხელში გადავიდა. ბევრად უკეთ არ იყო საქმე ძველ საბერძნეთშიც არისტოტელის დროს. იქ, სადაც იგი ლაპარაკობს იდეალურ რესპუბლიკაზე, რომელიც პლატონის “კანონებშია” აწერილი, ამბობს: ხუთი ათასი უქმი ადამიანის შესანახად (მეომართა ეს რიცხვი იყო საჭიროდ მიჩნეული იმ რესპუბლიკის დასაცავად) მათი ცოლებითა და მსახურებითურთ საჭირო იქნებოდა უზომო სიდიდისა და ნაყოფიერობის მქონე ტერიტორია, ბაბილონის დაბლობის მსგავსიო.

ამპარტავნობა ადამიანს აყვარებს ბატონობას, და მის გრძნობას ისე არ შეურაცხყოფს, როგორც ის, რომ იგი იძულებული იყოს თავი გაუყადროს მასზე დაბლა მდგომ ადამიანებს, – ეჩიჩინოს მათ რაიმეში დასაყოლიებლად. ამიტომ, თუ კანონი ამის ნებას იძლევა და სამუშაოს ხასიათი ამას შესაძლებელს ხდის, იგი საერთოდ რჩევობს უფრო მონების მუშაობას, ვიდრე თავისუფალი ადამიანებისას. შაქრის და თამბაქოს მოყვანას შეუძლია აიტანოს მონური შრომით წარმოებული დამუშავების ხარჯები; პურის მოყვანას ამჟამად, როგორც ეტყობა, არ ძალუძს ამ ხარჯების ატანა. ინგლისის კოლონიებში, რომელთა მთავარ პროდუქტს პური შეადგენს, სამუშაოს უდიდეს ნაწილს თავისუფალი ადამიანები ასრულებენ. პენსილვანიის კვაკერების უკანასკნელი დადგენილება, რომ გაანთავისუფლონ ყველა მათი მონა ზანგი, გვიმტკიცებს, რომ ამ მონების რიცხვი არ შეიძლება იყოს ძალიან დიდი. ზანგები რომ მათი საკუთრების რაოდენადმე მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, ასეთი დადგენილება ვერასოდეს ვერ იქნებოდა მიღებული. ჩვენს შაქრის მწარმოებელ კოლონიებში, პირიქით, მთელ სამუშაოს მონები ასრულებენ, ხოლო თამბაქოს მწარმოებელ კოლონიებში სამუშაოს დიდი ნაწილი სრულდება მათ მიერვე. შაქრის პლანტაციის მოგება ყოველ ჩვენს ვესტ-ინდოეთის კოლონიაში ჩვეულებრივ ბევრად უფრო დიდია, ვიდრე რაიმე სხვა კულტურისა, რომელიც კი ცნობილია ევროპასა ან ამერიკაში, ხოლო თამბაქოს პლანტაციის მოგება თუმცა შაქრის პლანტაციისაზე ნაკლებია, მაგრამ მაინც აღემატება, როგორც აღნიშნული იყო, პურის მოყვანის გზით მიღებულ მოგებას. როგორც შაქრის, ისე თამბაქოს

პლანტაციას შეუძლია მონური შრომის ხარჯების გამართლება, მხოლოდ პირველს უფრო, ვიდრე მეორეს. ამიტომ ზანგების რიცხვი თეთრკანიანი მუშების რიცხვთან შედარებით ბევრად უფრო დიდია ჩვენს შაქრის მწარმოებელ კოლონიებში, ვიდრე თამბაქოს მწარმოებლებში.

ძველი დროის მიწათმოქმედი მონების ადგილი თანდათან დაიკავეს ერთგვარმა ფერმერებმა, რომელნიც ამჟამად საფრანგეთში მეღალეების (métayers) სახელწოდებით არიან ცნობილნი. ლათინურად მათ ეწოდებად coloni patriarii. ისე დიდი ხანია, რაც ისინი გაჰქრენ ინგლისში, რომ მე ახლა მათი ინგლისური სახელი არ ვიცი. მემამულე ასეთი ფერმერების განკარგულებაში გადასცემდა თესლს, პირუტყვს და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, _ ერთი სიტყვით, მთელ მარაგს, რაც საჭირო იყო მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად. მიღებული პროდუქტები იყოფოდა თანასწორად მემამულესა და ფერმერს შორის, მას შემდეგ რაც იქიდან გადადებული იქნებოდა იმდენი, რამდენიც მიიჩნევოდა საჭიროდ მარაგის შესანარჩუნებლად; ეს მარაგი უბრუნდებოდა მემამულეს, როდესაც ფერმერი მიწას დატოვებდა ან მას იქიდან განდევნიდნენ.

ასეთი ფერმერების მიერ დაჭერილი მიწის დამუშავება არსებითად ისევე მემამულის ხარჯზე სწარმოებს, როგორც მონების მიერ დამუშავება. მათ შორის მხოლოდ ერთი მეტად არსებითი განსხვავება არის. ასეთ ფერმერებს, რადგან ისინი თავისუფალი ადამიანები არიან, შეუძლიათ საკუთრების შექმნა; და რამდენადაც ისინი იღებენ მიწის პროდუქტის განსაზღვრულ ნაწილს, ცხადად დაინტერესებული არიან იმაში, რომ მთელი პროდუქტი რაც შეიძლება უფრო დიდი იყოს, რათა, ამგვარად, მათი წილიც უფრო დიდი გახდეს. პირიქით, მონა, რომელსაც არა შეუძლია რა შეიძინოს გარდა თავის შესანახისა, ცდილობს ყოველთვის თავი არ შეიწუხოს შრომით და მიწის პროდუქტს რაც შეიძლება ნაკლებ გადააჭარბებინოს ამ შესანახზე. ალბათ, ნაწილობრივ აღნიშნული უპირატესობის გამო იყო და ნაწილობრივ აგრეთვე მსხვილ მემამულეთა ავტორიტეტზე იერიშების მიტანის გამო, რისთვისაც ყმებს თანდათან აქეზებდნენ მემამულეთა მუდამ მოქიშპე მეფეები და რამაც დაბოლოს, როგორც ეტყობა, ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ამ სახის მონობა პირდაპირ მავნებელი შეიქნა, _ ალბათ, ამის გამო იყო, რომ ბატონყმობა თანდათან მოისპო ევროპის მეტ ნაწილში. მაგრამ ის მომენტი, როდესაც წარმოსდგა ესოდენ მნიშვნელოვანი რევოლუცია, და ის წესი, რა წესითაც იგი განხორციელდა, ყველაზე უფრო ბნელი პუნქტებია ახალ ისტორიაში. რომის ეკლესია მიიწერს დიდ დამსახურებას ამ საქმეში, და მართლაც ცნობილია, რომ უკვე მე-XII საუკუნეში პაპა ალექსანდრე III-მ გამოსცა ბუღა მონების საერთოდ განთავისუფლების შესახებ. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ბუღა უფრო კეთილმსახურულ შეგონებას წარმოადგენდა, ვიდრე კანონს, რომლის მიმართ აუცილებელი მორჩილება მოითხოვებოდა ყველა მორწმუნეთაგან. მონობა განაგრძობდა არსებობას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამის შემდეგ თითქმის ყველგან, ვიდრე იგი მოსპობილი არ იქნა ზემოაღნიშნული ორი ინტერესის შეერთებული ზემოქმედების გამო, _ მემამულისა, ერთის მხრივ, და მეფისა, მეორე მხრივ. განთავისუფლებულ ყმას, რომელსაც ნება დართეს თავის მფლობელობაში შეენარჩუნებია მიწა, მაგრამ რომელსაც საკუთარი კაპიტალი არ ჰქონდა, ამ მიწის დამუშავება შეეძლო მხოლოდ იმით, რასაც მას ავანსად მისცემდა მემამულე, და ამიტომ იგი უნდა გადაქცეულიყო იმად, ვისაც ფრანგები მეღალეს უწოდებენ.

მაგრამ ამ უკანასკნელი სახის მიწათმოქმედთა ინტერესი ვერასოდეს ვერ აიძულებდა მათ მიწის შემდგომ გაუმჯობესებაზე დახარჯათ იმ მცირე კაპიტალის

ნაწილი, რომელსაც ისინი, შეიძლება, დაზოგავდნენ პროდუქტის თავიანთი წილიდან, ვინაიდან მემამულეს, რომელიც მონაწილეობას არ იღებდა ამ ხარჯში, მაინც უნდა მიეღო იმ გარდამეტი პროდუქტის ნახევარი, რაც ამ დანახარჯის შედეგად იქნებოდა მოპოვებული. დამტკიცებულია, რომ ათისთავი, რაც პროდუქტის მხოლოდ მეათედ ნაწილს შეადგენს, დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მიწის გაუმჯობესებისათვის. მით უფრო ნამდვილ დამაბრკოლებელი უნდა ყოფილიყო ის გადასახადი, რომელიც პროდუქტის ნახევარს შეადგენდა. მეღალის ინტერესი მოითხოვდა, მიწიდან აეღო ყველაფერი, რისი მოცემაც მიწას შეეძლო იმ კაპიტალის დანახარჯისას, რომელსაც მემამულე იძლეოდა; მაგრამ მისი ინტერესი არასოდეს არ მოითხოვდა, ამ კაპიტალისთვის რომ მას თავისი კაპიტალის რაიმე ნაწილი დაემატებია. საფრანგეთში, სადაც, როგორც ამბობენ, მთელი სამეფოს ხუთი მეექვსედი ამ კატეგორიის მიწათმოქმედთ უჭირავთ, მემამულეები სჩივიან, რომ მევალეები ყოველი შემთხვევით სარგებლობენ – მებატონის პირუტყვი ტვირთის გადასაზიდად გამოიყენონ უფრო, ვიდრე მიწათმოქმედებაში, ვინაიდან პირველ შემთხვევაში მთელი მოგება მათვე ხვდებათ, ხოლო მეორე შემთხვევაში მემამულეს უნდა გაუყონ. ამგვარი გლეხები არსებობენ კიდევ შოტლანდიის ზოგიერთ ადგილებში; მათ იქ ფოლად-მშვილდიან (steel-bow) მოიჯარადრეებს უწოდებენ. ის ძველი დროის ინგლისელი მოიჯარადრეები, რომელნიც, უზენაესი მოსამართლის ჯილბერტის და დოქტორ ბლექსტონის სიტყვით, მემამულის უფრო მოურავებს წარმოადგენენ, ვიდრე მოიჯარადრეებს, ალბათ, ამავე კატეგორიას ეკუთვნოდნენ.

ამ კატეგორიის მოიჯარადრეებს მოჰყვნენ, თუმცა ძალიან ნელი ტემპით, ფერმერები ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომელნიც თავიანთი საკუთარი კაპიტალით ეწეოდნენ მიწის დამუშავებას და განსაზღვრულ რენტას უხდიდნენ მემამულეს. როდესაც ასეთი ფერმერები რამდენიმე წლით იღებენ იჯარას, მათ შეიძლება ზოგჯერ თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნიონ მიწის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გამოიყენონ თავიანთი კაპიტალის ნაწილი, ვინაიდან შეუძლიათ იმდენი ჰქონდეთ, რომ იჯარის ვადის გასვლამდე აინაზღაურებენ გაწეულ დანახარჯს მნიშვნელოვანი მოგებითურთ. მაგრამ ასეთი ფერმერების მდგომარეობაც დიდხანს მეტისმეტად მერყევი იყო და არის დღესაც ევროპის ბევრ ნაწილში. მიწის მყიდველს შეეძლო, კანონის თანახმად, ჩამოერთვა მათთვის იჯარის ვადის გასვლამდე მათ მიერ იჯარით აღებული მიწა; ინგლისში ეს შეიძლებოდა ფიქციური სარჩელითაც ქონების დაბრუნების შესახებ (Action of a common recovery). იმ შემთხვევაში, როდესაც მემამულე უკანონოდ, ძალადობით განდევნიდა ფერმერებს, პროცედურა, რომლის გზითაც ამ უკანასკნელთ შეეძლოთ აღედგინათ თავიანთი უფლება, მეტისმეტად დეფექტიანი იყო. ისინი ვერ იბრუნებდნენ ყოველთვის მიწას, მათ მიუსჯიდნენ მხოლოდ სანაზღაუროს, რომელიც არასოდეს არ ჰფარავდა მათ ზარალს. ინგლისშიც კი, – იმ ქვეყანაში, სადაც თავისუფალი გლეხობა ყოველთვის დიდ პატივში იყო, პირველად ჰენრი VII-ის მეფობის მე-14 წელს იქნა პრაქტიკაში შემოღებული სარჩელი განდევნის შესახებ, რომლის საფუძველით მოიჯარადრეს ეძლეოდა არა მარტო ზარალის ანაზღაურება, არამედ წართმეული მიწის ფლობაც, და მისი სარჩელის გამო უდაბლესი სასამართლო ინსტანციის საექვო დადგენილება არ იყო აუცილებლად საბოლოო განაჩენად მიჩნეული. ეს სასარჩელო პროცედურა ისე ეფექტიური საშუალება აღმოჩნდა, რომ თანამედროვე პრაქტიკაში მემამულე, რომელსაც უხდება სარჩელის აღძვრა მიწის დაბრუნების შესახებ, იშვიათად სარგებლობს იმ პროცედურით, რომელიც დაწესებულია სპეციალურად მიწის მესაკუთრისათვის, ე. ი. არ აღძრავს სარჩელს ქონების დაბრუნების ანუ

მფლობელობაში შეყვანის შესახებ, არამედ მოიჯარადრის სახელით იწყებს სარჩელს განდევნის შესახებ. ამრიგად, ინგლისში მოიჯარადრის მფლობელობას ისეთივე სიმტკიცე აქვს, როგორც მიწის მესაკუთრისას. გარდა ამისა, ინგლისში სიცოცხლის ხნის იჯარა, წლიურად 40 შილინგის ღირებულებისა, თავისუფალ მამულად ითვლება და მოიჯარადრეს ხმის უფლებას აძლევს პარლამენტის წევრთა არჩევნებში; და რადგან გლეხობის დიდ ნაწილს ამგვარი თავისუფალი მამულები აქვს, გლეხთა მთელ წოდებას პატივი ედება მათ მემამულეთა თვალში იმ პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, რომელსაც ეს მათ აძლევს. მე მგონია, ვერსად ევროპაში, გარდა ინგლისისა, ვერ ნახავთ იმის მაგალითს, რომ მოიჯარადრე შენობას აგებდეს მიწაზე, რომელიც მისი იჯარის ფარგალში არ შედის, იმ იმედით, რომ მემამულეს სინიდის ნებას არ მისცემს ისარგებლოს მისი მიწის ესოდენ დიდი გაუმჯობესებით. ეს გლეხობისთვის ესოდენ ხელსაყრელი კანონები და ადათი, იქნებ, უფრო უწყობდა ხელს ინგლისის აწინდელ დიდებას, ვიდრე მთელი მისი ნაქები სავაჭრო კანონმდებლობა.

კანონი, რომელიც უდიდესი ხანგრძლივობის იჯარას უზრუნველყოფს მემამულის ყოველგვარ უფლებამონაცვლეთა მხრივ, არსებობს, რამდენადაც მე ვიცი, მხოლოდ დიდ ბრიტანეთში. შოტლანდიაში იგი დაწესებულ იქნა უკვე 1449 წელს იაკობ II-ის დროს. ეს კია, რომ ამ კანონის სასიკეთო გავლენა ძალიან ბრკოლდებოდა ფიდაიკომისების მეოხებით, ვინაიდან მათ მემკვიდრეებს არ შეეძლოთ მიწის გაცემა რაოდენადმე ხანგრძლივი ვადით, ხშირად ერთ წელიწადზე მეტი ვადითაც კი. ახლახან გამოცემულმა პარლამენტის აქტმა რაოდენადმე შეარბილა ეს შეზღუდვა, თუმცა იგი მაინც კიდევ ძალიან საგრძნობი არის. გარდა ამისა, ვინაიდან იჯარა შოტლანდიაში არ იძლევა ხმის უფლებას საპარლამენტო არჩევნებში, გლეხობას იქ მემამულეთა თვალში ნაკლები პატივი აქვს, ვიდრე ინგლისში.

ევროპის სხვა ნაწილებში, მას შემდეგ, რაც საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ მოიჯარადრეები უზრუნველყოფთ მამულის მემკვიდრეებისა და მყიდველების მხრივ, ამ უზრუნველყოფის ვადა ძალიან მოკლე პერიოდით იქნა შემოფარგლული: საფრანგეთში, მაგალითად, ცხრა წლით იჯარის დასაწყისიდან. აღნიშნული ქვეყანაში ეს ვადა ახლახან 27 წლამდე გააგრძელეს, მაგრამ ეს პერიოდიც ძალიან მოკლეა იმისათვის, რომ მოიჯარადრე შეაგულიანოს უადრეს მნიშვნელოვან გაუმჯობესებათა შესასრულებლად. მემამულეები ძველთაგანვე კანონმდებლები იყვნენ მთელ ევროპაში. ამიტომ მიწის შესახებ კანონებიც მათ იმის შესაბამისად დააწესეს, რასაც ისინი სასარგებლოდ სთვლიდნენ მემამულეებისათვის. მათი აზრით, მემამულის ინტერესი მოითხოვდა, რომ არც ერთს, მისი წინაპრის მიერ ხელშეკრულობით გაცემულ იჯარას მისთვის ხელი არ შეეშალა, მთელი რიგირ წლების განმავლობაში, ესარგებლნა თავისი მიწის სრული ღირებულებით. სიხარბე და უსამართლობა ყოველთვის ბეცი არის, და იმ მემამულეებმა ვერ გაითვალისწინეს წინასწარ, რა ძალიან უნდა შეეშალა ხელი ასეთ წესს მიწის გაუმჯობესებისათვის და ამიტომ, დროის განმავლობაში, ზიანი მიეყენებია მემამულის ნამდვილი ინტერესებისათვის.

რენტის გადახდის გარდა, ფერმერები ძველთაგანვე ვალდებული იყვნენ მემამულისათვის გაეწიათ ბევრი სხვადასხვა სამსახური, რაც იშვიათად იყო საიჯარო ხელშეკრულებაში ზედმიწევნით ჩამოთვლილი ან რაიმე გარკვეული წესით განსაზღვრული; ამ სამსახურის განმსაზღვრელი იყო ადათი და საბატონო თუ საბარონო მამულის საჭიროება. ამიტომ ეს სამსახური, რასაც მეტწილად სავსებით თვითნებური ხასიათი ჰქონდა, მნიშვნელოვნად დამაბრკოლებელი და შემავიწროებელი იყო მოიჯარადრისა. შოტლანდიაში ყველა იმ სამსახურის

მოსპობამ, რაც გარკვევით აღნიშნული არ იყო საიჯარო ხელშეკრულებაში, არსებითად გააუმჯობესა სულ რამდენიმე წლის განმავლობაში გლეხობის მდგომარეობა.

სახელმწიფოსთვის გასაწევი სამსახური, რომელიც გლეხობას ჰქონდა დაკისრებული, არანაკლებ თვითნებურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე მისი კერძო სამსახური. გზების გაყვანა და შეკეთება, – ბეგარა, რომელიც დღემდე არსებობს, მგონია, ყველგან, თუმცა იგი არათანაბრად შემავიწროებელია სხვადასხვა ქვეყანაში, – არ წარმოადგენდა ამ სახის ერთადერთ სამსახურს. როდესაც მეფის მხედრობა, მისი კარი-ამალა ან რომელიმე მისი მოხელე გაივლიდა ამა თუ იმ ადგილში, იქაური გლეხები ვალდებული იყვნენ გამოეყვანათ მათთვის ცხენები, ურმები და მიეცათ სურსათი ინტენდანტის მიერ დაწესებულ ფასებში. დიდი ბრიტანეთი, რამდენადაც მე ვიცი, წარმოადგენს ევროპაში ერთადერთ მონარქიას, სადაც ეს ნატურალური ბეგარა სრულიად მოსპობილია. საფრანგეთსა და გერმანიაში იგი დღემდე არსებობს.

სახელმწიფო გადასახადები, რომლებიც გლეხებს აწვა, ისევე მოუწესრიგებელი და შემავიწროებელი იყო, როგორც ბეგარა. ძველი დროის მსხვილი მემამულეები, რომელნიც მეტისმეტად უნდომელნი იყვნენ მათი მეფისთვის ფულით დახმარების გაწევაში, ძალიან ხალისით თანხმდებოდნენ, რომ მეფეს, როგორც ისინი ამბობდნენ, გაეკრიჭა მათი მოიჯარადრენი, და იმდენი შეგნება არ ჰქონდათ – წინასწარ გაეთვალისწინებიათ, თუ როგორ ძალიან უნდა შეჰხებოდა ეს ბოლოს და ბოლოს მათ საკუთარ შემოსავალზე. გადასახადი, taille-ის სახელწოდებით, რომელიც დღესაც არსებობს საფრანგეთში, შეიძლება გამოდგეს იმ ძველებური კრეჭის მაგალითად. ეს არის ხარკი, დაწესებული მოიჯარადრის საგულვებელ მოგებაზე, რომელიც იანგარიშება იმ კაპიტალის მიხედვით, რაც მას აქვს თავის საიჯარო მეურნეობაში გამოყენებული. ამიტომ მოიჯარადრე დაინტერესებულია იმაში, რომ თავი გამოიჩინოს არმქონებლად და, მაშასადამე, რაც შეიძლება ნაკლები დახარჯოს მიწის დამუშავებაზე და სრულიად არ დახარჯოს რა მის გაუმჯობესებაზე. ფრანგი ფერმერი ხელში რომ კიდევ მოგროვდეს ეს რაიმე კაპიტალი, ეს taille მაინც შეუძლებლად ხდის მის გამოყენებას მიწათმოქმედებაში. გარდა ამისა, ეს ხარკი ითვლება პატივამყრელად ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც მას ექვემდებარება, ვინაიდან იგი მას რანგით არა თუ აზნაურზე, არამედ მოქალაქეზეც კი დაბლა აყენებს; და ყოველი ადამიანი, რომელიც სხვის მიწას იღებს იჯარით, ექვემდებარება ამ ხარკს. არც ერთი აზნაური, არც ერთი მოქალაქეც კი, რომელსაც კაპიტალი აქვს, არ ისურვებს განიცადოს ასეთი დამცირება. ამრიგად, ეს ხარკი არა თუ ხელს უშლის მიწათმოქმედებაში დაგროვილი კაპიტალის გამოყენებას მიწის გასაუმჯობესებლად, არამედ ყველა სხვა კაპიტალსაც განარიდებს ამ ასპარეზიდან. ძველებური ათისთავი და თხუთმეტისთავი, რაც ესოდენ გავრცელებული იყო ძველად ინგლისში, როგორც ეტყობა, იმავე ხასიათის ხარკს წარმოადგენდა, რასაც taille წარმოადგენს.

ყველა აღნიშნულ დაბრკოლებათა და სიძნელეთა არსებობისას არ შეიძლებოდა მოლოდინი ყოფილიყო იმისა, რომ მიწის დამჭერნი განახორცილებდნენ ნიადაგის დიდ გაუმჯობესებას. მიუხედავად ყველა თავისუფლების და უმუშროებისა, რისი მოცემაც კანონს შეუძლია, ადამიანთა ამ კლასს ფრიად არახელსაყრელ პირობებში უხდება ყოველთვის მიწის გაუმჯობესების წარმოება. ფერმერი მიწის მესაკუთრესთან შედარებით იმგვარსავე მდგომარეობაშია, როგორშიაც ის ვაჭარი არის, თავის ვაჭრობას რომ ნასესხები ფულით აწარმოებს, იმ ვაჭართან შედარებით, რომელიც საკუთარი ფულით ეწევა თავის ვაჭრობას. ორივე ვაჭრის კაპიტალმა შეიძლება იმატოს, მაგრამ პირველის კაპიტალმა, თანაბარი

სიფრთხილით საქმის წარმოებისას, უნდა იმატოს ყოველთვის უფრო ნელა, ვიდრე მეორისამ, ვინაიდან მოგების დიდი წილი სესხის სარგებელზე მიდის. ასევე მიწა, რომლის დამუშავებას ფერმერი ეწევა, თანაბარი სიფრთხილით საქმის წარმოებისას, უფრო ნელა უნდა გაუმჯობესდეს, ვიდრე ის მიწა, რომლის დამუშავებას მისი მესაკუთრე ეწევა, ვინაიდან პირველ შემთხვევაში რენტად გაიღება პროდუქტის დიდი ნაწილი, რომელიც ფერმერს, თვით რომ ყოფილიყო მიწის მესაკუთრე, მიწის შემდგომი გაუმჯობესებისათვის შეეძლო მოეხმარებია. გარდა ამისა, ფერმერის საზოგადოებრივი მდგომარეობა, თვით საგანთა ბუნებისამებრ, მესაკუთრის მდგომარეობაზე დაბალი არის. მეტწილ ევროპაში გლეხობა მოსახლეობის დაბალ კლასად ითვლება, ვაჭრებისა და ხელოსნების მაღალ ფენებთან შედარებითაც კი, და ყველგან ევროპაში დაბალ კლასად ითვლება მსხვილ ვაჭრებსა და მემანუფაქტურეებთან შედარებით. ამიტომ იშვიათად მოხდება, რომ რაოდენადმე მნიშვნელოვანი კაპიტალის პატრონმა ადამიანმა ისურვოს მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე ხელის აღება და უფრო დაბალში გადასვლა. მაშასადამე, ევროპის აწინდელ მდგომარეობაშიც კი არაა მოსალოდნელი, რომ ბევრი კაპიტალი გადავიდეს სხვა პროფესიიდან მიწის გასაუმჯობესებლად საფერმერო მეურნეობაში. ეს ხდება, იქნეს, დიდ ბრიტანეთში უფრო მეტად, ვიდრე რომელსამე სხვა ქვეყანაში, თუმცა აქაც ის დიდი კაპიტალები, რომლებიც საფერმერო მეურნეობაში იქნა ზოგ ადგილას მოთავსებული, ჩვეულებრივ მოპოვებულია თვით საფერმერო მეურნეობაში, ე. ი. იმ სამონაგრო დარგში, სადაც კაპიტალები, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ ყველაზე უფრო ხანდაზმით შეიძინება. და მაინც, წვრილი მესაკუთრეების შემდეგ, მდიდარი და მსხვილი ფერმერები ყოველ ქვეყანაში ყველაზე უფრო ეწევიან მიწის გაუმჯობესებას. მათი რიცხვი, ალბათ, ინგლისში უფრო დიდია, ვიდრე ევროპის რომელსამე სხვა მონარქიაში. ჰოლანდიის რესპუბლიკაში და ბერნის კანტონში (შვეიცარია) ფერმერები, როგორც ამბობენ, არ ჩამოუვარდებიან ინგლისისას.

ყველა ზემონათქვამის გარდა, ევროპის წინანდელი პოლიტიკა არახელსაყრელი იყო მიწის და მუშავეებისა და გაუმჯობესებისათვის, _ სულერთია, ვინც უნდა ყოფილიყო ამის მაწარმოებელი: მიწის მესაკუთრე თუ ფერმერი. პირველ დაბრკოლებას შეადგენდა პურის გაზიდვის საყოველთაო აკრძალვა განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, რაც ისეთ ღონისძიებას წარმოადგენდა, რომელიც, როგორც სჩანს, ყველგან იყო გავრცელებული; მეორე დაბრკოლებას შეადგენდა ის შეზღუდვა-შევიწროება, რომელსაც ექვემდებარებოდა შინაგანი ვაჭრობა, _ არა მარტო პურით ვაჭრობა, არამედ ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ვაჭრობაც, _ იმ უაზრო კანონების გამო, რომლებიც გამოცემული იყო პროდუქტების წინასწარშემსყიდველთა და დამგროვებელთა წინააღმდეგ, და იმ პრივილეგიების მეოხებით, რომლებიც იარმუკებისა და ბაზრებისთვის იყო დაწესებული. უკვე იყო აღნიშნული, რომ პურის გაზიდვის აკრძალვა იმ შეღავათთან ერთად, რომელიც უცხოეთის პურის შემოზიდვას ეძლეოდა, როგორ აბრკოლებდა მიწების დამუშავებას ძველ იტალიაში, რომელიც ბუნებით უნაყოფიერესი ქვეყანა იყო ევროპაში და წარმოადგენდა იმ დროს მსოფლიოს უდიდესი იმპერიის ცენტრს. იქნებ ძნელი წარმოსადგენიც იყოს, თუ რა ძალიან უნდა დაებრკოლებია ამ პროდუქტის აღებმომცემი შინაგანი ვაჭრობის ამგვარ შეზღუდვა-შევიწროებას, პროდუქტის ექსპორტის საერთო აკრძალვასთან დაკავშირებულს, მიწის დამუშავება ნაკლებ ნაყოფიერსა და ნაკლებ ხელსაყრელი პირობების შემცველ ქვეყნებში.

თ ა ვ ი III

ქალაქების წარმოშობა და განვითარება რომის იმპერიის დაცემის შემდეგ

დიდი და პატარა ქალაქების მცხოვრებნი, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, უკეთეს მდგომარეობაში არ იყვნენ, ვიდრე სოფლის მცხოვრებნი. ისინი წარმოადგენდნენ ძველი საბერძნეთისა და იტალიის რესპუბლიკების პირველ მცხოვრებთაგან სრულიად განსხვავებულ მოსახლეობას. უკანასკნელნი შესდგებოდნენ უმთავრესად მემამულეებისგან, რომელთა შორის თავდაპირველად სახელმწიფოს ტერიტორია იყო განაწილებული და რომელნიც მიზანშეწონილად სთვლიდნენ თავიანთი სახლები ერთი მეორის ახლოს აეგოთ და, საერთო თავდაცვის მიზნით, მათთვის კედელი შემოეკლათ. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, პირიქით, მემამულეები, როგორც ეტყობა, ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ მათსავე მამულებში აგებულ ციხე-დარბაზებში, მათი მიწების დამჭერთა და ხელქვეითთა შორის. ქალაქები დასახლებული იყო ვაჭრებით და ხელოსნებით, რომელნიც იმხანად, როგორც ეტყობა, ყმურ ან თითქმის ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ევროპის ზოგ მთავარ ქალაქთა მცხოვრებთ ეძლეოდათ ძველი ძეგლებით, საკმაოდ გვიჩვენებს, თუ როგორი იყო მათი მდგომარეობა ამ უფლებების მიღებამდე. ადამიანები, რომელთაც პრივილეგიად ებოძებოდა უფლება გაეთხოვებიათ თავიანთი ქალიშვილები ბატონის ნებართვის უთხოვნელად, თავისი სიკვდილის შემდეგ თავისი ქონება დაეტოვებიათ საკუთარი შვილისათვის და არა ბატონისათვის, და თავისი საკუთრება თავის სურვილისამებრ ეანდერძათ, _ ეს ადამიანები ამ პრივილეგიის მიღებამდე მთლად ან თითქმის მთლად ისეთსავე ყმურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ, როგორც გლეხები იყვნენ სოფლად.

და მართლაც, ეს იყო, ეტყობა, ფრიად ღარიბი, დამცრობილი კლასი ადამიანთა, რომელნიც, ჩვენი დღევანდელი ფეხზე მოვაჭრეების და მოტანტალე მეწვრილმანეების მსგავსად, თავიანთი საქონლით გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე და ბაზრიდან ბაზარზე. მაშინ, როგორც აზიის ზოგ თათრის სახელმწიფოებში ამჟამად, ყველა ევროპის სახელმწიფოში ბაჟებს იღებდნენ მგზავრებსა და მათ საქონელზე, როდესაც ისინი გაივლიდნენ განსაზღვრულ საბატონო მიდამოში, გადაივლიდნენ განსაზღვრულ ხიდებს, გაიტანდნენ თავიანთ საქონელს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ბაზარზე, ააგებდნენ ამ საქონლის გასაყიდად ქოხებს ან ფარდულებს. ამ სხვადასხვა გადასახადებს ეწოდებოდა ინგლისში საგზაო და სახიდო ბაჟი, საწონო საფასური და სადუქნო გადასახადი. ზოგჯერ მეფე, აგრეთვე ზოგჯერ დიდი მებატონეც, რომელსაც, ეტყობა, განსაზღვრულ შემთხვევებში ჰქონდა ამის უფლება, სრულიად ანთავისუფლებდნენ ამ ბაჟებისგან ცალკეულ ვაჭრებს, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც მათ სამკვიდრებელში ცხოვრობდნენ. ასეთი ვაჭრები, თუმცა სხვა მხრივ მათი მდგომარეობა არ განირჩევოდა ანუ თითქმის არ განირჩევოდა ყმების მდგომარეობისგან, ამიტომ თავისუფალ ვაჭრებად იწოდებოდნენ. სამაგიეროდ ისინი უხდიდნენ თავიანთ მფარველს ერთგვარ წლიური სასულო ხარკის მსგავს გადასახადს. იმ ხანაში მფარველობას იშვიათად გაუწევდნენ ვინმეს სათანადო სანაზღაუროს გადაუხდევენებლად, და ეს ხარკი უნდა ჩაითვალოს, ალბათ, იმის

სამაგიეროდ, რასაც მათი მფარველი მეზატონეები დანარჩენი ბაჟებისგან მათი განთავისუფლების გამო ჰკარგავდნენ. როგორც სჩანს, თავდაპირველად ამ სასულო ხარკს, ისე როგორც აღნიშნულ განთავისუფლებასაც, საერთოდ ჰქონდა მხოლოდ პირადი ხასიათი და მარტოდენ ცალკეულ პირებზე ვრცელდებოდა მათი სიცოცხლის განმავლობაში ანდა იმ ვადით, რა ვადითაც ამას მათი მფარველი მეზატონე იწებებდა. იმ მეტისმეტად არასრულ ცნობებში, რომლებიც, Domsday-book-დან აღებული, გამოქვეყნებული არის და ზოგ ინგლისის ქალაქებს შეეხება, მოხსენებულია ხშირად ხან ბაჟი, რომელსაც ესა თუ ის ცალკეული მოქალაქენი უხდიდნენ მეფეს ან რომელსამე სხვა დიდ მემამულეს ამგვარი მფარველობისათვის, ხანაც საერთო ჯამი ყველა ასეთ გადასახადთა¹.

მაგრამ რაგინდ ყმური ყოფილიყოს თავდაპირველად ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობა, მაინც ეს ცხადია, რომ მათ გაცილებით უფრო ადრე მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვიდრე გლეხებმა სოფლად. მეფის შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მიიღებოდა ასეთი სასულო ხარკის გადახდევინებით რომელსამე ქალაქში, ჩვეულებრივ იჯარით ეძლეოდა რამდენიმე წლით და განსაზღვრულ თანხად საგრაფოს შერიფს ან სხვა პირთ. ხშირად თვითონ მოქალაქეებს ჰქონდათ ისეთი ნდობა მოპოვებული, რომ მათ აძლევდნენ იჯარით ამგვარ შემოსავალს, რომელიც მათი ქალაქიდან იყო მისაღები, და ამ შემთხვევაში ყველა ისინი ერთპირად პასუხისმგებელნი იყვნენ მთელი თანხის გადახდისათვის². მე მგონია, ევროპის ყველა ქვეყნის მეფეებს ძალიან მოხერხებულად და ხელსაყრელად მიაჩნდათ ასეთი იჯარა; ისინი ხშირად მთელ საბატონო მამულებს აძლევდნენ იჯარით იქაურ გლეხებს, რომელნიც ყველანი ერთპირად კიდრულობდნენ პასუხისმგებლობას მთელი საიჯარო ფასის გადახდისათვის; ამის სამაგიეროდ მათ უფლება ჰქონდათ იმგვარად მოეწყოთ მისი გადახდევინება, როგორც სურდათ, და თვითონ შეეტანათ მეფის ხაზინაში თავიანთი წარმომადგენლის მოსაშუალებით; ამით ისინი თავიდან იცილებდნენ მეფის მოხელეების უნამუსო მოპყრობას, და ეს კი იმ ხანაში ძალიან მნიშვნელოვან გარემოებად ითვლებოდა.

თავდაპირველად იჯარა, ალბათ, გაიცემოდა მოქალაქეებზე, ისე როგორც სხვა მოიჯარადრეებზე, მხოლოდ განსაზღვრული წლების ვადით, მაგრამ დროის განმავლობაში, ეტყობა, საერთო ჩვეულებად იქცა იჯარის გაცემა უვადოდ, ე. ი. სამუდამოდ, და თან გადასახდელად უცვლელი რენტის დაწესებით, რაც შემდეგში ვერასოდეს ვერ იქნებოდა გადიდებული. და რადგან, ამგვარად, მუდმივი ხასიათი მიიღო გადასახადმა, მუდმივი ხასიათი მიიღო, რასაკვირველია, იმ შეღავათებმაც, რომლებისთვისაც იგი გადაიხდებოდა. ამიტომ ამ შეღავათებს დაეკარგა პირადი ხასიათი და შემდეგში ისინი აღარ განიხილებოდნენ უფლებად ცალკეულ პირთა, როგორც პირთა, არამედ როგორც განსაზღვრული ქალაქის მოქალაქეთა; ქალაქმა ამის გამო მოიპოვა თავისუფალი ქალაქის სახელწოდება იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც მის მცხოვრებთ თავისუფალი მოქალაქეები ანუ თავისუფალი ვაჭრები ეწოდა.

ქალაქისათვის ამ სახელწოდების ბოძებასთან ერთად მის მოქალაქეებს ენიჭებოდა ჩვეულებრივ ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პრივილეგიები: უფლება მათი ქალიშვილების გათხოვებისა, მათი შვილების მიერ მემკვიდრეობის მიღებისა

¹ იხ. Brady, Historical treatise of cities and burroughs, p. 3 და შემდ.

² იხ. Madox, Firma Burgi, p. 18, აგრეთვე History of the Exchequer, chap. 10, sect. V, p. 223, first edit.

და თვით მათ მიერ საკუთარი ქონების გაცემისა ანდერძის გზით. მე არ ვიცი, ეძლევადათ თუ არა წინათ ასეთი პრივილეგიები ვაჭრობის თავისუფლებასთან ერთად ცალკეულ მოქალაქეთ, როგორც ცალკეულ პირთ, ვფიქრობ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, თუმცა არ ძალმიძს ამისათვის რაიმე პირდაპირი საბუთის მოყვანა. მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყოს ეს, რამდენადაც მოქალაქენი თავისუფლდებოდნენ ყმობის და მონობის მთავარი ნიშნებისაგან, ისინი ხდებოდნენ ნამდვილ თავისუფალნი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.

და ეს კიდევ არაა ყველაფერი. ჩვეულებრივ ისინი იმავე დროს ერთიანდებოდნენ თემში ანუ კორპორაციაში, რომელმაც მიიღო პრივილეგია ჰყოლოდა საკუთარი მოსამართლეები და საქალაქო საბჭო, გამოეცა კანონები ქალაქის ცხოვრების მოსაწესრიგებლად, აეგო კედლები ქალაქის დასაცავად და დაექვემდებარებია ყველა მისი მცხოვრები განსაზღვრული სამხედრო დისციპლინისადმი, დაეკისრებია მათთვის საგუშაგო და სამცველო სამსახური, ე. ი., როგორც ეს მაშინ ესმოდათ, იმ კედლების ყარაულობა და დაცვა დღე და ღამ შესაძლებელი თავდასხმისაგან. ინგლისში ასეთი ქალაქების მცხოვრებნი ჩვეულებრივ არ ექვემდებარებოდნენ ოლქის და საგრაფოს სასამართლოს; და ყველა დავას, რომელიც მათ შორის წარმოსდგებოდა, იმათ გამოკლებით, რაც სამეფო ხელისუფლებას შეეხებოდა, მათი საკუთარი მსაჯულები არჩევდნენ. სხვა ქვეყნებში მათ ხშირად გაცილებით უფრო დიდი და უფრო ფართო სამსაჯულო სფერო ჰქონდათ მიკუთვნებული¹.

აუცილებელიც იყო, რომ იმ ქალაქებს, რომელთაც იჯარით ჰქონდათ აღებული თავიანთ მცხოვრებთაგან გადასახადების მოკრეფა, მინიჭებოდა ერთგვარი იძულებითი ძალა და სამოსამართლო უფლებები, რათა მათ შესძლებოდათ აეძულებიათ თავიანთი მოქალაქეები გადაეხადათ მათ მიერ გადასახდელი. იმ არამტკიცე უფლებრივი წყობილების ხანაში ძალიან უხერხული იქნებოდა, რომ ეს ქალაქები იძულებული ყოფილიყვნენ სხვა სასამართლო დაწესებულებებში ეძიათ ამგვარი სამართალი. მაგრამ საკვირველად კი უნდა გვეჩვენებოდეს, რომ ევროპის ყველა ქვეყნის მეფეები სთმობდნენ, ამგვარად, მტკიცედ განსაზღვრული რენტის გულისთვის, რომელიც შემდეგში ვერ გადიდდებოდა, თავიანთი შემოსავლის იმ დარგს, რომლის გაზრდა ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო საგანთა ბუნებრივი მსვლელობისას, მათ მხრივ ყოველგვარი ხარჯებისა და ზრუნვის გარეშე, და რომ ისინი, გარდა ამისა, ამ გზით ერთგვარ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს ჰქმნიდნენ თავიანთი საკუთარი სამფლობელოს შიგნით.

რათა ეს გავიგოთ, საჭიროა მოვიგონოთ, რომ მაშინ, იქნებ, ევროპის არც ერთი ქვეყნის მეფეს არ შესწევდა ძალღონე მთელი თავისი სამფლობელოს ტერიტორიაზე დაეცვა დიდი ფეოდალების შევიწროებისაგან უფრო სუსტი ნაწილი თავის ქვეშევრდომთა. ისინი, რომელთა დაცვაც კანონს არ შეეძლო და რომელნიც საკმაოდ ძლიერნი არ იყვნენ, რომ თვითონ დაეცვათ თავიანთი თავი, იძულებული იყვნენ ან რომელიმე დიდი ფეოდალის მფარველობისათვის მიემართნათ და ამის მისაღებად მის ყმებად ან ვასალებად გამხდარიყვნენ, ანდა შეკავშირებულიყვნენ ერთმანეთთან საურთიერთო დაცვისათვის. ქალაქების და დაბების მცხოვრებთ, თითოეულისას ცალკე, არ შესწევდათ ძალა თავის დასაცავად, მაგრამ, მეზობლებთან შეკავშირებულთ თავდასაცავად, მათ შეეძლოთ არა მცირედი წინააღმდეგობის

¹ იხ. Madox, Firma Burgi; აგრეთვე Pfeffel-ი შესახებ საყურადღებო მოვლენებისა ფრიდრიხ II-ის და მისი შვაბთა გვარის მემკვიდრეების დროს.

გაწევა. ფეოდალებს სძაგდათ მოქალაქეები, ისინი მათ უცქეროდნენ არა თუ როგორც ადამიანთა სხვა კლასს, არამედ აგრეთვე როგორც ბრბოს განთავისუფლებულ მონათა, როგორც თითქმის სხვა მოდგმის ხალხს, ვიდრე თვითონ იყვნენ. მოქალაქეთა სიმდიდრე მათში იწვევდა ყოველთვის შურს და გულისწყრომას, და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ისინი მათ სძარცვავდნენ შეუბრალებლად და სინიდისის უქენჯნელად. მოქალაქეებს, რასაკვირველია, სძულდათ ფეოდალები და ეშინოდათ მათი. მეფესაც სძულდა ისინი და ეშინოდა მათი; რაც შეეხება მოქალაქეებს, მას შეეძლო ისინი სძაგებოდა, მაგრამ არ ჰქონდა მიზეზი მათი სიმძულვილის ან შიშისათვის. ამიტომ ინტერესთა ერთიანობა უკარნახებდა მოქალაქეებს – დახმარებოდნენ მეფეს, ხოლო მეფეს – დახმარებოდა მოქალაქეებს ფეოდალების წინააღმდეგ. მოქალაქეები მისი მტრების მტრები იყვნენ, და მისი ინტერესი მოითხოვდა, რომ მას შეძლებისამებრ უზრუნველყო მათი უშიშროება და დამოუკიდებლობა ამ მტრებისაგან. აძლევდა რა იგი მათ უფლებას ჰყოლოდათ საკუთარი მოსამართლეები, გამოეცათ თავიანთი კანონები მართვა-გამგეობის მიზნით, აეგოთ კედლები თავდასაცავად, დაექვემდებარებიათ ქალაქის მცხოვრებნი ერთგვარი სამხედრო დისციპლინისადმი, ამით მეფე აძლევდა მოქალაქეებს მათი უშიშროებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ბარონების მხრივ ყველა საშუალებას, რისი მიცემაც კი მას შეეძლო. რაიმე ამგვარი რეგულარული მთავრობის დაუწყებლად, განსაზღვრული ძალაუფლების უქონელად, რომ მოქალაქენი აეძულებინათ ასეთი თუ ისეთი გეგმის მიხედვით სამოქმედოდ, ვერავითარი ნებაყოფლობითი გაერთიანება, საურთიერთო დაცვის მიზნით დაწესებული, ვერ უზრუნველყოფდა მათ რაოდენადმე მტკიცე უშიშროებას ან ვერ აღმოაჩენინებდა მათ რაოდენადმე მნიშვნელოვან დახმარებას მეფისათვის. აძლევდა რა ქალაქებს სამუდამოდ მათ მცხოვრებთაგან გადასახადების აკრეფის იჯარას, მეფე ამით უსპობდა იმათ, ვინც მას სურდა ჰყოლოდათ თავის მეგობრებად ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოკავშირეებად, ყოველ საბაზს შიშისა და ეჭვისათვის, რომ იგი ოდესმე შემდეგში შეავიწროებდა მათ მათი ქალაქის საიჯარო რენტის გადიდებით ან მისი გადაცემით სხვა მოიჯარადრეზე.

ამიტომ მეფეები, რომელნიც ცუდ განწყობილებაში იყვნენ თავიანთ ბარონებთან, ეტყობა, ძალიან ხელგაშლილობას იჩენდნენ თავიანთი ქალაქებისათვის ამგვარი პრივილეგიების ბოძების საქმეში. ინგლისის მეფე იოანე, მაგალითად, როგორც ჩანს, ფრიად უხვი კეთილისმყოფელი იყო თავისი ქალაქებისა¹. საფრანგეთის მეფემ ფილიპე I-მა დაჰკარგა ყოველი ძალაუფლება ბარონების მიმართ. მისი მეფობის დასასრულს მისი შვილი ლუი, რომელიც შემდეგში ლუი სქელის სახელით იყო ცნობილი, ეთათბირა, როგორც მამა დანიელი გადმოგვცემს, მისი სამეფოს ეპისკოპოსებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამოსადეგი იქნებოდა დიდი ფეოდალების ასალაგმავად. მათ წარუდგინეს მას ორი პროექტი. ერთი პროექტით მას ურჩევდნენ შემოეღო სამართლის ახალი წესი და ამისათვის თავისი სამეფოს თითოეულ მნიშვნელოვან ქალაქში დაეწესებია მოსამართლეები და საქალაქო საბჭო. მეორე პროექტი გულისხმობდა ახალი მილიციის დაწესებას; ამ ქალაქების მცხოვრებთ საჭირო შემთხვევებში უნდა შეედგინათ ლაშქარი და მათი საკუთარი მმართველობის წარმომადგენელთა წინამძღოლობით გასულიყვნენ მეფის დასახმარებლად. საფრანგეთის ისტორიკოსთა ცნობების თანახმად სწორედ ამ დროს ეკუთვნის მოსამართლეების და საქალაქო საბჭოების დაწესება საფრანგეთში. ასევე

¹ იხ. Madox.

შვებთა გვარის მეფეთა ბედკრული მმართველობის დროს მიიღო თავისუფალ ქალაქთა უდიდესმა ნაწილმა თავისი პრივილეგიები და განთქმულმა ჰანზის კავშირმა პირველად მოიპოვა თავისი ძალა და მნიშვნელობა¹.

ქალაქების მილიცია იმ ხანებში, როგორც ეტყობა, არ ჩამოუვარდებოდა სოფლის მილიციას, და ვინაიდან უეცარი საჭიროების წარმოშობისას იგი შეიძლებოდა უფრო სწრაფად შეკრებილიყო, ეს გარემოება ხშირად უპირატესობას ანიჭებდა მოქალაქეებს მეზობელ ფეოდალებთან ჩხუბის დროს. ისეთ ქვეყნებში, როგორც იტალია და შვეიცარია, სადაც, მთავრობის რეზიდენციის სიშორის გამო ან ქვეყნის ბუნებრივი სიმაგრის გამო ანდა რაიმე სხვა მიზეზით, მეფემ თანდათან სრულიად დაჰკარგა თავისი ძალაუფლება, ქალაქები ჩვეულებრივ დამოუკიდებელი რესპუბლიკები გახდნენ, დაიმორჩილეს ახლომახლო მიდამოების თავადაზნაურობა, აიძულეს რა იგი მოეშალა თავისი ციხე-დარბაზები და, სხვა მშვიდობიან მცხოვრებთა მსგავსად, ქალაქში დასახლებულიყო. ასეთია მოკლედ ბერნის რესპუბლიკის ისტორია, ისე როგორც ზოგ სხვა ქალაქთა შვეიცარიაშია. ვენეციის გამოკლებით, რომლის ისტორია ცოტათი განსხვავებულია, ასეთივე იყო ისტორია იტალიის ყველა მნიშვნელოვან რესპუბლიკათა, რომელნიც ისე მრავლად ჩნდებოდნენ და ჰქრებოდნენ მე-XII საუკუნის ბოლოდან დაწყებული მე-XVI საუკუნის დასაწყისამდე.

ისეთ ქვეყნებში, როგორც საფრანგეთი და ინგლისია, სადაც მეფის ძალაუფლება თუმცა ხშირად შესუსტებული იყო, მაგრამ სრულიად გამქრალი არასოდეს არ ყოფილა, ქალაქებს შემთხვევა არ ჰქონებიათ დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ. მაგრამ მათ მაინც ისეთი ძალა და მნიშვნელობა მოიპოვეს, რომ მეფეს არ შეეძლო, მათი თანხმობის გარეშე, აეღო მათგან რაიმე ხარკი, გარდა იმ მტკიცედ განსაზღვრული საიჯარო რენტისა, რომელიც მას ქალაქისგან ერგებოდა. ამიტომ მათ მოუწოდებდნენ ხოლმე თავიანთი დეპუტატები გაეგზავნათ სამეფოს წოდებათა საერთო კრებაში, სადაც მათ შეეძლოთ სამღვდელეობასა და ბარონებთან ერთად, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, თანხმობა განეცხადებიათ მეფისათვის არაჩვეულებრივი სუფსიდიის მიცემაზე. ამასთან, რადგან ქალაქებში მეტწილად სამეფო ხელისუფლებას თანაუგრძნობდნენ, მეფე ხშირად, როგორც ეტყობა, მათ დეპუტატებს ეყრდნობა ამ კრებებში დიდი ფეოდალების ძალის შესასუსტებლად. ასე წარმოიშვა ქალაქების წარმომადგენლობა ევროპის ყველა დიდი მონარქიის წოდებათა კრებებში.

ამგვარად, წესრიგი და ნორმალური მმართველობა და მასთან ერთად პიროვნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა დამყარდა ქალაქებში იმ დროს, როდესაც სოფლის მცხოვრებლები ჯერ კიდევ ყოველგვარ ძალმომრეობას განიცდიდნენ. ადამიანები, რომელნიც ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმას სჯერდებიან, რაც აუცილებლად საჭიროა თავის რჩენისათვის, ვინაიდან, თუ ამაზე მეტს შეიძენდნენ, მით მხოლოდ გააღვივებდნენ მათ მჩაგვრელთა უსამართლობას. პირიქით, თუ მათ უზრუნველყოფილი აქვთ მათი შრომის ნაყოფით სარგებლობა, ისინი, რასაკვირველია, ამ შრომას გამოიყენებენ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ეცდებიან შეიძინონ არა მარტო აუცილებელი საარსებო საშუალება, არამედ კომფორტისა და ფუფუნების სხვადასხვა საგნებიც. ამიტომ მრეწველობა, რომელსაც მიზნად აქვს აწარმოოს იმაზე მეტი რამ, რაც აუცილებელ საარსებო საშუალებას წარმოადგენს, წარმოიშვა საერთოდ

¹ იხ. Pfeffel.

ქალაქებში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე იგი გავრცელებას მიიღებდა სოფლის მცხოვრებლებში. თუ ღარიბ მიწათმომქმედს, ბატონყმური მონობით დაჩაგრულს, მცირეოდენი კაპიტალი მოუგროვებოდა ხელში, იგი, რა თქმა უნდა, დიდის გულმოდგინებით ცდილობდა დაემალა ეს თავისი ბატონისათვის, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეპატრონებოდა, და პირველი მოხერხებული შემთხვევისთანავე გაპარულიყო ქალაქში. კანონი იმხანად ისე ლმობიერი იყო ქალაქის მცხოვრებლების მიმართ და ისე ცდილობდა შეესუსტებია ფეოდალების ძალაუფლება სოფლის მოსახლეობის მიმართ, რომ, თუ ასეთი ლტოლვილი მოახერხებდა დაჰმალა თავის ბატონს ერთი წლის განმავლობაში, იგი სამუდამოდ თავისუფალი ადამიანი ხდებოდა. ამიტომ მთელი ის კაპიტალი, რომელიც მოუგროვებოდა სოფლის მოსახლეობის შრომისმოყვარე ნაწილს, ბუნებრივად ეძიებდა თავშესაფარს ქალაქში, _ იმ ერთადერთ ადგილას, სადაც ამ კაპიტალის გამოყენება უზრუნველყოფილი იყო მისი შემქმნელისათვის.

ქალაქის მცხოვრებლებმა, მართალია, ბოლოს და ბოლოს სოფლიდან უნდა მიიღონ ყოველთვის თავიანთი სარჩო და მრეწველობის ყველა ნედლი მასალა და საშუალება. მაგრამ ისეთი ქალაქის მცხოვრებნი, რომელიც ზღვის ან სანაოსნო მდინარის ნაპირას არის გაშენებული, იძულებული არ არიან აუცილებლად ახლობელი სოფლებიდან მიიღონ ყველაფერი ეს. მათ ბევრად უფრო ფართო სარბიელი აქვთ და შეუძლიათ მიიღონ ყველაფერი დედამიწის უშორესი კუთხეებიდან ან თავიანთი მზა სამრეწველო პროდუქტების გაცვლის გზით, ანდა მით, რომ შუამავლის როლს შეასრულებენ და ერთი ქვეყნის პროდუქტებს მეორე ქვეყნის პროდუქტებზე გასცვლიან. ამ გზით ქალაქს შეეძლო გამხდარიყო მდიდარი და ძლიერი, მაშინ როდესაც არა თუ მის ირგვლივ მდებარე ადგილები, არამედ ის ქვეყნებიც, რომლებთანაც ის ვაჭრობას ეწეოდა, რჩებოდნენ სიღარიბესა და დაცემულობაში. თითოეულ ამ ქვეყანას, ცალკე აღებულს, შეეძლო, იქნებ, ქალაქისთვის საჭირო საარსებო საშუალებათა მხოლოდ მცირეოდენი ნაწილის მოცემა ან მისი შრომის მხოლოდ მცირე ნაწილის მიმართ მოთხოვნის წარმოდგენა, მაგრამ ყველა მათ, ერთად, შეეძლოთ მისი სრულად დაკმაყოფილება ერთის მხრივ და მეორე მხრივაც. ძველი დროის ვაჭრობის ვიწრო ფარგალში იყვნენ მაინც ქვეყნები, რომელნიც განირჩევიდნენ სიმდიდრით და მრეწველობით. ასეთი იყო საბერძნეთი, ვიდრე არსებობდა საბერძნეთის სახელმწიფო, აგრეთვე სარაცინთა სახელმწიფო აბასიდების მეფობის დროს. ასეთივე იყო ეგვიპტე, ვიდრე მას თურქები დაიპყრობდნენ, ბერბერეთის სანაპიროების ნაწილი და ესპანეთის ყველა ის პროვინციები, რომლებსაც მავრები ფლობდნენ.

ევროპის ქალაქებიდან, როგორც ეტყობა, პირველად იტალიის ქალაქებმა მიაღწიეს ვაჭრობს მეოხებით სიმდიდრის რაოდენადმე მნიშვნელოვან დონეს. იტალია მდებარეობს იმ ნაწილის შუაგულში, რომელიც მაშინ მსოფლიოს ერთადერთ განვითარებულ და ცივილიზებულ ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა ჯვაროსანთა ლაშქრობას, ვეება კაპიტალის განიავებისა და მცხოვრებთა განადგურების გამო, რაც მან გამოიწვია, აუცილებლად უნდა შეეფერხებია ევროპის უდიდესი ნაწილის განვითარება, მაგრამ იტალიის ზოგი ქალაქის განვითარებაზე მან მაინც მეტისმეტად სასიკეთო გავლენა იქონია. დიდმა ლაშქრებმა, რომელნიც დაიდრენ ყველა მხარედან წმინდა მიწის დასაპყრობად, უაღრესად ძლიერი სტიმული მისცეს ვენეციის, გენუის და პიზის ნაოსნობის განვითარებას, რამდენადაც ამ ქალაქებიდან სწარმოებდა ჯარების გადაყვანა აღმოსავლეთში და შემდგომ მათი მუდმივ მომარაგება სურსათით. ეს ქალაქები იყვნენ ამ ჯარების, ასე ვთქვათ, ინტენდანტები, და ამგვარად

ყველაზე უფრო გამანადგურებელი სიგიჟე, რომელიც კი ოდესმე მოსდებია ევროპის ხალხებს, ამ რესპუბლიკების სიმდიდრის წყარო გახდა.

სავაჭრო ქალაქების მცხოვრებლები, შემოქმედებით რა უფრო მდიდარი ქვეყნებიდან სათუთი სამრეწველო პროდუქტები და ფუფუნების საგნები, საკვებს აძლევდნენ მსხვილ მემამულეთა მედიდურობას, რომელნიც მათში თავიანთი მიწების ნედლ პროდუქტთა დიდ რაოდენობას იძლეოდნენ. ამის გამო ევროპის დიდი ნაწილის ვაჭრობა იმხანად წარმოადგენდა უმთავრესად მისი ნედლი პროდუქტების გაცვლას უფრო ცივილიზებული ერების სამრეწველო პროდუქტებზე. ასე, ინგლისის მატყლი იცვლებოდა საფრანგეთის ღვინოებზე და ფლანდრიის წმინდა მაუდზე, ისე როგორც ამჟამად პოლონეთის პური იცვლება საფრანგეთის ღვინოსა და ლიკიორზე და საფრანგეთის და იტალიის აბრეშუმსა და ხავერდზე.

ამგვარად, უფრო სათუთი და გაუმჯობესებული სამრეწველო პროდუქტების გემო გაუხსნა საგარეო ვაჭრობამ იმ ქვეყნებს, სადაც ადგილი არ ჰქონდა ასეთი პროდუქტების წარმოებას. ხოლო როდესაც ამ პროდუქტების ხმარება ისე საყოველთაოდ გავრცელდა, რომ გამოიწვია დიდი მოთხოვნა მათ მიმართ, ვაჭრები, ტრანსპორტის ხარჯების დაზოგვის მიზნით, _ ბუნებრივია _ შეეცადნენ თავიანთ ქვეყანაში გაემართნათ ზოგ იმ პროდუქტთა წარმოება. ასეთია წარმოშობა პირველი მანუფაქტურებისა შორეული ბაზრისათვის, რომელნიც, როგორც სჩანს, ევროპის დასავლეთ პროვინციებში წარმოსდგნენ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი დიდი ქვეყანა არასოდეს არ არსებობდა და არც შეეძლო არსებობა ისე, რომ მას არ ჰქონებოდა რაიმე სამრეწველო წარმოება; და როდესაც ამბობენ, ამა თუ იმ ქვეყანას მრეწველობა არა აქვსო, ეს ყოველთვის ასე უნდა გვესმოდეს, რომ მას არა აქვს მრეწველობა, რომელიც აწარმოებს უფრო სათუთ და გაუმჯობესებულ ფაბრიკატებს ანუ რომელიც აწარმოებს შორეული ბაზრისათვის. ყოველ ქვეყანაში ხალხის დიდი უმრავლესობის ტანსაცმელი და საშინაო მოწყობილობა-ავეჯეულობა მისი საკუთარი შრომის პროდუქტს წარმოადგენს. ეს უფრო მეტადაც შეეხება ღარიბ ქვეყნებს, რომელთაც, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, სრულიად არა აქვთ მრეწველობა, ვიდრე მდიდარ ქვეყნებს, რომელთა მიმართ იგულისხმება, რომ ეს მრეწველობა მათ ჭარბად მოეპოვებათ. ამ უკანასკნელებში თქვენ ჩვეულებრივ ნახავთ, რომ დაბალი კლასების ტანსაცმელისა და ავეჯეულობის გაცილებით უფრო დიდი ნაწილი საზღვარგარეთ წარმოებული პროდუქტებისგან შესდგება, ვიდრე ამას ადგილი აქვს ღარიბ ქვეყნებში.

ის მანუფაქტურები, რომელნიც გამოსადეგნი არიან შორეულ ბაზარზე პროდუქტების გასასაღებლად, სხვადასხვა ქვეყნებში წარმოიშვენ, როგორც ეტყობა, ორი სხვადასხვა გზით.

ზოგჯერ ეს მანუფაქტურები შემოდებული იყო ცალკეულ ვაჭართა და მესარეწეთა კაპიტალის, ასე ვთქვათ, ძალადობითი მოქმედებით, რომელნიც მათ აფუძნებდნენ ამგვარი უცხო მანუფაქტურების მიზამვით. ეს მანუფაქტურები წარმოადგენენ, ამგვარად, საგარეო ვაჭრობის წარმონაშვს, და ასე წარმოსდგნენ, როგორც სჩანს, აბრეშუმის, ხავერდის და ფარჩის ძველი მანუფაქტურები, რომელნიც ლუკაში ჰყვავდნენ მე-XIII საუკუნეში. ისინი განდევნილი იქნენ იქიდან მაკიაველის ერთ-ერთი გმირის, კასტრუჩიო კასტრაკანის მტარვალობით. 1310 წელს 900 ოჯახი განდევნილ იქნა ლუკიდან, რომელთაგან 31 ვენეციაში გადავიდა, სადაც მათ წინადადება შეიტანეს, აბრეშუმის მანუფაქტურას დავაფუძნებთო¹. მათი წინადადება

¹ იხ. Sandi, Istoria Civile de Vinezia, part. II, vol. 1, p. 247 და 256.

მიღებულ იქნა; იმათ მრავალი პრივილეგიაც მიიღეს და დაიწყეს წარმოება 300 მუშით. ასეთივე იყო, როგორც სჩანს, წმინდა მაუდის მანუფაქტურები, რომელნიც ძველად ჰყვოდნენ ფლანდრიაში და რომელნიც ინგლისში შემოღებულ იქნენ ელისაბედის მეფობის დასაწყისში; ასეთივეა თანამედროვე მანუფაქტურები ლიონსა და სპიტალფილდში. ამგვარად დაფუძნებული მანუფაქტურები, რადგან ისინი უცხოეთის მანუფაქტურების მიბაძვას წარმოადგენდნენ, ჩვეულებრივ მუშაობდნენ უცხო ნედლეულზე. როდესაც ვენეციის მანუფაქტურა მოწყობილ იქნა პირველად, ყველა საჭირო მასალა სიცილიიდან და ლევანტიდან მოჰქონდათ. უფრო წინათ მანუფაქტურა ლუკაში საზღვარგარეთის მასალებზე მუშაობდა. თუთის ხეების გაშენება და აბრეშუმის ჭიის გამოყვანა არ იყო, როგორც სჩანს, მე-XVI საუკუნემდე სამხრეთ იტალიაში გავრცელებული. საფრანგეთში ამ მოსაქმეობას ხელი მიჰყვეს მხოლოდ კარლოს IX-ის მეფობის დროს. ფლანდრიის მანუფაქტურები უმთავრესად ესპანეთის და ინგლისის მატყლის გადამამუშავებს ეწვეოდნენ. ესპანეთის მატყლი თუ ინგლისის პირველი საშალეულო მანუფაქტურის ნედლეულს არ შეადგენდა, იგი ნედლეული იყო იმ პირველი მანუფაქტურისთვის, რომელიც ვარგისი იყო პროდუქტის შორეულ ბაზარზე გასაყიდად. ლიონის მანუფაქტურის ნახევარზე მეტი მასალა უცხოეთში მოყვანილი აბრეშუმია. სპიტალფილდის მანუფაქტურების მიერ ხმარებული მასალის არავითარი ნაწილი თვით ინგლისში არაა წარმოებული. ასეთი მანუფაქტურების ადგილსამყოფელს, რადგან მათი აგება კერძო პირთა გეგმისა და პროექტის თანახმად ხდება, წარმოადგენს ზოგჯერ ზღვის სანაპირო ქალაქი, ზოგჯერაც ქალაქი ქვეყნის შიგნით, იმის მიხედვით, თუ როგორც გადაუწყვეტია ეს იმ კერძო პირთა ინტერესს, მოსაზრებას თუ კაპრიზს.

სხვა ხანებში შორეული ბაზრისთვის მომუშავე მანუფაქტურები წარმოიშობიან ბუნებრივად, ასე ვთქვათ, თავისთავად, შედეგად იმ შინაური და უხეში მანუფაქტურების განვითარებისა, რომელთაც უაღრესად ღარიბსა და უკულტურო კვყენებშიც კი უნდა ჰქონდეთ ყოველთვის ადგილი. ასეთი მანუფაქტურები ჩვეულებრივ იმ ნედლეულს ხმარობენ, რომელსაც მოცემული ქვეყანა აწარმოებს, და, როგორც სჩანს, ისინი ხშირად წარმოადგენდნენ უფრო სათუთი პროდუქტების დამმზადებელ პირველ დაწესებულებებს ისეთ კონტინენტურ ქვეყნებში, რომელნიც მდებარეობით თუ ძალიან არა, მაინც მნიშვნელოვნად დაშორებული იყვნენ ზღვის ნაპირს და ზოგჯერ ყოველგვარ სანაოსნო წყლებსაც. კონტინენტური ქვეყანა, რომელიც ბუნებით ნაყოფიერია და ადვილად დასამუშავებელი არის, იმაზე ბევრად გარდამეტ სურსათს აწარმოებს, რაც მის მიწათმოქმედთა დასარჩენადაა საჭირო; ხმელეთით გადაზიდვის სიძვირისა და სამდინარო ტრანსპორტის მოუხერხებლობის გამო ხშირად შეიძლება საძნელო აღმოჩნდეს ამ გარდამეტის გაგზავნა საზღვარგარეთ. ამრიგად, სიუხვე იაფს ხდის სურსათს და სტიმულს აძლევს მრავალ მშრომელთ ახლოს დასახლდნენ, ვინაიდან ისინი ხედავენ, რომ მათ სამრეწველო მოსაქმეობას შეუძლია მეტი საარსებო საშუალება და კომფორტის საგნები მოაპოვებინოს მათ აქ, ვიდრე სხვა ადგილას. ისინი ეწევიან მანუფაქტურის იმ მასალის გადამამუშავებას, რომელსაც მიწა წარმოშობს, და თავიანთ მზა პროდუქტებს ანუ, რაც იგივეა, მათ ფასს სცვლიან ახალ მასალასა და სურსათზე. ისინი ახალ ღირებულებას აძლევენ გარდამეტ ნედლეულს, ზოგავენ რა მის ზღვამდე ან შორეულ ბაზრამდე გადაზიდვის ხარჯს. ისინი მის სამაგიეროდ მიწათმოქმედებს აძლევენ ისეთ საგნებს, რომლებიც სასარგებლო ან სასურველია მათთვის, და ამასთან – უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე მათ შეეძლოთ წინათ მათი მოპოვება. მიწათმოქმედნი უკეთეს ფასს იღებენ თავიანთ გარდამეტ პროდუქტში და

შესაძლებლობა აქვთ უფრო იაფად შეიძინონ მოხმარების სხვა საგნები, რომლებიც მათ სჭირდებათ. ამგვარად, ეს სტიმულს უქმნის მათ და შესაძლებლობას აძლევს გაადიდონ ამ გარდამეტი პროდუქტის რაოდენობა მიწის შემდგომი გაუმჯობესებისა და უკეთესი დამუშავების გზით. და თუ მიწის ნაყოფიერობამ წარმოშვა მანუფაქტურა, ამ მანუფაქტურის განვითარება, თავის მხრივ, უკუმოქმედებს მიწაზე და კიდევ უფრო ადიდებს მის ნაყოფიერობას. მემანუფაქტურები პირველად პროდუქტებს აწვდიან ახლობელ ადგილებს, ხოლო შემდეგ რამდენადაც მათი წარმოება ვითარდება და უმჯობესდება, _ უფრო შორეულ ბაზრებსაც, ვინაიდან: თუ ნედლეულსაც და უხეშ სამრეწველო ნაწარმსაც უადრესად გაუჭირდებოდა ხმელეთით დიდ მანძილზე ტრანსპორტის ხარჯის ატანა, ამის ატანა ძალიან კარგად შეუძლია მრეწველობის უფრო სათუთ და სრულყოფილ პროდუქტებს. ისინი, ხშირად მცირე მოცულობისა, ფასით შეესაბამებიან ნედლეულის დიდ რაოდენობას. ერთი თოფი წმინდა მაუდი, მაგალითად, რომელიც 80 გირვანქას იწონის, შეიცავს არა თუ 80 გირვანქა მატყლის ფასს, არამედ იმ რამდენიმე ათასი გირვანქა პურის ფასსაც, რომელიც მუშებისა და მათი უშუალო დამქირავებლების შენახვაზეა დახარჯული. ამგვარად, პური, რომელიც მისი ბუნებრივი სახით მხოლოდ ძნელად შეიძლება გადა გაზიდულიყო საზღვარგარეთ, ფაქტიურად სამრეწველო ნაწარმთა სახით გაიზიდება და ამიტომ ადვილად შეიძლება გაგზავნილ იქნეს მსოფლიოს უმთრეს კუთხეებში. ასე ბუნებრივად და თითქოს თავისთავად წარმოიშვენ და განვითარდნენ ლიდისის, ჰალიფაქსის, შეფილდის, ბირმინგჰამის და უოლვერჰამპტონის მანუფაქტურები. ეს მანუფაქტურები პირმშონი არიან მიწათმოქმედებისა. ევროპის ახალი დროის ისტორიაში მათი გავრცელება და განვითარება ჩვეულებრივ იმ მანუფაქტურების შემდეგ მოხდა, რომელნიც საგარეო ვაჭრობამ წარმოშვა. ინგლისი განთქმული იყო წმინდა მაუდის წარმოებით ესპანეთის მატყლიდან უკვე ას წელზე მეტი ხნით ადრე მანამდე, ვიდრე რომელიმე იმ მანუფაქტურათაგან, რომელნიც ახლა ჰყვავიან ზემოაღნიშნულ ქალაქებში, იმდენად განვითარდებოდა, რომ უცხოეთში გასაყიდად ემუშავნა. ამ უკანასკნელთა განვითარებას და გაუმჯობესებას შეიძლება ადგილი ჰქონებოდა მხოლოდ შედეგად მიწათმოქმედების განვითარების და გაუმჯობესებისა, რაც საგარეო ვაჭრობის და მის მიერ უშუალოდ წარმოშობილი მანუფაქტურების უკანასკნელ და უმთავრეს შედეგს წარმოადგენდა. ამის გარკვევას მე ახლავე შევუდგები.

თ ა ვ ი IV

როგორ უწყობდა ხელს ქალაქების ვაჭრობა სოფლის განვითარებას

სავაჭრო და სამრეწველო ქალაქების ზრდა და სიმდიდრე სამი სხვადასხვა გზით უწყობდა ხელს სოფელ-ადგილების გაუმჯობესებას და კულტურას, სადაც ეს ქალაქები მდებარეობდნენ.

ჯერ ერთი, ვინაიდან დიდ და ახლობელ ბაზარს წარმოადგენდნენ სოფლის ნედლი პროდუქტისათვის, ეს ქალაქები სტიმულს ჰქმნიდნენ მიწის დამუშავებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ეს დადებითი შედეგი არ იყო შემოფარგლული მარტო იმ მხარით, სადაც ისინი მდებარეობდნენ, არამედ ვრცელდებოდა მეტნაკლებ იმ მხარეებზედაც, რომლებთანაც მათ სავაჭრო დამოკიდებულება ჰქონდათ. ყველა

იმათ ისინი უქმნიდნენ ბაზარს მათი ნედლეულის ან სამრეწველო პროდუქტების განსაზღვრული ნაწილისათვის და, მაშასადამე, ერთგვარ სტიმულს აძლევდნენ მათ მრეწველობასა და კულტურას. მაგრამ მათი საკუთარი მხარე, მისი სიახლოვის გამო, უდიდეს სარგებლობას ღებულობდა ამ ბაზისაგან. რამდენადაც ამ მხარის ნედლეულს ნაკლები სატრანსპორტო ხარჯი ამძიმებდა, ვაჭრებს შეეძლოთ მასში საუკეთესო ფასი მიეცათ მწარმოებლებისათვის და მაინც ისეთსავე ფასში მიეწოდებიათ იგი მომხმარებლებისათვის, როგორც უფრო შორეული ადგილების ნედლეული.

მეორე, ქალაქის მცხოვრებლების მიერ შექმნილი სიმდიდრე ხშირად გამოიყენებოდა იმ მიწების საყიდლად, რომლებიც იყიდებოდა და რომელთა დიდი ნაწილი ხშირად დაუმუშავებელი დარჩებოდა. ვაჭრებს ჩვეულებრივ სასახელოდ მიაჩნიათ მემამულეები გახდნენ, და როდესაც გახდებიან, ისინი საერთოდ საუკეთესო გამტარებელნი არიან სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებათა. ვაჭარი დაჩვეულია თავისი ფულის ხარჯვას უმთავრესად მოგებიან პროექტებზე, ხოლო ის, ვინც მარტოდენ მემამულეა, მის მხოლოდ უსარგებლო ხარჯვას არის დაჩვეული. პირველი ხშირად ხედავს, როგორ მიდის მისგან მისი ფული და შემდეგ ისევ უბრუნდება მას მოგებით, ხოლო მეორე, თუ კი იგი გაუშვა ხელიდან, იშვიათად მოელოდება მის ხელახლა დანახვას. ეს სხვადასხვა ჩვეულება, რასაკვირველია, გავლენას ახდენს მათი მოქმედების მანერასა და წესზე პრაქტიკულ საქმეებში. ვაჭარი, ჩვეულებრივ, როგორც მესარეწე, გაბედულია, მემამულე კი – მშიშარა. პირველს არ ეშინია ერთბაშად დიდი კაპიტალი გაიღოს თავისი მიწის გასაუმჯობესებლად, უკეთუ მას საფუძვლიანი იმედი აქვს, რომ ამით მისი ღირებულება გადიდდება გაწეული ხარჯის პროპორციულად; მეორე კი, თუ მას საზოგადოდ აქვს კაპიტალი, – რაც სრულიადაც არაა ყოველთვის, – იშვიათად გაბედავს მის ამგვარად დახარჯვას. თუ იგი საერთოდ ახდენს მამულში გაუმჯობესებას, იგი ამას ასრულებს არა კაპიტალით, არამედ იმ თანხით, რომლის მონარჩუნებას მოახერხებს თავისი წლიური შემოსავლიდან. ვისაც ოდესმე უცხოვრია სავაჭრო ქალაქში, რომელიც განვითარებული სასოფლო მეურნეობის მქონე ქვეყანაში მდებარეობს, ხშირად უნდა შეემჩნიოს, რომ ვაჭრები გაცილებით უფრო გაბედულად და გონივრულად მოქმედებენ ამ დარგში, ვიდრე ის ადამიანები, რომელნიც მარტოდენ მემამულენი არიან. გარდა ამისა, დაჩვევა წესრიგს, დამზოგველობას და წინდახედულობას, რასაც ვაჭრული მოსაქმეობა თავისთავად ასწავლის ვაჭარს, უფრო გამოსადეგს ხდის ამ უკანასკნელს იმისათვის, რომ მოგებით და წარმატებით განახორციელოს გაუმჯობესების ყოველი პროექტი.

მესამე და უკანასკნელი: ვაჭრობა და მრეწველობა ყოველთვის იწვევდა თანდათანობით წესრიგისა და კარგი მმართველობის დამყარებას და მასთან ერთად პიროვნების თავისუფლებისა და უშიშროების უზრუნველყოფას სოფლის მოსახლეობაში, რომელიც წინათ ცხოვრობდა თითქმის მუდმივ ომში თავის მეზობლებთან და მონურ დამოკიდებულებაში მაღლა მდგომთა მიმართ. და თუმცა ეს ყველაზე ნაკლებ შეუმჩნევიათ, ეს იყო უშესანიშნავესი ყველა იმ შედეგებიდან, რომლებიც ჰქონდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. იუმი, რამდენადაც მე ვიცი, ერთადერთი მწერალია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას.

იმ ქვეყანაში, რომელსაც არა აქვს არც საგარეო ვაჭრობა და არც გაუმჯობესებული მანუფაქტურები, დიდი მემამულე, რადგან არ მოიპოვება რა, რაზედაც მას შეეძლოს გასცვალოს თავისი მიწების პროდუქტის უდიდესი ნაწილი, რომელიც რჩება მიწის დამამუშავებელთა შენახვის ხარჯების დაფარვის შემდეგ, ამ

ნაწილს მთლად სოფლურ მასპინძლობაზე ხარჯავს თავის სახლში. თუ ეს გარდამეტი იმდენად დიდია, რომ კმარის ასი ან ათასი ადამიანის შესანახად, მას მისი გამოყენება სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არ იმ გზით, რომ ასს ან ათას ადამიანს შეინახავს. ამიტომ მას მუდამ ახვევია მრავალი ამფსონი და დამოკიდებული ადამიანი, რომელნიც, რადგან არა აქვთ არავითარი ეკვივალენტი, რითაც გადაიხადონ თავისი შესანახი, და ყველაფერს მისი სიუხვის წყალობით მიიღებენ, უნდა ემორჩილებოდნენ მეფეს, რომელიც მათ სასყიდელს აძლევს. ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებამდე ევროპაში სტუმარ-მასპინძლობა მდიდართა და ძალის მქონებელთა, მეფიდან და წყებული და უმცირესი ბარონით გათავებული, აღმატებოდა ყველა იმას, რისი წარმოდგენაც ძალგვიძს ჩვენ დღეს. ვესტმინსტერის სასახლის დარბაზი სასადილო ოთახად ჰქონდა ვილიამ ქარცას, და ხშირად საკმარისიც არ იყო მისი სტუმრების დასატევად. თომა ბეკეტის მორჭმულობის მაჩვენებლად სთვლიდნენ იმას, რომ იგი ავდარში სუფთა თივას ან ჭილს დააპნევიებდა თავისი დარბაზის იატაკზე, რათა რაინდებს და სკვაირებს, რომელთათვის სკამები აღარ კმაროდა, მათი კოხტა ტანისამოსი არ გათხუპნოდათ, როცა იატაკზე დასხდებოდნენ სასადილოდ. დიდი გრაფი ვარვიკი, ამბობენ, ყოველდღე 30 000 ადამიანს არჩენდაო თავის სხვადასხვა სასახლეებში; იქნებ ეს რიცხვი გაზვიადებულია, მაგრამ იგი მაინც ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო, რათა შესაძლებელი გაეხადნა ასეთი გაზვიადება. თითქმის ასეთივე სტუმარ-მასპინძლობა იყო ჩვეულებად სულ უკანასკნელ ხანამდე შოტლანდიის მაღლობის ზოგ ნაწილებში. იგი, როგორც ეტყობა, ახასიათებს ყველა ხალხს, რომელიც მცირედ იცნობს ვაჭრობას და მრეწველობას. მე ვნახეო, ამბობს დოქტორი პოკოკი, როგორც სადილობდა ქალაქის ქუჩაში არაბეთის ერთ-ერთი მთავარი, რომელიც იქ მოსულიყო თავისი პირუტყვის გასაყიდად და ეპატიჟებოდა ყველა გამვლელს, უბრალო მათხოვრებსაც კი, დამსხდარიყვნენ მასთან და მონაწილეობა მიეღოთ მის პურობაშიო.

გლეხები ყოველ მხრივ ისევე დამოკიდებულნი იყვნენ დიდ მემამულეზე, როგორც მისი ამფსონები. იმათგან ისინიც კი, რომელნიც ბატონყმურ დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდნენ, მოიჯარადრეები იყვნენ მაინც, რომელთა განდევნა შეეძლო მემამულეს თავისი სურვილისამებრ და რომელნიც აძლევდნენ მას ისეთ რენტას, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მათ მიერ მიწისგან მიღებული შემოსავლის სიდიდეს. კრონა, ნახევარი კრონა, ცხვარი, ბატკანი შეადგენდა რამდენიმე წლის წინათ შოტლანდიის მაღლობში ჩვეულებრივ საიჯარო ფასს მიწის ნაკვეთისთვის, რომელიც მთელ ოჯახს არჩენდა. ზოგ ადგილებში ეს დღემდეა შენარჩუნებული, და ამავე დროს კი იქ განსაზღვრული ფულადი თანხით პროდუქტების უფრო დიდი რაოდენობა ვერ შეიძინება, ვიდრე სხვა ადგილებში. იმ ქვეყანაში, სადაც დიდი მამულის გარდამეტი პროდუქტი თვით მამულში უნდა იქნეს მოხმარებული, მემამულისთვის უფრო ხელსაყრელია და მოხერხებული, რომ მისი ნაწილი მოიხმარებოდეს რაოდენადმე მოშორებით მისი სახლიდან, უკეთუ ისინი, ვინც მას მოიხმარებენ, ისევე მასზე დამოკიდებულნი რჩებიან, როგორც მისი ამფსონები და მისი სასახლის მსახურნი. ეს მას თავიდან აშორებს იმ თავისტკენას და შეწუხებას, რომელიც ნამეტნავად დიდი ამაღის ანუ ძალიან დიდი შინაურობის ყოლასთანაა დაკავშირებული. მოიჯარადრე, რომელიც მემამულის სურვილისამებრ შეიძლება ყოველთვის განდევნილ იქნეს და რომელსაც საკმაო მიწა უჭირავს, რათა თავისი ოჯახი შეინახოს, და ამისთვის თითქმის მარტოდენ ნომინალურ რენტას იხდის, ისევე დამოკიდებულია მემამულეზე, როგორც ამ უკანასკნელის ყოველი შინამსახური ან არიფი, და ისევე უცილოდ უნდა ემორჩილებოდეს მას. ასეთი

მემამულე როგორც თავის სახლში ჰკვებავს თავის მსახურებს და არიფებს, ისევე ჰკვებავს იგი თავის მოიჯარადრეებს მათს სახლში. ერთნიც და მეორენიც მისი სიუხვის მეოხებით იღებენ თავის შესანახს; მას შეუძლია ეს შესანახი მათ შეუწყვიტოს, როცა კი მოესურვება.

ამ ძალა-გავლენაზე, რომელიც მსხვილ მემამულეებს ჰქონდათ ასეთ გარემოებაში აუცილებლად თავიანთ მოიჯარადრეთა და მხლებელთა მიმართ, იყო დამყარებული ძველებური ბარონების ძლიერება. ისინი აუცილებლობის გზით იქცევოდნენ ყველა იმათთვის, ვინც მათ მამულებში ცხოვრობდნენ, მოსამართლეებად მშვიდობიანობის დროს და მხედართმთავრებად ომის დროს. მათ შეეძლოთ წესრიგი დაეცვათ და კანონი განეხორციელებიათ თავიანთ მამულებში, ვინაიდან თითოეულ მათგანს შესაძლებლობა ჰქონდა მამულის ყველა მცხოვრებთა მთელი ძალა გაეყვანა ამა თუ იმ პირის ძალმომრეობისა ან უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. არავის, მათ გარდა, არ ჰქონდა ამის შესრულების ძალა, კერძოდ მეფესაც არა. იმ ძველ დროში მეფე თითქმის მეტს არას წარმოადგენდა თავის სახელმწიფოში, თუ არ უდიდეს მემამულეს, რომელსაც, საერთო მტრების წინააღმდეგ საერთო ძალღონით თავდაცვის გულისთვის, ერთგვარი პატივისცემით ეპყრობოდნენ დანარჩენი დიდი მემამულენი. იძულებით რაიმე მცირეოდენო ვალის გადასახდევინებლად რომელიმე მემამულის ტერიტორიაზე, სადაც ყველა მცხოვრებნი შეიარაღებული იყვნენ და ერთმანეთის დახმარებას დაჩვეული, მეფეს თითქმის ისეთივე ძალღონის დახმარება დასჭირდებოდა, როგორც სამოქალაქო ომის ჩასაქრობად. ამიტომ იგი იძულებული იყო მართლმსაჯულების წარმოება თავისი ქვეყნის უდიდეს ნაწილში იმათთვის დაეთმო, ვისაც შეეძლო ამ საქმის შესრულება, და აგრეთვე, იმავე მიზეზის გამო, სოფლის მილიციაზე ბრძანებლობა იმათთვის დაეტოვებია, ვისაც ეს მილიცია მზად იყო დამორჩილებოდა.

შეცდომაა ფიქრი, თითქოს ტერიტორიული მართლმსაჯულების უფლება ფეოდალური სამართლიდან წარმომდგარიყოს. არა თუ უმაღლესი მართლმსაჯულების უფლება, სამოქალაქო და სისხლის სამართლისა, – არამედ აგრეთვე უფლება ლაშქრის მოკრებისა, ფულის მოჭრისა და მათზე დამოკიდებული მოსახლეობისთვის წესების და კანონების გამოცემის უფლებაც კი, ალოდიური სამართლის საფუძველზე, დიდ მემამულეებს ეკუთვნოდა უკვე რამდენიმე საუკუნით ადრე მანამდე, ვიდრე ევროპაში ცნობილი გახდებოდა თვით სახელი ფეოდალური სამართლისა. საქსონელი ლორდების ძალა და სამართლმსაჯულო უფლება ინგლისში, როგორც ეტყობა, დაპყრობამდე ისევე დიდი იყო, როგორც ყოველი ნორმანელი ლორდის უფლება დაპყრობის შემდეგ. მაგრამ ფეოდალური სამართალი, როგორც ფიქრობენ, აღიარებული იქნა ინგლისის საერთო სამართლად მხოლოდ დაპყრობის შემდეგ. უცილობელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ საფრანგეთის დიდ მემამულეებს ალოდიური წესით ხელთეპყრათ ფრიად დიდი ძალა და სამართლმსაჯულო უფლება უკვე დიდი ხნით ადრე მანამდე, ვიდრე ფეოდალური სამართალი შევიდოდა ამ ქვეყანაში. ეს ძალა და ეს სამართლმსაჯულო უფლება აღმოცენდა აუცილებლობის გზით ზემოაღწერილ საკუთრების და ადათის ნიადაგზე. საფრანგეთის ან ინგლისის მონარქების შორეულ წარსულში უძებნელადაც, ჩვენ შეგვიძლია გაცილებით უფრო ახლობელ დროში ვპოვოთ ბევრი დამტკიცება იმისა, რომ ასეთი მიზეზებისგან ყოველთვის ასეთი შედეგები წარმოიშობა. ჯერ კიდევ არც კი გასულა 30 წელიწადი მას შემდეგ, რას მისტერ კამერონ-ოფ-ლოჩიელი, ლოკბერელი მემამულე (შოტლანდიაში), თუმცა იგი არ იყო ამისთვის კანონით უფლებამოსილი, არ იყო, როგორც მაშინ იტყოდნენ, სამეფოს

ლორდი (Lord of Regality), ტახტის ვასალიც კი არ იყო, არამედ იყო მხოლოდ არგაილის ჰერცოგის ვასალი, და ამასთან მომრიგებელი მოსამართლევ კი არ ყოფილა, მაინც, მიუხედავად ამისა, უმაღლეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას აწარმოებდა მისი ხელქვეითი ადამიანების მიმართ. როგორც გადმოგვცემენ, იგი ძალიან სამართლიანად სწყვეტდა საქმეებს, თუმცა არავითარ სამოსამართლო ფორმლობას არ მისდევდა; და შესაძლებელია, რომ ქვეყნის ამ ნაწილის მდგომარეობა მაშინ აიძულებდა მას მიეთვისებია ეს უფლება, რათა დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი და მყუდროება. ამ შემთხვევაში, რომლის რენტა არასოდეს არ აღემატებოდა წელიწადში ხუთას გირვ. სტერლინგს, თავისი ხალხიდან რვაასი კაცი გაიყვანა 1745 წელს თავისთან ერთად აჯანყებაში.

ფეოდალური სამართლის შემოღებას არა თუ არ გაუდიდებია მსხვილი ალოდიური მესაკუთრეების ძალა, არამედ, პირიქით, იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ცდა ამ ძალის შეზღუდვისა. ამ სამართალმა დააწესა რეგულარული დაქვემდებარება, რომელიც დაკავშირებული იყო მთელ რიგ სამსახურსა და მოვალეობასთან, დაწყებული მეფიდან და გათავებული უმცირესი მემამულით. მემამულის მცირეწლოვანობის დროს მისი მიწების რენტა და გამგებლობა გადადიოდა მისი უშუალო უფროსის ხელში და, მაშასადამე, ყველა დიდი მემამულის მიწების რენტა და გამგებლობა გადადიოდა მეფის ხელში, რომელსაც ეკისრებოდა მცირეწლოვანის შენახვა და აღზრდა და რომელსაც, როგორც მეურვეს, უფლება ჰქონდა, როგორც აღიარებული იყო, დაექორწინებია იგი, მხოლოდ ეს ქორწინება უნდა ყოფილიყო მისი მდგომარეობის შესაბამისი. თუმცა ეს დაწესებულება აუცილებლად იწვევდა მეფის ძალის გადიდებას და დიდ მემამულეთა ძალის შესუსტებას, მაგრამ მაინც იგი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დამყარებულიყო წესრიგი და კარგი მმართველობა სოფლის მოსახლეობაში, ვინაიდან ამასთან ერთად არ ხდებოდა საკმარის ცვლილება საკუთრებისა და ადათის ვითარებაში, რომელიც უწესრიგობის წარმომშობი იყო. მთავრობის ძალა წინანდებურად მეტად სუსტი იყო თავში და მეტად ძლიერი – დაბალ ნაწილებში, და ამ დაბალი ნაწილების უზომო სიძლიერე მიზეზი იყო თავის სისუსტისა. ფეოდალური იერარქიის დამყარების შემდეგ მეფე ისევე მოკლებული იყო შესაძლებლობას აელაგმა დიდი მემამულეების თვითნებობა და ძალმომრეობა, როგორც მოკლებული იყო ამას წინათაც. ისინი წინანდებურად განაგრძობდნენ თავისი სურვილისამებრ, თითქმის განუწყვეტლივ ომს ერთი მეორის წინააღმდეგ და ხშირად მეფის წინააღმდეგაც; და სოფელი წინანდებურად ასპარეზი იყო ძალმომრეობის, ძარცვის და არეულობისა.

მაგრამ ის, რის განხორციელებასაც ვერასოდეს ვერ შესძლებდა ფეოდალურ დაწესებულებათა ძალა, თანდათან განხორციელებულ იქნა საგარეო ვაჭრობის და მანუფაქტურების ჩუმი და შეუმჩნეველი მოქმედებით. ისინი თანდათან აწოდებდნენ დიდ მემამულეებს ისეთ რამეს, რაზედაც მათ შეეძლოთ გაეცვალათ მათი მიწების მთელი გარდამეტი პროდუქტი, და რაც მათ თვითონ შეეძლოთ მოეხმარნათ, – მათი მოიჯარადრეებისა ან ამაღლისათვის გაუნაწილებლად. ყველაფერი თვით ჩვენთვის და არაფერი სხვებისთვის, – ასეთი იყო ქვეყნად ყველა ხანაში, როგორც ეტყობა, საძაგელი წესი ადამიანთა მოდგმის ბატონებისა. და ამიტომ, როგორც კი მათ იპოვეს გზა, რომ თვითონვე მოეხმარნათ თავიანთი რენტის მთელი ღირებულება, მათ დაეკარგათ ხალისი გაეყოთ იგი სხვებისათვის. ერთ წყვილ ბრილიანტიან აბზინდში ან სხვა რაიმე ასევე უმნიშვნელო და უსარგებლო საგანში ისინი სცვლიდნენ ათასი ადამიანის წლიურ სარჩოს ან, რაც იგივეა, ამ სარჩოს ფასს, და ამასთან ერთად ხელს

იღებდნენ იმ გავლენასა და ავტორიტეტზე, რომლის მიცემაც მათთვის მას შეეძლო. სამაგიეროდ ბრილიანტიანი აბზინდი საკუთრება იყო მათი, და არავითარ სხვა ადამიანს არ ჰქონდა მასში წილი, მაშინ როდესაც ხარჯვის წინანდელი წესის არსებობისას ეს საგანი მათ, სულ ცოტა, ათასი ადამიანისთვის უნდა გაენაწილებიათ. იმათთვის, ვინც სწყვეტდა, თუ რომელი იყო ამ წესში უპირატესობის შემცველი, აღნიშნული განსხვავება გადამჭრელი მნიშვნელობისა იყო. ამგვარად, ყოვლად ბავშვური, მდაბალი და სულელური მედიდურობის დაკმაყოფილების გულისთვის მათ თანდათან გასცეს მთელი თავიანთი გავლენა და ავტორიტეტი.

იმ ქვეყანაში, რომელსაც არა აქვს საგარეო ვაჭრობა და არც განვითარებული მანუფაქტურა, ადამიანი, რომელსაც ათიათასი გირვ. სტერლინგი აქვს წლიური შემოსავალი, თავის შემოსავალს ვერ დახარჯავს სხვაგვარად, თუ არ ამ გზით, რომ თავის ხარჯზე შეინახავს დაახლოებით ათას ოჯახს, რომელნიც მაშინ, რასაკვირველია, ყველანი მასზე არიან დამოკიდებულნი. ევროპის აწინდელ მდგომარეობაში ადამიანს, რომელსაც ათიათასი გირვ. სტერლინგი შემოსავალი აქვს წელიწადში, შეუძლია სავსებით დახარჯოს იგი – და ჩვეულებრივ ის კიდევ ხარჯავს მას ამგვარად – ისე, რომ თავის ხარჯზე უშუალოდ არ ჰყავდეს ოცი ადამიანიც კი ან თავის განკარგულებაში არ ჰყავდეს ათ ლაქიაზე მეტი. არაპირდაპირ იგი, შესაძლებელია, შესანახს აძლევს ადამიანთა არა ნაკლებ რაოდენობას, ან მეტსაც, ვიდრე ადრე აძლევდა ხარჯვის ძველი წესის არსებობისას, ვინაიდან რაოდენობა იმ ფასეული პროდუქტებისა, რომლებზედაც იგი მთელ თავის შემოსავალს სცვლის, ძალიან მცირე არის, მაგრამ მუშების რიცხვი, რომელნიც მათ აგროვებენ და ამზადებენ, აუცილებლად ძალიან დიდი უნდა იყოს. ამ პროდუქტების მაღალი ფასი წარმოსდგება ჩვეულებრივ მუშების შრომის ხელფასისა და ყველა იმ მესარეწეთა მოგების გამო, რომელნიც ამ მუშების უშუალო დამქირავებელნი არიან. აღნიშნული ადამიანი, იხდის რა ამ ფასს, არაპირდაპირ იხდის მთელ ამ ხელფასს და მოგებას და ამგვარად არაპირდაპირ მონაწილეობს ყველა ამ მუშების და მათი დამქირავებლების შენახვაში. ეს კია, რომ ჩვეულებრივ იგი თითოეული მათგანის შენახვაში მონაწილეობს მხოლოდ ძალიან მცირე ზომით: მეათედი ნაწილით, იქნებ, მცირეოდენთა მთელ წლიურ შენახვაში, ერთი მეასედითაც არა ბევრის შენახვაში და მეათასედითაც არა, – ერთი მეათათასედითაც კი არა, – ზოგთა შენახვაში. თუმცა იგი, ამრიგად, კი მონაწილეობს ყველა მათ შენახვაში, მაგრამ ისინი ყველანი მეტნაკლებ დამოუკიდებელნი არიან მისგან, იმიტომ რომ მათ, საერთოდ, უმისოდაც შეუძლიათ არსებობა.

როდესაც დიდი მემამულეები თავიანთ რენტას მათი ბინადარი მოიჯარადრეების და მათი კარისკაცების შენახვაზე ხარჯავენ, თითოეული მათგანი ინახავს მთლად ყველა მის მოიჯარადრეს და ყველა მის კარისკაცს. ხოლო როდესაც ისინი ამას ვაჭრებისა და ხელოსნების შენახვაზე ხარჯავენ, შესაძლებელია ყველა ისინი, ერთად აღებულნი, ადამიანთა იმავე რაოდენობას ინახავდნენ ანდა, თუ სოფლური სტუმარ-მასპინძლობით გამოწვეულ ქონების განიავებას მივიღებთ მხედველობაში, მეტ რაოდენობასაც ინახავდნენ, ვიდრე წინათ; მაგრამ თითოეულ მათგანს, ცალკე აღებულს, ხშირად მხოლოდ მცირეოდენი წვლილი შეაქვს ადამიანთა ამ დიდი რაოდენობიდან თითოეულის შესანახად. თითოეული ვაჭარი ან ხელოსანი თავის შესანახს იღებს არა ერთისაგან, არამედ ასი ან ათასი სხვადასხვა მუშტრისაგან. თუმცა იგი, ამრიგად, რაოდენადმე მოვალეა ყველას წინაშე, მაგრამ არც ერთ მათგანზე არაა სავსებით დამოკიდებული.

როდესაც, ამრიგად, თანდათან იწყო კლება დიდი მემამულეების პირადმა ხარჯებმა, არ შეიძლებოდა ასევე თანდათან არ შემცირებულიყო მათ კარისკაცთა რიცხვიც, ვიდრე ისინი დაბოლოს სრულიად არ იქნენ დათხოვნილი. იგივე მიზეზი აიძულებდა მემამულეებს თანდათან გაეშვათ მათ ბინადარ მოიჯარადრეთა ზედმეტი ნაწილიც. მათ გააფართოვეს საიჯარო მამულები, და ფერმერების რიცხვიც, მიუხედავად ჩივილისა სოფლად უხალხოების შესახებ, შემცირებულ იქნა იმ რაოდენობამდე, რომელიც საჭირო იყო მიწის დასამუშავებლად იმდროინდელი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და მელიორაციის დაბალი დონის მიხედვით. ზედმეტი მჭამელების მოშორების გამო და ფერმერისაგან სრული საიჯარო ღირებულების აღების გზით მემამულე იღებდა უფრო დიდ გარდამეტ პროდუქტს ანუ, რაც იგივეა, უფრო დიდი გარდამეტი პროდუქტის ფასს; და ამასთან ვაჭრებმა და მემანუფაქტურებმა მალე შეუქმნეს მას შესაძლებლობა ეს გარდამეტი დაეხარჯა თავისი პირადი საჭიროებისათვის, ისე როგორც იგი იქცევოდა პროდუქტის დანარჩენი ნაწილის შესახებ. და რადგან იმავე მიზეზები განაგრძობდა მოქმედებას, იგი ცდილობდა თავისი რენტა აეწია იმაზე მეტად, რისი მოცემაც შეეძლო მის მიწას მაშინდელი კულტურის მდგომარეობაში. მაგრამ მის მოიჯარადრეებს მხოლოდ იმ პირობით შეეძლოთ ამაზე დათანხმება, უკეთეს მათ უზრუნველყოფილი ექნებოდათ მიწის ნაკვეთის ფლობა იმდენი წლების განმავლობაში, რომ საკმაოდ დრო ექნებოდათ მოგებით ამოეღოთ ყველა ის, რასაც დახარჯავდნენ მიწის შემდგომ გაუმჯობესებაზე. თავმომწონური ბედოვლათობა მემამულეს აიძულებდა დათანხმებულიყო ამ პირობაზე; ამგვარად წარმოსდგა გრძელვადიანი იჯარა.

ბატონის ნებაზე დამოკიდებული მოიჯარადრეც კი, თუ იგი მიწის სრულს ღირებულებას იხდის, აღარაა სულ მთლად მემამულეზე დამოკიდებული. ფულადი სარგებლობა, რომელიც მათ აქვთ ერთი მეორისაგან, საურთიერთოა და თანატოლი, და ასეთი მოიჯარადრე სახიფათოდ არ გახდის არც თავის სიცოცხლეს და არც თავის ქონებას მემამულის სამსახურში. ხოლო თუ მას გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება აქვს დადებული, იგი სრულიად დამოუკიდებელია, და მისგან მემამულე არ უნდა მოელოდებოდეს სრულიად მცირე სამსახურსაც კი იმაზე მეტად, რაც ხელშეკრულებაშია აღნიშნული ან მოიჯარადრეს ეკისრება ქვეყნის საერთო და ცნობილი კანონით.

მას შემდეგ, რაც მოიჯარადრეები, ამგვარად, დამოუკიდებელნი გახდნენ და კარისკაცები დათხოვნილ იქნენ, დიდ მემამულეებს მოესპოთ შესაძლებლობა ხელი შეეშალათ მართლმსაჯულების წესიერი წარმოებისათვის ან დაერღვიათ საზოგადოებრივი მყუდროება სოფლად. მათ თავიანთი პირშეშობის უფლება გაჰყიდეს არა როგორც ესავეა შიმშილისა და გაჭირვების დროს ოსპის გბოლვილზე, არამედ სავსების ფლანგვის მომენტში წვრილმანი სამკაულებისა და მსგავსი ცუდმადი საგნების გულისათვის, რომლებიც გამოსადეგი იყო უფრო ბავშვების სათამაშოდ, ვიდრე მოზრდილი ადამიანის ყურადღებისათვის, და გახდნენ ამის შემდეგ ისევე უმნიშვნელონი, როგორც ყოველი შეძლებული მოქალაქე ან ვაჭარი ქალაქში. სოფლად, ისე როგორც ქალაქად, დამყარდა წესიერი მმართველობა, ვინაიდან არც იქ და არც აქ არავის აღარ ეპყრა ხელთ საკმაოდ ძალა, რომ წინააღდგომოდა მის საქმიანობას.

ამას, იქნებ, არც კი ჰქონდეს პირდაპირი კავშირი ჩვენს საგანთან, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ვაჭრობის მაწარმოებელ ქვეყნებში ძალიან იშვიათდ ვხვდებით ძველ გვარებს, რომელნიც მოდგმიდან მოდგმაში ფლობდნენ დიდ მამულებს. პირიქით, ისეთ ადგილებში, სადაც ვაჭრობა ნაკლებ არის

განვითარებული, როგორცაა, მაგალითად, უელსი ან შოტლანდიის მთიანი ნაწილი, ასეთი გვარები მრავლად მოიპოვებიან. არაბეთის ისტორია, ეტყობა, სავსეა გენეალოგიით, და ერთი თათართა ხანის მიერ დაწერილი ისტორია, რომელიც რამდენსამე ევროპულ ენაზეა გადათარგმნილი, თითქმის მარტო ასეთ გენეალოგიებს შეიცავს; ეს ამტკიცებს, რომ ძველი გვარები ამ ხალხებში ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. იმ ქვეყნებში, სადაც მდიდარ ადამიანს სხვაგვარად არ შეუძლია დახარჯოს თავისი შემოსავალი თუ არ იმ გზით, რომ თავის ხარჯზე ინახავდეს იმდენ ხალხს, რამდენის შენახვაც კი შეიძლება იმ შემოსავლით, ასეთი ადამიანი ვერ გაკოტრდება, და მისი ხელგაშლილობა, როგორც სჩანს, იშვიათად იქნება ისე უსაზღვრო, რომ იგი ცდილობდეს შეინახოს ადამიანთა იმაზე მეტი რაოდენობა, ვიდრე მას ეს ძალუძს. მაგრამ, როდესაც მას შესაძლებლობა აქვს დახარჯოს თავის თავზე ფრიად დიდი შემოსავალი, მაშინ ხშირად საზღვარი არ უდევს მის ხარჯებს, იმიტომ რომ ხშირად საზღვარი არ უდევს მის მედიდურობას ანუ ეგოიზმს. ამიტომ ვაჭრობის მაწარმოებელ ქვეყნებში, მიუხედავად უსასტიკეს ღინისძიებათა, რომელთაც მიმართავენ კანონის გზით სიმდიდრის გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად, სიმდიდრე იშვიათად რჩება დიდხანს ერთსა და იმავე ოჯახში. პირიქით, ამას ხშირად ადგილი აქვს პრიმიტიულ ხალხებში ყოველგვარი კანონმდებლობითი ღონისძიებების გარეშე, ვინაიდან მეჯოგე ხალხებში, როგორიც არიან, მაგალითად, თათრები და არაბები, ამგვარი ღონისძიებები შეუძლებელია უკვე იმის გამო, რომ მათი ქონება მოხმარების საგნებისაგან შესდგება.

ამგვარად, რევოლუცია, რომელიც უდიდესი მნიშვნელობისა იყო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, შესრულებულ იქნა ხალხის ორი სხვადასხვა კლასის მიერ, რომელთაც განზრახვად სრულიადაც არ ჰქონებიათ საზოგადოებისათვის სამსახურის გაწევა. სრულიად ბავშვური მედიდურობის დაკმაყოფილება – ეს იყო ერთადერთი მოტივი დიდ მემამულეთა. ვაჭრები და ხელოსნები, გაცილებით ნაკლებ სასაცილონი, მოქმედებდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ინტერესის გულისათვის და ადგნენ ვაჭრულ პრინციპს: ყოველ გროშს გაჰკიდებოდნენ, საცა კი ეს გროში იყო მისაღები. არც ერთნი და არც მეორენი არ სცნობდნენ, არც ხედავდნენ, წინასწარ იმ დიდ რევოლუციას, რომელსაც თანდათან ახდენდა სიბრიყვე ერთთა და გამრჯელობა მეორეთა.

ამრიგად, ქალაქების ვაჭრობა და მანუფაქტურები მეტწილ ევროპაში იყო არა შედეგი, არამედ მიზეზი და სტიმული სოფლის და სასოფლო მეურნეობის ამაღლების და განვითარებისა.

მაგრამ, რამდენადაც განვითარების ასეთი წესი ეწინააღმდეგება საგანთა ბუნებრივ მსვლელობას, იგი აუცილებლად არის ნელი და არამყარი. აბა შეადარეთ ევროპის იმ ქვეყნების ნელი განვითარება, რომელთა სიმდიდრე უმთავრესად მათ ვაჭრობასა და მანუფაქტურებზეა დამოკიდებული, ჩვენი ჩრდილო-ამერიკის კოლონიების სწრაფ წარმატებას, რომელთა სიმდიდრე მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედებაზეა დაფუძნებული. მეტწილ ევროპაში მოსახლეობა, როგორც ფიქრობენ, ორკეცდება არა უადრეს ორმოცდაათი წლისა. ზოგ ჩვენს ჩრდილო-ამერიკის კოლონიაში მოსახლეობა ორკეცდება, როგორც ანგარიშობენ, 20 ან 25 წელიწადში. ევროპაში საპირმშოო კანონი და მამულების გასხვისების შეზღუდვა სხვადასხვა სახისა აბრკოლებს დიდი მამულების დაყოფას და მით ხელს უშლის წვრილ მესაკუთრეთა რიცხვის ზრდას. ხოლო წვრილი მესაკუთრე, რომელიც იცნობს თავისი პაწია მამულის ყოველ ნაწილს და მას მთელი იმ სიყვარულით უვლის, რასაც საკუთრება, განსაკუთრებით პატარა საკუთრება წარმოშობს ბუნებრივად, და

რომელსაც სიამოვნებას ჰგვრის არა მარტო მისი დამუშავება, არამედ მისი გამშვენიერებაც, წარმოადგენს ჩვეულებრივ ყველაზე უფრო გამრჯელ, ყველაზე უფრო მიხვედრილ და საუკეთესო შედეგების მიმღწევ ადამიანს ყველა იმათ შორის, ვინც მიწის გაუმჯობესებაზე მუშაობს. გარდა ამისა, აღნიშნული შეზღუდვა ისე ბევრ მიწას აყენებს ბაზრის გარეშე, რომ ყოველთვის მეტი კაპიტალი მოიპოვება მიწის საყიდლად, ვიდრე მიწა მოიპოვება გასაყიდად, ასე რომ ის მიწა, რომელიც გასაყიდადაა მიწოდებული, ყოველთვის მონოპოლიურ ფასში იყიდება. მიწის შემოსავალი არასოდეს არ ჰფარავს მიწის საყიდლად დახარჯული თანხის სარგებელს და გარდა ამისა კიდევ დამძიმებულია სარემონტო და სხვა მიმდინარე ხარჯებით, რასაც არ ექვემდებარება ფულის სარგებელი. მიწის ყიდვა ყველგან ევროპაში წარმოადგენს ფრიად არახელსაყრელ დაბანდებას მცირე კაპიტალისათვის. უფრო დიდი საიმედოობის და დაცულობის გულისათვის ადამიანი, რომელიც საქმეებს თავს ანებებს, არაიშვიათად რჩევობს, მართალია, მიწაში დააბანდოს თავისი მცირე კაპიტალი. თავისუფალი პროფესიის ადამიანი, რომელიც სხვა წყაროდან იღებს თავის შემოსავალს, ხშირად რჩევობს ამ სახით შეინახოს თავისი დანახოგი. მაგრამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ხელი მოჰკიდოს ვაჭრობას ან რაიმე თავისუფალ პროფესიას, თავის ორ თუ სამ ათას გირვ. სტერლინგ კაპიტალს დახარჯავს მიწის მცირე ნაკვეთის საყიდლად და დასამუშავებლად, შეუძლია, რასაკვირველია, იმედი იქონიოს, რომ მიაღწევს სავსებით ბედნიერ და სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრებას; მხოლოდ ის სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს ყოველ იმედს იმისას, რომ ოდესმე შეიძენს დიდ ქონებას და სახელს, რისი მოპოვების შანსები მას, თავისი კაპიტალი რომ სხვაგვარად დაეხარჯა, ისევე ექნებოდა, როგორც ყოველ სხვა ადამიანს. და მაინც ასეთი ადამიანი, თუმცა მას არა აქვს შანსი გახდეს დიდი მემამულე, არ იკადრებს ფერმერობას. მიწის მხოლოდ მცირე რაოდენობის გამოსვლა ბაზარზე და ბაზარზე გამოსული მიწის მაღალი ფასი აბრკოლებს ბევრ კაპიტალს გამოყენებულ იქნეს მიწის დასამუშავებლად და გასაუმჯობესებლად, რისთვისაც იგი სხვა პირობებში იქნებოდა გამოყენებული. ჩრდილო-ამერიკაში, პირიქით, 50 ან 60 გირვ. სტერლინგი ხშირად საკმარის კაპიტალად ითვლება იმისათვის, რომ გამართულ იქნეს პლანტაცია. დაუმუშავებელი მიწის შეძენა და გაუმჯობესება წარმოადგენს იქ უაღრესად ხელსაყრელ გამოყენებას როგორც ძალიან მცირე, ისე ძალიან დიდი კაპიტალებისათვის, და უმოკლეს გზას ყველა იმ სიმდიდრისა და სახელის შესაძენად, რაც კი შეიძლება მოპოვებულ იქნეს იმ ქვეყანაში. ასეთი მიწა ჩრდილო-ამერიკაში შეიძლება მიიღოს ადამიანმა თითქმის მუქთად ანუ ისეთ ფასში, რომელიც მნიშვნელოვნად ნაკლებია მისი ბუნებრივი პროდუქტის ღირებულებაზე, _ გარემოება, რომელიც შეუძლებელია ევროპაში ან ყოველ ქვეყანაში, სადაც მთელი მიწა დიდი ხანია კერძო საკუთრებადაა გადაქცეული. მაგრამ მამულები რომ მესაკუთრის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი რჩება, იყოფოდეს თანასწორად ყველა შვილს შორის, იმ შემთხვევაში მამული ჩვეულებრივ გაიყიდებოდა. მაშინ ისე ბევრი მიწა იქნებოდა ბაზარზე გამოტანილი, რომ იგი ვეღარ გაიყიდებოდა მონოპოლიურ ფასში. მიწის შემოსავალი უფრო ადვილად დაჰფარავდა მის საყიდლად დახარჯული კაპიტალის სარგებელს, და პატარა კაპიტალები ისეთივე ხელსაყრელობით შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მიწის შესაძენად, როგორც ყოველი სხვა წესით გამოყენების შემთხვევაში.

ინგლისი, მისი ნიადაგის ნაყოფიერობის გამო, მისი სანაპიროების დიდი სიგრძის გამო ქვეყნის მთელ ფართობთან შედარებით და ბევრ სანაოსნო მდინარეთა

არსებობის გამო, რომელნიც მას სერავენ და წყლით ტრანსპორტის უპირატესობას უქმნიან მის ბევრ ადგილს, ქვეყნის შუაგულში მდებარეს, ყოველ სხვა ევროპულ ქვეყანაზე ნაკლებ არ არის, შეიძლება ითქვას, თვით ბუნებით დანიშნული იმისათვის, რომ იყოს ადგილსამყოფელი საგარეო ვაჭრობისა, შორეული ბაზრისათვის მწარმოებელი მანუფაქტურებისა და ყველა იმ მიღწევათა და გაუმჯობესებათა, რომელნიც მით გამოიწვევიან. ამასთან ელისაბედის მეფობის დასაწყისიდან მოყოლებული ინგლისის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ვაჭრობისა და მანუფაქტურების ინტერესების მიმართ, და მართლაც, არ არსებობს ევროპაში ქვეყანა, ჰოლანდიის გამოუკლებლად კი, სადაც კანონი, საერთოდ, უფრო ხელს უწყობდეს ამგვარ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას. ამის გამო ვაჭრობა და მანუფაქტურა განუწყვეტილად ვითარდებოდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. მიწათმოქმედებაც, უეჭველია, თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ იგი, როგორც ეტყობა, ნელა და რაოდენადმე ჩამორჩენილად მიჰყვებოდა ვაჭრობის და მანუფაქტურების უფრო სწრაფ პროგრესს. მიწების უდიდესი ნაწილი, უნდა ვიფიქროთ, დამუშავებული იყო ჯერ კიდევ ელისაბედის მეფობამდე, მაგრამ მათი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც დამუშავებული არის და კიდევ უფრო დიდი ნაწილი უფრო ცუდადაა დამუშავებული, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო. ამავე დროს კი ინგლისის კანონები შველიან მიწათმოქმედებას არა მარტო არაპირდაპირ, ვაჭრობისათვის მფარველობის გაწევის გზით, არამედ უშუალოდაც, სხვადასხვა ღონისძიებებით. ნაკლებობის წლების გამოკლებით, პურის ექსპორტი არა თუ თავისუფალია, არამედ მას დახმარებაც ეძლევა განსაკუთრებული პრემიით. ზომიერი სიუხვის წლებში უცხოეთის პურის იმპორტზე ისეთი ბაჟია დადებული, რომ აკრძალვას უდრის. ცოცხალი პირუტყვების შემოზიდვა, თუ არ ირლანდიიდან, აკრძალულია ყოველთვის, და ირლანდიიდანაც შემოზიდვა მხოლოდ უკანასკნელ დროს იქნა ნებადართული. ამიტომ იმათ, ვინც მიწის დამუშავებას ეწევა, მათ თანამოქალაქეთა მიმართ მონოპოლია აქვთ ორ უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე: პურსა და ხორცზე. ასეთი ხელშეწყობა, თუმცა კი არსებითად, იქნებ, სრულიად ილუზორული იყოს, როგორც მე შევეცდები ცხადყო შემდეგში, საკმარისად ამტკიცებს ყოველ შემთხვევაში მიწათმოქმედებისათვის დახმარების გაწევის განზრახვას კანონმდებლობის მხრივ. მაგრამ ყველა ამაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ გლეხებს ინგლისში ისეთი მტკიცე მდგომარეობა, დამოუკიდებლობა და პატივი აქვთ მოპოვებული, როგორც კი კანონს ძალუმს მათ უზრუნველყოს. ამიტომ არც ერთ ქვეყანას, სადაც არსებობს საპირმშოო უფლება, სადაც იხდიან ათისთავს და სადაც მამულების გასხვისების ხანგრძლივად შეზღუდვა, თუმცა იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობის ხასიათს, ზოგ შემთხვევაში ნებადართული არის, არ ძალუმს სასოფლო მეურნეობას ხელი შეუწყოს მეტად, ვიდრე ამას ადგილი აქვს ინგლისში. და ინგლისის სასოფლო-სამეურნეო კულტურის დონე მაღალი როდი არის. როგორც იქნებოდა ეს დონე, კანონს რომ პირდაპირ დახმარება არ მიეცა სოფლის მეურნეობისათვის, გარდა იმ სტიმულისა, რომელიც მას არაპირდაპირ ეძლევა ვაჭრობის განვითარებით, და გლეხები იმ მდგომარეობაში დაეტოვებია, რომელშიაც ისინი იმყოფებიან მეტწილად ევროპის სხვა ქვეყნებში? ელისაბედის მეფობის დასაწყისიდან განვლო უკვე ორას წელზე მეტმა ხანმა, ე. ი. ისეთი ხანგრძლივობის პერიოდმა, რომელიც ჩვეულებრივ საჭიროა ადამიანთა კეთილდღეობის განვითარებისათვის.

საფრანგეთს, ეტყობა, საგარეო ვაჭრობაში საკმაოდ დიდი წილი ჰქონდა უკვე ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე ინგლისი მნიშვნელოვანი გახდებოდა როგორც

ვაჭრობის მაწარმოებელი ქვეყანა. იმდროინდელი ცნობების მიხედვით, საფრანგეთის ფლოტი მნიშვნელოვანი იყო ჯერ კიდევ კარლოს VIII-ის ექსპედიციამდე ნეაპოლისაკენ. მაგრამ საფრანგეთის მიწის დამუშავება და გაუმჯობესება, საერთოდ, უფრო დაბალ დონეზე დგას, ვიდრე ინგლისში, მისი კანონმდებლობა არასოდეს არ უწევდა მიწათმოქმედებას ასეთ უშუალო დახმარებას.

ესპანეთის და პორტუგალიის საგარეო ვაჭრობა ევროპის სხვა ნაწილებთან, თუმცა იგი უმთავრესად უცხო გემებით სწარმოებს, ფრიად მნიშვნელოვანი არის. მათი ვაჭრობა მათ კოლონიებთან სწარმოებს მათი საკუთარი გემებით და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი არის ამ კოლონიების სიმდიდრისა და მოცულობის გამო. მაგრამ ამ ვაჭრობას არასოდეს არ შეუქმნია არც ერთ ამ ქვეყანაში რაოდენადმე მნიშვნელოვანი მანუფაქტურები პროდუქტების შორეულ ბაზარზე გასაყიდად, და მათი მიწების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ძვეს. პორტუგალიის საგარეო ვაჭრობა წარმოსდგა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა დიდი ქვეყნისა, იტალიის გამოკლებით.

იტალია ევროპის ის ერთადერთი დიდი ქვეყანაა, სადაც, როგორც სჩანს, მთელი მიწა დამუშავებული და გაუმჯობესებული იყო საგარეო ვაჭრობის და შორეული ბაზრისათვის მომუშავე მანუფაქტურების მეოხებით. კარლოს VIII-ის შეჭრამდე იტალიაში, გიჩარდინის სიტყვით, მიწა ერთნაირად დამუშავებული იყო როგორც ქვეყნის ყოვლად მთიან და უნაყოფო ადგილებში, ისე დაბლობში და ყოვლად ნაყოფიერში. მიწათმოქმედების ასეთ გავრცელებას, ალბათ, ცოტათი არ ეხმარებოდა ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ქვეყნისა და სიმრავლე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, რომელნიც მასში არსებობდნენ იმ დროს. მაგრამ მაინც შესაძლებელია, რომ, ჩვენ მიერ დასახელებული ესოდენ ჩახედული და ფრთხილი თანამედროვე ისტორიკოსის შენიშვნის მიუხედავად, მიწა იმ დროს იტალიაში უკეთ დამუშავებული არ ყოფილიყოს, ვიდრე არის ამჟამად ინგლისში.

მაგრამ კაპიტალი, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა მოიპოვებს საგარეო ვაჭრობისა და მანუფაქტურების გზით, წარმოადგენს ფრიად არასაიმედო და საეჭვო ქონებას, ვიდრე მისი განსაზღვრული ნაწილი ჩამაგრებული და განხორციელებული არაა იმ ქვეყნის მიწების დამუშავებასა და გაუმჯობესებაში. ვაჭარი, როგორც ეს სრულის სისწორით აღუნიშნავთ, არაა აუცილებლად ერთი განსაზღვრული ქვეყნის მოქალაქე. მისთვის უადრესად სულერთია, თუ რომელი ადგილიდან ეწევა იგი თავის ვაჭრობას, და სრულიად უმნიშვნელო უსიამოვნებას შეუძლია აიძულოს იგი ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადაიტანოს თავისი კაპიტალი და მასთან ერთად მთელი ის მრეწველობაც, რომელსაც ის კაპიტალი ჰკვებავს. ამ კაპიტალის არც ერთი ნაწილის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი კუთვნის რომელსამე განსაზღვრულ ქვეყანას, ვიდრე ეს კაპიტალი არ იქნება, ასე ვთვათ, გაბნეული იმ ქვეყნის ტერიტორიაზე შენობების სახით ან ხანგრძლივ საადგილმამულო გაუმჯობესებათა სახით. არავითარი კვალი არაა ჩვენი დროისთვის დარჩენილი იმ დიდი სიმდიდრიდან, რომელიც უნდა ჰქონებოდათ მეტწილ ჰანზის ქალაქებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ხსენებას მე-XIII და XIV საუკუნის დავიწყებულ ისტორიაში. ზედმიწევნით ისიც კი არაა ცნობილი, თუ სად მდებარეობდა ზოგი ის ქალაქი ან ევროპის რომელ ქალაქებს მიეკუთვნება ის ლათინური სახელები, რომელთაც ზოგ მათგანს უწოდებდნენ. თუმცა იმ უბედურობამ, რომელიც თავს დაატყდა იტალიას მე-XV საუკუნის ბოლოს და მე-XVI საუკუნის დასაწყისში, დიდად შეამცირა ლომბარდიის და ტოსკანის ქალაქების ვაჭრობა და მანუფაქტურა, მაგრამ ეს ოლქები მაინც ყველაზე უფრო დასახლებულ და უკეთ დამუშავებულ ადგილებს

წარმოადგენენ ევროპაში. ფლანდრიის სამოქალაქო ომებმა და ესპანელების ბატონობამ, რომელიც მათ მოჰყვა, განდევნა დიდი ვაჭრობა ანტვერპენის, გენტის და ბრიუგესი. მიუხედავად ამისა, ფლანდრია მაინც წინანდებურად წარმოადგენს ევროპის ერთ-ერთ უმდიდრეს, უკეთ დამუშავებულ და სქლად დასახლებულ ქვეყანას. შერყევა, რომელსაც იწვევს ომი და პოლიტიკური რევოლუცია, ადვილად აშრობს იმ სიმდიდრის წყაროებს, რომელიც მარტო ვაჭრობიდან მომდინარეობს. სიმდიდრე, რომელიც წარმოსდგება შედეგად უფრო მტკიცე გაუმჯობესებათა სოფლის მეურნეობაში, უფრო მყარი არის და მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ ისეთ ძლიერ შერყევათა შედეგად მოხდეს, რომელნიც წარმოიშობიან ძარცვით და განადგურებით მტერ და ბარბაროს ხალხთა მხრივ ერთი ან ორი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთზე მიყოლებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ერთხანს რომის იმპერიის დაცემამდე და დაცემის შემდეგ ევროპის დასავლეთ პროვინციებში.
